Philippe Hériat

LES ENFANTS GÂTÉS

Traduit du français par
NOUNOU QUADEICHVILI

EDITION „SABTCHOTA SACARTVELO"
TBILISSI — 1988

ფილიპ ერია

უზენაესი ბავშვები

ფრანგულიდან თარგმნა
ნუნუ ჟადეიშვილმა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

84.4 Фр 7—44
ф 78

Edition Gallimard
Paris, 1939

ფ ი ლ ი პ ე რ ი ა XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მწერალია. მის კალამს ეკუთვნია ე. წ. ოჯახური რომანის ჟანრის ძველი ციკლი — „ბუსარდელები".

„უ ზ ნ ე ო ბ ა ვ შ ვ ე ბ ი" ამ ციკლის ერთ-ერთი წიგნია, რომელიც აღინიშნა გონკურების პრემიით. თბრობის ცენტრშია აგნეს ბუსარდელი, მდიდრულ გარემოში აღზრდილი, მაგრამ ალერსმოკლებული „უზნეო ბავშვი", რომელიც ჭინ აღუდგება თავისი დინასტიის კანონებს. მისი თავგადასავალი მოწმობს ფრანგული ბურჟუაზიის ძველი ღირებულების ნგრევის დასაწყისს. აგნეს ბუსარდელის ბედს ავტორი განზოგადებულ, ანტიბურჟუაზიულ მნიშვნელობას აძლევს.

Ф $\frac{4703000000—205}{М\ 601\ (08)—88}$ 333—88,
ISBN 5—529—00076—2

© ქართული თარგმანი
„საბჭოთა საქართველო", 1988

— შესაძლებელია ასეც იყოს! — თქვა მან, — იქნებ მართალი იყოთ! იქნებ ღირდეს, ეს ამბავი დავიწყებას არ მიეცეს და ჩაიწეროს! კარგი, გიამბობთ. ოღონდ, ბალიან გთხოვთ, არ გაიკვირვოთ, თუ გულახდილად ნოგიყვებით ყოველივეს. ისიც იცოდეთ, სულ არ ვაპირებ დავიჩემო, ყველაფერში მე ვარ-მეთქი მართალი. ასეთ შემთხვევაში არც ერთი მხარეა მართალი, და ბრც მეორე.

უეცრად გაჩუმდა. არც ინბრეოდა, არც ხმას იღებდა. მეგონა, სუნთქვა შეეკრა. უნებურად ორკესტრის დირიჟორი მომგონდა: გადაბწყვეტი აკორდის წინ მკლავებდაშვებული რომ დგას და სულის მოთქმის საშუალებას აძლევს მუსიკოსებს.

მომეჩვენა, თითქოს იმ წუთას საბოლოოდ იცლებოდა აქამდე შეკავებული გრძნობებისაგან: საბოლოოდ დაადწია თავი მორცხვობას, ზიზღს, სულის მივიწყებული კუნჭულების გაუდმებული ქექვა რომ იწვევდა მასში; თავი დაადწია თავის მეორე ბუნებას, იმ მარტოსულის ბუნებას, ვისთვისაც სიჩუმე დღის ჩვეულებრივი ფონია, ხოლო სიტყვა — სწრაფად ჩახშობილი ხმაური.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისე დაუდევრად, ისე უცნაურად გაიმეორა „კარგი, გიამბობთ!“ თითქოს თავის თავგადასავალში რადაც ისეთი უპირატესობა აღმოაჩინა, წინათ რომ არ შეუმჩნევია და ბოლოდ ახლა გადაწყვიტა ეამბნა ყველაფერი. სამაგიეროდ, მე მაშინვე მივხვდი, რომ სათქმელი დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა; მომაგონდა, ჯერ კიდევ გუშინ დაასჩირა მოყოლა, მაგრამ გადაიფიქრა: უეჭველია, მთელი ღამე არ ეძინა, წვრილად მოიგონა წარსული, მეხსიერებაში აღიდგინა ყოველი სურათი, ყოველი წვრილი, საფარველი ჩამოხსნა აჯრინდელ აგნეს ბუსარდელს.

ისიც ვიცოდი, რომ ამ დილით თავისი ბიჭუნა მთელი დღით გააყოლა მოახლეს, მეზობელ პლაჟზე; მივხვდი, რატომ: ბავშვი გაარიდა და ამით საკუთარ აჩრდილს ნება დართო მის სახლში დამკვიდრებულიყო. ამ დედისეული სახლის ფერფლეშ ერთად ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ აწ ნეტარხსენებულ ქალიშვილსა და მის საღ-სალამათ ბავშვს.

აგნეს ბუსარდელი თავისი აგარაკის ბანზე იჯდა ჩემ წინ და თავს აქნევდა: მართალია, იუნონას მკაცრი ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ მის ახალგაზრდულ სახეს ჯერჯერობით არ ემუქრებოდა გაუხეშება. ლამაზი თვალე-

ბით იაკაკს ჩასჩერებოდა, ალბათ ასე უფრო ეადვილებოდა დაელაგებინა, შეერჩია თავისი ცხოვრების ეპიზოდები და მოკლედ, ზუსტად, დამაჯერებლად აღედგინა ყოველივე, რაც ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენოდა მის მეხსიერებას. მე კი დარწმუნებული ვიყავი, შემთხვევით იმპროვიზაციას არ მომასმენინებდა.

მოგონებები თუ ბოლმა ისე ძალუმად შემოაწვა, რომ მთელი სიფრთხილე, თხრობის დაწყებას რაც'აყოვნებდა, ერთბაშად გაუქრა. ეს უცნაური ქალი, საკუთარ თავს რომ ადევნებდა თითქოს თვალს, უცებ გამოერკვა, პირველი ფრაზაც იპოვა და ამით ის ყოყანაც ახსნა, თხრობის დაწყებას რომ უძნელებდა: ჯაჭვის რომელი რგოლისთვის ჩაეჭიდა ხელი?!

— ბავშვობის გახსენება არ ღირს! — წამოიწყო მან, — მხოლოდ იმ ხანას შევეხები, რაც თხრობის თანმიმდევრობისას დამჭირდება. ხოლო თუ გზადაგზა უკან დაბრუნება მომიხდა, მაშინლა გავიხსენებ ადრინდელ წლებს. ასე აჯობებს. ადამიანის აზრებისა და მოქმედების ამოსაცნობად კალენდარი ცუდი მეგზურია, მით უმეტეს, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

ისე უვულისყუროდ მკითხა, მივხვდი, მეხსიერებაში გამოცხადებულ აჩრდილებთან შედარებით ჩემი იქ ყოფნა არაფერს ნიშნავდა.

დავეთანხმე. თხრობისას ქრონოლოგია ადვილი, მაგრამ მაცდური იარაღია-მეთქი. მართლაც, ცხოვრების წლები, დღე თუ საათი, არასოლეს მიმიჩნევია თარიღების მიხედვით ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ უძრავ ერთეულებად, პირიქით, ისინი მოძრავ ელემენტებად, გონების გალაქტიკის სისტემაში დაუსრულებლად მოძრავ ელემენტებად წარმომედგინა. ჩემი აზრით, ჩვენ თვითონვე ვართ იმ მოძრავ ელემენტების ჯამი, მუდმივად რომ ენაცვლებიან ერთმანეთს.

ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება თარიღების მიხედვით ავაგოთ რომელიმე ჩვენგანის ეძბავი, როცა ოდნავი ანალიზიც კი მიგვანიშნებს, რომ იგი ფიზიკური კანონების ურთიერთსაწინააღმდეგო ევოლუციებისა და დროთა ბრუნვისაგან შედგება, როცა ამ ამბავში შეგიძლია დაინახო შებინდება, ერთბაშად სინათლეს რომ აფრქვევს, დაინახო მდინარე, თავის სათავეს რომ უბრუნდება, ყვავილი, რომელიც ტოტს შერჩენია, თუმცა ხის ნაყოფი უკვე დამპალა.

ვლაპარაკობდი, მაგრამ ყურს არავინ მიგდებდა. ის, ვისაც მე მივმართავდი, ამიერიდან მხოლოდ მსმენელს ხედავდა ჩემში და მეც მისთვის აღარ უნდა შევეშალა ხელი. მას უკვე ეტყობოდა მოუთმენლობა, რასაც ამიერიდან ვეღარ დაბლევდა და რაც მრავალი დღის განმავლობაში მდელვარე, მაგრამ ფხიზელ მდგომარეობაში მოიმწყვდევდა.

I

დაბრუნება

— იქნებ ნიუ-იორკით დამეწყო?! — თქვა აგნეს ბუსარდელმა, — თუმცა არა, ჯერ მეხუთე ავენიუს ცათამბჯენი უნდა გავიხსენო, სადაც ბოლო წუთები დავყავი. ფარფშუნებული ვარ, ასეთი დასაწყისი, ცოტა არ იყოს, პირობით მოდერნიზმად მოგეჩვენებათ. სამაგიეროდ, ეფექტური ჟესტი იქნება. რა ვქნა, ასეა და... გამგზავრების დღეს ეფექტური ჟესტის გასაკეთებლად არ ავსულვარ იმ სიმაღლეზე. უბრალოდ, მინდოდა იქ მესაუზმა.

ამერიკელებს თუ იცნობთ? ჩემი აზრით, მათი ყველაზე მიმზიდველი თვისება ისაა, რასაც მე „მუდმივ მზადყოფნას“ ვუწოდებ. ისინი ყოველთვის მზად არიან ისეთი რამ გააკეთონ, რაც არასოდეს გაკეთებულა ან საერთოდ არ კეთდება. აიღეთ თუნდაც ეკლესიაზე უფრო მაღალი შენობების აგება. კონსერვის ყუთებით ლუდისა და ჩოგბურთია ბურთების გაყიდვა, ყურადღების ვაჭრობა იმ ქალისადმი, დილის რვა საათზე სამოცდამეათე სართულის ცარიელ საცეკვაო დარბაზში საუზმეს რომ შეუკვეთს...

ბოლო ერთი კვირა ნიუ-იორკში დავყავი. საკმაოდ მხნედ ჩავედი, თუმცა ექსპრესი „სტიმ-ლაინერი“, რომელმაც სან-ფრანცისკოდან ჩამომიყვანა, ისეთი სისწრაფით მოქროდა, სამი დღე-ღამის განმავლობაში ნერვები დამაწყვიტა; ბოლო ორი დღე არაქათი აღარ მქონდა და დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი.

ძნელია წარმოიდგინოთ ასეთი გაშმაგებული, ასეთი უცნაური კვირა! არ ვიცი, რა ახირებამ, რა სიგიჟემ ამიტანა, მაგრამ ვაგონიდან ჩამოსვლისთანავე ეს გაურკვეველი ჯრძნობა ერთი კვირის მანძილზე დამაჭროლებდა ნიუ-იორკის ქუჩებში, ერთი უბნიდან — მეორეში, ვინ იცის მერამდენედ მიმაგდო ერთსა და იმავე გზაჯვარედინზე. ყოველ დღე ღამის ორ-სამ საათამდე დავყიალებდი ქუჩებში, ხოლო დილის რვა საათზე იგივე უცნობი ძალა წამომაგდებდა ხოლმე ლოგი-

ნიდან და სასტუმროდან გამიყვანდა. მინდოდა ყველაფერი მენახა, ამხდენოდა ის გიჟური ილუზიები, მსოფლიოს ამ კუთხეზე რომ გვაქვს; ხელახლა მენახა ყოველივე, ხელახლა დავკვირვებოდი ყოველივეს, რაჰაც ადრე განმაცვიფრა, აღმაფრთოვანა ან ამაღელვა. ვგრძნობდი, შერეკილივით ვიქცეოდი, იმ დიასახლისს ვგავდი, ალმოდებულ სახლში რომ წრიალებს და მოახლოებული საფრთხის მიუხედავად, ოთახიდან ოთახში შერბის, ცდილობს გადაარჩინოს აი ის ნივთი, ისიც, აი ისიც და იმაზე კი აღარ ფიქრობს, უგუნურად, გაუფრთხილებლად რომ იქცევა.

როგორ მოხდა, ამ სულიერმა შფოთვამ თვალი რომ არ ამიხილა იმაზე, რაც ჩემში ხდებოდა, რაც ჩემში მზადდებოდა? ეტყობა, სულმთლად ამერია კზა-კვალი, რაკი სიფრთხილე ვერ გამოვიჩინე. შეერთებულ შტატებში გატარებული ორი წლის შემდეგ ასეთი ტურისტული გაცოფება მართლაც არ იყო ნორმალური ამბავი... ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ გადავწიე ვასამგზავრებლად დათქმული დრო, თუმცა კარგად ვიცოდი, სულ ერთია, როცა იქნებოდა, ეს დროც დადგებოდა და ყოველგვარი სინანულის გარეშე გადავწყვეტდი წასვლას; ეტყობა, რაკი შთაბეჭდილებებისა და მოგონებების დაგროვება დავაპირე, ინსტინქტის ხმას ვემორჩილებოდი. ალბათ წინასწარ ვგრძნობდი, რომ მრავალი წლის ტურისტული შიმშილობა მელოდა, ეტყობა, სწორედ ამიტომ ვიყავი ასე აფორიაქებული.

1

ერთი სიტყვით, ვემის გასვლას ორი საათი უკლდა, ორმოცდამეცხრამეტე ავენიუზე მდებარე სასტუმროდან რომ ვავედი და ფეხით გავწიე იქვე ახლოს, როკფელერის ცენტრისკენ. იქ რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი. იმ დილით დამლაგებლების გარდა არავინ დამხვდა Rainbow Room-ში[1], მაგრამ ჩემი მისვლა არ გაკვირვებიათ, არც კომენტარები გამოუთქვამთ, როგორც საფრანგეთში იციან. ამან დამაფიქრა. ესეც გამაფრთხილებელი ნიშანი იყო.

როცა საუზმე შევუკვეთე, მტვერსასრუტები კუთხეში მისწიეს და ფანჯარასთან მიმიჩინეს ადგილი. იაპონელი მსახური ყვავილნარის გრძელ ყუთში მცენარეებს რგავდა. მოქნილ ტანზე მწვანე ტილოს ხალათი ეცვა და ჩემს ფეხებთან ჩაცუცქული წარბშეუხრელად გა-

[1] „ცისარტყელა" (ინგლ. რესტორნის სახელწოდებაა)

ნაგრძობდა მუშაობას. ვუცქეროდი, რა მშვიდად საქმიანობდა და მეც უკეთ ვგრძნობდი თავს. წელზევით გაშიშვლებული ორი ახალგაზრდა კაცი მზის გულზე იდგა, ცათამბჯენის ბანზე, და ფილებს რეცხავდა.

არ ვიცი, ოფიციანტმა საიდან გამომიტანა კერძებით დახუნძლული ლანგარი, არც ის ვიცი, როდის დამტოვა მარტო. მებაღე ყურადღებას არ მაქცევდა. ქალაქი ისე ვეებერთელა აღარ მოჩანდა ამ სიმაღლიდან, გეოგრაფიულ ნიშანს უფრო ჰგავდა ახლა. დილის ბინდი ფარავდა, ნისლში ახვევდა მთელ ქალაქს. Central Park-ს[1] უკვე დასდებოდა წითური ფერი, — იგი ხომ ნიუ-იორკის მცხუნვარე მზის, ოკეანისა და, თან, კონტინენტალური მკაცრი ჰავის მსხვერპლი იყო! მთელ მის ზედაპირს დილის უძრავი ბურუსის ფარდა ჯერ კიდევ ეფინა და სუნთქვა ჭირდა.

მინის ტიხარს მივეყრდენი. ქარის ყოველ წამობერვაზე კაბის მსუბუქ ქსოვილში თითქოს ატანდა და გულის სიღრმემდე იჭრებოდა ცათამბჯენის ზემო სართულების ძლიერი ვიბრაცია. პირი ვერც გაფცქვნილ ვრეიპფრუტს დავაკარე, ვერც ალაოს რძეს, ვერც იმ კერის, ენას რომ აგრილებს, მსუყე გემოს რომ ტოვებს პირში და რითაც ორი წლის მანძილზე ვიკვებებოდი.

რესტორანში ველარ გავჩერდი და ბანზე გავედი. ქარის ძლიერ ნაკადში მოვხვდი. თითქმის ნახევარი საათი მოვანდომე საბურავის შემოვლას. იმის მიხედვით, სამხრეთის მხარეს დასავლეთიდან გავიდოდი თუ სამხრეთიდან—აღმოსავლეთისაკენ, ქალაქის სახე სხვადასხვანაირად გადამეშლებოდა თვალწინ. ერთი სინათლეში იყო გახვეული, მეორე, უფრო მკვეთრად ეანსახული, ოკეანისკენ გაწოლილიყო და ეაშოტილ ცხოველს წაგავდა, რომლის თავი ჰორიზონტთან იკარგებოდა: მესამე — ჩრდილში ჩაძირულიყო და ყოველი მხრიდან ოთხკუთხა კოშკებით, ობელისკებით დაცხრილულიყო. თითქმის ყოველ მხარეს გუბეების ფოლადისებურად ალაპლაპებული ზედაპირი მოჩანდა.

ფილების მრეცხავებს გამოველაპარაკე. შინაურულად მიპასუხებდნენ, ზედ ცხვირწინ მიქნევდნენ ხელებს, ცდილობდნენ ზუსტად ეჩვენებინათ ესა თუ ის შენობა. ქარი მძვინვარებდა, ფეხზე ძლივს ვიდექი და ქუდი ორივე ხელით მეჭირა. როცა მოსაუბრეებისაკენ შემოვბრუნდებოდი, ქარი ხან ზურგში მცემდა, ხან ფერდებში. ბიჭები, ეტყობოდა, შეჩვეულნი იყვნენ, ფეხები გაელაჯათ და ქარიც ვერას აკლებდათ.

[1] ცენტრალური პარკი (ინგ.)

ჩემმა ოდნავ უცნაურმა აქცენტმა ორივე გააკვირვა. უმცროსმა კითხვა კითხვაზე დამაყარა. ვერ დაიჯერა, ფრანგი რომ ვიყავი და როცა ვუთხარი, ჩემი გემი საცაა გავა-მეთქი, შეიცხადა. მგონი, მესიამოვნა. მის შეკითხვებს ღიმილით ვუპასუხებდი. ვუამბე, ბერკლის უნივერსიტეტში ვსწავლობდი-მეთქი. თვითონ კოლუმბიის უნივერსიტეტს ამთავრებდა თურმე: მათი ფეხბურთის გუნდი ხომ საქვეყნოდაა ცნობილი! სწავლის ფულის შესაგროვებლად იატაკის რეცხვა უხდებოდა. ისიც მითხრა, ამჟამად საცეკვაო მუსიკას ვწერ, მაგრამ ჯერჯერობით ერთი ნოტის გაყიდვაც ვერ მოვახერხეო.

ყმაწვილმა ხელახლა აიღო ხელი სარწყავი და ცოცხი, გონების გაწვრთნაში, სხეულის ვაკაჟებასა და ვალსების შეთხზვაში რომ ეხმარებოდა. უნებურად გავიფიქრე, შეერთებული შტატები ერთგვარი სასპორტო ბანაკია, სადაც ფიზიკური შრომა, თამაშის ილეთებით, ნახევრად გაშიშვლებული სხეულით, სპორტსა ჰგავს, თუმცა სპორტი აქ ნამდვილი შრომაა-მეთქი.

ხელახლა გადავხედე ნიუ-იორკს. წამდაუწუმ საათს დავყურებდი, წასვლას ვაყოვნებდი: თხუთმეტი წუთი, კიდევ ხუთი წუთი... და ეცემ ვიკრძენი, რომ ეს ალიონი ყველაზე ნათელ მოგონებად ჩამრჩებოდა მეხსიერებაში, საუკეთესო წუთი იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში.

კარს მივუახლოვდი. ბიჭებმა ხელი დამიქნიეს და დამიყვირეს:

— So long! Come again![1]

ეს ფრაზა ამერიკაში ლოზუნგივით გესმის მუდამ. ჩემთვისაც ბევრჯერ უთქვამთ, მაღაზიებშიც კი. მაგრამ ახლა ამან რატომღაც გამაოცა. შევჩერდი, უძრავად შევდექი ზღურბლთან, ფეხი ვერ გადავდგი. Come again! ამერიკაში ხელახლა დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო! ახლაც კი, როცა ამდენი დრო გავიდა, ახლაც შეუძლებელია ამაზე ფიქრი და მაინც... Come again!

როცა ვემზე ასულს კაიუტის კარი გამიღეს და შიგ შევედი, პირველი, რაც თვალში მომხვდა, დეპეშების დასტა იყო. მაშინვე გაეხსენი: ტრადიციული ფრაზებით კეთილ მგზავრობას მისურვებდნენ ბერკლის უნივერსიტეტელი მეგობარი ქალები: სალი, ფილი, ჯეინი... არც ერთი მამაკაცის სახელი! რამდენჯერმე გადავიკითხე, ყოველი ხელმოწერა შევამოწმე.

მსახურმა ქალმა შემომთავაზა, ჩემოდნიდან ბარგს ამოგილაგებთო. -წორედ ამ დროს ტელეფონის ზარი გაისმა. დარწმუნებული ვიყავი, შეცდომით დარეკეს-მეთქი და მსახურს ვანიშნე, ყურმილი აიღო.

[1] ნახვამდის! დაგვიბრუნდით! (ინგ.)

— მადმუაზელ ბუსარდელს სთხოვენ, — თქვა მან, ყურმილს ხელი დააფარა და შემომხედა.

— დიახ, მე ვარ. კი მაგრამ, ვინ მკითხულობს?

მსახურმა ჩემი შეკითხვა გაიმეორა და პასუხიც გადმომცა:

— გემის თანამშრომელია.

ყურმილი გამომიწოდა. გამიკვირდა, როცა ძალიან თავაზიანად მითხრეს, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სურვილებიო. ისეთი გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, ოფიცერთან მოვიხდებოდა საუბარი, არადა, მეტად გალანტური ჩინოვნიკი მელაპარაკებოდა, საფრანგეთი უკვე თავს მახვევდა თავის უფლებებს!

ჩემმა თანამოსაუბრემ გამომიცხადა, მოუთმენლად ველოდი კაიუტაში თქვენს შესვლასო. მეც ხუმრობით მივულოცე, მართლაც ჯადოსნური სისწრაფით გაუფრთხილებიხართ-მეთქი. ჩემი ქათინაური სერიოზულად ჩათვალა და მითხრა, მოგზაურთა სიაში ბუსარდელის გვარი მაშინვე თვალში მომხვდაო.

— პარიზელი გახლავართ, ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ! — თავაზიანად გამომიცხადა მან. — როცა თქვენი გვარი ამოვიკითხე, გულით ვისურვე, ნეტავი ბირჟის მაკლერის, ბატონი თეოდორ ბუსარდელის ოჯახის წევრი გამოდგეს-მეთქი.

უნებურად ვამეღიმა. ეს ღიმილი ჩემი ოჯახის ასე ერთბაშად გამოცხადებამ უფრო მომგვარა, ვიდრე ჩემი მოსაუბრის კილომ.

მართლაც სწრაფად მოხდა ყველაფერი. ლოდინი არ დამჭირვებია. თეატრში, სადაც დაბრუნების სცენა უნდა გათამაშებულიყო, ჯერ კიდევ არ აენთოთ სინათლე, მე თვითონ ჯერაც არ ვიყავი მზად სცენაზე გასასვლელად, კულისებში ჯერაც არ დარჩენილა სამი ტრადიციული ზარი, სამაგიეროდ, დათქმულ დროს დაასწრეს და როგორც სჩვეოდათ, მრავლისმეტყველი იერით ყველანი უცებ გამოცვივდნენ სცენაზე თავიანთი ბელადის, ჩვენი საქმევების თავკაცის, ძია თეოდორის მეთაურობით!

— თეოდორი ბიძაჩემია, — ვუთხარი გემის თანამშრომელს.

— მაშ, თქვენ მისი ძმისა და კომპანიონის ქალიშვილი ყოფილხართ! მაქვს პატივი მასაც ვიცნობდე!

მთელი ეს საუბარი უცნაურად, მე ვიტყოდი, უცხოურად წარიმართა. რატომღაც მომეჩვენა, თითქოს მშობლიურ ენაზე არ ვლაპარაკობდით. იქნებ, იმით აიხსნებოდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად მესმოდა წმინდა ფრანგული.

— ვისი კომპანიონი?.. დიახ, მამაჩემია.

ჩემს სიტყვებს წამოძახილი მოჰყვა ყურმილში. შემომთავაზეს, უფრო მოსახერხებელ კაიუტას შეგირჩევთო, იქნებ შემობრძანებულიყავით ჩვენს სალონში, გევმისთვის დაგეხედათ და ჯერ კიდევ თავისუფალი, ნებისმიერი კაიუტა თვითონვე აგერჩიათო.

— თუკი არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, ამაზე გემის გასვლის შემდეგ ვილაპარაკოთ, — ვუთხარი და მადლობა გადავუხადე, — ახლა კი მევობრები მაცილებენ და...

რატომ ვუთხარი ასე? ეს ხომ ტყუილი იყო?! ნიუ-იორკში ძალიან ცოტა ნაცნობი მყავდა, ხოლო ჩემს მცირერიცხოვან ნაცნობებს წინადღით გამოვეშვიდობე. არც „ფრენჩ ლაინის“ ვრცელ ჰოლში, არც გემბანზე კაცაშვილი არ შემომყოლია. თუკი ვინმე ძვირფასი მყავდა ამერიკაში, კონტინენტის მეორე მხარეს დარჩა, სან-ფრანცისკოს ყურეში ან სან-ბერნარდინო რეინჯის მთებში, ხოლო იქიდან დეპეშაც არ მიმიღია. კეთილი მგზავრობაც კი არ უსურვებია არავის.

პირსზე თავმოყრილ ხალხშიც არავინ დამიქნევდა ხელს... მიუხედავად ამისა, როცა გავიფიქრე, ამ თავაზიან კაცთან მომიხდება საუბარი, ჩემი ძმიბისა და ბიძაშვილ-მამიდაშვილების ამბებს გამომკითხავს-მეთქი, როცა გავიფიქრე, მის კაიუტაში უკვე დაუსწრებლად მოუყრია თავი მთელ ჩვენს ოჯახს, თუმცა კი გემი ჯერაც ნავსაბმელზე დგას ამერიკის მიწაზე-მეთქი... ერთბაშად სუფთა ჰაერზე, მზეზე მომინდა გასვლა. ზემო გემბანზე რელინგს დავეყრდნე და აღარც გავნძრეულვარ. თითქმის მარტო ვიყავი. მთავარ გემბანზე და ჰოლში ტევა არ იყო.

მთელი კვირის დაღლილობა ერთბაშად ვიგრძენი. თხუთმეტი წუთის წინ, როცა ჰუძონისკენ ტაქსით მოვდიოდი, გადაწყვეტილი მქონდა, საუზმობამდე მშვიდად დავისვენებდი გემზე. მით უმეტეს, რომ მარტო ვიქნებოდი... გაგიგონიათ? ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგოდ წარიმართა, რაღაც ძალამ კაიუტიდან გამომაგდო, გემბანზე ამომიყვანა, ჯროხელ კიდევ დამანახა ვეებერთელა ქალაქი, უკიდეგანო ქვეყანა, რომელსაც სამუდამოდ ვტოვებდი.

აქედან თითქმის არ მოჩანდა ნიუ-იორკი, შენობებს ამოფარებოდა. და ჩემი ფიქრებილა დასტრიალებდა როკფელერის ცენტრს, თითქოს ისევ ვიდექი გაცისკროვნებულ სახურავზე, ქარში, მზეზე გარეჯულ ორ ყმაწვილთან. მერი და მერე სხვა სახეები, სხვა მოგონებებიც დამიდგა თვალწინ: ხან ნაყოფიერ და სიცხისგან გამომშრალ სოფლებს ვხედავდი, ხან ნაპირების გასწვრივ ამოჩრილ და ზღვის

ფსკერისკენ ჩაშვებულ ჭაბურღილის კოშკურებს; ხანაც ფესვმაგარ, ასწლიანი ნაძვებისა და მაღალი მთების ჩრდილში შეყუჟულ მდუმარე ტბებს, ხშირი ბუჩქნარით დაფარულ კლდოვან ფლატეებს; ვხედავდი ყველაფერს, რაც კი ჩემთვის უამბნიათ ამ ჭალებზე, ავტოსტრადებზე, რომლებზედაც გუბის გამყოფი ზოლები კუნაპეტ ღამეშიც კი თეთრად მოჩანდა, სან-ფრანცისკოს დამრეცი მოედნებით დასერილ ქუჩებზე. თვალწინ მედგნენ თანაკურსელები, უნივერსიტეტის მეგობრები, თავშიშველები უდარდელად რომ მიაბიჯებდნენ, მარცხენა იღლიაში ამოჩრილი რვეულებით; და რაც მთავარია, ვხედავდი...

სირენის ყურისწამღებ წივილს ველოდებოდი. რატომღაც მეგონა, ოვიანებს-მეთქი და წამდაუწუმ საათს დავყურებდი. გამგზავრების ნიშნის მიცემა ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, არ ვიცი, დავაყოვნებდი თუ დავაჩქარებდი. მისი ხმის გაგონება კიდეც მეჩქარებოდა და კიდეც მაშინებდა.

როგორც იქნა, იწივლა სირენამ, თანაც ისე ახლოს, ერთიანად შემაკრთო, ყურები დამიხშო და გამაღიზიანა. ცოტა ხანმა კიდევ განელო. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მოსცილდა გემი ნაპირს. ის კი დავინახე, რომ გამცილებლები უცებ აფუსფუსდნენ, სწრაფად ჩაეიოდნენ გემიდან და მეც მივხვდი, გამგზავრების ნიშანი მიუციათ-მეთქი. ნავმისადგომის გასწვრივ ჩამწკრივებულ ნათესავებს ზემოდან დავყურებდი, მაგრამ უმეტესობას მაინც ვერ ვხედავდი, საწყობების სახურავები მეფარებოდა: ხალხი ხელებს იქნევდა, ცხვირსახოცებს, ქუდებს აფრიალებდა, თუმცა ატირებული არავინ დამინახავს. პირიქით, პირზე ღიმილი ეფინათ და გამოსამშვიდობებელი სიტყვებიც, ბაგეს რომ მოსწყდებოდა, მაშინვე გუგუნში ინთქმებოდა.

ეს საერთო მღელვარება მეც გადმომედო და მით უფრო მიღრმავდებოდა, რაც უფრო ვშორდებოდი ამ ხალხს. პირსს გამოვცდით თუ არა, ნაპირზე თავმოყრილი ხალხი ისევ გამოჩნდა, კვლავაც ხელებს აქნევდნენ. თბილმა, მეგობრულმა გრძნობამ თუ სინანულმა გული შემიკუმშა. ო, როგორ არ მინდოდა ამ ხალხთან, ამ უცნობ ხალხთან ასე სწრაფად დაშორება!.. ო, რა სისულელე ჩავიდინე, როცა ჩემი გაცილება ავუკრძალე ყველას! ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდაც ყველაზე გულგრილი გამცილებელი, ახლა უძვირფასესი ადამიანი იქნებოდა ჩემთვის! ამ ოროომტრიალში იმ ადამიანს მეც დავუწყებდი ძებნას, ვიპოვიდი, ხელის მოძრაობით ვეტყოდი სათქმელს, დიდხანს, რაც შეიძლება დიდხანს არ მოვაცილებდი თვალს...

ამასობაში გემი თანდათან მაშორებდა ამ ხალხს, სულ მალე საბოლოოდ დავტოვებდი... უკვე ვტოვებდი... ოცდაათიოდე მეტრი და ეს სილუეტებიც თანდათან გაქრებოდა... სანამ ჯერ კიდევ დრო იყო, სანამ თვალს მიეფარებოდა, ერთი სილუეტი შევარჩიე ნავსადგომის ბოლო კუთხეში, ვიღაც ქერა ჭაბუკი ჩემს გამცილებლად, boy-friend-ად[1] ვიგულე. ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რა ძაფი გავაბი ჩვენ შორის. არადა, მისი ფიქრები ერთ-ერთ ჩვენს თანამგზავრს, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობ ქალს დასტრიალებდა თავს. ხელები რუპორივით მიედო პირთან, რაღაცას ამაოდ ყვიროდა და თავის ნათქვამზე თვითონვე იცინოდა. მერე, როცა მანძილი გაიზარდა ჩვენ შორის, ჩაჩუმდა და ფართო ტორების ქნევას მოჰყვა. ერთმანეთს ვუყურებდით თითქოს. მალე თანდათან დაპატარავდა, სახე ბუნდოვნად მოუჩანდა, საცაა ამ მასას შეერეოდა... აი მაშინ კი ორივე ხელი მისკენ გავიშვირე, ვემშვიდობებოდი, რაღაცას ვყვიროდი, აღარც კი მახსოვს — რას, ოღონდ ინგლისურად კი ვყვიროდი...

გემის კიჩოზე გავედი. ხალხი შემინულ რესტორანში შედიოდა. საუზმის დრო იყო. ჰე არ მშიოდა. ის, რაც აქამდე გემბანზე მაჩერებდა, მადასაც მიკარგავდა და გულგრილსაც მხდიდა რესტორნის მაგიდებთან შეჯგუფული მგზავრებისადმი. ისინი კი მინის მიღმა თვალს არ აშორებდნენ უცნაურ მგზავრს, ნიუ-იორკის ხედით რომ ტკბებოდა.

მართლაც რომ კარგი სანახავი იყო იქაურობა. ჰუძონს ჩავუარეთ. ახლა უკვე საწინააღმდეგო მხრიდან ვხედავდი იმ შესანიშნავ აღგილებს, რამაც ორი წლის წინათ მომხიბლა. მოტორიანი ნავი გვაცილებდა, გემის მიერ აზვირთებულ ტალღებს ხტუნვა-ხტუნვით აპობდა და ცდილობდა არ ჩამოგვრჩენოდა. ეკიპაჟის გარდა, ექვსი მგზავრი იყო ნავში: სამი მამაკაცი და სამი ქალი. ექვსივენი ფეხზე იდგნენ, მთავარი გემბანისკენ თავაღებულნი ერთმანეთს აწვდიდნენ რუპორს და რაღაცას ყვიროდნენ. ამასობაში კი ნიუ-იორკი ნელ-ნელა იხევდა უკან.

როდესაც Financial district-ის[2] ცათამბჯენებს ჩავუარეთ, ვიგრძენი, გემმა სიჩქარეს უმატა. ნავმაც უკანასკნელად მოიკრიბა ძალა და აგვედევნა. ახლა მისი მგზავრები ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ, თანაც რაღაცას ფუსფუსებდნენ, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. ბოლოს, როგორც იქნა, საცობი ამოაძვრეს შამპანურის ბოთლს, და თუმცა ძლიერი

---

[1] მეგობარი, ძმაკაცი (ინგლ.)
[2] ფინანსური, საქმიანი კვარტალი (ინგ.)

რყევა იყო, ჭიქები შეავსეს, გემინკენ შემობრუნდნენ, ჭიქები მაღლა ასწიეს და მეგობრების სადღეგრძელო შესვეს. მერე ცარიელი ჭიქები წყალში გადაყარეს, ბოთლიც ზღვაში გადაუშვეს. ნავი შემოტრიალდა, ნიუ-იორკისკენ გასწია და გაათკეცებული სისწრაფით მოვეშორდა.

ასე მეგონა, ამერიკასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი ერთბაშად გაწყდა-მეთქი. მაბსოვს, უნებურად მოვიკუზე და თავი ჩავქინდრე. ამის შემდეგ აღარც მიცდია შევბრძოლებოდი ნაღველს, დილიდანვე გულზე რომ შემომწოლოდა. კარგად ვიცოდი, რამ გამოიწვია იგი, ვინ იყო მისი მიზეზი და რა სახელი უნდა დამერქმია მისთვის.

რესტორნიდან ხალხი მიყურებდა, მაგრამ ამის დარდი არ ჭქონდა. თვალს არ ვაშორებდი უზარმაზარ კლდოვან ნაპირს, თანდათან რომ პატარავდებოდა. მისი ცალკეული დეტალები თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. და მაინც, სურათი დასრულებულ სახეს იძენდა. იგი ტოსკანური სკოლის იმ პორტრეტივით იქმნებოდა, სადაც ადამიანის თავი სოფლის ან ქალაქის ფონზეა გამოსახული და თითქოს მთელ მის ერსაც ანსახიერებს.

ის, რაც ჩემ თვალწინ აღმართულიყო, რაც ქალაქის პეიზაჟში ჩახატულიყო წყლის ნაპირზე, ერთი ყმაწვილის გამოსახულება გახლდათ. ჩემთვის ნაცნობი იყო მისი სახის ყოველი ნაკვთი, ყოველი ხაზი, ყოველი უმნიშვნელო ნაკლი, მისი უჩვეულო სილამაზე: ოდნავ ბრტყელი შუბლი, აქტივით ბრჭყვიალა შავი თვალები, უცნაურად მოლილიკფრო, გადატკეცილი ტუჩ-პირი, ბავშვური კბილების მწკრივი, ლამაზად შემორკალული წარბები, ღია წაბლისფერი თმა, კონტრასტებით სავსე სახე! ამ კონტრასტულობის მიზეზიც ვიცოდი: მის ანგლოსაქსურ რბილ იერს ადვილად დაატყობდით, რომ ინდიელთა ველური სისხლი ერია.,

ნორმანის სახე!

2

ბოლო ღამე გემზე ცუდად მეძინა. გამოგიტყდებით, სულ არ მეძინა. საღამო დაუსრულებლად მომეჩვენა. ნაცნობობა არავისთან გამიბამს. ჯერ ერთი, ასეთი რამ საერთოდ უცხოა ჩემთვის, ამ მგზავრობისას კი განსაკუთრებული თავშეკავება გამოვიჩინე. მარტოდ დარჩენა მინდოდა: ვიცოდი, ჩემი მოგონებების მოსაწესრიგებლად, ხუთი

ღელ და ხეთი ღამე არ მეყოფოდა. ისიც ვიცოდი, როგორც უნდა მეცადა, რაც უნდა მეღონა, მაინც მოუმზადებელი ჩავიდოდი პარიზში.

აღარც ნიუ-იორკი იყო, ეს აფორიაქებული სული რომ დამეცხრო, აღარც ის აღტყინება მქონდა, ბოლო დღეებში რომ აღმომაჩნდა ხმელეთზე. ღია გემბანზე, სადაც მაცოცხლებელი ზღვის სიო ქროდა და ხალხიც ნაკლებად იყო, შეზლონგზე უსაქმურად გატარებულმა დრომ საფიქრალი ამიშალა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ევროპას, მშობლიური, კონტინენტთან დაკავშირებული ძველი მოგონებები საამო სიოსავით მეფერებოდნენ. ვგრძნობდი, საცაა ისინი სულ ახლანდელ მოგონებებს, ბერკლისა და ბიგ-ბერის ტბის მოგონებებს შეეჯახებოდნენ. რითი დამთავრდება ეს შერკინება? რა შედეგი მოჰყვება? ან მე რა მდგომარეობაში აღმოვჩნდები ამ ბრძოლის შემდეგ, სადაც მოქმედების ადგილად და ფსონადაც მე თვითონ ვიქნები?

რადგან ამ შეხვედრის პასიური წევრი ვეღარ ვიქნებოდი. ჩემს საქციელში. ჩემს ჩვევებში, თითქოსდა ძირეული ცვლილება სდებოდა. საკმარისი აღმოჩნდა, საფრანგეთში მიმავალ გემზე ავსულიყავი, საფრანგეთის მიწაზე დამედგა ფეხი, მაშინვე ჩემი ძველი „მე“ გაცოცხლებულიყო, რომელსაც ორი წლის მანძილზე გულდასმით ვმალავდი, ამოსუნთქვის საშუალებას არ ვაძლევდი, ვინ იცის, იქნებ მისი საბოლოოდ ჩახშობის იმედიც კი მქონდა! ძველებური მოკრძალება, მიუკარებლობა. საკუთარ თავში დაეჭვება, დაბოლოს, ძალზე ხშირად იმის შეგრძნება, რომ წამდაუწუმ მითვალთვალებენ, მკიცხავენ, რითაც აიხსნებოდა ჩემი უგერგილობა და მისგან გამოწვეული ამპარტავნობა, — ყველაფერი ეს ამერიკაში ჩასვლისთანავე აორთქლდა და მეგონა, სამუდამოდ გაქრა-მეთქი. მაგრამ აი, ხელახლა იჩინა თავი, ძალას იკრებდა, იმუქრებოდა, რომ ძველებურ იერს აღმიდგენდა. ფრთხილად უნდა ვიყო, თორემ ჰავრის გემსადგომზე ის french girl[1] კი არ დაადგამს ფეხს, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება და კეთილი მოგონება დატოვა კოლეჯში, ორ თუ სამ კლუბში და შეერთებული შტატების კიდევ სხვა ადგილებშიც, არამედ ბუსარდელების ქალიშვილი.

საღამოს თერთმეტ საათზე ზედა გემბანის ბარში შევედი, იქ მერჩივნა; სხვა ადგილები მგზავრებით იყო სავსე.

ფანჯარასთან დავჯექი, იქიდან გემბანის პატარა მონაკვეთი მოჩანდა მხოლოდ, მის ზემოთ ჩაბნელებული ცა და ზღვა ერთმანეთს ერთვოდა.

---

[1] ფრანგი გოგონა (ინგლ.)

დიდხანს ვიჯექი. რესტორანში ცეკვავდნენ, უკანასკნელი ღამის აღსანიშნავად ამერიკელ მგზავრებს მეჯლისის მოწყობა განეზრახათ. ბარში მამაკაცები წყვილ-წყვილად ან მარტო შემოდიოდნენ და სოდიან შამპანურს სვამდნენ. მივხვდი, ბარმენები უკმაყოფილო დამირჩებოდნენ, ერთი ფინჯანი ჩაი რომ შევუკვეთე, ამიტომ ვისკიც მოვითხოვე.

შუაღამეს გადაცილებული იყო, მეორე მაგიდასთან რომ გადავინაცვლე. გემის სვლის მიმართულებით დავჯექი. ასე რომ, დარბაზისკენ ზურგშექცევით აღმოვჩნდი. შემეშინდა: ვაითუ, ამ საქციელში გაუთავებელი მისვლა-მოსვლისადმი წმინდა ფრანგული პროტესტი დაინახონ-მეთქი.

მაგრამ გარე სამყაროს დარდი არა მქონდა, ერთბაშად შევკრთი: ხახე მინას მივადე, ორივე ხელი ფარივით ავიფარე თვალებთან და ერთ წერტილს მივაშტერდი სიბნელეში. უძლეველმა სურვილმა შემიპყრო, მინდოდა ხელახლა დამენახა ის, რასაც სიბნელეში ეს-ესაა თვალი მოვკარი...

როცა დავრწმუნდი, არ შევმცდარვარ-მეთქი, მოვიხედე და პირველად ვინანე, რომ ყურადღებას არავინ მაქცევდა. სიცილი ვეღარ შევიკავე, თვალები ამენთო. ვის გავუზიარო ჩემი აღმოჩენა? იქვე ახლოს ბარმენი იდგა:

— The First light! — წამოვიძახე ინგლისურად, — The First light of Europe!

— შესაძლებელია! უკვე დროა! — ფრანგულად მიპასუხა მან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბორდოელის აქცენტით.

საშინელი იმედგაცრუება ვიგრძენი და მშობლიურ ენაზე გავიმეორე:

— ევროპის პირველი შუქი!

შევამჩნიე, ფრანგულად თარგმნილმა სიტყვამაც და საგანმაც, ასევე ჩემმა აღტყინებამაც ერთბაშად დაკარგა ყოველგვარი აზრი.

დასაწოლად წავედი, მაგრამ ვერ დავიძინე. პატარა ჩემოდნის ვარდა, ბარგი ჩალაგებული მქონდა. ასე რომ, შემეძლო მშვიდად დამეძინა. რული მაინც არ მომეკარა. ჩემთან ერთად უამრავი გრძნობა ათევდა ღამეს ამ კაიუტაში. მათ შორის ყველაზე ადვილად დასაძლევი გრძნობა მოუთმენლობა გახლდათ, ცნობისმოყვარეობა იმ განცდისადმი, რაც უმოკლეს ხანში უნდა გადამეტანა, სურვილი — იმისა,

როგორმე მხედველობიდან არ დამომრჩენოდა შინ ჩასვლასთან დაკავშირებული არავითარი სირთულე, რასაც ასე ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე.

როგორც იქნა, ჩამეძინა და შვიდ საათზე გამომეღვიძა. კარგა გათენებული იყო. ფეხშიშველა მივვარდი ილუმინატორს. მშვიდი წყალი და ინგლისის სანაპირო გადაეფარა თვალწინ. გემი იდგა. საუთჰემპტონის ნავსადგურში ვიდექით. პატარა ქალაქი დილის ნისლში ციმციმებდა. იგი ზღვის ფონზე მოჩანდა; ნელ-ნელა ვაჩვევდი თვალს მარგალიტისფრად მოლივლივე ზღვას, ათასნაირ ელფერს რომ არეკლავდა: ხან ბაცი ყვითელი იყო, ხან მორუხო-ვარდისფერი, ხანაც ღია ჟანგისფერი.

ოო, რა სხვანაირი პეიზაჟი ვიხილე! თითქოს ჩემი შიშისა და ქარიშხლების გასაფანტავად გადაშლილიყო ჩემ თვალწინ! რა ვიცოდი, ასეთი სანახაობა თუ მელოდა, თორემ სინანულს როგორ მივცემდი თავს ჭეელი ამ ხუთი დღის მანძილზე! როგორი ნეტარებით შევცქეროდი ამ სანაპიროს, როგორ მინდოდა უამრავი ახალი ღირსება აღმომეჩინა, ეულით ვცდილობდი გამართლებულიყო ჩემი ვარაუდი!

თავდაპირველად ის გავიფიქრე, ნაპირიდან ევროპის სუნთქვა მესმის-მეთქი. ვცდილობდი აღმომეჩინა ადამიანის მოთხოვნილებასთან ოდითგანვე არსებული შეუსაბამობა. აშკარა იყო, ეს ქვეყანა ერთ ღღეში არ შექმნილა. ამ ქალაქის ზრდა და გაფართოება ორგანულმა კანონებმა გამოიწვია, ხელი შეუწყო, ხანგრძლივი არსებობა დაანათლა. ალბათ ასეთივე კანონებითაა გამოწვეული ის, რომ ნაყოფიერი მიწები ათასი წლით დაშრევდება ხოლმე დაბლობებში; სამრეკლოს ღერძიც მაგრადაა მიბჯენილი განსაზღვრულ წერტილს, მისი ადგილსამყოფლის წინასწარ განსაზღვრა აღმშენებელზე როდი იყო დამოკიდებული. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დაედგინათ და კვლავაც ძალაში რჩებოდა მთელი ეს ჰარმონია ამ ყურის რკალსა და საცხოვრებელ შენობებს შორის, ჰარმონია რელიეფსა და სახლების სიმაღლეს შორის, სტიქიასა და ადამიანებს შორის; ჰარმონია ამდენ საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო, ადამიანურ სულებს შორის.

„რა ჰარმონიაა! რა ბუნებრივი ჰარმონიაა!“ — ვიმეორებდი გულში.

ხელახლა დავწექი და ამჯერად მალე ჩამეძინა.

ძილს დიდხანს ვერ წავართვი თავი და სასაუზმოდ რომ ჩავედი, თითქმის არავინ დამხვდა დარბაზში. თუმცა სად მეჩქარებოდა? რაკი

საფრანგეთის ნაპირები ასე ახლოს იყო, ასე სწრაფად მოეშურებოდა ჩემკენ, უდარდელობამ მოვიცვა. გემიდან ჩასვლის წინ მომზადება ხომ მჭირდებოდა, მაგრამ ამასაც განგებ ვაყოვნებდი. სულ ერთია, ბოლოსაბოლოს მოხდება!.. საცაა ნავსადგურს მივადგებით, გემიდან ნაპირზე საბიჯელაა გადებენ და ხუთი წუთის შემდეგ ჰავრის სანაპიროს ასფალტს დავადგამთ ფეხს. იქ კი, უამრავი ფორმალობა მელის. რაღაც უხილავი ძალა ვაგონში შემიყვანს, იგივე ძალა ამ ვაგონს პარიზისკენ გააქროლებს, სადგურის ბაქანზე კი მთელი ჩემი ოჯახი დამხვდება.

სწორედ ეს გულდაჯერება მაძლევდა ნებას ცოტა ხანს კიდევ მეოცნება, გონს მოვსულიყავი, უკანასკნელი ამოსუნთქვის საშუალება მიმეცა ჩემი თავისთვის.

ჰო, ფეხის ქირა უნდა დავურიგო ოფიციანტებს: წინადღით ჩამოვწერე, ვისთვის რამდენი უნდა მიმეცა. გამიჭირდა. ახეთ ოპერაციებს ვადაევჩვიე. შეერთებულ შტატებში ეს წესიც განსხვავებული აქვთ. ომის შიშით, ვითომ, ცოტას ვაძლევ-მეთქი, აღარ ვიცოდი, რა ბექბა. საფრანგეთში, ჯერ კიდევ ყმაწვილქალს, ეს იგივე მუდამ მაწყალებდა.

ეროა. აგიხსნათ ეს ჩემი ნათქვამი: დავიბადე და გავიზარდე მდიდრულ ვარემოში, სადაც ყველა სიმდიდრეს ემონებოდა. ფული ჩვენი ოჯახის წყაროცაა და მიზანიც, მისი მონობაცაა და იდეალიც. უამრავი ნათესავი მყავს და ე. წ. დ ი დ ებ უ ლ ოჯახს წარმოვადგენთ. ჩემი ბიძეები, ბიძაშვილები, ძმები, მამაჩემი — ყველანი ბირჟის მაკლერები, ბანკირები, ნოტარიუსები, ვექილები არიან. ჩემი დიდი პაპა, ფერდინანდი, ცოლის მხრიდან ბარონ ოსმანის ნათესავი — მეორე იმპერიის დროს ბირჟის მაკლერი გახლდათ. და თუ ამ წინაპარს მთელი ჩვენი სიმდიდრის შემქმნელად ვთვლით, ასევე მივვაჩნია იგი ბუსარდელების დინასტიის ფუძემდებლად. თავის მხრივ. ამ დიდ პაპასა და მის მეუღლეს ფრიად პატივსაცემი წინაპრები ჰყოლიათ, მაგრამ მათ შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ის ხანა, ასე ვთქვათ, ბურუსითაა მოცული. ამიტომ ჩვენს საგვარეულო წელთაღრიცხვას პირველი მდიდარი ბუსარდელით ვიწყებთ ხოლმე!

მისმა საქმიანობამ და სიმდიდრემ დიდხანს გაუძლო დროთა ბრუნვას, რეჟიმთა ცვლას, გაუძლო ომს, კრიზისებს და ეს საქმიანობა, ეს სიმდიდრე დღემდე გრძელდება. უფროს-უმცროსობის უფლებით, პაპას, რომელსაც მე არ ვიცნობდი, მოხუცი პაპისაგან მიუღია კანტორა; ამჟამად ამ საქმეს ბიძაჩემი და მამაჩემი განაგებენ, ხოლო ჩემ-

უფროსი ძმა რიგში დგას, თავის დროს ელოდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდ პაპას კიდევ ჰყავდა შვილი, რომ თითოეულ მათგანს ოჯახი ჰქონდა, რომ ტრადიცია არც ერთს არ დაურღვევია და თაობას თაობა მოსდევდა, თქვენ თვითონ იანგარიშეთ, რამდენი კანტორის, კერძო სასკოლო და სხვა მისთანის დაარსება შეეძლო ამ შთამომავლობას!

არის ოჯახები, სადაც შვილი ტრადიციულად მიჰყვება მამის კვალს და ჩინოვნიკი, ვაჭარი ან სამხედრო პირი ხდება; ბუსარდელები მუდამ ბირჟის მოხელეები იყვნენ.

მიუხედავად ეპოქის მღელვარე დღეებისა, ისინი მაინც ქმნიდნენ და კვლავაც ქმნიან, ასე ვთქვათ, შეფიცულ, თვინიერ ტომს. ბედმა მეც ამ გარემოში გამაჩინა. აეევე, ბედმა ინება ამბოხების მარცვალი ჩასახულიყო ჩემში... უარესი, ვიდრე ამბოხებისა — ბოჰემური! ყველაფერი შეფარდებითია... საქმე ისაა, რომ ნათესავების თვალში მე პატარაობიდანვე ვიყავი ის უგუნური, რომელმაც ნივთის ფასი არ იცის! მართალია, უაზრო წვრილმანებს არ ვყიდულობდი, ფულის ფანტვა სულაც არ მიყვარდა, სხვა ბურჟუა-დედა მოხარულიც იქნებოდა ასეთი წინდახედული შვილით, მაგრამ შედარებები მღუპავდა. ჩემი ძმები და ბიძაშვილები (ქალებიცა და ვაჟებიც), ერთი სიტყვით, ყველა, ვინც ჩემ ირგვლივ ტრიალებდა, ბუსარდელების ტრადიციას აგრძელებდა, ფულის ყადრი იცოდნენ და ისე მოხერხებულად, ისე გულდაგულ და თადარიგიანად ზოგავდნენ ფულს, იტყოდით, ნამდვილი ტალანტი აქვთო. ამ საქმეში ბავშვობიდან ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თანაც ისეთი მონდომებით, რომ ამ ჯიბესქელი, მაგრამ ხელმოჭერილი ახალგაზრდების გვერდით, მე წარმოუდგენელ მფლანგველად გამოვიყურებოდი.

— ძთელ თაკის ქონებას ქარს გაატანს! — ამბობდა დედა ჩემზე, ჯერ კიდევ სულ პატარა გოგოზე.

ამით მაგრძნობინებდა ალბათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი ფული მექნებოდა. მაგრამ მსგავსი აზრი არასოდეს მომსვლია თავში და ასეთ საქმეებში ცუდადაც ვერკვეოდი, ამიტომ მის ნათქვამს გულგრილად ვეკიდებოდი.

სწორედ ამის გამო მიჯავრდებოდნენ ხოლმე. ერთხელ, სწორედ იმ ხანებში, მათხოვარი შემხვდა ქუჩაში. წვრილი ფული არ აღმომაჩნდა და ორფრანკიანი მონეტა მივეცი. მოწყალებისთვის გადადებული ფული მუდამ თან მქონდა. გუვერნანტმა დამაბეზღა და იმავე საღამოს დიდედასთან მიმიყვანეს. იგი იმდენად მოხუცდა, იშვიათად თუ

ინებებდა ჩვენთან გამოლაპარაკებას. რუპორის როლს მისი უფროსი ქალიშვილი, მამიდა ემა ასრულებდა, იმასაც განსაკუთრებულ შემთხვევებში.

გუვერნანტმა სასამართლოს წინაშე გაიმეორა ჩვენება. დიდედამ თრივე ხელი და ორივე თვალი მაღლა აღაპყრო და ამოიოხრა. სამაგიეროდ, მამიდა ემამ გრძელი სიტყვა წარმოთქვა. იგი მუდამ შესაშური სისხარტით ლაპარაკობდა, უყვარდა ათასნაირი ხატოვანი გამონათქვამის ხმარება, რითაც მთელი ნათესაობა აღფრთოვანებული იყო. მამიდამ ჩემკენ გამოიშვირა თითი და საბრალდებო სიტყვა ასე დაამთავრა:

— ნახვრეტები გაქვს მაგ ხელში! ღობის ძირას ამოგხდება სული!

ამ ორმა ხატოვანმა სიტყვამ საშინლად ამაღელვა. გაოგნებულმა მაშინვე ხელებზე დავიხედე. მამიდამ ეს შენიშნა და განაცხადა, ნამდვილი ბატიაო. ჩემს ოთახში გავიქეცი. შეეცადე ნათლად წარმომედგინა, როგორი დასასრული მელოდა. წარმოვიდგინე, როგორ ვიწექი საკაცეზე, მომაკვდავი, იობსაც[1] ვგავდი და ვირის ტყავსაც.[2] ხოლო ორივე ხელისგული წმინდა ფრანცისკო ასიზელივით მქონდა დახვრეტილი!

წარმომიდგენია, რას იტყოდა მამიდა ემა, აი ახლა, ფეხის ქირის ჩამორიგებისას რომ ვენახე! წინადღით ამ მიზნისათვის საკმაოდ დიდი თანხა გადავდე, მაგრამ ბოლო წუთებში რატომღაც შემრცხვა და გადავწყვიტე, ცოტ-ცოტა ყველასთვის წამემატებინა. საბრალო მამიდაჩემი და მთელი ჩემი ოჯახი ალბათ გამკიცხავდა, ამ ჩემს საქციელს მიუტევებელ უნებისყოფობად და იმის უტყუარ საბუთად ჩამითვლიდნენ, რომ ცხოვრებისა არაფერი გამეგება.

ოფიციანტები კმაყოფილნი დამირჩნენ, მადლობა გადამიხადეს და მეც ყველას რამდენიმე თავაზიანი სიტყვა ვუთხარი.

არც ამ საქციელს მომიწონებდა ნათესაობა. ათასჯერ მაინც გაუმეორებიათ ჩემთვის დედასაც და მამიდასაც, შენ როგორ გაუძღვები ოჯახს, როცა მოახლისთვის ბრძანების მიცემაც ვერ მოგიხერხებიაო. ამ რძალ-მულის წარმოდგენაში მეოჯახეობის ყოველ პრობლემას ბრძანების გაცემის უნარი სწყვეტდა. მათი ტერმინი რომ ვიხ-

---

[1] იობი — ბიბლიური პერსონაჟი, ცნობილი თავისი სათნოებითა და მორჩილებით. სატანამ ღმერთი დაითანხმა იობის სათნოების გამოსაცდელად. იობმა დაკარგა მთელი სიმდიდრე, მეგობრები დასცინოდნენ, მაგრამ ის მაინც ლოცავდა ხელს, მას რომ უბედურება შეპყარა.

[2] „ვირის ტყავი" — პეროს ბლაპრის პერსონაჟი.

მაროთ. „ჭეშმარიტი დიასახლისის ნიჭის ძალა“ მხოლოდ ამ უნარით ვამოიცნობოდა თურმე.

— ღმერთმანი,—ირწმუნებოდა მამიდა ემა, — შეიძლება ‘კაცმა იფიქროს, რომ ბავშვობიდან უმოახლოდ ცხოვრობდი... წარმოშობით ბუსარდელი ხარ, ხელქვეითებთან ლაპარაკი კი არ გეხერხება!

რა ჩემი ბრალია, თუკი ამ სიტყვის გავონებაც მზარავდა მუდამ? ნეთუ ძნელი მისახვედრია, რომ მეოცე საუკუნის ქალიშვილი, თუნდაც იკი რევოლუციონერი არ იყოს, უაზრობად და ბარბაროსობად აღიქვამდეს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „რჩეულნი“, „ხელქვეითნი“?

გულახდილად რომ გითხრათ, „ხელქვეითების“ წინაშე მუდამ უხერხულობას ვგრძნობდი, მუდამ ვცდილობდი და ახლაც ვცდილობ გაიგო, რას ფიქრობენ ისინი ჩემზე. ჩემი ეს მოკრძალებულობაც თავისებურად იჩენდა ხოლმე თავს. მაგალითად, ამპარტავანი ხალხი არასოდეს მომწონდა. და როცა დედა სტუმრების მიღების დღეს (ასეთი დღეები წელიწადში ორჯერ იმართებოდა) მე, პატარა გოგოს რომელიმე დიპლომატთან ან მინისტრთან მიმიშვებდა, ამ პიროვნებას ძალდაუტანებლად ვაუბამდი ხოლმე მასლაათს, რაც სტუმარს ძალიან ართობდა, ხოლო ჩემს ოჯახს თავზარს სცემდა. ასევე თავისუფლად ვესაუბრებოდი ვლეხებსაც, არდადეგებზე რომ ვხვდებოდი: ჩემიანები ხშირად წამომდგომიან თავს, როცა გაცხარებით ვემუსაიფებოდი სახლის საბურავის შემკეთებელ ოსტატებს ან ვან-დეიკის ავენიუზე ქვაფენილის მკირწყლავებს. ჩემს ბავშვურ შეკითხვებს ისინი სიამოვნებით უპასუხებდნენ, კილოზე ეტყობოდათ, ჩემთან საუბარი უფრო მოსწონდათ, ვიდრე ჩემს ბიძაშვილებთან; ისინიც ხომ ბავშვები იყვნენ, მაგრამ უკვე ქედმაღლურად ან მეტად შინაურულად ექცეოდნენ, თანაც ამ მოურიდებლობაში ლაქუცი უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გულთბილობა. და აი, ბოლოს, ამერიკაში ყოფნისას მე უფრო შევითვისე იქ აღიარებული ფამილარული თუ მეგობრული ტონი, ვიდრე ამას რომელიმე სხვა ფრანგი scool-girl[1] შეიგუებდა. მაშ, რიღათი აიხსნებოდა ჩემი ეს გამუდმებული უხერხულობა მსახურთა წინაშე? ვერც ჩემს ოჯახში ნახულმა მაგალითებმა, ვერც ბურჟუა ქალიშვილად აღზრდამ ვერ მოსპო ჩემში ეს თითქმის ფიზიკური პროტესტი. როგორც ბავშვებს არ უყვართ მოემსახურონ დიდებს, მეც ასევე არ მიყვარდა, როცა მემსახურებოდნენ.

---

[1] მოსწავლე; სტუდენტი (ინგლ.)

შეერთებულ შტატებში არავინ არავის არ აგდებს უხერხულ მდგომარეობაში. არ ვიცი, რატომ, მაგრამ maids და waitresses[1] მუდამ ღიმილით მემსახურებოდნენ და honey-საც[2] მეძახდნენ. უფრო ხშირად კი მე თვითონ ვუელიდი თავს. ასეა თუ ისე, ჩემი ეს ხასიათი თითქოსდა მივივიწყე ამერიკაში.

და აი, საფრანგეთისკენ მიმავალ იალქნიანზე, მან პირველმა სადილობისას გამახსენა თავი. როცა მეტრ დ'ოტელი ფრანგულად გამომელაპარაკა, გამიხარდა, მაგრამ მაშინვე ადრინდელი უხერხულობაც ვიგრძენი.

— რას გვიბრძანებთ, მადმუაზელ, თევზი ტაფაზე შევწვათ თუ შამფურზე?

— ტაფაზე, ოღონდ კარგად შებრაწონ.

ვთქვი და ჩავახველე: ხმ! ხმ!

ათი-თხუთმეტი წლის ასაკში დამჩემდა ასე: ჩავახველებდი და ამით ვცდილობდი თავის დაცვას, ერთი სიტყვით, წონასწორობის აღდგენას. მერე ეს ამბავი უკვე ჩვეულებად გადამექცა და ვემზე ყოფნისას ხელახლა გამახსენა თავი. ამ ბალღურმა საქციელმა გამაბრაზა: „ღმერთო! რა სიბრიყვე!“ — ვფიქრობ გულში.

მეტრ დ'ოტელმა თევზი შემოიტანა და მკითხა:

— ორცხობილა მოვართვათ, მადმუაზელ?

— არა, გახუხული პური მომიტანეთ!

მომიტანა. მადლობა გადავუხადე და ორი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, როცა ხელახლა ჩავახველე:

— ხმ! ხმ!

მეტრ დ'ოტელს ფეხის ქირა უკვე მიღებული ჰქონდა და ახლა ჩემს მაგიდასთან მოსულმა ასე მაცნობა:

— თითქმის შეეედით ნავსადგურში, მადმუაზელ!

— უკვე? — წამოვიყვირე უნებურად და ჯერ მარჯვნივ მივიხედე, მერე მარცხნივ. დამავიწყდა, რესტორანი გემის შუაგულში რომ იყო მოთავსებული და უფანჯრო იყო. სამაგიეროდ, თვალში მეცა ის ამბავი, რომ მარტო, თითქმის მარტო ვიჯექი დარბაზში. მეტრ დ'ოტელისთვის არც შემიხედავს, ისე დავძინე:

— როგორ მინდოდა ნავსადგურში შესვლა მენახა!

— ნუ დარდობთ, მადმუაზელ, ჰავრში არაფერია საინტერესო.

— ვიცი! — მივუგე და ჩავახველე: — ხმ! ხმ!

---

[1] მოახლეები და ოფიციანტები (ინგლ.)

[2] საყვარელო, გენაცვალე (ინგლ.)

ჩანთა და ხელთათმანები ავიღე. უკანასკნელად მოვავლე თვალი მაგიდას, სადაც ათჯერ მაინც ვიჯექი ჩემთვის, მშვიდად. თვალი მოვავლე დიდ, ოდნავ პირქუშ დარბაზს. მეტრ დ'ოტელი ჩემი სკამის უკან იდგა. როცა ავდექი, უკანასკნელად გასწია სკამი და დასძინა:

— თუ მადმუაზელი ხელახლა დააპირებს ამერიკაში წამოსვლას, ვიმედოვნებ, სხვა გემით არ იმგზავრებს!

თვალებში შევხედე. იღიმებოდა. ღიმილითვე რომ არ ვუპასუხე, გონს მოეგო. შევამჩნიე, ძალიან შავი თვალები ჰქონდა.

— აუცილებლად! თუკი ხელახლა დავაპირებ წამოსვლას, — ვუთხარი და თავი ისე დავუქნიე, თითქოს მეტრ დ'ოტელი კი არა, სხვა შამპაკაცი იდგა ჩემ წინ.

— იმედი ვიქონიოთ!

გამეღიმა და შევეცადე ძალდაუტანებელი პასუხი ვამომესვლოდა:

— იმედი ვიქონიოთ!

წამით კიდევ შევჩერდი მის გვერდით, მაგრამ რაკი ჩახველება აღარ გამომივიდა, შემოვბრუნდი და დარბაზიდან გავედი.

3

ცნობათა ბიუროში ლიფტით ჩავედი. ორი ნაბიჯი გადავდგი და ადგილზე გავშეშდი. ჩემ წინ ჩემი ძმა იდგა. კინაღამ დავეჯახე ამ ოროომტრიალში.

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ჩემი ოჯახი თავს მახსენებდა, მისი მთავარი წევრები, ასე ვთქვათ, მთელი მგზავრობის მანძილზე არ მომშორებიან და ახლა, სპირიტისტების ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ამ მატერიალიზაციის წინაშე ხმა ჩამიწყდა და სუნთქვა შემეკრა.

სამაგიეროდ, მატერიალიზაციის ობიექტი სუნთქავდა და სავსებით ბუნებრივი კილოთი დამელაპარაკა:

— დამშვიდდი! — ჩაიქირქილა სიმონმა, — მოჩვენება არ გეგონო!

— ვხედავ! — ვთქვი მე.

და გავჩუმდი. ისიც გაჩუმდა. კაცი იფიქრებდა, რაც კი სათქმელი ჰქონდათ, ამ ორი ფრაზით თქვესო. მოჩვენება ნამდვილად არ გახლდათ. თუმცა არც მიფიქრია, ხომ არ მეჩვენება-მეთქი.

ამჯერად აშკარად მაგრძნობინეს, შენს ქერქში დაეტიეო. მას შემდეგ, რაც ამერიკიდან წამოვედი, რაღაც ბუნდოვანი შიში, გულჩვი-

ლობის პატარ-პატარა რეციდივები ხშირად მეორდებოდა, მკაფიო ხდებოდა დაბოლოს, ამ რეალურ, ფრიად საბიფათო მუქარად გამოისახა: ჩემი ძმის, სიმონის სახით. უფროსი ძმის მოულოდნელი გამოცხადება, მისი გულდაჯერება, უაზრო, ოდნავ ნირწამხდარი ღიმილი ცხადყოფდა, რომ იგი ნათესაურმა გრძნობამ არ ჩამოიყვანა აქ, არამედ სულ სხვა რამემ... ერთი სიტყვით, ყურში რაღაც მიწიოდა: „ფრთხილად!“

მივხვდი, შეხლა-შემოხლას ვერ ავცდებოდი, ფინდიხის სუნიც მეცა და ყურები ვცქვიტე. რა შორეული მომეჩვენა ამერიკაში გატარებული ორი წელი! ძმის ნაბვამ ცივი წყალი გადამასხა, ადრინდელი ჩემი ცხოვრება, რომლის ნაპირთან მისვლას ვერ ვბედავდი, ერთბაშად აღდგა ჩემში. ხიფათმა ახალგაზრდული სული შთამბერა, წარსულის ყოველი რგოლი გამიცოცხლა. ხელი ჩავქიდე იმ პატარა გოგოს, ერთ დროს რომ ვიყავი, იმ გოგონას, ბიძაშვილებისა და ძმების ბოროტ გამოხდომებს რომ არ ეპუებოდა, იმ ჯიუტ და ფიცხ გოგონას, ავი ძალა სწორედ ასეთ წუთებში, მხოლოდ ასეთ წუთებში რომ ამოძრავებდა.

უცნაურია, მაგრამ კიდეც გამეხარდა ძველებური იერი რომ დავიბრუნე. ამიერიდან შემეძლო მთელი ჩემი შესაძლებლობა გამომევლინა. ადვილად ვერ ჩამიგდებენ ხელში. სადავიდარაბოს არ გამოვულევ!

პირველმა ისევ მე ამოვიღე ხმა.

— საუზმეზე შევყოვნდი. განა უკვე შეეფდით ნავსადგურში?

— ჯერ არა. ლოცმანს ამოვყევი აქ.

— რა თავაზიანი ხარ!

ოდნავ თავდახრილი, ფართოდ გახელილი თვალებით შევყურებდი ძმას და ისეთი სახე მივიღე, სიმონს ირონიაც შეეძლო ამოეკითხა ზედ და კმაყოფილებაც. სიმონთან ჩემი დამოკიდებულების გამოსამჟღავნებლად კარგი გამოცდილება მქონდა. ყოველთვის არ იყო იგი ჩემი მტერი, მაგრამ არც მოკავშირედ გამომდგომია. მაშ, ეს ეგოისტი რატომღა ჩამოვიდა ჩემს დასახვედრად? თავის შეწუხება რომ არ უყვარდა და ტყუილუბრალოდ ნაბიჯსაც რომ არ გადადგამდა, ესეც კარგად ვიცოდი. სწორედ ამით განსხვავდებოდა ჩემი მეორე ძმისგან, ვალენტინისგან. მართალია, ისიც გულჩათხრობილია, ოღონდ უფრო რბილი ხასიათისაა, არც სიმონივით ჭკვიანია და წარმატების მიღწევის ნიჭიც ნაკლები აქვს. ბავშვობაში ვალენტინს „მარტივ პროცენტს“ ვეძახდი, ხოლო სიმონს — „რთულ პროცენტს“.

ჰო, მაინც რამ ჩამოიყვანა სიმონი ჰავრში, და თანაც გემზე რამ ამოიყვანა? სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც გამოამჟღავნებს თავს. სიმონი მეტისმეტად თავდაჯერებული კაცი გახლავთ და სწორედ ეს ღუპავს მუდამ.

ეტყობა, გადაწყვიტა მაშინვე აეხსნა ჩამოსვლის მიზეზი:

— წარმოიდგინე, საქმე ყამომიჩნდა ჰავრში, სწორედ ამ კვირაში... ჰო... საქმე ეხება უცხოური ვალუტის ოპერაციების ჩატარებას... ბანკის მოხელეს ვერ ანდეს და აი, მე...

„რა უგერგილოა! — გავივლე გულში, — მეტისმეტად დაწვრილებით ცნობებს მაწვდის! ტყუის!“

— რაკი სხდომის დანიშვნის დღე ჩემზე იყო დამოკიდებული, — დაუმატა მან, — განვებ დავნიშნე დღეისთვის. ვიფიქრე, მოდი, გემსაც დავხვდები ბარემ, მერე კი ერთად დავბრუნდებით-მეთქი პარიზში...

— მართლა? — ისე ვთქვი, ვითომ დავიჯერე.

ახლა უკვე ფრთხილად ვიყავი. სწორედ ჩემი ძმის თავაზიანობამ დამაძაბვინა ყურადღება. ამ თითქოსდა უბრალო ტყუილის მიღმა რაღაც სერიოზული ამბავი იმალებოდა. მუდამ მანცვიფრებდა სიმონის უჯუნური თვალთმაქცობა. რამდენჯერ დავფიქრებულვარ: ნუთუ ასეთი ჭკუის პატრონს მართლა ჰგონია, რომ ადვილად გააცურებს ყველას?! ან იქნებ რაღაც უაზრო სიტუტუცით მოსდის ეს? ასეა თუ ისე, მუდამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გეუბნებოდათ: „გინდ დაიჯერეთ, გინდა არა: ჩემთვის სულ ერთია! ოღონდ იმედი არ გქონდეთ, რომ თქვენი გულისთვის რაიმეს ვიღონებ!“

ამიტომაც არ შემშინებია, ჩემი სიფრთხილე არ შეამჩნიოს-მეთქი და ვუთხარი:

— შენ ისევ ისეთი ხარ! სულ არ შეცვლილხარ!

თავით ფეხებამდე შევათვალიერე: ძვირფასი ქსოვილის კოსტიუმი ეცვა, მაღალი იყო, ტანსრული (ოცდაათი წლის ასაკიდან დაეტყო ხისრულე), მაგრამ მაინც ლამაზი, სწორედ ისეთი, მდიდარი ოჯახის მამაკაცები რომ არიან აღბეჭდილნი 1914 წლის ომამდელ ფოტოსურათებზე. მართალია, მე წარმოდგენა არ ჰქონდა ამ პერიოდზე, ჩემზე უკეთ არც სიმონი იცნობდა იმ ხანას და მაინც იმდენად ძვირფასი იყო იგი მისთვის, ცდილობდა ის დრო თავის პიროვნებაში გაეგრძელებინა. ასეთი მიდრეკილება იმ ხალხისთვის შემიმჩნევია, წარსულ წლებს რომ მიტირიან. ბევრ ჩემს ნათესავშიც აღმოვაჩინე ეს თვისება. ზო-

გი მათგანი ფალიერის[1] პრეზიდენტობის თუ გრევის[2] ეპოქის ცოცხალ ნიმუშს მოგაგონებდათ. საკვირველი ის იყო, სიმონს რომ ეტყობოდა ეს მიდრეკილება, — სხვა საუკუნეში დაბადებულ სიმონს! ეს ან რაღაც შინაგანი მიდრეკილებით აიხსნებოდა, ან სულაც რაღაც კონსერვატორული კანონების მოთხოვნილებით. ერთი სიტყვით, სიმონი დაფინჯებულ, დრომოჭმულ ტიპს ანსაბიერებდა. ფრაკში იყო გამოწყობილი თუ საბანაო ტრუსი ეცვა. თავისი აღნაგობით, მიმოხვრითა და ულვაშებით არტური[3] ან წმ. სიპრიენი[4] მოგაგონდებოდათ.

— შენ კი ოდნავ შეცვლილხარ. რაც მთავარია, უკეთ გამოიყურები. აკი გინდოდა გახდომა! — მითხრა მან, — დარწმუნებული ვარ, წინაში მაგრად დაიკლებდი!

— სულაც არა. ეს კია. სისტემატურად ვვარჯიშობდი, კუნთები გავიმავრე და ფორმაში ვახლავარ. გახდომით სულ არ გავმხდარვარ.

თავი ველარ შევიკავე და დავძინე:

— საერთოდ, ამერიკაში ჯანსაღი ცხოვრებაა!

სიმონმა არ მოისურვა ამ თემაზე საუბარი და მკითხა:

— არ მაკოცებ?

შევხედე და კინაღამ გადავიხარხარე: გულკეთილი ღიმილი მოჰფენოდა სახეზე და მკლავები გაეშალა. არა, ჭეშმარიტად დიდებული მსახიობია! ლოყა მივუშვირე. მკლავები დონდლოდ მომხვია მხრებზე და ლოყაზე ულვაშების ოდნავი შეხებაც ვიგრძენი. ეს სახელდახელო სინაზე, ეს ცივი, უაზრო ამბორი... ვიცანი... ბუსარდელური ალერსი იყო...

— დედა და მამა ხომ კარგად არიან? — ვკითხე ბოლოს, — ვალენტინი როგორაა? შენი ცოლი რას შვრება? დიდედა?

არავისზე არაფერი უცნობებია დაწვრილებით... არც თავის ცოლის ჯანმრთელობაზე უთქვამს რაიმე. ამერიკაში მომწერეს, ფეხმძიმედაო. ისიც ვიცოდი, დიდი ხანია ელოდნენ მის მომშობიარებას. მაგრამ სიმონი ცოლზე კი არა, ბავშვზე, უფრო სწორად, ვაჟიშვილის დაბადებასთან დაკავშირებულ ვეგმებზე მოჰყვა მსჯელობას. ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და... უკვე რამდენი თვეა ეს იმედი იშვიათ სასიცოცხლო აქტივობას მოწმობდა და უმოკლეს ხანში ალბათ სასურველ მას-

---

[1] ფალიერი, არმან — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 1906-1913 წლებში რესპუბლიკის პრეზიდენტი.

[2] გრევი, ჟიულ — 1879-1887 წლებში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

[3] არტური — გალელთა ქვეყნის ლეგენდარული მეფე.

[4] წმ. სიპრიენი — კართაგენის ეპისკოპოსი.

შტაბებსაც მიაღწევდა. მართალია, ბავშვი ჯერ მხოლოდ დედის მუცელში იყო, მაგრამ იგი კანონიერ მემკვიდრეს ანსახიერებდა უკვე და მის არსებობასთან შედარებით დედის სიცოცხლე მეორეხარისხოვან ამბად მიაჩნდათ.

სიმონის ამკვარ გრძნობებს მისივე ცხოვრების ისტორია ამართლებდა. პირველ ცოლად მას ჰყავდა ძალიან მდიდარი მოსამართლის ქალიშვილი. მისგან ორი შვილი ჰყავდა, მესამემ ქალი იმსხვერპლა. ჩემს ძმას ისე უყვარდა თავისი ნაშიერები, ცოლის სიკვდილი ადვილად მოინელა. ნამდვილი უბედურება სამი დღის შემდეგ, ანდერძის გამოქვეყნებისას დაატყდა თავს. განსვენებულს ხიფრთხილე გამოეჩინა და მთელი ქონება არასრულწლოვანი შვილებისათვის დაეტოვებინა. ეს საქციელი ჩვენმა ოჯახმა ვერასგზით ვერ აპატია მიცვალებულს.

ჩემი ძმა დიდხანს ფიქრობდა, მერე მთელი ყურადღება გარდაცვლილი ცოლის უმცროს დაზე გადაიტანა. გოგონა ჯერ მოზარდი, უფრო ზუსტად, სულ ბავშვი იყო. ასე ადრე გათხოვებას არ აპირებდა, მით უმეტეს, სიმონზე, თავის სიძეზე და, რაც მთავარია, მისი აზრით ასეთ ხანდაზმულ კაცზე. და აი მაშინ, ჩვენი მშობლები გამოჩნდნენ სცენაზე, მათ მამიდა ემა და ძია თეოდორიც ამოუდგნენ მხარში თავიანთი მჭევრმეტყველებით. ხოლო დიდედა — თავისი ავტორიტეტული დუმილით. თვითონ სიმონი შორიდან უთვალთვალებდა.

მოსამართლემ და მისმა მეუღლემ ადვილად დათმეს პოზიციები. ამ ოჯახშიც, ისევე, როგორც ჩვენთან, ფული იმისთვის კი არ უყვარდათ, რომ ფულით შეიძლება რაღაც მოიპოვო, ან, მით უმეტეს, ფული — ფულად, არამედ ამ ფულის დამახასიათებელი თვისება, თანხის გაზრდის უნარი ხიბლავდათ. ამ ოჯახშიც პირველი მცნება ეს იყო: რაც შეიძლება ნაკლებად დაექუცმაცებინათ ქონება, დაეგროვებინათ იგი ერთსა და იმავე პირის ხელში, ერთი სიტყვით, ოჯახის გარეთ არაფერი გაეტანათ. დედაჩემიც მხოლოდ ამ მიზნით გაჰყოლია ცოლად მამაჩემს, თავის ბიძაშვილს, რომელიც სულ არ უყვარდა.

მაგრამ ეს საბაბი საკმარისი არ იქნებოდა ჯერ კიდევ პატარა ქალისთვის. ამიტომაც მის მგრძნობიარე სიმებს შეეხნენ, ელაპარაკებოდნენ უდედოდ დარჩენილ სამ ბავშვზე. მთელ ამ შეთქმულებას ძაძებში ჩაცმული ქვრივი კულისებიდან ხელმძღვანელობდა.

როგორც იქნა, სიმონი დაქორწინდა თავის პატარა ცოლისდაზე. ჯვარი სენტ-ონორე დ'ეილაუს ეკლესიაში დაიწერეს. საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ორივე ოჯახის წარმომადგენლები

საეკლესიო სალაროსთან ჩამწკრივდნენ მილოცვების მისაღებად. შევამჩნიე, დედაჩემმა და სიმონმა როგორ გადახედეს ერთმანეთს. ეს მზერა ჯერაც არ დამვიწყებია: მეშვიდე ცაზე იყვნენ; ორი ძლიერი, თუმცა გარეგნულად გულგრილი მოკავშირის ვამოხიდვაში ერთსულოვნება უფრო ვამოსჩვიოდა, ვიდრე სიხარული. დედა ისევე კმაყოფილი იყო თავისი ვაჟიშვილით, როგორც ვაჟი — თავისი დედით. სტუმრები ულოცავდნენ. იასამნისფერი კაბა სულ არ უხდებოდა დედაჩემის სახის ფერს, სამაგიეროდ, იგი ღიმილით ასხივოსნებდა მთელ ეკლესიას. ჩამოართმევდა თუ არა ხელს სტუმარს, მაშინვე ახალდაქორწინებული ქვრივის, ჭეშმარიტად მისი შვილის — სიმონისაკენ მიბრუნდებოდა. მომეჩვენა, სტუმრებს მილოცვებს, მათ გაცვეთილ ფრაზებს ორაზროვანი მნიშვნელობა ეძლეოდა. დიახ, ნამდვილად მისალოცი ამბავი მოხდა: დანაკარგი შეივსო. ფული ხელახლა ჩაიგდეს ხელში. ამჯერად სრული რევანში აიღეს. რამდენადაც ვიცი, მწარე გამოცდილებამ სიმონი უფრო წინდახედული გახადა და მეორე საქორწინო ხელშეკრულებით მან გაცილებით მეტი სარგებელი მიიღო.

და აი, ახლა ჩვენი სანაშენო ცხენი მაკედ გახლდათ. მშობიაროობის ვადის დადგომას მშვიდად ელოდებოდნენ. განსვენებული საბოლოოდ მიივიწყეს, მალე მისი ხსენებაც არ იქნებოდა. თუმცა არა: თხუთმეტი წლის შემდეგ გაახსენდებოდათ, როცა მისი სრულწლოვანი შვილები დედის მემკვიდრეობას მიიღებდნენ. მის არსებობაშიც ჭბოლოდ მაშინ დარწმუნდებიან; მემკვიდრეობა ხელშესახებ, რეალურ სახეს მისცემდა ბურუსით მოცულ ამ აჩრდილს, ანდერძი დააბრუნებდა მას იმ სამი ახალგაზრდის ცხოვრებაში, რომლებიც თანხის დათვლისას მაინც მოიგონებდნენ დედას. ხშირად მიფიქრია, სიმონის პირველი ცოლი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩვენ აუცილებლად დავმეგობრდებოდით-მეთქი. ასე მარტოსულად არ ვიგრძნობდი თავს. თუმცა მას ჩემს ნათესაობასთან უფრო მეტი მსგავსება ჰქონდა, ვიდრე ჩემთან და დროთა განმავლობაში, ალბათ მათ უფრო დაუახლოვდებოდა, მაგრამ მაინც... მისი შემცვლელი პირველივე დღიდან ავითვალწუნე, ვერც ვალენტინის მეუღლეს შევეწყვე, ასე რომ, ყველაზე საყვარელ რძლად მაინც ჩანსვენებულს ვთვლიდი.

ადვილად დამიჯერებთ, ჰავრში ჩამოსვლასთან დაკავშირებული ღელვარება, გემზე ყოფნისას რომ დამეუფლა, ერთბაშად დააცხრო ჩემი ძმის გამოჩენამ. მარტო რომ ვყოფილიყავი, გავიქცეოდი, იქაურობას დავათვალიერებდი, ყურს მივუგდებდი ყველაფერს, უამრავ

ჯაზეთს ვიყიდდი, ნავსადგურის ბარში შევიდოდი, საფრანგეთის მიწაზე რაიმე ნამდვილ ფრანგულ სასმელს, ერთ ფინჯან ყავას ან ალუბლის ნაყენს შევუკვეთდი. ამის ნაცვლად, ახლა ვიდექი და ჩემს ძმას ფხიზელ ვუკვირდებოდი, როგორც საკუთარ თავს.

ტრანსატლანტიკის სპეციალური მატარებლები მიწისქვეშა სადგურიდან გადიოდნენ; იქიდან ყურისწამღები სიმღერები მოისმოდა. მაგნატოფონი ღრიალებდა. მონმარტრის ლირიკულ მელოდიებს 1914 წლის ომისდროინდელი მოტივები ენაცვლებოდა. ეტყობა, ეს კაკოფონია იმისთვის იყო გამიზნული, რომ ამერიკელი მგზავრები Gay Paris — სთვის მოემზადებინათ. სამაგიეროდ, იელი ჩემში სულ სხვა ემოციებს იწვევდა: იმედის გაცრუებას მიძლიერებდა და მეტისმეტად რეალურ სამყაროში შევყავდი. ესკალატორთან მისული, წამით მიწისქვეშა მაღაროს ზღურბლთან შევჩერდი, ვყოყმანობდი, ჯერ კიდევ ანკარიშს ვუწევდი ჩემს სულიერ მდგომარეობას, თუმცა არავითარი ილუზიები აღარ შემრჩა. გვერდით ძმა მედგა, რომელსაც ჩემი ქურქი და ნესესერის ყუთი ეჭირა. სიმონმა იფიქრა, ესკალატორით ჩასვლა ეშინიოდა და ხელი მომკიდა. განზე გავდექი.

— შენ რა, — ვუთხარი ირონიულად, — ხელის წაშველება ხომ არ გჭირდება?

ნაბიჯი გადავდგი, ესკალატორს მივენდე და ქვევით დავეშვი. სიმღერები: „აფრინდი, ზევით აფრინდი!“ და „ტიპპერერი“ აკომპანემენტად მომდევდა.

მატარებლის შემადგენლობის წინ დავსეირნობდით. სიმონმა მაცნობა, მატარებლები ძალზე გადატვირთულია და ერთად რომ გვემგზავრა, ბოლო მატარებელზე ორი ბილეთი ავიღეო. მაშასადამე, ჩემი ბილეთი უნდა ჩამებარებინა. ამ ფორმალობის შესრულებამ ერთხელ კიდევ მომაგონა, რამდენად უცნაური იყო ჩემი ძმის აქ ჩამოსვლა. როდის შევძლებდი ამ გამოცანის ამოხსნას?

— ბოლო მატარებელი მხოლოდ ნახევარი საათის დაგვიანებით ჩაგვიყვანს. ესაა და ეს! — თქვა სიმონმა.

— ესაა და ეს! — გავიმეორე მე, — ორი წლით დავაყოვნებ თუ ორი წლითა და ნახევარი საათით — რა მნიშვნელობა აქვს?! ოღონდ, იცნობ, შენ დაგვერიკა და ჩვენები გაგვეფრთხილებინა? ტყუილუბრალოდ ჰთელი ნახევარი საათით რატომ უნდა ვალოდინოთ დედ-მამა? ან წინა ორი მატარებლის მგზავრებში რატომ უნდა დაგვიწყონ ძებნა?!

---

[1] მსიარელი პარიზი (დამახინჯებული ფრანგული).

— კი მაგრამ, აგნეს... — წამოიწყო სიმონმა.

და აღარ დაამთავრა. შევჩერდით. ერთმანეთს შევხედეთ. სიმონს გაოცებისაგან პირი დაეღო, დაბნეულობისგან თვალები დაეჭყიტა და გაოგნებული იდგა. მეც გაოგნებული ვიყავი. ახლა არც ის თამაშობდა კოსეტიას, არც მე. ჩემი გაოცება მაშინვე შეცვალა მოუთმენლობამ და ჩემდა უნებურად გამოიწვევი კილოთი ვკითხე:

— რაშია საქმე? რას ნიშნავს ეს შენი: „კი მაგრამ, აგნეს..?"

— ნუთუ გგონია, — კბილებში გამოსცრა მან, — რომ ჩვენები სადგურზე დახვედრას აპირებენ?

ბნა ჩამიწყდა. სიმონმა ჩემი დუმილით ისარგებლა და ისეთი სახე მიიღო, იტყოდით, გასაქცევ გზას ეძებსო. მერე თავი მოიკატუნა, ვითომ ჩემს მხარეს იპერდა. ეტყობა, ჩემთვის ჯერ კიდევ უცხობ გეგმებს ასეთი პოზიცია უფრო მიესადაგებოდა. ამ ორიოდე ფრაზის წამოსროლით მაგრძნობინა, ჩვენი ოჯახის საქციელს, ცოტა არ იყოს, ვკიცხავო.

— განა არ იცნობ მათ? ხომ იცი, როგორებიც არიან?!

ეს მესამე პირის ნაცვალსახელი ისე აგდებულად და გაურკვევლად წარმოთქვა, ვერ მიხვდებოდით, ვისი მისამართით ამბობდა, საწყალიეროდ მისი ჩანაფიქრი უკეთ გამოიკვეთა. მე მაინც ვდუმდი. სიმონმა წამოწყებული თამაში განაგრძო და დასძინა:

— ნუთუ გეგონა, კისერზე ჩამოგეკიდებოდნენ?

— ეჰა, ასეა საქმე?!.. — წავილაპარაკე ჩუმად, — გასაგებია... ბაკუის სწავლებას მიპირებენ!

— დალაბვროს ღმერთმა! გაიხსენე, როგორ იყო საქმე!

დარწმუნებული ვიყავი, პირადად მას ყველაფერი კარგად ახსოვდა... ასე რომ, საცაა ყველაფერს მოვისმენ.

— აბა, დაფიქრდი... არდადეგებზე სან-ფრანცისკოში მიდიხარ ორი თვით ვიღაც ნაცნობის ოჯახში. ორი თვის შემდეგ კი ატყობინებ, ბერკლის უნივერსიტეტში მსმენელად ჩავეწერეო. ერთი წლის მერე ისევ გაგრძელე სწავლა. რჩევა არავის ჰკითხე. მართალია, შემოგედავენ. მაგრამ მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად, იცოდნენ, შენგან ყველაფერს უნდა მოელოდნენ...

მრავლობითი რიცხვის მესამე პირი ახლა უკვე ზოგად სახელად იქცა.

— ან იქნებ იმიტომ, რომ უკვე სრულწლოვანი ვიყავი... — ხაზი გავუსვი ჩემს სიტყვებს.

— ჰო, სწორედ ასე იფიქრეს.

მივხვდი, მთელი ულტიმატუმი მომიმზადეს, თუმცა წინასწარ იცოდნენ, ვერც ამით მომთოკავდნენ.

— თანაც, — დაუმატა სიმონმა, — გაურკვეველი რჩებოდა ბევრი რამ. ზოგჯერ თვეები ისე გადიოდა, ერთ წერილს არ მოიწერდი.

— აკი თვითონვე შეწყვიტეთ წერა!

— აბა, მათ ადგილას შენი თავი წარმოიდგინე... რა მდგომარეობაში იყვნენ?!

— ოჰო, თავმოყვარეობა ალაპარაკდა?!

— არავითარ შემთხვევაში, ჩემო კარგო! — გამოცოცხლდა სიმონი, — ამის საბუთი ისაა, რომ მართალია, წერილებზე პასუხს არ გწერდნენ, სამაგიეროდ ფულის გადმოგზავნა არ შეუწყვეტიათ. ასე რომ, არაფერი დაუკლიათ შენთვის.

— კი მაგრამ...

— რა თქმა უნდა, ფულის მოთხოვნის უფლება გქონდა... — წამით ენა დაება სიმონს, — შენ ხომ საკუთარი ქონება გაქვს! მაგრამ ერთი რამ უდავოა: შენს ქონებას გროში არ დაჰკლებია. უნდა მოგახსენო, შენი შემოსავალი სარგებლითაა დაბანდებული... დიახ, წარმოუდგენელი მოთმინება გამოამჟღავნეს... მაშინაც კი, როცა ძალიან შეწუხებულნი იყვნენ...

— კარგი, გეყოფა, სიმონ! — ხმას ავუმაღლე, — ვერასოდეს დავიჯერებ, თითქოს დედას აღელვებდეს, რას ვაკეთებ ან რას ვფიქრობ ან თუნდაც მამას. თუ გნებავს, ათას მაგალითს ჩამოგითვლი — ძველსა და ახალს, არ გამიჭირდება, მაგრამ რა საკადრისია?! და რაც მთავარია, ამაო იქნება!

— ნუ ცხარობ!

თქვა მან და გაჩუმდა. ალბათ ეშინოდა, რაკი მიზანში მოვარტყი, ამ თემაზე ლაპარაკისას არ წაებორძიკა.

მშვენივრად იცოდა, შემეძლო თუნდაც ორაზროვნად გამეხსენებინა მისთვის, თუ ვინ მავიწროვებდა ნათესავების გულში. მიუხედავად ამისა, ახალს არაფერს ვეტყოდი. ჩემი არ იყოს, მასაც კარგად მოეხსენებოდა, რანი იყვნენ სინამდვილეში ჩვენი მშობლები. მამა ისეთი უნიათო იყო, პირადი საქმეების გარდა არაფერი ახსოვდა. ყველაფერში ცოლს ემორჩილებოდა და თავს უფლებას არ აძლევდა, ცოლისგან განსხვავებულად ეფიქრა ან განსხვავებულად ჰყვარებოდა შვილები. რაც შეეხება დედას, თავისი ორი ვაჟიშვილის გარდა ალბათ უყვარდა. სიყვარულში ხელმოცარულმა, ბოლოს და ბოლოს, ვაჟიშვილებისადმი სიყვარულით დაითრგუნა ყოველგვარი სურვილი,

მაგრამ განა თვით სიმონმა განზრახ არ შეუწყო ხელი, რომ ამ ქალის სიყვარული მაბინჯ გრძნობამდე დასულიყო?!

ამ დედის მთელი ბუნება მოჩვენებით სიდინჯესა და ფარულ ხრიკებში გამოიხატებოდა; ბოლოს და ბოლოს, იგი საკუთარი თავის მსხვერპლი გახდა... ჩემი არ იყოს, იქნებ სიმონმაც იგრძნო მისი სხვა, უფრო საშიში ზრახვები, რისი წყალობითაც დედაჩემის გულგრილობა ჩემ მიმართ უკვე მტრობაში, სიძულვილში გადაიზარდა?!

რა თქმა უნდა, არა. გადაკვრითაც რომ მეხსენებინა ეს თემა, სულ ერთია. შედეგი არ მოჰყვებოდა, ხოლო ძმას თავისი ამოცანის შესრულებას გაუძნელებდა.

— ეს მხოლოდ მინდა აგიხსნა, აგნეს, ჩვენები რატომ არ მოვლენ სადგურში შენს დასახვედრად,—მშვიდად განაგრძო სიმონმა,— და ... ეს საღამოა გამართულ მცირე წვეულებაზე შენს ადგილს ისე დაიკერ სუფრასთან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ოღონდ, სადგურში ნამდვილად არავინ მოვა.

მართალი გითხრათ, ეს „მცირე წვეულება" გადავიწყებული მქონდა. ამ ყოველკვირეულ ტრადიციას ზოგი წუწუნით ხვდებოდა, ზოგი დასცინოდა, მაგრამ წვეულებას გაცდენით არავინ გააცდენდა. შურით, უნღობლობით, მაბეზღარობით დაკავშირებულ თხუთმეტ თუ თვრამეტ ადამიანს ერთმანეთთან ახლოებდა ამაყი შეგრძნება იმისა, რომ ბუსარდელები არიან! პირადად მე, ამ თავყრილობას გაცილებით მერჩივნა ის უწყინარი „დიდი წვეულება", წელიწადში მხოლოდ ექვსჯერ რომ იმართებოდა. მახსოვს, ერთხელ სამ ოთახში მოუხდათ სუფრის გაშლა: სასადილო ოთახში — ხანდაზმულებისათვის. დიდ სასტუმრო ოთახში — ახალგაზრდებისათვის, ხოლო შუშაბანდში — პატარებისათვის, სულ ორმოცმა კაცმა მოიყარა თავი.

ასე და ამგვარად, სწორედ დროზე ჩამოვსულვარ: „მცირე წვეულებაზე" მოვხვდები! ჰოდა, სწორედ იქ მიპირებენ „ჭკუის სწავლებას"! ვინ იცის, რამდენჯერ გამოუყენებიათ ჩემ მიმართ ეს უაზრო საშუალება, ბავშვობაშიც და ყმაწვილქალობაშიც. სხვათა შორის, ამას არც ერთხელ არ მოჰყოლია წარმატება. გულწრფელად ნათქვამი ოთხოდე გონივრული სიტყვით გაცილებით ადვილად შეეძლოთ ჩემი დამორჩილება, მაგრამ ამ სიტყვების წარმოსათქმელად საჭირო ყოფილიყო გულითადი უბრალოება, ბუნებრიობა, ხოლო დედაჩემს, მამიდას და დიდედას, თეატრალური გულზვიადობით შეპყრობილ ამ სამეულს, მოჩვენებითი გულწრფელობის გამომეღავნების უნარიც კი ან გააჩნდა.

მე და სიმონმა ხელახლა გავისეირნეთ მატარებლის გასწვრივ. ჩოჩონებებმა რაღაც ბავშვური გრძნობები ამიშალა და მეც გამუდმებით კომეორებდი გულში: „ჭკუა უნდა ჰასწავლონ!“

ეს სამი სიტყვა წინდაწინ მაგრძნობინებდა, რაც მელოდა, თვალწინ მიშლიდა სურათების მთელ იმ გალერეას, რამაც ჩემი ბავშვობის წლები დაამძიმა. ზემოდან გაცემული ბრძანებით, „მცირე წვეულებაზე“ აკრძალული ჰქონდათ ჩემთან გამოლაპარაკება. მომაგონდა საუზმობა „საბავშვო დილას“, მოგვიანებით — მეჯლისები, სადაც მე არ მიწვევდნენ; მომაგონდა ძმების ღაცინვა, ბიძაშვილების ჩურჩული, მამიდების ამაყი, აბრეზილი, გაყინული გამომეტყველება, მშობლებისა და წინაპრის ბრაზიანი სახეები. ამ სამმა სიტყვამ გამახსენა ჩემი პირველული ბუტიაობა, საპოწარკვეთილი სიჯიუტე, ნაღვლიანი, მაგრამ მაინც ნეტარი განცდები, ჩემი მარტოობა ოქროთი, ხალიჩებით, დოვლათით სავსე, თუმცა ჩემთვის უმეგობრო, უდაბნოდ ქცეულ ამ მშობლიურ სახლში. რადგან: იმ დღეებში მსახურებსაც ეკრძალებოდათ ჩემთან ურთიერთობა, ხოლო ჰურჭლის მრეცხავს ნაბრძანები ჰქონდა, სარდაფში ჩაეკეტა კნუტები, მათთან თამაშით რომ არ მეპოვა შვება. „ჭკუა უნდა მასწავლონ! ვფიქრობდი გამწარებით, — კი მაგრამ, მე ხომ ოცდაოთხი წლისა ვარ და შინ ვბრუნდები!“ სიმონი გვერდით მომყვებოდა, თვალს არ მაშორებდა; როგორც კი ეს შევამჩნიე, მოგონებებს თავი მივანებე და ვუთხარი:

— იმედია, შენ მაინც არ დამიწყებ ჭკუის სწავლებას! თუმცა რაკი ჩემს დასახვედრად ჩამოხვედი...

— ოო, მე... კარგად იცი, რა ფართო თვალთახედვის კაციცა ვარ! ალარ შევეკამათე. მაინც ისეთი სახე მიიღო, თითქოს შევდავებოდი. ეტყობა, ეს ხელს აძლევდა. წარბები აზიდა და იმ ალალი კაცივით შემომხედა, ორპირობას რომ ვერ დასწამებ.

— ასე არაა? ვანა ოდესმე მითქვამს შენთვის, ზედმეტ თავისუფლებას გაძლევენ-მეთქი? იყავ სამართლიანი! განა ოდესმე რჩევა მიჩიცია ჩვენებისათვის, სადავეები მოუჭირეთ-მეთქი?!

მართლაც ასე იყო. არც ისეთი ბრიყვი გახლდათ. შეცდომა არასოლეს მოსვლია, მტრად არ გავუხდივარ. რაც მართალია, მართალია — ყველაზე უდისციპლინო მე ვიყავი ოჯახში. ოღონდ ყველაზე გაბედულიც და ყველაზე ნებისყოფიანიც. ეს მან კარგად იცოდა. ამკარა მტრული განწყობილება ორივეს გვავნებდა, სამაგიეროდ, უტყვი, თანაც ფრთხილი ნეიტრალიტეტი მეც და სიმონსაც საშუალებას გვაძლევდა საუკეთესო შედეგებისათვის მიგვეღწია.

— კეთილი და პატიოსანი! — ისე ვთქვი, თითქოს აზრები შევაჯამე, — თუ მიგიხვდი, გამოდის, შენ მე გამიგე, სიმონ!?

რაკი ჯერჯერობით ვერ გამოამეღავნა თავი, შეეცადე ბოლო მომეღო ამ თამაშისთვის.

— რა თქმა უნდა, — მომიგო მან, — ამას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გიცხადებ. გარკვეულ მომენტამდე კარგად მესმოდა შენი!

— გესმოდა... მაინც რა გესმოდა, სიმონ?

მეგონა ლაპარაკობდა, მაგრამ არ ლაბნეულა. ერთი ამოსუნთქვით ისე მომაბეზარა ალთქველი, თითქოს დიდი ხანია მზად ჰქონდა ეს პასუხი:

— ვიცოდი, რომ უცხო ქვეყნის ნახვა გსურდა. ვიცოდი, რომ შეერთებული შტატები მოგეწონა და ამიტომაც დარჩი იქ ამდენ ხანს. ისიც ვიცი, რომ თანამედროვე ქალიშვილი ხარ და ცათამბჯენების ქვეყანა, ენერგიული საქმიანობა, struggle for life[1] მოგეწონა...

— უცნაური წარმოდგენა გქონია ამერიკაზე!

ყურს არ მიგდებდა და განაგრძობდა:

— ...მოგწონდა თავშეუკავებელი გართობა, ავტომანქანებით სწრაფნობა, წამიერი სიყვარული...

წარმოსახვების მართლაც რომ ამოუწურავი მარაგი ჰქონდა.

— ...დაუფიქრებელი ქორწინება!

გაჩუმდა. ხელი ვტაცე, ძალით შევაჩერე და ვაიძულე, სახეში შეეხედა ჩემთვის. პირველმა ვაგონებამ ერთბაშად გამიარა, ძლივს ეიკავებდი თავს. რომ არ გალამეხარნარა.

— ნუთუ? — ვთქვი მე, — აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე!

— რა საქმე?

ფიამეტი კაცის როლსაც დიდებულად ასრულებდა. ბაკვები მოეკუმე. ნესტოები დამებერა. სადგურის ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, სახეში მივაშტერდი და შევეცადე, ჯერჯერობით არ გამცინებოდა. გამოვიტყდებით, იმ წუთას გული სიხარულით მქონდა სავსე. ამას ნამდვილად არ მოველოდი. დიდებულია! აი, თურმე რა აწვალებდა, რა აშინებდა ჩვენს ოჯახს! ისე აშინებდა, რომ სპეციალური წარმოდგენელიც კი შეარჩიეს და მას სათანადო მისიაც დააკისრეს — გეშის ჩამოსვლისთანავე გამოერკვია, რა მდგომარეობაში ებრუნდებოდათ უძღები ქალიშვილი!

ეგონათ, გავთხოვდი! წარმომიდგენია, ამ ორი წლის მანძილზე რა საუბრებიც ექნებოდათ ოჯახში, რა მოსაზრებებს წამოაყენებდნენ

[1] ბრძოლა არსებობისთვის (ინგლ.)

ასეთი ხანგრძლივი მოკზაურობის გამო, და, რა თქმა უნდა, ერთადერთ სწორ ვოსაზრებას ვერ გაითვალისწინებდნენ: მე თავისუფლება მიყვარდა! წარმოვიდგინე, დედა ან, უკეთ, მამიდა ემა როგორ დაარტყამდა ხელს მაგიდას და წამოიყვირებდა: „მაშინ რას იზამთ, იქ თუ გათხოვდა!?“ დამაწრეთაგან აუცილებლად დაალმატებდა ვინმე, შეერთებულ შტატებში ქორწინება ადვილი საქმეა, იქ ისე თხოვდებიან, მშობლებს არც ეკითხებიანო. წარმოვიდგინე, რა ხშირად იმსჯელებდნენ ერთ საკითხზეც: self made man[1] სიძის სახით როგორ შეიძენდნენ ამერიკელ ებრაელს ან, სულაც, კოვბოის, ერთი სიტყვით, ისეთ კაცს, ბუსარდელების ფულებში ხელის ფათურს რომ გაბედავდა; წარმოვიდგინე უამრავი პრობლემა, საყვედური, შიში, გაანჩხლება, ღუმილი და მისთანანი, რაც ჩემი დაქორწინების საფრთხემ წარმოშვა! წარმოვიდგინე ეს ყველაფერი და არ დაგიმალავთ, რაღაც ბოროტმა სიხარულმა გაარღვია ყოველგვარი საზღვარი, სიცილი წამსკდა და ველარც ვაჩერდი.

ჩემს ძმას სახეზე ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო. ესეც მისი ტაქტიკა ვახლდათ. ოღონდაც მეტი ცნობა დასტყუოს მოსაუბრეს და მზადაა, მის თვალში ბრიყვიც კი გამოჩნდეს.

— ისეთი რა სისულელე დამცდა? — მკითხა ბოლოს.

სიცილი სახეზე შემეყინა. სასაცილოდ აღარ მეჩვენებოდა ეს ამბავი. მის მეორე მხარესაც ვხედავდი.

— გაჩუმდი! — ყრუდ ჩავილაპარაკე, — გაჩუმდი! ეს უკვე უსინდისობაა!

— კი მაგრამ, ხომ უნდა აღიარო...

— ვიცი, — შევაწყვეტინე სიტყვა, — ყველაფერი ნათელია. თუკი ქალიშვილმა ორი წელი დაჰყო ამერიკაში, მისგანაც იმასვე უნდა მოელოდე, რასაც ამერიკელი ქალიშვილისგან... შენ, რა თქმა უნდა, იტყვი, რომ ჩემმა საქციელმა, დუმილმა, დაგვიანებამ, წამოსვლისთვის დათქმული დროის რამდენჯერმე გადავადებამ ათასნაირი ვარაუდი გაუღვიძა ჩვენებს...

— ფაქტი ისაა, რომ ზოგი რამ, რაც შენს წერილებში სტრიქონსა და სტრიქონს შორის ამოიკითხებოდა... შენში მომხდარ... ერთგვარ ცვლილებაზე მიგვანიშნებდა...

მისი მოსმენა აღარ შემეძლო.

---

[1] კაცი, თავის წარმატებებს მხოლოდ თავისთავს რომ უმადლის; აქ: თავკერძა (ინგლ.)

— მაცალე ლაპარაკი, სიმონ! სასაყვედურო თვითონა მაქვს... თუკი საერთოდ დავაპირებდი საყვედურის თქმას, აუცილებლად გისაყვედურებდით, რომ, ამდენ ვარაუდს შორის რაღა მაინცადამაინც ამ ვარაუდზე შეაჩერეთ ყურადღება? იმაზე ერთხელაც არ გიფიქრიათ, იქნებ ავად არის, იქნებ დაიჭრა, იქნებ კატასტროფაში მოჰყვა და გაუნძრეველად წევს ან სულაც, იქნებ, ბედნიერია?. როგორ გეკადრებოდათ! განა ეს მიზეზები, მით უმეტეს, უკანასკნელი, ისევე ნათლად არ აგიხსნიდათ, რატომ არ მინდოდა ამერიკიდან წამოსვლა, როგორც ეს ჩემმა თავშეკავებულმა წერილებმა აგიხსნათ თურმე? განა ეს არ იქნებოდა რაღაც ცვლილება ჩემს ცხოვრებაში?.. ვერაფერი შორსმჭვრეტელი ბრძანებულხართ! თქვენ მხოლოდ ერთადერთი ჰიპოთეზა დაუშვით: ქორწინება! რადგან, თქვენი აზრით, ჩემი ცხოვრება უშუალოდ თქვენ გეხებოდათ, ზიანს მოგიტანდათ! ოო, რაოდენ ბუსარდელურია ყოველივე ეს.

სიმონს ჯერჯერობით არ ეტყობოდა გაღიზიანება და ისე მკითხა, თითქოს უდავო რაზეს ირკვეოდა:

— მაშასადამე, შენც გავითვალისწინებია, რომ ამ შეკითხვას დავისვამდით, არა?

— წარმოიდგინე, არა! სწორედ ეს არ გამითვალისწინებია. ეტყობა, ჯერ კიდევ არ გიცნობთ კარგად. გემზე რომ დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რომ არც ჩემს სიყვარულს ჩამოუყვანიხარ აქ, არც უცხოური ვალუტის საქმეს...

ხმა ამიკანკალდა. სამართლიანმა, სავსებით სამართლიანმა სიბრაზემ ამიტანა.

— მაკრამ იმას ვერ წარმოიდგენდი, ჩემს ღვიძლ ძმას ჩემი საშოქალაქო მდგომარეობის სიწმინდისა და... — ფეხები გაანჩხლებით დავაბაკუნე, — ...და ჩემი საცვლების შემოწმებას თუ დაავალებდნენ!

— ერთი სიტყვით, ისეთი ბოროტმოქმედება დაგწამეს, რაც არ ჩაგიდენია, არა? — ნირშეუცვლელად ცანაგრძო სიმონმა. მას არც ჩემი გაანჩხლება აღელვებდა, არც ჩემი სასოწარკვეთილება, არც ჩემი შეურცხყოფილი კდემამოსილება. უნდოდა ყველაფერი გაეგო, მორჩა და გათავდა!

— გაჩუმდი! მეტს აღარაფერს გეტყვი! — დავუყვირე.

ცდუნება მართლაც დიდი იყო. რაკი ასეა, ვერაფერსაც ვერ გაიგებენ! მით უარესი მათთვის, რაკი თვითონვე მომცეს ხელში იარაღი, კიდეც ვისარგებლებ ამით, მათივე იარაღით შეეუბრუნებ ხელს!..

თუმცა არა, საკუთარ თავს ცილსა ვწამებ. მე თვითონ არ მინდოდა შევხებოდი ამ საკითხს და ამიტომაც ავყევი ჩემს ქალურ ინსტინქტს: ნორმანზე ვფიქრობდი.

ბრალი ჩემს ბრიყვ ძმას მიუძღვის: ნორმანის სახე, მასთან სიახლოვე, მისეული სითბო ხელახლა გაცოცხლდა ჩემში. საკუთარ თავზე აღარ ვზრუნავდი. მარტო რომ ვყოფილიყავი, სასაცილოდ არ მეყოფოდა არც ჩემი მშობლები, არც მათი ეგოისტური შიში. მაგრამ ოაკი ჩემთან ერთად ნორმანიც იყო, თავის დაცვა აღარ გამიჭირდებოდა. ორივე უნდა დამეცვა. მოგონებები უფრო მეტად ანვარიშგასაწევია, ვიდრე თავმოყვარეობა.

ეტყობა, სახე შემეცვალა. სიმონს ქურქი ჩამოვართვი, მოვიხურე და ორივე ხელი ჩავჭიდე საყელოს.

ვაგონისკენ წავედი. სიმონი უსმოდ ამედევნა. მერე შემოვბრუნდი და ვუთხარი:

— პაპიროსის წევა თუ არ დაგიმთავრებია, ბაქანზე მოსწიე. მე ავალ. დავჯდები.

ვაგონის საფეხურზე შევდგი ფეხი და დავუმატე:

— ძალიან დავიღალე.

სიმართლე ვუთხარი.

4

კუპეში შესვლისთანავე დავკარგე დროისა და სივრცის შეგრძნება. სავარძლის საზურგეს თავი მივაყრდნე, ქურქის საყელო ავიწიე და ვავრინეე. მინდოდა, ამ სამყაროს მოვწყვეტილიყავი. თვალები დავხუჭე. მზის სხივები, სივრცე და ჰაერი გარს შემომეხვია. სამაგიეროდ, რეალობა გაქრა სადღაც. მატარებლის გრუხუნი და მავნიტოფონის ხმაური იქნებ სხვას აწუხებდა, ყოველ შემთხვევაში, მე ვერაფერს მაკლებდა: უნივერსიტეტის გუნდის ხმაში იკარგებოდა, მერე ამ ხმას იმ ტბებისა და მთების ზღაპრული დუმილი შეენაცვლა, სადაც ამას წინათ ვცხოვრობდი.

წარსულის ასე ერთბაშად გახსენება ადვილი არ იყო. წინააღმდეგობა მაინც ვერ გავუწიე. ძალა არ მეყო ოდნავ მაინც გამენძრია ხელი ან ფეხი, თითქოს ნარკოზით ვიყავი გაბრუებული, დახრილი ქუთუთოებით ჩავცქეროდი შინაგან სამყაროს და მოგონებების ხმას ბაკემოკუმული ვუგდებდი ყურს.

ოლონდ ესაა, მაინც მოკაბწარი და საღლაც, გონების კენჭულში აღენიშნე: თუკი ჰავრი, საღვური, სიმონი, ნათესავებთან შეხვედრა უცებ ვაქრა და აორთქლდა, საბაგეროდ დამრჩა მხოლოდ ის, რაც სიმონსა და ჩვენს ოჯახს სტრეფთ ეეეთ. მართალია, საიდუმლო ვერ დამტყუეს, მაგრამ მასთან ხომ მაინც დამაბრუნეს?!

ნორმანი! იეი ენაბე... საღ ეეძებო, დროის რომელ ეონაკვეთში მოეათავსო ის დღე? ჩვენი პირველი შეხვედრის გახსენება არც ისეთი ადვილი ყოფილა.

თვითონ ნორმანი იგონებდა, ბერკლიში ჩამოსვლისთანავე შეგხვდითო; მაშინ ჯერ კიდევ ვერ შევგუებოდი შეერთებულ შტატებს და ოურმე დაძაბული ვიყავი ხოლმე.

— ისეთი ამპარტავნული იერით მოდიოდით! — მოიგონა ნორმანმა მოგეიანებით, — ალავიფიქრე, ამ ქეღმაღალ გოგონასთან დამეგობრება გამიჭირდება-მეთქი.

და როცა ვეცადე, ამეხსნა მისთვის, რომ ეს ამპარტავნული იერი უხერხულობისა და მოკრძალებულობის ბრალი იყო, არ დამიჯერა, თქვენ და მოკრძალებული? ძნელი წარმოსადგენიაო! ყოველ შემთხვევაში, სანამ ერთი ცის ჰაერით ვსუნთქავდით, იქნებ მართლაც არ ვიყავი ასეთი? იქნებ მისი სუნთქვა მიფანტავდა ყოველგვარ წუხილსა და უხერხულობას?

— იმ დღეს. — განაგრძო მან, — მზე სახეში გცემდათ და თქვენც თვალებს ეუტავდით. ისე ჩამიარეთ, ვერც შემამჩნიეთ.

მართლაც დიეხანს არ შემიმჩნევია ნორმანი. ხოგ ლექციას ერთად ვესწრებოდით, მაგრამ ვის ამბანაგებში არასოდეს გამომირჩეია მხოლოდ იმ ღამეს, მე რომ „ბონტრეის ღამეს“ ვუწოდებ, მხოლოდ მაშინ შევნიშნე და კიდეც მიკვირდი, ნაცნობი სახე რომ ჰქონდა. ოლონდ, რა დროიდან მეცნობოდა, მაინც ვერ გავიხსენე. მეხსიერებიდან ამიტომაც გაქრა ასე ადვილად ჩვენი პირველი შეხვედრა. დავიწყებას მიეცა ეს ყმაწვილი, ვისთანაც ხანმოკლე, უიღბლო, მაგრამ მაინც ერთადერთი სიყვარული განვიცადე; იგი ჩემთვის მეტისმეტად უდარდელი, მეტისმეტად უშფოთველი ღროის განსახიერებად იქცა.

მისი იერსახე ასე ხშირად რომ არ გაცოცხლებულიყო, ღღითი ღღე არ მომატებულიყო ჩემს შვილში, ალბათ დავიჯერებდი, რომ იგი მხოლოდ მირაჟი იყო, ილუზიის ნაყოფი, ვიღაც boy-friend[1], რაღაც

[1] მეგობარი, (ინგლ.)

არსება — ცხოველსა და ნახევრად ღმერთს შორის, ნახევრად არიელი, ნახევრად ულაყი!

მატარებელი უკვე მიქროდა, მაპირველულ სახლისკენ მიმაქროლებდა, მე კი კუპეში ვიჯექი მდუმარე ძმის გვერდით და სიმწარენარევი ნოტარებით ვიხსენებდი ბერკლიში ჩასვლის პირველ დღეებს.

რა თქმა უნდა, მაშინ სიყვარულზე არც მიფიქრია. როგორ შემეძლო გამეთვალისწინებინა ის ამბავი, რომ სან-ფრანცისკოს ახლოს ნლებარე უნივერსიტეტში სიყვარული მელოდა და რომ მას არაფერი ექნებოდა საერთო ისეთ სიყვარულთან, რომელზეც ვოცნებობდი? ამ ხანებში უკვე ორი თვის ჩასული ვიყავი შეერთებულ შტატებში. ამერიკიდან წასვლას ვაჭიანურებდი, ინგლისური ენის ღრმად შესწავლას ვიმიზეზებდი. მაგრამ ეს საკმაოდ უმწეო საბუთი მხოლოდ მაშინ იქნებოდა სარწმუნო, ოქსფორდში ან კემბრიჯში რომ მომესურვებინა დარჩენა; ვალიარებ, ასეთი საბუთით ვერავის მოვატყუებდი. მართალი გითხრათ, როცა ეს ამბავი ჩემს ოჯახს ვაცნობე ღეპეშით, სულაც არ მაღელვებდა, ააფორიაქებდა თუ არა ივი ჩემიანებს. იქნებ სიამოვნებასაც კი მგვრიდა! გასულ ზამთარს მამიდისა და დედის მიერ ჩემს დასაქორწინებლად ჩატარებულმა მანევრებმა, მუქარამ, გაცხარებულმა ვანკარგულებებმა მორალურად დამტანჯა. ჩვენს ოჯახში გამეფებული აბსოლუტური მბრძანებლობის სისტემას უკიდურესობამდე შეეძლო მიეყვანა ადამიანი და ორი სახის მონობაც — მორჩილება და აჯანყება — გამოეწვია. ჩემი ძმები და ბიძაშვილები, უნებისყოფობისა და პირფერობის წყალობით, პირველ ჯვუფს მიეკუთვნებოდნენ. მეორე ჯვუფის ერთადერთი წარმომადგენელი, საუბედუროდ, მხოლოდ მე ვახლდით, ამიტომაც ვიყავი ასე მარტოსული და მოურიგებელი.

ერთი სიტყვით, სან-ფრანცისკოშიც და ბერკლიშიც მხოლოდ სულიერ სიმშვიდეს ვეძებდი. სხვა სიხარულს არც ველოდი. სამართლიანობა მოითხოვს დავძინო: უნივერსიტეტშიც და sorority-შიც[2], სადაც მე ვიმყოფებოდი, თავისუფლად მოაზროვნე ბევრი მეგობარი ქალი თავაწყვეტილი ცხოვრების მიმართ მაინც აპათიურად იყო განწყობილი და ამ ამბავს მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებდა, რაც დიდად მიმზიდველი არ იყო. მათ უზნეობაში არავითარი

[1] ანგელოზი

[2] უნივერსიტეტის ქალთა კლუბი (ინგლ.)

უწესრიგობა. არ შეიმჩნეოდა. ყოველგვარი გატაცების გარეშე იქცევდნენ თავს და მათი მაგალითი ვერაფერი მაცდუნებელი იყო! სხვათა შორის, ყმაწვილები ზრდილობის გულისთვის თუ გამეარშიყდებოდნენ. ჩემმა საქციელმა ყირაზე დააყენა მათი ეთნოგრაფიული ცოდნა. რადგან მე, ფრანგი ქალიშვილი, უფრო უკარება ვამოვდექი, ვიდრე ამერიკელი ქალიშვილები. ფლირტი არავისთან გამიბამს, სამაგიეროდ, ამხანაგები ბლომად მყავდა, ბეჯით, სათვალიან სტუდენტებს ხიბლავდა უცხო ენაზე ჩემთან საუბარი. ასე და ამგვარად, ძალიან პოპულარული არ გახლდით, თუმცა არც უამისობა იყო. მეპატიჟებოდნენ სხვადასხვა ვასართობ ადგილას, მინდოდა — წავყვებოდი, მინდოდა — არა, უარსაც ისე ვამბობდი, წყენას არავის ვაყენებდი.

ასეთი, საკმაოდ უფერული არსებობა საკუბეთ აკმაყოფილებდა ჩემს მოთხოვნილებას: მეცხოვრა მშვიდად. ამასთანავე, შეუჩვეველ გარემოში მოხვედრის წყურვილსაც მიკლავდა და ჩემს ადრინდელ, მოყირჭებულ გარემოსაც მავიწყებდა. ჯერ კიდევ ევროპაში ვოცნებობდი „ამერიკულ კონფორმიზმზე", უამრავ სიხარულს ველოდი მისგან. და აი, ეს სიხარული თავისთავად მეწვია. ჩვენს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რომ ირგვლივ მყოფ ხალხს ოპოზიციაში არ ვუდექი. გამუდმებული დაძაბულობა, კონტრაქცია, რაც ხშირად სასტიკსაც მხდიდა და ნაადრევადაც მაბერებდა, ერთბაშად გაქრა. თავდასაცავ იარაღს ხელი ვუშვი, ისიც აღარ ვიცოდი, სად ეყარა. მთელი ჩემი ყმაწვილქალობის მანძილზე ასეთი სიმშვიდე, ასეთი დასვენება არასოდეს განუცდია არც ჩემს გულს, არც ჩემს გონებას. დასვენება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!

ასე ვცხოვრობდი დეკემბრამდე. პირველ ზამთარს ვატარებდი ამ განედში. ამიტომ წლის ეს დრო სულ სხვანაირი იყო ჩემთვის. სანფრანცისკოს ყურეში საიმედოდ შეყუჟულნი ვტკბებოდით ამ რბილი ჰავით, თბილი, ალერსიანი მზით. იქ წვიმაც ალერსიანია, სუსხს მოკლებული. პარიზული ტალახისგან და სიცივისგან შორს, გადაკარგავში მეგონა თავი. მონსოს პარკთან მდებარე, ნესტით გაჟღენთილი ბუსარდელების სახლი მოკონებისა და ბურუსის საფარში გახვეულიყო.

შობის დღესასწაული ახლოვდებოდა. ჩემს მეგობარ ქალებს წინასწარ აფორიაქებდა გართობის ჟინი. რა თავშესაქცევს აღარ იგონებდნენ! ჩვენი sorority ერთ-ერთ არისტოკრატულ კლუბად ითვლებოდ-

ბერკლიში. ვადაწყვიტეს, მეჯლისი გაემართათ. გულუბრყვილო საჩით, მაკრამ, თანაც, მედიდურად იღებდნენ სტუმრებს. ჩემს მეგობარ ქალებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, გულში მეცინებოდა. ხვა კლუბებიდან მოსული boys[1] და girls[2] პირველად იყვნენ ჩვენთან და აღტაცებულმა ნეოფიტებმა ღირსეულად ჩაუარეს დიასახლის girls-თა მწკრივს. სათითაოდ ეცნობოდნენ.

ცეკვები დაიწყო. მე თითქმის არ მიცეკვია. ჩემი კლუბის გოგონები, ცოტა არ იყოს, სნობებივით იქცეოდნენ და სიმკაცრეს ამჟღავნებდნენ ცეკვაში, თუმცა წმინდა ამერიკულ სტილსაც არ ღალატობდნენ. მე კი ვერ იქნა და მათ ვერ მივბაძე. ამიტომაც იშვიათად მეპატიჟებოდნენ საცეკვაოდ. მით უმეტეს, ზოგჯერ უკარება ლოგოდ შთელიდნენ. თუკი ამერიკელი ახალგაზრდა კაცი მიხვდა, რომ ცეკვა მხოლოდ ცეკვად დარჩება, სულ ერთია, აქვს ამ კაცს ეულში რაიმე ეანსაკუთრებული ზრახვა თუ არა, ასეთ ცეკვას იგი მაინც ბავშვურ, ქალაკაცისთვის შეუფერებელ გართობად ჩათვლის.

შუალამისას საზრიანი ნეოფიტები მიხვდნენ, ჯობს მშვიდობიანად დავიშალოთო და წავიდნენ. დარჩენ მხოლოდ ყველაზე „ღირსეულნი". ცეკვა განახლდა. მეც დავრჩი. ვიცოდი, მუსიკის ხმა მაინც დამიფრთხობდა ძილს. მხიარულება ნელ-ნელა მინელდა და კონკურსი ვამოაცხადეს, ვინ უფრო საინტერესო აზრს შემოგვთავაზებდა საღამოს დასაბოლავებლად. საერთო მოწონება წილად ხვდა წინაღადებას: „წავიდეთ, მთვარის შუქზე ვნახოთ მონტრეი!"

მონტრეი ასიოდე მილზეა ბერკლიდან, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს და მეტად თავისებური ადგილია იმ მხარეში. კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა ასეთი გასეირნება. უკვე მენახა წყნარ, თბილ ღამეში ჩაბნკრივებული მანქანების გრძელი რიგი: ფარები ჩამქრალია, უკანა შუქებიღა ანთია და პეიზაჟის სილამაზით არავინ ტკბება.

წინადადება მოიწონეს, მოცეკვავეები დაწყვილდნენ და მანქანებში ჩაბუნენ. საცაა ყველანი წავიდოდნენ. სახლში სიჩუმე დაისადგურებდა და მეც საძინებელ ოთახში ავიდოდი. უარის თქმა არ დამჭირდება, რადგან არც ერთი ყმაწვილი არ აპირებდა ჩემს დაპატიჟებას.

...თუმცა როგორ არა! შევცდი. ერთი ყმაწვილი, შორიდან რომ ვიცნობდი, მოშიახლოვდა და თავის მანქანაში ადგილი შემომთავაზა.

---

[1] ყმაწვილები, ბიჭები (ინგლ.)
[2] გოგონები (ინგლ.)

ვულში გამეცინა: შეცდა საპრალო ბიჭი! რომც ღაღეთანხმო, იმედი ვაუცრუვდება.

— სხვა ვერავინ ნახეთ დასაპატიებლად? — ვკითხე მე.

— ამას რატომ მეუბნებით?

ვინანე: უხეშად, არაბუნებრივად გამომივიდა და არც სულ მთლად ფრანგული მანერით; რაც მთავარია, მართალი არ ვიყავი: მიპატიჟება ჯერ არ დამთავრებულიყო და მაინც შეეძლო არჩევანი სხვაზე შეეჩერებინა.

— ცოტა ვადაეიალე! — შევეცადე გამომესწორებინა უტაქტო საქციელი.

— მართლა? ვწუხვარ!

აღარ ჩამციებია. ამერიკაში ასეა მიღებული. ერთბაშად ტუჩები მოვიკვნიტე და ვუთხარი:

— ესე იგი...

შევხედე.

უცნაურად რბილი და თან უკარება გამომეტყველება ჰქონდა. აი, როდის გამაკვირვა პირველად! თვალი გავუსწორე, ვცდილობდი როგორმე ამომეცნო მისი სახის კონტრასტულობის მიზეზი. ეტყობა, ისე ვიყურებოდი, იფიქრა, საჭიროა გავაგებინო, ვისთან აქვს საქმეო ია გამეცნო:

— ჩემი გვარია კელოგი. ნორმან კელოგი.

და სანამ ჩემსას ვეტყოდი, დამასწრო:

— თქვენი გვარი ვიცი. სახელიც... ავნეს.

ამერიკულ ყაიდაზე წარმოთქვა: „ეენის“. უცებ მომეჩვენა, ჩემმა სახელმა, იქნებ მე თვითონაც. ახლა, ამ ყმაწვილის გვერდით, რაღაც ისეთი ახალი იერსახე მიიღო, წინანდელს არაფრით ჰგავდა. მაგრამ ნეტა რა სიურპრიზს ამზადებდა ეს ახალი ავნესი?

რაღაც უცნობი, უცნაური გრძნობა დამეუფლა. თვალი მოვკარი მის ხელებს. არაფერი უჩვეულო არ შემინიშნავს; თითქოსდა არც მეტისმეტად გრძელი ჰქონდა ხელები, არც მეტისმეტად თხელი, ვერც იმას იტყოდი, მეტისმეტად ძარღვიანი ხელები აქვსო. და მაინც, რატომღაც თვალში მეცა ისინი. ისეთი შეკრძნება მქონდა, თითქოს ეს ხელები მხოლოდ მე მომმართავდნენ, მესაუბრებოდნენ. არადა, ისიც კარგად ვიცოდი, სასაცილო იქნებოდა, ახლა რომ ერთმანეთისთვის ხელი ჩამოგვერთმია, ახლა, როცა მეჯლისი მთავრდებოდა...

— ძალიან ვწუხვარ... — გაიმეორა ყმაწვილმა.

და უკან დაიხია.

— ნუ წუხხართ... — მკვირცხლად ვუთხარი, — სიამოვნებით ვიღებ თქვენს წინადადებას!

გაეცინა. შევხედე და გული ხელახლა შემიტოკდა. ამჯერად მისი კბილები დავინახე. ასე ყურადღებით არასოდეს შემითვალიერებია არავინ: ჰსხვილი ტუჩ-პირი ჰქონდა, ბავშვის მოკლე-მოკლე კბილები, ამიტომ ღიმილიც ბავშვური გამოსდიოდა. მუქი წითელი, ქლიავისფერი ბაგეები და მათ შორის ჩარიგებული კბილები, დროდადრო რომ გაიელვებდა, ერთმანეთს დაშორიშორებული წინა ორი კბილი, ბედნიერების მაუწყებელი ნიშანი, კიდევ უფრო აღრმავებდა მისი სახის კონტრასტულ გამომეტყველებას.

— მანქანა საბლის უკან მიყენია! — მითხრა მან.

სან-ხოსეს რომ ჩავუარეთ, ოციოდე მანქანისგან შემდგარი ჩვენი ქარავანი გაიწელა. ყველაზე სულსწრაფი წყვილების მანქანა ტყის ბილიკზე გადასულიყო და დანარჩენები, ვინც გზას განაგრძობდა, შეძახილებითა და საყვირის კივილით აცილებდნენ. უეცრად წყნარი ოკეანის ექსპრესი დაგვეწია და შარაგზის მარჯვენა მხარეს, ხრეშიან პლატფორმაზე ჩაიქროლა. გრძელი, გაჩახჩახებული მატარებელი ისეთი გრუხუნით მიარღვევდა წყვდიადს, ჩვენს მძღოლებს სისწრაფეში ვაჯიბრების სურვილი აღეძრათ. შემეშინდა. ჩემდა გასაოცრად, ამ შეჯიბრმა 8შვიდობიანად ჩაიარა. ისიც გამიკვირდა, ჩემმა თანამგზავრმა ამ სრბოლაში მონაწილეობა რომ არ მიიღო.

— ისეთი ლამაზი ღამეა, სწრაფად სიარული ნამდვილად არ ღირს! — ამიხსნა მან. ეს სიტყვებიც ჩამებეჭდა გონებაში.

ისევ შევხედე მის ხელებს. საჭეზე ეწყო, წინა ფარების შუქზე ძლივს მოჩანდნენ. შარაგზის ამ მონაკვეთზე მოსახვევები იშვიათად გვხვდებოდა და ამიტომ ხელებიც მხოლოდ მოსახვევებში ამოძრავდებოდნენ, იძაბებოდნენ, მერე ჯვარედინად ეწყობოდნენ, წამით მოდუნდებოდნენ, ხოლო საჭე ამასობაში უკვე თავის ნებაზე იყო მიშვებული. ზოგჯერ ერთ-ერთი ხელი გასაღებს, ხან სიჩქარის გადამრთველს შეეხებოდა და სინათლის ზოლში ხვდებოდა. აი მაშინ, კანის თითოეულ ფორსა და პრიალა ფრჩხილებსაც ვამჩნევდი; ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, ეს ხელები სიჯანსაღეს აფრქვევენ და მხოლოდ ამიტომ შევკრთი და ავფორიაქდი-მეთქი.

„მონტრეიში რომ მივალთ, სხვებივით ესეც გადაადებს ხელს ჩემი სავარძლის საზურგეს და მხარზე დამადებს მარჯვენას, — ვფიქრობ-

დი მე, — მისი ხელის მხურვალებას პალტოსქვეშ ვიგრძნობ, ხოლო ჩემი მარცხენა მხარი მის მკერდს შეეხება. როგორ გავითავისუფლო თავი? როგორ ვკრა ხელი? როგორ გადავარწმუნო? რატომ წამოვყევი? სულაც არ მინდა, ეს ყმაწვილი რომ მომეხვიოს. სულაც არ მინდა. მისი ხელები შემეხონ მკერდზე, მუხლებზე..."

წინასწარ წარმოდგენილი სურათები და ჩემი ფანტაზია როგორმე რომ გამემართლებინა, იძულებული ვიყავი ჩემი მეგობარი ქალების ერცხვი საქციელი გამეხსენებინა, რისი მოწმეც ათასჯერ ვყოფილვარ. „ჭორთალს ამბობენ, — ვფიქრობდი მე, — როცა ამტკიცებენ, შეერთებულ შტატებში ასი სტუდენტი ქალიდან ოც ქალწულს ვერ იპოვითო. ეს სულაც არაა ცილისწამება: ამას თვით ამერიკელები აღიარებენ. უნდა ვიფიქროთ, ამაში ყმაწვილებსაც მიუძღვით ბრალი. თუმცა, რაკი ქალიშვილები მათ უპასუხობას ითმენენ, მეტიც — ზოგჯერ თვითონაც უბიძგებენ ამისკენ, ბიჭებს რაღა უნდა მოვთხოვოთ? რა თქმა უნდა, ნორმანის გონს მოყვანა და დამშვიდება არ გამიჭირდება: ამ ქოჩრიან დონ ჟუანებს არასოდეს ავიწყდებათ, რომ ასეთმა ამბავმა შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიღოს და საქმეში პოლიციაც ჩაერიოს. და მაინც, უხერხულ მდგომარეობაში ჩავიგდე თავი. ახლა ისღა დამრჩენია, ან უნდა მივახვედრო, ჩემი მხრიდან არავითარი უტყვი თანხმობა არ ყოფილა-მეთქი, ანდა მისი არშიყობა ავიტანო. ამის სურვილი სულაც არა მაქვს. ნუთუ არ შეიძლება გამოიძებნოს რაღაც საშუალო გზა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად? ჩემი ბედი, რომ ეს ბიჭი უხეში არ გამოდგა. თანაც არც ისე უსიამოვნო ჩანს..."

ერთი სიტყვით, თუკი მის მიმართ რაიმე ხორციელი გრძნობა გაჩიჩნდა, ეს სწორედ იმ საღამოს, იმ შარაგზაზე, იმ მანქანაში მოხდა.

ზღვის პირას, ამაღლებულ ადგილზე, მანქანების რიგი ისე ჩამწკრივდა, თითქოს სტარტისათვის მომზადებულან უსასრულობაში გადასახტომადო. მანქანიდან არავინ გადმოსულა. ფანჯრის მინები ჩამოუშვეს, ერთმანეთს ბოთლები გაუწოდეს, გამოელაპარაკნენ. არც რადიომიმღებები ყოფილა ერთადერთი. ყველა მანქანიდან სხვადასხვა მელოდია ისმოდა. ბოლოს, პროტესტის ნიშნად ბევრი კიდეც აყაყანდა. ამიტომ რადიომიმღებები ჰავაის მუსიკაზე გადაიყვანეს, ეს კი, მე თუ მკითხავთ, საკვლევით ესადაგებოდა ასეთ სიტუაციას.

მთვარის შუქში გახვეული წყნარი ოკეანე ლივლივებდა. სადღაც, შორს, მაღალი ზვირთები ყალყზე დგებოდა და ხმელეთისკენ, ჩვენ-

ალენ მოსრიალებდა, მაგრამ ამ ტალღად შეკრული ზვირთების დაშლას. ვერ ვხედავდით, სანაპიროს შარაგზა ფარავდა. სამაგიეროდ, ნაპირზე ათი მოხეთქების ხმა კარგად გვესმოდა. ჰავაის მელოდია ახლა უკვე ბოლოდ ჟღერდა. რადიომიმღებებს ხმა ჩაუწიეს, ფარები ჩააქრეს, სიცელიც იშვიათად მოისმოდა.

ვიჯექი და ველოდი, როდის გამოამეღვიძებდა ჩემი თანამგზავრი თავის წადილს... უცებ წამოიწია, სკამის ქვემოდან ბალიში ამოაძვრია და გამომიწოდა:

— უფრო მოხერხებულად იქნებით! — მითხრა მან.

ბალიში ზურგს უკან ამომიდო, ოდნავ გვერდულად დამწვა, ასე რომ, ერთმანეთს საკმაო მანძილით დავშორდით. მერე ორივე ხელი საბეზე გადააჯვარედინა და მეც მივხვდი, არავითარი ცუდი განზრახვა არ გაუვლია გულში. ჯერ გამიკვირდა, მგრე კიდეც ავღელდი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, ჩემი ვარაუდი რომ არ გამართლდა. გულით მინდოდა კმაყოფილება მეგრძნო და ეს არც გამჭირვებია. ამ ყმაწვილის საქციელი აწორედ იმიტომ იყო მოსაწონი, რომ თვითონ დამპატიჟა. გამახსენდა, რა უხამსობას ველოდი მისგან და შევრცხვა. ბე ხომ პომზადებული ვიყავი თავდასხმის მოსაგერიებლად! ვიცოდი. ცუდად არ გამოგებდა და ამიტომაც ვუთხარი:

— რა სასიამოვნო ყმაწვილი ბრძანდებით!.. მოხარული ვარ, სწორედ თქვენ რომ გამოგყევით აქ!

თავი მოაბრუნა, სიბნელეში გაიღიმა და მიპასუხა:

— მეც მოხარული ვარ.

ოკეანე თავის სურნელს გვაფრქვევდა. არც ისეთი მძაფრი სუნი ჰქონია, როგორიც მეგონა. გამახსენდა, აქეთ რომ წამოვედით, ალბერტისკენ გავემართეთ. სადღაც აქვე ახლოს უსასრულო ხეობებია, ზედ დარგულია ხეშილნარი. ხუთასიოდე მილი რომ გაგვევლო, ჭექსიკაში მოვხვდებოდით. პირდაპირ კი იაპონია და ჩინეთია. ასალ მიწაზე გახლდით. მართალია, ძალიან შორს წამოვედი, სამაგიეროდ, მარტო არ ვიყავი.

ჩემს თანამგზავრს საუბარი გავუპი. ოცურამე იმ წელს ბერკლის უნივერსიტეტს ამთავრებდა არქიტექტურის სპეციალობით. გასულ არდადეგებზე სადღაც მთაში უმუშავნია, ბუნგალოებისა და კოტეჯების დამპროექტებლის ასისტენტად.

ბევრი წინაპრები წარმოშობით შოტლანდიიდან ყოფილან. მაგრამ მის ძარღვებში ინდიელთა სისხლიც ერია. ჯერ კიდევ შორეულ, გმირულ ეპოქაში, მის დიდ პაპას შეროკელი ქალი შეურთავს ოკლაჰო-

მაში. თავის ინდიურ წარმოშობაზე განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობდა. იცოდა, ამ რასის მრავალი ნიშან-თვისება ნამდვილად ცოცხლობდა მასში, სამაგიეროდ, მის დებში, ქერათმიან, ტიპიურ ანგლოსაქს გოგონებში, ეს ნიშან-თვისებები საკუთრივ გამქრალიყო. დიდი ქალაქის ჰაერი მძიმედ მაწევს, — მითხრა ნორმანმა, — საკმარისია თვალუწვდენელ მინდვრებზე ან ასწლოვან ფიჭვნარს შორის მოვხვდე, რომ წინაპართა სისხლის ჩქეფა მაშინვე ვიგრძნო. ამიტომაც შარშან ამ არქიტექტორთან ერთად იოსემიტში გატარებულ არდადეგებს ვერაფერს შევადარებო.

ყურს ვუგდებდი და მიკვირდა, აქამდე როგორ ვერ გამოვარჩიე იგი სხვა სტუდენტებს შორის. „არა, ვცდები,—მომაგონდა უცებ, — მას ადრეც ვიცნობდი, ერთხელ კიდეც გამოველაპარაკე". ერთი სიტყვით, იმ ღამეს ერთბაშად აქაღლდა ჩემს თვალში, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა არა მარტო მის კოლეგებს შორის, არამედ ჩემს მოკონებებსა და იმედებს შორისაც.

უკან დაბრუნებისას ოკლენდში შევჩერდით, ბერკლისთან სულ ახლოს. უბრალოდ, აღარ გვინდოდა შევრეოდით უნივერსიტეტელი მეგობრების მანქანებს. ვისხედით მე და ნორმანი drag store-ის[1] ბარში და ვცდილობდით წყალწყალა ყავით გავმთბარიყავით. თავზე დაგვათენდა. ღილის პირველივე შუქზე გამოცოცხლებულ ქუჩებში ყოველდღიური ხმაური იგრძნობდა. კედელზე სარკე ეკიდა ჩემ პირდაპირ და შიგ ჩემი გამოსახულება დავინახე. მეშინოდა, უძილო ღამის შემდეგ მოტეხილი, გაცრეცილი სახე მეკნეოდა, მაგრამ არა! ძალიან მომხიბლავად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ლამაზად გამოვიყურებოდი. ნამდვილად ასე იყო. არ ვიცი, კეკლუცობით მომივიდა თუ რა იყო, საპირფარეშოში არ შევსულვარ პომადისა და პუდრის წასასმელად. ამომავალი ღრის შუქს თამამად გავუსწორე თვალი.

ოღონდ, როცა ჩემი თანამგზავრი გამომემშვიდობა, ერთბაშად მომაგონდა: ჩვენი ხელები ჯერაც არ შეხებიან ერთმანეთს. ამიტომ, ნორმანს ორივე ხელი გავუწოდე. ეტყობა, ეს ჟესტი უჩვეულო იყო მისთვის და გაეღიმა. მერე თვითონაც ორივე ხელი გამომიწოდა, ოდნავ მომიჭირა, მე კი წუხანდელმა მღელვარებამ ხელახლა მომიცვა: სწორედ ასეთ სითბოს ითხოვდა ჩემი გული მთელი სიცოცხლის მანძილზე.

— მალე გნახავთ, — თქვა ნორმანმა.

---

[1] აფთიაქი (ინგლ.)

— მოხარული ვიქნები. გმადლობთ ასე ლამაზად გატარებული ღამისთვის!

— მადლობა თქვენ! — მითხრა და ამ მეორე სიტყვას ხაზი გაუსვა.

...უფერული სიტყვებია, წმინდა ამერიკული, გაცვეთილი. და ბოლოს, ამ სიტყვებს რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მივაწერე: „მალე გნახავთ... მოხარული ვარ... მადლობა თ ქ ვ ე ნ!“ ამ სიტყვებით ვამოწვეული თრთოლა აქამდე ვერ დამივიწყებია.

ამერიკაში რომ ჩავედი, ორი თვე სან-ფრანცისკოში ვცხოვრობდი ერთი ნაცნობის ოჯახში. მასპინძლებმა უქმეებზე პრეზიდიოში დამპატიჟეს, სადაც ოფიცერზე გათხოვილი მათი უფროსი ქალიშვილი ცხოვრობდა ერთ ლამაზ სახლში. ქალაქის განაპირას მდებარე პრეზიდიო, რასაკვირველია, ნიუ-იორკივით დიდი არაა, სამაგიეროდ უფრო მიმზიდველი რელიეფი აქვს და საქმიანი რეგიონიდანაც არაა შორს. ეს უბანი პარადოქსული მოვლენაა: პატარა ქალაქი დიდ ქალაქში, მყუდრო ქალაქი — ქაოსურ ქალაქში. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, საკმარისია ევროპელები გავლით მოხვდნენ სან-ფრანცისკოში, რომ პრეზიდიოს დათვალიერებისას მათ შეძახილებს ბოლო არ უჩანს, ერთსულოვნად აცხადებენ, აქ ცხოვრებას არაფერი სჯობიაო.

ასე რომ, არჩევანი ჩემზე იყო: საშუალება მქონდა ან ძალიან მხიარულ, განათლებულ, ახალგაზრდა წყვილთან გამეტარებია უქმეები, ან მეორე ქალიშვილსა და მის მშობლებს არიზონაში გავყოლოდი. ჩემი მეგობრის ბლექით დაავადებული ძმა სამკურნალოდ არიზონაში იმყოფებოდა. ოჯახის წევრებს განეზრახათ მასთან შეხვედროდნენ შობასა და ახალ წელს. მეც ეს მეორე ვარიანტი ავირჩიე; განვაცხადე, ძალიან მაინტერესებს არიზონას ნახვა-მეთქი.

სინამდვილეში სულ სხვა რამ მამოძრავებდა: მინდოდა როგორმე ქალაქიდან შორს წავსულიყავი. წარმოიდგინეთ ადამიანი, დიდხანს უწყინრად რომ ცხოვრობს, მერე კი უეცრად ბედი გაუღიმებს — რაღაც ბედნიერებას შეპირდებიან. სწორედ ასე დამემართა: მოსალოდნელი ამბების წინაშე უკან დავიხიე. მოკაშკაშე შუქს თვალი ვერ გავუსწორე, ფართოდ გაღებულ ფანჯარასთან სული მეხუთებოდა. ერთი სიტყვით, მინდოდა ნორმალსა და ჩემ შორის რაღაც ზღუდე აღმემართა. თანაც სავსებით ბანალური გზით; მინდოდა, საკუთარ გრძნობებში უკეთ გავრკვეულიყავი. იქნებ გულის სიღრმეში ისევ ფხიზლობდნენ პირქუში დემონები, იქნებ სწორედ ისინი ჩამჩურჩულებდნენ: „როგორ?! ორი კვირა არცაა, რაც მას იცნობ! შენ უკვე იცი ყველა მი-

სი ნაკლი: იცი, რომ ეგოისტია, ტანჯვის უნარი არ გააჩნია, დღევანდელი დღით ცხოვრობს, მეტისმეტად გულუბრყვილოა; ისიც იცი, რომ სხვა ნაცნობ ყმაწვილებს არც სილამაზით სჯობს, არც სიჯანსაღით. მართალია, მათთან წედარებით ნაკლებ „სტანდარტულია“! შენ კი მისი უცნაური სახის გამო ამ ადამიანს რადაც პოეტურობა, განსაკუთრებული ხასიათი, იდუმალი ივრი მიაწერე. წადი, ცოტა ხნით მოშორდი მას და დაბრუნებისას ვერავითარ იდუმალებას ვეღარ ამოიკითხავ მის სახეზე!“ საკუთარი თავის მიმართ გამუდმებული უნდობლობა, სიამაყე, ცხოვრების წესად ქცეული ჩვევა იმისა, რომ სხვისგან მცირეოდენი ბედნიერებაც არ უნდა მიმეღო, სწორედ ის გრძნობები იყო, სადმე შორს წასვლას რომ მირჩევდნენ. ბევრჯერ წარმომედგინა თავი იმ ადამიანივით, უამრავი ნაკერი რომ აქვს სხეულზე და ამინდის უცნაურ ცვალებადობაზეც ჭრილობები თავს რომ შეახსენებენ ხოლმე! ოღონდ, ჩემი ნაიარევი რაიმე ჭრილობის კვალი არ იყო: ისე არავის დავუკოდივარ, სისხლი მდენოდა. მე მხოლოდ მორჩილების ნაკვალევი, ნაკაწრებიღა შემომრჩა.

ასე და ამგვარად, წავედი და მართალია, იმედი თუ არა, გადაწყვეტილი მაინც მქონდა, ნორმანს დავივიწყებ-მეთქი.

შეყვარებული დავბრუნდი. განშორებამ ტოტზე შერჩენილი ნაყოფივით მომამწიფა, მაგრამ მაინც ასე მეგონა, როგორც კი ვნახავ, როგორც კი მის ხმას გავიგონებ, დავრწმუნდები, რომ საერთო მას აღარაფერი აქვს-მეთქი იმ ნორმანთან, მე თვითონ რომ დავხატე. გავაკეთილშობილე, შევალამაზე... რა გულუბრყვილო ვყოფილვარ! ჩემში უკვე ცოცხლობდა სრულიად ახალი ქალი, რომელსაც ადრინდელი სულიერი ჩვევები და ადრინდელი სიფრთხილე გადავიწყებოდა. ჩემი ძველი ხურდა ფული მიმოქცევაში აღარ გამოდგებოდა.

ვნახე. ვითხრა, უთქვენოდ ძალიან გაჭიანურდაო დრო. ეს უჩვეულო ამბავი აღტაცებით მოვისმინე.

ჩამოსვლის პირველივე საღამოს სადღაც წამიყვანა. კოკისპირულად წვიმდა. მანქანა ძლივს მიიკვლევდა გზას. მალე კიდეც გააჩერა სადღაც და ერთმანეთს პირველად ვაკოცეთ.

მერე კი, ყოველ საღამოს, ჩაძინების წინ მოუთმენლად ველოდი მეორე დღის დადგომას. სწორედ იმ ხანებში შევწყვიტე წერილების გაგზავნა ევროპაში. ნორმანს ყოველდღე ვხვდებოდი. დღეები ერთმანეთში გადაიხლართა. თუ წინათ კითხვა, მუსიკა, ოცნება, მარტოობის სიამე მიტაცებდა, ერთბაშად მივხვდი, რომ მეც შემეძლო ავყოლოდი დროს, დღევანდელი დღით მეცხოვრა, ხვალინდელი დღის

მოლოდინით მეარსება; მივხვდი, რომ არავითარი წყევლა-კრულვა არ დააწვებოდა ჩემს სულს, რომ არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ იყო ამ ჩემს საქციელში. საკუთარ თავში ისეთი თვისებები აღმოვაჩინე, როგორიცაა: ნდობა, გულუბრყვილობა, მივხვდი იმასაც, რომ სულ ადვილი ყოფილა ჩემი „ხელში ჩაგდება". ჰოდა, მეც ღიმილით ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს თავს: „მეტისმეტად დიდი წარმოდგენა ხომ არ გქონდა შენს თავზე, ჩემო გოგონი?"

ნორმანმა გაზაფხულზე დაამთავრა სწავლა. სამუშაოც შესთავაზეს. არქიტექტორმა, ვისთანაც წინა წელს მუშაობდა, ხელახლა მიიწვია. ზამთრის ახალი სპორტული ბაზის მშენებლობა უნდა დაეწყოთ სადღაც, სამხრეთში, სან-პერნარდინოს მთებში. ბუნგალოებისა და კოტეჯების მთელი ქალაქი უნდა აეგოთ ბ-გ-ბერის ტბის ნაპირას. არქიტექტორის ასისტენტი კარგი ხელფასითა და ბინით იქნებოდა უზრუნველყოფილი.

— ალბ არ წავალ, — მითხრა ნორმანმა, — მირჩევნია, თქვენ ერთად ხოლმე ყოველდღე!

— პრაქტიკული უნდა იყოთ, ნორმან! — ჩემთვის უჩვეულო უბრალოებით მივუგე, — შეგიძლიათ ეს ორი საქმე ადვილად შეუთავსოთ ერთმანეთს. თან წამიყვანეთ!

ოთხშაბათ მართლა არ ჰგავდა თავის ტოლებს: არც წამოუყვირია, არც გაჰკვირვებია. დუმდა. დაფიქრებულს, მკაცრი, იდუმალი სახე გაუხდა. მესიამოვნა, ასეთ მომენტში მისი რასის ნიშნები ადვილად რომ შევამჩნიე.

— ამ საქმის მოგვარება შეიძლება! — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. ეტყობა, ყველაფერი აწონ-დაწონა. — თითქმის უდაბური ადგილია. ბორაობას ვერავინ დაიწყებს. თანაც სხვა რეგიონიდან ვიქნებით და ცოლ-ქმარი ვეგონებით.

გამიღიმა. მერე დასძინა, ჩემი უფროსი ცნობისმოყვარე კაცი არ არისო. ყურს ვუგდებდი და მის არგუმენტებს წინასწარ ვეთანხმებოდი.

მაშინ ჯერ კიდევ ალ ვიყავი ნორმანის საყვარელი.

II

ბუსარდელების ოჯახი

ეს წუთი ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა ჩემთვის. ამას თხუთმეტი თვის შემდეგ მივხვდი, ჰავრიდან პარიზისკენ მომავალ გზაზე. მე კი ძაშინ იმ წუთზე შევწყვიტე მოგონებები, რაზედაც ახლახან გელაპარაკეთ. როცა მოგონებების ამ მონაკვეთთან მივედი, ვიგრძენი, შესვენება აუცილებელი იყო. სანამ ახალ ეტაპზე გადავიდოდი, ღრმად ამოვისუნთქე. ასე დავუბრუნდი საკუთარ თავს, მატარებელს, ძმას. ამ ახალ ეტაპს სახელად ერქმევა მეზონ-ლაფიტის ეტაპი და არა ბიგბერის ტბა.

ჩვენი ცხოვრებაც ხომ ასეა აგებული! აგებულია მონაცვლეობითი შრეებისგან, ახალი და ადრინდელი გრძნობების დანაშრევებისგან და კიდევ იმისგან, თუ როგორ აღვიქვამთ მათ მოგვიანებით. ჩვენ ხშირად ვბაძავთ რენესანსის ხანის იმ იტალიელ ხუროთმოძღვრებს, ახალ ნაგებობაში ძველი კოლიზეუმის ქვებს რომ ატანდნენ.

ქუჩაში გახვეულს მსურდა მეხსიერებაც გამეთბო და თან ჩემს პირდაპირ მოკალათებულ სიმონისგან სახე დამემალა. ასეთი მონდომებით, ასე მეთოდურად და ასე შემწყნარებლურად არასოდეს მიცდია ბერკლიში გატარებული დღეების გახსენება, როგორც ვაგონში გატარებული ამ ორი საათის განმავლობაში! სანამ ჩემ გვერდით ნორმანი მეგულებოდა, ჩვენს მყიფე ბედნიერებაში მომხდარი ცვლილებები თუ გართულებები თანდათან უფრო მეტ საფიქრალს მიჩენდა. ჩვენი სიყვარულის პირველი დღეები მაშინაც კი არ გამხსენებია, როცა ჩვენ შორის გაუგებრობამ იჩინა თავი, ბზარი დაეტოვა და გაღრმავდა. და აი, ეს ამბავი დღეს გამახსენდა; ის, რაც მე მასში დავინახე, პირველადმოჩენა გახლდათ. თურმე ჩვენი ურთიერთობის პირველ თვეებშივე ყოფილა ისეთი ამოუცნობი წამები, ეპიზოდები თუ ნიშნები, რაც მაშინ ჩემს ყურადღებას გამორჩენია.

ამ აღმოჩენის აზრსაც ჩავწვდი. ერთი არაბული თუ სპარსული ზღაპარი მომაგონდა: ხანშესული ქალი თავის ახალგაზრდობას მისტიროდა. სული შეპირებია, ნატვრას აგისრულებო. „დამიბრუნეთ ბავშვობა!“ — წამოუძახებია ქალს და მაშინვე პატარა გოგოდ ქცეულა. მაგრამ, ქალს დავიწყებია დაემატებინა: „...ახალგაზრდული სული შთამბერე!“ ამიტომ მის ბავშვურ თვალებს მოხუცის გამოხედვა შერ-

ჩენია, ხოლო ბედნიერება, რომლის დაბრუნებას ასე იმედიანად შენატროდა, სამუდამოდ გამქრალა მისთვის.

ვიჯექი ვაგონში და მეც ნათელმხილველის თვალებით ვიყურებოდი. ამ თვალებმა ახალი ნორმანი დამანახა. იმ მეორეს, რიგით პირველს, იმედი რომ გამიცრუა, დამქანცა და რომელიც ბოლოს მივატოვე კიდეც, უკვე ბუნდოვნად ვხედავდი. იგი ალბათ იქ დარჩა, მთებში, ტბის პირას. სამაგიეროდ, მეორე ნორმანი მახლდა თან და კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩემთან ერთად, მრავალ ძველებურ ხიბლს ეს ჯადოც დაემატებოდა. ამ ორი ნორმანიდან უფრო ნამდვილი და ცოცხალი სწორედ ეს მეორე ნორმანი იყო.

რადგან: მე არ ამომირჩევია იგი, ეს არჩევანი თვითონვე მომახვია თავს. იმ გარეული ფრინველივით, რომელსაც ალბათ ენათესავებოდა კიდეც. გაზაფხულზე მასაც გასცვივდა განგური, გასცვივდა ის პირველი ბუმბული, ზოგჯერ მქრქალი რომ მეჩვენებოდა. ახლა კი ეს ყოველივე კაშკაშა ხილვად დამიდგა თვალწინ და შეუძლებელი იყო არ დამენახა.

ღრმა, მწარე ოხვრა აღმომხდა. ვაი რომ, ნორმანთან დაშორების სინანული ჯერაც არ გამნელებია!

— დაღლილობამ არ გაგიარა? — მკითხა სიმონმა.

პარიზს ვუახლოვდებოდით.

1

ჩემი ძმა არ შემცდარა: ბუსარდელებიდან არავინ დაგვხვედრია სადგურზე. არც ერთი ბიძაშვილი არ მოსულა. ჩვეულებისამებრ, ტრანსატლანტიკის ექსპრესს მუდამ ისეთი ბრწყინვალე ტვირთი ჩამოჰყავს პარიზში, ჩვენი ოჯახის უმცროსი თაობა ცდუნებას უნდა აჰყოლოდა, ლიცეუმიდან პირდაპირ სადგურზე მოსულიყო და საბაბად ჩემი დახვედრა მოემიზეზებინა. მაგრამ არა! კაციშვილი არ ჩანდა. ამან მიმახვედრა, თუ რა მკაცრი ბრძანება იყო გაცემული! ეტყობა, მონსოს პარკის მთელ გაყოლებაზე, სადაც ჩვენი ნათესაობა იყო დასახლებული, ეს განკარგულება მრავალჯერ გაეცათ ტელეფონით.

ბაქანზე ჩავედი. უამრავი ხალხი შეგროვილიყო. პირველი მატარებლით ორი თუ სამი ამერიკელი კინოვარსკვლავი ჩამოვიდა, მაგრამ ხალხი მაინც არ დაშლილიყო: სახელგანთქმულ მოკრივეს ელოდებოდნენ. ისიც ბოლო ექსპრესით მოდიოდა, ოღონდ, ჩემგან განსხვავებით, მას ჰავრშიც ზარ-ზეიმით შეხვდნენ და აქაც უამრავი მეგობარ-

ნათესავი დახვდა. განსაკუთრებით ბალღებატატებული ქალები გეცე-
მოდათ თვალში.

ამას ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების ფუსფუსი ემა-
ტებოდა და ბაქანზეც ნამდვილი აურზაური იყო. ამ ბრბოში ძლივს
მივიკვლევდი გზას გასასვლელისკენ. მებარგულსა და სიმონს ჩამოვრ-
ჩი. მიკროფონის ზონარს ფეხი წამოვდე, ხან წელში ვიხრებოდი, ხან
ხალხის ტალღა მომაწვებოდა და მეც უკან-უკან ვიხევდი. ერთადერ-
თი მგზავრი ვიყავი, ვისაც მკლავებგაშლილი არავინ შეჰგებებია. რო-
გორც იქნა, გასასვლელს მივაღწიე, სიმონიც შევნიშნე. თავის მანქა-
ნასთან მიმიყვანა. ისე ამეშალა ნერვები, გული ისე შემეკუმშა, მეგო-
ნა, მალულად, სათადარიგო კარით, ახლობლების უნებართვოდ ვბრუნ-
დებოდი პარიზში.

შემოდგომის საღამოებისათვის ჩვეული ხშირი ნისლი შემოხვეოდა
ქუჩებს, მანქანის მინებს, მარჯვენა ფანჯარა ჩამოვუშვი და ქუჩებს
ხარბად დავუწყე ცქერა. ზუსტად ასე მოვიქეცი შეერთებულ შტატებ-
შიც, როცა ნიუ-იორკის ქუჩებში პირველად გავიარე ტაქსით. ნაშინ
მოლოდინს გადააჭარბა ყოველივე იმან, რაც წინდაწინ წარმოვედ-
გინა. პეპინიერის ქუჩაზე გაოცებისაგან თავი ვერ შევიკავე.

— შეხედე, — მივმართე ძმას, — ეს კაფე ხომ აქ არასოდეს ყოფი-
ლა!

პასუხის ნაცვლად, თითქოს ჩემი გულის მოგება სურსო, სიმონმა
შუშის საწმენდი ჩართო. თვალწინ გადამეშალა ნორ-ნაირი შუქის,
ავტომანქანის, ხალხის ტალღის მთელი პერსპექტივა. მანქანა
გზაჯვარედინზე შეჩერდა.

— სენტ-ოგიუსტენი — ჩავილაპარაკე ჩვენდა უნებურად.

— ნუ გეშინია, ყველაფერი ადგილზეა! — რაღაც უპირატესობის
გრძნობით მითხრა სიმონმა.

კურსელის მოედანზე მანქანამ სვლა შეანელა და ვან დეიკის გამ-
ზირზე შეუხვია. მონუმენტურ ჭიშკარში შევედით, რომელიც ოთხი
მჭრქალი ბურთითა და შუშაზე ძველებურ ყაიდაზე ამოტვიფრული
ვარსკვლავებით იყო მორთული. უცებ გული მაგრად ამიძგერდა.

სიმონს ეზოში არ შეუყვანია მანქანა, სახლის წინ გააჩერა. იგი
ჩვენთან არ ცხოვრობდა. „მცირე წვეულების“ შემდეგ ცოლ-შვილ-
თან ერთად მალზერბის მოედანზე დაბრუნდებოდა.

ტროტუარზე თავაწეული ვიდექი. ქუჩის ფარნები ნიხლში კია-
ფობდნენ. ფოთლებშერჩენილ, ტოტებგაშვერილ ხეებს შორის შუქ-
ჩრდილი ციმციმებდა მაღლა ჩამოკიდებულ ფარნების ირგვლივ. სახ-

ლის ფასადი ჩაბნელებული დამხვდა, მაგრამ ორნამენტების სიახლოვეს, რითაც ასე გულუხვად იყო მორთული მშობლიური სახლი, მას უკვე სულ ახლოს ვგრძნობდი. მეტისმეტი ფანტაზიის მქონე არქიტექტორმა, ეტყობა, გარნიეს სტილი პრიმიტიულად ჩათვალა და ყოველი კარნიზი, ყოველი რიგელი, ყოველი კუთხე საგანგებოდ დაამშვენა, შეაჭკო. სტილთა სრულ აღრევაში გადაიხლართა აჟურული ხვიები, კუნწუბები, ლომები და ნეპტუნები, დრაკონები და ზანგები, ნაძვის გირჩებით დაზვინული ლარნაკები, საკვამურებზე წამომართული ოუნუქის მავზოლეუმები, ბროწეულებით დახუნძლული კალათები, კისერთან მოკვეთილი ქალის თავებიანი როსტრები და ყოველივე ეს ქვისგან იყო ნაკეთები. ერთ-ერთი თავი გულუბრყვილო, მაგრამ გამოთაყვანებული გამომეტყველებით, სამხრეთის ფასადზე რომ იყო გამოკვეთილი, დიდი ხნის წინათ ჩემმა ძმებმა ალმოაჩინეს და განაცხადეს, აგნესიაო. სრულწლოვანი რომ გავხდი, სწორედ იმ დღეს მოახერხეს და ფანჯრიდან ქაღალდის გვირგვინი დაადგეს ქვის თავს. მერე მთელ სახლში ისმოდა მათი სიმღერა: „დღეს თავმოკვეთილის დღეობაა!..“ რა ენა უნდა, ხმამაღლა ვერ ვაღიარე, მაგრამ გულის სიღრმეში იძულებული ვიყავი მეთქვა: „მართალი არიან, ნამდვილად ვგავარ იმ თავმოკვეთილს.“

კონსიერჟი ჯიბურიდან არ გამოსულა; ზარის ღილსღა დააჭირა ოთი და ამით მსახურები გააფრთხილა. ორჯერ დარეკა: ე. ი. შინაურები არიანო. უცნობმა ახალგაზრდა მსახურმა გაგვიღო მშობლიური სახლის კარი.

— ემილი სადაა? — ვკითხე ძმას.

— თვითონვე დარწმუნდები, ჩემო კარგო, რომ ემილი დაბერდა. კოპლობს კიდეც. ასე რომ, მხოლოდ სუფრის გაშლას შეუძლია უხელმძღვანელოს.

პალტოები გავიხადეთ. ვესტიბიულში არავინ გამოსულა. კიბეს ავაყოლე თვალი, მაგრამ ვერც იქ დავინახე ვერავინ. ამიტომ მსახურს ვკითხე:

— ქალბატონი სადაა? — მერე კი დავუზუსტე: — დიდედა სადაა?

— ქალბატონი მცირე სასტუმრო ოთახშია, მადმუაზელ, მეორე სართულზე.

ლიფტს ჩავუარე და ზევით ფეხით ავედი. სიმონმა იმარჯვა და შეუჩნევლად გაიპარა. მივხვდი, სათადარიგო კიბით გაიქცა დედაჩემთან, რომელიც ალბათ მოუთმენლად ელოდა ახალ ამბებს.

მარტო ავუყევი კიბეს და დიდედას ოთახში შევედი. კვლავაც თავის საკარძელში დამხვდა, ფანჯრისკენ ზურგშექცეული. დიდედა ყვი-

ლას უკრძალავდა მის შეწუხებას და მზის ჩასვლის მერე თავის ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა. ჩვენი სახლი მონსოს პარკს გადაჰყურებდა და პარკის მკვეთრი შუქიც აწუხებდა დიდედას, ასე ამბობდა, საშინლად მატკივებსო თავს. ეს მან ოცი წლის წინათ განაცხადა და მორჩა, ამ საკითხს აღარც დაბრუნებია. გასაგებია, ამასობაში ხომ ოთხმოცდაათ წელს გადააბიჯა, სიარული აღარ შეეძლო და მეტყველების უნარიც თითქმის დაკარგული ჰქონდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა. ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გაუხედია პარკის მხარეს, არ შეუთვალიერებია ჭალა, ყვავილნარი, ასწლიანი სიკომორი, სახლის გვერდით რომ იზრდებოდა და სახლზე ადრე რომ გაჩნდა ამქვეყნად.

— ოდესმე პარკის მთელი ეს აურზაური ნამდვილად შემშლის ჭკუაზე! — მითხრა ერთხელ დიდედამ.

მაგრამ ასე არ მომხდარა. პირიქით, რაც უფრო ბერდებოდა, მით უფრო გულგრილი ხდებოდა გარე სამყაროს ხმების მიმართ.

დიდედასთან მისი პირადი მოახლე დამხვდა. ქალბატონზე ოდნავ უმცროსი, ბუსარდელების სამსახურში გაჭაღარავებული ეს კეთილი ქალი დაბალ სკამზე უხერხულად იჯდა. მთელი თავისი სიცოცხლე ძველმოდური ჩაჩი ეხურა თავზე, ცხვირზე ფოლადისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და დიდედას ხმამაღლა უკითხავდა ჟურნალ „Temps"-ს[1] ასე იყო გუშინ, ასე იქნება ხვალ. ამ ყოველდღიური, ერთსაათიანი რიტუალის დროს დიდედა თვალდახუჭული იჯდა და, როგორც თვითონ ამბობდა, ასე უკეთ უსმენდა. ცხადია, ეძინა. წაკითხული ნანასავით ჩაესმოდა ალბათ. საკმარისი იყო, მოახლეს კითხვა შეეწყვიტა ან ჩაეთვლიმა, ქალბატონი მაშინვე გაახელდა თვალს და სავარძლის სახელურზე დააკაკუნებდა, წესრიგისკენ მოუწოდებდა: სიჩუმე აფხიზლებდა. პატარაობისას მეტად ბუნდოვან და გაურკვეველ სამყაროდ მეჩვენებოდა ყოველივე, რაც დიდედას ირგვლივ ხდებოდა.

— აი, მადმუაზელ აგნესიც! — დაიძახა მოხუცმა ფრანსიზამ და წამოდგა.

ახლოს მივედი. დიდედამ მძიმედ ასწია ქუთუთოები და ისე შემომხედა, თითქოს უნდოდა, ჯერ ჩემს იქ ყოფნას შეჩვეოდა. მერე ხელები ასწია და ჩემი სახე მშვიდად მოიმწყვდია ხელისგულებში. მისმა „ალერსმა" ქუდი გვერდზე მომიქცია, ეს იყო და ეს, არავითარი სხვა სითბო არ გამოუხატავს. შემდეგ თავისკენ მიმიზიდა და ტუჩები ოდნავ შემახო შუბლზე. ბოლოს ისე გამიშვა ხელი, ერთი სიტყვაც არ დასცდენია!

---

[1] „დრო" (ფრანგ.).

ძალიან გასუქებული მეჩვენა. ახალგაზრდობაში მისი იდეალი დედოფალი ვიქტორია ყოფილა. არჩევანისთვის არასოდეს უღალატნია და ალბათ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იგი მის კერპად დარჩებოდა. დიდედა კიდეც დაემსგავსა მას, მაგრამ ეს იყო, ასაკით გადააჭარბა თავის იდეალს. ეტყობა, თამაში ვერ მოზომა, თავის კერპს იმდენ ხანს ბაძავდა, რომ ბოლოს მის კარიკატურად იქცა: თითქოს გაფუვდა, ერთიანად მოეშვა, თავი მხრებში ჩაფლობოდა, ხოლო აზღუდით მაღლა აწეული მისი მკერდი ლამის ნიკაპს მიბჯენოდა; ასერიგად მოჩოლფოთებულს ლოყები და ორმაგი ღაბები უსაშველოდ დაბერვოდა. პიბილოდასიებული უშველებელი ყურებით იგი ბუდას წააგავდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვედა ტუჩი მუდამ ამრეზილი ჰქონდა. და თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დიდედა ჩვენი საგვარეულოს ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ, რომელსაც კეთილშობილური იერი თუ არა, ჯიში მაინც ეტყობოდა. ოჯახის სხვა წევრები, უბრალოდ, მსხვილი ბურჟუები იყვნენ, დიდედა კი — მაღალი წრის ბურჟუა ქალი! მამამისს, გრაფ კლაპიეს, პირველი იმპერიის დროს მიეღო წოდება, ხოლო მისი სიმდიდრის წყარო მეორე იმპერიის პერიოდიდან იღებდა სათავეს. ამ საკმაოდ დიდ ქონებას კლაპიეს საგვარეულო ძირითადად პერუს გუანოს უმადლოდა.

დაბალ სკამზე ჩამოვჯექი. თვალს არ ვაშორებდი ამ მოხუც მანდილოსანს, რომელსაც ამქვეყნად ჩემს გაჩენაში წილი მიუძღოდა. რა ღრმა მოხუცია! რა ხანგრძლივი ცხოვრება განვლო! ბოლო ორ წელსაც თუ ჩავთვლით, ჩემს ცხოვრებაში ერთხელაც არაფერი მომხდარა ისეთი, რომ აი, ამ სავარძელში მოკალათებულ დიდედაჩემს თავისი სიტყვა არ ეთქვას! ამიტომ შეუძლებელი იყო, არ მყვარებოდა.

ხელები მუხლებზე ეწყო. ცალი ხელი ჩემს ხელებში მოვიქციე.

— როგორა ხარ, დიდედა? — ვკითხე ხმადაბლა, — ტკივილები ხომ არ გაწუხებს?

პასუხად რაღაც ჩაილუღლუღა.

— როგორც ვხედავ, კვლავაც არ გაკლებენ მოვლას, — დავძინე და მოხუც მოახლეს გავუღიმე.

ისევ ჩაილუღლუღა რაღაც. ეს მოკლე, გაუგებარი ზმუილი ლაპარაკის მაგიერი იყო.

ჯერაც არავინ შემოსულა ოთახში. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, რაზე მელაპარაკნა. უცებ გამახსენდა, ფრანსიზა არ გადამიკოცნია-მეთქი.

მოხუცმა მოგზაურობის ამბავი გამომკითხა და მეც წავეპოტინე ამ მაშველ აზრს: დაწვრილებით აღვწერე პაკეტბოტი, კაიუტა, ზემზე გატარებული დღეები. დიდედამ თვალები დახუჭა. სამაგიეროდ, სოფლად გაზრდილი ფრანსიზა გაოცებას ვერ მალავდა: „გემზე ლიფტია? კი მაგრამ, როგორ?“ აუდიტორიას ხათრი ვერ გავუტეხე და მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სიტყვები არ დავიშურე.

როგორც იქნა, კარი ხმაურით გააღეს. მამიდა ემა ახლაც ისე შემოვიდა, როგორც ხვა დროს შემოდიოდა ხოლმე ოთახებში: ფართო ნაბიჯებით მოუბღოდა წინ დედაჩემს. თუმცა სამოცდაშვიდი წლისა იყო, თუმცა იატაკზე სქელი ხალიჩა ეფინა, მაინც ისმოდა მისი ფეხსაცმელების ბრაგაბრუგი. სასტუმრო ოთახი მაშინვე გამოფხიზლდა.

— საღამო მშვიდობისა, ფისო! — დაიყვირა მამიდამ. მუდამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა მოწინააღმდეგეს აჯობა, დავა მოუგო და საბოლოოდ გაანადგურა.

— საღამო მშვიდობისა, ოქრო! — ეს დედაჩემის ხმა იყო.

ამ სიტყვების წარმოთქმას თითოეულმა თავისი გასაღები მოარგო, თავისებური მანერა გამოუძებნა, ოღონდ მათ ხმაში ერთნაირი გულგრილობა იგრძნობოდა. ასე იმ მოახლეს ეუბნებიან („საღამო მშვიდობისა, ძვირფასო!“), რომელიც გულზე არ ეხატებათ. როცა მამიდამ „ფისო“ მიწოდა, კარგად იცოდა, რომ სულ არ ვგავდი ამ ალერსიან პატარა ცხოველს, ხოლო დედაჩემის „ოქრო“ არასოდეს ვყოფილვარ.

ამასობაში ბუსარდილური კოცნის ღირსიც გაეხადეს! ოთხი კოცნა მივიღე, თითოეულისგან ორ-ორი: პირფერული, ჰაერში გატკაცუნებული „მწუ“, „ნწუ“ ისე წყდებოდა, ლოყამდეც ვერ აღწევდა. შორეული ბავშვობა მომაგონდა. მამიდაჩემის სუნიც ერთბაშად ვიცანი! კრეპის სუნი (მამიდა მუდამ კრეპის ტანსაცმელს იცვამდა), გაციებული ნაცრისა და უნაყოფო მიწის სუნი! მას შემდეგ, რაც ღვიძლის ტკივილი დაეწყო, ეს სუნი უფრო მძაფრი და აუტანელი გახდა.

— აბა!—ხმა დაუნაზლა დედაჩემს და ისე გადააქნია თავი, თითქოს ჩვილ ბავშვს ელაპარაკებოდა. მისი მაცდური გულკეთილობა მამიდას გესლიან, მშრალ ტონზე უფრო საშიში იყო! მამიდასთან კიდევ გახდებოდი რაიმეს, წინასწარ მაინც მიიღებდი გამაფრთხილებელ ზომებს!..

— აბა, ძალიან ხომ არ გადაიღალე?

— ოო, მარი, საყვარელო! — შეეკამათა მამიდა, — განა მის ასაკში

გადაღლაზე ლაპარაკი შეიძლება? ეს ხომ უბედურება იქნებოდა?!.. ოღონდ...

ხელში ფითებით ნიკაპი ამიწია, სახე ჯერ მარჯვნივ შემიბრუნა, მერე მარცხნივ, ბოლოს ტუჩები მოკუმა და ისე დაბრიცა, თითქოს ჩემს გამომეტყველებაში რაღაც უსიამოვნო ამოიკითხაო.

— ძოხადე ეგ ქუდი! მინდა კარგად შევათვალიერო... ჰოო!

ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი, წმინდა ბუსარდელური „ჰოო...“

— ჰო, მართლა, რამდენი წლისა ხარ?

— თვითონაც კარგად იცი, მამიდა, ოცდაოთხის...

— რაკი გეკითხები, ალბათ დამავიწყდა. მადლობა ღმერთს, საზრუნავი არ მაკლია. იქნებ გვონია, ლოცვის მაგივრად მთელი საღამოები შენს curriculum vitae[1]-ს ვიმეორებ... სულ ერთია, ახგარიში მაინც ამერეოდა...

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა დედაჩემმა, — ოო, ეს ემა!..

დედაჩემისთვის იმდენად უცხო იყო პირდაპირობა, გესლიან შენიშვნებსაც არასოდეს ისროდა აშკარად, სამაგიეროდ, სხვისი ენამახვილობით სარგებლობაში ბადალი არ ჰყავდა და მაშინვე ვერაგულ ანრს ჩააქსოვდა შიგ.

— მაშ, ოცდაოთხი წლისა ხარ? — გაიმეორა მამიდამ, — ჰოდა, ფისო, შენს ასაკზე უფროსი ჩანხარ...

— ადვილი შესაძლებელია!..

— დიახ. დიახ, ღმერთმანი, ასეა! შენ უკვე აღარა ხარ... როგორ გითხრა... უფრო ზუსტად, შენ უკვე აღარა გაქვს ქალწულის სახე. იქნებ ვცდები?

— ოო, მამიდა ემა, — ვუთხარი და თვალი გავუსწორე, — შენც კარგად მოგეხსენება, საკუთარ თავზე მსჯელობა ძნელია. ამ საკითხში სავსებით გენდობი!

— დიდ პატივს მდებ! შენი სიტყვები, ჩვენებურად, ფრანგულად ასე უნდა ითარგმნოს: „მამიდა ემა, მართალი ხართ!“

— სულაც არა. ეს ნიშნავს: „ჩემთვის სულ ერთია!“.

— სულ ერთია, ქალწული ხარ თუ არა?

— სულ ერთია, ახალგაზრდულად გამოვიყურები თუ არა! მე ხომ არ მიყვარს კეკლუცობა!

— მართლაა? — სიტყვა გაწელა მამიდამ, — როგორც ყოველთვის, ბოლო სიტყვა შენ უნდა დავრჩეს, არა?

---

[1] ბიოგრაფია (ლათ.).

თავი ველარ შეეიკავე და დაეძინე:

— ახლა მაინც ხომ დარწმუნდი, რომ არ გამოვცვლილვარ!

აი, ასე გავითამაშეთ ჩვენ-ჩვენი როლი. როლები შესანიშნავად ვიცოდით, არაფრის შეცვლა არ დაგვჭირვებია. გულში კიდეც მიხაროდა და თან უკმაყოფილოც ვიყავი. სიჩუმე ჩამოვარდა. მამიდა ემა და მე თვალებით ვზომავდით ერთმანეთს, ოღონდ განსხვავებული ღიმილით. მამიდამ თავისი ადგილი დაიჭირა: დედამისის სავარძელთან დადგა და საზურგეს დაეყრდნო. თუ საჭირო იქნება, დედის სახელით იტყვის სათქმელს, რადგან ჯერჯერობით ოჯახის უფროსად მაინც დიდედა ითვლებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, შეეძლო არაფერი ეკითხა დედისთვის, დარწმუნებული იყო, საყვედურს ვერავინ გაუბედავდა. ასე რომ, ილაპარაკებდა ისე და იმდენს, როგორც მას მოეპრიანებოდა. დედა სავარძელში ჩაჯდა. ოჯახურ იერარქიაში მისი ადგილი იმით განისაზღვრებოდა, რომ დიდედას რძალი და ასაკით თავის მულზე უმცროსი იყო. მიუხედავად ამისა, ბედს არ უჩიოდა. მორჩილი ქალის მდგომარეობა ეკავა, ეს კი საშუალებას აძლევდა ხელსაყრელ აჩრდილს ამოფარებოდა. ბედს დამორჩილებული ქალის როლს ისევე თამაშობდა, როგორც ოჯახში მოპოვებული ავტორიტეტით ან საკუთარი პირველობით გაამაყებული სხვა ქალები თამაშობენ ხოლმე თავიანთ როლს.

სამი ნათესავის პირისპირ ვიდექი.

— ყოველ შემთხვევაში, კარგად გამოიყურები! — თქვა მამიდა ემამ.

დედამ შემომხედა. ასეთი გამოხედვა სხვა სახეს უფრო შეეფერებოდა, რადგან დედაჩემის მსხვილი ნაკვთები, ღიმილი, ერთთავად რომ ეფინა ბაგეზე. მისი ვარდისფერი ლოყები უცებ დაგაბნევდა კიდეც და სულ არ მიესადაგებოდა მის ეშმაკურ, გამჭოლ, მკვირცხლ გამოხედვას. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, თითქოს ნიღაბს, მოლხენილი ადამიანის ნიღაბს ატარებს, ხოლო იმ ორი ხვრელიდან, ორი თვალიდან სულ სხვა სული იყურებაო.

ერთი სიტყვით, თვალი დამადგა, მჭვრეტდა.

— დიახ... — თქვა ბოლოს,—მართლაც მშვენივრად გამოიყურები!..

იმ მეორე გამოხედვამ თავით ფეხამდე შემათვალიერა. ჯერ ფეხებზე შეაჩერა მზერა, მერე წელზე, მკერდზე. ვგრძნობდი, როგორ მაშიშვლებდა თვალებით, და ისე შემბოჭა. ცინიკური შემოხედვა რომ შეგბორკავს ადამიანს.

დედა არამც თუ ლამაზი, სანდომიანიც კი არ ყოფილა არასოდეს. ელეგანტობაზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია. ამის უდავო მოწ-

მე ოჯახური პორტრეტებია. მიუხედავად ამისა, ოცი წლის ასაკში ვიღაც ოფიცერი ჰოსწონებია, მგონი კიდეც შეჰყვარებია, მაგრამ მასთან შეუღლებაზე უარი ვანუცხადებია, ოფიცერი ღარიბი ყოფილა. რას იხამთ! არც თვითონ გააჩნდა დიდი ქონება; დედამისი, ბაბუაჩემის და, ოცდაცამეტი წლისა დაქვრივებულა და პირველი ქმრისგან ოთხი შვილი დარჩენია გასაზრდელი. დედაჩემი მეორე ქორწინების ნაყოფი გახლდათ. ამდენმა და-ძმამ მისი მზითევიც შეამცირა და მისი ახალგაზრდული „იმედებიც“ დააცხრო. მართალია, ბუსარდელებს ნათესავად ეკუთვნოდა, მაგრამ არც მათი გვარისა იყო და არც მათ ქონებაში ედო წილი. როგორ გამოესწორებინა საქმე? არჩევანი ბიძაშვილზე შეაჩერა. მართალია, სხვა უყვარდა, ეს ბიძაშვილი კი სძულდა კიდეც, მაგრამ მაინც თავისი სურვილით მისთხოვდა მას და მთელი თავისი სიცოცხლე ეს ვერ ეპატიებინა ქმრისთვის.

ვერც ჩემთვის ეპატიებინა. როცა იგრძნო, რა ათვალისწუნებით ვუყურებდი მის ანგარებას, ბედნიერება მსხვერპლად რომ გააღებინა, ამომიჩემა. ადრე გადაწყვეტილი ჰქონდა, მის ყაიდაზე გავეზარდე, ოღონდ ჩემდამი სიყვარული კი არ ამოძრავებდა, უბრალოდ, ყველაფერს ვალის მოსახდელად აკეთებდა. მე კი ურჩი გამოვდექი. საშინელი ვერაგობა ჩავიდინე... მაშ, ურჩ ქალიშვილს სურს, თავის ჭკუაზე იცხოვროს? ჰოო? აი, ამის გაფიქრებაც კი აცოფებდა, მოთმინებას აკარგვინებდა. ამიტომ გადაწყვიტა, გზა გადაეღობა, ყოველ ნაბიჯზე კვანტი გამოედო ჩემთვის.

ამას ისიც დაემატა, რომ ულამაზო არ ითქმოდა ჩემზე. პირადად მე კი მიმაჩნდა, რომ ვერც სიკოხტავით, ვერც გარეგნობით ვერ ვაკმაყოფილებდი თანამედროვე მოდის მოთხოვნებს და გულიც მწყდებოდა. სულ მალე ალბათ გამუდმებული ბრძოლა მომიხდებოდა სიმსუქნის წინააღმდეგ: თეძოები უკვე გამიგანიერდა, მერე და მერე იქნებ ნაკეცებიანი ღაბაბიც გამჩენოდა! მწარედ ვფიქრობდი, საცაა ჩემი მშობლების გარეგნული ნიშნები დამეტყობა-მეთქი. მართალია, ჩემზე ამბობდნენ, სულ სხვა პეწი აქვსო, მაგრამ ეს იყო და ეს! სამაგიეროდ, მარი ბუსარდელის თვალში ჩემი ფიზიკური მონაცემები თითქმის იდეალად ქცეულიყო. იგი ხომ იმ დროს დაიბადა, როცა ქალები ტურნიურებიანი კაბებით ლაღიოდნენ, ხოლო გათხოვებით — მსოფფლიო გამოფენის წელს გათხოვდა.

ამბობენ დედები, თავიანთ სრულწლოვან ქალიშვილებს უცხოდ რომ მიიჩნევენ. წარმომიდგენია, როგორ შურდა დედას ჩემი! რა ძნელი იყო ჩემი ატანა არა მარტო ურჩობისათვის, არამედ გარეგნო-

ბის გამოც. მას არც ჩემნაირი გრძელი და დაკუნთული ფეხები ჰქონდა, არც მკვრივი მუცელი, არც მაღალი მკერდი, არც ასეთი ტუჩკბილი, არც ასეთი თვალები, არც ასეთი თმა!.. ამის აღიარება და ამაზე ფიქრი ნამდვილად მსიამოვნებდა და მის გამოხდომებზე აღარც კი ვბრაზობდი.

იჯდა ახლა დედაჩემი ლუდოვიკო XVI სტილის მშვენიერ სავარძელში, და სავარძელმაც იმწამსვე დაკარგა თავისი პეწი და ლაზათი. მოწითალო-სპილენძისფერი კაბა ეცვა. ჭყეტელა ფერები მუდამ უყვარდა, ეგონა, ასეთი ფერის კაბები გააკეთილშობილებსო ჩემს გარეგნობას, ის კი არ იცოდა, რომ პირიქით, მკვეთრი ფერები უფრო მეტად წარმოაჩენდა მის გათქვირებულ სხეულს. დედაჩემის გემოვნება მუდამ გაოცებას იწვევდა ჩემში: თითქოს განგებ ირჩევდა ისეთ ფასონსა და თარგს, სულ რომ არ უხდებოდა. სამაგიეროდ, დიასახლისობაში წუნს ვერ დასდებდით. ფარდების, ძველებური აბრეშუმისა და მაქმანების გაწმენდის საქმეში უტყუარი, ტრადიციული საშუალებების მცოდნედ ითვლებოდა. მისი საძინებელი ოთახი და ბუდუარი სასიამოვნო სანახავი იყო. საწოლის თეთრეული საუკეთესო, თხელი ქსოვილისა უყვარდა. მაგრამ როგორც კი პირადად მის ჩაცმულობას შეეხებოდა საქმე, ეს კარგი გემოვნება სადღაც ქრებოდა. იტყოდით, საკუთარ ტუალეტზე ზრუნვას მოსისხლე მტერს ანდობსო. ჩაცმაში მხოლოდ საკუთარ გემოვნებას ენდობოდა და სხვის რჩევას არაფრად აგდებდა.

2

მამიდა ემა უფრო მეტ წინდახედულობას ამჟღავნებდა. მისი ღრმა რწმენით, წესიერი კაბის გამოჭრა მხოლოდ ძაძების მკერავ სპეციალიზებულ ფირმებს შეეძლოთ. ამიტომაც ოცდახუთი წლის მანძილზე ამ ფირმების ერთადერთი, მუდმივი კლიენტი გახლდათ და ოცდახუთი წლის მანძილზე, მოდის კვალდაკვალ, ოდნავ განსხვავებულ კაბებს ატარებდა; ასეთ კაბებს სამგლოვიარო ცერემონიების მომსახურე ფირმა ოცდაოთხ საათში უკერავდა.

ეს „ფორმა“ პირველად პაპაჩემის გარდაცვალებისას ჩაუცვამს და თან განუცხადებია, საყვარელი მამის დასატირებლად შეკერილ ამ ძაძებს არასოდეს გავიხდიო. ჩემი თანდასწრებითაც ბევრჯერ გაუმეორებია ეს სიტყვები და ამას ისეთი მონოტონური ხმით ამბობდა ხოლმე, რომ დროთა განმავლობაში ეს ფრაზა რაღაც მინამღერივით გადა-

ექცა!.. ნუთუ მართლა ასე განიცდიდა მის სიკვდილს? ნუთუ მართლა უყვარდა მამამისი? მას ხომ საერთოდ არავინ უყვარდა!.. ვინ იცის?.. იმ ხანებში მე დაბადებულიც არ ვიყავი... ოღონდ ესაა, მამამისის არც ერთი გამონათქვამი, არც ერთი ჩვევა ერთხელაც არ გაუხსენებია; მთავარია, ძაძები ეტარებინა. საქმე ის კი არ იყო, რომ საყვარელი ადამიანის ხსოვნისადმი ერთგული ყოფილიყო, არამედ ის, რომ „საყვარელი მამის დასატირებლად შეკერილი ძაძები“ ეტარებინა. ეტყობა, ამ უაზრო ფრაზის ბუტბუტით იქარვებდა დარდს და, ამავე დროს, ვალსაც იხდიდა. მერე და მერე უკვე ჩვევად ექცა ამის თქმა, წამდაუწუმ, უადგილო ადგილას, დაუფიქრებლად ისროდა ხოლმე ამ სიტყვებს. ძაძებსაც ისე შეეჩვია, როგორც იმ თავის ამოჩემებულ ფრაზას და ის ძაძებიც ალბათ რაღაც ზრახვების განხორციელებაში ეხმარებოდა. ეს ზრახვები არც ისე ბნელი გახლდათ, როგორც მამიდაჩემის გარეგნობით ან მისი ლაპარაკით შეიძლებოდა გვემსჯელა. მართალია, სასტიკი, მკაცრი სიტყვების ხმარება ეხერხებოდა, მაგრამ ვონების გამჭრიახობით მაინც ვერ დაიკვეხნიდა. ბუნებით ავგული, არც პატივმოყვარეობით იტანჯებოდა. მისი ერთადერთი მასულდგმულებელი აზრი ოჯახი იყო: ოჯახის სიყვარული კი არა (განსაკუთრებულ უპირატესობას არავის ანიჭებდა ნათესავებში), არამედ თვითონ ოჯახი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ყველაფერი ის, რასაც ეს სიტყვა მოიცავდა, რასაც იგი აგრძნობინებდა, მოაფიქრებინებდა... იგი წააგავდა იმ მეთაურს, რომელსაც ხელქვეითების სიყვარული კი არ ამოძრავებს, არამედ მათ დასამორჩილებლად ბრძანების გაცემის უფლება ახარებს.

დიდედას ოთხი შვილიდან ძია თეოდორი უფროსი იყო, შემდეგ მამიდა ემა მოდიოდა, მერე მამაჩემი და მამიდა ლუიზი. ამგვარად, მამიდა ემა მეორე შვილი გახლდათ, მაგრამ იერარქიის კანონების მიხედვით და ტრადიციებზე აგებულ ბუსარდელების ოჯახში ორი უფროსი შვილისთვის აღმოჩნდა ადგილი.

ძია თეოდორი ამ პატივითაც კმაყოფილი იყო. სიცოცხლით სავსე, ზოგჯერ ზედმეტად გულგრილ კაცს ბანკის საქმეები დიდად არ აინტერესებდა და მისი განმგებლობა მთლიანად მამაჩემს გადაულოცა. სამაგიეროდ, უძრავ ქონებას ზრუნვას არ აკლებდა. ყველაზე ნათელი დღეები მის ცხოვრებაში ნადირობის ხანა იყო, ხოლო როცა ნადირობა აიკრძალებოდა, იგი ხმამაღალი სიცილით ჰყვებოდა ხოლმე ნადირობის ამბებს და ნადირობის ახალ სეზონს მოუთმენლად ელოდა. დაქვრივების შემდეგ ძია თეოდორმა ექვსივე შვილი დააქორწინა და

მამისეულ სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად. ამ უზრუნველ კაცს არც ახლა დაუჩემებია უფროსობა.

ასე რომ, ერთთავად ძაძებში ჩაცმულ მამიდა ემას მაგრად ეჭირა სახლის მართვა-გამგებლობის სადავეები, სარგებლობდა ძია თეოდორის გულგრილობით, მამაჩემის უგერგილობით, დიდედას ლეთარგიული მდგომარეობით და მთელ სახლს, სხვენიდან სარდაფამდე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უძღვებოდა. ამ სამეულს იგი თავის ნებაზე ატარებდა და საკმაოდ მიკიბულ-მოკიბული გზით, თუმცა კი მშვიდობიანად უძღვებოდა მთელ ოჯახს. იმის შეგრძნება, რომ მთელი ნათესაობის მმართველი თვითონ იყო, ბედნიერებას ჰგვრიდა.

სამაგიეროდ, თვითონ მამიდა ემას დედაჩემი კარნახობდა თავის არც თუ მიამიტურ ზრახვებს, კარნახობდა ფრთხილად, შეპარვით. მამულის მოურავსაც ასევე ჰგონია, პატრონს ვძარცვავო. არადა, თვითონ მას მსახურები ძარცვავენ.

დედაჩემს ისე ეჭირა თავი, თითქოს ბრმად ემორჩილებოდა მამიდას ყოველ განკარგულებასა და მოსაზრებას, ელაქუცებოდა, კვერს უკრავდა, უკბილო რეპლიკებს უწონებდა, მ-ს უდავო უპირატესობას აღიარებდა. ზოგჯერ უცოდველ ბატკნად მოაჩვენებდა თავს, გაუბედავად შესციცინებდა ხოლმე. სანდომიანად ეღიმებოდა და ამბობდა: „სად ჩემი და სად ემას ჭკუა! მე, უბრალოდ, საზრიანობა არ მაკლია!“. მაგრამ რამდენჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, ასეთი სიტყვების შემდეგ, როგორ აარიდებდა თვალს, ალბათ ეშინოდა, სარკაზმით სავსე გამოხედვამ არ გამცესო.

ასეთი მანევრები ძალიან ეადვილებოდა. მისი მთავარი საზრუნავი ჩემი ორი ძმა იყო, ყოველ ხერხს ხმარობდა, ოღონდ კი ყველა უპირატესობით ესარგებლათ. კანტორაში იქნებოდა თუ შინ, შემოსავლის, პრივილეგიებისა და სხვა წყალობათა მეტი წილი სწორედ მათ უნდა რგებოდათ. კაცი იფიქრებდა, ამას ვერავინ ამჩნევსო, მაგრამ მე ხომ ვამჩნევდი?! თანაც ვამჩნევდი იმიტომ, რომ მიმალავდნენ. რამდენჯერ მომხდარა, სიმონის ან ვალენტინის ოჯახში ყოფნისას, რაიმე სამშვენისი ან სურათი შემინიშნავს. ჰოდა, მეც არ ვაყოვნებდი, უნდა ვაღიარო — სიამოვნებასაც მგვრიდა მათი გამოაშკარავება-და ვამბობდი: „შეხედეთ! ჟიროდეს ეს სურათი ხომ ვან-დეიკის, გამზირიდანაა, ჩვენთან, მოსაწევ ოთახში რომ ეკიდა!?“ ერთხელ კი ისიც ვნახე, რომ ყელსაბამი, რომელსაც დიდედა მე მინახავდა, ჩემს რძალს ეკეთა. ეს თამაშიც მალე მომბეზრდა, რა აზრი ჰქონდა წამდაუწუმ შემეხსენებია ნათესავებისთვის მათ მიერ ჩადენილი უკანონობა? ხომ შეიძლებოდა

ყოფილიყო, დაჩაგრულად გრძნობსო თავს... მაგრამ ის, რასაც ჩემი ოჯახი „აგნეიოს აუტანელ ხასიათს“ ეძახდა, ჩემდა საბედნიეროდ, ზეშვარიტი უანგარობით იყო ნაკარნახევი.

და მაინც, შეუძლებელი იყო დედაჩემის უჩვეულო ნიჭით არ აღფრთოვანებულიყავი! ყოველი ხრიკი, უმალ — ამ ხრიკების პრაქტიკული შედეგი, იმდენად დიდი იყო, გაცილებით აჯარბებდა იმ საჩუქრების ფასეულობას, ვაჟიშვილების სასარგებლოდ რომ გასცემდა. სხვა ბევრი ხრიკიც ჩაიდინა დედაჩემმა, ბევრი სხვაც მოფიქრებული ჰქონდა. მეტად რთული, მეტად მოხერხებული ქალი გახლდათ და ამიტომ ვფიქრობ, უკეთესი ბედის ღირსი იყო-მეთქი! როგორც ხედავთ, დამსახურებას არ ვუკარგავ. მიმაჩნია, რომ ნამდვილად შეეძლო ისტორიული პიროვნება გამხდარიყო. სხვა დრო რომ ყოფილიყო, მეორე პრინცესა ურსინელი ან მადამ დე მონტენონი გახდებოდა. ოღონდ ესაა, გარეგნობა შეუშლიდა ხელს!

ასეა თუ ისე, ბუსარდელების წარსული და აწმყო მჭიდროდ იყო გადანასკვული ოჯახურ წყობასთან და, საბოლოო ჯამში, დინასტია მატრიარქატისკენ იხრებოდა. ოჯახს ქალები მართავდნენ: უფროსობის უფლებით — დიდედა, ფორმალურად — მამიდა, ხოლო სინამდვილეში — დედაჩემი!

ჩვენი მიამიტური გაპაექრებით მამიდა ემა დაკმაყოფილდა. ეტყობა, გადაწყვიტა, ჯერჯერობით ესეც საკმარისიაო. დარწმუნებული ვარ, ამაზეც დედაჩემს შეუთანხმდებოდა წინასწარ. რა თქმა უნდა, სიმონმა უკვე მოასწრო ეცნობებინა ჰავრში ჩვენი შელაპარაკებისა და თავისი მარცხის ამბავი. დედაც და მამიდაც საკმაოდ კარგად მიცნობდნენ: თუ გავჯიუტდებოდი, სიტყვას ვერ დამაცდენინებდნენ. მეც კარგად მქონდა შესწავლილი დედაჩემის ხასიათი: დაკითხვები ცოტა ბნით შეწყვიტა.

— ფისო, თუ გინდა, ახლავე ვეტყვი, აბაზანა მოგიმზადონ, — მითხრა მამიდამ, — ნებას გაძლევ!

ჩემი ოთახი მეოთხე სართულზე, სახლის ჩრდილოეთ ფრთის ბოლოში იყო. ტუალეტის ოთახი ისეთი პატარა აღმოჩნდა, აბაბანის ნაცვლად საშხაპე მოვაწყვე. საშხაპის მოწყობის ნებართვა რომ მივიღე, ესეც დიდი რამ იყო! გამუდმებით მესმოდა: „განა მეორე და მესამე სართულებზე სააბაზანოები არაა? ნუთუ ოცდაათიოდე საფეხურის ჩავლა ასე გეძნელება? ან რა უაზრობაა ამ სიმაღლეზე

ასვლა, მით უმეტეს — მეოთხე სართული მსახურებისთვისაა განკუთვნილი! შენს ორიგინალობას ბოლო აღარ უჩანს!".

აბაზანის ოთახებიც მამიდა ემას გამგებლობაში იყო. ვისაც ბანაობა სურდა, მისთვის უნდა მიემართა, აბაზანის გასაღები ეთხოვა; ერთი სიტყვით, ზუსტად ისე, როგორც ოჯახურ პანსიონატებშია! ლიდსულოვანი წინადადებისათვის მამიდას მაღლობა გადუხადე და უარი ვუთხარი:

— შხაპიც საკმარისია, მამიდა ემა. მე ხომ ამ დილით კაიუტაში მივიღე აბაზანა!

— კაიუტაში? — ისე მკითხა, თითქოს გაუგებარ ენაზე ვესაუბრებოდი, — თუმცა, ჰო, მართალია. შენ ხომ გემით ჩამოხვედი! სულ დამავიწყდა.

გაბუტულა. ამ პაუზით მაგრძნობინა, შენი მგზავრობის ამბავი სულ არ მაინტერესებს, სხვა, უფრო სერიოზული საზრუნავი მაქვსო.

— კი მაგრამ, — განაგრძო მან, — ეს მერე ხომ მთელი დღე დაჰყავი ვაგონში?!

— მთელი დღე? მხოლოდ ორი საათი. თანაც, ტრანსატლანტიკურ ექსპრესში იდეალური სისუფთავეა.

— კარგი, ერთი! მატარებელში არასოდეს არაა სისუფთავე! თუკი, რა თქმა უნდა, პირადად თქვენი პიროვნება არ ახდენს გამასუფთავებელ მოქმედებას გარემოზე!

დედას ხმამაღლა გაეცინა.

— თუმცა რა ჩემი საქმეა. მოიქეცი ისე, როგორც გინდოდეს! — დაასრულა მამიდა ემამ, — თუ გინდა, სულაც ნუ იბანავებ!..

შეეხედე. დავაკვირდი მის მიწისფერ სახეს, ჰაიჰარად გადავარცხნილ თმას, მაჯებთან და კისერთან მაგრად შემოჭერილ კაბას.

— ნუ წუხხარ, — ვუთხარი მშვიდად, — სადილზე ისე გამოვალ, ჩემს გამო გაწითლება არ მოგიხდება!

ჩვეულებრივ, როცა საყვარელ გარემოში ბრუნდები, სიხარულით მოავლებ ხოლმე თვალს იქაურობას. არ ვიცი რატომ, — ალბათ შემეშინდა ან თუ შემრცხვა, მაგრამ ჩემს ოთახში რომ შევედი, ასე არ მოვქცეულვარ, არც კედლებისთვის შემიხედავს, არც ფანჯარასთან მივსულვარ. მის მიღმა მონსოს პარკი, ბავშვობაში ჩემი საყვარელი პარკი გაწოლილიყო, საღამოობით მუდამ ცარიელი და განსაკუთრებულად პოეტური.

სანამ დიდედასთან ვიჯექი, ჩემი ჩემოდნები უკვე ამოეტანათ. შიგ სუვენირები მეწყო ახლო ნათესავებისათვის. სათითაოდ ამოვალაგე. ერთხანს ხელში ვატრიალე, მერე გავიფიქრე, არა, სხვა დროს დავარიგებ: სადილად უამრავი ნათესავი მოვა, მე კი არც ბიძაშვილებისთვის, არც დეიდა ჟიულენისთვის არაფერი ჩამომიტანია-მეთქი. სუვენირები ყუთში ჩავკეტე.

კარზე არავის მოუკაკუნებია, არც შიდა ტელეფონით დაურეკავთ. რაღას ვაყოვნებდი, ტუალეტის ოთახში შევედი.

წყალი დუნედ მოჟონავდა. ამერიკული შხაპი მომაგონდა; იგი ჩემს კანს ისევე ახსოვდა, როგორც პირში შერჩენილი რაღაცის გემო ან ყურებში ჩაგუბებული ხმა. იქაური შხაპი მათრახივით მიტყლაშუნებდა კანზე, სისხლს მიჩქროლებდა, სასიამოვნოდ მიზელდა მთელ სხეულს. თუკი მოქნილი ტანი მაქვს, სწორედ იმ შხაპს უნდა ვუმადლოდე. ახლა რიღათი შევცვლი მის მადლიან ზემოქმედებას, თუკი ქონის მოკიდებას არ ვაპირებ?

ისეთი კაბა გადავიცვი, „მცირე წვეულებას“ რომ შეეფერებოდა. მერე დივნის კიდეზე ჩამოვჯექი, ხელები მუხლებზე დავიწყვე და კარგა ხანს ვიყავი ასე გასუსული, უაზროდ, უსაქმოდ, უხმოდ. ალბათ ამ საღამოს არაფერი მოხდება. დრო თითქოს ჩაკვდა, უსაშველოდ გაიწელა.

ნეტა სად არიან? რომელ ოთახში მოიყარეს თავი? რაზე საუბრობენ? „მცირე წვეულებაზე“, ჩვეულებრივ, ადრე მოდიან. ალბათ ახლაც ყველაა მოსული. თითქოს კიდეც მომესმა მამიდა ემას ხმა, სტუმრებს შეძახილებით რომ ხვდებოდა: „ჯერ არაფერი ვიცით!“ ცხადია, სიმონმა სახელდახელოდ აუხსნა ყველას თავისი მარცხის ამბავი, და ახლა ჩვენი შეხვედრის მისეულ ვარიანტს უყვება, თან ყბად იღებს ჩემს უაზრო სიჯიუტეს.

თითოეული სტუმარი კი, საკუთარი ტემპერამენტის მიხედვით, ასე წამოიყვირებს: „ხომ გეუბნებოდით?..“, „ჯერ სადა ხართ!“... „ნუ გავიწყდებათ, რომ ეს აგნესია!.. „გამოვჩნდები თუ არა, მაშინვე გაჩუმდებიან. საუბრის თემას შეცვლიან, ისეთ სახეს მიიღებენ, თითქოს ჩემი არსებობა არ აინტერესებთ. ამიტომ სულაც არ ვჩქარობდი მათი თათბირის შეწყვეტას. არც მათ ნახვას. ისიც კმარა, აქამდე რაც ეუყურე.

ვიჯექი და არ ვინძრეოდი; ეს წინასწარჭვრეტა ნაღველით მივსებდა გულს. ასეა მუდამ, როცა მოუთმენლობა ნერვებს გიღიზიანებს, როცა ილუზიებით თავს არ ინუგეშებ. ყურდაცქვეტილი, დაძაბული,

ფხიზლად ვიჯექი. სამაგიეროდ, ფეხქვეშ მთელ შენობას ვგრძნობდი, ყოველ მის ზღურბლს, ყოველ კარს, ყოველ დერეფანს, ყოველ კუნჭულს, ყოველ ფართო თუ პატარა ოთახს. ზეპირად ვიცოდი მათი განლაგება, თვალდახუჭული შემეძლო ორიენტირება... ფიზიკურად ისევე ვგრძნობდი მთელი ამ შენობის სუნთქვას, ჭერით — იატაკამდე, როგორც გემზე გრძნობენ ხოლმე ყველაზე ღრმა კუთხეში მიყუჟულ საცეცხლფარეშოს. ფეხქვეშ ვგრძნობდი მთელ ჩვენს სახლს, მის ირგვლივ კი — მონსოს პარკს. შენობა ამ პარკის შუაგული იყო — აბლაბუდის ქსელში გაჩხირული ობობა. რამდენი რამ გვაკავშირებდა ამ კვარტალთან! სწორედ მან გაგვამდიდრა, როცა მთელ ამ ველზე ჩემმა დიდმა პაპამ და მისმა ძმამ, ჩვენი სიმდიდრის ფუძემდებლებმა, მიწის ნაკვეთებით სპეკულაციას მიჰყვეს ხელი, მცირე პოლონეთიდან ოტრულამდე. ჩემი დიდი ბებია ბიტსიუს საგვარეულოს ეკუთვნოდა. ბარონ ოსმანის ბიძაშვილი გახლდათ. ამ ნათესაობამ და კეთილმა რჩევებმა საშუალება მისცეს ძმებს, ბუსარდელებს, იღბლიანი ქიშპობა გაეწიათ ბანკირი პერეირისთვის. ამის შედეგად ჩვენი ოჯახის მფლობელობაში საკმაოდ დიდი სიმდიდრე და უძრავი ქონება — ოცდაათიოდე შენობა გადმოვიდა, ჩვენი სახლის ჩათვლით, რომელიც ჩვენმა სამმა წინაპარმა დაახლოებით 1865 წელს ააშენა ფილიპ-ეგალიტეს ძველისძველი პარკის ახლოს. ამ დედა-შენობის ირგვლივ ახალი სახლები გაჩნდა, სადაც ბუსარდელები, ამ წინაპართა პირდაპირი ან არაპირდაპირი შთამომავლები ცხოვრობდნენ. ყოველი სახლი ჩვენს მამულს ესაზღვრებოდა. ხელმოკლე ნათესავები ტყავში ძვრებოდნენ, ოღონდ კი ნახევრადბნელი ანტრესოლი მაინც შეენარჩუნებინათ ბატირიოლისა და ტერნის[1] მისადგომებთან. შეძლებული ნათესავები, ოშის[2] გამზირის ბოლოს ან მალზერბის მოედანზე აშენებული სახლეჩის ბედსვიანი მფლობელები, ათვალწუნებით უყურებდნენ მოდურ კვარტალებს, სენისა თუ ბულონის ტყის გასწვრივ რომ ჩამწკრივებულიყო. მონსოს ველს არავინ ღალატობდა და საკუთარი ღირსების, მადლიერებისა თუ ცრურწმენის რთული გრძნობების ერთგული რჩებოდნენ.

კი მაგრამ, მე? მე რაღა მაკავშირებდა მასთან? რამ მიმაჯაჭვა დიდი ქალაქიდან გამოყოფილ ამ ქალაქს, ციკ კერას, ამ ოჯახს, სადაც იოტისოდენა სითბოსაც არავინ იმეტებდა ჩემთვის? ეს უღელი, ასე

---

[1] უბნებია პარიზის ჩრდილოეთით.
[2] ოში, ლაზარე (1768—1797) — ფრანგი გენერალი.

მძიმე რომ იყო ჩემთვის, ვერასგზით ვერ მომეშორებინა; ტკივილით, აღშფოთებით მივათრევდი მას, მაგრამ ხომ მაინც მივათრევდი?! შემთხვევამ გამათავისუფლა მისგან და მაინც ავჩქარდი და ხელახლა დავიდგი კისერზე. ნუთუ ასეთი მყარია ნათესაური კავშირი? ეტყობა, მჭიდროდ ჰყავთ შეკრული ყველა, სულ ერთია, უყვართ თუ არ უყვართ ერთმანეთი, სამაგიეროდ, სულიერი მსგავსება მაინც აქვთ. რეც ასევე ვიყავი შეკრული, და თუმცა არაფერი საერთო არ მქონდა სისხლით ნათესავებთან, არც მათი თვისებებითა და არც ჩემი ნაკლით ერთმანეთს არ ვგავდით.

რა მავიური ძალა, რა საშინელი ჯადო იყო ეს?

8

გონგის ხმა მომესმა. სადილად გვიხმობდა. მუდამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თეატრში ვიყავი და ზარი ფარდის ახდას მაუწყებს-მეთქი.

ახლაც იწყებოდა სპექტაკლი. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო ამ საღამოს. მოხდეს მერე! მშობლიურ ჭერქვეშ ჩემი დაბრუნება, მალული მოსვლა, თავშეკავებული შეხვედრა მხოლოდ დასაწყისი იყო იმ პატარ-პატარა 'იმედგაცრუებისა და წყენისა, რაც მელოდა.

მეორე სართულის სასტუმრო ოთახში, სადაც ნათესაობა შეგროვილიყო, ჩემს გამოჩენას არავითარი შეძახილები არ გამოუწვევია. ის კი არა, ისე მოახერხეს, საუბარიც არ შეუწყვეტიათ, მამიდა ემას თაოსნობით უმრავლესობას დიდედის სავარძელთან მოეყარა თავი. მამიდა ორატორობდა.

სიმონი მოპირდაპირე მხარეს იდგა. არ ვიცი, განაგრძობდა თუ ახლახან წამოეწყო საუბარი, ყოველ შემთხვევაში, ბიძაშვილებს ელაპარაკებოდა და ისინიც, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწიწებით უსმენდნენ.

— ამ ახალ კანონებს რომ გაეცნობით, — მომესმა მისი ხმა, — უნებურად გაიფიქრებ, ავტორებს წარმოდგენაც არა აქვთ მემკვიდრეობის უფლებებზე. ხედავთ, რა ხალხია სათავეში?! აჰა, — ისე დასძინა, ტონი არ შეუცვლია და ჩემკენ შემობრუნდა, — აგერ, აგნესიც!

აი, მერე იყო საინტერესო! აშკარად ეტყობოდა, აქ ისეთი რეჟისორის ხელი ერია, რომელმაც ზუსტად დაამუშავა კომედიის ყველა მიზანსცენა. მოხუცმა თუ ახალგაზრდამ ამრეზით თუ არა, გულგრილად

გადმომხედა, „კეთილად დაბრუნებაც“ ვერ გამოიმეტეს, მითხრეს, საღამო მშვიდობისაო, თან ისეთი სახით, თითქოს ორი წელი კი არ დამეყოს ამერიკაში, არამედ ამ შაბათ-კვირას, სულ ორიოდე დღით წავსულიყავი ფონტენებლოში.

სიურპრიზი მაინც მოხდა: მამიდა ლუიზმა გაუბედავი ნაბიჯით გადმოკვეთა სასტუმრო ოთახი.

— ჩემო აგნეს! — თქვა მან, — როგორ მიხარია შენი ნახვა!

გულწრფელად მაკოცა და. ხელახლა დაუბრუნდა თავის ადგილს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თითოეული ალბათ იმაზე ფიქრობდა, თუ რა სახის დატუქსვას მოუმზადებდა მას მამიდა ემა. რაკი არავინ აპირებდა ამ სიჩუმის დარღვევას, მამიდა ლუიზის მოკრძალებულმა გამოხდომამ თითქმის დემონსტრაციული ხასიათი მიიღო. საბედნიეროდ, მოხუცი ემილი გამოჩნდა და სადილზე მიგვიწვია.

ჩემთვის ადგილიც შეუცვლიათ სუფრასთან. ჩემს არყოფნაში ახალგაზრდა თაობას იმ ასაკისთვის მიეღწია, როცა უფროსებთან ერთად სუფრასთან დაჯდომის ნებართვას აძლევენ. ამ ახალ შევსებას შუაგულ სუფრასთან დაჯდომის წესი და რიგი არ დაურღვევია, სამაგიეროდ, განაპირა კუთხეებში შექმნილიყო ახალ-ახალი დაჯგუფებები. ერთ-ერთ ბიძაშვილსა და უფროს ძმისშვილს შორის დამსვეს. იქვე. ბიძაშვილი ქენეკიეევი და უმცროსი რძალი, ელენ-ვალენტინი ისხდნენ.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მამაკაცები სახელის გარდა იმით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ერთს ბიძა ერქვა, მეორეს — ბიძაშვილი, მესამეს — ძმისშვილი. მათი ცოლების საქმე კი ასე მარტივად არ იყო: ჩვენი ოჯახი იმდენად იწონებდა თავს თავისი გვარით, რძლის ძველ გვარს ვერავინ გუობდა. ქალი გათხოვებისთანავე ბუსარდელი ხდებოდა და საკუთარი გვარიც უნდა დაევიწყა. ამ სამმარცვლიან გვარს რაღად უნდოდა კიდევ სხვა გვარის დამატება?! ან ამით რას მოიგებდა? ან იმ ხალხს ხომ არ მიბაძავდნენ, დიურან-მიშარს ან მორენ-დიუვალს რომ ირქმევდნენ, აქაოდა, ამით შეტი წონა გვექნებაო?! ამიტომ ჩვენს ოჯახში ცოლის სახელს მხოლოდ ქმრის სახელ ემატებოდა, ხოლო გვარი — ბუსარდელი — თავისთავად იგულისხმებოდა. ასე რომ, ჩემს რძლებსა და ბიძაშვილებს ასე ვეძახდით: ელენ-ვალენტინი, ან სიუზან-ჯასტონი. მათ შორის ორი ქანა იყო: ქანა-სიმონი და ქანა-პოლი. დედაჩემსაც მარი-ფერდინანდი ერქვა. წერილებსაც ისე აწერდნენ ხელს, როგორც ისტორიულად სა-

ხელგანთქმული ცოლები: ლა ვერნ-ლაფაიეტი, ან პოლატრონ-პოლინიაკი.

რაკი მეინახეთა შემადგენლობა სუფრის ბოლოს საგრძნობლად გაახალგაზრდავებულიყო, იმედი მქონდა მათ შორის უშუალო და კეთილმოსურნე მოსაუბრეებს ვიპოვიდი, ვილაპარაკებდი ამერიკაზე, მით უმეტეს, რომ მთხრობელის ტალანტი ერთბაშად აღმოვაჩინე ჩემში. არა, არ იფიქროთ, თითქოს თავის მოწონება მინდოდა, თანაც — ახალგაზრდა შინაყუდებისგან შემდგარი ამ აუდიტორიის წინაშე. მათი გაოცება სულაც არ იყო ძნელი, არა, უბრალოდ, იმ ქვეყანაზე მწყუროდა ლაპარაკი, რომელიც ეს-ესაა დავტოვე; მინდოდა ხმამაღლა წარმომეთქვა ორიოდე ქალაქის სახელი, რამდენიმე ამერიკული გვარი. იმ შეყვარებულს ვგავდი, თავს რომ არ იზოგავს და გულუბრყვილოდ ცდილობს მისთვის საინტერესო საგანზე გადაიტანოს საუბარი, ამით კი შესაძლებლობა ჰქონდეს გაიმეოროს საყვარელი სიტყვები, ვითომ შემთხვევით ახსენოს „ერთი ამხანაგის სახელი...“ ერთი სიტყვით, თავი გამოამჟღავნოს.

მაგრამ არც ერთ ჩემს მეზობელს არაფერი უკითხავს ჩემთვის. ბიჭები, რა თქმა უნდა, ვერ ბედავდნენ, ან ეუხერხულებოდათ. ვერ დავიჯერე, რომ ჩემი მოგზაურობის ამბავი არ აინტერესებდათ და გადავწყვიტე, თვითონვე წამომეწყო ლაპარაკი.

ვერ მოვასწარი. მამიდა ემამ მკვეთრი მოძრაობით ჩადო კოვზი წვნიანით სავსე მათლაფაში, ჭამას მერეც მოვასწრებო, და იკითხა:

— აბა, გამოიცანით, რა მომივიდა დღეს ავტობუსში?!

ჯერ მარცხნივ მიიხედა, მერე მარჯვნივ და ამით მთელ სუფრას მოუწოდა, ყურადღება მიექციათ მისთვის. რაღას იზამდი? უნდა მოგვესმინა.

— ოო, ემა, საყვარელო, — მოჩვენებითი შიში გამოხატა დედაჩემმა, — იმედია, არაფერი სახიფათო არ შეგემთხვეოდათ!

— მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხასიათის სიმტკიცე გამოვიჩინე.

— ოჰ, არც მიკვირს! — მოწიწებით ჩაურთო დედამ.

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მამიდამ წვნიანის ჭამა განაგრძო; კოვზს მდაბიოსავით კი არ იდებდა პირში, კოხტად მიჰქონდა ტუჩებთან და... ისე ენერგიულად ისრუტავდა, ჩაიდანში ადუღებული წყლის ბუყბუყი მოგაგონდებოდათ. ამასობაში ყველანი ელოდნენ, როდის დაიწყებდა თავის თავგადასავალს.

— ჰოდა, — თქვა ბოლოს, როცა თეფში მოასუფთავა, — ავტობუსში ჩავჯექი.

მამიდას ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობა ძალიან უყვარდა. ბუსარღელებს სამი მანქანა ეყენათ, მაგრამ იგი არც ერთით არ სარგებლობდა. ზოგჯერ მთელ პარიზს შემოივლიდა და, როგორც თვითონ ამბობდა შინ დაბრუნებისას, ფეხზე ძლივს იდგა. მეც ვეკითხებოდი: „კი მაგრამ, ლიმუზინში რატომ არ ჩაჯექი?“ — „იმიტომ, რომ საჭირო არ იყო!“ — ისეთი კილოთი მიპასუხებდა, თითქოს რაღაც უდავო მიზეზი არსებობდა საამისოდ, ვთქვათ, ასეთი: „იმიტომ, რომ მანქანა გავყიდეთ!“.

სინამდვილეში, ქალაქის ტრანსპორტში ერთობოდა. საქმეგამოლეულს ლაქლაქი უყვარდა და არ იცოდა, რითი მოეკლა დრო. ამას გარდა, დარწმუნებული იყო, ავტობუსში ხიფათს არ გადაეყრებოდა: ასე უფრო მშვიდად ვგრძნობო თავს. ტაქსს კუბოს ეძახდა, ჭირივით სძულდა, ყოველგვარი სენის ბუდეაო, თან ვინ იცის, როგორ მძღოლს შეხვდებიო. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ერჩივნა.

მამიდა ქალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, მაღაზიებში, ბანკში, მეტროში აყალმაყალის ატეხას რომ არ ერიდება. მოქმედების საუკეთესო არენად კი მაინც ავტობუსი მიაჩნდა. მით უმეტეს, იქ ათასი ჯურის ხალხთან უხდებოდა კონტაქტი. ახალი ამბების პირველწყარო მისთვის ავტობუსი იყო. გაზეთებს იშვიათად კითხულობდა და ქვეყნის ამბებს ავტობუსებში მიღებული ინფორმაციებით ეცნობოდა. დაბრუნდებოდა მერე სახლში და გაიძახოდა: „იცით, რა თქვა ერთმა მანდილოსანმა № 37 ავტობუსში?.. თურმე ესპანეთში შიმშილით იხოცებიან...“ მანამდე ეს პრობლემა მას არც აინტერესებდა.

— იმას ვამბობდი... ჩავჯექი ავტობუსში. სენ-სულპისიდან ვბრუნდებოდი... მითხრეს, ერთ მაღაზიაში, სადაც საეკლესიო ჭურჭლით ვაჭრობენ, მსხვილი, დაგრეხილი სანთლები იყიდებაო. დიდი ხანია ასეთ სანთლებს დავეძებ, სასტუმრო ოთახის შანდლებისთვის მინდოდა. უნივერმაღში მათი შოვნა შეუძლებელია! თუმცა რა გასაკვირია, სადაა დღეს წესრიგი? ჰოდა, გადავწყვიტე იმ მაღაზიაში წავსულიყავი და საკუთარი თვალით შემემოწმებინა, მართლა ჰყიდდნენ თუ არა. მე ხომ თავის დაზოგვა არ ვიცი...

მამიდამ შეისვენა. არავისთვის შეუხედია, ეს შენიშვნა სათითაოდ ყველას უნდა მიეღო თავისი მისამართით.

თხრობა განაგრძო. უჩვეულო არაფერი იყო: კურსელის ქუჩაზე ქვაფენილს აწყობდნენ და ავტობუსის გაჩერება გადაეტანათ. მამიდა

ემას ეს ამბავი არ სცოდნია, მისთვის საჭირო გაჩერებაზე ჩასვლა ვერ მოუსწრია და ამ ამბავსაც მისი წყალობით ჭეშმარიტად დრამატული ხასიათი მიეცა: ავტობუსი მიდის, გაუვლია ვან-დეიკის პროსპექტი, გაჩერება მხოლოდ ბულვართანაა; მამიდას უკმაყოფილება გამოუთქვამს, ჩხუბიც აუტეხია... თავის უფლებებში კარგად ერკვევა: გაჩერება გადაუტანიათო? ჰოდა, განცხადებაც უნდა გაეკრათ ავტობუსში!.. კონდუქტორი გამგზავრების ნიშანს იძლევა... ასე ხომ?.. მის ჯიბრზე იქცევიან, ხომ?! კეთილი და პატიოსანი! ბოლო გაჩერებამდე გაჰყვება ავტობუსს, ინსპექტორს გამოიძახებს და, როგორც ჯერ არს, საჩივარსაც გადასცემს...

მომწყინდა და ბიძაშვილთან გამოლაპარაკება ვცადე:

— წარმოიდგინე, ნიუ-იორკის მიწისქვეშა გადასასვლელები...

— სსუ! — წაისისინა მან და ხელი ამიქნია, გაჩუმდიო. მამიდას თვალს არ აშორებდა, დაძაბული უსმენდა. აი, მაშინ კი გავიფიქრე: „რა სულელი ხარ, გოგო! განა ამ ჭერქვეშ ოდესმე სხვანაირად ჩაუვლია „მცირე წვეულებას“? ერთხელ მაინც თუ მოგისმენია რაიმე საინტერესო ამბავი? მუდამ მსახურებზე, გამყიდველებზე ან ბავშვების ავადმყოფობაზე არ იყო საუბარი? ნუთუ არ იცი, რომ ამ ხალხს სხვავან რომ მოესმინა ამ თემაზე მასლაათი, მაშინვე იტყოდნენ, საღამომ სულელურად ჩაიარაო, სამაგიეროდ, აქ ყველაფერი საინტერესოა, პრივილეგიებით სარგებლობს, რადგან საქმე ბუსარდელებს ეხებათ! განა არ იცი, რომ ამ გვარის მაგიური ძალა სწორედ ისაა, რომ იგი ყველაფერს კეთილშობილ იერს აძლევს?! განა არ იცი, რომ ყოველივე, რაც დიდ ხალხს გადახდენია თავს, ქების ღირსია? თუკი ამას ვერ ხვდები, თუკი მათი საუბრის თემა მოსასმენადაც არ გიღირს, რატომლა დაბრუნდი? ან აქ რატომ ზიხარ?“

ამასობაში სადილი ძველებურად გრძელდებოდა. კერძებით, ღვინით, სუფრის ჭურჭლითა და მომსახურებით თუ ვიმსჯელებდით, შეიძლება გეფიქრათ, დახვეწილ საზოგადოებაში მოვხვდითო. ლამაზ სუფრაზე რთველია ამოქარგული, მის ფონზე მეტად ეფექტურად გამოიყურება ჭოდიდან გადასული, პრეტენზიულად მოხატული, მაგრამ საოცრად თხელი ლიმოჟის ფაიფური. ბროლის სასმისები ისეთი მძიმეა, ვერც კი მიხვდები, ცარიელია თუ სავსე. შუა მაგიდაზე სარკის ლანგარი დგას, ზედ ხილით სავსე ოდიოს ნახელავი კერცხლის თასია.

არ დაგავიწყდეთ, სუფრის ეს ჭურჭელი „ნომერი 3“ გახლავთ. ვიცოდი, გასალებით ჩაკეტილ კარადებში ჩინური ფაიფურის სერვიზი და სევრის ბურჭელი ინახებოდა, რომელზეც გამოყვანილია ორი ინი-

ციალი: „ბ ბ“: ბუსარდელ-ბიტსიუ. ამ ჭურჭლით ოდესღაც პრინცესა მეტერნიხი მიირთმევდა თურმე საჭმელს! იმპერიის ხანის ვერცხლეული, საქსონიისა და უჯვუდის ფაიფურის ლარნაკები, ხმარებიდან გამოსული, მაგრამ მაინც მშვენიერი ათასნაირი სამშვენისი: ბოლისფერი ბროლის ფინჯნები, ოპალის სერვიზი პუნშისთვის... მახსოვს, ბავშვობაში ამ ნივთებს აღფრთოვანებით შევყურებდი!

ვიცოდი, სარდაფებში იშვიათი მარკის ღვინოები ინახებოდა: ღვინის კოლექცია ბუსარდელების ტრადიციებში იყავე ზედიოდა. როგორც გემრიელი საჭმელები. სამაგიეროდ, ბუსარდელების ტრადიციას უხეში სულიერი საზრდოც ეკუთვნოდა. ამ სახლში. რაც კი მეოჯახეობას ეხება, ყველაფერი დახვეწილია; ჭამენ დიდკაცურად, საუბრობენ — მდაბიურად!

მადლობა ღმერთს, სადილი დასასრულს უახლოვდებოდა. ბოლო კერძი შემოიტანეს: „წმინდა კავშირის“ რეცეპტით მომზადებული ხოხობი. ბუსარდელების სასახელოდ უნდა ითქვას, ეს ურთულესი კერძი გემრიელი გამოსვლიათ. ნანადირევს ძველ ღვინოს, კლო-ვუჟოს აყოლებდნენ. ეჰ! მართალია, ჩვენს ოჯახში აუცილებელი პირობაა ღვინისა და საჭმლის მცოდნე იყო, მაგრამ გემოს ჩატანება, გემოთი დატკბობა სავალდებულო არ არის. ვუყურებდი ჩემს ნათესაობას და ვფიქრობდი, ამ გემრიელ საჭმელ-სასმელს იმიტომ ნიქავენ. ორატორული ძალა რომ მოიკრიბონ-მეთქი. თუმცა რა აქვთ სათქმელი?!. ოსტატურად მომზადებული ნანადირევითა და ძველისძველი ბურგუნდული ღვინით იმისთვის ივსებენ ფაშვს, რომ მერე, თითქოს ჯადოსნური ჭიკარიაო, შუცლიდან ვერაგული სიტყვები და ათასნაირი სისულელე ამოანთხიონ.

ყურს არ ვუგდებდი. ამ საუბარმა საშინლად გამაღიზიანა. ოო, ეს ოჯახური პურობა! დღეში ორჯერ თავის შეყრა, ისიც მკაცრად დადგენილი დროით! ოჯახური ტრაპეზი! შურის, განხეთქილების, დამცირების, ბოღმის ტრაპეზი!.. სწორედ სასადილო ოთახში ისმენენ ბავშვები ყველაფერს, უკვირდებიან, მაჯელობენ. სწორედ აქ ხედავენ მშობლებს უნიღბოდ. სწორედ აქ ეუფლებათ დედისადმი შიში ქალიშვილებს. სასადილო ოთახის კედლებზე გაკრული კორდუს შესანიშნავი ტყავისთვის რომ გადამესვა ხელი, თითებზე ჩემი ადრინდელი ილუზიების, ამაო გულთბილობის, დაკარგული სიყმაწვილის მტვერი დამრჩებოდა.

ახლა მამიდისთვის ძია თეოდორს ჩამოურთმევია სიტყვა. როგორც ყველა ჩვენიანი, ისიც ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. ეს იყო ოჯა-

ხისთვის დამახასიათებელი ხმა — მყვირალა, მბრძანებლური, გულ-ვრილი. მავრამ ყველაზე ხმამაღლა მაინც ძია თეოდორი ლაპარაკობს, იცის, რომ კარგად მეტყველებს და ამით სჯობნის მამიდა ემას. ღმერთმანი, ბიძაჩემს თითქმის ისევე ეხერხება აზრის გადმოცემა, როგორც ვოლტერს — წერა. და გონებრივი უბადრუკობის გამოსამ-ზეურებლად გამოყენებული ეს დიდებული ფრანგული ენა დაუმსა-ხურებელი წყალობის, ბედის უსამართლობის შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენი სახელოვანი მონადირე უჩვეულოდ ბანჯგვლიანი გახლდათ. მთელ სახეზე მოსდებოდა წვერი, თვალებიღა უჩანდა. ოდესღაც წი-თურ ბალანს ჟამთა მსვლელობაში მოყვითალო-მოთეთრო ფერი დას-დებოდა. ძია თეოდორი ტყის ბებერ ნადირს ჰგავდა... ეს კაცი ნადი-რობის ისეთი ტრფიალი იყო, შემოდგომით რომ იღვიძებს მხოლოდ. დილიდან საღამომდე მაგარ სიგარას ეწევა და, ამიტომაც, მის გახუ-ნებულ წვერ-ულვაშს თამბაქოს ჟანგისფერი მუქი ლაქები ეტყობა. ხელებიც გაბანჯგვლული აქვს, წითური ბალნით დაფარული. ნადი-რობის გარდა, არავითარი სპორტი არ აინტერესებს. სამაგიეროდ, ნადირობა მდაბიოთათვის აკრძალულ სპორტის სახეობად მიაჩნია. საკ-მარისია ნადირობაზე წამოიწყოს საუბარი, მამიდა ემა მისი მისამარ-თით მაშინვე რეპლიკებს ისვრის; ისიც ხელდასხმული გახლავთ ამ საქმეში: ნადირობს, მშვიდად უყურებს ნადირის სისხლს, კურდღლის გატყავებაში ტოლს არ უდებს მამაკაცებს. ხშირად დაცინვით ჰყვება ძველ ამბავს: ერთ ახალგაზრდა ქალს ნადირობის დროს კურდღლის თათი მიართვეს თურმე პატივისცემის ნიშნად. ქალს ხელში აუღია ჯერ კიდევ თბილი, მოჭრილი თათი და, წარმოგიდგენიათ? გულწასული და-ცემულა...

— სეტერი მყავდა, სახელად „კალინი“,[1] — მომესმა ძია თეოდო-რის სიტყვები, — შეუდარებელ ნაბულს აკეთებდა... მახსოვს, სო-ლონში ვიყავი, ღამდებოდა და შინ ჩამოსასვლელად ვემზადებოდი...

ეს ამბავი არ მაინტერესებდა, ზეპირად ვიცოდი. შევეცადე სხვა რამეზე მეფიქრა. სიტყვა „სოლონმა“, იმის ნაცვლად, რომ ბევრონის სანაპიროზე მდებარე ჩვენი მამული გაეხსენებინა, სულ სხვა ჭალები გამახსენა, იმ აღვილებში დამაბრუნა, დღეიდან „პრერიას“ რომ ვარ-ქმევ და სადაც პირველად მთელი ბრწყინვალებითა და უცნაურობით გადამეშალა თვალწინ „ახალი ქვეყნის“ პიონერთა ბედი, სადაც პირ-ველად აღვიქვი ფენიმორ კუპერისა და მაინ რიდის პერსონაჟების

[1] „კალინ“ — ალერსიანი (ფრანგ.).

ნამდვილი სახეები. შეერთებულ შტატებში უცნაურად იწყება გაზაფხული: რამდენიმე კვირის განმავლობაში უჩვეულოდ ყვავის უდაბნო. ქალაქიდან მანქანით ჩამოდიან, რომ ამ სასწაულით დატკბნენ. სანამ ამ აყვავებულ სიმარტოვეში აღმოჩნდებიან, ათასი მილი უნდა გაიარონ უნაყოფო სამეფოში. მერე ამ ჭრელი ხალიჩის ნაპირას ისევე ჩერდებიან, როგორც ტბის პირას. უკიდეგანო ხალიჩა დიდ მანძილზეა გაშლილი, ჰაერის ოდნავ შეთრთოლებაზე იგი ცას ერწყმის და ჰორიზონტის ფერს იღებს... ასეთი სანახავი ადგილი მრავალია და ერთმანეთს სულ არ ჰგავს, რადგან თითოეულს თავისი ფერი აქვს, თითოეული საკუთარი ფერითაა შეღებილი: მოხავის უდაბნოში ლურჯი ყვავილები და ნარინჯისფერი ყაყაჩოები ქარის წამობერვაზე ირხევიან, ბეკერსფილდის მიდამოებში — ვარდისფერი ვერბენა ყვავის, ხოლო სილვერ ლეიკის მახლობლად — დაბალი, თეთრი ყვავილებია, რომელთა სახელები გადამავიწყდა...

— ყური დამიგდე-მეთქი, ფისო!

მამიდა ემას ხმა ჩამესმა. ხელახლა დაუწყია ლაპარაკი. მეორე ამბავს ჰყვებოდა. დარწმუნებული ვიყავი, დღევანდელი სტუმრები შინ დაბრუნებისას ამოიოხრებენ, ჭერს მიაპყრობენ თვალებს და იტყვიან: „ოო, ეს მამიდა ემა! მისი გადამკიდე, სადილობა ტანჯვა იყო და მეტი არაფერი!“ სამაგიეროდ, გარეგნულად არაფერს იმჩნევდნენ ახლა, მოწიწებით უსმენდნენ და, ალბათ, გულწრფელადაც, რადგან კოლექტიურ, საყოველთაო გრძნობებს ასეთი სასწაულის გამოწვევაც შეუძლია!

სიტყვა „ფისო“ მე მეხებოდა. ნუთუ იგრძნო მამიდამ, რომ მისი მონათხრობი გაკვეთილად გავომადგებოდა? ან იქნებ შემატყო, სულ სხვაგან რომ ვიყავი ფიქრებით?

ეტყობა, სადილის დაჭმევრებას არ აპირებენ: ტკბილეული შემოეტანათ. მამიდა ემა არდელოდან დაბრუნების ამბავს ჰყვებოდა. სიმონს აგარაკი ჰქონდა იქ, პირველი ცოლისაგან მზითვად რომ ერგო. ყოველ ზაფხულს ჩვენი ოჯახი იქ ისტუმრებდა ბავშვებს და მოზარდებს. მაგალითად, ამ ზაფხულს იქ ისვენებდნენ ჩემი ექვსი ძმისწული, მათი გადიები, დედაჩემი და ფეხმძიმე რძალი. მთელი ჯალაბობა ზღვის აბაზანებს იღებდა; უფროსი ძმა, ბედნიერი მეუღლე და მამა, აღმოსავლეთში მოგზაურობდა ელენთან და ვალენტინთან ერთად; მამაჩემი პარიზში საქმიანობდა, დიდედა მონსოს პარკისკენ ზურგშექცევით იჯდა სავარძელში და თვლემდა, ხოლო ძია თეოდორი

სოლონში ნადირობდა. მამიდაც მასთან წასულიყო სანადიროდ, მაგრამ „დასვენებისთვის“ განკუთვნილ დროს ერთი დღე მაინც მოაკლო, საბრალო მარის შეეშველა, რათა მთელი ეს უპულბუპულები, ინგლისელი გადიები და საცოდავი ფეხმძიმე რძალი აგარაკიდან წამოეყვანა.

მამიდა ემას წინასწარ შეუკვეთია ბულონში ორი კუპე, აქედან ერთი—ბავშვებისა და მათი გადიებისთვის. მგზავრობის საქმეში გათვითცნობიერებულ მამიდას შაბათი დღე აურჩევია წამოსასვლელად: ამ დღეს თითქმის არავინ ბრუნდება პარიზში. მართალია, ბავშვებს ერთი დღის ზღვის ჰაერი დააკლდათ — მოზრდილები მხოლოდ ორშაბათს უნდა გამოცხადებულიყვნენ სკოლაში, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?! სამაგიეროდ, მატარებელში ხალვათობაა. ეტაპლში არავინ ამოვა. სამი ქალი მყუდროდ მოეწყობა კუპეში.

ორივე კუპეს კარი გააღებინეს, დასხდნენ და მატარებელიც დაიძრა. ყველაფერი შესანიშნავად მოეწყო. მხოლოდ ორ პატარას აერია გული, ბაგრამ ეს რა მოსატანია! ქანა-სიმონი ყოჩაღად იყო. სადგურს უახლოვდებიან. უკვე სენ-დენია. ეს რაღაა? მატარებელი ჩერდება? ისიც სადგურის მოშორებით, შუა ქალაქში?.. გადის ხუთი წუთი... ნურას უკაცრავად! მამიდა ემამ ფანჯრის მინა ჩამოუშვა, წელამდე გადაიხარა გარეთ და მიმოიხედა. გაგიგონიათ ასეთი უიღბლობა? გზაზე არც ერთი რკინიგზელი არ ჩანს, ვერავის გამოელაპარაკები! ფანჯრებიდანაც რომ არავინ იყურება? წარმოგიდგენიათ? გამოდის, მარტო თვითონაა შეშფოთებული... რა უდარდელი ხალხია!.. ამიტომაცაა, ამდენი უბედური შემთხვევა რომ ხდება რკინიგზაზე... ერთბაშად ყურები ცქვიტა, უფრო მეტად გადაიხარა ფანჯრიდან... რაო?... ნუთუ მოესმა? ღმერთო ჩემო, „ინტერნაციონალი!“

ამის გახსენებაზე, ამ საშინელი ამბის გახსენებაზე მამიდას ხმა ჩაუწყდა, ოღონდ ერთი წამით! მერე პაუზის გასამართლებლად დაუმატა:

— ჰმ! ჰმ! პირდაპირ სუნთქვა შემეკრა. აბა, ჩემს ადგილას წარმოიდგინეთ თავი!.. ათი ადამიანის ბედი მებარა... „ინტერნაციონალი!“ მარი არ მიჯერებდა. არა, კი არ გისაყვედურებ, საყვარელო. მართლაც ძნელი დასაჯერებელია. აგერ, უკვე ოცი წელია ვიმეორებ, რომ ჩვენს დროში შეუძლებელია მშვიდად მგზავრობა. ჰოდა, ახლა ხომ დარწმუნდი? დიახ, „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ. თანაც გამკივანი, ისტერიული ხმით. ვტაცე ხელი მარის და ვუთხარი: ნუ გეშინია, დაიკო, არ მიგატოვებ-მეთქი და დავჯექი. ბავშვები და გადიები მაშინ-

ვე ჩვენს კუპეში შემოვაყვანინეთ: მინდოდა, თვალწინ მყოლოდა ყველანი... ოო, მე უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება! მზად ვიყავი მუშტი-კრივიც კი გამემართა, ამ ბრბოს კუდით ქვას ვასროლინებდი! აჯანყებულები მაშინვე ნახავდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე!

— აჯანყებულები? — ვიკითხე მე, — რაიმე არეულობა ხომ არ ყოფილა ამ შემოდგომაზე საფრანგეთში?

— გაზეთში, რა თქმა უნდა, კრინტი არ დაუძრავთ ამ ამბავზე. სისხლი რომ დაღვრილიყო, შეიძლება მხოლოდ მაშინ დაეწერათ. თუმცა ესეც საკითხავია!

— იქნებ, უბრალოდ, მუშები ან ახალგაზრდები მღეროდნენ „ინტერნაციონალს“ და არავითარი...

— აჰა, დაიწყო თავისი! — სიტყვა გამაწყვეტინა მამიდამ, — დაიწყო! შენ ხომ ყველა უნდა გაამართლო?! თუმცა რა გასაკვირია, ისეთი ქვეყნიდან ჩამოხვედი, საბჭოეთს რომ მეგობრობს!..

— ცდები, მამიდა ემა, გარწმუნებ, შეერთებული შტატები...

— სულ არ მაინტერესებს ეს შენი შტატები, ფისო! — არ დააყოვნა პასუხი, — მე კი გარწმუნებ, არც შეერთებული შტატები და არც ის ამბები, რაც იქ ხდება, არ მაინტერესებს! ისიც კმარა, რასაც ჩემს ქვეყანაში ვხედავ! მე ფრანგი გახლავარ!

მამიდამ საყელო შეისწორა და გამგმირავი თვალებით შემომხედა. მერე ხელი აიქნია, სხვა საკითხები უკუაგდო და განაგრძო:

— მაგრამ ამაში არაა საქმე! მარი, გეთაყვა, დამემოწმე: ხომ მღეროდნენ „ინტერნაციონალს“? მღეროდნენ. ხომ შევჩერდით წითელი ზოლის ცენტრში? შევჩერდით. მატარებელმა ხომ დაიგვიანა გასვლა? დაიგვიანა. რკინიგზელები ხომ არსად ჩანდნენ? არსად ჩანდნენ. აი, როგორი მდგომარეობა შეიქმნა!

საკუთარი ორატორული ნიჭითა და ირგვლივ გამეფებული სიჩუმით კმაყოფილმა მამიდამ აფორიზმები მოიშველია და სიტყვა დასრულა:

— ისეთ დროში ვცხოვრობთ, ერთი თვით კი არა, ერთი დღითაც რომ დატოვებ პარიზს, აღარ იცი, როგორი დაგხვდება!

მოკლედ გადმოგცემთ მამიდაჩემის მონაყოლს: მატარებელი დაძრულა, მშვიდად ჩაუვლია სენ-დენის სადგური, მისულა ჩრდილოეთის სადგურზე და გამოლენჩებული ბავშვები, დედა, გადიები და ჩვენი ფეხმძიმე რძალი დანიშნულების ადგილას ჩაუყვანია.

— მაინც რა მოხდა? — ვიკითხე მე.

მამიდა ემამ მრავლისმეტყველად ასწია საჩვენებელი თითი და დამარცვლით თქვა:

— ეს...ა..რა..ვინ ი...ცის!

— აკი ძიძამ მითხრა... — წამოიწყო ელენ-ვალენტინმა. საუბარში მისი უდროო დროს ჩარევა, საყოველთაოდ ცნობილი იყო ჩვენს ოჯახში. — რომ...

მამიდა ემამ ისე შეხედა, საბრალოს ყელში გაეჩხირა სიტყვა.

— დ ი ა ხ, ვ ი ც ი! — უპასუხა მამიდა ემამ, — ვიცი! მეც მითხრეს, თითქოს კონდუქტორს თქვენი ძიძისთვის მოეხსენებინოს, აქაოდა, სენ-დენის სკოლის მოსწავლეები მღვდლის თანხლებით სასეირნოდ ყამოსულ უპატრონო ბავშვებს რომ დაინახავენ, მაშინვე ამ სიმღერას წამოიწყებენო. მართალს ვამბობ?.. ჰოდა, ეს ზღაპარი სხვას უამბეთ, ძვირფასო! მადლობა ღმერთს, იმ თქვენი ძიძასავით მიამიტი არ გახლავარ!.. სხვათა შორის, მაგ გოგოს ურჩევნია აბრასავით ნუ ითხიპნის სახეს... თუმცა ეს უკვე მე არ მეხება, ეს თქვენი საქმეა, გეთაყვა...

რაღა უნდა მექნა? ყურებს ხომ ვერ დავიცობდი თითებით, ან ბავშვობაში, უძილო ღამეების დროს რომ ვიცოდი, ლექსებს ხომ ვერ ვიტყოდი ხმადაბლა: „მომიახლოვდით, ნერონ, დაბრძანდით და ახლავე გაგიფანტავთ ეჭვებს...?!"[1] მინდოდა სუფრაზე მიმოყრილი პურის ნამცეცები ამეკრიფა, დამეგორგლა და ასე გამერთო თავი, მაგრამ ვერ მოვასწარი: მსახურმა ჯაგრისით გადაწმინდა სუფრა, ყველი უნდა შემოეტანა. მეტი რა ჩარა იყო, უნდა მომეთმინა, სანამ ხილსა და ნამცხვარს შესანსლავდნენ. საცაა ამასაც მოათავებდნენ. ერთ ხელში დიდი სასმისი ავიღე, მეორეში — პატარა. თლილი ბროლი ჭაღის შუქს არეკლავდა და ისიც პაწაწინა, სხვადასხვა ზომისა და ფერის მარაოებად ეფინებოდა სუფრაზე. ჭიქებს ჩემს ნებაზე ვატრიალებდი, ერთმანეთისკენ მივაჩოჩებდი, ფერებს ერთმანეთში ვურევდი...

ძველი აგნესი, აგნესი — ბავშვი, ხელახლა გამოცოცხლდა. შორეული კუნჭულიდან გამოცოცდა, საპნის ბუშტივით გაიზარდა, მეორე ბუშტში შეიჭრა, დიდი ხნის წინათ მოწიფულ ქალს თავის ნებაზე მიმორჩილებდა, მთლიანად მიპყრობდა... ნუთუ ზღვები და ოკეანე იმისთვის გადაცურე, რომ ამ მიუნდობელი, კუშტი, მარტოსული, თავისებურად სანტიმენტალური ბავშვის აჩრდილი ხელახლა გაგეჩინა ქვეყანაზე?!

---

[1] ნერონის დედის, აგრიპინას სიტყვები, რასინის ტრაგედიიდან „ბრიტანიკუსი".

მოიცათ... მოიცათ... ეს ვისი სახელი ახსენეს?.. ვისი სახელი ჩამესმა ასე უცნაურად ყურში, გაოგნებიდან რომ გამომიყვანა და ბავშვობის დროინდელ მოგონებებს მომწყვიტა?! ამ სახელმა მთელ სუფრას შემოუარა, საცაა მასზე ლაპარაკსაც წამოიწყებდნენ, მაგრამ არა! მამიდა ემამ თვალით ანიშნა მსახურზე და იდუმალი ხმით წაიჩურჩულა!

— საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ... ახლავე... სასტუმრო ოთახში რომ გავალთ.

ყურები დაცქვიტეს. მივხვდი, ამჯერად აბდაუბდას არ მოჰყვებოდნენ, და პირველად მთელი დღის მანძილზე მხოლოდ ახლა შემიპყრო იმავე გრძნობამ, ჩემს ნათესაობას რომ ატყვევებდა: საუბრის თემამ დამაინტერესა.

ეს სახელი ყველას პირზე ეკერა. მეხსიერებაში აღმიდგა ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ბუსარდელების კლასიკურ ტიპს სულ არ წააგავდა. გამიკვირდა, ამდენ ხანს რატომ არ მომაგონდა-მეთქი. წარმოგიდგენიათ? ჰავრში ვისი ამბავი არ ვკითხე სიმონს, მისი კი...

ამგვარად, მამიდა ემამ გამოგვიცხადა, მოკლე ხანში ჩამოვაო. ჩემი ბიძაშვილი ვერ მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი, გადმოიხარა და მკითხა:

— გამაგებინეთ, ვინ ჩამოდის?

— ქსავიე! — ვუპასუხე მე.

ქსავიე ბუსარდელი შორეულ ნათესავად მეკუთვნოდა. ჩვენ შორის ასაკობრივი განსხვავება დიდი არ იყო, მხოლოდ სამი წელი: ის ოცდაერთი წლისა იყო, მე — ოცდაოთხის. ჩვენი ოჯახის ვარაუდით, მე და ქსავიე მაინც, სხვადასხვა შთამომავლობას ვეკუთვნოდით. ისიც და მეც ჩვენი წინაპრების, ბუსარდელ-ბიტსიუს პირდაპირი შტო ვიყავით, ოღონდ ქსავიე უფრო შორეულ საფეხურზე იდგა. ბუსარდელების ეს უმცროსი შტო ისე სწრაფად ქორწინდებოდა და მრავლდებოდა, სულ მალე უფროს შტოსაც გადაასწრო. მიუხედავად ამისა, თითქოს ღმერთმა დასაჯაო, ასე სწრაფად მომრავლებულ შთამომავლობას ავადმყოფობამ და ტრაგიკულმა სიკვდილმა დარია ხელი; დარჩა მხოლოდ ერთადერთი წარმომადგენელი, ისიც ძლიერ სუსტი: ქსავიე.

საქმე ისაა, რომ ბუსარდელების აქტივში მხოლოდ სიმდიდრე როდია. მას პასივიც აქვს, თუმცა ჩვენი ბანკის წიგნებში იგი არ აღი-

რიცხება. მემკვიდრეობა უფრო გამძლეა, ვიდრე თვითონ მემკვიდრეები. ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახებში უძველესი სენი მძვინვარებს: ზოგს იგი თავს დააცხრება, ზოგს ახლოსაც არ ეკარება. მამის მხრიდან ჩემს ნათესავებში ამ სენის უკანასკნელი კვალიც გაქრა. დიდედამ, ბარონ კლაპეის ჯანსაღმა და მხნე ქალიშვილმა არა მარტო ადალი სიშფიდრე შეინატა და ამით გაზარდა ჩვენი ქონება, არამედ ახალი სისხლიც შეუშვა ჩვენს ძარღვებში. მაგრამ როცა მისმა ვაჟიშვილმა — მამაჩემმა შორეული ბიძაშვილი შეირთო ცოლად, რომლის ოჯახი ბესარდელების შტოს ეკუთვნოდა, ამ საქმეში სენისთვის ხელსაყრელი კერა ხელახლა გაჩნდა: ჩემი და ჭლექით გარდაიცვალა, ვალენტინსაც სუსტი ფილტვები აქვს და მის შვილებსაც გამუდმებული მეთვალყურეობა სჭირდებათ.

და მაინც, ამ სენმა ყველაზე სასტიკად ქსავიეს მოდგმას დარია ხელი. პაპამისი ჭლექით გარდაიცვალა ოცდაათი წლის ასაკში, მამაშისს ომრთან ბრძოლაში გერმანელთა ჭურვი მოხვდა, დაიღუპა და ამით აიცდინა ამ სენისადმი მიდრეკილება. ამასობაში ქსავიეს დედა ხელმეორედ გათხოვდა, ამჯერად ჩვენი ოჯახის წევრი არ აურჩევია, თითქოს ამით უნდოდა თავიდან აეცილებინა ეს სასიკვდილო ავადმყოფობა. იგი ცოლად გაჰყვა რომელიღაც კოლონიის დიდი თანამდებობის პირს და ერთ მშვენიერ დღეს მასთან ერთად საფრანგეთი დატოვა. თქვენ გგონიათ, საცოდავი ობოლი ბიჭი ბედის ანაბარა მიატოვეს? როგორ გეკადრებათ! მას ხომ ნათლია ჰყავდა: მამიდა ემა!

ბავშვის პატრონობა მამიდა ემამ იკისრა: ამისთვის საჭირო სახსრებიც ჰქონდა და დაუხარჯავი სიყვარულის ულევი მარაგიც... ჰოდა, კიდეც გადაწყვიტა მფარველ-მეურვედ დადგომოდა მას, ოღონდ ერთი პირობით: როგორც თვითონ ამბობდა, carte blanche[1] უნდა მიეცათ: ამას გარდა, მართალია, არაფერი უთქვამს, მაგრამ მეორე პირობასაც გულისხმობდა: ამ მოვალეობას არაფრით არ უნდა დაეღალა მისი ყოველდღიური ცხოვრება.

უწინარეს ყოვლისა, ბიჭის ჯანმრთელობაზე უნდა ეზრუნა!.. დედობილმა საუკეთესო სპეციალისტები მოიწვია და შესანიშნავად მოაგვარა საქმე: ქსავიე ციმციმ გაამგზავრეს დავოსში.

---

[1] მოქმედების სრული თავისუფლება (ფრანგ.).

მან იქ მრავალი წელი დაჰყო. დროდადრო ჩამოდიოდა, დაბნეული, პარიზის ხმაურს, ჩვენს ცხოვრებას, ირგვლივ გამეფებულ ჩვეულებს მიუჩვეველი. ყოველ ჩამოსვლაზე უკეთესობა ეტყობოდა. მალე ავადმყოფობამაც გაუარა... შეეძლო დაბრუნებულიყო. მაგრამ უკაცრავად! ასე ბრმად ხომ არ დაუჯერებენ ექიმებს?! ასეთი გულუბრყვილო ვინ იქნება?! მამიდა ემამ გადაწყვიტა, არაფერი დაეკლო ნათლულისთვის, ამ მხრივ ვერაფერს უსაყვედურებდით. რა თქმა უნდა, ყმაწვილი უკვე მოწიფულია და ამოდენა სახლში არავის შეაწუხებდა, ამასთანავე, ნათლიას ხომ „საკუთარი შვილივით უყვარს ბიჭი", მაგრამ... მაგრამ მონსოს პარკში ისეთი სინესტეა! ხომ შეიძლება, ავადმყოფობა შეუბრუნდეს?! ამას ვინ აპატიებს? არა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა: ქსავიე მთაში უნდა დაბრუნდეს! სანატორიუმში თუ არ უნდა, ბინის დაქირავება ხომ შეიძლება?.. ვინმე იქაურ ქალს მოელაპარაკებიან, ჰოდა, ისიც მოუვლის, სადილს მოუმზადებს...

და მამიდა ემამ თავისი ნათლული მთაში გაისტუმრა. ერთი წლით. მერე კიდევ ერთი წლით. სულ თერთმეტი წელი გაატარებინა მთაში. ექიმები ურჩევდნენ, შინ წაიყვანეთო. ამას გარდა, უკვე უჭერხულიც იყო, ვინმე იფიქრებდა, თავიდან იშორებენო, ასეთი ხალხი მუდამ მოიძებნება...

და აი, ქსავიე ჩამოდის!

ეს ამბავი ადრეც ვიცოდი. ამერიკაში ჩემს წასვლამდე უკვე არსებობდა დედობილთან მისი დაბრუნების საშიშროება. მაგრამ მამიდა ემამ იმდენი იჯახირა, ქსავიე ხელახლა დატოვა მთაში და ჩემი ახალგაზრდა ნათესავიც ამიტომ არ დამხვდა ოჯახში. ახლა კი მამიდა იძულებული გახდა ჩვენთვის მისი ჩამოსვლა ეცნობებინა. ადვილი წარმოსადგენია, რას განიცდიდა მამიდა ემა! ძნელ მდგომარეობაში ჩავარდა: ცანა ასე იოლია ამ ყმაწვილზე, უკეთ, ამ მოწიფულ კაცზე ზრუნვა?! ქსავიე უკვე სრულწლოვანია. ახლა რაღა უყოს? რა საბაბით გაისტუმროს სადმე? ან სად გაისტუმროს?.. მართალი გითხრათ, მისმა ბედმა მეც დამაინტერესა.

მამიდა ემამ სუფრასთან განაცხადა, ამ საკითხზე სასტუმრო ოთახში ვილაპარაკოთო. მაგრამ როცა სხვებთან ერთად მეც გავედი ამ ოთახში მივხვდი, ვერაფერს შევიტყობდი: როგორც კი მსახურები ოთახიდან დაითხოვეს, მამიდამ დიდედას სავარძელთან უფროსი თაობის წარმომადგენლები მიიწვია, ე. ი. ყველა ის, ვინც ორმოცდაათ წელს

იყო გადაცილებული. უნდა ითქვას, რომ მამებისა და დედების უმრავლესობა და ბევრი სხვაც ჯერ კიდევ „უმცროსთა“ ჯგუფში ითვლებოდა. ჩვენი მომდევნო თაობა მართალია მრავლდებოდა, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევდა საშუალებას გადავეყვანეთ უფროსების ჯგუფში. მხოლოდ სიმონი იყო გამონაკლისი. პირველი შეკითხვა სწორედ მან მისცა მამიდას. ისეთმა ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, თვითონაც გამიკვირდა. დიდედას სავარძელს მივუახლოვდი, ხელში ყავის ფინჯანი მეჭირა. დედაჩემმა მაშინვე შემამჩნია, თვალებით ანიშნა მამიდას და ისიც მაშინვე გაჩუმდა:

— გვაპატიე, საყვარელო, — დათაფლული ხმით მითხრა დედამ და გამიღიმა, — მამიდას მოსალაპარაკებელი აქვს ჩვენთან... — მერე კი მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: — საი...დუმლოდ!

უფროსები მომაჩერდნენ.

— პირიქით, მე მაპატიეთ ასეთი კადნიერება! — ვუთხარი პასუხად, — ყავა მოგიტანეთ.

— ყავა ვისაც უნდოდა, ყველას მიართვეს, ფისო! — მომაძახა მამიდამ.

გავეცალე. მამიდა ლუიზს რომ ჩავუარე, ხელი გამომიშვირა, ფინჯანი გამომართვა და მოკრძალებით მითხრა მადლობა. რძლებისა და ბიძაშვილების ჯგუფს შევუერთდი. ისინი მუდამ წმინდად იცავდნენ ოჯახურ ადათ-წესებს და ახლაც განზე იდგნენ.

იქ კი, დიდედას სავარძელთან, არეოპაგმა ხმას დაუწია. მივხვდი, საქმე ფინანსურ მხარეს ეხებოდა. ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი, ყველაზე საინტერესო თვისება სწორედ ეს იყო: თუკი სხვა ოჯახებში უფროსების საუბარზე დასწრება მხოლოდ მაშინ ეკრძალებათ ბავშვებს, როცა ლაპარაკია სქესობრივ თემაზე, ბუსარდელები ხმადაბლა საუბრობენ და ბავშვებს მაშინვე ისტუმრებენ, როცა შემოსავალზე, მზითევზე, მემკვიდრეობაზე უხდებათ მსჯელობა. ფულის სიყვარულს პატარაობიდანვე გვინერგავდნენ, ვალდებულნი ვიყავით გვეამაყა ჩვენი კუთვნილი ქონებით, მაგრამ მისი ხსენება სასტიკად გვეკრძალებოდა. ამ თემაზე საუბარი მხოლოდ ხელდასხმულს, მხოლოდ საერთო კაპიტალის მფლობელს შეეძლო. ახალგაზრდებს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ, ასეთი იყო მათი ხვედრი ყოველ საკითხში. მაგალითად, ვიცოდი, რომ მამიდა ლუიზი ღარიბთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მამიდა ემა კი — მდიდართა ჯგუფს, მაგრამ მათ შემოსავალზე არავითარი წარმოდგენა არ გამაჩნდა. მთელი ოჯახის ქონება ჯერჯერობით დიდედას ხელში იყო, ხოლო თუ რა თანხას შეადგენდა იგი, არავინ იცოდა.

ოც მილიონს? ოცდაათ მილიონს? თუ ას მილიონს? ვინ იცის?! ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ ერთი მხრივ ხელგაშლილად ვცხოვრობდით, მეორე მხრივ — შაქარსა და სანთლებზე ისეთ უცნაურ ხელმომჭირნეობას იჩენდნენ, იფიქრებდით, ასე რომ არა, თვიდან თვემდე თავის გატანა ოჯახს ძალიან გაუჭირდებაო. თუ ვინმე ცდაპირებდა ამის გამორკვევას, ასეთ პასუხს მიიღებდა: „შენთვის სულაც არაა აუცილებელი ამის ცოდნა!“ ერთხელ ჩემი გათხოვება გადაწყვიტეს. ვინც კი მირჩიეს საქმროდ, ყველა უარით გავისტუმრე. და აი, მაშინ ასე მითხრეს: „შენ თვითონ აირჩიე საქმრო, ჩვენ კი მერე მოკითათბირებთ!“ და მაინც არ მაცნობეს ჩემი მზითევის ოდენობა.

რითი აიხსნებოდა ასეთი ტაქტიკა? რაიმე მორალური პრინციპით? ერთის მხრივ, ფულის ამაოებაზე მიგვანიშნებდნენ, მეორეს მხრივ — მის სიყვარულს გვინერგავდნენ. ეს ორი რამ როგორ უნდა შეგვეთავსებინა ერთმანეთთან? იქნებ, სურდათ შთაეგონებინათ, შესაძლოა, ერთ დღეს გაღარიბდეთო და გაჭირვებული ცხოვრებისთვის გვამზადებდნენ? კი მაგრამ, აკი წამდაუწუმ გვიმტკიცებდნენ, კაპიტალი მუდამ შეინარჩუნებს საფრანგეთში თავის ძალას და მიუხედავად კრიზისისა, მარჯვე კაცის ხელში შემოსავალი მუდამ გაიზრდებაო. მით უმეტეს, ბუსარდელების ოჯახის ისტორია სავსებით ამართლებდა ამ დოგმას. ან იქნებ მშობლებს ერთი აზრიდა ასულდგმულებდათ: სანამ ჩვენი მემკვიდრეობის ზუსტი რაოდენობა არ გვეცოდინებოდა, ქონებასაც ვერ ჩავიგდებდით ხელში და ყველაფერი მათ განკარგულებაში დარჩებოდა?! ან სულაც იქნებ სიძუნწით აიხსნებოდა ყოველივე?

მაგონდება, რა უცნაური სახე ჰქონდა მამაჩემსა და დედას, როცა სრულწლოვანი გავხდი და იძულებულნი იყვნენ შემოსავლის ანგარიში ჩაებარებინათ ჩემთვის. პაპისაგან დატოვებულ მემკვიდრეობას ორი თუ სამი ნათესავის მემკვიდრეობაც დამატებოდა, რაც აქციებში დაებანდებინათ და რასაც მამაჩემი განაგებდა. დედამ დიდის ამბით ჩამსვა სავარძელში, შუბლი შეჭმუხნა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ისე ალაპარაკდა, თითქოს რაღაც მძიმე დანაშაული უნდა აღიაროსო. მამა ბედს შერიგებული კაცივით აქიცინებდა თავს. ვიფიქრე, ჩემი კუთვნილი ქონება საფრთხეშია, გაქრობაზეა-მეთქი. პირიქით. თურმე ძალიან მდიდარი ვყოფილვარ. ისე გამამდიდრეს, მე თვითონ არაფერი ვიცოდი, და აი, ახლა სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა ეცნობებინათ ჩემთვის.

— დიდებულია! — წამოვიძახე. მგონი, ის უფრო გამიხარდა, ცუდი წინათგრძნობა რომ არ გამიმართლდა.

აქამდე მესმის დედაჩემის წყენანარევი ხმა:

— ჰო... შენაჯამით თუ ვიმსჯელეთ, მართლაც დიდებული შედეგი მივიღეთ!

მერე მიხვდა, გაოგნება რომ გამივლიდა, მადლობას ვეტყოდი, ამიტომაც დამასწრო და შემოპიტია:

— მადლობა მაინც ვეთქვა! — მითხრა გესლიანად.

დედას უკვე შურდა ჩემი. რა თქმა უნდა, უხაროდა, ამოდენა სიმდიდრე რომ დაუგროვდა ქალიშვილს, მაგრამ ეს სიხარული ფულის სიყვარულით აიხსნებოდა და, ამასთანავე, ეშინოდა, მის წესიერებაში ეჭვი არ შეეტანათ, თორემ ბოროტი დემონი უკვე სწორედ ამის გამო ულრღნიდა სულს და ისიც ბედს ემდურებოდა.

ქსავიეს მდგომარეობა გაცილებით ადვილი იყო. პირადად მას არაფერი გააჩნდა. ამგვარ უსიამოვნო ცნობებს საიდუმლოდ არ ინახავენ ჩვენს ოჯახში. სამაგიეროდ, ამ ბეჩავის ნათლია მამიდა ემა გახლდათ! მას კი კარგად ვიცნობდი: სიყვარულისა და დიდსულოვნების გულისთვის თითს არ გაანძრევდა, მაგრამ პატივმოყვარეობა ყველაფერს ჩაადენინებდა. ამდენი წლის მანძილზე ხომ თვითონ იკისრა ყველა ხარჯი, რაც ქსავიეს მთაში გამგზავრებას დასჭირდა ჯერ სანატორიუმებში, მერე კომფორტულ ბინაში საცხოვრებლად? განა ოდნავი სიძუნწე გამოამჟღავნა ამ ნათესაური ქველმოქმედებისათვის საჭირო თანხის გაღებისას?! არა, ნამდვილად არა. ესეც ბუსარდელების თვისება იყო. და რა თქმა უნდა, ქველმოქმედებას კვლავაც განაგრძობს, ქსავიეს არაფერს მოაკლებს: მისი სურვილია, თაობებმა დიდებით მოიხსენიონ მამიდა ემას გულუხვობა.

მაშინ რა შუაშია ეს შეთქმულება? რაკი უფროსებმა ხმას დაუწიეს და ახალგაზრდები ახლოს არ გაიკარეს, ცხადია, საქმე ფულს ეხება! განსაკუთრებით ის მაღელვებდა, რომ შეთქმულთა შორის სიმონი და დედა იყვნენ. მათი მონაწილეობა უანგაროს ვერ გახდიდა ამ საქმეს. შორიდან ვუთვალთვალებდი ყველას. სიმონი წამდაუწუმ ერეოდა საუბარში. რა დაბრკოლებებს ქმნიდა? ან რა კომბინაციებს აწყობდა?

ვერაფერი გავიგე. მთელი საღამო ამაზე ვფიქრობდი. ბოლოს მოვიმიზეზე, მგზავრობამ დამღალა-მეთქი და მამიდა ლუიზს უკან გავყევი; იგი მუდამ პირველი ტოვებდა „მცირე წვეულებას“ და შინ

ბრუნდებოდა. ოთახში ავედი, გავიხადე, ლოგინში ჩავწექი და სინათლე ჩავაქრე. ქსავიეზე ფიქრმა მოსვენება დამიკარგა.

უცებ მთელ ოჯახთან ერთად ბუსარდელების აივანზე აღმოვჩნდი. ოღონდ პირველ რიგში ვერ მოვხვდი, წინ დედაჩემის განიერ ზურგსა და თეძოებს ვხედავდი. უფროსი თაობა წელში მოხრილი დაყრდნობოდა მოაჯირს. საოცარია, როგორ უძლებდა აივანი ასეთ სიმძიმეს? რატომ არ ვარდებოდნენ ძირს? ხომ შეიძლება, მუზიკ-ჰოლის girls-ის[1] მსგავსად, ასე ხელიხელჩაკიდებულნი ერთად ჩავარდნილიყვნენ ქვევით? თქვენც არ მომიკვდეთ! ერთმანეთის გვერდით მშვენივრად გრძნობდნენ თავს! მეც მინდოდა ძენახა, რა ხდებოდა იქ, დაბლა, მაგრამ ამაოდ ვეძებდი სულ პატარა ცარიელ ადგილს. მახსოვს მხოლოდ, რომ შორს იყო და თითქოს დაპატარავებული, სასაცილო კორტეჟი მიუყვებოდა ქუჩას, ვიღაც ცნობილი პიროვნება ბრუნდებოდა მოგზაურობიდან. Buildings-ს[2] შორის კონფეტი დაფარფატებდა, კორტეჟს აყრიდნენ თავზე. ეს ფერად-ფერადი ქაღალდის მრგვალი, პაწაწინა ნაფლეთები მეც დამეყარა თავზე, ოთახშიც შეფრინდა. მინდოდა ჩემს ოთახში ავსულიყავი, კონფეტები ამეკრიფა, მაგრამ უეცრად შევამჩნიე, ქაღალდი კი არა, მტრედის სკლინტი ყოფილა. კიბეზე დავეშვი, საფეხურებს თითქმის არ ვადგამდი ფეხს, მოაჯირსღა თუ შევავლებდი ხელს, და საფეხურგამოშვებით ჩავრბოდი. მუდამ ასე ვიქცეოდი. ქვევით ტრამვაიმ გაიარა. ერთი ნახტომი და შიგ ამოვყავი თავი. ფეხშიშველა ვიყავი, მაგრამ არავის შეუმჩნევია; იატაკიდან რამდენიმე გოჯის სიმაღლეზე დავფრინავდი. როცა ტრამვაი ტვინპიკსის გვირაბში შევიდა, შორს სინათლის თაღი დავინახე. გასასვლელი ყოფილა. რაც უფრო მეტად იზრდებოდა იგი, მეც უფრო მაღლა და მაღლა მივფრინავდი. მგზავრები ადგილზე ვერ იმაგრებდნენ თავს, წინ და უკან ყანყალებდნენ, მე კი მაგრად ვიდექი. ტრამვაი გვირაბიდან გავიდა, ზედ სან-ფრანცისკოს მწვერვალთან აღმოჩნდა, თავით უკვე ჭერს ვეხებოდი. კარგია, როცა ზემოდან დაჰყურებ ქალაქს. ყველაფერს ვხედავდი: ჩემს პრეზიდიოსაც, ჩემს პლაჟსაც — ოკეანის სანაპიროზე და ჩემს ბუნგალოსაც — მთებში.

საკვამურიდან ზედ გზის პირას ბოლი ამოდის, სწორედ იქ, სადაც თოვლსაწმენდით ერთმანეთზე დახვავებული, მარმარილოსავით თეთრი ორი კედელი ერთდება. ტრამვაის ჭერს ჩოგნის ბურთივით ვეჯახები თავით. საცაა სახურავსაც გავანგრევ. თუ არა და, სასწრაფოდ

---

[1] გოგონები (ინგლ.)
[2] შენობები (ინგლ.)

უნდა მივეკრა ამ მკერდს, მხართან გაჩენილ ღრმულს. კანი ძალიან ცხელია და ლოყას მიწვავს... ბუმ! ბუმ! ბუმ! თავით დავეჯახე...

ღლივს გამოვეღვიძა. სისხლი აჩქარებით მიფეთქავდა საფეთქლებში; შემაცია; შიშველ ხელზე მიდებულ ლოყას ცეცხლი ეკიდებოდა. მადლობა ღმერთს, ნახევარი ღამე გასულიყო, მე კი უძილობისა მეშინოდა... სინათლე ავანთე. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. ნახევარი საათი მძინებია სულ...

სინათლეს არ ჩავაქრობ. ძილის შებრუნებასაც არ შევეცდები. სულ ერთია, გამიქრება. ციებაც არ მომეშვება, სადაც უნდა, იქ წამათრევს და ამ ძილ-ღვიძილში კოშმარები დამტანჯავს. საწოლიდან წამოვდექი. ეიფელი, ციები წყლით დავიბან-მეთქი პირს. ამერიკაში რომ ვყოფილიყავი, მაციერიდან ფორთოხლის ან გრეიპფრუტის წვენს გამოვიღებდი დიდი ჭიქით. ჩაციებული მუდამ მედგა მაცივარში. ზოგჯერ ყინული მოედებოდა თავზე და ამ თხელი ქერქის, ხილის ამ ჭირხლის კვნეტა ძალიან მომწონდა.

რაკი წვენი არ მქონდა, სასმელადაც და პირის დასაბანადაც ონკანის წყალი უნდა გამომეყენებია.

იყო დრო, როცა ონკანიდან წყლის დალევას მიკრძალავდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ მეჩვენებოდა იგი უფრო გემრიელი, ვიდრე გამოხდილი წყალი. რა თქმა უნდა, შემეძლო დამერეკა, ვიშის წყალი ან რაიმე ნაყენი მომეთხოვა, ჯერ არც ისე გვიანი იყო, მაგრამ მათი დანახვა, თუნდაც მსახურების... არა, ჯობს ონკანის წყლით დავკმაყოფილდე. კარგად რომ გაცივდეს, ჯერ უნდა მოვუშვა. სანამ ამ უზარმაზარი შენობის სართულებს ცაივლიდა და ჩემს ოთახში მოაღწევდა, ლოდინი მომიხდებოდა. ფიზიკურად შევიგრძენი ჩემი მშობლიური სახლის, ამ ჭიანჭველის ბუდის მთელი დახლართული გაყვანილობა. წყალი საკმარისად არ გაციებულა; ჯერჯერობით ის წყალი მოედინება მილში, მესამე სართულზე რომ შეჩერებულიყო; აი, ახლა მეორე სართულიდანაა. ამ დროს ცოტა წყალი იხარჯება სახლში: წყლის პროცედურებს დილის საათები ეთმობა, თანაც იშვიათად. ერთ წუთსაც მოვითმენ და სარდაფის მილებიდან წამოსული ცინცხალი წყალი მეღირსება. რაც მთავარია, ბუსარდელების წყალი არ იქნება!

მთელი ჭიქა შევსვი. აბიც გადავყლაპე. ამერიკიდან შემომრჩა. სიამოვნებას მგვრიდა იმის გაფიქრება, რომ ასეთი დიდებული წამალი საფრანგეთში არ იშოვება; იქაური პატენტოვანი საშუალებები მართლაც ქების ღირსია. აი თუნდაც მზის საწინააღმდეგო კრემი: ძალიან ეფექტურია. ცხიმიანი სულ არ არის, მოვერცხლისფრო-

ტყვიისფერი ქაფივითაა, კანს არბილებს და არავითარი ზიანი არ მოაქვს. ამერიკაში ხშირად შეხვდებით school-girls[1]-თან ერთად მოსეირნე ულამაზეს ქალიშვილს, რომელსაც ქათქათა, თეთრი ცხვირი აქვს. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ცხვირის ფუძეზე ქაღალდის ნაგლეჯი დაუწებებია ან საკარნავალო ნიღბის ცხვირი დაუკოსებიათ. იცით, ყველაზე საოცარი რა არის ამერიკაში? მათი გულწრფელობა, მათი ლოიალობა და კიდევ ის, რომ მათთვის უცხოა მოჩვენებითი სირცხვილი!

აბმა ჯერჯერობით არ იმოქმედა. ფანჯარას მივუახლოვდი და, უკეთ რომ დამენახა პარკი, სინათლე ჩავაქრე. მთვარე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მისი შუქი მაინც გამოკრთოღა ბურუსში და იდუმალად იფრქვეოდა ირგვლივ. ვრცელი მოლი შეზნექილ ჯამს წააგავდა. მის ერთფეროვნებას შუაში აღმართული ბორცვიღა არღვევდა, სადაც წაბლის ხეები აზიდულიყო. ხის ტოტები თითქოს ნისლს მიწებებოდნენ და ჰაერში ეჭირათ გაზონის ხალიჩა, ფარდასავით რომ ირხეოდა. ბავშვობაში დიდი სურვილი მქონდა, წყვდიადში გახვეულ პარკში გავსულიყავი, ხალხისაგან დაცარიელებულ ხეივნებში მეხეტიალა. პარკში მოხვედრა ჩვენი ბაღიდან შეიძლებოდა, მაგრამ მონსოს პარკის კარს შებინდებაზე კეტავდნენ. თანაც დარაჯებისაც მეშინოდა, ისიც ვიცოდი, მათ შორის ყველაზე მკაცრი მოხუცი ძველ პავილიონში ცხოვრობდა.

რამდენჯერ მომისმენია ამ პარკის ისტორია! იგი ჩვენი ოჯახის ისტორიასთანაა დაკავშირებული: 1852 წელს, ორლეანელთა ქონების კონფისკაციის დროს, მონსოს მამულების ერთი ნაწილი ქალაქის განკარგულებაში გადასულა, მეორე ნაწილი — ბანკირ პერეირის გამგებლობაში. პერეირს გაუგია, რომ მისი მამულის ერთი მხარე ოტ-რულის ნაკვეთს ემიჯნებოდა, ძმები ბესარდელების საკუთრებას. ამ მნიშვნელოვანმა ეპიზოდმა სათავე დაუდო ორი ოჯახის გამდიდრებას. გაცვლითი ოპერაციების საშუალებით ჩვენს ოჯახს სწორედ ის ნაკვეთი დაუმეს, სადაც ერთ მშვენიერ დღეს სასახლე აღუმართავთ. ამ ამბავს ისე ხშირად მიამბობდნენ, ისე გამომიჭედეს ყურები, რა თქმა უნდა, დაწვრილებით დავიმახსოვრებდი. პირადად მე სულ სხვა ცნობებმა დამაინტერესა, [2]კარმონტელის[2] მიერ ხელმოწერილ ძველ ნაშრომში რომ ამოვიკითხე; ეს ნაშრომი ჩვენს საოჯახო არქივს ეკუთვნოდა და შეუნელებელი ინტერესით გადავიკითხე რამდენჯერმე.

---

[1] მოსწავლე; სტუდენტი; (ინგლ.).
[2] კარმონტელი, ლუი (1717-1806) — ფრანგი მხატვარი და დრამატურგი.

წაკითხულის გავლენით ძველი ფ ო ლ ი ს მიდამოებში მონუსხულივით დავბორიალობდი. ჯერ „ციხე-დარბაზს“ ვათვალიერებდი, მერე „კოშკს“, „გოლგოთას“ და „ციხე-სიმაგრეს“, ამ შუასაუკუნებრივ ნანგრევებს. მარსის ტაძრის სახელწოდება იმდენად მაშინებდა, კარუსელი მირჩევნოდა. ზღაპრულ ფარშავანგზე ვჯდებოდი, ხის რაშების მაგივრობას რომ სწევდა იქ და მაშინვე რომ იწყებდა ტრიალს. სანამ ეს ტრიალი არ მომბეზრდებოდა, ფარშავანგიდან არც ჩამოვდიოდი. მერე გეომეტრიულად განლაგებულ სამ ბაღში დავეხეტებოდი: ერთი ცისფერი იყო, მეორე — ყვითელი, მესამე — „ფერი ვარდისა“. დაკლაკნილ ბილიკს ყვავილების ხალიჩით დაფარულ მდელოსთან, „დარგული ტყისკენ“, ვოლიერებთან, იტალიურ ვენახთან და წაბლის „დარბაზთან“ მივყავდი, სადაც ასეთი წარწერა იყო: „ეს ადგილი მთელ შემოგარენს გადაჰყურებს!“.

მოხიბლული ვიყავი ამ სანახაობით. ეს სურათი მთელი სიცხადით მხოლოდ ღამით ცოცხლდებოდა ჩემს წარმოდგენაში. სახლის ერთ, რომელიმე ბნელ ოთახში ჩუმად შევიპარებოდი, დარაბების ჭუჭრუტანიდან ვიყურებოდი და როცა დავრწმუნდებოდი, პარკში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, აი მაშინ, ჩემს წარმოსახვაში ხელახლა უბრუნდებოდა პარკს თავისი სილამაზე, განსაკუთრებული მიმზიდველობა და, რაც მთავარია, მეფური იერი იმ განმარტოებული მიდამოსი, სადაც ბუსარდელებს ჯერ არ დაუდგათ ფეხი.

III

ნორმანი

წინათაც ასევე ვიდექი ფანჯარასთან. ოცნებებისგან ამ უხილავი და ცივი კედლით გამიჯნულს, ნეთუ მთელი ცხოვრება ასე მომიხდება დგომა?

ციებ-ცხელება დამიცხრა. სხეულიც აღარ მიხურდა. მაჯისცემაც მშვიდი მქონდა. თითქოს შინაგანად ვემზადებოდი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად. როცა მე და ნორმანი ძთებიდან მანქანით ვეშვებოდით ვიქტორვილის უდაბნოში, ან ამავე გზით უკან ვბრუნდებოდით, წნევის ცვლილებას ასეთივე სიცხადით ვგრძნობდით მკერდშიც, ყურებშიც, გულის კოვზთანაც. თუ ძალიან არ გვეჩქარებოდა, ორჯერ თუ სამჯერ ვჩერდებოდით, სიმაღლის დასაძლევად ვემზადებოდით, ან სულაც იქაურობის ცქერით ვტკბებოდით. დაბრუნებისას უკან ვიყურებოდით, „იონჯის მინდვრისკენ“, სადაც ჩამავალი მზის მკვეთრი ფერები ერთმანეთში ირეოდა. ერთბაშად მოგვენატრებოდა ჩვენი ბუნგალო, იქვე ახლოს რომ იდგა და გველოდა, ოღონდ იდგა სულ სხვა სამყაროში, თოვლში ჩაფლული, გეგონებოდათ, სიმძიმემ და სითბომ სწორედ ეს ადგილი მიუჩინაო.

თორმეტიოდე მილს გავივლიდით ამ დაღმართით და მერე ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავდიოდით. სანამ მანქანა მიქროდა, ქუდებს სასწრაფოდ ვიხურავდით თავზე, ტანსაცმელში ვეხვეოდით. თხუთმეტიოდე წუთის წინ ბარის წითელი მტვრისგან გახურებულ თვალებს ორპირი ქარი გვიგრილებდა, მაგრამ ამ უკიდეგანო თეთრი სუდარის ცქერას ვერ ვუძლებდით და თვალები გვეჭუტებოდა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს უდაბნოსა და თოვლიან სივრცეში ერთნაირად გამეფებული სიჩუმე სულ სხვანაირი ხდებოდა, ტონალობას იცვლიდა.

...ეჰ, იმ ცამ, მე რომ მივატოვე, იმ დღეების, იმ ყმაწვილის მოგონებებმა ხელახლა ამიშალა ფიქრები. რაღა ვარ ახლა, ამასწინდელ მოგონებებსა და ბავშვობის მოგონებებს შორის გაჩხირული? ერთიცა და მეორეც თავ-თავის მხარეს მეწევა, ერთმანეთს ედავებიან, თუ რომელი დაიპყრობს ჩემს გონებას, დაუსრულებელი კამათის არენად აურჩევიათ იგი; ვგრძნობ, ვიცი, რომ სანამ ეს ორი მოქმედი პირი

სათქმელს მოათავებს, ჩემი მოსვენება შეუძლებელია, ფარდა არ ჩამოეშვება.

ნორმანს ბოლომდე არ უთქვამს თავისი სათქმელი. უნდა მოვუსმინოთ!

1

არქიტექტორმა კონტრაქტიც დაუდო ნორმანს და მსუბუქ მანქანად გადაკეთებული პატარა საბარგო „ფორდიც" დაუტოვა. ნორმანი მას სამგზავროდაც იყენებდა და ნახაზებისა და მასალის გადასატანადაც. პირველ ყოვლისა, ამ ფორდით სენ-ბერნარდინოს მთაზე ავედით. არ ვიცი, ჩემ შესახებ რა უთხრა თავის უფროსს, მაგრამ ამ კაცს, ჩემი აზრით, იოტისოდენა ირონიაც კი არ ეტყობოდა, როცა მისის კელოგს მეძახდა და მეც ისევე ამხანაგურად მექცეოდა, როგორც ნორმანს. ქორწინების ქაღალდი, სხვებისა არ იყოს, არც მას მოუთხოვია, იგი არც სასტუმროებში მოუკითხიათ, სადაც ღამის გასათევად ვჩერდებოდით. აი კიდევ ერთი ევროპული წესი, რასაც ამერიკელები არაფრად აგდებენ!

სენ-ბერნარდინო, ჩვენი პირველი სავანე, ოთხას ორმოცდაათი მილით იყო დაშორებული სან-ფრანცისკოს. ამ გზებზე ქროლვას ფორდი უკვე შეჩვეული იყო, მაგრამ ნორმანი მაინც მოერიდა შვიდასი კილომეტრის ერთ დღეში გავლას. ფრენსოს გზით წასვლა არ მინდოდა და მოვიმიზეზე, ერთფეროვანი, სწორი გზაა და ამ ჩვენი დიდი მოგზაურობის პირველ დღეებს სულაც არ შეეფერება-მეთქი. სინამდვილეში, მეორე მარშრუტი იმით მიზიდავდა, რომ ექვსი თვის წინ სწორედ ამ გზით წავედით მონტერეიში.

ახლაც ამ მიმართულებით გავწიეთ, მაგრამ მერე, შუადღისას, ნორმანმა მარცხნივ გადაუხვია.

— მონტერეის გზით რატომ არ მიდიხართ? დღისით მინდოდა იმ ადგილების დათვალიერება.

ჩემი სიტყვების გაგონებაზე ნორმანს არც გაღიმებია, ეგ იყო, სვლა შეანელა, ესეც — თავაზიანობის ნიშნად, და მიპასუხა, ზღვის ნაპირას უფრო ცუდი გზაა. აღარ ჩავაციედი. უკვე შესწავლილი მქონდა მისი ხასიათი, სანტიმენტალობის გამოვლინება მუდამ აოცებდა. რაც მთავარია, იმ ხანებში ჯერ კიდევ ვერ გამერკვია, რა გავლენა მქონდა ძასზე. ბედნიერება იმდენად უცხო ხილი იყო ჩემთვის, თავდაჯერება მაკლდა, მოკრძალებით ვდგამდი პირველ ნაბიჯებს. მანქანამ გზა განა-

გრძო. ეცდილობდი თავი დამემშვიდებინა, რა ვუყოთ, იმედი თუ გაგვიცრუვდა, სამაგიეროდ უხერხულება ხომ ავიცდინეთ-მეთქი. ამასთანავე, წარმოვიდგინე, ალბათ სიყვარულის დიპლომატიაც ამას გვკარნახობს და საჭიროა ყოველივეს უკეთ ჩავწვდე-მეთქი.

მგზავრობისას რუკას ვადევნებდი თვალს. ხმამაღლა ვასახელებდი ქალაქებს. ესპანური და ინგლისური სახელწოდებები ერთმანეთს ენაცვლებოდა. პეიზაჟიც მახსენებდა, სწორედ იმ მიწაზე მივდიოდით, ერთი საუკუნის წინათ ჯერ კიდევ მექსიკას რომ ეკუთვნოდა. პირველი ღამე ქალაქ სან-ლუი-ობისპოში გავათიეთ.

— ორი ნომერი! — მოითხოვა ნორმანმა სასტუმროში.

ერთმანეთში გამავალი ორი ოთახი მოგვცეს. არჩევანის უფლება მე დამითმო, მაგრამ ნომრები მხოლოდ შესასვლელი კარებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: ერთი მარცხნივ იღებოდა, მეორე — მარჯვნივ.

ნორმანმა თავაზიანად მკითხა, ხომ არაფერი გჭირდებათო, შემითანხმდა, მეორე დილით რომელ საათზე უნდა გვესაუზმა, ძილი ნებისა მისურვა და თავის ოთახში შევიდა. ვერ გავიგონე, როგორ ჩაკეტა კარი. ისეთი გაოგნებული ვიდექი, აზრები ისე ამერია თავში, საკლიტურს გასაღები ვერ მოვარგე.

მერე აბაზანაში ჩავიკეტე. ბანაობა რომ მოვათავე, ლოგინში ჩავწექი. მთელი ტანი მიცახცახებდა. მერე სინათლე ჩავაქრე.

დღის შუქმა თუ უცხო ოთახის სიჩუმემ გამომაღვიძა. შვიდი საათი იყო. მთელი ღამე მშვიდად მძინებია... საწოლზე წამოვჯექი. ისეთივე აგნესი გახლდით, როგორიც წინა დღეს. თვალები წამდაუწუმ გამირბოდა კარისკენ, აქამდე რომ არ გაღებულა, თუმცა კი შესაძლებელი იყო სიბნელეში ფრთხილად გაღებულიყო და პიჟამოში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ოთახში შემოსულიყო.

და მაინც, მისი წყალობით გამომეღვიძა. წინა საღამოს, გამომშვიდობებისას მითხრა: „რვის ნახევარზე ვისაუზმოთ, კარგი? ასე რომ, შვიდ საათზე გვიან არ უნდა ადგეთ“. ეტყობა, ძილში ეს რიცხვი მეხსიერებიდან არ გამქრალა და როგორც კი ისარი შვიდს მიუახლოვდა, მორჩილად გავახილე თვალი.

ნორმანს ქვევით შევხვდი, ჰოლში. ერთბაშად ისეთი უხერხულობა ვიგრძენი, მის შემოხედვაზე ისე გავწითლდი, თვითონვე გამიკვირდა. ნეტა რა იყო მიზეზი? ის ხომ არა, რომ პირველად დავიძინე რამდენიმე მეტრის დაშორებით მისგან? ან ის ხომ არა, ასეთი მოწიწებით რომ მომექცა?

ადრე დილით გავნაგრძეთ გზა. სანამ ფორდი მისრიალებდა, ხმას არ ვიღებდით. ან უმალ, უსიტყვოდ ვესაუბრებოდით საკუთარ თავს. და უცებ, თითქოს შეწყვეტილ საუბარს განაგრძობსო, ნორმანი ხმამაღლა მოჰყვა თავის ფიქრებს:

— იცით, თქვენ ძალიან გამოირჩევით სხვებისგან. ეგნის, თქვენ ხართ she-girl[1], უფრო მეტიც! გითხრათ, რა მიზიდავს ყველაზე უფრო თქვენში? ის კი არა, რომ ძველი ევროპიდან ხართ ჩამოსული, არამედ ის, რომ ბერკლის უნივერსიტეტელ გოგონებისაგან განსხვავებით სულ სხვაგვარად აწყობილი გონება გაქვთ. იმ გოგონებს კარგად ვიცნობ. რა თქმა უნდა, მათი დამყოლი ხასიათით მეც მისარგებლია. თუმცა არც ისე ხშირად. ასეთი ამბები დიდად არ მაინტერესებს. იქნებ მე სულ სხვა ჯილაგისა ვარ, ვიდრე ჩემი ამხანაგები, არ ვიცი. ოღონდ არ შემიძლია პატივი ვცე გოგოებს, რომლებიც, მოეწონებათ თუ არა ვინმე ბიჭი, მაშინვე ნებდებიან მას და თან სჯერათ, ამით განვსხვავდებითო მეძავისაგან. ჩემი აზრით, მეძავობა სწორედ ესაა. ჩემში ალბათ ბებიაჩემის რასის სისხლი ლაპარაკობს, თანამედროვე ბიჭებივით არ ვმსჯელობ და ამიტომაც დამცინის ბევრი. დარწმუნებული ვარ, გამიგებთ, რატომ გეუბნებით ამას!

არაფერი ვუპასუხე. იმდენად ვიყავი აღელვებული, ხმა ვერ ამოვიღე, არადა, დუმილიც მიჭირდა. თავს ძალა დავატანე და ნორმანს შევხედე. თვითონ არ შემობრუნებულა ჩემკენ. მთელი ყურადღება გზისთვის დაეთმო. საჭეზე დახრილი მისი ნატიფი, ველური პროფილი მკაფიოდ მოჩანდა. ისიც მახსოვს, რაც მაშინ ვავიფიქრე: „ჩემი მხრივ სიგიჟე იქნება, ამას რომ დავნებდე, მაგრამ თუ არ დავნებდი, ჩემს თავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ!“

ჩვენი ცხოვრება ერთბაშად ვერ აეწყო მთაში. სანამ ტყის პირას მუშაობა დაიწყებოდა, ჯერ ადგილობრივ მრეწველებს უნდა მოლაპარაკებოდნენ, სან-ბერნარდინოში უნდა ჩასულიყვნენ; სან-ბერნარდინო ხეობაში მდებარეობდა და რაკი მშვენიერი ამინდი იდგა, იმ ორმოციოდე მილის ციცაბო გზის გადალახვა, ქალაქსა და მომავალ დასახლებას ერთმანეთისგან რომ ჰყოფდა, ძნელი არ იყო.

ნორმანის უფროსი ერთი თვის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო სან-ფრანცისკოდან; ქალაქის მისადგომებთან, ჰაილენდში სახლი ჰქონდა დაქირავებული და დროებით ჩვენ დაგვითმო. ძალიან ლამაზი სახლი იყო, ოდნავ ძველმოდური, ოღონდ კოლონიურ სტილში აგებული. მთავარი ფასადის ქვის სამკუთხედს ოთხი გლუვი ხის სვეტი იჭერდა,

---

[1] ახლობელი, შინაური (ინგლ.).

და მეც, ნორმანის გამოთქმით — „ფრანგული მანიით“ შეპყრობილმა, ამ პატარა სახლს „ფ რ ო ნ ტ ო ნ ი“ დავარქვი. არქიტექტორი და მისი ცოლ-შვილი იქ აპირებდნენ ზაფხულისა და შემოდგომის გატარებას, ხოლო ჩვენ ბიგ-ბერში უნდა გადავსულიყავით, მშენებლობასთან ახლოს.

ამ ხეობის არ-სტოკრატიას პლანტაციის მეპატრონეები შეადგენდნენ. ეს ადგილობრივი საზოგადოება ოქროს ციებ-ცხელების დაცხრობის პერიოდში შექმნილა და სხვა შტატებთან შედარებით უფრო გულღია და სტუმართმოყვარე ჩანდა. ნორმანის უფროსს სამოდე ოჯახისთვის უცნობებია ჩვენი იქ ჩასვლის ამბავი. ამიტომ ჩასვლის დღესვე დაგვირეკეს ტელეფონით და ჯერემ ფარიშის ოჯახმა კვირის ბოლოს თავიანთ აგარაკზე მიგვიპატიჟა. თურმე ყოველ შაბათს მიემგზავრებოდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ლაგუნა ბიჩში. ჰოდა, მეც ერთხელ კიდევ გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება ამერიკული თავაზიანობისა და მხარდაჭერის გამო.

მე და ნორმანი პარასკევს ჩავედით სან-ბერნარდინოში; ასე რომ, „ფრონტონში“ ერთი ღამე გავათენეთ მხოლოდ. ჩემი boy-friend-ის ტაქტიანი საქციელის მოწმე ერთხელ უკვე გავხდი სან-ლუის-ობისპოში. ამ ღამესაც მგზავრობით, პირველი საოჯახო საქმიანობით ვიყავით გადაღლილები და სულაც არ გამკვირვებია, როცა ის, ვისაც ამ სიშორეს გამოვყევი, ოთახის ზღურბლთან გამომემშვიდობა.

მაგრამ ხვალ რა მოხდება? ჯერემ ფარიშთან ორი დღე-ღამით მივდიოდით, შაბათი და კვირა მათთან ვიქნებოდით, მასპინძლებს კი, უეჭველია, ცოლ-ქმარი ვეგონეთ.

ლაგუნა ბიჩში ყველაფერი თავისთავად გადაწყდა. მეგობრებისთვის განკუთვნილ ორსაწოლიან ოთახში მოგვათავსეს.

— იმედი მაქვს, ოთახი მოგეწონებათ! — მითხრა მისის ფარიშმა.

რა თქმა უნდა, დავეთანხმე. მაგრამ მოვასწარი და ორ საწოლს შორის დარჩენილი მანძილი ცალი თვალით გავზომე. სააბაზანო ოთახშიც შევიხედე, ისეთი ვიწრო იყო, ლეიბიც არ დაეტეოდა და უცებ მიეხვდი, პატარა გოგო აღარ ვიყავი. თუ აქამდე ნორმანს სასიამოვნო ამხანაგად ვთვლიდი, ახლა მას სულ სხვა თვალით შევხედე, სულ სხვა ფიქრები გამიჩნდა.

მე თანმიმდევრობით განვიცდიდი, ნელ-ნელა ვეგუებოდი ყველა იმ გრძნობებს, ყოველ ქალწულს რომ ეუფლება, როცა იგი იმ მამაკაცთან დარჩება პირისპირ, ვისი საკუთრებაც უნდა გახდეს სულ მალე. მიჭირს იმის თქმა, ეს გრძნობები უფრო ძლიერი იქნებოდა ჩემ-

თვის ამ თანამიმდევრობის გამო, თუ პირიქით, მისი წყალობით მოხალოდნელი გამოცდა ზედმეტ სიფაქიზეს იძენდა.

ამასობაში მთელი აგარაკი დავათვალიერეთ. შემოღობილი ბალი პლაჟს გადაჰყურებდა, სადაც საგანგებო კიბით შეიძლებოდა ჩასვლა.

დილის თერთმეტი საათი იყო: გადაწყვიტეს საბანაოდ წავსულიყავით. მე საბანაო კოსტიუმის წამოღება არც მომგონებია. ფარიშების უფროსმა ქალიშვილმა, ჩემზე გაცილებით მაღალმა ეოვონაქ, თავისი კოსტიუმი მათხოვა და მის ოთახში გადავიცვი.

როცა ქვიშიან პლაჟს გავუდექით, ნორმანი დავინახე და მის სხეულს თვალი ვერ მოვწყვიტე. იგი უკვე წყლის პირას იდგა და წყალი კოჭებამდე სწვდებოდა. ვიწრო, ყვითელი ტრუსი ეცვა. ამ საბანაო კოსტიუმში ერთხელ უკვე ვნახე, ბერკლის საცურაო აუზთან და მის ტანსაც პირველად როდი ვხედავდი. იგი არაფრით განსხვავდებოდა სხვა ახალგაზრდა ამერიკელებისგან. იმათაც, თითქმის სუყველას, ლამაზ-ლამაზი ტანი აქვთ, ეს კია, გეგონება, ერთ თარგზე არიანო გამოჭრილი და უფრო მოზარდის ტან-ფეხი აქვთ, ვიდრე ვაჟკაცებისა; ბევრი არაფერი ეტყობათ sex-appeal-ისა[1] და გაცილებით ნაკლებ ხორციელნი არიან, ვიდრე ჩვენი ბიწიერი ფრანგი ბიჭები.

და მაინც, ნორმანის ტანის დანახვაზე თრთოლამ ამიტანა. მიხაროდა, ზურგშექცევით რომ იდგა და ჩემს დაბნეულობას ვერ ამჩნევდა. ქვიშის ვიწრო ზოლი გვყოფდა. ლამის იყო გულის ძგერა შემიჩერდა, ვერასგზით ვერ მოვითქვი სული. მარტო მომინდა ყოფნა, ჩამოვრჩი, მოვიმიზეზე, რეზინის ფოსტლებში ნიკარა ჩამივარდა-შეთქი, თითი ჩავყავი და ფეხი მოვხარე. ყანჩასავით ცალ ფეხზე ვიდექი, თვალი ვერ მომეშორებინა ამ გაშიშვლებული, თითქოსდა მზისგან ალბობილი ყმაწვილისთვის, მისი მხრებისთვის, მისი კუნთებისთვის; იმის შემდეგ, რაც ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი საწოლი დავინახე, ამ სხეულს სულ სხვა ფასი დაედო.

მხოლოდ მაშინ მივხვდი: წინათ, როცა ნორმანს ვკოცნიდი, მაინც უმანკო გოგოდ ვრჩებოდი, სან-ლუის-ობისპოს სასტუმროში და უფრო მეტად აქ, ლაგუნა ბიჩში, ეს სიწმინდე დავკარგე. ძალიან გამიკვირდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, ნორჩი, გამოუცდელი გოგონა ხართო. პირიქით, პირადად მე ასე ვფიქრობდი, არავითარ სიყალბეს არ ჩავიდენდი, ხელს თუ ასე მოვაწერდი: მისის კელოგი!

მთელი დღე სიცხით გათანგულ, მზის ხხივებით დაბრმავებულ, ტალღების შხუილით დაყრუებულ ზმანებასავით გავიდა. ქვიშიანი

[1] ფიზიკური მიმზიდველობა (ინგლ.)

დაღმართი პირდაპირ ზღვაში ეშვებოდა, მობანაველებიც მაშინვე ეფლობოდნენ მის სიღრმეში და ტალღებიც ისევე გამძაფრებით უტყლაშუნებდათ, როგორც გაშლილ ზღვაში იცის ხოლმე. გამოუცდელი მობანაველები, როგორიც, მაგალითად, მის ფარიში იყო, ასიოდე მეტრის დაშორებით მიჰყვებოდნენ ნაპირს, სადაც ესტაკადის ნაშალს ქვიშის ყურე შეექმნა და ბანაობაც უშიშრად შეიძლებოდა. მე კი შარშან უკვე შევეჩვიე წყნარი ოკეანის მკაცრ კანონებს.

ხუთ საათზე ზღვის მოქცევა დაიწყო და მამაკაცებმა გადაწყვიტეს, სპორტული თამაში გაემართათ. მე უარი ვთქვი მონაწილეობაზე, შემეშინდა. ამ ხელაღებულ თამაშს surf-board ჰქვია. მგონი, ჰონოლულუშია გამოგონილი. თამაში სახიფათოა და ქალები თავს არიდებენ ხოლმე.

ახალ მეგობრებთან ერთად ჩუმად ვიჯექი ნაპირზე და ნორმანის, ჩარლზ ფარიშისა და მისი ამხანაგის თამაშს ვუყურებდი: თითოეულმა სქელი ფიცარი წაიგდო წინ; ყურეს რომ გასცდნენ, პირდაღმა გაწვნენ ფიცრებზე და ხელების მოძრაობით შუა ზღვისკენ გააქანეს ტივივით: ერთხანს შეყოვნდნენ, შემხვედრ ტალღას უცდიდნენ, ძის მოახლოებას თვალს ადევნებდნენ, რათა მზად ყოფილიყვნენ ტალღასთან გასაჯიბრებლად; როგორც კი ზვირთებმა თავზე გადაუარათ, ახალგაზრდები მაშინვე გამოცოცხლდნენ, ეტყობა, გუმანით ხვდებოდნენ თითოეული ზვირთის რიტმს და ისე მისდევდნენ უკან, ვოლტიჟერი რომ მირბის ცხენის გვერდით, სანამ ზურგზე მოექცეოდეს ცხენს. მერე ტალღამ ზევით აისროლა ისინი და ყმაწვილებიც ფიცრებზე შედგნენ, მკლავები ეკვილიბრისტებივით გაშალეს და სასწაულებრივი სისწრაფით გამოქანდნენ ნაპირისკენ: აქაფებული ზვირთებით გარშემორტყმულნი, ქარისკენ ზურგშექცეულნი, ზღვის ღმერთებს ჰგავდნენ.

წყალში შევედი, მინდოდა ნორმანს მივახლოვებოდი, მინდოდა, როგორც კი ნაპირთან გამოვიდოდა და სულის მოსათქმელად ფიცარს ცოტა ხნით მიაგდებდა, მასთან ვყოფილიყავი. ვფიქრობ, არასოდეს დამავიწყდება, როგორ იდგა ნორმანი წყნარი ოკეანის ამ ნაპირას: წელგამართული, წყლის წვეთებსა და მზის ათინათში გახვეული; უკან გადაყრილი სველი თმით ქაფს, მზესა და სიხარულს აფრქვევდა ირგვლივ!

— რა შესანიშნავი სპორტია! — დაიყვირა მან.

კბილები თეთრად უბრწყინავდა და ორი წინა, ოდნავ დაშორებული კბილი მოუჩანდა.

მივხვდი, იმ წუთას არც ჩვენი ამბავი ახსოვდა, არც ის გაურკვეველი მომავალი, ერთმანეთს რომ ვუმზადებდით. მისი ეს წმინდა ამერიკული მიდრეკილებაც მენიშნა: იგი მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობდა! ჩემთვის კი პირიქით, ყოველი საათი, ყოველი წუთი, აქაც და ყველგან, სხვადასხვანაირი მოვონების, ასოციაციისა და ალქვის წყალობით ნამდვილ ფასს იძენდა.

ნორმანმა ხელახლა გაცურა გაშლილი ზღვისკენ, მეც გვერდით მივცურავდი. მშვიდად ვიყავი — ტალღამ თავზე რომც გადამიაროს, ჩემი თანამგზავრი ცალი ხელით ამიტაცებს და ზედაპირზე ამიყვანს-მეთქი. ტალღებს ვეჯიუტებოდი, არ მინდოდა ნაპირისკენ გავეტყორცნე. უცებ ნორმანის გამაფრთხილებელი შეძახილი გავიგონე. ყალყზე დამდგარი უზარმაზარი ზვირთი პირდაპირ ჩემკენ მოაქროლებდა ნორმანს. აშკარა იყო, ფიცრისთვის მიმართულების შეცვლას ვეღარ მოახერხებდა.

— ჩაყვინთეთ! — დაიყვირა.

ფიცარი ორიოდე მეტრის დაშორებით იყო ჩემგან. გაოგნებულმა მაშინვე ჩაყვინთე. ამ სპორტული იარაღით გახლეჩილმა წყლის მასამ ქარბორბალასავით გადამიარა თავზე და ფიცარი მთელი ძალით დამახეთქა ზურგზე. კინაღამ გავგიჟდი. კუნთები მოვადუნე და უფრო ღრმად ჩავყვინთე. წამით გამიელვა თავში: მაგრად ხომ არ მომხვდა ფიცარი? თავი ხომ არ გამიხეთქა? ხომ არ ვიხრჩობი? ინსტინქტიღა მაიძულებდა, გამეცურა. ნორმანი ალბათ შორს გაიტაცა ტალღებმა, მე კი მაინც მივცურავდი წყალქვეშ. მერე შემეშინდა, ვაითუ ნორმანი შეშფოთდეს-მეთქი და ამოვყვინთე: მიმოვიხედე, ნორმანს ვეძებდი, ჩემგან ოცოდე მეტრის დაშორებით მიცურავდა. შეჯიბრი დაემთავრებინა, ფიცარს ორივე ხელით ჩასჭიდებოდა და ზევით აყწია. როცა შემამჩნია, გადაიხარხარა და, ზვირთების ღმუილი რომ დაეფარა, ხმამაღლა დამიყვირა:

— ბედი გქონიათ! — თავს იქცევდა, გულიანად გაართო ჩემმა ამბავმა. მერე ფიცარი ხელახლა შეაცურა ზღვაში.

ნაპირისკენ გავემართე. პლაჟზე გასულს მუხლები მიკანკალებდა. ახლა უკვე მთელი სხეულით ვგრძნობდი წყლის იმ ზვავს, ნორმანმა თავზე რომ გადმომამხო, წყალმცენარესავით გამსრისა და კინაღამ სიცოცხლეს გამომასალმა.

მშრალ ქვიშაზე უღონოდ დავეცი დები ფარიშების გვერდით: მათ არაფერი შეუმჩნევიათ. რეზინის ქუდი წავიძვრე, მაგრამ ყურები

სავსე მქონდა წყლით და არაფერი მესმოდა. სულის მოსათქმელად ზურგზე გავწექი. ზღვაში აღარ შევსულვარ.

იმ ღამით ქალი გავხდი. ბედნიერი ვიყავი. ყველაფერი სწორედ ამ ამერიკული საალის მყუდროებაში გადაწყდა, ოკეანის ხმაურის ფონზე. კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემზე არავინ წუხდა. უცნაურად, და ცოტა არ იყოს, იმედის გაცრუებასავით, უბრალოდ მოხდა ყოველივე. სულიერი აფორიაქების ნიშან-კვალიც არ მეტყობოდა და გონებაც სათელი. საღი შემომრჩა. ღამით ღია დავტოვეთ ფანჯარა და მეც ნიკაპამდე წამოვიხურე საბანი. მიკვირდა, თაკარა დღეს ასეთი გრილი ღამე რომ მოჰყვა. მაინც რა განედზე ვიმყოფებოდით? ამ კითხვაზე დიღხანს ვფიქრობდი.

გაბოგიტყდებით, დედაზეც ვფიქრობდი. პარიზში რომ გავთხოვილიყავი, რასაც იგი ასე მოუთმენლად ელოდა, წარმომიდგენია, რა სცენას მომიწყობდა, თანაც რა მრავლისმეტყველს! როგორ აფორიაქდებოდა! ტრადიციებითა და პირფერობით სავსე რა ქადაგების მოსმენა მომიხდებოდა! ახლა კი ვიწექი და უნებურად მეღიმებოდა, რა იოლად დავაღწიე თავი მის მზრუნველობას-მეთქი!

ბედნიერი ვიყავი. ამ ყმაწვილს კი, ასე ახლოს რომ იწვა ჩემ გვერდით, ჩვენი ოჯახი არ იცნობდა. დარწმუნებული ვიყავი, ისიც ბედნიერი იყო.

არ მეძინებოდა. ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა თავში და ეს მახარებდა. ისიც მახარებდა, ყურებში ჩემი სისხლის ფეთქვაც და ოკეანის ღმუილიც რომ მესმოდა: ტალღები სპირალივით იკლაკნებოდა და აგარაკის შორიახლო ნაპირს ეხეთქებოდა.

დროდადრო რული მეკიდებოდა, ღრმა ძილი მაინც არ მომეკარა.. ათასი სახე და ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში: აქაფებულ ზვირთებში გახვეული, მზეზე აპრიალებული სხეული, ჩვენი მასპინძლები, რომლებიც ვერაფერს ხვდებოდნენ, წინ კი — უღრუბლო კვირეები და თვეები... ასე მეგონა, ჩემს ბედნიერებას ვიღაც თუ რაღაც წარმართავდა, წარმართავდა რაღაც ყოვლისშემძლე ძალა ან სულაც ცოცხალი არსება. ეს ყოველივე რაღაც ისეთ სიტყვად მესახებოდა, განსაზღვრებას რომ არ ექვემდებარებოდა, ან იქნებ სულაც ერთი უბრალო სიტყვა — „ს ი მ შ ვ ი დ ე“ იყო ყველაფრის თავი და თავი?

ჩვენი ერთად ცხოვრება მხოლოდ მაშინ გახდა ბუნებრივი, როცა მთებმა ფერი იცვალა: დეკემბერში თოვლი მოვიდა და ბიგ-ბერში ყველაფერი გადათეთრდა.

ტბის პირას აგებული და კეთილმოწყობილი სტანდარტული ბუნგალოები ზამთრის სპორტის მოყვარულებს ელოდებოდა. ნორმანს ევალებოდა ამ პატარა სახლების გაქირავება და მის მიერ აგებული ბანაკის მოწესრიგება. უფროსის დავალებით, ნორმანმა ულამაზესი პატარა სახლი ააშენა გზის პირას. იგი აშკარად გამოირჩეოდა სხვა სახლებისგან. ეს ადმინისტრაციული შენობა ერთდროულად ბანაკის რეკლამადაც გამოადგებოდათ და მოზამთრისა და მისი ახალვაზრდა მეუღლის მოხერხებულ საცხოვრებლადაც.

ჩვენი ერთსართულიანი, დაბალი სახლი ფიჭვის უზარმაზარ ხეებს შორის იდგა და ჰორიზონტალური ბოძებისგან იყო აგებული. ქვიტკირის ერთადერთი ნაწყობი, მსხვილი ქვებისგან გაკეთებული საკვამური სახლს გარედან ეკვროდა ოთხკუთხა კოშკურასავით. შიგნით ერთი დიდი living-room[1] გვქონდა. ამ ოთახში შესასვლელად ორი საფეხური უნდა ჩაგვევლო. მარჯვნივ საძინებელი და საბაზანო ოთახები იყო, მარცხნივ — სამუშაო კაბინეტი და სამზარეულო. ოთახებს გარანდული ხის იატაკი ჰქონდა.

დიდი ოთახის მოწყობა ჩემებურად მოვინდომე. ესკიზიც მოვხაზე. ნორმანმა ყურადღებით დაათვალიერა.

— ძალიან კარგია! — მითხრა მან, — გემოვნება გქონიათ.

ამ ქათინაურმა ისედაც გალაღებულ ჩემს გრძნობას სიამაყე შემატა. ვიცოდი, ნორმანს, ისევე როგორც ყველა მამაკაცს, ბინის მოწყობასა და მორთვაში გემოვნება ღალატობდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი.

ნორმანმა ნახაზი დამიბრუნა და გამომიცხადა:

— კარგია, მაგრამ მთის სტილს, მით უმეტეს — ამერიკულ სტილს არ შეეფერება. შეიძლება გზა-კვალი აურიოს ადამიანს. ასე მოწყობილმა ბუნგალომ ადვილი შესაძლებელია, ყალბი წარმოდგენა შეუქმნას დამსვენებელს.

რას ვიზამდი, უნდა დამეთმო! მოქმედების თავისუფლება ნორმანს გადავულოცე, მე კი ტრაპერის[2] სტილს გავეცანი. ძელურ კედლებზე

---

[1] სასტუმრო ოთახი (ინგლ.)
[2] ირფილო-ამერიკელი მონადირე.

ვიღაც ნატურალისტის მიერ ნეკადიდან გამოგზავნილი დათვის თავები, შეღებილი თხილამურები და ინდური შალის ხალიჩები ეკიდა. საკმაოდ უხეში ნახელავი იყო, მაგრამ შეროკის შთამომავალმა წარბიც არ შეიხარა. სახლის პატრონის გემოვნებაზე მხოლოდ უნივერსიტეტის ალმები და სპორტული ჯილდოები მიუთითებდა.

ბუხრის წინ იმოდენა კლასიკური ტახტი იდგა, ექვსი კაცი თავისუფლად ჩამოჯდებოდა გასათბობად. ამ კუთხეს თითქმის ნახევარი ოთახი ეჭირა. როცა ამ არაპროპორციულობით გაოცებულმა სიტყვა ჩამოვუგდე ნორმანს, ესღა მიპასუხა:

— ასეც უნდა იყოს!

ამ მოწყობილობასაც სწრაფად შევეგუე, მით უმეტეს, რომ მაინცდამაინც უცხო არ იყო ჩემთვის: ამერიკულ ფილმებში და ოპერეტებში ნანახ დეკორაციებს მაგონებდა. ბოლოს და ბოლოს იმ აზრსაც შევეჩვიე, მეც ხომ ამ ფილმების ერთ-ერთ მოქმედ პირს ვგავარმეთქი.

ნორმანი გატაცებით შეუდგა მოვალეობის შესრულებას. სხვა მრავალი ამერიკელივით, თავის სამუშაოს, თავის job-ს[1] მოწიწებით ეკეკეოდა, ხოლო როცა მუშაობას იწყებდა, საკუთარ თავსაც ღირსეულ პატივს მიაგებდა. ზუსტად ისეთივე სერიოზულობით ეკიდებოდა ყოველდღიურ წვრილმან საქმეებსა და საბუღალტრო დავთრებს, როგორც ჯერ — უნივერსიტეტში მეცადინეობას, შემდეგ კი — არქიტექტურულ პროექტებს ეკიდებოდა. დილიდანვე სადღაც გადაიკარგებოდა და მეც, საუზმე არ გაცივდეს-მეთქი, ტბის პირას გაშენებულ ბანაკში დავჭროდი მის საძებნელად. ამასობაში ნორმანი რაღაც უმნიშვნელო საქმეს ჩაჰკირკიტებდა. ახალგაზრდა ჯადოქარი არც ღვალებს ზოგავდა და არც ხელებს, ოღონდ კი თუნდაც სულ უბრალო საქმე წესიერად შეესრულებინა. ჩემი ფეხმარდი ირემი, ჩემი „უკანასკნელი მოჰიკანი“ მთელ თავის მოხერხებულობას და სიმარჯვეს წვრილმან საქმეებს ანდომებდა. უთენია დგებოდა, ზამთარში თითქმის სიბნელეში უხდებოდა სახლიდან გასვლა. ამის გამო ვკიცხავდი, კიდეც ვწუწუნებდი, მაგრამ პასუხად ერთი და იგივე მესმოდა:

— უამრავი საქმე მაქვს, დილით შესრულებულ სამუშაოს არაფერი შეედრება!

თბილი საწოლის მიტოვება შენანებოდა, მაგრამ სანამ ნორმანი პრიმიტიულად მოწყობილ სააბაზანოში საქმიანობდა, მაინც ვიამოვ-

[1] სამუშაო, შრომა (ინგლ.)

ნებით ვტრიალებდი სამზარეულოში. ერთხელ სიურპრიზი მოვუმზადე და მაკარი ყავა მოვუდუღე.

— ოჰ, რატომ შეწუხდით! — მითხრა ნორმანმა, როცა სამზარეულოს მაგიდასთან ქაფქაფა ყავა დახვდა, — თვითონ ვერ მოვიდუღებდი?

— როგორ არა, მაგრამ ასეთ ყავას მაინც ვერ მოამზადებდით. ამ საქმეში სპეციალისტი გახლავართ.

— მართლა? რაიმე განსაკუთრებული ფოკუსი ხომ არ იცით? პირადად მე წინადღით მოდუღებულ ყავას ვიცხელებ ხოლმე. ესაა და ეს!

— ასეთი რამ მეორედ არ გამაგონოთ, ნორმან! — ვუპასუხე აოშფოთებულმა, — ვაცხელებული ყავის დალევა როგორ შეიძლება?!

— რა უცნაურები ხართ ევროპელები! — თქვა მან, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ამომხედა. კოჭაზე დამაგრებული ნათურის ქვეშ ვიდექი. თაროსთან.

ნამბინარევი, შეცივებული, პენუარში გახვეული აგნესი მისთვის ევროპელი ქალის, — სულ ერთია რომლის: ბერძენი, ნორვეგიელი თუ ესპანელი ქალის — კლასიკური ტიპი გახლდათ.

ასეთ წუთებში ვანსაკუთრებით მწვავედ განვიცდიდი ჩემს ბახლურ თავგადასავალს, მის უაზრობას. ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ, რას ვაკეთებ ტრაპერის სტილით ნაგებ ამ ქოხში, ამ თოვლში, მშობლიური ქვეყნიდან ათი დღის სავალზე, ამ ყმაწვილთან, რომელიც, მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ორასპროცენტიანი ამერიკელია“, მე კი მისთვის ნახევრად ღმერთი, ნახევრად მზარეული ვარ!

— ჰო, უცნაური ხალხი ხართ ევროპელები! — განაგრძობდა ნორმანი, — თქვენი აზრით, ჩვენ ზედმეტად პრაქტიკული, ზედმეტად ბავშვური ბუნებისა ვართ. თქვენ თვითონ კი, ღმერთმა იცის, რა მნიშვნელობას აძლევთ არაფრის მაქნის ყოველგვარ წვრილმანს!

— მაშასადამე, თქვენი აზრით, გემრიელი საჭმელი არაფრის მაქნისი წვრილმანია?

— გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ გემრიელ სამზარეულოზე! თავი ვეღარ შევიკავე და ცოტა არ იყოს, პედანტურად მოვახსენე, ფრანგებმა ცხოვრებისეული მოთხოვნილება ხელოვნებად აქციეს, ეს კი არც ისეთი ხელწამოსაკრავი საქმეა-მეთქი.

— ეს ხელოვნება, — მშვიდად მომიგო ნორმანმა, — მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება: სანამ ლუკმას გადაყლაპავ.

უნებურად გამეცინა, მაგრამ მაშინვე გავჩუმდი. ასეთი სერიოზული და იდუმალი სახე მუდამ განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა

მას და თავის წინაპრებთან აახლოვებდა. როგორც კი ამ გამომეტყველებას შევამჩნევდი, დარწმუნებული ვიყავი, რაღაც ღრმად გონივრულ აფორიზმს მოვისმენდი.

მაგიდას შემოვუარე, მისი ტაბურეტის უკან დავდექი და ხელები მხრებზე ჩამოვადე. შალის პერანგიდან მისი ძლიერი კუნთები [illegible] რძენი. სახე მივუახლოვე, ახალგაპარსული. ცხელი ლოყის შეხება მუდამ მაგიური ძალით მოქმედებდა ჩემზე.

რაღაც გაურკვეველი ნაღველი შემომაწვა...

— ოო, ნორმან, მე ისე მინდა... ისე მინდა...

მკლავებზე ხელი წამავლო, რათა უფრო მაგრად მოვხვეოდი მხრებზე.

— რა, საყვარელო, — თავაზიანი კილოთი მკითხა, — რა გინდათ?

ზუსტად არც ვიცოდი, რა მინდოდა. უბრალოდ, მინდოდა ასე ვმდგარიყავი, უძრავად, უსიტყვოდ... რაღაც დარდს შეეებოჭე. მაგრამ ნორმანს სიზუსტე უყვარდა და მეც ხმა ამოვიღე:

— მინდა, რაც შეიძლება მალე, ვთქვათ — ხვალვე, წამიყვანოთ მთებში. თხილამურებით ვისეირნებდით...

— სიამოვნებით, — მითხრა მან, — მაგრამ იქ რა უნდა გავაკეთოთ?

— არ ვიცი, ნორმან... უბრალოდ, მინდა თქვენთან ერთად ვნახო ის პეიზაჟი, თქვენ რომ ასე გგავთ... ნუ დამცინით!

— დაცინვას არც ვაპირებ!

— თუ გინდათ, ინადირეთ... შიმშილი ბუნაგიდან წამოაგდებს ნადირს... გაბანჯგვლულ ნადირს...

— კი მაგრამ, ახლა ხომ იხვებზე ნადირობის სეზონია!

იანვრის ერთ საღამოს თოვლით დაფარულ ჩვენს პატარა კართანას ვგვიდი. უეცრად ნორმანის ხმა გავიგონე. ბანაკიდან მეძახდა. მერე პატარა გოგონამ მოირბინა, სუნთქვაშეკრულმა მაცნობა, მისის კელოგს ტბასთან უხმობენ, იქ უბედურება მოხდაო.

გავიქეცი, საშინელი ამბის გაგება წინასწარ მაშინებდა. ერთ-ერთ ბუნგალოსთან. სადაც ჯერჯერობით არავინ ცხოვრობდა. ხალხი შეგროვილიყო. მაშინვე მომცეს გზა. ბუნგალოში საღ-სალამათი ნორმანი დამხვდა, თუმცა ერთიანად გალუმპულიყო და გაქაფული კვიცივით ასდიოდა ოხშივარი. მიამბო, თავს რაც გადახდა: ტბის ჩრდილო ნაპირას მცხოვრებ ერთ მებადურს ამ შუა ზამთარში ყინული ამოუტეხია და დიდის ვაივაგლახით წვრილი კალმახები დაუჭერია. მებადურის შვილს განუზრახავს ტურისტებისთვის მიეყიდა თევზი. რაკი

თოლსაწმენდი მანქანა ტბის მარცხენა ნაპირას მუშაობდა, ბიჭი პირდაპირ წასულა, გზა გადაუჭრია და ჩვენს ნაპირს რომ მოადგა, ფეხქვეშ ყინული ჩასტყდომოდა. ნორმანს ბავშვის ყვირილი გაუგონია; ბიჭი თითქმის ტბის ფსკერზე ყოფილა და იხრჩობოდა; ნორმანი გაქცეულა, იძულებული გამხდარა ჩაეყვინთა და გათოშილი, სახეგალურჯებული ბიჭი წყლიდან ამოუთრევია. ბავშვი მაშინვე ვიცანი:

— ეს ხომ მაიკია! — დავიყვირე.

საუბედურო, ტურისტებს შორის ერთი ექიმი არ აღმოჩნდა. სეირის საყურებლად მოსული ხალხი გარეთ გავისტუმრე და მსოლოდ მისის პოტერი დავტოვე. ამ კეთილ ქალს პატარა საბაყლო ჰქონდა ბენზინის წერტილთან. პირველ ყოვლისა, ღუმელში ცეცხლი დავანთებინე. სანამ ბიჭს ტანზე ვხდიდი, ნორმანი ვაიძულე ტანსაცმელი ეცვა, რადგან სიცივისგან კბილს კბილზე აცემინებდა. იგი საბანში გავხვიე და მალე კიდეც გათბა.

ბიჭი გაუნძრევლად იწვა. როცა გადავაბრუნე, თავი ვერ შეეკავა და წამოვიყვირე: ორივე ფეხი გადატეხილი ჰქონდა. საჭირო იყო ბავშვის მოსულიერება, ყოველი ღონე უნდა გვეხმარა, რომ ფილტვების ანთება არ დაწყებოდა, ამასთანავე მოტეხილობაზეც უნდა გვეფიქრა. როგორ მოვახერხებდი ყოველივე ამას? წამით დავიბენი, ძალიან ძნელი და პასუხსაგები ამოცანა მქონდა გადასაჭრელი, მაგრამ როგორც კი თავი ავწიე, ნორმანის სახეს შევაფეთე მზერა. კულულებად დახვეული თმა სველ ბურბუშელას მიუგავდა, ფერიც ასეთივე ჰქონდა. აწვწილი კულულებიდან იმ კაცის თვალები მიყურებდა, ვინც ვე მიყვარდა; მიყურებდა — რას ვაკეთებდი, მიყურებდა ინტერესით, რწმენით, თითქმის აღფრთოვანებით. გამოგიტყდებით, სწორედ ამ შემოხედვამ გამაბნევა.

მაიკი გრძნობაზე მოვიდა. მისის პოტერს მდოგვის საფენები მოვამზადებინე და ბიჭს დავაკარი. ფეხები რამდენიმე ადგილას ჰქონდა გადატეხილი. სასწრაფოდ უნდა გადამეწყვიტა რამე. მშობლების მოყვანაზე ფიქრიც ზედმეტი იყო: ვინც უნდა გაგვეგზავნა, მასაც მაიკის ბედი ეწეოდა, რადგან ყინულზე სიარული სახიფათო იყო, ხოლო ტბის პირას ისეთი ღრმა თოვლი იდო, ოთხი საათის სიარული მაინც მოუხდებოდათ.

სახლიდან მშრალი ტანსაცმელი მოუტანეს ნორმანს, გადაიცვა და ყინულში ბანაობის კვალი უკვე აღარც ეტყობოდა. მისმა გამძლეობამ, სწრაფმა რეაქციამ ისევე გამაკვირვა, როგორც მძს აოცებდა ჩემი — მომვლელი ქალის საქმიანობა.

— მართლა კარგად გრძნობთ თავს? — ვკითხე ნორმანს.

— ჩინებულად!

— მაშინ მე და ბიჭი ვიქტორვილში უნდა წაგვიყვანოთ ფორდით. ეუთხარი და სწრაფად მიეუბრუნდი პატარა პაციენტს, ბაკვმოკუმული, ვაქკაცურად რომ იტანდა ტკივილს.

— თანახმა ხართ?

— დიახ, — მიპასუხა ბავშვმა და თუმცა ტკივილი ტანჯავდა, ღირსეულად დასძინა: — მე მჯერა თქვენი, მისის კელოგ!

— გმადლობ, მაიკ!

მერე უფრო ნორმანის გასაგონად დავძინე:

— ვიქტორვილში პატარა პოლიკლინიკაა და რენტგენია კაბინეტია. მისის პოტერი არ დაგეზარდება და წინასწარ დარეკავს, ჩვენს ჩასვლას შეატყობინებს.

— რა თქმა უნდა, მისის კელოგ! — წამოიძახა ქალმა, — მშობლებსაც ვაცნობებ.

— გინდათ, ვინმე გაგზავნოთ? არ დაგავიწყდეთ, ორიოდე საათში დაბნელდება.

— მაშ, ნუქსიანალი რისი მაქნისია? — მხიარულად წამოიძახა მან, — ფარნით ხელში აი იმ კლდეზე ავალ, ქოხიდან რომ მოჩანს, და მერწმუნეთ, მე და მოხუცი ერთმანეთს გავუგებთ!

— მეც ასე მგონია! — თქვა მაიკმა.

— მაშ როგორ! ნუ გავიწყდებათ, რომ მეც მთიელი ვარ და ჩემი წინაპრებიც მთიელები იყვნენ!

ეაუკინა. არ ყოფილვრეებია. მიეხვეტ, უნდოდა, როგორმე დაეძლია დაძაბულობა.

გზას დიდი ხანი მოვანდომეთ. ნორმანის მანქანა ბოლდუინის პატარა ტბამდე ისე მიქროდა, ღრანტეების შიში არ ჰქონდა. თოვლსაწმენდი ღრმად ვერ წმენდდა გზას, მხოლოდ ზედაპირს აცლიდა თოვლს, უკან კი გაყინულ ტრასას ტოვებდა, ისეთივე მოლიპულს, როგორიც ვერტიკალური კედლები იყო. ასე რომ, გზა დაისს შუქში გასვეულ ქათქათა ტრანშეას ჰგავდა.

ამჯერად ნორმანს გვერდით არ ვიჯექი. საშენი მასალის გადასატანად რომ მეტი ადგილი ჰქონოდა. მანქანის სალონიდან საკარძლები ამოეღო. შიგ ლეიბი დავადებინე, ზედ პატარა პაციენტი დავაწვინე, სახელდახელო არტახები დავადე და ბიჭსაც ტკივილი ოდნავ დაუცხრა, მერე იქვე ჩავცუცქდი, იატაკზე, თან ნავთის ქურა მუხლებს შორის ჩავიდგი.

ულელტეხილზე ნორმანმა მანქანა გააჩერა. ატმოსფერული წნევა საგრძნობლად შეცვლილიყო.

— შეხედეთ! — მითხრა ნორმანმა.

ჩვეულებრივი სასწაული იწყებოდა. ერთი სამყაროდან მეორეში მოვხვდით. წარმოუდგენლად ღრმად და შორს გადაეშიმულიყო უფსკრული, დღის შუქის უკანასკნელი ანარეკლი მოწითალო მტვერში ახვევდა მთელ სივრცეს: ჯანღი ბოლქვებად გროვდებოდა, ჰორიზონტთან სქელდებოდა და გაუმჭვირვალე ხდებოდა. უფრო შორს, ამ მარგალიტიფერი ფარდის ზემოთ, იისფერი მთები კუნძულებივით მოჩანდა. არავითარი ხმა. არავითარი მოძრაობა. დასავლეთით, კეჯონის გზაზე, ცისკიდური მკვეთრი ფერებით აჭრელებულიყო და უღრუბლო, უძრავ სპექტრს უერთდებოდა. დღე თითქოს აყოვნებდა ღამესთან შეყრას, ყოველ წუთს ებღაუჭებოდა, ცდილობდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო ამ ლამაზ სივრცეში.

მგონი, არასოდეს, ინტიმურ წუთებშიც არ მიგრძვნია ნორმანთან ასეთი სიახლოვე, მგონი, არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ბედნიერი, როგორც ამ გზის პირას ვიყავი, როცა მოკუნტული ვიჯექი მანქანაში და ერთი ხელი ჩემი პაციენტის ხელზე, მეორე კი — მეგობრის მხარზე მედო. ნორმანმა ხელი გადაუსვა ფანჯრის მინას, რომ იქაურობა უკეთ დამეთვალიერებინა. გულზე ნაღველი შემომაწვა. ასეთ გრძნობას ზოგი ქალი ბედნიერების საწინდრად მიიჩნევს: იგი გამაფრთხილებელი ნიშანივით გაისმის ხოლმე ჩვენი გულების სიღრმეში. ჩერშიც ხდებოდა წონასწორობის აღდგენისა და შეგუების ისეთი წამიერი პროცესი, რასაც, ალბათ, ხელმეორედ ვეღარასოდეს შევიგრძნობდი.

დრო არ ითმენდა, გზა უნდა განგვეგრძო. ატმოსფერული წნევის ცვლილებას უკვე შევეჩვიეთ, თანაც მაიკის მდგომარეობაც თავს გვაბსენებდა და ვეღარ ღავაყოვნებდით.

უდაბნოსკენ დავეშვით. მისი საგაზაფხულო მოსართავები — დღემოკლე ლუპინუსები, ვერბენები, ნარინჯისფერი ყაყაჩოები დაბერებულიყო და ვაბსმარი ღერებიდა ფარაჯდნენ უნაყოფო ბიწას. ბილიწიალიდან მოტანილი სითბო უკვე აღწევდა ჩვენამდე. მაღალმთიან ველთან შედარებით აქ თითქმის მთელი საათის დაყოვნებით ღამდებოდა. თოვლი და ფიქვები ბინდბუნდში გახვეულმა კენჭებმა, კაკტუსებმა და იუკებმა შეცვალა.

ნელა მივდიოდით: ოღროჩოღრო ბზა ძნელი სავალი იყო და ზეღ უფსკრულის პირას გადიოდა. დროდადრო ნორმანი მეთოდურად

ამუხრუჭებდა მანქანას. რამდენიმე ასეთი შეჩერების შემდეგ ფორდმა ბარს მიაღწია. ვიქტორვილში ღამით ჩავედით.

ბიჭს რენტგენის სურათი გადაუღეს, ფეხებზე ახალი არტახები დაადეს და კლინიკაში დააწვინეს. მისის პოტერს დაეურეკე და ბიჭის ამბავი შევატყობინე. როგორც ვვარაუდობდი, მაიკის ოჯახი საბაყლო დუქანში შეგროვილიყო. ჯერ ბავშვის მამას ველაპარაკე, ვაცნობე მხოლოდ ის, რაც მთავარი და საჭირო იყო, შემდეგ დედამ მოისურვა, მადლობა გადაეხადა ჩემთვის. ოცჯერ მაინც მიწოდა honey, რაც ფრანგულად „თაფლს“ ნიშნავს, მაგრამ ამერიკულად, თანაც ასით შემთხვევაში, გაცილებით მეტი სითბოს გამომხატველია.

ნორმანმა გამომიცხადა, შიმშილით ვკვდებიო. მისის პოტერთან ტელეფონით დასალაპარაკებლად ყავახანაში ვიყავით შესული: ნორმანი მაგიდას მიუჯდა და ბატონკაცურად შეუკვეთა ორი ულუფა ლორი. ცხელ-ცხელი ლორი ლაქვით პრიალებდა, თითოეულზე ანანასის ნაჭერი იდო, თან ხაჭოთიც მოერთოთ. ლორი ისეთი მაგარი გამოდგა, დანით ძლივს გავჭერით, მერე კბილები წავაშველეთ და გემრიელად მივირთვით.

უკვე ათი საათი იყო. ნორმანს ვუთხარი, ისე ვარ დაღლილი, ბიგბერში უკან გამგზავრებას ვეღარ შევძლებ-მეთქი. დაღლილობა საბაბი იყო. მინდოდა, რაც შეიძლება გვიან დავბრუნებოდი ყოველდღიურ ცხოვრებას, მინდოდა, ეს წუთები როგორმე გამეხანგრძლივებინა, გამეჭიანურებინა.

ოთახი ანდერსონის სასტუმროს მესამე სართულზე მოგვცეს. ფანჯარა გავაღე და რაფას დაეყრდენი. ქვემოთ ამერიკული პატარა ქალაქის ბულვარი მოჩანდა. ირგვლივ ერთსართულიანი სახლები, ლამპიონები და ველური მსხლის ხეები ჩამწკრივებულიყო. ხის კენწეროები თითქმის ჩვენი ოთახის ფანჯრებს სწვდებოდა — ხელი რომ გამეშვირა, ქვემოდან განათებულ, მსუბუქ ფოთლებს შევეხებოდი.

მსახური რომ გავიდა, ნორმანი მომიახლოვდა და წელზე მომხვია ხელი. დუმდა. მეც ვდუმდი. დაღლილმა თავი მის მხარზე ჩამოვდე, ახლოს მივიწიე, მინდოდა, უკეთ მეგრძნო ეს ხელი, თავისკენ რომ მეწეოდა, მეხვეოდა, მეგრძნო ის ძლიერი ხელი, ადამიანი რომ გადარჩინა აწლახან. უცებ თავში გამიელვა, რომ კინაღამ მეგობარი დავკარგე-მეთქი. ორჯერ გადაურჩა ხიფათს: ჯერ გაყინულ წყალში, მერე ბუნგალოში, როცა გათოშილი ტანსაცმელი ტანზე ჰქონდა მიკრული. თავის გადარჩენას იგი იმ ცხოველურ სითბოს უნდა უმადლოდეს. ამ

წუთას მე რომ გადმომეცემა და მაღელვებს. შემაჟრჟოლა, ღია ფანჯარასთან დგომას დავაბრალე.

ნორმანმა ფანჯარა მიხურა. ოღონდ ჩემს გაჟრჟოლებას იგი შიდომაში არ შეუყვანია და ეს ამბავი ღამის სიგრილისთვის არ ეკუწერია. ნორმანი. ზოგჯერ გულუბრყვილობას რომ ამჟღავნებდა ხოლმე. ნორმანი. სიყვარულს ავხორცულად რომ არ ეკიდებოდა. უბადო ფიზიკურ ალღოს ფლობდა; გამოხედვის მნიშვნელობას გაცილებით უფრო ადვილად ხვდებოდა, ვიდრე სიტყვისას, ხოლო ფიზიკური შეხება გაცილებით მეტს ეუბნებოდა, ვიდრე გამოხედვა.

ერთი სიტყვით. მიმიხვდა და საწოლთან მიმიყვანა. სანამ გონს მოვიდოდი, უკვე ნორმანის გვერდით ვიწექი. ბოლო ხანებში მისი ალერსი ალარ მანიჭებდა დიდ სიამოვნებას, ახლა კი, მის მკლავებში მომწყვდეულს, ხელახლა დამიბრუნდა ის ბედნიერი წუთები, პირველ ღამეს რომ ახლდა.

3

ბიგ-ბერში ძველებურად წარიმართა ჩვენი ცხოვრება. ნორმანს ალბათ კიდეც ვაღაავიწყდა მაიკის უბედური შემთხვევა და ამასთან დაკავშირებული ამბები. სამაგიეროდ, მე მახსოვდა და კარგადაც ვიცოდი, რომ იმ დღის ბოლო რამდენიმე საათი არასოდეს გაქრებოდა ჩემი მეხსიერებიდან და თვით ის თოვლცვენაც კი, მეორე დღეს რომ დაიწყო ჩვენს მთებში, ვერ ჩამარხავდა ამ მოგონებას.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მოგონებებს შეცდომაში მაინც არ შევუყვანივარ, არ შეუცვლია ჩვენი ერთობლივი, მაგრამ მაინც განცალკევებული ცხოვრება. ყველაფერს საღად ვუყურებდი.

და როცა ფარიშების უმცროსი ქალიშვილი, ბინი ავად გახდა, ხოლო ექიმებმა მთის ჰაერი ურჩიეს. ყოველგვარი სინანულის გარეშე დავთანხმდი მესამე პირის ჩვენთან ყოფნას.

— სასიამოვნო სტუმარი იქნებით! — ვუთხარი ბინის, როცა სანბერნარდინოში ამ თემაზე ჩამოგვიგდეს სიტყვა.

არც მისთვის მითქვამს ტყუილი, არც საკუთარი თავისთვის. ჩვიდმეტი წლის ბინის მსგავსი ქალიშვილები უამრავია შეერთებულ შტატებში. მტკიცე. ენერგიული ნაბიჯებით იგი მშვიდად მიიკვლევდა გზას ცხოვრებაში და არავითარი დიდი პრობლემები არ აწუხებდა. ფის შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, თითქოს არაფერი ეოცებსო, ყველაფრისთვის მზად იყო, გეგონებოდა, რეაგირების მთე-

ლი სისტემა, ავტომატურად მოქმედი სისტემა აქვსო გამომუშავებული. მწყობრიდან მისი გამოყვანა არაფერს შეეძლო ანაზღეულად. ჩემი აზრით, ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანს ან განსაკუთრებული შეხედულება აქვს ცხოვრებაზე ან საერთოდ არავითარი აზრი არ გააჩნია ცხოვრებაზე. გადავწყვიტე, მე და ბინის ერთ ოთახში დაგვეძინა. აი ასე. თითქოს ხელახლა დავიბრუნე ბერკლის უნივერსიტეტისა და ჩვენი sororily-ის დღეები. ნორმანს განიერ ტახტზე ეძინა, თავქვეშ ყურთბალიში ედო, ხოლო ფეხებზე ბუმბულის საბანი ეფარა. სალამოობით დიდხანს ვრჩებოდი მასთან; იგი წამოწოლილი იყო, მე კი ბუხრის წინ დაფენილ დათვის ტყავზე ვიჯექი, ტახტს ზურგით ვეყრდნობოდი და ნორმანიც მხრებზე მბვევდა ხელს. სინათლეს ვაქრობდი. ბუხარში აგიზგიზებული ალიღა ანათებდა ოთახს და მეც ისე ვაშტერდებოდი ნაკვერჩხლად ქცეულ კუნძებს, თვალები მეწვოდა; მისი სიმხურვალე მითენთავდა ფეხებს, მხრებს, მთელ სხეულს, თავს მიბეჭედავდა. ერთი ჯოხი მქონდა და ნაკვერჩხალსაც იმ ჯოხის დანახშირებული ბოლოთი ვჩიჩქნიდი. ცეცხლის მოთვინიერების იმედი ხომ არ მქონდა? ან მის ჯადოქრობაში დარწმუნებულს, მოკავშირედ ხომ არ მინდოდა გამეხადა იმ იმედით, რომ იგი მე და ჩემს ინდიელს დაგვიცავდა. ბოროტ სულს განდევნიდა სახლის ზღურბლიდან და უბედურებას აგვაშორებდა?

მაგრამ ალს დარდის გაქარვების უნარი არ გააჩნდა, თამამად არღვევდა მოჯადოებულ წრეს და გვიახლოვდებოდა. ჯიუტად ვდუმდი, ჯადოს დარღვევისა მეშინოდა, იმის გაფიქრებაც მეშინოდა, რომ ნორმანს ეძინა. ვგრძნობდი, თანდათან როგორ უმძიმდებოდა ჩემს მხრებზე ჩამოდებული ხელები. მისკენ აღარ ვიყურებოდი, ვცდილობდი, როგორმე გაძეხანგრძლივებინა ილუზია და თავი დამერწმუნებინა, ასე მალე არ მიმატოვებს, არ დაიძინებს-მეთქი. ჯერ ისევ მგვრიდა სიამოვნებას ასეთი წუთები.

სიცხითა და ფიქრებით გაბრუებულს ზოგჯერ მეც წამთვლემდა. სიცივე მაფხიზლებდა: ჩანაკვერჩხლებული კუნძების ალი სუსტად ანათებდა ოთახს. ნორმანი უნებურად ხელს აიღებდა ჩემი მხრიდან და საბნის ქვეშ შეჰყოფდა. ფეხებდაბუჟებული წამოვდგებოდი, სამიოდე კუნძს შევაგდებდი ბუხარში, მინელებულ ცეცხლსა და მძინარე ნორმანს გულისტკივილით ვტოვებდი, თვალებით ვეთხოვებოდი.

ხაძინებელი ოთახისკენ მივდიოდი, სადაც ბინის — ამ გაადამიანებული ცხოველის კიდევ ერთ სახეობას ღრმად ეძინა. როცა კარს ფრთხილად ვაღებდი და სინათლეს ვანთებდი, მუდამ მეშინოდა — არ გაღვიძებოდა და არ ეკითხა, რომელი საათია. რა თქმა უნდა, იმის საშიშროება არ იყო, რაიმე გადაკრული ნათქვამი მომესმინა ჩემი შეგვიანების გამო. კარგა ხანია დავრწმუნდი, ჩვენს ნაცნობებს არავითარი ეჭვი არ აწვალებდათ ჩვენი დამოკიდებულების თაობაზე. სამაგიეროდ, მე თვითონ ისე არ გავამერიკებულვარ, რომ მათ დავმსგავსებოდი ასეთ საკითხებში. სულ მოკლე ხანში მომხდარი გაუგებრობა სწორედ ამის დამადასტურებელი იყო.

იმ დღეს ნორმანი სენ-ბერნარდინოში უნდა წასულიყო საქმეებზე. ბინის გაუხარდა: მონოტონური ცხოვრების შეცვლის შესაძლებლობა ეძლეოდა, თანაც უნდოდა, მშობლებსაც ენახათ, რა კარგი შედეგი გამოიღო მისმა მკურნალობამ. ამიტომ ნორმანს სთხოვა, მეც წამიყვანეთო. მე ბუნგალოში დაერჩი და საოჯახო საქმეს მოვკიდე ხელი. მარტოობა, ასე ძალიან რომ ველოლიავებოდი საფრანგეთში, ბოლო დროს ამერიკაშიც ცულს მიფონებდა. ასე მეგონა, სწორედ მარტოობა დამიბრუნებდა იმ ცოგონას, ამერიკელ ეგნისს რომ არა ჰყავდა; წარმოიდგინეთ, ამჯერად წარსულისკენ დაბრუნება უსიამოვნო გრძნობას სულაც არ აღმიძრავდა.

დღემ ამასობაში თანდათან იმატა. საოჯახო საქმეები რომ მოვათავე, მზის ჩასვლამდე ორი საათი მაინც იყო დარჩენილი. ფარიშებს ტელეფონით ველაპარაკე და შევიტყვე, ნორმანს ახლახან შეევლო მათთან ბინის წამოსაყვანად. გადავწყვიტე, ფეხით გამეევლო და შევხვედროდი.

თოვლსაწმენდით გაკრიალებულ შარაგზას დიდხანს მივუყვებოდი. მანქანები თითქმის არ შეხვედრია და არც ჩვენი ფორდი ჩანდა არსად. კაშხალამდე მივედი, დასავლეთით რომ ეკრა ტბას, მაგრამ ფორდს მაინც ვერსად შევაკლე თვალი. რედლენდის გზა თოვლს მოენამქერებინა და ნორმანს მხოლოდ სიტი კრიკ როუდით შეეძლო ბიგბერში დაბრუნება. მეც იქ დაველოდე.

გზის განგრძობა ვერ გავბედე და რაბთან, მოაჯირზე ჩამოვჯექი. უკან ხრამი იყო; თითქმის პირდაპირ, შარაგზის მეორე მხარეს, მოყინული ტბა ისე მოჩანდა, გეგონებოდა, ბუნებრივ მღვიმეზე ჰკიდია. მისი თოვლმოყრილი ზედაპირი სარკესავით ლაპლაპებდა. ტბის პირას დარგული რამდენიმე ხშირტოტიანი ხე და მათ წინ აგებული ჭოხის ყავისფერი კედლები კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენდა ამ

სითეთრეს. ქობი რომ დავინახე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა შორს წამოვსულვარ.

ქობი შარაგზასა და ტბას შორის, იმ ადგილას იდგა, საიდანაც მთელი ბიგ-ბერი მოჩანდა. მგზავრებს უყვარდათ იქ შეჩერება. კვირაობით ამ ქობს სენდვიჩების გამყიდველი იკავებდა. მაგიდებითა და მიწაში ჩაბრახნილი, გაურანდავი ხის სკამებით, წყლის ოკანებითა და აგურის კერიებით დაფარული პატარა მოედანი პიკნიკის მოყვარულებს კვირის სავა დღეებშიც იზიდავდა. შარაგზა რომ არ გადაეღობათ, იქვე პატარა ნაკვეთი გამოეყოთ საგანგებოდ, მანქანების დასაყენებლად. ახლაც იდგა ერთი მანქანა... ჩვენი ფორდი.

არ გავხმრეულვარ. შევეცადე, მოწოლილ აზრებში გავრკვეულიყავი: მაშასადამე, ნორმანი და ბინი კაშხალამდე მოსულან, მაგრამ ბიგ-ბერამდე გზა არ გაუგრძელებიათ, მანქანა გააჩერეს, გადმოვიდნენ და სადმე, ქობის უკან თუ ჩამოსხდნენ სკამზე! ოღონდ ახლა ნაცნობი პეიზაჟის ცქერით კი არ ტკბებიან, ბუნგალოში დაბრუნება და „იმ ქალთან" შეხვედრა არ უნდათ. ამ ბრიკსაც მივხვდი, ორივეს ბოროტმოქმედების ადგილზე წავაწყარი. და თუ კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამდი ჩუმად, ღალატის უშუალო მოწმეც გავხდებოდი.

მოაჯირიდან ადგომას მაინც არ ვჩქარობდი. რას განვიცდიდი?.. გაბრაზებას, გამწარებას, გულისტკივილს? ვიტანჯებოდი?.. უეჭველია!.. ერთმა აზრმა სხვა აზრები დათრგუნა: სავსებით გასაგები, სავსებით სამართლიანი ამბავი მოხდა და აღშფოთების უფლება არა მაქვს!.. როგორ ვერ გავითვალისწინე ის, რაც ახლა ხდებოდა იქ? ნუთუ იმდენად ვიყავი ჩემი ქიმერების ტყვეობაში, რომ ნორმანის გრძნობების სიმტკიცის ასე ძალიან მჯეროდა? საკმარისი იყო, პირველი girl გამოჩენილიყო, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარებულიყო. განა ბინი შემთხვევით შეგვახვედრა ბედმა? განა ისიც ნორმანის მოდგმისა არ იყო?

ვიცოდი, რა განსხვავებაც იყო ჩემსა და მათ შორის. და ერთბაშად ვიგრძენი, როგორ შემომეხვივნენ ჩემი ევროპელი ტომის წარმომადგენლები, ფარული აზრებით მდიდარი მამაკაცები და ქალები: მდუმარე დიდედა, თავშეკავებული ძმა, ცბიერი დედა, მთელი ოჯახი — მზაკვრობის უბადლო ტიპები... მე კი ამ ხალხთან კავშირის გაწყვეტას ვლამობდი! ისიც იმისთვის, რომ უცხო მოდგმას შევკედლებოდი?!. საკუთარი თავისაც არაფერი გამეგებოდა...

სამაგიეროდ, ნორმანს კარგად გავუგე. ამიტომ ისე ძალიან არც ვბრაზობდი მასზე. ვფიქრობდი, ეს ფლირტი ფარიშების გოგონასთან,

ზზითვიან და მდიდარ მემკვიდრესთან, ალბათ ქორწინებით დამთავრდება მოგვიანებით, როცა მე გზიდან ჩამომიშორებენ-მეთქი. ამ ყმაწვილს ნამდვილად გაუღიმებდა ბედი! ბოლოს დავასკვენი, დღევანდელი ინციდენტი ყველას ხელს აძლევს-მეთქი. ქოხისკენ გაეეძართე. წინა დღით მოსული ფაფუკი თოვლი ფეხქვეშ აღარ ხრაჭუნებდა. ამიტომ აღარ დამჭირდა მიმემართა სამარცხვინო ეშმაკობისათვის, იმედაც შემეძლო დამამტკიცებელი საბუთის მიღება და უკადრის საქციელსაც ვერავინ მომაწერდა. თუმცა რას ვამბობ? მე ხომ კარგად ვიცნობდი ამ girl[1] და ამ boy[2]-ს?! არც ერთი არ მოჰყვებოდა თავის მართლებას და გულახდილად აღიარებდნენ დანაშაულს.

მათი ხმა უკვე მესმოდა, თუმცა სიტყვებს ვერ ვარჩევდი. ამასობაში ქოხის კუთხეში შევუხვიე, საცაა კიდეც დამინახავდნენ... უეცრად ერთი სიტყვა გავიგონე და შევჩერდი:

— ...ჩემს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ ასეთ მ ო მ ხ ი ბ ვ ლ ე ლ გოგონას...

ხორმანის ხმა იყო. ყურები ვცქვიტე. ბინიც აჰყვა, ნამდვილი ერთსულოვნება სუფევდა მათ შორის, ოღონდ სულ ხხვა ხასიათისა, ვიდრე ბე ვფიქრობდი. ნორმანი ქებას არ იშურებდა. ისინი, ვისი საალაკარაოზე გაბოყვანა მქონდა განზრახული, კარგის მეტს არაფერს ამბობდნენ ჩემზე.

ერთი სიტყვით, საკუთარი ყურით მოვისმინე, რა თბილი გრძნობები ჰქონია ხორმანს ჩემ მიმართ, როგორ მოსწონდა ჩემი გარეგნობა და აღარც მახსოვს, კიდევ რამდენი ჩემი თვისება მოსდიოდა თვალში, ხოლო როცა ჩემს პატიოსნებაზე მიდგა საქმე (ასე თქვა: „რაც იშვიათია უცხოელებში"), ქურდულად გავიპარე იქიდან.

შარაგზაზე გავედი. გული ლამის ამომვარდნოდა საგულედან იმის შიშით, აქ არ მომისწრონ-მეთქი. ბიგ-ბერის მიმართულებით გავიქეცი. მერე მანქანის ხმა შემომესმა. უკან მომდევდა, სწრაფად მიახლოვდებოდა. სასჯელის მოლოდინში შევჩერდი.

მანქანა გამისწორდა. გაბედულად შემოვბრუნდი... პირისპირ შევხვდები-მეთქი... შევროლე აღმოჩნდა.

ხელი ავწიე. მძღოლმა დაამუხრუჭა, გვერდით დამისვა და ბუნგალომდე მიმიყვანა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბინი ისე გამოჯანსაღდა, დასთან და მეგობრებთან ერთად სამოგზაუროდაც კი წავიდა. მე და ნორმანი

[1] გოგო (ინგლ.)
[2] ბიჭი (ინგლ.)

ისევ მარტონი დავრჩით. და აი, მაშინ ძებნა დაეუწყე ნამდვილ განმარტოებას. ჩვენ ორის განმარტოებული ცხოვრება უკვე ლოდივით მაწვა გულზე.

დღე ისე არ გავიდოდა, ჩემი მეგობრის რაიმე ახალი სისუსტე, ახალი ნაკლი არ აღმომეჩინა. უკეთ რომ ვთქვა, მის ახალ-ახალ ხინჯს ვავლენდი და სახელსაც თამამად ვარქმევდი. რაღაცნაირი, ავი სიხარული ჩამიდგა თვალებში.

კაშხალზე ყოფნისას ჩემმა უმართებულო ეჭვიანობამ თითქოს უცებ მომწყვიტა ყოველგვარ ილუზიას, ნებისყოფა წამართვა და ამიერიდან ამ ტვირთის ზიდვა ნამდვილად გამიძნელდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, თითქოს კიდეც ვბრაზობდი ნორმანზე, რატომ არ მიღალატა-ძეთქი.

ყველაზე სანუკვარი თვისებები, რასაც ნორმანის ხასიათში ვპოულობდი, უკვე აღარ მომწონდა, მაღიზიანებდა: მოწიწება თავისი საქმიანობისადმი, ნახელავისადმი, მისი ხელები, მისი სხეული, ყველაფერი მაღიზიანებდა. მისი სერიოზულობა ბავშვურ საქციელად მიმაჩნდა. მისი პედანტიზმი არ მომწონდა, თუმცა პირადად მე სწორედ პედანტიზმისკენ მქონდა მიდრეკილება და, როგორც შემეძლო, ვებრძოდი კიდეც ამ ნაკლს. საუბედუროდ, ნორმანი მეტისმეტად შეეჩვია მეცნიერული და ტექნიკური ტერმინების წამდაუწუმ ხმარებას. საჭმლის მოხელება დაეოლვეოდა და იმის ნაცვლად, რომ ეთქვა, მუცელი მტკივაო, აცხადებდა, მუცლის არე წესრიგში არა მაქვს... თანაც ამას ისეთი იდუმალი და დინჯი კილოთი ამბობდა, სიცილს ძლივს ვიკავებდი. ერთი სიტყვით, უკვე აღარაფერი გამეგებოდა ამერიკისა!

მარტოდ თუ ვსეირნობდი და ციცაბო კალთას ავუყვებოდი, საიდანაც ტბის პირას ნაგები ბუნგალოები მოჩანდა, ან თუ ვიქტორვილისკენ დავეშვებოდი და ქვემოთ გაწოლილ უდაბნოს გადავხედავდი, ან სულაც სენ-ბერნარდინოს ქუჩაში ველოდებოდი ნორმანს, სანამ იგი ბანკში მოაგვარებდა საქმეებს და მეც მანქანიდან სახლებს, გზას, ხალხს ვათვალიერებდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ეს სანახაობა, რასაც ამდენ სიღრმესა და სისავსეს მივაწერდი, სინამდვილეში მოკლებული იყო ამ თვისებებს, და რომ ჩემ ირგვლივ ყველაფერი ეს მუდამ სილუეტისა და ფასადის სახით არსებობდა მხოლოდ. ამ ახალ ცთუნებასთან შებრძოლება ნამდვილად არ შემეძლო. თითოეული მთის, კედლის, კარის, ადამიანის პროფილის დანახვაზე მეგონა, მათ უკან ან მათ შიგნით სიცარიელეა-მეთქი. მთელი ამ ქვეყნის სიმბოლოდ ბერკლის უნივერსიტეტელი მეგობრები მიმაჩნდა:

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავადგინე — ათიდან ცარა ბოგონა ოჯრმე საცვალს არ ატარებდა!

ასე ვმსჯელობდი, მაგრამ მაშინვე ჩემს თავს ვკიცხავდი, ასეთი დასკვნები რატომ გამოგაქვს-მეთქი. ამაში დამნაშავე იყო წმინდა ფრანგული მიდრეკილება და ნაკლი: ჩვენ, ფრანგები, ცოტას და უაზროდ ვმოგზაურობთ, აქცენტით ვლაპარაკობთ უცხო ენაზე, სხვის აზრებს მძიმედ ვითვისებთ და ერთგვარ გონებრივ კუნძულში ვართ ჩაკეტილნი. ჩემს თავზე ვბრაზობდი.

რამდენიმე კვირა გავიდა და ეს გაღიზიანება ოდნავ დამიცხრა. ნერვული პერიოდი აპათიის პერიოდმა შეცვალა. ამერიკაში ჩასვლისას იქაურ წეს-ჩვეულებებს ჯერ ცნობისმოყვარეობის გამო შევეგუე: მოგვიანებით, ნორმანის გაცნობის შემდეგ, სიყვარულმა ამატანინა, ზოგჯერ ბევრი რამ არც მოინწონდა — მაინც შევითვისე, ახლა კი ვეღარ ამეტანა; თუმცა არაფრის თავი არ მქონდა და ყველაფერს შეჭმული ვითარების გამო შევეგუე. ბიგ-ბერი ახლა ბიგ-ბერი იყო და მეტი არაფერი. ნორმანი — ნორმანი იყო და მეტი არაფერი. დეტექტური რომანების კითხვასა და სიგარეტის წევას მივეძალე. თხილამურებით სრიალს მოვუხშირე, დიასახლისობა ულმერთოდ მივატოვე. სულ უფრო და უფრო ხშირი იყო დღეები, უფრო სწორად — ღამეები, როცა ნორმანის ვნებიანი ალერსი გამოძახილს ვერ პოულობდა ჩემში.

მარტის ბოლო დღეებიც დადგა. ერთ მშვენიერ დღეს მკვრივად დადებულმა თოვლმა ქვემოდან იწყო დნობა. პატარ-პატარა ნაკადულები ტბისკენ მოედინებოდნენ. მთელი მთა შეინძრა. ერთი კვირა ტალახში ვტოპავდით. გზის ორივე მხარეს ჯერ კიდევ შერჩენოდა თეთრი კედლები, მაგრამ ჩავლილი მანქანები ტალახის შავი ფენებით თბვრიდა მათ. თოვლის მთელი ზედაპირი მზის სხივებმა დაცხრილა. ბიგ-ბერი გადახუნდა.

და დაცარიელდა. ვიქტორვილის უდაბნოსა და სენ-ბერნარდინოს პლანტაციებში გაზაფხულმა შემოაბიჯა. იქნებ იქ, ქვევით, პლაჟისა და აუზის ირგვლივ უკვე განახლდა სიცოცხლე! ჩვენთან კი არც პარასკევ საღამოს ამოდიოდნენ მანქანები, არც შაბათ დილას. ნორმანი მთელი დღით მარტო ბტოვებდა, უამრავი საქმე გაუჩნდა: უნდა მოეწესრიგებინა და ჩაეკეტა ბუნგალოები და კოტეჯები. რადგან დამსვენებლების ახალ ნაკადს მხოლოდ ივნისის ცხელ დღეებში ელოდნენ.

მისის პოტერმაც შეწყვიტა თავისი საქმიანობა და დუქანი დახურა, ერთი თვით ლონგ ბიჩში დააპირა წასვლა, გათხოვილ დასთან. ნორმანმა შესთავაზა, სენ-ბერნარდინომდე მანქანით მიგიყვანთ, მერე კი ავტობუსში გადაჯდებითო. როცა დავინახე, რომ ნორმანი ჩვენი მეზობლის ჩემოდნებს ფორდში აწყობდა, როცა გამგზავრებით ნაწყენი ფუსფუსი ვიგრძენი, სუნთქვა შემეკრა, სახეც უცნაურად მომეღრიცა. ასე მეგონა, მისის პოტერი კი არა, ვიღაც სხვა მგზავრი, სხვა ქალი აპირებდა წასვლას.

— ვშიშობ... ვშიშობ, რომ ვერ გაგაცილებთ! — წავიბუტბუტე მე.

— მართლა? ნუთუ?.. — გაუკვირდა მისის პოტერს, — როგორ მწყინს!

— ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხა ნორმანმა.

— სულ მთლად კარგად ვერა ვარ, თუმცა...

ვუყურებდი, როგორ ქრებოდა საბარგულში ჩემოდნები, როგორ მოკალათდა მისის პოტერი ნორმანის გვერდით, იმ ადგილას, სადაც მე ვიჯექი ხოლმე მუდამ.

ლაჩრულად ველოდი, როდის აიღებდა ნორმანი დუქნის ზღურბლზე დარჩენილ ბოლო ფუთას. აი მაშინ, ნაბიჯი გადავდგი და ორივე ხელი მოვკიდე საყვარელ მეგობარ ქალს. ხმა ოდნავ მიკანკალებდა:

— საყვარელო მისის პოტერ. ისეთი კარგი მოგონება დამრჩება თქვენზე!

— ეს რა აზრი მოგსვლიათ, — გაუკვირდა ქალს,—განა ერთი თვის შემდეგ აქ არ დამხვდებით?

— რასაკვირველია, რასაკვირველია... მაგრამ გამგზავრება ეუდამ გამგზავრებაა და...

— კარგით ერთი, მისის კელოგ, კარგით... რა რომანტიული ყოფილხართ!..

გაეცინა, მერე კარგად დამაკვირდა და გაჩუმდა. თვალი ვერ გავუსწორე. მაშინ მისის პოტერმა ძალდაუტანებელი ხმით, თავშეკავებასა და შორსმჭვრეტელობასაც რომ მაგრძნობინებდა, დასძინა:

— თქვენც კარგად იცით, ერთმანეთის ნახვა რომც არ გვეწეროს, მეც კარგი მოგონება დამრჩება თქვენზე!

ვაკოცე. ნორმანი მოგვიახლოვდა.

— დაივიწყეთ, რაც გითხარით! — ვთხოვე მისის პოტერს.

— რა თქმა უნდა!

და თითქოს ჩურჩულით, თანაც სულ სხვა კილოთი დაუმატა:
— თქვენც!
თავი მივაბრუნე.

ფორდი მოსახვევს მიეფარა და უცებ მივხვდი, ბუნგალოში დაბრუნებლად ძალა არ მეყოფოდა. შარაგზიდან გადავუხვიე და ციცაბო კალთას ავყევი.

უკვე შეიძლებოდა უთხილამუროდ სიარული. თოვლი დნებოდა და ბილიკიც კარგად ჩანდა. მაგრამ ფეხი მაინც მიცურავდა წამდაუწუმ და ალმართზე ასვლა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. თბილოდა. ბეწვიანი ქურთუკი გავიხსენი. მაინც ავედი იმ ადგილას, საიდანაც ბანაკისა და ტბის ცქერა მუდამ მსიამოვნებდა. საუბედუროდ, არც ერთსა და არც მეორეს წინანდებური სილამაზე აღარ შერჩენოდა. თოვლი აქა-იქ იდო; ფიჭვის ტოტებსა და კლდის ნაპრალებს შერჩენოდა უკანასკნელი სუფთა, თეთრი ლაქები. და თუმცა ეს ადგილები ჯერ კიდევ წინა შემოდგომაზე მქონდა ნანახი, ახლა ვეღარ ვიცანი. ჩემი ბიგ-ბერი სადღაც გამქრალიყო.

დიდხანს აღარ დავრჩენილვარ იქ. ეს უღიმღამო ჰეიზაჟი უფრო მაშინებდა, ვიდრე ჩვენი საცხოვრებელი სახლის კედლები, სადაც ბედნიერება ვპოვე ოდესღაც, ახლა კი საკუთარი თავის გარდა იქ აღარავინ მეგულებოდა.

ძირს დავეშვი. მივხვდი: თოვლჭყაპიანი ამინდის დადგომა იმას ნიშნავდა, რომ დღემ კიდევ ერთი საათით იმატა. ყოველივე, რაც აქამდე შეუცნობელი და მყიფე იყო, ისევე დაიმსხვრა, ისევე დადნა, როგორც თოვლი გადნა და გაჭუჭყიანდა ჩემს პაწაწინა სამყაროში, რომელსაც ყოველ დღე ნელ-ნელა აკლდებოდა თავისი სითეთრე და მდუმარება! მე მძულდა მიწიდან ამომძვრალი ეს მწვანე ყლორტები, მდინარის ეს რაკრაკი. მე ვწუალიდი გაზაფხულს!

ბუნგალოსკენ დავეშვი. აქედან იგი ხელუხლებელი მოჩანდა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ იგი ნანგრევებად იყო ქცეული! ბოლო ხანებში ჩემთვის უცნობი რაღაც შიში სულს მიღრღნიდა. იგი ჩემი გულის საიდუმლო კუნჭულიდან მოდიოდა, გულს მიკუმშავდა, გონებას ბიფორიაქებდა. იმის მეშინოდა, რომ მალე საბოლოოდ გავგიჟდებოდი ნორმანის ალერსისადმი. ეს იდიოტური შიში არ მასვენებდა, იგი თვითშთაგონებას წააგავდა და გრძნობებს მიჩლუნგებდა.

ყველაზე მწვავე წუთებში თავს ვირწმუნებდი, ჯობს გაეცალო ამ საცხოვრებელს, ამ საწოლს, ამ ყმაწვილის მკლავებს, ვიდრე საბოლოო

დამარცხებას ელოდო! მტრის შემოსვლამდე მინდოდა გავქცეულიყავი. ისიც ვიცოდი, ვინ იყო მტერი: ეს გახლდათ მუდამ მოუდრეკელი და მუდამ კეთილგონიერი აგნესი!

ციცაბო კალთიდან ნელ-ნელა ვეშვებოდი... ფეხი რომ არ დამსხლტომოდა, გზის პირას დარგული ხეების ტოტებს ვებღაუჭებოდი. უცებ რაღაც ცივი, სველი და რბილი დამეცა კისერზე... წამოვიკივლე... ტოტიდან თოვლის ფაფუკი გუნდა მოწყვეტილიყო და ბეწვიანი ქურთუკის საყელოსა და კისერს შორის ჩამვარდნოდა, დნებოდა, ტანსაცმელში ატანდა, წურწურით ზურგზე ჩამდიოდა და ძვალ-რბილს მიყინავდა.

აქამდე შერჩენილი ის მცირეოდენი სიმხნეც წამში გამიქრა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ბილიკზე პატარა გოგო, მოზარდი გოგონა იდგა, რომელსაც ბედი უსამართლოდ მოექცა. ბილიკის კიდე მშრალი იყო და ისიც იქვე ჩამოჯდა. მერე ბეწვიან ხელჯაგში ჩამალა სახე და ატირდა.

4

ერთხელ, პარასკევ საღამოს, როცა ნორმანი სადილად მოვიდა შინ, ვუთხარი:

— ნორმან, თბილი დღეებია, ჩვენ კი ერთხელაც არ ვყოფილვართ პლაჟზე. მოდით, ლაგუნა ბიჩში ნთელი დღით წავიდეთ!

— ოო, ფარიშებთან? სიამოვნებით. დაურეკეთ, თუ შეიძლება!

— რა აუცილებელია მათთან მიყვლა? ჯობს, ნომერი შევუკვეთოთ ნიუ პორტ-კლაბში. უფრო მყუდროდ ვიქნებით.

— თაფლობის თვე მოვიგონოთ? — ღიმილით მითხრა ნორმანმა. მერე აპაზანისკენ გაემართა და მკითხა:

— მთელი საღამო რას აკეთებდით?

გავხედე, კარს გასცდა, ხმას ოდნავ ავუწიე და ვუპასუხე:

— ვალაგებდი.

მეორე დღეს, განთიადზე ფორდმა ბარში ჩაგვიყვანა. იგი ჯანღში გაბვეულ ქალაქსა და სან-ბერნარდინოს რეინჯის ბოლო მისადგომებს შორის მიქროდა.

ჰაილენდს რომ ჩავუარეთ, შევამჩნიე, იაპონელი უკვე აღებდა ყვავილების ფარდულს. წყლით სავსე ლითონის ყუთებს ტროტუარის გასწვრივ, პირდაპირ გაზონზე აწყობდა. ყუთებში ყვავილები იდო.

— გააჩერეთ მანქანა! — ვთხოვე ნორმანს.

— ყვავილები? ყვავილების ყიდვა გინდათ? ვისთვის?

— ...ისე, ერთი აზრი მომივიდა...

სხვადასხვანაირი ყვავილები ავარჩიე და იაპონელს ვთხოვე, ერთ კონად შეეკრა. მანქანისკენ მივდიოდი და თან მეშინოდა. ნორმანი დაცინვით შემხვდება-მეთქი. არა, არ დაუცინია, ოღონდ გაკვირვებულმა განაცხადა:

— რა უცნაური ხართ, ამ დილით, ძვირფასო!

— უცნაური იმიტომ ვარ, ეს ყვავილები რომ მომეწონა?

— არა, უცნაური იმიტომ ხართ, რომ ჩვეულებრივი ოპტიმისტური იერი აღარა გაქვთ!

ჩვეულებას არ უღალატა და არ ჩამციებია.

— მოდით, „ფ რ ო ნ ტ ო ნ ი ს“ წინ ჩავიაროთ, კარგი?

ნორმანს ხმა არ გაუღია, მაგრამ როცა მანქანა თავისი უფროსის აგარაკთან შეაჩერა, მაინც გამაფრთხილა:

— შაბათობით ასე ადრე არ დგება ხოლმე. არც მისი ცოლი იქნება ფეხზე.

— მით უკეთესი, ნორმან. ვერავინ დამინახავს. უბრალოდ, ყვავილებსა და ბარათს დავტოვებ.

ეს შესანიშნავი სახლი მართლაც ჩაძინებული დამხვდა. სახლსა და მანქანას შორის ვიდექი, ხელში ყვავილები მეჭირა და ვყოყმანობდი. წინ ვიყურებოდი. „ფ რ ო ნ ტ ო ნ ი“ დილის ალერსიან სხივებში გაზვეულიყო.

ფარიშებთან გატარებული პირველი ღამის შემდეგ მე და ნორმანმა სწორედ აქ, უსიტყვოდ, სრულიად ბუნებრივად ვიგრძენით ჩვენი ინტიმური სიახლოვე. აქ ინება ბედმა ჩემი ქალური ცხოვრების დაწყება, დიდებული ერთი თვე გამატარებინა. ასევე აქ, როგორც ჩემი ოჯახი იტყოდა, „ჩემი ცოდვა“ ისეთ ნათელ, ისეთ ჯანსაღ, ისეთ სუფთა ატმოსფეროდ იქცა, ერთხელაც ვერ აღმოვაჩინე მასში ვერც აკრძალული ხილის სიტკბოება, ვერც დანაშაულებრივი ბედნიერებისადმი ლტოლვა.

სახლს, რამდენიმე კვირით ჩვენ რომ გვეკუთვნოდა, თვალი ვერ მოვწყვიტე, არც კი ვიცოდი, ასეთი მომხიბვლელი თუ იყო. XIX საუკუნის დასაწყისში ამერიკულ ყაიდაზე აშენებულ მის ფასადს შეერთებული შტატების ხელოვნებათმცოდნეები ოდნავ მაღალფარდოვნად „ბერძნული რენესანსის სტილს“ უწოდებდნენ.

კართანას ზემოთ, სამკუთხა ფრონტონის ქვეშ, ოთხ იონურ სვეტს შორის გადებულმა ვიწრო პერისტილმა ისე გამოაცა პირველად ნახვისას, ეს გაოცება დღემდე არ გამნელებია და იმ დიდითაც სწორედ მან მიმიყვანა ყვავილებით. მეოცნებე ადამიანის თვალში იგი წაგავდა აკლდამას, ოდნავ სასაცილო, მაგრამ მშვენიერ ტაძარს. ჰოდა, მეც სწორედ იქ დავტოვე ყვავილების კონა. ფეხის წვერებზე ავყევი ოთხ საფეხურს და იმ მიხურული კარის წინ, რომლის ზღურბლს შარშან გადააბიჯეს „მისტერ და მისის კელოდებმა", თაიგული დავდე.

ნორმანს არაფერი უთქვამს ჩემთვის. პლაჟამდე ისე ვიარეთ, არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.

წყნარი ოკეანის პლაჟზე უამრავი ტიტველი სხეული ირეოდა, მეც გავთამამდი და ნიუ პორტ-კლაბის შენობიდან საბანაო ტრუსითა და ლიფით გამოვედი. ნორმანი უკან მომყვებოდა ვიწრო ტრუსის ამარა. პლაჟზე რამდენიმე girls და boys დაეხეტა, ზოგი ბურთს ითამაშებდა, ზოგი მზის პირველ აბაზანებს იღებდა. მობანავეები კანტიკუნტად მოჩანდნენ ზღვაში. ნორმანი ლაღად შევარდა წყალში და ტალღებში მოექცა. მეძახდა, გაბედეთ და შემოდითო. მე მაინც დაცდა ვარჩიე, მოგვიანებით უფრო დათბებოდა.

პირსახოცები, თერმოსი, სენდვიჩები და ფორდის გადასახურავი ბრეზენტი თან გვქონდა წამოღებული. ბრეზენტზე ჩამოვჯექი და ნორმანს შევყურებდი. ნაპირისკენ წამოვიდა. როგორც მაშინ, ახლაც ვერ მოვწყვიტე თვალი ოკეანეში აღმართულ, მზის ათინათში გახვეულ მის პრიალა სხეულს; ჩემკენ წამოვიდა, მერე გადაიფიქრა, სამი ყმაწვილი ბეისბოლს თამაშობდა და ნორმანიც (მოპატიჟებისთვის არ დაუცდია) მეოთხე მოთამაშედ დადგა. მე სულ გადავავიწყდი, ხოლო როცა ჰაერში ატყორცნილი ბურთი მარჯვედ ჩაიგდო ხელში, მოთამაშეების საერთო აღტაცება გამოიწვია. ნამდვილი სპორტული თამაში გაიმართა.

ყველაზე მარდი, მარჯვე და ძლიერი მაინც ნორმანი აღმოჩნდა. სასწაულებს ახდენდა. ბეისბოლის სათამაშო ბურთი იმდენად მძიმე და მაგარია, შეიძლება ხელი მოიტეხო, ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, როცა ერთხელ უპარტნიორობდ დარჩენილ ნორმანს ვეთამაშე. ნორმანმა სათითაოდ მოქანცა პარტნიორები, რომლებმაც აღფრთოვანებით განაცხადეს, ნამდვილი terrific[1] იყო. გოგონებიც მიუახლოვდნენ და გაკვირვებული შესცქეროდნენ თავდაუზოგავად მოთამაშე ნორმანს.

---

[1] თავზარის დამცემი (ინგლ.).

როგორც კი ქვიშას დაადგა ფეხი, ხელახლა გახდა კერპი, ღმერთი. ოაკი ატლანტიკაში იყო და მისი ხეულის უპირატესობაც თვალში გეცემოდათ. მთელი მისი ხიბლი სწორედ ახლა გამოჩნდა. ვერც ერთი იქ მყოფი ყმაწვილი ვერ შეედრებოდა, თუმცა ყველანი ახალგაზრდები იყვნენ: წყნარი ოკეანის პლაჟზე ოცდაათ წელს გადაცილებულ მობანაველს, ვაჟს თუ ქალს, ვერ შეხვდებით. ნორმანის გარდა სხვას მაინც ირავის ვხედავდი. იგი ისევ ისეთი გახდა, ერთი წლის წინათ რომ იყო. პლაჟზე იმ განზრახვით წამოვედი დღეს, რომ დავშორებოდი. მიმეტოვებინა, ბაგრამ პირიქით მოხდა: ხელახლა ვიპოვე.

პალტნიორები მოაკლდათ და ბურთის თამაშიც შეწყვიტეს. როგორც იქნა, ნორმანი ჩემთან მოვიდა. გაოფლიანებული ტანი უპრიალებდა. პირსახოცი აიღო და გულდასმით შეუდგა ტანის შემშრალებას. მერე დაჯდა, პირსახოცი ფეხებზე ჩამოისვა და შეიკურთხა:

— შეხედეთ! — მომიბრუნდა ნორმანი.

ფეხისგულზე მოყავისფრო ლაქა უპრიალებდა. ფრანგული პლაჟი გამახსენდა: მებადურთა ბარკასებს აგლეჯილი და ზვირთებით ნაპირზე გადმოსროლილი ფისის ნატეხებითაა ხოლმე სავსე ეს პლაჟი და მობანაველებსაც სწორედ ასე აქვთ ფეხები დასვრილი.

— ქონით ადვილად მოიშორებთ, ნორმან.

სამართლიანად გამომედავა, მერედა, ქონი სადა მაქვსო. მეც ასე ვუპასუხე, მეტი რა გზაა, საღამომდე უნდა მოითმინოთ-მეთქი. მაგრამ ამერიკელები საოცრად გულაზიზები არიან. ჰოდა, ნორმანმაც ნიჟარა მოიმარჯვა, გაშმაგებით შეუდგა ფეხის გულის ხეხვას.

— სულ ამ წყეული ჭაბურღილის ბრალია! — ბუზღუნებდა იგი.

— რომელი ჭაბურღილის? — ვკითხე გაკვირვებით, — ჭაბურღილი რა შუაშია, მებადურის ნავიდან დაღვენთილი ფისით ხართ დასვრილი.

მაშინვე მოჰყვა მტკიცებას, რომ ვცდებოდი. სწორედ ამ „დერიკის" ბრალიაო. რამდენიმე მილის მანძილზეა დაფარული სანაპირო და ზღვაშიც აღწევსო. მისი აზრით, ფისმა კი არა, მლაშე წყალში შესულმა ნავთობმა დაუსვარა ფეხი. ეჭვი თუ გეპარებათ, შეგიძლიათ, სხვას ჰკითხოთო.

— გეყოფათ, ნორმან... — ღიმილით შევაწყვეტინე, — თუმცა ეს მაინც ტემპერამენტის საკითხია!

— ტემპერამენტი რა შუაშია?

— ჰო. ტემპერამენტის საქმეა. პირადად მე, მაინც მგონია, რომ მებადურის ნავის ბრალია.

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, რომ ასე უფრო პოეტურია.

— ბოლოს და ბოლოს, რა გემართებათ დღეს, ეგნის?

ცდილობდა თვალებში ჩაეხედა ჩემთვის. მკლავი ზურგს უკან წაიღო, ქვიშას დაეყრდნო, ტანი ოდნავ მოხარა, განიერი მხრები და ეიერი წელი მკვეთრად გამოეკვეთა. იმ წუთას ორი აზრი ერთდროულად შომეძალა: „ნუთუ შეიძლება ასეთი მშვენიერი იყოს ადამიანი?!“ და „ნუთუ ვერ ხვდება?“

აქტიურით შავი თვალები ისე ჩამაშტერა, ერთხელაც არ დაუხამხამებია. ნორმანის გაცნობის შემდეგ, ასე მშვიდად პირველად გავუსწორე თვალი მის ანთებულ მზერას. გამეღიმა. ეს ღიმილიც უჩვეულოდ ახალი იყო ჩემთვის, რადგან თუკი აქამდე ჩემს სიყვარულს ზოგჯერ ეცვი და იმედგაცრუება გაერეოდა, ჩემი მეგობრის თანდასწრებით არასოდეს მომხდარა ეს. ახლა კი მისი ხელები, გამოხედვა, მისი ბაგეები ხელის ერთ გაწვდენაზე იყო ჩემგან. ერთი სიტყვით, გავუღიმე. ნორმანის ადგილას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, მაშინვე მიხვდებოდა ყველაფერს, არც ახსნა-განმარტების მიცემა მომიხდებოდა და არც არაფრის თქმა.

გადავწყვიტე მოლაპარაკება გადამედო.

— თვითონაც არ ვიცი, რა მემართება, ნორმან. ეტყობა, ნერვიულობის ბრალია. ცუდად მეძინა (მართალს ვამბობდი). ხუთი წუთით შევალ წყალში, გავცურავ და გამიელის.

წამოვდექი, თითი ალერსით გადავუსვი კისერზე და ლოყაზე; სხვათა შორის, არც ეს მჩვევია არასოდეს. თმა ავიწიე, რეზინის ქუდი ჩამოვიცვი და ზღვას მივაშურე.

წყალი არც ისე ცივი ყოფილა, როგორც მეგონა. წყნარი ოკეანეც მშვიდი დამხვდა; ტალღებთან შებრძოლებაც არ მომიხდა და მეც არ ვჩქარობდი, ნელა ვამოძრავებდი მკლავებს, რომ წყლის ზედაპირზე შეგჩერებულიყავი და ნორმანი დამენახა. ქუსლების ხეხვა მოეთავებინა, მაგრამ სხვებივით ქვიშაზე კი არ წამოწოლილიყო მზის აბაზანის მისაღებად, მოკრუნჩხული იჯდა და ასე მომეჩვენა, მე მიყურებს და რაღაცაზე ფიქრობს-მეთქი.

მახსოვს, სწორედ იმ უცნაურ მოვენტში, წყლის ზედაპირზე ზანტად გაწოლილმა პირველად ვიგრძენი ჩემი მარცხის ნამდვილი მნიშვნელობა. შეერთებულ შტატებში ჩამოსვლამდე წარმოდგენაც არ მქონდა, რა იყო სიყვარული. ეს გრძნობა უცნობი იყო ჩემთვის. ჰოდა, როგორღა უნდა გამეთვალისწინებინა ის ამბავი, რომ ნორმანის სიყვარული ჩიხში მომიმწყვდევდა? ვგულისხმობ არა იმ სიძნე-

ლეებს, რაც ჩვენს ქორწინებას შეუშლიდა ხელს — სულ ერთია, მე მაინც ჩემი ოჯახის უნებართვოდ გავთხოვდებოდი, ამაში მუდამ ვიყავი დარწმუნებული — არამედ თვით ჩემი სიყვარულის ბუნებას, პირველივე შეხვედრისთანავე დაღუპვა რომ ეწერა. ნორმანი მისი სილამაზის, მისი უცნაურობის, ჩემ მიმართ უჩვეულო საქციელის გამო შემიყვარდა. მაგრამ ამ სიყვარულს შინაგანი სითბო აკლდა. იგი აკლდა ჩემს გონებას, გულს, სულ მალე კი — ჩემს უძილო ღამეებსაც მოაკლდებოდა.

ნორმანმა ვერ დამიპყრო: მან მხოლოდ კალაპოტიდან ამომაგდო. დამინახა, წყლიდან ამოსული სანაპიროს ვიწრო, ქვიშან ზოლს რომ მოვყვებოდი. ზურგზე გაწვა. როგორ ვუთხრა? არადა, ახსნა-განმარტების გადადება უსინდისობა იქნება.

ჩემზე იყო დამოკიდებული, თავზარს დავცემდი თუ არა ამ ყმაწვილს. ჩემს ფერხთით გაწოლილი ნორმანი რატომღაც ცანსაკუთრებით უმწეოდ, უქმაგოდ, სულითა და ხორცით გაშიშვლებულ ადამიანად მომეჩვენა. მზისგან თვალების დასაცავად მარჯვენა ხელი სახეზე აეფარებინა, თითები მარაოსავით გაეშალა და ისე მითვალთვალებდა. ბსრები და ღიბები შევიმშრალე, რეზინის ქუდი მოვიხადე: ნორმანი გვერდზე გაიწია, ადგილი გამითავისუფლა. ამ უნებურმა მოძრაობამ რატომღაც ჩვენი სარეცელი მომაგონა; მარცხენა მკლავი გაშალა, რომ ზედ თავი დამედო. დავწექი. მზის სხივებზე გავარვარებული ფერდის სიმხურვალე ვიგრძენი... როგორ ვუთხრა?

ერთბაშად მივხვდი, თურმე უკვე ვლაპარაკობდი... მე კი ისე მეშინოდა, ბოლო წუთებში ყოყმანი არ დავიწყო-მეთქი... თავისთავად, სულ ადვილად, ძალდაუტანებლად მოხდა ყველაფერი; ყოველივე შედეგი იყო იმ დიდი ხნის ფიქრისა და უძილო ღამეების, რამდენიმე თვის მანძილზე ფარულად რომ მწიფდებოდა: და აი, სიმწარენარევი ნაყოფი თავისთავად მოწყდა!

მიზეზები არ ჩამომითვლია. ასე მეგონა, ამერიკულ სტილს დავიცავ. ჯერ თუ განვუცხადებ, გადაწყვეტილება საბოლოოა და პრაქტიკული ზომები კიდეც მივიღე-მეთქი. გამოვუტყდი, ბარგი წინადღით ჩავალაგე, შევკარი კიდეც და ახლა შენზეა დამოკიდებული, სატრანსპორტო კანტორის მეშვეობით სან-ფრანცისკოში როდის გადაგზავნი-მეთქი. ხვალ ფორდით წამიყვანდა სან-ხუან კაპისტრანოში, საიდანაც ჩრდილოეთისკენ მიმავალი რკინიგზა გადის. ასე არ ჯობდა განა?..

მართალია, ამის ხმამაღლა განცხადება არავითარ შემთხვევაში არ მაძლევდა ხელს, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, რაკი ნორმანმა სიმართლე იცოდა უკვე, მასთან ერთად არც ბიგ-ბერის ხელახლა ნახვა მსურდა, არც ჩვენს მთებში მასთან დაშორება.

ბოლოს, ძალა მოვიკრიბე და მტკიცე ხმით დავასრულე:

— გუშინ ტბასაც გამოვემშვიდობე, ფიჭვნარსაც და ბუნგალოსაც. ასე რომ, იქ დაბრუნება საჭირო არაა.

გავჩუმდი. ნორმანის მკლავზე თავი მედო, მაგრამ ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს. ნორმანი ერთხანს დუმდა, მერე არ განძრეულა, ისე თქვა:

— ოო, ახლა კი ვიცი... ახლალა მივხვდი!

— რას მიხვდით, ნორმან?

— იმას, რაც აქამდე ვერასგზით ამეხსნა.

ნეტა, რას იტყვის? რა ისეთ შინაგან პროცესს, ჩემთვის უცნობ რა სულიერ სამყაროს გადამიშლის? როგორ ვცდილობდი, რაც შეიძლება გამეადვილებინა ჩვენი მოლაპარაკება. ამის სანაცვლოდ, ხუთუ რაიმე სიურპრიზს, გამოცდას, სასჯელს მიმზადებს? ცნობისმოყვარეობა ვერ დამეძლია, მინდოდა ბოლომდე გაგრძელებულიყო.

— მაინც რას ვერ ხვდებოდით, ნორმან?

— რას და, ყვავილები რატომ მიიტანეთ ამ დილით „ფ რ ო ნ ტ ო ნ შ ი“!

მერე დაუმატა:

— დიახ... ძალიან ფაქიზად გამოხატეთ ყურადღება ჩემი უფროსისადმი. ოლის მიმართ: კმაყოფილი დარჩება.

მართალია, გადაწყვეტილი მქონდა, არაფერი დამემალა ნორმანისათვის, მაინც არ ვუთხარი, ცდებით, ის ყვავილები (სხვათა შორის, არავითარი ბარათი არ ჩამიდვია თაიგულში) ჩემს მოგონებებს დავუდე-მეთქი.

უკრავად ვიწექი. მზე ულმობლად აცხუნებდა. ერგვლივ სიჩუმე იდგა. ბიჭებს თამაში შეეწყვიტათ. გახედვა არ დამჭირვებია, იცოდა ვიცოდი, გოგონების გვერდით იწვნენ და, თუმცა სიცხით გათანგულებს ფლირტის თავი არ უნდა ჰქონოდათ, ხეევნა-ყოცნას მაინც განაგრძობდნენ ურცხვად.

ნორმანს მივბაძე და მეც ავიფარე ხელი თვალებზე. ჩვენი სხეულები ერთმანეთის გვერდიგვერდ, ამ პოზაში ითქვამდა სულს, სახელად „დ ა ს ვ ე ნ ე ბ ა“ რომ ჰქვია. მერე რა მოხდა, თუ ეს დასვენება უკანასკნელია?! გარეგნულად მშვიდად გამოვიყურებოდით

ორივენი და არც არაფრით განვსხვავდებოდით სხვა წყვილებისგან. ხელახლა წამოვიწყე ლაპარაკი.

ამჯერად ჩემი მოსაზრებები მთლიანად გადავუშალე, გარდა ერთისა — ნამდვილი მიზეზი დავუმალე, რადგან კარგად ვიცოდი: მე რომ ძველებურად, პირველი თვეების მირაჟით ვყოფილიყავი მოჯადოებული, ყველა დანარჩენი მიზეზი თავის წონას დაკარგავდა და ჩემს ბედნიერებას ისეთი ძალა ექნებოდა, თვით ბუსარდელებიც ვერას გაადგებოდნენ. ჯერჯერობით კი მე თვითონ ვერ გავრკვეულიყავი: სულიერმა იმედგაცრუებამ გამოიწვია ჩემი ფიზიკური გულგრილობა თუ პირიქით, ფიზიკური აღტყინების შესუსტებამ დამიბრუნა მსჯელობისა და დაფიქრების უნარი! ერთი რამ უდავოა: ეს ორი ბედნავსობა ერთმანეთს არ გამორიცხავდა და, ამდენად, ჩემი ამბავიც ბანალური იყო: ქალიშვილმა გული აიცრუა საყვარელზე!

განა ნორმანისთვის შემეძლო ამის თქმა? გამბედაობა არ მეყოფოდა. თანაც, მომხდარი ფაქტით მე თვითონ ისე ვიყავი შეცბუნებული, ვერაფრით ვიამაყებდი. კიდევ კარგი, ნამდვილი მიზეზების ნაცვლად სხვა, კანონიერი მოტივების თქმა შემეძლო!

ამგვარად, ნებსით თუ უნებლიეთ, თავის მართლებას მოვყევი. ნორმანი მიამენდა და ხმას არ ილებდა. მისი დუმილი მანცვიფრებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი ბოლოსთვის შემოვინახე: თქვენი აკლიმატიზაცია საფრანგეთში ისევე შეუძლებელია, როგორც ჩემი — შეერთებულ შტატებში-მეთქი. აი მაშინ ხელი თვალებიდან მოიშორა და შემაწყვეტინა:

— შეიძლება ერთი რამ გთხოვოთ?

— რასაკვირველია, ნორმან, მთხოვეთ!

— მაპატიეთ, საყვარელო, მაგრამ იმდენი ხანია ჩემს მკლავზე გიდევთ თავი, სისხლის მიმოქცევა დამერღვა...

წამოვჯექი. ჰორიზონტს მივაპყარი თვალები. დიდი სურვილი მქონდა, საკუთარი თავი ყბად ამეღო. ეტყობა, დადგა დრო, და კიდეც უნდა მივმხვდარიყავი, რომ საერთოდ არ შეეფერებოდით ერთმანეთს. თუმცა ამ გაუგებრობის გასაქარწყლებლად განა რაიმე ვიღონე? პირიქით, ჩემი ჯიუტი ილუზიებით ეს გაუგებრობა კიდევ უფრო მეტად გავაღრმავე. არსებითად, ეს ჩემი შეცდომა უფრო იყო, ვიდრე მისი, ჩემი დიდი შეცდომა!

ეს შინაგანი წუხილი დილიდანვე დამდევდა თან და როცა მეგონა, უკვე დავთრგუნე-მეთქი, სწორედ მაშინ მაგრძნობინა, რომ ჩემზე გაიმარჯვა. ისე შემრცხვა, წამით გულის ძგერაც კი შემიწყდა. გავი-

ფიქრე, ეს რა ლაჩრობა ჩავიდინე, რა ულმობელი დარტყმა მივაყენე ამ ყმაწვილს-მეთქი, და თვალები დამენისლა. ასე მოულოდნელად რად დავესხი თავს? ასე ერთბაშად რად დავაყენე ფაქტის წინაშე? საკუთარი თავის დაცვა მინდოდა? მინდოდა, ყოველგვარი დავა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი ამეცდინა? ეს არაა ლამაზი, ვერც ამით ვიამაყებდი...

— ჰოი, ნორმან, ნორმან! — წამოვიძახე და მის მკერდზე დავეშვი, სახე მის ვაფკაცურ მხრებში ჩავმალე, მერე ამ მხარს, აქამდე რომ ასე უცნაურად მაღელვებდა, ვაკოცე და წავიჩურჩულე:

— გამგზავრება ისე ძალიან აღარ გამიჭირდება, ნორმან, თუკი დარწმუნებული ვიქნები, რომ არ მიბრაზდებით!

ისევ წამოვჯექი, ვცდილობდი, მის თვალებში ამომეკითხა პასუხი. ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ, როგორც ჩვეოდა ხოლმე, გვერდზე გამწია და მითხრა:

— განაგრძეთ ლაპარაკი, საყვარელო, ოღონდ ნუ შემომხედავთ. ასე აჯობებს ორივესთვის, ზედმეტ გულჩვილობას აგვაშორებს!

ერთბაშად ხელი წამავლო, შემომაბრუნა და გვერდულად წამომაწვინა: ახლა მის გვერდით ირიბად ვიწექი და თავი მის ფერდთან მედო.

— ასე უკეთ იქნებით, — თქვა მან, — მზეს პირდაპირ შეხედავთ! — მერე დაუმატა: — განა შემიძლია, ეგნის, იმიტომ გაგიბრაზდეთ, რომ უკეთესი გამოსავალი აირჩიეთ? მე ხომ კარგად გიცნობთ, სანამ ამ გადაწყვეტილებას გამიმჟღავნებდით. დარწმუნებული ვარ, დიდხანს იფიქრეთ. და თუკი მაინც ასე გადაწყვიტეთ, მაშასადამე, ასე ჯობს. მე ვერ დაგაკავებთ. ძალიან თბილი გრძნობა დამრჩება თქვენ მიმართ და მთელი გულით გისურვებთ ბედნიერებას. თქვენც ხომ იცოდით, როგორი ბუნების ხალხი ვართ? გაივლის სიყვარული და არც საყვედური, არც წუწუნი არ გვჩვევია.

ხმას არ ვიღებდი. ამიტომ მკითხა, ხომ ყველაფერი მითხარით, რაც სათქმელი გქონდათო. ჰო-მეთქი, ვუპასუხე.

— მაშინ ნება მომეცით, მეც გითხრათ რამდენიმე სიტყვა... — შეიცადა, თითქოს წერტილი დაუსვა სათქმელსო, მაგრამ მერე განაგრძო: — ეგნის, განა მე არ ვიცოდი, ჩვენს სიყვარულს დიდი დღე რომ არ ეწერა? ახლახან თქვენ შეეცადეთ დაგვმტკიცებინათ, ჩვენი დაქორწინება შეუძლებელიაო. ამის მტკიცება სულაც არ იყო საჭირო, რადგან პირველ დღესვე მივხვდი, ცოლად რომ არ გამომყვებოდით. გაიხსენეთ: ერთხელაც არ მითხოვია ეს თქვენთვის... თქვენ ძალიან

განსხვავდებით ჩემგან. სწორედ ამიტომაც მიყვარდით და ამიტომაც ეკარგავთ. მისის კელოგიც ამიტომ დაგარქვით და ამ ტყუილსაც ამიტომ წავუყრუე. რასაკვირველია, ამას სულაც არ ვნანობ... ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, ვიცოდი, რისკზე რომ მივდიოდი. მე სულ სხვა რამ მოაცებდა: რატომ არ ფიქრობდით მომავალზე?

— დიდხანს მოვუნდები, ნორმან, იმის ახსნას, რაც ჩემში ხდებოდა... თანაც, ალბათ, გამიჭირდება კიდეც.

— მეც ასე მგონია... გულწრფელად რომ გითხრათ. როცა გაკვირდებით... ეკულისხმობ თქვენს თანამემამულეებს... ვრწმუნდები, ზოგი რამ ძნელად ამოსაცნობია თქვენში... იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა, იგი თქვენთვისაც ამოუცნობია.

უკვე დინჯად, გულში ჩამწვდომად ლაპარაკობდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, საცაა აფორიზმებს მოიშველიებდა.

— თქვენ ძალიან მოგწონთ, დიახ მოგწონთ, — განაგრძო მან, — შექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თქვენში რაღაც საიდუმლოებაა ჩამარხული... და თუკი მას ვეღარ იპოვით თქვენში, თავს შეურაცხყოფილად გრძნობთ ხოლმე... თქვენ გულმოდგინედ ეძებლიავებით მას და მხოლოდ მაშინ ხართ კარგი წარმოდგენისა თავზე, როცა ამ უხილავი ძალების საფამაშო ხდებით.

გაჩუმდა. თავი მის ფერდთან მედო და რწევასავით ვგრძნობდი მის ზომიერ სუნთქვას, რაც, ზოგჯერ, გრძელი ოცნების წარმოთქმისას თუ შეიცვლებოდა ხოლმე. სამაგიეროდ, მისი ხმა თანდათან უფრო შორიდან მესმოდა, თითქოს სულ სხვა ბაგეებიდან ამოდიოდა და თითქოს ეს ბაგეები არ ეკუთვნოდა იმ ადამიანს, რომელიც მე მიყვარდა.

მისი სხეულის სიახლოვეს ჯერ კიდევ ვგრძნობდი, ამ სხეულს ჯერჯერობით ისევ ვეხებოდი, ვგრძნობდი მის ფეთქვას, სიცოცხლეს. ძალიან მინდოდა, კიდევ უფრო ახლოს ვყოფილიყავი მასთან. ადამიანი რომ ძილში ნელ-ნელა შეაბრუნებს თავს, მეც ისე შევაბრუნე თავი, ტუჩები შევახე მის კანს, მაგრამ მზის გულზე წოლისგან კანი ისე გახურებოდა, ვერც წინანდებური სითბო ვიგრძენი, ვერც სუნი და ვერც გემო.

ის ჩემი ნორმანი თანდათან მშორდებოდა და თავის ადგილს ვილაც გონიერ, დადებით გმირს უთმობდა. ჩემი ნორმანი წავიდა, ალბათ „ფ რ ო ნ ტ ო ნ ს“ დაუბრუნდა; იმ თავშესაფარში კი, თუ ჩემი მზრუნველობა არ ექნა, იგი სულ მალე გაქრება, კვამლივით აორთქლება, თუმცა დავიწყებას მაინც არ მიეცემა.

ზვირთები ხმაურით ეხეთქებოდა ნაპირს. სიცხემ საბოლოოდ მომთენთა. მაინც კარგად ვგრძნობდი თავს. მივხვდი, დარდი მოგვიანებით მეწვეოდა. ჯერჯერობით კი უჩვეულო სიმშვიდე დამეუფლა.

ვიწექი მის გვერდით და ვცდილობდი — ჩვენი დაუმთავრებელი რომანის დასკვნასავით — უკეთ ჩამრჩენოდა მეხსიერებაში ის უხალისო და აუღელვებელი ამბორი, მის ლამაზ სხეულს რომ ერგო ჩემგან.

IV

ᲫᲡᲐᲕᲘᲔ

მაგრამ ბზარი მაინც დარჩა. სხვა არაფერი.

ლაკუნა ბიჩში დარჩენილი ბოლო საათები, რკინიგზა, სან-ფრანცისკო, სამზადისი საფრანგეთში დასაბრუნებლად, „სტრიმ-ლაინერზე“ გატარებული სამი დღე ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი. დროის ამ მონაკვეთზე ჩემს მეხსიერებას აღარაფერი შემორჩენია. ამერიკა აღარ მაინტერესებდა. იგი წააგავდა სპექტაკლს, რომელიც მაშინვე შეწყვეტს არსებობას, როგორც კი მთავარი როლის შემსრულებელი დატოვებს სცენას. რაც შეეხება ნორმანს, იგი შაბათ დილით, წყნარი ოკეანის პლაჟზე გაქრა მეხსიერებიდან.

ამიტომ ლოგიკური იყო, რომ პარიზში ჩასვლის პირველივე უძილო ღამემ მისი სახე აღმიდგინა, ხელახლა დამანახა. ეს კი დიდი გაუფრთხილებლობა იყო: ახლო წარსულიდან ამოტივტივებულ მის სახეზე ვეღარ აღმოვაჩინე ის ღირსებები, ჩემს წარმოსახვას რომ ჰქონდა შემორჩენილი. მეხსიერებიდან ჯერაც არ გამქრალიყო ჩვენი ცხოვრების ეპიზოდები, ჯერაც ცხადად ჟღერდა ყოველი სიტყვა. ჩემი მეგობრისთვის ალბათ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა რაიმე ისეთი ბუნდოვანი მოგონება, ჩვეულებრივ, ძილს რომ უფრთხობს ხოლმე ქალს. ეს ჭეშმარიტება ნორმანის სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა, სამაგიეროდ ამან მე დამამშვიდა. მაგრამ დიდი ხნით?

ბიგ-ბერში ყოფნის ბოლო თვეებში, როცა ნორმანს მთელი დღით გავისტუმრებდი, ზოგჯერ შვებით ამოვისუნთქავდი. მარტოდ დარჩენილი ვცდილობდი, საკუთარ ოცნებებზე მომერგო მისი სახე. დღე უსაშველოდ გრძელი მეჩვენებოდა, სინანული გულს მიღრღნიდა და, როგორც კი შებინდდებოდა, ფორდის შესახვედრად გავრბოდი. მოთმინებადაკარგული შეყვარებულივით ვიქცეოდი, ნორმანს მკლავებში ვუვარდებოდი, გვერდით მივუჯდებოდი კაბინაში და... სანამ ბუნგალოში მივიდოდი, ისევ მომეძალებოდა იმედგაცრუება!

მთელი ჩემი თავგდასავალი ხელახლა აღვიდგინე გონებაში, მოვიარე „ფ რ ო ნ ტ ო ნ ი“, ვიქტორვილი, ბიგ-ბერი... არაფერი შეცვლილა და უცებ... ნამდვილი ნორმანი გამომეცხადა. ასეთი მოგზაურობის შემდეგ ისევ შინ, პარიზში ვიყავი და ჯადოც მოიხსნა.

თუმცა კი კარგად ვიცოდი: მარტოობითა და მანძილით გადანასკვული ეს შემორჩენილი ძალები ყველაფერს წარეცხენ და გარდაქმნიან, ხელახლა ამოქმედდებიან და მეც ხელახლა ვიგრძნობ მათ გავლენას.

ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ცდუნებას ავყვე, გადავცურო ზღვები და მუქი წითელბაგეებიანი ახალგაზრდა ჯადოქარი ქვლავაც ვიხილო მის მშობლიურ კუთხეში?..

როგორც იქნა, სინათლე ჩავაქრე. ფარდებიდან შემოსული მკრთალი ნაცრისფერი ზოლი დილის მოახლოებას მაუწყებდა; უკვე თენდებოდა; თავზე ათენდებოდა მონსოს პარკს, პარიზს, ახლოვდებოდა დილა, რომელიც საშუალებას მომცემს... ქუთუთოები მიმძიმდება... სახლიდან გავიდე... ფეხით ვიარო ქუჩებში, ვესტუმრო...

ძილი მომერია. რამდენიმე საათის შემდეგ გამომეღვიძა. მაშინვე სარკესთან მივირბინე, მინდოდა მენახა, ამ მძიმე ღამემ დაღი თუ დაამჩნია ჩემს სახეს: ორი ვერცხლისფერი ზოლი — ბუნებრივი ვერცხლი — საფეთქლებამდე გამდევდა და თმის ძირამდე აღწევდა. კანი თითებით დავიზილე და ძლივს მოვიშორე მარილი.

I

თორმეტის ნახევარზე სახლიდან გავედი. არც დაღლას ვგრძნობდი, არც თავის ტკივილს. ეტყობა, უძილო ღამეს ზოგჯერ უფრო მეტი დასვენება მოაქვს, ვიდრე ღრმა, ხანგრძლივ ძილს.

ტროტუარზე ჩემი ფეხის ხმა მესმოდა. ღამისეული ნისლი აღარც ასფალტს ეტყობოდა, აღარც სახლების ფასადს და ქალაქსაც მოშორებოდა. მკრთალ მზეს ჰაერი გაეთბო. ზამთრის მოახლოება მაინც იგრძნობოდა: დღემ იკლო, სამი საათის შემდეგ ერთბაშად ჩამობნელდება.

სადღაა ჩემი ბავშვობისდროინდელი წაბლის ხეები! მათ ნაცვლად ბულვარის გასწვრივ თითქმის შუა ზამთრამდე ამწვანებული ჭაღრეებია ჩარგული, ტოტებს ფოთლებიც შემორჩენია, ხოლო გირჩები, ძაფზე ჩამოკიდებული პატარა ბურთულებივით, ხეზევე გამოიხალთრებენ.

ნელა მივდიოდი. უცებ რენეკენის ქუჩაზე აღმოვჩნდი. აქ მამიდა ლუიზი ცხოვრობდა. რენეკენისა და პონსელეს ქუჩები ერთგვარ გზაჯვარედინს ქმნიან ვაგრამის გამზირთან და მათი სახლიც სწორედ იქ

იდგა. ამ ძველისძველი, პატარა, ვიწროფანჯრებიანი შენობის სართულები ანტრესოლებს წააგავდა. სახლი არც დიდ შემოსავალს იძლეოდა, არც მდიდრულ კვარტალს ეკუთვნოდა, სამაგიეროდ, მონსოს ველზე მდებარეობდა.

კონსიერჟმა დაბეჯითებით მითხრა, მამიდა დღეს სახლიდან არ გასულაო. მეხუთე სართულზე ფეხით ავედი. მამიდა ლუიზიმ თუმცა სახლი გადააკეთა, თანამედროვე სტილს მიუსადაგა, მაგრამ ლიფტის დაყენება მაინც ვერ მოახერხა, კიბეებს შუა დარჩენილი შახტი მეტისმეტად ვიწრო გამოდგა. ამიტომ ლიფტი ეზოს მხრიდან მიუდგამთ და რაკი ლიფტიდან გამოსასვლელი კიბის მოედნებს არ ემთხვეოდა, ლიფტიდან გამოსვლა სართულებშუა უხდებოდათ.

ორჯერ დავრეკე. აჩქარებული ნაბიჯები მაშინვე გავიგონე და მამიდას ხმაც მომესმა:

— ნუ გახვალთ! მე თვითონ გავაღებ. თქვენ ხორცს მიხედეთ! — დაუყვირა ვილაცას.

კარი გამიღო.

— ასეც ვიცოდი, ჩემო გოგო, რომ შენ იქნებოდი!

ყვავილებიანი, პროვანსული სატინის წინსაფარი ეკეთა. ასე რომ, მამიდაჩემს მისი საყვარელი საქმიანობის დროს მივუსწარი: მამიდა ლუიზი შეუდარებელი და, რაც მთავარია, მუხლჩაუხრელი მზარეული გახლდათ, რასაც მისი ღვიძლი და, ემა, მწარე სარკაზმით იხსენიებდა ხოლმე:

— ჰმ! სადილს თვითონ ამზადებს! ნუთუ მზარეულის დაქირავებაც არ შეგიძლია? ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვი: მადლობა ღმერთს, იმ წრეს ვეკუთვნით, სადაც ახალგაზრდა ქალების აღზრდის პროგრამაში მეოჯახეობაც შედისო. მერე რა მოხდა? მეც ვიცი სადილის კეთება, მაგრამ ვამზადებ?.. ბავშვობაში მეც მასწავლეს კაბის შემოქობვა, დაკერება, ამოხვევა, მაგრამ ფალასფულასებს არ ვაკერებ! მეოჯახეობას იმიტომ გვასწავლიან, ოჯახს გავუძღვეთ და მსახურებს არ გაეაძარცვინოთ სახლი!

— საცოდავი ლუიზი! — დათაფლული ხმით დაუმატებდა დედაჩემი, — რა ქნას, თუკი ამით ერთობა!

— საქმეც ესაა! — დაასკვნიდა მამიდა ემა, — სხვა სიამოვნება არ გააჩნია. მართალი ხართ, ყველა თავისებურად ერთობა!

მამიდა ლუიზმა სასტუმრო ოთახში შემიყვანა. შიგ უამრავი სწვადასხვა სტილის ავეჯს და ნივთებს ნახავდით, მაგრამ ვიცოდი, თი-

თოეული უმნიშვნელო ნივთიც კი რაღაც მოგონებასთან იყო დაკავშირებული.

ჩვენთან კი პირიქით იყო, როცა დამაინტერესებდა, ნეტა ეს ნივთი როგორ მოხვდა ჩვენს სახლში-მეთქი, დედა ასე მიპასუხებდა: „ეს იაპონური ლარნაკი საიდან გვაქვს? ან ეს ძველებური ნიამდანი? ღმერთმანი, ვერაფერს გეტყვი". მამიდა ლუიზთან ყველაფერს რაღაც მნიშვნელობა, რაღაც ხიბლი ჰქონდა. ყოველი ნივთი რაღაც გამოძახილს პოულობდა მის სულში. შეკითხვაც არ იყო საჭირო, თვითონ გიამბობდათ ყველაფერს: რომელიმე ძველებურ მაგიდიდან აიღებდა ძველმოდური ქისას, გამომიწოდებდა და მეტყოდა:

— ეს ბიძაშენმა მიყიდა ვენეციაში, როცა პირველად ვიმოგზაურეთ. ანტიკვარული მაღაზიის პატრონი ქალი ახალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ სილამაზე ჯერ კიდევ შერჩენოდა.

გახსნიდა თასმას, საიდუმლო პატარა ჯიბიდან გამხმარ ყვავილს ამოიღებდა:

— შეხედე, აი ასეთი კეკლუცი მიხაკებით იყო სავსე ჩვენი ბაღი ბრეტონში, სანამ მთელი ნაკვეთი ჩვენ გვეკუთვნოდა. მერე ნახევარი გავყიდეთ.

მამიდა ლუიზს, დიდედას ნაბოლარას, ბევრი მსგავსება ჰქონდა მამამისთან, და მაინც, მამის ნაკვთების უღიმღამო და მიმქრალი იერი, მამიდას აღარ ეტყობოდა... განათლება, ღიმილი, თმაც კი მკრთალი ჰქონდა: ბოლო თხუთმეტი წელი მის თმას რაღაც უცნაური ფერი ედო, არც ქერა ეთქმოდა, არც ჭაღარა. მამიდა მუდამ მაგონებდა მისი სასტუმრო ოთახის სავარძლებზე გადაკრულ ლუდოვიკო XV-ის დროინდელ ქსოვილს: ნახატი ოდნავ გადღაბნილი, სახეები ოდნავ მქრქალი, ფერი ოდნავ გახუნებული, სამაგიეროდ, ქსოვილი — წინანდებურად ძვირფასი!

მამიდა ერთ ღარიბ არქივარიუსს გაჰყვა ცოლად. უძრავი ქონების ერთმა მარცხიანმა ოპერაციამ (რაც, სხვათა შორის, უპრეცედენტო შემთხვევა იყო ჩვენს ოჯახში), საგრძნობი ზარალი მოუტანა ჩვენებს და იგი სწორედ მამიდა ლუიზის სამემკვიდრეო წილს შეეხო! ამიტომაც ეს წყვილი ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. თუმცა კი ეს ხელმოკლეობა დიდად არ აწუხებდათ. არც მის და-ძმებს. ოღონდ ესაა, ამ ბედნავსიანი ლუიზის გამო დამცირებულად გრძნობდნენ თავს!

მერე მის ქმარს დაადგეს თვალი, აითვალწუნეს და ეს ახალი წიშე, არაფრით რომ არ ჰგავდა ბუსარდელებს და ფულის უწყებებს პალიმფსესტი რომ არჩია, ვერასგზით ვერ იგუეს. როცა მასზე ლაპარაკობ-

დნენ, არასოდეს მოიხსენიებდნენ სახელით, მზა ფორმულები მუდამ უხვად ჰქონდათ: „ჩვენი სიძე, მუზეუმის მცველი“ ან „იმ საცოდავი ლუიზის ქმარი!“. მათ თვალში ლუიზის პიროვნებაც საკმაოდ დაბალ დონეზე იდგა! განა არ შეეძლო უკეთ გათხოვილიყო, მაგრამ არ მოინდომა! ასეთი სულელური ქორწინება ამჯობინა!.. ჰოდა, ნულარც გაუკვირდება, თუკი მას და მის ქმარსაც ახლოს არ იკარებენ და ზოგიერთი უფლებაც ჩამოართვეს! მართალია, მათ ქორწინებას სამარცხვინო კავშირი არ ეთქმოდა, მაგრამ ოჯახი მას მაინც მეზალიანსად თვლიდა. ლუიზ ბუსარდელი ბოშაზე ან მსახიობზე რომ გათხოვილიყო, ეს ამბავი ალბათ ასეთივე რეაქციას გამოიწვევდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბიძაჩემი — მუზეუმის მცველი, ადვილად შეეგუა ამ „შერისხვას“ და იშვიათი სტუმარი გახლდათ ვანდეიკის გამზირზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდიოდა, როცა თავის არიდება შეუძლებელი იყო. პენსიაზე გასვლის შემდეგაც განაგრძობდა ნუშაობას, პიკარდულ დიალექტს ჩაჰკირკიტებდა. თავის გასამართლებლადაც ამ სამუშაოს მოიმიზეზებდა ხოლმე, ძალიან დიდ დროს მართმევს და წვეულებას ამიტომ ვერ ვესწრებიო. სამაგიეროდ, არ მახსოვს, მამიდა ლუიზს ოდესმე გაეცდინოს ჩვენი ოჯახური თავყრილობა, ოღონდ ყველაზე ადრე მიდიოდა, არავინ აცილებდა და ფეხით ბრუნდებოდა შინ, სადაც სამუშაოში თავჩაქინდრული ქმარი ელოდა.

რა თქმა უნდა, მამიდა ლუიზი აშკარად გამოირჩეოდა ოჯახის სხვა წევრებისაგან. თვინიერი იყო, გამგები, მართლაც რომ სიკეთეს განასახიერებდა და თუკი ვინმესადმი ნდობით განეწყობოდა, მხიარულ გუნება-განწყობილებასაც გამოამჟღავნებდა. მაგრამ მე მაინც ვთვლიდი, რომ მამიდა ზედმეტად მიმტევებელი, ზედმეტად დამყოლი იყო და გულის სიღრმეში მუდამ ვბრაზობდი, იმის ნაცვლად, რომ ეს უღელი თამამად მოიშოროს (ამის ჩადენა კი ნამდვილად შეეძლო!), ოჯახის მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც ემორჩილება-მეთქი. გარეგნულად უფერული ქალი, ძალიან ჯანმრთელი იყო, არც ისე ღარიბად თვლიდა თავს, მით უმეტეს, მოსიყვარულე ქმარი ჰყავდა; იგი არასოდეს წუწუნებდა. მაგრამ ოჯახი მაინც „საცოდავ ლუიზს“ ეძახდა, ებრალებოდათ, მაგრამ სიყვარულით, იგი არავის უყვარდა.

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ მამიდა ლუიზი იყო ბუსარდელების საგვარეულოს ერთადერთი წარმომადგენელი, ვინაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიაღწია ბედნიერებას. თუმცა ბედმა მაინც უმუხთლა: უშვილო იყო.

მამიდა გვერდით მომიჯდა ტახტზე, მაგრამ მაშინვე წამოხტა, კარი გამოაღო და დაიყვირა:

— მირეი! ხელი არაფერს ახლოთ! ქვაბი სხვა ცეცხლზე არ გადადგათ ჯერ და, რაც მთავარია, სახურავი არ ახადოთ!

— მესმის, ქალბატონო! — მოისმა შორიდან წკრიალა ხმა.

— ჰოი, ეს ახალგაზრდები! — ამოიოხრა მამიდამ, — აი, თუნდაც ჩემი... სადილის მომზადებისა არაფერი გაეგება... ვიცი, საქმლის კეთების საიდუმლოს დამტყუებს და ჰაიდა, მოკურცხლავს!

კარი ხელახლა გააღო და დაიყვირა:

— ცეცხლი არ მოუმატოთ, ზომაზეა!

დაჯდა და შეთქმულივით შემატყობინა:

— სადილად მოთუშული ხორცი გვექნება. ბიძაშენს გაგიქებით უყვარს... მართალი გითხრა, თავსატეხი კია: დილის რვა საათზე რომ შევუდექით საქმეს, აქამდე ვერ მოვრჩენილვართ.

— შენ ხომ ჯერ კიდევ გუშინ, საღამოს უნდა დაგეწყო კერძის შემზადება!

მამიდამ ბავშვივით შემოჰკრა ტაში, შეშვიდე ცაზე იყო:

— როგორ? რეცეპტი არ დაგვიწყნია? მართლა გახსოვს? — მერე ხმას დაუწია და ჩამანდო: — გინდა გითხრა? აქ მთავარი ჩამუქუქება როდია! ჩემი საიდუმლო... ერთი სიტყვით, საიდუმლო ისაა, რითი შეკაზმავ ხორცს!

— ვიცი ეს შენი საიდუმლო! — მისი გამოჯავრება მინდოდა, — ქონის თითოეულ ნაჭერს წვრილად დაჭრილ ოხრახუშში და სუნელში ურევ...

— სწორია. აბა მითხარი, შენ რომ მამიდა ლუიზი იყო, კიდევ რას დაუმატებდი?

— ერთ კბილ ნიორს, ხომ?

— იჰ! ეს ხომ ყველამ იცის!

— მაშინ, რას?

— ეჰაა... ხედავ? გეტყვი, ოღონდ ჯერ არა... ჰო, მართლა, მოთუშულ ხორცს შენც ხომ გაუსინჯავ გემოს?

— ეჰ, მამიდა ლუიზ! განა ეს საკითხავია? ხომ არ დაგავიწყდა, რომ ორი წელი გავატარე ამერიკაში?!

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა მამიდამ და მაჯაზე წამავლო ხელი, — მართლა ცუდად იკვებებიან იქ?

— არა, ხალხი აჭარბებს! სხვათა შორის, ძალიან ჯანსაღი საკვები აქვთ.

— ყოჩაღ! გასაგებია! — გაიცინა მამიდამ და გამხიარულდა. — ეს ისე გამოვიდა, შენთვის რომ მეკითხა, მაგალითად, მავანი და მავანი მანდილოსანი ლამაზია თუ არა-მეთქი და შენ გეპასუხნა, ეს ქალი კეთილშობილებით გამოირჩევაო. ჰოდა, რას ნიშნავს ეს კეთილშობილება, ადვილი მისახვედრია... მაშ, შენთვისაც დავდო თეფში, ხომ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ შინ დავრეკავ და ჩვენებს გაუფრთხილებ.

მამიდას თვალისდახამხამებაში შეეცვალა სახე, ხმაც თვინიერი გაუხდა და წამოიწყო:

— აქ რომ მოდიოდი, არავინ გაგიფრთხილებია? მაშ, ვან-ღეიკზე გელოდებიან, ხომ? მაშინ, ჩემო გოგო, ნუღარაფერს შეცვლი ასე აჯობებს... მით უმეტეს, ჩამოსვლის მეორე დღეა... როგორ ვერ მოვისაზრე?.. სხვა დროს გამოიარე! იცი რა, მატლოტს მოგიმზადებ ხბოს ხორცისგან, მახსოვს, ეს კერძი გიყვარდა.

მამიდა არ შეცვლილა. როგორც კი იმის საშიშროება გაჩნდა, შესაძლოა სკანდალი ატყდესო, მაშინვე მოიკუნტა. გუშინ ისე გათამამდა, გაბედა და მთელი ოთახი გადასერა ჩემთან მოსასვლელად. მისგან ეს ნამდვილი ბუნტი იყო და კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა, ვიდრე ასეთივე გაბედულ ნაბიჯს გადადგამდა.

ანაზდად ვიფიქრე, ალბათ ძალიან გამიჭირდება-მეთქი იმის გაგება, რამაც აქ მომიყვანა, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, უკან არ დამეხია, მით უმეტეს, მოთმინება და დრო საკმაოდ მქონდა.

გამოკითხვა დამიწყო. გავუძელი. საამბობელი მართლაც ბევრი რამ მქონდა. მამიდა ლუიზი მოხერხებულად არიდებდა თავს ისეთ საკითხებს, ჩვენს ოჯახს რომ ეხებოდა. ახსოვდა, ჩემთან ამაზე ლაპარაკი სახიფათო იყო. რა თქმა უნდა, არც მე მქონდა იმის იმედი, მამიდასგან გამეგო, თუ რას ამბობდნენ ჩემზე, რითი ხსნიდნენ იმ ამბავს, რომ ორი წელი დავყავი ასე შორს... საბედნიეროდ, ამას თითქმის გულგრილად ვეკიდებოდი, ეს ამბავი თითქმის არც მაწუხებდა.

მუსაიფს განვაგრძობდით; საკუთარ თავზე ლაპარაკს მოვეშვი და ნათესავები მოვიკითხე. ჯერ ბიძაჩემის ჯანმრთელობამ დამაინტერესა, ხომ კარგადაა, გუშინ რატომ ვერ ვნახე-მეთქი.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა მამიდა ლუიზმა, — ისე კარგადაა, ასაკს ვერ შეატყობ. მას შემდეგ, რაც ახალ წიგნზე დაიწყო მუშაობა, შემიძლია ვთქვა, გაახალგაზრდავდა-მეთქი. პირველ ტომს უკვე ამთავრებს. იცი, გამომცემელიც იპოვა! მთელი დღეები ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია. ხშირად შუადღისას მეტროში ვჯდები,

ბიბლიოთეკის დარბაზის კარს მივადგები, გარეთ გავიხმობ და იქვე, ბიბლიოთეკის სასადილოში სტუდენტებივით ვსადილობთ. მაგრამ დღეს შინ მოვა: იცის, მოთუშული ხორცი რომ გვექნება სადილად. ასე რომ, აუცილებლად ნახავ.

მერე დიდედას ამბავი ვკითხე: ჩემი აზრით, ძალიან შეცვლილია, როგორაა მისი ჯანმრთელობის საქმე-მეთქი. მამიდამ ამოიოხრა და წაილუღლუღა, ყველაფერი ხანდაზმულობის ბრალიაო... მერე დასძინა, ვალენტინის შვილებს წითელა დამართნიათო და მკითხა, მართლა ყველას ერთად შეეყარათო?

ხელსაყრელი მომენტი დადგა და ვკითხე:

— ქსავიე როგორღაა? ამბობენ, გამოკეთდაო...

— ჰო, გამოკეთდა, ჩემო გოგო, მალე სულ წამოვა ფეხზე. ხომ იცი, რა ფრთხილი ქალია ემა... რაკი ჩამოსვლის ნება მისცა, ეტყობა, აღარაფერია საშიში...

— ალბათ, სიმონის ოთახს დაუთმობენ!..

— არც გამიკვირდება! თავიანფალი ოთახებიდან ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი სწორედ სიმონის ყოფილი ოთახია.

ვარჩიე, ცოტა ხანს გავჩუმებულიყავი. საქმე ის იყო, რომ მე საერთოდ არ ვიცოდი, იცხოვრებდა თუ არა ქსავიე ვან-დეიკის გამზირზე. მე მხოლოდ ვვარაუდობდი... სამაგიეროდ, ახლა ზუსტად გავიგე და ძალიან გამიხარდა.

ხელახლა განვაგრძე საუბარი. თავი ისე მეჭირა, თითქოს ამ ამბებს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ეს ყოველივე ისე. შემთხვევით ვიკითხე.

— მთავარია, უცხოდ არ იგრძნოს თავი... ვაითუ, მოიწყინოს! რაიმე საქმეს თუ არ მოჰკიდა ხელი...

შევიცადე.

— ყური მოვკარი, თითქოს იურისპრუდენციის შესწავლას აპირებს, — თქვა მამიდამ.

ვეცადე, გაოცება არ გამომეჟღავნებინა: ასევე ვცდილობდი არ დამტყობოდა უხერხულება იმის გამო, ასე თვალთმაქცურად რომ ველაპარაკებოდი მამიდას.

— მართლა? რას იზამ, ცუდი აზრი არაა. მართალია, სტუდენტის ასაკს გადააცილა... მაგრამ პროგრამას უფრო სერიოზულად მოეკიდება და სწავლაც გაუადვილდება.

— მით უმეტეს, მასზე ზრუნვას შენი ძმა კისრულობს.

— სიმონი? — ჩემი ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გაიზარდა.

— პირველ ხანებში მორტიეს კანტორაში მოაწყობს.

აბჯერად ხმაურით ჩამოიფხრიწა ფარდა! როგორც იქნა, მივხვდი ყველაფერს! ოჯახური შეთქმულების მიზანიც ეს იყო: რაც შეიძლება საჩქაროდ გამოეძებნათ ადგილი ჩემი შორეული ნათესავისათვის იმ ნოტარიუსის კანტორაში, ვისთანაც დიდი ხანია საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს ჩვენს ოჯახს.

მამიდა ლუიზმა თავი გადააქნია, თითქოს ასე უფრო მეტი დამაჯერებლობა მიეცემოდა მის ნათქვამს და მეც ეს ამბავი წმინდა წყლის ფორმალობად არ ჩამეთვალა.

— მორტიეს კანტორა ხელწამოსაკრავი არ გეგონოს!

მართალს ამბობდა. ეს მეც ვიცოდი. ნამდვილად სოლიდური რეპუტაცია ჰქონდა. სააქციონერო საქმეებში დახელოვნებული, დიდი კანტორა გახლდათ. მორტიეს ვაჟიშვილი არ ჰყავს და მისი ერთადერთი მემკვიდრე, ვისაც მზითვად კანტორაც ერგება, თვრამეტი წლის შეუხედავი, მოკლეფეხება, თხელთმიანი ქალიშვილია.

ოჰ, გულწრფელად უნდა გითხრათ, ნამდვილად მრცხვენოდა, ასე რომ ვიქცეოდი, ასე რომ გავაცურე ჩემი გულუბრყვილო მამიდა, მაგრამ...

— რა საწყენია, ქსავიეს არაფერი რომ არ აბადია სულს იქით, — დავძინე ისევ, — ამ კანტორაში მუშაობა კი შესანიშნავ მომავალს უქადის...

ხედავთ? ოღონდ მოვინდომო და ბუსარდელებივით ლაპარაკი თურმე არც ისე გამიძნელდება!

— არაფერი გააჩნია? ქსავიეს? — იყვირა მამიდამ, — ეტყობა, ჩემო გოგო, შენ ჯერ კიდევ არ იცნობ მამიდა ემას! იგი ხომ ქსავიეს ნათლიაა! მას ხომ მუდამ პირზე ეკერა, ერთ მილიონს ვაჩუქებო... ეს ერთი, მეორეც ის, რომ მარტო შენ არ დაფიქრებულხარ მის ბედზე... ჰო, ჰო! სწორედ ქორწინებას ვგულისხმობ... ჰოდა, მალე შენი ბიძაშვილი მორტიეს სიძე გახდება. ოო, ეს ამბავი ემას არც დაუმალავს, საჯაროდ აღიარა, ესაა ჩემი ოცნებაო. და თუ ეს ოცნება აუხდა... ფრთხილად, სკამიდან არ გადმოვარდე!.. მაშინ ემა გაუორკეცებს დაპირებულ თანხას! ჯერ სადა ხარ! ოჯახის სხვა წევრებიც, ესე იგი დიდედა, თეოდორი და მამაშენი... ჩვენ არა, ჩვენ სადა გვაქვს საამისო წელი... ფულს შეაგროვებენ და მესამე მილიონს დაუმატებენ. შენი ძმები თანახმანი არიან...

მჯეროდა... მამიდამ საუბრის თემა მის ბიძაშვილზე, ჟიულიენზე გადაიტანა. ჩემს აქ არყოფნაში მისი ქალიშვილი გათხოვილა. ყურს არ ვუგდებდი. ფიქრებში წავედი.

დიდი ხანია ბუსარდელები მორტიეს ქალიშვილს უთვალთვალებდნენ. მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ძალიან წუხდნენ, აფსუს, ასე გვიან რატომ დაიბადა, ძალიან პატარაა. ჯერ ძია თეოდორეს ვაჟებისთვის უნდოდათ, მერე ჩემი ძმებისთვის... უნდა გენახათ, როგორ ბრაზობდნენ, აღშფოთებას ვერ მალავდნენ, რა ნელა იზრდებაო! და აი, როგორც იქნა, სრულწლოვანი გახდა. სწორედ რომ დროულად მომწიფდა. მისი ასაკის შესაფერისი მამრი ბუსარდელებმა თავიანთი საკრებულოდან გამოჩხრიკეს! დაკარგული დროის ანაზღაურება ყოველთვის შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, მოხერხებულად იმოქმედებენ! და რაკი თითქმის მიაღწიეს მიზანს, ალბათ მეშვიდე ცაზე იყვნენ ჩემი ნათესავები!

მაგრამ მაშინ ამ სიხარულზე არ მიფიქრია. ქსავიეს სახეს ვიხსენებდი, მაგონდებოდა ქსავიე, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცოდა, არც ის იცოდა, მის ბედს თვითნებურად რომ განაგებდნენ ეს ჩარჩები! რომ იგი უკვე აქციეს ნივთად, დასახურდავებელ მონეტად, რომ ამ გარიგებაში თითოეული მათგანის ხელი ერია, თითოეულმა მათგანმა ამ საქმეში თავისი წილი შეიტანა, რადგან ყოველი მათგანი სარგებელს ელოდა ამ საქმიდან. ამასობაში კი ქსავიე ემშვიდობებოდა მთის მწვერვალებს, ოზონს, თოვლის სისპეტაკეს და ქვევით, ბუსარდელებისკენ ეშვებოდა ნელ-ნელა.

2

მამიდა ემამ ხელი დაარტყა მაგიდას და დაიყვირა.

— ერთი წამით მაინც მომისმინეთ

სადილის პირველი ნახევარი გაუთავებელ ლაპარაკს მოანდომა, თანამესუფრეებიც ჩვეული მოკრძალებით უსმენდნენ: სუფრას ათიოდე წევრი ვუსხედით: სახლის მუდმივი მცხოვრებლების პატარა ჯგუფი და ჩემი ორი ძმა, ოღონდ ორთავე უცოლოდ: რძლები სანიმუშო დედები გახლდნენ და შვილებს, თუნდაც უკვე მოზრდილნი ყოფილიყვნენ, მარტო არ დატოვებდნენ სადილობისას.

მამიდას საყვედურს მოჩვენებითი ყურადღება შეაგებეს.

— მინდა ვიცოდე, ვინ წამომყვება ხვალ აღმოსავლეთის სადგურზე ქსავიეს დასახვედრად!

— სიამოვნებით გამოგყვებით, ჩემო კარგო! — უთხრა დედამ.

— გმადლობ, მარი... დიდად დამავალებ...

დედამ სევდიანი თვალებით გაუღიმა, თითქოს ეუბნებოდა: „ეჰ, რას არ გავაკეთებდი თქვენთვის, მაგრამ...“

— დიახ, დიახ, დიდად დამავალე... კიდევ ვინ? — ჩაციებით იკითხა მამიდამ. მამაჩემმა თავი ასწია:

— ემა, იქნებ გინდა, მეც წამოვიდე?

— შენ ვინ გეხვეწება, ფერდინანდ? — უკმეხად მიმართა დედამ. — შენ რა, ხვალ საქმე არა გაქვს? ისიც ხუთ საათზე, გაცხარებული მუშაობის დროს?!

— მე წამოვალ, — თქვა სიმონმა.

მამიდას ვითომ გაუკვირდა:

— ჩინებულია! ჩინებული! თუმცა... ჰო, რაკი სამნი ვართ, ალბათ საკმარისია!

— თუკი ზედმეტი არ ვიქნები, სიამოვნებით... — წამოვიწყე მე.

სიტყვა გამაწყვეტინეს. დიდედას გარდა ყველამ ჩემკენ შემოაბრუნა თავი. მერე დედამ და მამიდამ ერთმანეთს გადახედეს: „რა მოეჩვენა?!“ — ეწერათ სახეზე.

როგორც იქნა, მამიდამ იკადრა და მიპასუხა:

— იმედია, კარგად იცი, ნათესაური მოვალეობის ასრულებას ვერ დაგიშლი. თანაც ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში! რაკი ასე გსურს, წამოდი! ოღონდ ახლა ოთხნი ვიქნებით და ლიმუზინით მოგვიხდება წასვლა.

სიმონმა სიტყვა ჩაურთო, სამსახურიდან პირდაპირ სადგურზე მოვალო. ამ ხელსაყრელი მომენტით მეც ვისარგებლე და ვთქვი:

— მეც პირდაპირ სადგურზე მოვალ.

— ხედავთ? — წამოიძახა მამიდამ, — ესე იგი, პატივს ვერ დაგვდებ და ჩვენთან ერთად ვერ წამოხვალ მანქანით! მეც არ ვიფიქრე, როგორ მოხდა, ასეთი წყალობა რომ გამოიღო-მეთქი?!

დედამ ამოიოხრა და თავი გადააქნია. თვითონაც არ ვიცი, რატომ დავიწყე თავის მართლება, ხვალ, სამ საათზე მკერავთან ვარ მისასვლელი-მეთქი.

— კიდევ იკერავ ახალ კაბას? — იკითხა მამიდამ.

— ჰო. ჩემი ტუალეტი ორი წლის წინანდელია. თანაც, წვეულებისათვის, მომავალ კვირას რომ მართავ, ხეირიანი კაბა არა მაქვს. აკი თქვი, აუარება სტუმარი მეყოლებაო!

— რა თქმა უნდა! რაკი ქსავიეს დაბრუნების აღსანიშნავად წვეულებას ვმართავ, ეჭვი არ შეგეპაროს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა! ორი ორკესტრი... ბუფეტი... სავახშმოდ პატარ-პატარა მაგიდებსაც დავადგმევინებ... ქვემო სართულის ყველა ოთახს — საბილიარდოს, კაბინეტსაც კი — გავახსნევინებ, ავეჯს გავატანინებ, მეორე სართულზე მაგიდას დავადგმევინებ ბრიჯისთვის.

— მართლა ბევრი სტუმარი გეყოლება, მამიდა?

— რა საკითხავია, ფისო! — რაკი საბაბი მივეცი ეჩვენებინა, ხარჯებს არ ვერიდებიო, დამიყვავა, — ჯერ ერთი. ჩვენი ოჯახი დაესწრება მთელი შემადგენლობით. მერე... ყველა ჩვენი მეგობარი და ნაცნობი. ერთი სიტყვით, ექვსასზე ნაკლები კაცი არ იქნება. პრეფექტიც დავპატიჟე, ორი მარშალიც, ადვოკატთა საზოგადოების თავმჯდომარეც, ბელგიის ელჩის მეუღლეც, შეიძლება თვითონ ელჩიც მოვიდეს!.. ჰო. მართლა, პირადად შენი სტუმრების სია ჯერაც არ მოგვცია, მე ვგულისხმობ სავარაუდო სიას... ს ა ვ ა რ ა უ დ ო ს!

— არა, არა, მამიდა!.. ჩემი მეგობრები... ერთი სიტყვით, მე და ჩემი მეგობრები ეიწრო წრეში ვხვდებით ერთმანეთს. მეჯლისები არ უყვართ.

— ჰოო, მით უკეთესი!.. ხვეწნას არ დაგიწყებ! ხომ არ გგონია, ხალხი მაკლია და მშველელს ვეძებ?.. თუმცა უკვე დაგვიანებულიცაა მოპატიჟება.

გაბაწყენებული დამრჩა.

— ნება მომეცი გკითხო, — თვალთმაქცურად მითხრა დედამ, — რა ისეთ კაბას იკერავ, ყველას რომ ეკიმალავ?

— იმედია, მეტისმეტად გულამოჭრილი არ იქნება! — მხარი აუბა მამიდამ, — გაფრთხილებ, მოშიშვლებული მხრებით არ დაგინახო! იმ საღამოს ჩემი სტუმარი იქნები... ასე რომ, ნუ დამემდურები, თუ...

— დამშვიდდი, გეთაყვა! ჩემი კაბა სავსებით შესაფერისი იქნება... ამასთან, ძალიან მდიდრულიც: მწვანე ატლასის სადად შეკერილი, წელში გამოყვანილი კაბა, გულისპირი საკმაოდ დახურული ექნება, ოღონდ უსამხრეებოდ ვაკერინებ...

— როგორ თუ უსამხრეებოდ?.. ეს რა აიხირე.. რა უცნაური გემოვნებაა!..

მამიდას შევხედე, ჩემ პირდაპირ იჯდა, სუფრის ბოლოში; შევხედე მის გაჯგიმულ, ბრტყელ ბიუსტს, კრეპის ქსოვილში გახვეულ ხიხ მორს რომ მიუგავდა. მაგრამ ისიც მახსოვდა, ჩვენს საუბარს დედაჩე-

ში რომ უგდებდა ყურს და ისე დავამთავრე სათქმელი, თითქოს ბოდიშს ვიხდიდი:

—...მე ხომ ლამაზი მსრები მაქვს!

რა თქმა უნდა, მამიდა ემამ არ დააყოვნა და დამგესლა:

— ვინმეს მოხიბვლახ ხომ არ აპირებ?

გავჩუმდი. მამიდამ გადაწყვიტა, როგორც იქნა მოვახერხე, უხერხულობაში ჩავაგდე, ბურთი პირში ჩავჩარეო და ხმადაბლა წაიხითხითა. მაინც ვდუმდი, თანაც ამ დუმილით ვტკბებოდი, რადგან ჩემი დუმილი ნამდვილად გამოხატავდა საკმაოდ ენამზიან პასუხს მამიდა-ჩემის შეკითხვაზე. არა, საბოლოო სიტყვა მაინც ვერ დარჩა მას!

— კინაღამ დაიგვიანე!—მითხრა მამიდა ემამ, როცა დედაჩემის, მამიდისა და სიმონისაგან შემდგარ ოჯახურ სამეულს შევუერთდი სადგურის ბაქანზე. — კი მაგრამ, შენს მოსვლამდე რომ ჩამომდგარიყო მატარებელი?!

სადგურის საათს შევხედე: მატარებლის მოსვლას ხუთ წუთზე მეტი აკლდა. თანაც სიმონმა დაფაზე გაკრულ განრიგს დახედა და ცაცნობა, მატარებელი თხუთმეტი წუთით იგვიანებსო.

ციოდა. ფეხებს წამდაუწუმ ვაბაკუნებდი; ამიტომ შევთავაზე ჩვენებს, ბუფეტში შევიდეო-მეთქი.

— როგორ გგონია, — აღშფოთდა მამიდა, — ან მე, ან დედაშენს, გვეკადრება ამ კაფეში შესვლა? არა, ღვერთმანი, ნამდვილად შეიშალა!

— ან ჩვენ, ქალებმა როგორ უნდა შეუკვეთოთ რაიმე ოფიციანტს? — გააზვიადა დედაჩემმა.

გავბედე და შეეეკამათე: სიმონის წარმოსადეგ გარეგნობაზე მივუთითე და ვთქვი, ჯერ ერთი, მარტო არ შევალთ, მეორეც — სადგურის ბუფეტში ვისხდებით, ეს კი სულაც არ ნიშნავს კაფეში ყოფნასმეთქი.

— ვიცი, ვიცი! — თქვა მამიდა ემამ, — ამ საქმეში დიდი გამოცდილება გაქვს, შეგიძლია თამამი შედარებები გააკეთო! შენ ხომ დიდი მოგზაური გვყავხარ!.. წარმოიდგინე, მეც ვყოფილვარ საზღვარგარეთ. თანაც, არაერთხელ. კარგად ვიცნობ ჟენევას. ბრიუსელს. ოღონდ იქ მუზეუმებს ვეწვეოდი ხოლმე და სირაჯხანებში არ დავრბოდი.

მოვიმიზეზე, გავიყინე, თანაც დილით ჩაის დალევა ვერ მოვასწარი-მეთქი და მარტო გავემართე სადგურის ბუფეტისკენ.

პატარა მაგიდას მივუჯექი. ჩაის დაყენებას ველოდებოდი და გაოცებით ვფიქრობდი, რამდენს ვუთმენ ჩემს ნათესავებს, ისე ვიქცევი, თითქოს ჯერჯერობით მათი დანდობა და საკუთარი ძალების დაზოგვა მჭირდება-მეთქი. მაინც საიდან მქონდა ისეთი შეგრძნება, თითქოს სულ ახლო მომავალში უფრო სერიოზული ბრძოლის გადატანა მომიხდებოდა? თვითონაც არ ვიცოდი, თუმცა იმ ამბების წინასწარ დანახვა ნამდვილად შეიძლებოდა!

იმ წუთას მხოლოდ ახალ კაბაზე ვფიქრობდი. მიხაროდა, კარგი კაბა რომ გამოვიდა. ჯერ ერთი, უფრო გამხდარი ვჩანდი, მეორეც — ქსოვილის ფერი სავსებით ესადაგებოდა ჩემი სახის ფერს, მხრებზე შერჩენილ ნამზეურს, წაბლისფერ თმას, რომლის შეღებვაზე მუდამ უარს ვამბობდი. მართალია, ბუნებრივად მოწითალო ბზინვის შესანარჩუნებლად სპეციალური შამპუნით ვიბანდი თავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა თმის შეღებვას.

სტუმრებს ნამდვილად მოვეწონები, იტყვიან, ლამაზიაო. მეც ეს მინდოდა. ჰოდა, საკმარისია, მოვინდომო და მართლაც მომხიბვლელი ქალიშვილი ვიქნები. კაცმა რომ თქვას, სილამაზე არ მაკლდა, ოღონდ მეტისმეტად კლასიკური ნაკვთები მქონდა. სამკაულების, თმის ვარცხნილობისა და ოსტატურად წასმული ფერემარულის წყალობით კი ჩემი გარეგნობა კიდევ უფრო მოიგებდა; მოიგებდა, მოწყენილი იერი თუ არ მექნებოდა. თქმა არ უნდა, მამიდაჩემის მეჯლისი მოსაწყენი იქნება, მაგრამ ვეცდები, არ შევიმჩნიო. ასეთი მცდელობა ღირს იმად, რასაც შედეგად მივიღებთ! და სტუმრებიც აღიარებენ, ლამაზი ქალიშვილიაო.

ხელჩანთიდან სარკე ამოვიღე და დავრწმუნდი, სადგურის პატარა რესტორნის საკმაოდ ცუდი განათება ვერას აკლებდა ჩემს გარეგნობას. ცხელმა ჩაიმ, თბილმა შენობამ თავისი ქნა. პუდრი გადავისვი, ტუჩები შევიღებე და უცებ გამეღიმა: გამახსენდა, როგორ იდგნენ დედა და მამიდა ორპირ ქარში, ალბათ კანკალებდნენ, ცხვირებიც დაუწითლდებოდათ!

ბუფეტიდან მხოლოდ ბოლო წუთს გამოვედი. დარბაზი გავიარე, დავრწმუნდი, რომ მატარებლის დაგვიანების შესახებ არავითარი დამატებითი განცხადება არ გამოეკრათ. ჩემი ძვირფასი ნათესავები სწორედ ისე დამხვდნენ, როგორც ბუფეტში წარმოვიდგინე. მხოლოდ სიმონი არ იყო გათოშილი, ეტყობა, სიგარეტმა უშველა.

ამასობაში მატარებელიც გამოჩნდა.

— მომყევით! — ბრძანა მამიდამ, — არ გაიფანტოთ, ერთად ვიყოთ!

მატარებლის მოსვლა თუ წასვლა, ან იქნებ, სადგურის ატმოსფერო, მუდამ აბნევდა მამიდას: ნერვიულობდა, აქეთ-იქით დარბოდა, ხან ვის ჩაებღაუჭებოდა, ხან ვის გამოელაპარაკებოდა, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ, თითქოს ჩვენად გადაექცა ეს ფუსფუსი: ქუჩაში მოხვედრილმა ძაღლმაც ასე არ იცის? უმიზეზოდ ტრიალებს, ხტუნავს, წკმუტუნებს!

მამიდა ემამ სირბილით ჩაუარა ვაგონებს. სიმონი იძულებული გახდა შეეჩერებინა, თორემ ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანდა. მატარებელი ჩამოდგა. პირველი მგზავრები გამოჩნდნენ.

— ახლავე აგიწერთ მის გარეგნობას! — ყვიროდა მამიდა ხალხის ღრიანცელში, — თქვენ ხომ თითქმის არ იცნობთ ქსავიეს! საცოდავი ჩემი ბიჭი ქერათმიანია, ფერმკრთალი, გამხდარი და აწოწილი!

მატარებელი თანდათან დაცარიელდა. მებარგულები ჩვენს ახლოს აწყობდნენ ბარგს. ამაოდ ვეძებდით ქსავიეს. მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდნენ გასასვლელისკენ.

— ოო, ღმერთო! — არ ცხრებოდა მამიდა, — ვერსად ვხედავ! ვაითუ მატარებელზე დააგვიანა! ვაითუ რაიმე შეემთხვა!..

ფეხის წვერებზე შევდექი, ჯერ მარცხნივ გავიხედე, ბოლო ვაგონისკენ, მერე მარჯვნივ... მებარგულის გვერდით ვიღაცის ზურგს მოვკარი თვალი, გრძელ, ჩალისფერ პალტოში გამოწყობილ გამხდარ სილუეტს. ჩემს ვარაუდს ვერ ვენდე, ამიტომ ნათესავები არც გამიფრთხილებია, ისე გამოვეკიდე იმ მგზავრს და დავეწიე.

— ქსავიე!

შეჩერდა, თითქოს ძილიდან გამოაფხიზლესო და კამკამა, ღრმად ჩამჯდარი თვალებით შემომხედა. სულაც არ იყო ფერმკრთალი. თერთმეტი წლის მანძილზე ხალხისგან მოშორებით, მთაში ცხოვრებას განსაკუთრებული ფერი დაედო მის სახეზე.

— მე აგნესი ვარ... შენი ბიძაშვილი...

— ოო! — ხმადაბლა თქვა მან

და გამიღიმა. ახლოს მივედი.

— მოდი, გადავკოცნოთ ერთმანეთი!

არაფერი უთქვამს. მხრებზე მოვხვიე ხელები, ოდნავ დაიხარა, გამხდარ სახეზე ვაკოცე. მერე განზე გავდექი.

გულღიად გამიღიმა. ყურადღებით დამაცქერდა.

— აი, ახლა ნამდვილად გიცანი! — თქვა მან.

მისი ოდნავ ყრუ ხმა თითქოს შორიდან მოისმოდა.

— აგნეს... — დაუმატა მან.

ხელახლა დაიხარა და მაკოცა. უნებურად გავიფიქრე, ისე მაკოცა, ქუდი არ მოუღრეცია-მეთქი ჩემთვის. ამ წამის წყალობით მისი დელიკატური, ოდნავ ავადმყოფური ბუნება ერთბაშად ამოვიკითხე და ეს შთაბეჭდილება რომ მომეშორებინა, ვუთხარი:

— ჩვენები იქ გელოდებიან...

ხელი დავუქნიე. სიმონმა შემამჩნია. სანამ მოგვიახლოვდებოდნენ, ქსავიეს მივუბრუნდი.

მიღიმოდა და თვალს არ მაშორებდა.

— იმედია, ამერიკა მოგეწონებოდა! — მითხრა მან.

ამ დროს მამიდა ემაც მოვარდა. მართალია, დედობილმა მის წინ ჩავლილი შვილი ვერ იცნო, მაგრამ აღტაცებული სახით კი გადაეხვია, მერე მაინც ვერ შეიკავა თავი და გაცოფებით გადმომხედა. გვერდზე გავდექი. მამიდამ ხელი მკლავში გამოსდო ქსავიეს; მეორე მხრიდან სიმონი ამოუდგა. გასასვლელისკენ წავედით. დედა სიმონის გვერდით მიაბიჯებდა. მე და მებარგული უკან მივდევდით.

ქუჩაში გასულმა მოვიმიზეზე, ლიმუზინში ვიწროდ რომ არ ვიყოთ, მე სიმონის მანქანით წამოვალ-მეთქი. ვიცოდი, მამიდა საბოლოოდ ჩაიგდებდა ხელში ქსავიეს და უამრავ შეკითხვაზე მოსთხოვდა პასუხს.

ლიმუზინი დაიძრა და გვერდით ჩაგვიარა. ენადგაკრეფილ მამიდასა და ჯიუტად დადუმებულ დედაჩემს ქსავიე შუაში ჩაესვათ. ჩემკენ არ მოუხედავს.

სადგურის მოედანი გადავკვეთე და სიმონის მანქანასთან მივედი. მის გვერდით დავჯექი. მანქანა დაიძრა. სიმონმა რაღაც მითხრა. არ ვუპასუხე. მისთვის ჩვეული გულგრილობა ახლაც გამოიჩინა და აღარ ჩამციებია. როგორც ვვარაუდობდი, სიმონი ვან-დეიკის პროსპექტისკენ გაემართა. ცხადია, ჩვენთან ისადილებდა და სადილობამდე წუთითაც არ მოშორდებოდა ჩვენს ბიძაშვილს, ლაქიასავით მიაცილებდა ოთახამდე, სააბაზანოშიც შეჰყვებოდა, ჩემოდნების ამოლაგებაშიც დაეხმარებოდა, დარეკავდა — პორტვეინს მოატანინებდა და დაძმობილების მეგობრულ ძაფებს უმალვე გააბამდა.

ჩვენს სახლში ქსავიეს ყოფნაზე დიდ იმედებს ვამყარებდი. მართალია, დიდი დრო არ გასულა მამისეულ ჭერქვეშ ჩემი დაბრუნებიდან და ოჯახთან შეხვედრიდან, დიდი დრო არ გასულა იმ ჩემი უძილო ღამის შემდეგ, რომელმაც კიდეც გამაოგნა და შვებაც მომიტანა, მაგ-

რამ მაინც ისე მეჩვენებოდა, ქსავიესგან ცუდს არაფერს უნდა მოველოდე-მეთქი. თვითონვე მიკვირდა, რატომ მიზიდავდა ასე ძალიან მისი სახე, რატომ მივმართავდი „შენობით“, მე ხომ თითქმის არ ვიცნობდი მას! გულით მინდოდა, დავმეგობრებოდი. სამაგიეროდ, სიყვარულს, მხარდაჭერასა და მფარველობას ვპირდებოდი გულში. ჩემს ოჯახს საშუალებას არ მივცემდი ჩემ თვალწინ გაეწირათ ლომებით სავსე ორმოში ჩაგდებული ეს დანიელი!

წინააღმდეგობის ეს გეგმა იქნებ ეგოიზმით იყო ნაკარნახევი? ვინ იცის, ნამდვილად მინდოდა ამ უმწეო ყმაწვილის დაცვა, რომელიც ჯერჯერობით ვერ მიმხვდარიყო, რა საფრთხეც ელოდა ბუსარდელებისგან, თუ ისე, ჩვენების გაღიზიანება მასულდგმულებდა?! რაკი შინაგანი კრიზისი დავძლიე და მარტოდმარტო, დაბნეული დავრჩი, იქნებ იმით ვიყავი ბედნიერი, რომ შესაძლებლობა მეძლეოდა რაიმეს ან ვინმეს ჩავჭიდებოდი?

პირველ დღეებში ჩემი გეგმის განხორციელება ვერ მოვახერხე: დაბრუნების მეორე დღეს ქსავიე ფონტენბლოში წავიდა, სადაც დედამისის ნათესავები, ბიძა, ბიცოლა და ბიძაშვილები ცხოვრობდნენ.

— მეჯლისამდე მათთან დარჩი, საყვარელო! — ურჩია მამიდა ემამ, — ამით დედაშენის ოჯახის წინაშე ვალს მოიხდი, მერე კი მხოლოდ ჩვენი. მხოლოდ ბუსარდელების იქნები!

მთელი დღეები მამიდა მეჯლისის სამზადისში იყო გართული. ბრძანა, შენობის „საპარადო“ ნაწილიც გაეხსნათ. ასეთი რამ წელიწადში ათიოდჯერ ხდებოდა: პერიოდულად — „დიდი წვეულების“ დროს, ბირჟის საქმოსნებთან სადილობისას და იმ დროს, რასაც მამიდა ემა „ჩვენს რაუტებს“[1] უწოდებდა.

„საპარადო“ ერქვა მთელ პირველ სართულს. იგი შედგებოდა სურათების გალერეისა, ორი სალონისა (ამათგან ერთი უზარმაზარი იყო), სასადილო ოთახისა, საბილიარდოსა და ბიბლიოთეკისგან. მთელ შენობაში ტიპური ოთახები იყო. იქ გამეფებული ორნამენტების დომხალს რას შეედრებოდა სახლის ფასადის ორნამენტები! ათქვეფილი კრემივით, ოქროსფრად შეფერადებული ნაკადულები კედლების მთელ სიმაღლეზე მოედინებოდა, ლავგარდნებს ეღვენთებოდა და შუა პლაფონთან გუბდებოდა. სტილთა შემზარავი აღრევა უმალ თვალში გეცემოდათ: პირველი სალონი პომპადურის სტილში მოეპირკეთებინათ, მეორე — ლუდოვიკო XVI-ის სტილში, სასადილოში შუასაუკუნეობ-

[1] **რაუტი** (ინგლ.) — **საზეიმო წვეულება, დარბაზობა.**

რივი სტილი გამეფებულიყო, ხოლო ბიბლიოთეკას რატომღაც ტიუ-დორების სტილის პრეტენზია ჰქონდა. ყოველივე ამას ერთი საყო-ველთაო უგემოვნება აკავშირებდა; გარკვეული მოტივების დაუსრუ-ლებელი განმეორება დეკორატორის პიროვნებას ამქღავნებდა და თან ერთგვარ მთლიანობას ანიჭებდა ანსამბლს.

და მაინც, ექვსივე ოთახს, თავისი პროპორციებით, განლაგებითა და განათებით მრავალი სასიამოვნო მხარე ჰქონდა: მცირე სალონში მთელი დღე იდგა მზე, დიდი სალონიდან შემინული სამი კარი კი ბაღში გამავალ ქვის ‘კართანაზე გადიოდა; სასადილო ოთახი მთელი შენობის სიგრძეზე გაჭიმულიყო და ერთდროულად ეზოსაც გადაჰყუ-რებდა და პარკსაც. სახლის ეს ნაწილი ყველაზე სასიამოვნო ადგილ-სამყოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩვეულებრივ, იგი მუდამ ჩა-კეტილი ჰქონდათ. ოჯახი მეორე სართულზე ცხოვრობდა, სადაც სას-ტუმრო, სასადილო და თამბაქოს მოსაწევი ოთახები მდებარეობდა. მესამე სართულზე მამიდა ემას, ძია თეოდორის, ჩემი მშობლების და ბავშვების ყოფილი ოთახები იყო. რაკი სამსაარეულოები სარდაფში მოეთავსებინათ, წინ ოთახი ერთადერთი ადგილი იყო პირველ სარ-თულზე, სადაც სადაგ დღეებში ყოველდღიური საქმიანობა იგრძნობოდა.

ამევარად, მთელი შენობა ცარიელი ოთახების ანფილადზე იყო განლაგებული და ცარიელი დუქნების თავზე წამოჭიმულ საცხოვრე-ბელს წააგავდა. ხშირად, როცა მეოთხე სართულზე, ჩემს სენაკში ვი-ჯექი და ვფიქრობდი, ქვევით თითქმის თხუთმეტი მეტრის სიცარი-ელეა-მეთქი, რაღაც გაურკვეველ შიშს, თავბრუხვევასაც კი ვგრძნობ-დი ხოლმე.

ქსავიეს საპატივცემულოდ დანიშნული მეჯლისის მოლოდინში მა-მიდა ემამ ფართოდ გახსნა ამ სამეფოს კარი. დაიწყო გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, ბრძანებები, მსახურებთან და იატაკის მხეხავებთან კინკლაობა, ხალიჩები ჩამოხსნეს, ავეჯი გაიტანეს და დაცარიელებულ პირველ სართულზე მხოლოდ მამიდაჩემის ყვირილი მოისმოდა ექოდ.

ოთახების ანფილადის ბოლოში მშვიდად თვლემდა ერთი მეტად თავისებური კუთხე, ამ საერთო გამოცოცხლებას რომ დაუსხლტა ხე-ლიდან, რადგან დიდი ხანია შერისხული და თითქმის მიტოვებული იყო — ჩვენი ზამთრის ბაღი.

მისი შემინული კედლები შენობის ჩრდილო ფრთასა და მეზობელ სახლს შორის იყო აღმართული; ეს სახლი ფაქტიურად ცალკე სასახ-ლე და ბორგეზეს[1] ვილის ასლი იყო. მებაღის გარდა არავინ შედიოდა

[1] რომის კარიბეზესთან მდებარე ქალაქგარეთა სასახლე, სადაც თავმოყრილია სურათებისა და ანტიკვარული ნივთების კოლექცია.

ამ სათბურში, მხოლოდ ის უვლიდა ამ მინიატურულ ბოტანიკურ ბაღს. მღვიმისკენ მიმავალი ბილიკი შუაზე ჰყოფდა ორ მოლს. გაზონებს შორის, სადაც მწერსაც ვერსად ნახავდით და ყოველივე თეატრის დეკორაციას უფრო წააგავდა, გვიმრის, არაუკარიას, ლატანიის ბუჩქები მოჩანდა.

ზამთრის ბაღი მარტოობაში, სიჩუმეში, სითბოში და ნაკელის სუნით გაჟღენთილ სინესტეში თვლემდა, იდგა შემოდგომისა და შმორის სუნი. აქ ყოფნის დროს სხვა გრძნობაც დაგეუფლებოდა: ვიღაცის უხილავ არსებობას იგრძნობდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ეჭვი ისეთი რეალური მოგეჩვენებოდათ, ძალაუნებურად ძებნასაც დაუწყებდით აქ მიმალულ ვიღაცას, ვინც არ ჩანდა, მაგრამ აქეთ გითვალთვალებდათ.

ბატარა რომ ვიყავი, ზოგჯერ `მხოლოდ იმისთვის შევიპარებოდი ბაღში, რომ ეს შიშნარევი, სასიამოვნო გრძნობა განმეცადა, მერე კი შურდულივით გავვარდნილიყავი ხოლმე გარეთ.

3

დედამ ისეთი „გასაგიჟებელი“ სამეჯლისო კაბა შეიკერა, მსგავსს ვერსად ნახავდით.

ჩვენი ოჯახის ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალები საშინლად იცვამდნენ. მოდის აყოლა სულაც არაა სავალდებულო, მაგრამ ცოტაოდენი გემოვნება ხომ უნდა გამოამჟღავნო?! გაგიგონიათ?! ბუსარდელთა ქალებმა იცოდნენ, რომ საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობა ეჭირათ, ამიტომ მიაჩნდათ, რაც შეიძლება მეტი ფული უნდა დაეხარჯათ ტუალეტზე, საუკეთესო მკერავებთან შეეკვეთათ კაბა. და აი, ამოირჩევდნენ რაიმე შესანიშნავ კაბას, მერე მკერავს თხოვდნენ, არჩეული-მოდელისათვის რაიმე ისეთი, ფანტასტიკური დეტალი დაემატებინათ, რაც, მათი ღრმა რწმენით, მოდაში იყო, სინამდვილეში კი ამას თანამედროვე მოდასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

— ასე უფრო ელეგანტური გამოვა! — ირწმუნებოდნენ და ასეთი კლიენტებისგან თავგაბეზრებული მკერავებიც უსრულებდნენ თხოვნას.

თითოეულ ჩემს ნათესავ ქალს რაიმე უცნაური დეტალი ჰქონდა ამოჩემებული და ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდა. მაგალითად, ჩემი შინაბერა მამიდა ემა თავის სამგლოვიარო კაბებს გულისპირით აწყობინებდა. დეიდა ჟიულიენს უამრავი ვენეციური მაქმანი ჰქონდა,

ამიტომ მისი კაბები მუდამ მაქმანით იყო გაწყობილი და, რაც მთავარია, კაბას განიერი სახელოები უნდა ჰქონოდა: მხრებიდან ჩამოშვებული სახელო თანდათან ვიწროვდებოდა და ხელის ზურგზე სამკუთხედად ეშვებოდა. გამონაკლისი არც მამიდა ლუიზი იყო: თავის მკერავს, პირიან ფასებში ვინც უკერავდა, ასე სთხოვდა, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, კაბას ქსოვილგაღაკრული ღილების წყება დაუკერეთო.

რაც შეეხება დედაჩემს,-მას ფერების დემონი აწვალებდა: საკმაოდ ლამაზი, სადა კაბა შეარჩია მეჯლისისთვის, მაგრამ მანეკენზე ჩამოცმული კაბის ქსოვილი და ფერი მეტისმეტად მკრთალი მოეჩვენა, სხვა ქსოვილის ნახვა მოისურვა და უცნაური ფერის ხავერდზე შეაჩერა არჩევანი: ქსოვილი მოიისფრო-მეწამული ფერისა იყო: ასე დაირღვა ბოდელის პირვანდელი ჩანაფიქრი. მითვის შეკერილი კაბა საბალბო დღეობებზე ჩასაცმელად თუ გამოდგებოდა. კაბის ცალი კალთა ანაოჭებული იყო მხართან და შლეიფად ეშვებოდა ზურგს უკან. ამგვარად გამოწყობილი დედაჩემი სავსებით უპასუხებდა ჩვენი ოჯახის პომპეზურ სტილს, რაც ბინის შიდა მორთულობასეც ერცელდებოდა: სალონში ყველაფერი ქსოვილებში იყო გახვეული: პიანინო, შირმაც, ყვავილების ქოთნებიც კი. მაგრამ დედამ ეს არ იკმარა და ულამაზესი, თუმცა კი ძველებურ, მძიმე ბუდეში ჩასმული მსხვილი ზურმუხტების სამკაულით დაიმშვენა კაბა. ეს ზურმუხტები მისთვის დიდედას უჩუქებია ქორწილზე; მეორე რძალს, ძია თეოდორის ცოლს საფირონის ყელსაბამი შეხვედრია, რომელიც სიკვდილის წინ ამ ქალს ქალიშვილისთვის უანდერძია. მამიდა ემას მარგალიტები ერგო, მაგრამ მგლოვიარედ რაკი იყო, არ იკეთებდა. დიდედას ბრილიანტებიც ჰქონდა, ოღონდ ჯერჯერობით სკივრში იყო ჩაკეტილი. ჩემმა ბიძაშვილებმა და მე უცნაური სამკაულები მივიღეთ მისგან, თუმცა მათი ტარება აკრძალული გვქონდა. თანამედროვე ტანსაცმელს ეს კამეები, ბრილიანტის ჯვრები, ფუტკრები, რა თქმა უნდა, მაინც არ მოუხდებოდა! ერთი სიტყვით, ბუსარდელ-კლაპიეს სამკაულების ყუთი უკვე დანაწილებული იყო.

ფერების უცნაურად აღრევის შემდეგ, ძალიან გამიკვირდა, როგორ მოახერხა დედაჩემმა სახის მკვეთრი ფერის შერბილება და მხრების სანდომიანად წარმოჩენა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან მოუხდა კორსაჟის ისერიგად ამოჭრა, რასაც თვითონ, ყალბი მორცხვობის გამო, „დეკოლტეს“ უწოდებდა. ჩვეულებრივად ათასგვარი ხიშტაკითა და კოკეტით დაფარული მკერდი ამ საღამოს ისე გადაღებული ჰქონ-

და, მისი ხშირთმიანი დიდი თავი ჩვეული ქედმაღლობით გამოიყურებოდა. უნდა ვაღიარო, იმ საღამოს დედაჩემი სულაც არ იყო მახინჯი.

ნასადილევს, ადრევე ჩავედი ქვევით, მინდოდა, ჩვენებს დავხმარებოდი პირველი სტუმრების მიღებაში. როცა პირველი სართულის გაჩახჩახებული ოთახები გავიარე და დედას შევეჩეხე, გამაოცა არა მისმა ჟოლოსფერმა მანტიამ, არამედ მოშიშვლებულმა მხრებმა. წამით გავშეშდი, გაოგნებული შევყურებდი ჩემთვის კარგად ნაცნობ ამ ქალს, რომელმაც ერთბაშად სულ ახალი იერსახე მიიღო ჩემს თვალში.

ორი წლის განმავლობაში ჩემს აქ არყოფნას თუ არ ჩავთვლით, მრავალი წლის მანძილზე ასე გაშიშვლებული ერთხელაც არ მინახავს, თუნდაც ამგვარი საღამოების დროს. არადა, ამასობაში დედა ხომ დაბერდა! მეც დავბერდი. მეც დავქალდი. ჩვენი ურთიერთმტრული განწყობილება ღრმავდებოდა; ერთი სიტყვით, სავსებით ნორმალური იქნებოდა მისი დამჭკნარი მკერდი და მობერებული კანი მენახა.

ამ სავსე, ქათქათა მკერდის ასე გამოჩენა ნამდვილად სათაკილო იყო. ძლივს გავიხსენე დედაჩემის ასაკი; სიმონის ასაკით გამოვთვალე: ორმოცდათხუთმეტი ან ორმოცდათექვსმეტი წლის იქნებოდა. მეც ამ ქალმა გამაჩინა, მეც ამ ქალის სისხლი და ხორცი ვიყავი; სწორედ ამ მკერდმა მაწოვა ძუძუ — ესეც ერთ-ერთი ოჯახური ტრადიცია იყო...

ამის გაფიქრებაზე წელში გავსწორდი, მომაგონდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ წუთს ჩემთვის; გონი მოვიკრიბე. გამომცდელი თვალით მიყურებდა. მხიარული გამომეტყველება მივიღე და რომ არავის შეემჩნია, ფრთხილად, მკერდი წინ წამოვწიე, მუცელი შევიზნიქე, ვგრძნობდი კარგად გამოვიყურებოდი და ეს უსამხრებო კაბაც მიხდებოდა. ვიცოდი, ამ საღამოს ყველა ქალს ბანალური მიხაკები ექნებოდა მიბნეული კაბაზე, ამიტომ ყვითელი ორქიდეის კონა გავიკეთე, რაც ორიგინალურად ეხამებოდა მწვანე ატლასსა და ნამხეურ მხრებს. ყვავილები ზედ მკერდთან, კორსაჟის პირზე მივიბნიე, თანაც არავითარი სამკაული არ მეკეთა.

ამ ხანმოკლე ურთიერთშეთვალიერებამ დამარწმუნა, რომ ამ ორ ქალს შორის არსებული მტრული განწყობილება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. თითოეულმა ჩვენგანმა მოახერხა ერთმანეთის გაოცება. ასევე, ორთავემ ერთნაირად ვიგრძენით ეს და თუმცა მე არც ასაკით, არც გარეგნული იერით აღარ ვიყავი მოზარდი, ამ ამბავმა არამც თუ

დამაახლოვა დედასთან, პირიქით, ჩვენ შორის არსებული უფსკრული კიდევ უფრო მეტად გააღრმავა.

მამიდა ემას ხმამ ფიქრებიდან გამომიყვანა:

— რა უცნაურად გამოწყობილხარ, ფისო! ჩემი აზრით, ქალიშვილს სულ არ შეეფერება ასეთი...

— ასეთი ჩაცმულობა ზედგამოჭრილია აგნესისთვის! — მისთვის ჩვეული სიმკვირცხლით შეაწყვეტინა დედამ.

დაიწყო ეგრეთ წოდებული რაუტის პროლოგი. ოჯახის ყველა წევრს ზუსტად ისეთივე მოსაწვევი ჰქონდა მიღებული, როგორიც სტუმრებს. მაგრამ თითოეული, წერილობით თუ ტელეფონით, გააფრთხილეს, დანიშნულ დროზე მოსულიყო. არც არავის დაუგვიანია, ამ ღონისძიების წყალობით, ყველა რანგის ბესიერელს — ასე, სამოცდაათიოდე ნათესავს, შესაძლებლობა ჰქონდა სტუმრებს შეხვედროდა. რა თქმა უნდა, ბავშვებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო — ისინი, თექვსმეტი წლის ასაკამდე, მეჯლისზე არ დაიშვებოდნენ.

ნათესავთა თავყრილობას დიდედა თავმჯდომარეობდა. შვილთაშვილების მოსვლის შემდეგ, სანამ პირველი უცხო სტუმარი გამოჩნდებოდა, ჩვენს წინაპარს ლიფტამდე მიაცილებდნენ, მერე კი ლიფტი თავის ოთახში აიყვანდა. ჯერჯერობით კი იგი თავის სავარძელში დედოფალივით იჯდა; მამიდა ემა მისი სავარძლის უკან ისე იდგა საზურგეზე ხელებდაყრდნობილი, როგორც ტრისტან განდეგილი — ლუდოვიკო XI-ის უკან!

ასე და ამგვარად, თითოეული ნათესავი შემოსვლისთანავე ასრულებდა წინასწარ შეთანხმებულ რიტუალს: დიდედას უახლოვდებოდნენ, თავს უკრავდნენ, ხელს ართმევდნენ ან შუბლს უშვერდნენ საკოცნელად, შემდეგ განზე დგებოდნენ და ადგილს უთმობდნენ სხვებს. ეს ეტიკეტი ბურჟუების ჩვეულებებსაც მაგონებდა. და დასაფლავების ცერემონიალსაც. ჯერ ახლო ნათესავები მოვიდნენ, ჩვენი მდუმარე უდიდებულესობის ორივე მხარეს მისი შთამომავლები და მოყვრები ნათესაური სუბორდინაციის მკაცრი დაცვით ჩამწკრივდნენ. ასე რომ, ნათესაობიდან ვინ აღარ მოიყარა თავი ამ რაუტზე. ყველას არც ვიცნობდი. ჟანა-სიმონის უკან ვიდექი და ის მაწვდიდა საჭირო ცნობებს, ამ საკითხში კარგად იყო გათვითცნობიერებული. რაკი ვიცოდი, ჩემ მიმართ ერთობ გულგრილად იყო განწყობილი, ჩემი უვიცობის გამომჟღავნებისაც არ მერიდებოდა.

ოთახში მამიდა ლუიზი შემოვიდა. ღია ნაცრისფერი კაბა ეცვა. შინ, ინტიმურ წრეში, მკვეთრი ფერის ტანსაცმლის ტარებას არ უფრთხოდა, ხოლო თუ ნათესავებთან მივიდოდა ან მათ იწვევდა შინ, აუცილებლად მქრქალ ფერებში იყო ხოლმე გამოწყობილი.

— ბუდამ რუხ ფერებში რატომ ხარ ჩაცმული? — უსაყვედურებდა მამიდა ემა. — შენც ხომ არ ატარებ ძაძებს მამაჩვენზე?! ჰოდა, ღია ფერის კაბები ჩაიცვი!

— მართალი ხარ, — მოკრძალებით ეთანხმებოდა მამიდა ლუიზი,— მაგრამ ეს ფერი უფრო მიხდება, მით უმეტეს, საღამო ხანს. — მერე სანდომიანი ღიმილით დასძენდა: — ღია ნაცრისფერი ფერუმარილის მაგივრობას მიწევს.

ბიძაჩემი, მუზეუმის მცველი, უკან მოჰყვებოდა: მაღალი, მსრებში მოხრილი, გრძელულვაშა კაცი, ძველებური მანუსკრიპტების კითხვისგან თვალებდაწითლებული. მივხვდი, ძალით წამოიყვანეს და, როგორც კი დიდედას ზევით აიყვანდნენ, მაშინვე გაიპარებოდა შინ.

ქსავიე ჯერ არსად ჩანდა.

სიმონმა მამიდა ემას გამოხედვა დაიჭირა, ნათესავების ჯგუფს გამოეყო და გალერეაში გავიდა. საკმაო ხანმა გაიარა, სანამ ქსავიეს შემოიყვანდა. მის მაგივრად მე მეშინოდა, არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდა იგი ბუსარდელების მთელ ამ ტომს. ამდენ ხალხს ნამდვილად შეეძლო დაეფრთხო ბებერ მწყემსებთან გაშინაურებული ყმაწვილი...

შევცდი. იგი ღიმილით გაემართა დიდი ბებიისკენ და, შუა ოთახს რომ მიაღწია, ხმამაღლა, მშვიდად აუხსნა დაგვიანების მიზეზი:

— ფრაკის ჩაცმას გადავჩვეულვარ!

ამ სიტყვებს დუმილით შეხვდნენ, მაგრამ ქსავიე მაინც არ დაიბნა. ძაძებში ჩაცმულმა მამიდა ემამ მკერდზე მიიკრა თავისი ნათლული და მერე იმ ნათესავებთან მიიყვანა, ბავშვობიდან რომ არ ენახათ. ქსავიე მორჩილად მიჰყვებოდა უკან და თან ელაპარაკებოდა:

— ორი გულისპირი გავაფუჭე. მარტო ვიყავი ოთახში და იმდენი ვიცინე... სიმონი რომ არა...

— კარგი, კარგი! — ეუბნებოდა მამიდა, ეტყობა, ქსავიეს საქციელი ეუხერხულებოდა, — სამაგიეროდ, ახლა ყველაფერი რიგზეა... ამაზე ნულარ ფიქრობ...

საყვედურის ახალი საბაბი მომეცა მამიდას მიმართ: ჭკუანაკლულივით ექცეოდა, იმ ლეკვივით, რომლის დამშვიდებას ცდილობენ. ნუთუ სხვა ვერაფერი შეამჩნია ამ ყმაწვილში?

— არა, ყველაფერი როდია რიგზე! — მიუგო ქსავიემ. — ჰალსტუხი ვერ გავნასკვე წესიერად.

— მოიცა! — ბრძანა მამიდამ.

გაცნობის ცერემონიალი უცებ შეწყვიტა, უხეში თითებით იმდენ ხანს აწვალა თეთრი პიკეს ბაფთა, სულ გააფუჭა.

ქსავიე ხელიდან დაუსხლტა, ისე ლაღად ჩაუარა ნათესავებს, თითქოს მარტო ყოფილიყო სასტუმრო ოთახში, ბუხრის თავზე დაკიდულ სარკესთან დადგა, შიგ ჩაიხედა და გულიანად გადაიხარხარა.

ცდუნება ძალზე დიდი იყო. გადავჭერი ეთელი ოთახი, რომელიც უხალიჩოდ განსაკუთრებით დიდი მეჩვენა, ბიძაშვილს მივუახლოვდი, ჰალტუხი მშვიდად გავუხსენი და ხელახლა შევუდექი მის განასკვას. ბროლის ჭაღებისა და ბრების შუქში გახვეულები ერთმანეთის პირდაპირ ვიდექით, იგი ნიკაპაწეული, მე — მაღლააშვერილი შიშველი მკლავებით. ვგრძნობდი, ყველა ჩვენ გვიყურებდა და ეს ამბავი დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ეჭვი არ მეპარებოდა. მამიდა ემა ენანწყარობდა ჩემი ფამილიარობის გამო და იმაზეც. მამაკაცის ჰალსტუხის შეკვრა რომ მეხერხებოდა, მაგრამ ამის ღირდი სულ არ მქონდა.

როცა საქმე მოვათავე, ქსავიემ სარკეში ჩაიხედა, შეამოწმა ნასკვი და თქვა:

— აი, ეს ნამდვილი შედევრია!

ეს ხუმრობანარევი ირონიული კილოც უცნობი იყო ჩემთვის და მართალი გითხრათ, სახტად დავრჩი. ისიც შეამჩნიე. უცნაურად, ჩაშტერებით მათვალიერებდა სარკეში.

მერე ჩემკენ შემობრუნდა. ეტყობა, ბოლოდ ახლა შეამჩნია ჩემი კაბა, შიშველი მკლავები, ვარცხნილობა. შემეშინდა, ბანალური ქათინაური არ მითხრას-მეთქი და სხვა თემაზე დავაპირებ საუბარი, მაგრამ ქსავიეს სახე შეეცვალა უცებ, თითქოს რაღაც შინაგანმა შუქმა გაუნათაო. ზღვისფერი თვალები ჩაუმუქდა. თითქმის რუხი გაუხდა და ბაგეზე ღიმილი, დიახ, სწორედ ის კეთილი ღიმილი მოეფინა, სადგურის ბაქანზე რომ მომხიბლა და კიდეც ამაფორიაქა უცნაურად. მერე თითქოს მე კი არა, თავის თავს ეუბნებაო, თითქოს სიამოვნებდა ხმამაღალი ფიქრი, თქვა:

— ოჰოო! არ მეგონა, ასეთი ლამაზი თუ იყავი!

მორტიეს ოჯახი საკმაოდ ადრე მობრძანდა. დიდედა უკვე გაესტუმრებინათ საძინებელ ოთახში და დიასახლისის როლში ახლა მისი უფროსი ქალიშვილი ხვდებოდა სტუმრებს, ხოლო დები და რძალი მას ეხმარებოდნენ. უეცრად მსახურმა სასტუმრო ოთახი გადასერა, დია-

სახლისთან მივიდა და რაღაც უთხრა ყურში. მამიდა ემამ შეთქმულივით დააქნია თავი. გავიგონე, დედაჩემი გააფრთხილა:

— მორტიეები მოვიდნენ... მე თვითონ შეეგებები... შენ აქ შემცვალე!

— ნუ წუხხარ, ყველაფერი რიგზე იქნება! — მორჩილად მიუგო მეწამულ ფერებში ჩაცმულმა მანდილოსანმა.

მამიდა ემა თვალს მიეფარა და აღარც დაბრუნებულა სასტუმრო ოთახში. სიმონიც სადღაც გამქრალიყო. თვალებით ქსავიეს დავუწყე ძებნა, არც ის ჩანდა. დიდი სასტუმრო ოთახი გავიარე, სადაც უკვე ცეკვავდნენ, ბიბლიოთეკაში შევიხედე, მერე გალერეაში დავბრუნდი. ეპვი აღარ მეპარებოდა, მამიდას სათადარიგო ოთახი ექნებოდა ქსავიესა და ნოტარიუსის ქალიშვილის ცალკე შესახვედრად.

— ბატონ და ქალბატონ მორტიეებს თუ იცნობთ? — ვკითხე ვესტიბიულში მდგარ მსახურს, რომელმაც მათი მოსვლა აუწყა მამიდას.

— დიახ, მადმუაზელ.

— სად არიან?

— მეორე სართულზე, მადმუაზელ.

ბრიჯის სათამაშოდ და თამბაქოს მოსაწევად გამოყოფილ სამ ოთახში ვერ ვნახე. „როგორ? — გავიფიქრე, — ნუთუ პირდაპირ დიდედასთან მიიყვანეს?“ მის საძინებელ ოთახს მივუახლოვდი, კარი გამოვაღე და თავი შევყავი. ასეც იყო. დიდედას სავარძლის წინ იდგნენ და მამიდა ემა ხმამაღლა აცნობდა მას ახალმოსულ სტუმრებს. დროზე შევედი. ბუსარდელების დედამთავარმა უხმოდ ასწია მძიმე ხელი და ჯერ ქალბატონ მორტიეს გაუწოდა, შემდეგ ბატონ მორტიეს.

— ეს კი. — წაილაპარაკა მამიდა ემამ და სავარძლისკენ დაიხარა, — ეს მშვენიერი ქალიშვილი ანა-მარი მორტიეა. რასაკვირველია, გახსოვს იგი. დედა...

სასწაულის მოწმე ვგავხდი. მუდამ მთვლემარე დიდედამ ძალა მოიკრიბა, თავი დააქნია და გაიღიმა. მერე ხელი ქალიშვილისკენ გაიშვირა, თავისკენ მიიზიდა, შუბლზე აკოცა და ბაგეებიც გაეხსნა. ნუთუ დაილაპარაკებს?.. ყველამ ყური ცქვიტა. გაურკვეველ ბუტბუტში, ძლივს გავარჩიე ეს სიტყვები:

— რა საყვარელი გოგონაა!

მამიდა ემას თვალები გაუბრწყინდა და წელში გასწორდა. სიმონიც იღიმებოდა. ცოლ-ქმარი მორტიე პატივისცემასა და აღტაცებას ვერ ფარავდა, სიტყვებს არ იშურებდნენ, ქალიშვილი ხმას არ იღებდა, ხოლო ქსავიე ისე იდგა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

ამის შემდეგ საუბრის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალეს, მით უმეტეს, დიდედა უკვე არავის აინტერესებდა.

— წავიდეთ! — თქვა მამიდა ემამ, გუნდს თავი მოუყარა და კარისკენ წაიყვანა, — ვაცალოთ, მოისვენოს!

ვიცოდი, დიდედა ასე ადრე არ დაწვებოდა დასაძინებლად, ღამით რამდენჯერმე გაგზავნიდა ფრანსიზას ბუფეტში, სენდვიჩს, ნამცხვრებს, ნაყინს ან ფორთოხლის წვენს მოატანინებდა.

თამბაქოს მოსაწევ ოთახში შევედით. როგორც კი დიდედას ოთახის კარი მიიხურა, მამიდა ემამ ცოლ-ქმარი მორტიეები შეაჩერა, ჯერ ცოლს შეხედა მრავლისმეტყველი თვალებით, შემდეგ ქმარს, შეისვენა და განაცხადა:

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ფრიად იშვიათი ამბავია! ამ სერიოზული განაცხადის განსამტკიცებლად ერთხანს გაჩუმდა.

— რა არის იშვიათი ამბავი, ნათლია? — იკითხა ქსავიემ, რომელიც ყველას მივიწყებოდა.

— ის, რომ მან ხმა ამოიღო, ძვირფასო! შენ რა, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ? მან დ ა ი ლ ა პ ა რ ა კ ა!

— ოო, ოო! — ვიშვიში ატეხეს მორტიეებმა.

— ჰკითხე აგნესს, — განაგრძო მამიდამ, რომელსაც ჯერაც ვერ მოენელებინა დიდედას ოთახში ჩემი გამოცხადება. — ჰკითხე აგნესს, როცა ამერიკიდან დაბრუნდა, განა დიდედა დაელაპარაკა?

— არა, — ვთქვი მე, — უნდა ვაღიარო... უხმოდ მაკოცა, ეს იყო და ეს!

— ხომ გესმის? — წამოიძახა მამიდამ.

— აბა, ანა-მარი, იმედი მაქვს... — წამოიწყო ქალბატონმა მორტიემ.

მამიდა ემა გაიბღინძა, იმ მომთვინიერებელს ჰგავდა, მაყურებელი ტაშით რომ აჯილდოებს. ვინ იცის, ამ ძნელი ნომრის ეფექტურად შესრულებისთვის რა გარჯა, რამდენი რეპეტიცია დასჭირდათ!

ამასობაში ცოლ-ქმარ მორტიეებს მივეალმე: აქამდე ვერ მოვასწარი. მერე კიბისკენ გავემართე.

— ანა-მარი! — ხმამაღლა შევყვირე და ქალიშვილი შევაჩერე, — რა ლამაზი კაბა გაცვიათ!

— მოგწონთ? — ისე თქვა, ჩემს გულწრფელობაში ეჭვიც არ შეუტანია, — ლეგრანის ატელიედანაა. განსაკუთრებული მოდელია.

ცოტაც და, ქსავიე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ფასსაც მეტყოდა.

კიბეზე ჩავდიოდით. დალეული, მოკლეფეხება ანა-მარი მორს წაგავდა ჩემ გვერდით: ჩვეულებრივი ტიულისაგან შეკერილ კაბაში კიდევ უფრო მოკლე მოუჩანდა ფეხები.

— მუდამ ვამტკიცებ, — განაგრძო ანა-მარიმ, — მხოლოდ ძვიოფას მკერავთან შეიძლება ისეთი კაბის შეძენა, რომელიც მოგიხდება! თქვენ ვინ გიკერავთ, აგნეს? წარმოიდგინეთ, არც თქვენი კაბაა ურიგო.

— ეს სულ სხვა სტილია. ეჰ, მე ხომ, თქვენსავით, თვრამეტი წლისა არა ვარ!

კმაყოფილი ღიმილი მოეფინა.

— ერმინ ლეგრანი თქვენც კარგად გამოგაწყობთ. მით უმეტეს, მე თუ მიგიყვანთ, — დაუმატა მან.

— მართლა?

— ჩემი იმედი გქონდეთ. მე ვაგებ პასუხს.

— ოჰ... ძალიან მადლობელი ვიქნები. წამოდით, შამპანური დავლიოთ!

ბუფეტისკენ წავიყვანე. ქსავიე არ გამოგვყოლია.

— უნდა გამოგიტყდეთ, დიდი ხანია პარიზში არ ვყოფილვარ და, ცოტა არ იყოს, გზააბნეული ვარ. ბევრი რამ მაქვს საყიდელი და მეგზური ძალიან გამომადგებოდა.

ჭიქა გავუწოდე, მოკლეფეხება მორტიეს ყოვლისმცოდნე ქალის გამომეტყველება შერჩენოდა სახეზე. ჭიქა ჩვეული მედიდურობით მიიდო ტუჩებთან, მოსვა და ბრძანა:

— მუდამ მიხარია, როცა ვინმეს სამსახურს ვუწევ! მოდით, შევთანხმდეთ, როდის შევხვდეთ ერთმანეთს... აი ნახავთ, ჩემი წყალობით ხელახლა გახდებით პარიზელი... მითხარით, აგნეს, მართალია, რასაც ამერიკაზე ჰყვებიან? მართლა ყოვლისშემძლეა ქალთა კლუბები? მაგალითად, წესიერ მოახლეს რამდენს უხდიან ნიუ-იორკში?

მეჯლისი მალე მომბეზრდა. ცეკვას ბოლო არ უჩანდა: ვის აღარ ვეცეკვე, მაგრამ იოტისოდენა სიამოვნებაც არ მიგრძვნია. ახალგაზრდა დიასახლისის როლს ვასრულებდი. ჩემი ერთი რძალიც ასევე იქცეოდა, მეორე კი მანდილოსნებთან იჯდა და თავის ფეხმძიმობაზე ლაპარაკობდა. ქსავიეს შორიდან ვხედავდი; ცეკვავდა, მაგრამ არავის ესაუბრებოდა.

არც სტუმრების მორთულობა, არც მუსიკა და, რაც მთავარია, არც აქაური „კავალრები“ ბერკლის ან სან-ფრანცისკოს ცეკვის საღა-

მოებს არ მაგონებდა. იქაურ თავშექცევას სპორტული, რაღაც ყმაწვილური ხასიათი აქვს და მაღალი წრის მანერებისა ცოტა რამ სცხია. იქ ყველაფერი, სერიოზული საქმეა თუ გართობა, ურთიერთშეთანხმებით (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) ხდება. სწორედ ამით გამოირჩევა ამერიკა. ჰოდა, როცა ყოველგვარი შემზადების გარეშე მესამე რესპუბლიკისთვის დამახასიათებელ ამ მეჯლისზე მოვხვდი, უნებურად ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ოცდაათი წლით უკან გადამისროლეს.

ადვილი შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ პრეზიდენტ ფალიერის ან, სულაც, ფელიქს ფორეს პრეზიდენტობის დროს ვცხოვრობდით. აქაური მოცეკვავე ყმაწვილები და ქალიშვილები მეტ-ნაკლებად შეიძლებოდა თანამედროვე ახალგაზრდებად ჩაგვეთვალა, მაგრამ გალერეის კედლებს გასწვრივ, მით უმეტეს — მეორე სართულის ოთახებში ჩამწკრივებული მათი დედების ხილვა, ნამდვილად გამაოგნებელი სანახაობა იყო. ნუთუ შესაძლებელია პარიზში, რჩეულთა წრეში, წმინდა ბურუაზიულ წრეში ამდენი მოქმედი პირი იყოს, რომელსაც ეპოქისთვის მხარი ვერ აუბია?! ნუთუ შესაძლებელია არსებობდეს ამდენი „მატრონა“ და ამდენი შინიონი, ამდენი ბალნიანი სახე და იღლია, ამდენი ხავერდის ყელსაბამი და მოძველებული გულქანდი, მამაკაცების ამდენი წვერი და ამდენი მრგვალი მანჟეტი?!.. რას იტყოდნენ ჩემი ამერიკელი მეგობრები? რამდენჯერ მისაყვედურებია მათთვის, სასაცილო, მოძველებული წარმოდგენა გაქვთ-მეთქი ფრანგებზე!.. თუმცა, რაღა ამერიკელები! სხვა წრეში გაზრდილი ყოველი დაკვირვებული ადამიანიც ამასვე იტყოდა, უჩვეულო მოვლენად ჩათვლიდა: შეუძლებელია პარიზში აქამდე იყოს შემორჩენილი ასეთი ტიპები, თანაც ამ რაოდენობით!..

არადა, მაინც ასეა. ამისთვის საკმარისი იყო თვალი გამეხილა, მარჯვნივ და მარცხნივ მიმომეხედა. ისიც საკმარისი იყო, ჩემ ირგვლივ თავმოყრილ ხალხს დავკვირვებოდი და მაშინვე მივმხვდარიყავი, რა ერთსულოვანი, ყოვლისშემძლე, შეთანხმებული და თაედაჯერებულად გულჩათხრობილნი იყვნენ ყველანი. სწორედ ესენი გახლდნენ განსაკუთრებული მოდგმის, განსაკუთრებული კლასის წარმომადგენელნი საზოგადოებაში, რჩეულნი რჩეულთა შორის!

ჩემი კავალრების თავაზიან საუბარს ყურს არ ვუკდებდი, მით უმეტეს — მათი უმრავლესობა არც კი მიცნობდა. მე მხოლოდ ვიხსენებდი ნათესავებისგან ათასჯერ მოსმენილ მოთხოვნებსა და შენიშვნებს, რასაც წლების მანძილზე არ ვაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ამ

ალამოს. ამ მეჯლისზე განსაკუთრებული სიცხადით ისმოდა მათი გამოძახილი.

ნამდვილად სიმართლეს შეეფერებოდა ის ამბავი, რომ ბუსარდელების კეთილდღეობამ მძიმე პერიოდს გაუძლო — 1914 წლის ომსაც კი. ჩვენი ოჯახი ომის წყალობით არ გამდიდრებულა: არც გემოვნება, არც ტრადიცია ნებას არ აძლევდათ ევაჭრათ სამხედრო მაუდით ან ჭერვები დაემზადებინათ. წლების მანძილზე მიწის ოპერაციებითა და თავისუფალი პროფესიით მიღებული შემოსავალი არ სარგებლობდა განსაკუთრებული პატივით. ზოგი ფიქრობდა, საჭიროა ფასეულობის გადასინჯვა, ახალი ვითარების აღიარება და მასთან „შეგუებაო". ზოგი კიდეც დაგვცინოდა, გაკოტრება არ აგცდებათო. სინამდვილეში კი, ჯიუტმა და უდრეკმა ჩემმა ნათესავებმა იმდენ ხანს იყოყმანეს, ამასობაში ვითარება შეიცვალა. წესრიგი აღდგენილ იქნა. და საბოლოო ჯამში ომი, ომისშემდგომი პერიოდი და კრიზისი ოდნავ თუ შეგვეხო. დედაქალაქის ნიადაგზე ფესვგამდგარი ჩვენი ქონება უმნიშვნელოდ დაზარალდა, სამაგიეროდ ნანგრევებს შორის არ მოჰყოლია და ფეხზე იდგა. სხვა სოციალური უჯრედებისგან განსხვავებით, ჩვენმა სახლმა ყველაფერს გაუძლო.

ძია თეოდორი, მამიდა ემა, დედა და მამაჩემი, თვით დიდედაც კი იმ ხანებში, როცა ჯერ კიდევ ჰქონდა ლაპარაკის თავი, ათასჯერ გვიმეორებდნენ, ანალიზსა და კომენტარს არ იშურებდნენ ამ სოციალური ვითარების შესაფასებლად, რომლის ჭეშმარიტებაში არავინ დაეჭვებულა ჩვენგან. გამონაკლისი მხოლოდ მე გახლდით, რადგან არასოდეს მქონია სურვილი ხმამაღლა გამომეთქვა ჩემი აზრი. და მართლაც, დავუშვათ, ბუსარდელების ერთ-ერთი ნაშიერი მოეხიბლა ოციან წლებში ფულის ადვილად შოვნის სურვილს და განეცხადებინა, უაზრობაა ყოველგვარი ფინანსური გამჭრიახობა მაშინ, როცა ისეთი კაცი, ვისაც არც გამოცდილება, არც მხარდამჭერი არ გააჩნია, მილიონებს იგებსო. წარმოგიდგენიათ, რა სასჯელს მოიმკიდა იგი ოცდაათიან წლებში?!

ამიერიდან ურწმუნონი ვერაფერს დაუპირისპირებდნენ მოძველებულ პრინციპებს, რაც, ფაქტების წყალობით, დროთა ვითარებაში ხელახლა აღდგა და აშკარა რეაბილიტაციაც მიიღო. რასაკვირველია, ჩემმა ძმებმა, რძლებმა და ბიძაშვილებმა იცოდნენ ყოველივე ეს; სინამდვილეს ვერსად გაექცეოდნენ და, რასაკვირველია, სწორედ ამიტომაც გამოხატავდნენ სრულ მორჩილებას. მათ ისე გაატარეს სიყ-

მაწვილის ხანა, დამოუკიდებლობა, რომანტიკა, ახალგაზრდული აღმაფრენაც კი არ გამოუცდიათ.

როცა ათი-თორმეტი წლისა ვიყავი, ზაფხულობით სოლონში ვისვენებდით. ჩემი ძმები და ბიძაშვილები ახლოს არ მიკარებდნენ, რადგან მათზე გაცილებით პატარა ვიყავი. თვითონაც ვიცოდი, ჩემთან ყოფნა ეუხერხულებოდათ, მე კი მაინც მინდოდა გამეგო, რითი ვუშლიდი ხელს. ერთხელ შორიდან მოვუარე და ფანჩატურთან მივიპარე, სადაც ხშირად ისხდნენ და მე არ მიშვებდნენ. მათი ხმა გავიგონე: ახლა მაინც გავიგებ, რაზე ლაპარაკობენ-მეთქი უჩემოდ. ყურები ვცქვიტე და რაკი ვგრძნობდი, დანაშაულს ჩავდიოდი, გული საშინლად მიძგერდა.

— მეტი საქმე არა მაქვს, ფული შემნახველ სალაროში შევიტანო! — ამბობდა ჩემი ბიძაშვილი, ჟენევიევი.—რაღაც გროშებს იძლევიან სარგებელში. დიდი სისულელეა!

— გინდა, კარგად დააბანდო შენი ფული? — ჰკითხა სიმონმა, — შემიძლია რჩევა მოგცე.

სიმონი მაშინ ოცი წლისა იყო, ჟენევიევი — თხუთმეტისა.

ახლა კი, ამ სასტუმრო ოთახში, სადაც ელექტროშუქი ოქროსა და ფარჩას ეფრქვეოდა, სადაც ქალი ისე ვერ გაბედავდა შემოსვლას, მარგალიტების ერთი ასხმა მაინც არ ჰქონოდა კისერზე, სადაც დედაჩემს ვეება მკერდზე, უურებზე, მაჯებზე ერთნახევარ მილიონად ღირებული ზურმუხტები ეკეთა, სადაც მოხუცსა და ახალგაზრდებს შორის ძნელად თუ იპოვიდით ოცდაათიოდე წყვილს, ვისი შემოსავალიც ნახევარ მილიონს მაინც არ აღწევდა, აი აქ, ასე აშკარად არასოდეს შემიმჩნევია ჩვენი ოჯახის ღირსება და ნაკლი. არც მათი ჩამოთვლა ეამიჭირდებოდა, მაგრამ ასე მგონია, ორი სიტყვით უფრო დამაჯერებლად გამოვხატავდი ყოველივეს, რასაც თვით ჩემი მშობლები, საჭირო იყო თუ არა, წამდაუწუმ იმეორებდნენ და თავიანთი კასტის ალამივით აფრიალებდნენ: „ფ უ ლ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა“.

როცა რომელიმე ჩვენიანი ამბობდა: „ჩვენ ფულის გრძნობა გვაქვს..., მას გამახვილებული ჰქონდა ფულის გრძნობა... შენ სულ არ გაგაჩნია ფულის გრძნობა...“ ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ფულის გრძნობის სახელით ვალდებული ვიყავით მხარში ამოვდგომოდით ერთმანეთს, თუნდაც არ გვყვარებოდა ერთმანეთი: ვალდებული ვიყავით შევხვედროდით ერთმანეთს, თუნდაც ამ შეხვედრას არავითარი სიამოვნება არ მოენიჭებინა ჩვენთვის; გვინდოდა თუ არა, უნდა ვწვეოდით ერთმანეთს, დაქორწინებულიყავით უსიყვარულოდ; თა-

ნაც ერთმანეთისთვის უნდა გვეთვალთვალა, მაგრამ არ უნდა განვდგომოდით ერთიერთს: გვეწვალებინა ერთმანეთი, ოღონდ ვნება არ უნდა მიგვეყენებინა: გვეტანჯა მძიმე უღლის ქვეშ, მაგრამ არ უნდა გაგვებედა ამ უღლის გადაგდება: ჩვენი ხვედრით კმაყოფილებს ისე უნდა გვეცხოვრა, არ გვცოდნოდა—რა არის ბედნიერება!

ერთხელ ღედამ ნაძალადევი ღიმილითა და გამჭოლავი თვალებით გადმომხედა და ისე მითხრა, როცორც მხოლოდ მან იცოდა ლაპარაკი:

— შეგიძლია დაგვცინო, შვილო... დიახ, რამდენიც ღინდა დასცინე ჩვენს გრძნობას ფულის მიმართ! და მაინც, მისი წყალობით შენ და შენს ძმებს არასოდეს არაფერი გაკლდათ.

მართალს ამბობდა. რაც საჭირო იყო, მუდამ გვქონდა. სამაგიეროდ, არ გვქონდა ის, რაც გვჭირდებოდა.

წამდაუწუმ კედლის საათს ვუყურებდი. ღამის ორი საათის შემდეგ იშვიათად მეპატიჟებოდნენ საცეკვაოდ; მართალია, არ ვიბღვირებოდი, მაგრამ მაინცადამაინც არც მოცეკვავე ყმაწვილებს განვაწყობდი ჩემთან ხელახლა საცეკვაოდ. ამ ორომტრიალში დაღლილობას ან, უმალ, მარტოობასა და რაღაც გაურკვეველ გულზიზღიანობას ვგრძნობდი. მყუდრო ადგილს ვეძებდი, სადაც ისე უნდა შემეფარებინა თავი, არც უზრდელობა გამომსვლოდა, და ჩემს ოთახში ბაბარვით გამოწვეული სკანდალიც თავიდან ამეშორებინა.

ბიბლიოთეკისკენ წავედი, შედარებით მეტი სიმშვიდე სწორედ იქ მეგულებოდა. სანამ ბიბლიოთეკაში მოვხვდებოდი, სასადილო ოთახი უნდა გამევლო, სადაც ბუფეტი მოეწყოთ; სახლის ამ მხარეს მუსიკის ხმა ყრუდ ისმოდა და ცეკვითაც აქ არავინ ცეკვავდა. პანელებით მორთულ ბიბლიოთეკაში ქალიშვილები ვექილის ვაჟებთან ფლირტით ირთობდნენ თავს.

გამოვჩნდი თუ არა, ორი თუ სამი ზრდილი წყვილი ფეხზე წამოდგა. ვთხოვე, დასხედით-მეთქი და ისე გავიარე, თითქოს მეორე ოთახში მქონდა რაღაც საქმე. ამ კუთხეში, ღია გალერეაში გამავალ ხის კიბესთან, შემინული, პორტიერჩამოშვებული კარი იყო. ამ კარიდან გავიპარე.

როცორც კი პირველი ნაბიჯი გადავდგი, მაშინვე ვიგრძენი ზამთრის ბაღის მძიმე ჰაერი, ნოყიერი მიწის მწკლარტე სუნი, მუდამ გულისრევას რომ იწვევდა ჩემში, ახლა კი ამ სუნმა კიდევ უფრო გამიფუჭა გუნება, რისი თავი და თავი მიზეზი მოსაწყენი და დამქანცველი მეჯლისი იყო. გულშეკუმშული, უხალისოდ მივაბიჯებდი მღვიმი-

საკენ, თითქოს იქ მელოდა რაღაც შვება, თითქოს იქ ვიპოვიდი გადამწყვეტ სიტყვას, ამოვხსნიდი რაღაც გამოცანას ან, უბრალოდ, ხელახლა ვიპოვიდი ოდინდელი ბავშვობის აჩრდილს.

— ვაი! — წამოვიკივლე, — რომელი ხარ?

ერთ-ერთ სკამზე ვიღაცის ჩრდილს შევავლე თვალი,

სანამ გონს მოვიდოდი, სამჯერ თუ ოთხჯერ ამიჩქროლდა გული, ქანქარასავით რომ ზომავდა წამების სრბოლას. ქსავიეს ხმა გავიგონე:

— არ მეგონა, ჩემი დანახვა თუ შეგაშინებდა...

უმალ ამ ფრაზით ვიცანი, ვიდრე ხმით. შეკითხვაზე არასოდეს პირდაპირ არ გიპასუხებდათ, ჯერ ლოგიკური ელიფსით გაიელიდა მიხვეულ-მოხვეულ გზას, რაც მისთვის ისევე ბუნებრივი იყო, როგორც ზოგი ცხოველისთვის — ზიგზაგით სიარული. შესაძლებელია, სანამ აზრს გამოთქვამდა, ზედმეტად მიაჩნდა შეჩერებულიყო იმ ამაო კავშირებსა თუ გადასვლებზე, რის დეტალურ დაზუსტებასაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ცდილობენ ხოლმე.

— მეგონა, აქ მაინც ვიქნებოდი მარტო...

— ნანობ? — მკითხა.

ქსავიესავით მოვიქეცი: არაფერი ვუპასუხე და გვერდით მივუჯექი.

ქსავიემ ამოიოხრა:

— უჰ! მეტისმეტად ბევრნი იყვნენ!

— განსაკუთრებით ქალები მოგეჩვენა ალბათ უამრავი!

— წარმოიდგინე, აგნეს... უკანასკნელად იქ, მაღლა ვიცეკვე.

— მთებში?

— ჰო. სერტიგთალში. იქაურ მეგობრებთან, ფერმერებთან... ქალიშვილს ათხოვებდნენ.

— ალბათ სულ სხვანაირად ცეკვავდნენ.

— არა. ჩემი მეგობრები უკეთ ცეკვავდნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მართალია, გრიზონელებს არ ვიცნობდი, მაგრამ მაღალმთიან საძოვრებზე, ტყისმჭრელებსა და ყველის დამამზადებლებს შორის ქსავიეს წარმოდგენა არ გამიჭირდა.

— დავოსიდან შორს ცხოვრობდი?

— მადლობა ღმერთს, შორს! — მიპასუხა მან, — გაცილებით შორს... სერტიგ-დერფლში. ზამთარში იქ მისასვლელად სამი საათი უნდა იარო ციგით.

— დარწმუნებული ვარ, ბარში იშვიათად ჩადიოდი...

— თითქმის არასოდეს. რამდენჯერმე ვიყავი კლავადელში. ვერ იქნა და იმის იქით ვერ გადავწყვიტე წასვლა. — ხმადაბლა გაეცინა.

შემდეგ ისევ სერიოზული სახით განაგრძო: — პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით უფრო ხშირად ავდიოდი ხოლმე, კიუპალპტალში ან დუკანპასში. თუმცა ეს სახელწოდებები შენთვის არაფერს ნიშნავს!

— წარმოიდგინე, ნიშნავს!

ბინდბუნდში მაინც შევამჩნიე, რომ ქსავიემ გულისყურით შემომხედა. გაძვალტყავებულ შუბლზე სინათლის ორი მკრთალი ლაქა ეცემოდა, მაგრამ თვალები მაინც ორბიტის ორ ბნელ ხვრელად ქცეოდა. მახსოვდა, რა კამკამა გუგები ჰქონდა და ახლა რომ მისი ჩამქრალი გამოხედვა დავინახე, დავიბენი.

— კიდევ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, — ვთქვი სწრაფად, — მოწყენილი არასოდეს არ იქნებოდი!

რაკი ზუსტად მივუხვდი, არაფერი მიპასუხა. ჩვენ უკვე გვესმოდა ერთმანეთის.

— რაკი იქაურებთან ცხოვრობდი, — განვაგრძე დაკითხვა, — ალბათ იმათთან ერთადაც მუშაობდი, არა?

შევატყვე, კიდევ უფრო მეტი გულისყურით მისმენდა.

— უცნაურია, აგნეს... შენ გარდა ჩემთვის არავის უკითხავს ეს. გამოდის, ჩემი მოთვინიერება გადაგიწყვეტია!

— არა. მაინტერესებს და იმიტომ გეკითხები.

მართალი ვუთხარი.

— ჩვენ ხომ კარგად არც კი ვიცნობთ ერთმანეთს, აგნეს... — თქვა მან, — ყველაზე მეტად მესაქონლეობით ვიყავი დასაქმებული. ამის ნიჭი მქონია. მრავალჯერ დავხმარებივარ მძიმე ზარვის დროს, ხოლო ზაფხულობით ისე ვიქცეოდი, როგორც ჯოგი იქცევა: სიგრილის საძებნელად მაღალმთიან საძოვრებზე ავდიოდი და დღეები ისე გადიოდა. ქვევით არც კი ჩავდიოდი, იქვე ვრჩებოდი ხოლმე, მწყემსებთან მეძინა ქოხში. ვიკვებებოდით ჩვენივე დამზადებული ყველითა და შავი პურით, ბარიდან რომ კვირაში ერთხელ ამოჰქონდათ. თან არაფერი მიმქონდა, არც სიგარეტი, არც წიგნები. მხოლოდ საპონი, წყაროზე რომ დამებანა პირი. როცა ალპინისტები გამოჩნდებოდნენ, ვიმალებოდი. ერთი სიტყვით, ძალიან კმაყოფილი ვიყავი... მწყემსები იქაურ ლეგენდებს მიყვებოდნენ, სიმღერებს მასწავლიდნენ. სხვათა შორის, როდისმე გიმღერებ. იქაური დიალექტიც შევისწავლე.

თითი დავუქნიე:

— ყური მიგდე, ქსავიე. შვეიცარია გენატრება! ხომ გამოვიცანი?

— ასე გგონია? — გულუბრყვილოდ მკითხა, თითქოს მასზე უკეთ ვიცოდი, რაც მის სულში ხდებოდა.

— ყოველ შემთხვევაში, იქ დაბრუნება არ გაგიძნელდება.

— როდის?

— როცა მოისურვებ, ჯანმრთელობა მოიმიზეზე და...

— ახლა აღარ შემიძლია. მე ხომ სულ გამოვჯანსაღდი!

— ნუ ბავშვობ, ქსავიე! უკვე სრულწლოვანი ხარ, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.

— კი მაგრამ, — წაილაპარაკა ხმადაბლა, — ნათლიას რომ თავისი გეგმები აქვს?

— მართლა? მაინც რა გეგმები აქვს?

ნუთუ უკვე მოასწრეს და მორტიეს ქალიშვილის შერთვაზე ელაპარაკნენ? ან ნუთუ ასე მალე გადამიხსნის გულს?

— საქმე ისაა, — განაგრძო ქსავიემ, — რომ იურიდიულ ფაკულტეტზე უნდა ჩავეწერო. არ დაგავიწყდეს, სანატორიუმში ვმეცადინეობდი. ძალიან კარგი პროფესორები მყავდა. გრენობლში სიმწიფის ატესტატიც მივიღე.

— მაშინ რაღაშია საქმე? ოცდაერთი წლის ასაკში რაღად გჭირდება სკოლის მერხზე ხელახლა დაჯდომა? ნუთუ გხიბლავს ასეთი პერსპექტივა?

— თავის არიდება ,,ამიძნელდება... ნათლიას მიაჩნია, რომ ასეა საჭირო. სიმონსაც. მთელი ოჯახი ამ აზრისაა.

— ჩემ გარდა! — გამოვცოცხლდი, — ჩემ გარდა... თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს... ნუ დაემორჩილები, მორჩა და გათავდა!

— ძნელი ამბავია! — გაიმეორა მან.

პირველად გამოამჟღავნა თავისი დიდი ნაკლი, ერთადერთი სერიოზული ნაკლი: ვგულისხმობ მის ინერტულობას. მის მტკიცე ხასიათს სულ არ შეეფერებოდა მოქმედების ასეთი უუნარობა; ეს თვისება სულ არ ალამაზებდა მას, პირიქით, რაღაც ბავშვურ ნიშნებს ამხელდა, ამხელდა მის უმწეობას, იმ ყმაწვილის მთვარეულ ხიბლს, რომელსაც გულში უკვე შევარქვი სახელად „კალაპოტიდან ამოვარდნილი"! რაც მთავარია, ეს თვისება ძალაუნებურად გაგახსენებდა მის ფიზიკურ მდგომარეობას, ახლახან გადატანილ ავადმყოფობას, რომელსაც, შესაძლებელია, ხელახლა ეჩინა თავი.

და მაინც, ჯერჯერობით არ მინდოდა, მეტისმეტად ჩავციებოდი.

— უნდა დავბრუნდეთ, — ვთქვი მე, — საცაა ვახშამზე მოკვიხვობენ.

მაინც არ გავნძრეულვარ. არც ის განძრეულა. ეტყობა, მოსვენებას არ აძლევდა ჩემი სიტყვები, შვეიცარია გენატრება-მეთქი რომ ვუთხარი, რადგან ერთბაშად მკითხა:

— შენ ხომ ორი წელი დაჰყავი შეერთებულ შტატებში? დაგრჩა მაინც კარგი მოგონება? შეიძლება კაცს მოენატროს ეს ქვეყანა?

— ქსავიე, — დაბნეულად ვუპასუხე, — ნოსტალგია ყოველი ქვეყნისა შეიძლება...

— ოო! — წამოიძახა მან, თავი ასწია და ისეთი კილოთი მითხრა, თითქოს ჩემმა სიტყვებმა მისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველ აზრს მიახვედრეს, — მეგობრები... მეგობარი ხომ შეიძინე იქ?

რა გასაოცარი ყმაწვილი იყო! თავი მისკენ მივაბრუნე. სულ ერთი წუთის წინ ვფიქრობდი, ბავშვივით გულუბრყვილოა-მეთქი, მან კი უცნაური გამჭრიახობა გამოამჟღავნა. სკამიდან ოდნავ წამოიწია. ნათურის მკრთალმა შუქმა, ჩემ უკან რომ ციმციმებდა, ფოთლებში გამოაღწია და მრგვალ წერტილად დაეცა შუბლზე. ეს ოქროსფერი ლაქა სწორედ იმ ადგილას მოხვდა, სადაც თმის ზრდა იწყება შუბლზე. უნებურად გავიფიქრე, ქსავიეს მთელი გონი ამ პატარა ალით, ამ შუქითაა განათებული მისი თავის ქალაში-მეთქი.

— ჰო... ქსავიე... მეგობარი შევიძინე... უფრო მეტიც... როგორმე სხვა დროს გიამბობ...

გავჩუმდი. არც მას ამოუღია ხმა. მუსიკა ისე შორიდან აღწევდა ჩვენამდე, თითქოს სხვა სახლიდან ისმისო. ვტკბებოდი ამ წუთით. მომაგონდა, რომ ოდესღაც ზამთრის ბაღის ჯადოთა შორის ყველაზე შემაძრწუნებლად მისი მდუმარება და უძრაობა მეჩვენებოდა. მაგრამ ახლა სწორედ ამ სიჩუმესა და უძრაობაში განვიცდიდი ტკბილ წუთებს, თანაც ამ ახალმოსული, თითქმის უცნობი ყმაწვილის გვერდით, იმ ადამიანის გვერდით, ვისზეც ერთი კვირის წინ არც კი ვფიქრობდი, რადგან სულ სხვა ადამიანს მოეცვა მაშინ ჩემი გული და გონება. „როგორ? ასე ჩქარა?..“ კიდეც გამიხარდა და თან იმედის გაცრუებაც ეოგრძენი. ანაზდად გავიფიქრე, ნუთუ ყველა ქალი ასეთია-მეთქი?!

როცა პორტიერა გავწიე და ბიბლიოთეკაში შესვლა დავაპირე, შევამჩნიე, შიგ უკვე შეეტანათ პატარ-პატარა მაგიდები. ასევე უამრავი მაგიდა იდგა საბილიარდოშიც და სასადილო ოთახშიც. მსახურები ფუსფუსებდნენ, ხოლო სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ.

ქსავიე უკან მომყვებოდა, ხელით ვანიშნე და შევაჩერე, შემდეგ უკან დავიხიე და ფარდა ჩამოვუშვი. პორტიერასა და ბაღში გამავალ კარს შორის მოვემწყვდიეთ.

— ერთად დაბრუნება არ ღირს, — წავჩურჩულე ქსავიეს, — ყურადღებას მივიპყრობთ. დარწმუნებული იყავი, უკვე გვეძებენ.

ამ სამალავში შეთქმულებივით ჩურჩულმა და ჩემმა ეშმაკობამ ღიმილი მომგვარა. ბნელოდა, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ შეთქმულების თანამონაწილესაც ეღიმებოდა. შემინული კარის გასაღებად სახელურს უნდა მივწვდომოდი. ისე ვიყავით ერთმანეთს მიკრულნი, იძულებული გავხდი ქსავიეს მხარზე ხელი ჩამომედო და გადავხრილიყავი. სანამ კარს გავაღებდი, გაქვავებული ვიდექი და ძლივს გასაგონად წავჩურჩულე:

— ზამთრის ბაღი გაიარე და სათადარიგო კარიდან გადი. საფარეშო ოთახში გამავალ დერეფანში მოხვდები. ნათესავებმა თუ ეკითხეს, უთხარი ოთახში ავედი დასასვენებლად-თქო.

— ოჰ, არა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ ტყუილია.

ტუჩზე ვიკბინე. მერე მაინც გადავწყვიტე, როგორმე დამესაბუთებინა ჩემი რჩევა:

— ოჰ, ეს ხომ ეგრეთ წოდებული მაღალი წრის ტყუილი იქნება და მეტი არაფერი?!

— ვიტყვი, — ისე თქვა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, — სასტუმრო დარბაზში მომწყინდა, ნახევარი საათი ზამთრის ბაღში დავყავი და ხელახლა გავმხნევდი-მეთქი.

— გამოდის, ეს მართლაც ასეა?

— შენც კარგად იცი, რომ ასეა!

ამ უხერხულ პოზაში დარჩენა უკვე აღარ შემეძლო. ალბათ ქსავიეც წუხდა. კარის სახელური ჩამოვწიე, ქსავიეს მხარს ხელი ვუშვი და წელში გავსწორდი. მისმა სილუეტმა ზამთრის ბაღის ჩაბნელებულ ზღურბლს გადააბიჯა, მერე ჩემკენ შემობრუნდა... მის ბაგეებს, რომელთაც ვერ ვხედავდი, ეს სიტყვები მოწყდა:

— Grazcha fich per il gradevol moment!

— რაა? — უნებურად წამოვიძახე.

— Grazcha fich per il gradevol moment!

— კი მაგრამ, ეს რას ნიშნავს?

— ეს ნიშნავს: გმადლობთ სასიამოვნო წუთებისთვის. ასე ამბობენ ამ დიალექტზე.

ჩუმად ჩაეცინა. დავინახე, ბილიკით რომ მიდიოდა. მისი ფეხის ხმა არ ისმოდა.

იმ ღამით ქსავიეს მხოლოდ სტუმრების წასვლის შემდეგ შევხვდი. ანა-მარი მორტიესთან ერთად ევახშმა. მის მაგიდასთან საპატიო სტუმრები ისხდნენ: ნათლიამისი, ვექილთა საზოგადოების უფროსის ქალიშვილი და ბელგიის საელჩოს პირველი მდივანი.

როგორც კი ბოლო სტუმარი წავიდა, თითქმის ყველა ბუსარდელი, თავდადებით რომ გაითამაშეს სტატისტთა როლი, ვან-დეიკის სახლში მცხოვრებ ბუსარდელებს გამოეთხოვა. ეს გამოთხოვება წინაოთახში მოხდა. მამიდა ემას კოცნიდნენ და რაუტის წარმატებას ულოცავდნენ. თვითონაც მეშვიდე ცაზე იყო, დიდი სიხარულის დამალვას ძლივს ახერხებდა.

— ჰოო! — ყვიროდა იგი, — შემიძლია ვთქვა, ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა! მართალია, მეშინოდა, ვაითუ ბატის ღვიძლი საკმარისი არ იყოს-მეთქი, მაგრამ არა!.. რაც მთავარია, შუქი არსად გამორთულა: არც ერთი დამცველი არ გადამწვარა.

— რა გასაკვირია, საყვარელო ემა, — შენიშნა დედაჩემმა, — შენ ხომ ყველაფერს ადევნებდი თვალს!

— როგორ გეკადრება! — შეეკამათა მამიდა,—სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, მარტო არ ვყოფილვარ, მეხმარებოდნენ. პირველ რიგში შენ, მარი... დიახ! დიახ! ამას გარდა, შენი ორი რძალი... ჰო, თქვენც, ჟანეტ. მიუხედავად თქვენი მდგომარეობისა... ლუიზიც დამეხმარა, თუმცა კი მაღალი წრის წეს-ჩვეულებებს გადაჩვეულია. ჩემო საბრალო ლუიზ, მეტს აღარ ვაგაჩერებ, გაიქეცი ახლა შინ და მიხვალ თუ არა, ლოგინში ჩაწექი... ჟიულენმაც კარგი სამსახური გაგვიწია...

სულაც არ ვწუხდი, ქების სიგელების დარიგებისას მე რომ არ მომიხსენიეს. თუმცა მალე ჩემი წილიც მივიღე, რადგან მამიდამ ბოლოს დასძინა:

— არაფერს ვამბობ მათზე, ვისაც ცეკვის მეტი არაფერი გაუკეთებია. თავისთავად ესეც ერთგულების ერთგვარი სახეობაა. არავის გაკიცხვას არ ვაპირებ, რა საჭიროა ჩრდილი მივაყენო ამ საზეიმო განწყობას?!

— კიდევ ერთხელ მიიღე ჩემი მილოცვა, ემა! — უთხრა გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა ბიძაშვილმა, — მეფური საღამო გამოგივიდა!

— ნუ ამბობ ამას, ძვირფასო, ნუ მაწითლებ!..

და ნამდვილი ბუსარდელური კოცნით დააჯილდოვა ნათესავი: „მწუ! მწუ!“ ჰაერში ისე გააწკლაპუნა, ლოჭას არც შეხებია.

— მართლა, ქსავიე სადაა? — მოიკითხა მამიდამ.

— აქაა! — გალერეიდან გამოეხმაურა სიმონი, — სიგარეტს ვეწევით!

— აქ მოდი, საყვარელო! — გასძახა მამიდა ემამ.

ქსავიე მორჩილად შემოვიდა. დედობილი წასასვლელად გამზადებული ნათესავების წინაშე გადაეხვია, რაც სუყველას აშკარად შეშურდა.

— აი, ჩვენი მეჯლისის გმირი! — წამოიძახა მამიდამ, — იმედია, კმაყოფილი დარჩებოდი! თუკი დღევანდელი დღე მაღალ წრეში ცხოვრების დასაწყისი არ არის, მაშინ მე აღარაფერი გამეგება და ესაა!..

როგორც იქნა, უკანასკნელი სტუმრებიც წავიდნენ. ვესტიბიულში მხოლოდ ვამარჯვებული მამიდა, ჩემი დედ-მამა, ბიძაჩემი, ქსავიე და მე დავრჩით.

— აბა, ახლა დავიძინოთ! — ბრძანა მამიდა ემამ, — დასვენება ნამდვილად დავიმსახურეთ. აგნეს, ჯერ მე ავალ და ლიფტს ჩამოვუშვებ.

— გმადლობ, — ვუთხარი მე, — ჩვენ ფეხით ავალთ, ხომ, ქსავიე?

მაგრამ ქსავიეს მაგივრად მამიდამ მიპასუხა:

— რა უცნაური აზრია! შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ არ დაღლილხარ!

— ხა! ხა! ხა!.. აი, რას ნიშნავს ახალგაზრდობა! — უმიზეზოდ აქირქილდა ძია თეოდორი, — მათ ასაკში არც მე ვიცოდი, რა იყო დაღლა! ზოგჯერ, როცა ქოხში ღამის გათევა მიწევდა, საკმარისი იყო სასიამოვნო მოსაუბრე მყოლოდა გვერდით, რომ...

ბოლო სიტყვები ვერ გავიგონე. ლიფტის კარები ხმაურით მიიკეტა. და უცებ, ამ შემინულ კაბინაში, რომელიც ზანტად მიიწევდა ზემოთ, ოთხი ბუსარდელითურთ, მამიდა ემამ ერთბაშად დაკარგა უპირატესობა და ნათესავებს შორის ჰეშმარიტი იერარქია აღდგა. შავ ფრაკში გამოწყობილ მამასა და ბიძაჩემის გვერდით, ძაძებში ჩაცმული მამიდის გვერდით მეწამულკაბიანი დედაჩემი იმ კარდინალს წაგავდა, კოადიუტორები რომ შემოხვევიან გარს.

და ასე დატვირთული ლიფტი ბოლოს გაუჩინარდა.

ამასობაში ჩვენც ნელ-ნელა ავუყევით კიბეს. მესამე სართულის მოედანს რომ მივაღწიეთ, ნათესაობა უკვე თავ-თავიანთ ბინებში შეყუჟულიყო. ლიფტი ქვევით დაეშვა. მსახურმა ქვემო სართულზე შუქი ჩააქრო. სასახლეში სიჩუმემ დაისადგურა.

ისლა დამრჩენოდა, ქსავიეს გამოვმშვიდობებოდი. მისი ოთახი ამ სართულზე იყო. მე კი ერთი სართული კიდევ მქონდა ასავლელი. წამით მოაჯირს დავეყრდენი. ფეხები მეწვოდა. საკმაოდ ბევრი ვიცეკვე. და მაინც, იმ საღამომ არამც თუ არ გამიცრუა იმედი, ვცდილობდი დაღლილობა დამეძლია და ეს წუთები გამეხანგრძლივებინა.

ზუსტად ასეთი სულიერი აღტყინებით, წელმოწყვეტილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი, უკეთესი მომავლის ბუნდოვანი იმედით შეპყრობილი ვბრუნდებოდი ხოლმე ოდესღაც მეჯლისებიდან, თუკი დედაჩემი არ მახლდა თან.

4

მადმუაზელ მორტიემ კატეგორიულად მოითხოვა, სალონში შევეყვანე, იქ უფრო მშვიდად ვიქნებითო. ეს მეც მაძლევდა ხელს. თუმცა ჯერ ისე ადრე იყო, ერმინ ლეგრანის ცნობილ მოდების საფირმო სახლში კლიენტების მოზღვავების საშიშროება არ გვემუქრებოდა.

ნოტარიუსის ქალიშვილი სერიოზულად მოეკიდა ჩემი მფარველისა და მრჩევლის როლს. მამიდა ემას მიერ გამართული მეჯლისის შემდეგ იძულებული გავხდი კონცერტზეც წავყოლოდი ანა-მარის, რადგან ბახის მუსიკის თაყვანისმცემლად მოჰქონდა თავი. მერე რომელიღაც ულაზათო კაფეში შევედით და ნამდვილი ჩინური ჩაი დავლიეთ. ჩემი თანამგზავრის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, ჩვენი წრის ქალებს მხოლოდ ამ კაფეში შევხვდებოდით.

უფრო ახლო ურთიერთობა, თუ შეიძლება ამ გამოთქმის აქ ხმარება, მკერავთან მისვლამდე სამი დღით ადრე დამყარდა ჩვენ შორის. მორტიეს ოჯახმა დიდი ნადიმი გადაიხადა და ბუსარდელების ოჯახის წევრები მიიპატიჟა ვან-დეიკის გამზირიდან. რა თქმა უნდა, ჩემი და ქსავიეს ჩათვლით, ოღონდ დიდედას გარდა.

სადილმა უფერულად ჩაიარა, მაგრამ სახლის პატრონები ისე ცდილობდნენ ჩვენს მოხიბვლას, ნამდვილი სპექტაკლი მოაწყვეს. მეც ეს მინდოდა, ვერთობოდი ჩემთვის. ჩვენს მეგობრებს ვეებერთელა ბინა ეკავათ კუთხის სახლში, რომლის ფანჯრები ფრანცისკა I და ლა ტრემუას ქუჩებს გადაჰყურებდა. მქრქალი წითელი პლუშის პორტიერები

აბნელებდა ბინას, რომელშიც უამრავი ავეჯი, სურათები და ბრინჯაო იყო. უნდა ვაღიარო, მორტიეების ბინა არაფრით წაჰგავდა გემოვნებით მოწყობილ ჩვენს საგვარეულო სასახლეს, სამაგიეროდ, ეს ორი ოჯახი არც ცხოვრების მანერით, არც აზრებით, არც მიდრეკილებით და არც ტრადიციებით არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ცოლ-ქმარი მორტიე ჩვენი თვალის ასახვევად ყალბი უბრალოებით გამოხატავდნენ თავიანთ უპირატესობას: „ჩვენთან მიღებულია, რომ... ერთადერთი ჩვენი საზრუნავი ისაა, რომ... ამაში ბადალი არ ჰყავს ანა-მარის...“ ამ სიტყვების მნიშვნელობა სავსებით ესადაგებოდა ყოველივე იმას, რაც ჩვენს ოჯახს მოსწონდა და უყვარდა. მე უკვე აღარ მიკვირდა, ჩვენებმა ამდენ ხანს რატომ შეაჩერეს თავიანთი არჩევანი ამ მეზობელ ტომზე. მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა, დაუოკებელ სურვილს მიღვიძებდა ერთი ჩანაფიქრი: როგორმე უნდა ჩამეშალა მათი წამოწყებული მანევრები. მარტო ის აზრი კი არ მამოძრავებდა, რომ ჩვენები მორტიეების დასაძიძგნად იმეტებდნენ ქსავიეს, არამედ ისიც, რომ ეს მორტიეები ვისაც ახლო მომავალში ქსავიეს მიუგდებდნენ, ასე ძალიან წააგავდნენ ბუსარდელებს.

— მადმუაზელ ედმე, საღამოს კაბების ნახვა გვინდა! — გააფრთხილა ანა-მარიმ.

ეს ყბედი და მტკიცე ხასიათის ქალიშვილი, თავის ასაკზე ხნიერად რომ ყამოიყურებოდა, ისეთი მიწიერი იყო, ცხადია, ქსავიეს, ამ უცნაური სულის პატრონს, ვერასოდეს გაუგებდა... მაგრამ ანა-მარიმ აზრის დამთავრება არ მაცალა:

— აქ დადექით, აგნეს! ფანჯრისკენ ზურგშექცევით. ასე ჯობს: ნაკლი უკეთ გამოჩნდება... მადმუაზელ ედმე, ჩემს მეგობარს ვუამბე თქვენი ფლორენციული კაბის შესახებ; უთხარით, მოგვიტანონ!.. აგნეს, ზამთრის სპორტულ სეზონს სად გაატარებთ?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

— რატომ არ გინდათ ალბერგში წასვლა? ალბათ მეტყვით, იქ მყუდროდ ვერ ვიქნებიო, მაგრამ დამიჯერეთ, ეს სისულელეა! ყველას კი არ ვურჩევ იქ წასვლას! ვიცი, მაშინ იმ ადგილს მიაწყდებიან. მაგრამ თქვენ... ეს სულ სხვაა... შარშან მე და დედიკო ერთად ვიყავით. თუ არ ვცდები, თქვენ მუდამ მარტო მოგზაურობთ, არა?

— დიახ. ან მეგობრებთან ერთად. დედას არ უყვარს მოგზაურობა, ძმებს ცოლები ჰყავთ... ჰოდა...

— რა უცნაურია, აგნეს... მე „დედიკოს“ ვამბობ ხოლმე, თქვენ კი, შევამჩნიე, მუდამ „დედას“ ამბობთ!

— შეჩვევის ამბავია.

— აქამდე მუდამ დედიკო დამყვებოდა. და ძალიანაც კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ასე ჯობს! არ იფიქროთ, უკარება ვიყო! პირიქით, მაგრამ ბიჭები ისეთი უხამსები არიან!..

— მართლა?

— დამიჯერეთ! როგორ გეტყობათ, ორი წელი რომ არ ყოფილხართ პარიზში! ზამთრის სპორტული სეზონის დროს, ჩოგბურთის კლუბებში, ძვირფასო, ყველაზე მდიდრულად მოწყობილ საღამოებზეც კი, ქალიშვილი ერთთავად ფხიზლად უნდა იყოს, თორემ...

— მე კი მგონია, ანა-მარი, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილება ძალიან ადვილია. მთავარია, როგორ დაიჭერ თავს!

— რა თქმა უნდა! გარწმუნებთ, პირადად მე მუდამ თავაზიანად მექცევიან ყმაწვილები.

შევხედე და მის ნათქვამში ადვილად დავრწმუნდი.

— მაგრამ ისეთ ქალიშვილებს რა გამოლევს, ვისაც ბიჭები მაშინვე უწყებენ არშიყობას! — მრავალმნიშვნელოვნად დაასრულა მან, — შეუძლებელია თვალი დახუჭო და ასეთ ქალიშვილს არ შეხედო.

ამ დროს მანეკენიც შემოიტანეს.

— ოჰ, აგნეს, აი ესაა ფლორენციული კაბა! აბა, რას იტყვით?

კაბა პრეტენზიულიც იყო და ელეგანტურიც; ყვავილებითა და ბაფთებით გაწყობილი, და სახელად „ბოტიჩელი“ ერქვა, არც მეტი, არც ნაკლები!

— სააღდგომოდ სად წახვალთ? — არ ცხრებოდა ჩემი ყბედი თანამგზავრი, — თუ არ ვცდები, არდელოში მამული გაქვთ, არა?

— ჩემს უფროს ძმას აქვს... აგარაკი, პირველი ცოლისგან დარჩა.

— რა დიდებულია! აი შეხედეთ! ასეთი კაბა მეცვა თქვენთან, მეჯლისზე... თუმცა იქ ალბათ საშინელი სიცივე იქნება სააღდგომოდ!

მთელი ტანით შემოვბრუნდი, რომ ნათქვამი კარგად გაეგონა:

— ოჰ, საშინლად ცივა. და რაკი ჩრდილოეთის პლაჟები მაინცადამაინც რეკომენდებული არაა ჩემთვის...

— რატომ? ალბათ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, არა? ამ კაბას დააკვირდით, ესეც ძალიან მომწონს, მუქი ვარდისფერია...

— ძალიან ლამაზია... არა, ნერვები ადვილად უძლებს იქაურ ჰავას, მაგრამ ხომ იცით, სუსტი ფილტვებისთვის, ცოტა არ იყოს, მკაცრია...

— განა თქვენ სუსტი ფილტვები გაქვთ?

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა... მაგრამ მირჩევნია, თავი დავიზღვიო...

— ოჰ, ზედმეტი სიფრთხილე არავის ვნებს, — წამით გაჩუმდა, — მითხარით, საერთოდ, ოჯახში რომ არა გაქვთ ასეთი მიდრეკილება?

— პირადად ჩემს ოჯახზე ამას ვერ ვიტყვი, თუმცა... იქნებ ვალენტინს ჰქონდეს... მაგრამ უმცროსი და, ჯერ კიდევ ბავშვი, პნევმონიით მომიკვდა. ოღონდ ეს ჩვენს შორის დარჩეს, ანა-მარი!

— კი მაგრამ...

— ხომ იცით ხალხის ამბავი, გაზვიადება უყვართ!.. ჩვენი შტო დიდედას მხრიდან, ნამდვილად, თითქმის უვნებელი იყო... სავიზიტო კაბები არ ვნახოთ?

— თქვენი ბიძაშვილი, აგნეს?

— რომელი? ქსავიე?

— დიახ.

— მაინც რა გაინტერესებთ?

— მასაც აქვს... ეს მიდრეკილება მასაც აქვს?

— ოო, იგი უკვე გამოჯანსაღდა.

— გამოჯანსაღდა?

— თქვენ თვითონ დაფიქრდით, განა ისე დაბრუნდებოდა?

— საიდან? შვეიცარიიდან?

— ჰო, დავოსიდან.

— მოიცათ, მოიცათ! ვეღარაფერი გავიგე. მე სულ სხვა ადგილი დამისახელეს, რაღაც სოფელი...

— მართალია, სამი წლის განმავლობაში ქსავიე ერთ ხეობაში ცხოვრობდა, შვეიცარულ შალეში.

— მანამდე? დავოსში იყო? სანატორიუმში?

— რასაკვირველია, ანა-მარი!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეს მე არ ვიცოდი, — თქვა მან ბოლოს.

შემდეგ შაბათს არც ძია თეოდორი დამხვდა საუზმეზე, არც მამიდა ემა.

— სოლონში წავიდნენ სანადიროდ, — მაცნობა დედამ. — სიმონის მანქანით გაემგზავრნენ ამ დილით, უკანაც ის წამოიყვანს. შენც ხომ არ გინდოდა წასვლა, ჩემო ოქრო? — ხმადათაფლულმა მკითხა, — თუმცა რას ვამბობ? შენ ხომ ნადირობა არ გიყვარს: ფრიად მგრძნობიარე და გულკეთილი ხარ!

— ბევრნი იქნებიან?

— თხუთმეტიოდე კაცი, ბირჟის ნაცნობები. შენ მათ არ იცნობ... თუმცა როგორ არა! შენი მეგობრის, ანა-მარის მამაც იქ იქნება. მთელი კვირაა ბიძაშენს არ უნახავს და დაპატიჟა.

— ძია თეოდორი და მამიდა ემა როდის დაბრუნდებიან?

— ყოველ შემთხვევაში, ორშაბათამდე არ ჩამოვლენ. შეიძლება მეტ ხანსაც დარჩნენ.

კვირა საღამოს სუყველანი ყურებჩამოყრილნი დაბრუნდნენ.

სიმონის თანხლებით ორივენი დიდედასთან ავიდნენ. დედაც იქ დახვდათ, პარიზის გარეუბნიდან გაეფრთხილებინათ ტელეფონით. თათბირი გაგრძელდა, სადილობამ დაიგვიანა, რაც უჩვეულო დარღვევად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში.

ქვემო სართულში მარტოკა ვიჯექით მე და ქსავიე. ვცდილობდი, მოუთმენლობა არ დამტყობოდა. ჩემი გრძელფეხება ბიძაშვილი ჭერზე თვალმიშტერებული იწვა ტახტზე. ვაკვირდებოდი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩვენი ოჯახის აწრიალება უშუალოდ მას ეხებოდა, ოღონდ მასთან შეთანხმების გარეშე. და სწორედ ის, რომ მან არაფერი იცოდა, და პასიურად ეთანხმებოდა ყველას, რაღაც სტიმულს მაძლევდა და თავშეკავების სურვილს მისპობდა. ვინ დაიცავდა ამ უსუსურს, თუ არა მე, ბუსარდელების წეს-ჩვეულებებში გათვითცნობიერებული, მათთან საბრძოლველად უკეთ გამოწრთობილი?! მით უარესი, თუკი უფრო კეთილშობილური იარაღი არ მქონდა ხელთ!

დავრეკე და მსახურს ვთხოვე, პორტვეინი მოეტანა, მოვიმიზეზე, დროს მაინც მოვკლავ-მეთქი. ჯერ ერთი ჭიქა დავლიე, მერე მეორე.

როგორც იქნა, კარი გაიღო, ნათესავები შემოვიდნენ და მაშინვე მივხვდი ყველაფერს. სუფრას შემოვუსხედით. ჩვენი მონადირეები პირგამეხებულნი ისხდნენ და კრინტს არ სძრავდნენ. ეტყობა, სოლონის ჰავა არ მოუხდათ. გამორეკილი ნადირის ამბავიც ვერ მოვისმინეთ იმ საღამოს. სამაგიეროდ, მე ვლაპარაკობდი, მთელი ოჯახის მაგივრად ვლაპარაკობდი. ბოლოს მამიდა ემამ მოთმინება დაკარგა და დამიყვირა!

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! ისედაც თავი მისკდება.

როგორც მდგარი წყლის ზედაპირზე გაჩენილი წრეები ამჟღავნებს რაც მორევის სიღრმეში ხდება, მეც ასევე, ზოგიერთი ნიშნით ვხვდებოდი, რასაც ინახავდნენ საიდუმლოდ.

ერთი კვირის შემდეგ, ყავას ვსვამდით, როცა მამიდა ემამ ქსავიეს ჰკითხა:

— დღეს რას აპირებ, საყვარელო?

— აგნესს წასვლა უნდა ვიუიარის გამოფენაზე, ნათლია, მეც წავ-ყვები.

მამიდა ემამ ყავა დალია, ფინჯანში დარჩენილი ნალექი და შაქარი შეანჯღრია და მოსვრიპა.

— რას იტყვით, რომ გთხოვოთ, ვეც წამიყვანეთ-მეთქი?—წამოიძა-ხა მან.

გაკვირვებით შევხედე. გამოფენები და მუზეუმები მუდამ ეჯავრე-ბოდა. „მთქნარებას ვერ ვიკავებ! — წუწუნებდა, — მოწყენილობა კი არ მკლავს, ფეხზე დგომას ვერ ვიტან. დავამთქნარებ, იქაურ ჰაერს გადავყლაპავ და მუცლის გვრემით გამოვდივარ იქიდან“. თანაც, ყველა თანამედროვე მხატვარი ერთნაირად სძულდა და ერთმანეთში ერეოდა. მისთვის სეზანი და პიკასო ერთი იყო: „კუბისტები!“ თუკი შევეკამათებოდი, ერთ სიტყვას იტყოდა და ამით წერტილს დასვამდა: „ორივე ბოლშევიკია! მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!“

მამიდამ განკარგულება გასცა, ლიმუზინი გამოეყვანათ, რამაც ჩე-მი ვარაუდი გაამართლა: რაღაც ჩაიფიქრა. ჩვენ ორში რომელიღაცის გულის მოგებას ცდილობდა, ალბათ — ქსავიესი! ამ პატარ-პატარა ხრიკებით ადვილი წარმოსადგენია ჩემი ნათესავის ხასიათი: სინამდვი-ლეში იგი არც ჭკვიანი იყო, არც ბოროტი!

საუბედუროდ, თამაშის კვანძის გახსნა დააგვიანა. გამოფენაზე ყველა სურათი ისე დავათვალიერეთ, მამიდა ემას სიტყვა არ დასც-დენია, გარდა რამდენიმე ლმობიერი შეფასებისა: „ღმერთმანი, ძალი-ან სასიამოვნო ფერებია... ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი მოდა იყო... პირადად მე, მილიონი რომ მომცენ, ამ სურათს ოთახში ვერ დავკი-დებ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს მაინც ფერწერაა...“

— ოჰ, — ამოიოხრა, როცა ჟე დე პომის დარბაზიდან გამოვე-დით. — აღარ ცივა. წამოდით, ვაფლის ჯიხურში გეპატიჟებით!

მისი აზრით, ტუილრის პარკში ან ბულონის ტყეში, ღია ცის ქვეშ საუზმობა საჩოთიროდ სულაც არ ითვლებოდა მანდილოსნისთვის.

დავსხედით. მამიდა შუაში ჩაგვიჯდა. შეუკვეთა და უცებ ნათ-ლულს მიუბრუნდა; ჯერ მისკენ დაიხარა, მერე წელში გასწორდა, დო-ინჯი შემოიყარა, თითქოს აპირებდა ყოველმხრივ შეეთვალიერებინა და აღმოეჩინა ის, რაც უბრალო მოკვდავის თვალს გამოეპარებოდა.

— აი რა, ჩემო კარგო! — თქვა ბოლოს, — ჩემი აზრით, შენ კარ-გად ვერ გამოიყურები.

მივხვდი, დადგა წუთი, როცა ყურადღებით უნდა მოისმინო, მაგრამ ხმა არ ამოიღო. ოფიციანტს ვთხოვე, ერთი ნაჭერი პური მომიტანეთ-მეთქი და მტრედებისა და ბეღურებისთვის პურის დანამცეცებას შევუდექი. ფრინველები ჯერჯერობით ისე არ იყვნენ განებივრებულნი, როგორც ზაფხულში არიან, მაგრამ ჩემს თამაშში ჩაებნენ, გუნდგუნდად მოდიოდნენ და ამით მხარდაჭერას მაგრძნობინებდნენ.

— ამის მეშინოდა მუდამ! — გაისმა მამიდას ხმა. — პარიზის ჰავა მავნეა შენთვის. თანაც რისი გულისთვის? გეკითხები, რისი გულისთვის, იმისთვის, რომ ცოდვილივით იწრიალო სახლში და ფეხებში ებლანდებოდე ყველას?.. ოო, არა, ასე არ იფიქრო, ჩვენ სულ არ გვაწუხებ. ვან-დეიკის გამზირზე, ერთი ადამიანით მეტი, ერთით ნაკლები... მაგრამ მაინც რისთვის, რისი გულისთვის?.. ვიცი, შემეკამათები: თქვენ თვითონ გინდოდათ, რომ იურისპრუდენცია შემესწავლაო. მართალია, მაგრამ რა გვეჩქარება? დავუშვათ, სწავლასაც დაამთავრებ... მერე? მერე რაღა იქნება? იმაზე ზედმეტია ლაპარაკი, კანტორაში დაიწყო მუშაობა. ორივე ბიძა, მადლობა ღმერთს, ცოცხალია და ჯანმრთელია, მათ შემცვლელად შენი ბიძაშვილი, სიმონი გვყავს. მაშ, რაღა დარჩა? ეგაა, რაიმე თანამდებობას თუ გამოგიძებნით, მაგრამ ამის მოსაფიქრებლად ჯერ კიდევ გვაქვს დრო, და რაც უფრო ნაკლებად ავჩქარდებით, მით უფრო ზუსტად შევარჩევთ, რა არის შენთვის საჭირო... თანაც, მე ხომ კარგად გიცნობ, საყვარელო: ერთხელაც არ გითქვამს უარი, ერთხელაც არ გაგიწევია წინააღმდეგობა, როცა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა შემოგთავაზეთ. ეს იმიტომ, რომ გიყვარვართ და პატივს გვცემ; მაგრამ სულის სიღრმეში მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა ეს ამბავი. ხომ არ ვცდები?.. აი, ხომ ხედავ, შენს ბებერ ნათლიას ჯერ კიდევ გაეგება შენი... დავლიოთ შოკოლადი, ბავშვებო, სანამ ცხელია. ვის უნდა ვაფლი კიდევ?

მამიდამ შვებით ამოისუნთქა. შეისვენა. სიტყვის პირველი ნაწილი გაასრულა.

— შენ ალბათ იკითხავ: „მაშ, რა ვქნა, ნათლია?“ მართლაც, აი ესაა საკითხავი!.. ხელახლა გაგგზავნოთ მთებში? აჰ, არავითარ შემთხვევაში! ეს მე არ მსურს. ვინმე უსათუოდ იტყვის, ისევ ავადაო. ვინ იცის, იქნებ ახლაც ამბობენ რამეს! ვინ იცის, იქნებ შენი იქ ასე ხშირად ყოფნა... ძალით ხომ არ გამიგზავნიხარ, საყვარელო? შენ თვითონ მოგწონდა იქაურობა... შესაძლოა, ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და ზიანიც მოგაყენა! როგორ გინდა დაუმტკიცო ხალხს, რომ ცდებიან? არა, არავითარი მთები! ეს გადაწყვეტილია. „მაშ, რა

ვქნათ, ნათლია?" — იკითხავ შენ. ჰოდა, შვილო, ერთი გეგმა აქვს შენს ნათლიას. აჰა, გინდა გაიგო, ხომ? ინებე: თავს არ შეგაწყენ. ნათლია-შენს ჯანდაბისკენ ხომ არ გაისტუმრებ, ბაიუს კონცხი რომ გაჩუქოს?.. არ გახსოვს, სადაა ბაიუ? ჰიერის სამი კუნძულიდან ერთ-ერთი, ვიწრო ნახევარკუნძული სამხრეთ-დასავლეთით, სწორედ ბაიუს კონცხია, საყვარელო! ჯერ კიდევ დიდედაჩემის, კლაპიეს დროიდან ეკუთვნის იგი ჩვენს ოჯახს. როცა ბიძაშენს სოლონის მამული ხვდა წილად, მე ბაიუს კონცხი მარგუნეს. უნდა გამოგიტყდე, შინაურებს შეთვისებული ისეთი ქალისთვის, როგორიც მე ვარ, იქ ცხოვრება შეუძლებელია. ჩემი საყვარელი მამის გარდაცვალების შემდეგ, ბევრჯერ მიფიქრია წავსულიყავი და იქ დავრჩენილიყავი სიკვდილამდე... მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!.. დედაჩემი ისე მარტოსულად გრძნობდა თავს ვან-დეიკის გამზირზე... ძალა არ მეყო მიმეტოვებინა... თანაც, ნავით მთელი ორი საათია კუნძულამდე, მე კი ისეთი გულისრევა მეწყება, ჭკუაზე ვიშლები. ჰავა კი დიდებულია, სასარგებლო! და არც ისეთი მეორედ მოსვლაა, როგორც რივიერაზე. რაკი შენ მარტობა გიყვარს, სამოთხეში იგრძნობ თავს: ბაიუ პირდაპირ ზღვის ნაპირას მდებარეობს, ნამდვილი უდაბნოა, განსაკუთრებით საფრანგეთის მხრიდან... იქ ერთი სახლია, ჩემი მეთვალყურეობის წყალობით მუდამ მოწესრიგებულია... ძველ სტილზე აგებული ლამაზი შენობაა, ზღვიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მიწაც თავსაყრელადაა. რამდენადაც ვიცი, ქარისგან დაცული კუთხეებიც უნდა იყოს, სადაც ლევკოონსა და გვირილებს რგავენ. როგორც ხედავ, საწუწუნო არაფერი გაქვს! აი, ეს უნდა მეთქვა! გაემგზავრე, როცა გინდა, იცხოვრე ერთი-ორი კვირა და თუ მოგეწონება, ეს პატარა ელდორადო შენი იქნება! ფორმალური მხარე რომ დავიცვათ, მე მას იმ თანხიდან მოგყიდი, რაც პირადად უნდა მომეცა. ამით საშემკვიდრეო ხარჯებსაც აგაცილებ თავიდან. სხვა არ ვიცი, მაგრამ მზე თავსაყრელად გექნება. შეგიძლია მთელი წელი ისე იცხოვრო. ერთხელაც არ იგრძნობ, მძიმე ტვირთად თუ აწვები ვინმეს... აი, ეს იქნება ოინი...

ეს მართლაც ოინი გახლდათ! რადგან ქსავიეს დაქორწინებაზე უკვე აღარავინ ფიქრობდა. მათ მხოლოდ ანა-მარი მორტიე უნდოდათ რძლად. რაკი ეს საქმე ჩაეშალათ, ობოლი ბიჭი ისევ ბალასტი გახდა მათთვის. ასეთი მომგებიანი საცოლის მოძებნა ადვილი როდი იქნებოდა! თანაც, სადაა მეორე ისეთი ქალი, ვისი გულისთვისაც სამი მილიონის გაღება ღირდა! ამ თანხის გარეშე კი, აბა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა ქსავიეს?! ამიტომაც დააეჭვა მისმა მომავალმა. ამას გარდა,

მიხვდნენ, რომ ცოლის შერთვა ქსავიეს სულაც არ ეხატებოდა გულზე. ეს მართლაც ასე იყო. ჰოდა, სამხრეთში მისი გასახლება რომ გაემართლებინათ, ჩვენებმა სახელდახელოდ მოისაზრეს ათი წლის მანძილზე შვეიცარიაში ყოფნის შემდეგ პარიზს ცუდად ეგუებაო. ესეც სიმართლეს შეეფერებოდა.

ბაიუს კონცხი ბევრი რამით მოეწონებოდა ქსავიეს. დროთა განმავლობაში კიდეც დაივანებდა იქ. მისთვის ჩვეული მორჩილებით, ქსავიემ მაშინვე წარმოიდგინა ამ უკაცრიელი კუთხის მომხიბვლელობა; გადაწყვიტა, საკუთარი ხელით დაერგო ლევკოიონი და გვირილა, უბრალოდ ეცხოვრა და ადგილობრივ მებადურებს დამეგობრებოდა.

ერთი სიტყვით, გაემგზავრა. სახლი დაცარიელდა. ის მორალური მტვერი, ქსავიეს წამიერმა გაელვებამ რომ დააყენა და ცეკვები მოაწყობინა ჩვენს ოჯახს სასახლის დიდ დარბაზებში, დაცხრა, ხელახლა მიეკრა ნივთებსა და ადამიანებს, ხოლო ჩემი ცხოვრება ხელახლა დაჩლუნგდა.

მალე კიდეც მომეჩვენა, ქსავიე საერთოდ არ ჩამოსულა-მეთქი. მის გამგზავრებას და მის აქ არყოფნას ისე ადვილად შევეგუე, ისე ადვილად განვაგრძე ყოველდღიური არსებობა უიმისოდ, ყველაფერი ეს საბაბს მაძლევდა მეფიქრა, რომ სულაც არ მყვარებია იგი, თუკი ოდესმე ეჭვი მაინც მეპარებოდა ამაში.

ამ ამბავმა იმასაც მიმახვედრა, რომ მიუხედავად ჩემი მოსაზრებებისა, მათდამი მტრული განწყობისა და აღშფოთებისა, რაოდენ შინაურულად ვგრძნობდი თავს ბუსარდელებს შორის!

V

ქორწინება

იმ ჩემს შორეულ ნათესავს უნდა ვუმადლოდე, ჩემიანებმა ყურადღება რომ მოადუნეს ჩემ მიმართ. და აი, ხელახლა დამდეს პატივი. საერთოდ, ოჯახური და დინასტიური საქმისადმი ყურადღების გამოჩენა მათი მთავარი საზრუნავი იყო. ოღონდ ზრუნვის ობიექტი მუდამ ერთი და იგივე ადამიანი უნდა ყოფილიყო. ამჯერად დღის წესრიგში ხელახლა დადგა ჩემი საკითხი; ხელახლა დამიწყეს თვალთვალი, გამოვჩნდებოდი თუ არა ოთახში, მაშინვე ჩაჩუმდებოდნენ. მამიდა ემას ისედაც აკლდა თავშეკავების უნარი, ჰოდა, სწორედ მისი ენამწარე შენიშვნებით მივსვდი, საგვარეულომ ჩემზე ზრუნვა რომ განაახლა.

სამაგიეროდ, მათ წინააღმდეგ მე ვეღარ ვახერხებდი თვალთმაქცობას. ასეთი თამაში აღარ მაძრთობდა. ეტყობა, ისე ვიყავი გაჟღენთილი ჩემი ოჯახის პაერით, მათი შიში გასაგები გახდა ჩემთვის: ვაითუ მათ უნებართვოდ გავთხოვილიყავი! ან იქნებ, რაკი მორტიესთან დამოყვრება ასე მოხერხებულად ჩავშალე, ამ ამაო კინკლაობას არაფრად ვაგდებდი უკვე.

ან სულაც, რაკი ბუსარდელები საკუთარ მოედანზე ისე გავაცურე, რომ ვერაფერს ბიხვდნენ, მეც დავმშვიდდი და ლმობიერად ვხვდებოდი მათ ახალ-ახალ ინტრიგებს; დამარცხებულებს საშუალებას ვაძლევდი თავიანთივე იარაღით ემოქმედათ!

ამიტომ ისე აღარ მეჭირა თავი, როგორც დაბრუნების პირველ დღეებში; თითქოს გათხოვილი დავბრუნდი შეერთებული შტატებიდან, ნორმანის აჩრდილი თავდაცვით მოქმედებას აღარ მოითხოვდა ჩემგან. ამ აჩრდილს უკვე გავესაუბრე და ერთხანს იგი აღარც შემაწუხებდა!

ამგვარად, მათ დაუკითხავად ჩემი გათხოვების შიში, ეტყობა, საბოლოოდ გაუქრათ. ჩემმა სიმშვიდემ ისინიც დაამშვიდა. სახლიდან იშვიათად გავდიოდი, რადგან, გულახდილად გითხრათ, გავზარმაცდი. დღეები ერთმანეთს მისდევდა, ისინიც სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, შეუძლებელია ურჩმა შვილმა ამდენ ხანს გვალოდინოს და იანკი-ქმრის არსებობა არ გამოამჟღავნოსო. შიშის გრძნობა ნამდვილად გაუქრათ და მის გაქარწყლებას მეც ვუწყობდი ხელს.

ერთი თვის წინ მამიდა ემას შენიშვნებს უპასუხოდ არ დავტოვებდი, უკმეხად მივუგებდი, ახლა კი მის ნათქვამზე მეღიმებოდა მხოლოდ. ერთ დღეს საკმაოდ ხმამაღლა გამომიცხადა:

— აი, შენ, ფისო, მართალია, ამერიკას ვერასგზით ვერ მოშორდი, მაგრამ ვფიქრობ, დიდი ნაცნობობა არ გაგიბამს იქ! წერილსაც არავინ გწერს იქიდან. არ იფიქრო, თითქოს თვალს ვადევნებდი ფოსტას, მაგრამ შევამჩნიე, შენს ძმისშვილებს ამერიკულ მარკებს აღარ აძლევ საჩუქრად.

გამეღიმა.

ასეთი გამოხდომების — დედაჩემის, ერთი შეხედვით, ფარული, მაგრამ უფრო აქტიური თავდასხმების, ძია თეოდორის მონადირეობის ამბების, უილაჯო მამაჩემის მუდმივი დუმილისა და დიდედას გაურკვეველი ბუტბუტის — ვეღარც აზრს ვხვდებოდი, ვეღარც განზრახვებს. არცაა გასაკვირი: მე ხომ ზუსტად ასეთი მინამღერების ჰანგებზე ვიყავი გაზრდილი! ჰოდა, ახლა ისევ გამეგებოდა მათი, ეს იყო ჩემი ჯილაგის ცხოველთა ღრენა, მშობლიური კვრინვა.

1

და მაინც, როგორც აღვნიშნე, მთელი ოჯახის ყოველგვარი უნარის მობილიზებასა და დაკვირვებას მხოლოდ ერთი საქმე, ერთი საკითხი განსაზღვრავს. ასეთ დროს ეგოიზმი, შური და ღვარძლი ერთბაშად ქრება და ყოველივე იცვლება. პიროვნება კარგავს თავის ინდივიდუალურ ნიშნებს: რჩება მხოლოდ ერთადერთი და ერთნაირი ბლოკი. ჩვეულებრივი ბიძგით გამოწვეული ეს მოვლენა მთელი ოჯახის ინტერესებს მოიცავს: ესაა სიკვდილი, კრიზისი ან ომი; იგი ერთგვარი ბიოლოგიური სიზუსტით იქმნება; სწორედ პერიოდულად მისი დაბრუნება აღადგენს ალბათ საერთო კანონებს და ანახლებს ორგანიზმს.

ჟანა-სიმონს მშობიარობა დაუგვიანდა.

პირველ ხანებში ეს ამბავი არავის აწუხებდა. ჩემი უმცროსი რძალი მხოლოდ ახლა გამოდიოდა სარბიელზე: ჯერჯერობით თავისი შესაძლებლობები არ დაუმტკიცებია, ჯერჯერობით არ ჩამდგარა იმ ბუსარდელი-ქალების რიგში, რომლებიც, ტრადიციულად, დედობისთვის არიან გაჩენილნი და ყოველგვარი გართულებისა და დაბრკოლების გარეშე აჩენენ შვილებს.

განგაში მოგვიანებით ატყდა, როცა გაიხსენეს სიმონის პირველი ცოლი, ახლანდელის ღვიძლი და, სწორედ მშობიარობას გადაჰყვაო; და კიდეც შეძრწუნდნენ. მართალია, ის ამბავი მესამე შვილის გაჩენისას მოხდა, ეს კი პირველად მშობიარობდა... ვფიქრობ, მკრეხელობად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ჩემს ძმას ბავშვის ბედი უფრო აწუხებ-

და, ვიდრე ცოლისა. რაკი საქმე უმცროს დაზე მიდგა, საინტერესო იყო, ახალი საქორწინო კონტრაქტის რომელი პუნქტით მოახერხა თავიდან აეცდინა ის ფინანსური უსიამოვნებები, რაც უფროსი დის სიკვდილით დაატყდა თავს?! ზუსტად არაფერი ვიცოდი, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარა იყო: ჩვენები, განსაკუთრებით — დედაჩემი და ჩემი ძმა შეშფოთებულნი ელოდნენ თავიანთი ნაშიერის გაჩენას და ამ საცოდავი, ოფლში გახვითქული დედის დარდი სულ არ ჰქონდათ. იგი ხომ მხოლოდ უძლური შუამავალი იყო ჯერ კიდევ საშოში მომწყვდეულ ცოცხალ ნაყოფსა და ამ დიდებულ ოჯახს შორის!

მეანს ჯერაც ვერ ათქმევინეს თავისი აზრი; ვერავინ გაიგო, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა იგი. მშობიარეს ტკივილები შეუწყდა. გულმაც უმტყუნა და ამან აშკარა საფრთხე გამოიწვია. ბუნებრივი მშობიარობის იმედი გაუწყდათ და, რაც უფრო ახლოვდებოდა ქირურგიული ჩარევისა თუ საბედისწერო დასასრულის დრო, სიმონის სახლში თავმოყრილი ნათესავების რიცხვი მით უფრო იზრდებოდა. ყოველდღე ნათესავების ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა: ჯერ ახლო ნათესავები მოვიდნენ, შემდეგ ბიძათაშვილები, მერე მოყვრები. რანგი აქაც დაცული იყო: პირველი რანგის ნათესავს მეორე რანგის ნათესავი მოჰყვებოდა, მეორეს — მესამე რანგისა, თითქოს ამ ნათესაურ იერარქიას უფრო შორი მანძილი ჰქონდა გამოსავლელი; ეს ამბავი უხსოვარ დროს გაგახსენებდათ, როცა რაიმე საფრთხიხ დროს გლეხები ნაკადად მოედინებოდნენ თავ-თავიანთი სოფლებიდან.

სახლში ტევა არ იყო. სასამართლოს თავმჯდომარე და მისი ცოლი, ჟანა-სიმონის დედ-მამა, გაკვირვებას ვერ მალავდნენ ამ აგლომერაციის გამო. პირველ ხანებში ყოვლად მიუღებელ ამბადაც კი მიიჩნიეს ეს, მაგრამ როცა დაინახეს, რა მასშტაბებს მიაღწია ამ ნათესაურმა თანაგრძნობამ, თვითონაც პატივისცემით განიმსჭვალნენ. „რა შეკრული ოჯახია! — დღეში რამდენჯერმე იმეორებდა სასამართლოს თავმჯდომარე, — რა შეკრული ოჯახია!“ და მართლაც, მნახველთა შეშფოთებულ შეკითხვებს, ხმადაბალ საუბარს, მათ გამომეტყველებასა თუ ხელის ჩამორთმევას თვალთმაქცობის კვალს ვერავინ შეამჩნევდა. გულწრფელად წუხდნენ. უმრავლესობა ნამდვილად აეფორიაქებინა ამ სახლში სიკვდილისა და სიცოცხლის ერთდროულად არსებობას. ჰოდა, როცა მალზერბის მოედანზე მდებარე სახლში ბავშვის გაჩენის ასეთი დრამა ტრიალებდა, რომელი მათგანი დარჩებოდა შინ?! ეს ხომ უშუალოდ მათ ეხებოდა! კარგად იცოდნენ, მათმა მოდგმამ მხოლოდ მემკვიდრეთა გაჩენის წყალობით გაუძლო და კვლავაც გაუძლებდა

ყოველგვარ სიავეს. რასაკვირველია, წარმატების დროსაც სწორედ ეს ნათესავები ედგნენ მხარში ერთმანეთს, ოღონდ არა სიხარულით, არამედ შურითა და ფარული ავგულობით აღვსილნი! თუკი რომელიმე მათგანი მდიდრდებოდა ან კოტრდებოდა, სახეზე თანაგრძობის ნიღაბს აიფარებდნენ და ბოროტად ქილიკობდნენ; ის, ვინც ამბობდა: „რა საწინელი უბედურებაა!" გულში ასე ფიქრობდა: „მაშ, სამართალი მაინც ყოფილა ამქვეყნად!" სამაგიეროდ, ბავშვის გაჩენა ან სიკვდილი... ან ერთიცა და მეორეც ერთად...

ელენი, ვალენტინი და მამიდა ლუიზი ქვედა სართულზე ეგებებოდნენ მნახველებს და ცნობებს აწვდიდნენ; შორეულ ნათესავებს ზევით ასვლის პრეტენზია არ ჰქონდათ. მამიდა ემას სხვა სატანჯველიც გაუჩნდა: ღვიძლის მწვავე შეტევა დაეწყო, მაგრამ სართულებს შორის მაინც ის გახლდათ მეკავშირე. მარჯვენა ფერდზე ხელმიდებული დროდადრო კიბეზე შეჩერდებოდა ხოლმე და თუ ვინმე შეიცოდებდა, ხელად აყვირდებოდა:

— თავი დამანებეთ! ამის დროა ახლა?

ასე გაწამებულს მაინც ვერ მოენელებინა, თავისიანებს ვერაფერში რომ ვერ ადგებოდა: რაკი გაუთხოვარი იყო, რაკი მშობიარობისა და დედობის საიდუმლოება უცნობი იყო მისთვის, ჩემი რძლის ოთახში არ უშვებდნენ. იქ არც უშვილო მამიდა ლუიზს უშვებდნენ. დედაჩემი ან ელენი კი ზოგჯერ ახერხებდნენ შიგ შესვლას მეანთან და მოშვლელ ქალთან ერთად. სამაგიეროდ, დეიდა ჟიულიენი ფეხს არ იცვლიდა იქიდან.

დიახ, ამჯერად მამიდა ემა სახლის გამგებლობაში სწორედ დეიდა ჟიულიენმა შეცვალა, დეიდა ჟიულიენმა, რომელსაც მამიდა გამუდმებით დასცინოდა პროვინციული მეტყველების გამო. მაგრამ, როგორი მეტყველებაც უნდა ჰქონოდა დედაჩემის უმცროს დას, იგი, ასე ვთქვათ, მთელი საგვარეულოს ბებიაქალი გახლდათ. იმ ფაქტმა, რომ მან ხუთი შვილი გააჩინა, ხუთივე საღ-სალამათი და ხუთივე, თავის მხრივ, მამები და დედები იყვნენ ახლა, ორმოცდათორმეტი წლის ასაკში უდავო ავტორიტეტი შეუქმნა დეიდაჩემს და ყოველი ახალი შვილიშვილის გაჩენასთან ერთად ეს ავტორიტეტი ყოველწლიურად იზრდებოდა. მისი რჩევების, წინასწარმეტყველებისა და დახმარების გარეშე იშვიათად გაჩენილა რომელიმე ბუსარდელი, ახლო თუ შორეული ნათესავი. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეეძლო მას გამოეყენებია თავისი უფლებები.

დედა წუთით არ შორდებოდა სიმონს. ახლა, როცა საძინებელში ტრაგიკული მომენტი დამდგარიყო, გვერდით მდებარე სასტუმრო ოთახში დედა-შვილი წამებს, წუთებს, საათებს ითვლიდნენ და ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, ეკითხებოდნენ, უსიტყვოდ გაეგებოდათ ერთმანეთისა, სიჩუმესაცა და ხმაურსაც ერთნაირად აღიქვამდნენ, შიშსა და განსაცდელს ისე მჭიდროდ შეეკავშირებინა, ასეთ სიახლოვეზე ალბათ ვერასოდეს იოცნებებდა დედა.

დედაჩემმა ფრთხილად მიაკაკუნა საძინებლის კარზე. ზღურბლზე თეთრხალათიანი დეიდა ჟიულიენი გამოჩნდა.

— მეანი ახლავე გამოვა, მარი, შეგიძლია, მოელაპარაკო!

მეანი მართლაც მალე გამოვიდა. მე სიმონის კაბინეტისკენ გავემართე, ჟანა-სიმონის დედ-მამის მოსაყვანად. მეანს გარს შემოეხვივნენ, კითხვა კითხვაზე დააყარეს. ისიც პასუხს არ აყოვნებდა: „ჯერჯერობით უფლება არა მაქვს ქირურგიული ჩარევისა, იქნებ ხვალ... ჩემი აზრით, მაშების დადება საკმარისი არ იქნება... მაშასადამე...“ შეწყვეტილი სიტყვა ტრაგიკულად გაისმა, მის განმეორებას ვერავინ ბედავდა! „მაშასადამე, საკეისრო გაკვეთა...“ იძულებული გახდნენ, მეანი სათადარიგო კარით გაეყვანათ, რადგან საპარადო კიბე ნათესავებით იყო სავსე.

გავიდა კიდევ ერთი დღე, რომელსაც არც გაუმჯობესება მოჰყოლია, არც რაიმე ცვლილება. ნათესავები შინ წავიდ-წამოვიდნენ. მალე ჩვენც წამოვედით. მალზერბის მოედანზე მძაფრი ქარი დანავარდობდა. ძლივს ვარჩევდით, სად იყო ტროტუარი, სად — ქვაფენილი, სად — გზაჯვარედინი. დაღლილობითა და შიშით გაოგნებულები რაღაც განსაკუთრებული კუთხით აღვიქვამდით გარე სამყაროს. მოედანი გადავსერეთ, ფეხით მივდიოდით, გვინდოდა „ცოტათი მოვსულიერებულიყავით“, ვფიქრობდით საცოდავ მშობიარეზე, მარტოდმარტო სულს რომ ლევდა სასიკვდილო სარეცელზე. ამ საშინელების წარმოდგენა შორიდან კიდევ უფრო ორკეცდებოდა, ძლიერდებოდა ამ ცივ ღამეში. ეს ამბავი ჩვეულებრივ აგონიაზე გაცილებით უფრო შემაზრზენი იყო.

ვან-დეიკის გამზირზე მისულებს, დიდედა ფხიზლად დაგვხვდა და ერთხანს მის ირგვლივ შევგროვდით. ჩვენს ოთახებში დასაძინებლად წასვლის წინ ყველამ, ჩემი ჩათვლით, ერთმანეთი გადავკოცნეთ.

მალე შევიტყვეთ, რომ გადამწყვეტი წუთი დგებოდა. საცოდავი მშობიარის გადაყვანა უკვე სახიფათო იყო, ამიტომ მთელი საოპერა-

ციო აპარატურა, ქირურგიული ინსტრუმენტები სახლში გადმოიტანეს..

დღე იწურებოდა. დასტაქრის ორი ასისტენტი და კიდევ ერთი მომვლელი ქალი მოვიდნენ. ნათესავებმა, რომელთაც მეორე სართულს ზევით არ უშვებდნენ, ითხოვეს, გარეთ არ გაგვისტუმროთო და ორ ოთახში შეიყუჟნენ. სასადილოში ათიოდე კაცი ვიჯექით, მეორე სართულზე, რადგან საძინებლის გვერდით მდებარე სასტუმრო დაგვაცლევინეს. მე ხელში მეჭირა ჟანას დედის ხელები — თავმჯდომარის ცოლი ყველას მივიწყებოდა. ექიმები სასტუმრო დარბაზში ჩაიკეტნენ... რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან დეიდა ჟიულიენი გამოვიდა და მიტკალივით გაფითრებულმა ჩაილაპარაკა:

— იქ დარჩენის ნებას არ მაძლევენ... ქლოროფორმი მიმაცემინეს მხოლოდ...

— დაიძინა? — ჰკითხა სიმონმა.

— კი... საერთოდ, ძალიან მხნედ უჭირავს თავი.

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო! — წაიჩურჩულა ჟანას დედამ, რომელიც მთელი ტანით ცახცახებდა, — არაფერი ისმის! — დასძინა ბოლოს.

მართლაც, გაუთავებელი მისვლა-მოსვლის შემდეგ, კვნესისა და კივილის შემდეგ, დროდადრო რომ მოისმოდა, ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. არაბუნებრივმა მდუმარებამ მოიცვა მთელი სახლი. და სწორედ ამ დროს ვალენტინიც ატირდა. ყველას გაუკვირდა. მაშინვე მომაგონდა მისი სუსტი ჯანმრთელობა, მგრძნობიარე ბუნება და თვითონაც არ ვიცი — რატომ, ისიც გამახსენდა, რომ თხუთმეტი წლისა ძალიან ლამაზი ბიჭი იყო.

ვალენტინი ქვითინებდა. ცოლმა გვერდით ოთახში გაიყვანა. ვიღაცამ ხმამაღლა მოიწმინდა ცხვირი. ეს თავყრილობა სამ ჯგუფად იყო გაყოფილი: ქვემო სართულზე — შორეული ნათესავები, სასადილო ოთახში — ჩვენ, ახლობლები, და საძინებელში — დასტაქრები. რატომღაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ უაზრობად მომეჩვენა ეს დანაწილება. გვიანი დრო, უცხო ბინა, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი ხალხი თავ-თავიანთი განცდებით — მთელი ეს ანსამბლი თითქოს საცაა დაირღვეოდა. მამიდა ემას, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული შეკითხვა გამოუვიდა:

— ხომ ყველაფერი აქვთ, რაც საჭიროა?

— რა თქმა უნდა! — გაეხმიანა დეიდა ჟიულიენი, რომელსაც თეთრი ხალათი ჯერაც არ გაეხადა, — ერთი გენახათ! ნამდვილი საოპერა-

ციო ოთახი მოაწყვეს. კედლებზე სტერილიზებული დოლბანდი გააკრეს, სააბაზანოც გამოიყენეს. დამიჯერე, იციან თავიანთი საქმე!

— ოჰ, — ამოიოხრა თავმჯდომარემ და ცოლს მიმართა: — გესმის, ძვირფასო? ხომ გესმის, რას ამბობს ამ საქმეში ჩახედული ადამიანი?!

სიმონი ადგილს ვერ პოულობდა. ხან ფეხზე იდგა, მერე რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, ულვაშს იწიწკნიდა და წარამარა ბუტბუტებდა:

— ვერაფერი გამიგია... ნამდვილად ვერაფერი გამიგია... ამბობდა და მხრებს იჩეჩდა, თითქოს ამით თავის გულუბრყვილობასა და უმწეობას ადასტურებდა.

უცებ ქვემოდან საბურავების სრიალი მოისმა. ამ საერთო მღელვარებაში ჩემი ძმა მაშინვე მიხვდა, რისი ხმაც იყო.

— როგორ, პირდაპირ ჭიშკარში შემოდის? — იკითხა მან.

— ფერდინანდ, — თქვა დედამ, — წადი, ნახე, რა ამბავია!

მამა დაბრუნდა და გვაცნობა, დიდედა და ფრანსიზა მოსულიყვნენ ლიმუზინით. დიდედას უბრძანებია, მანქანა თაღის ქვეშ შეეყვანათ და მძიმე ჭიშკარი ჩაეკეტათ. თვითონ მანქანიდან არ გადმოსულა, შალში გახვეული, ფეხებთან მიდებული სათბურათი, გაუნძრევლად იჯდა მანქანაში და მდუმარედ ელოდა ამბის დასასრულს. დრო გადიოდა, წუთი წუთს მისდევდა, არავინ არაფერს ამბობდა. მამიდა ემა ორად მოიკაკვა, მტკივნეულ ღვიძლზე ორივე ხელი მიიჭირა, თავი ვეღარ შეიკავა და ამოიგმინა. მამიდა ლუიზმა ისიც ისევე გაიყვანა, როგორც ელენმა— ვალენტინი. ორი წუთის შემდეგ მამიდა ემა დაბრუნდა.

— ახლა გაცილებით უკეთ გამოიყურები! — უთხრა დედამ.

— ჰო, მარი, საყვარელო. ნაღველი ამოვიღე.

მამიდა დაჯდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ წამოხტა. თვალი გავაყოლეთ და უცებ შევამჩნიეთ: სასტუმრო ოთახის კარის სახელური შიგნიდან ნელა ჩამოსწიეს და კლიტემაც გაიჩხაკუნა; მერე სახელური ერთბაშად გადაატრიალეს, კარი გაიღო და ქირურგის ასისტენტი გამოვიდა. მან კარი მიხურა და წირთხლს ზურკით მიეყრდნო.

— როგორაა საქმე? — ვიკითხეთ ერთხმად, — რა ისმის?

— ბიჭია, თანაც ცოცხალი დაიბადა! — გამოგვიცხადა ასისტენტმა.

გრძნობამორეულმა დედამ სიმონი გულში ჩაიკრა.

— შვილო...შვილო... — ბუტბუტებდა იგი, — ჩემო ბიჭო!

პირველად დავინახე ატირებული დედაჩემი.

— თვითონ როგორაა? დედა როგორაა? — ვედრებით იკითხეს თავმჯდომარემ და მისმა ცოლმა.

— შინი გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ გვაქვს! — მიუგო ასისტენტმა.

დეიდა ჟიულიენმა ხელი სტაცა:

— ბავშვის ყვირილი რომ არ ისმის?

დედას ხელახლა დაეტყო შეშფოთება და სიმონს მოშორდა. თეთრხალათიანმა ახალგაზრდა კაცმა კარი გამოაღო:

— ყური დაუგდეთ!

საძინებელი ოთახიდან გაბრაზებული ჩხავილი მოისმა.

გარიჟრაჟზე ყველანი დაიმედებულნი ვიყავით. სიმონის კაბინეტში შევედი. იქ არავინ იყო. ისე მინდოდა სუფთა ჰაერი, სიცივეს არ მოვერიდე და ფანჯარა გამოვაღე.

ქვემოთ სახლიდან გამოსული ბიძაშვილები გამოჩნდნენ. ჭიშკრიდან ლიმუზინიც გავიდა, ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ნათესავებს ჩაუარა, ტროტუარი გადასერა: მამაკაცებმა ქუდები მოუხადეს და თავის დახრით გამოემშვიდობნენ დიდედა ბუსარდელს, რომელიც კიდევ ერთხელ გახდა დიდი ბებია. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად იღგნენ. წასვლა ვერ გადაეწყვიტათ, სუსხიან ცისკარზე სადარბაზოსთან შეეკუჩდნენ, მერე სინანულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

2

ძია თეოდორმა ისეთი ამბავი მოგვიტანა, მთელი ოჯახი ააფორიაქა. მე უკვე გიამბეთ, და ალბათ გახსოვთ, რომ დიდედა ნოემი, დედაჩემის დედა, ორჯერ იყო გათხოვილი. მის მშობლებს ექვსი შვილი ჰყოლიათ და იგი უმცროსი ყოფილა. მე თითქმის არ ვიცნობდი დიდედა ნოემის. შვიდი წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. ოღონდ მახსოვს, ბევრად უფრო ადამიანური ქალი იყო, ვიდრე ბებიკო. მას შემდეგ ამდენი წელი გავიდა, მაგრამ მაინც თვალწინ მიდგას ყაითნითა და შუშის მძივებით გაწყობილ კაბაში ჩაცმული ხანდაზმული მანდილოსანი, ასაკით, ამბებით, შთამომავლებით დაყურსული, ცხრა შვილის დედა.

პირველი ქმრისაგან ოთხი შვილი დარჩენოდა და ისე ყოფილა შეპყრობილი დედობის გრძნობით, ახალგაზრდა ქვრივს კვლავაც მოუსურვებია შვილების გაჩენა და მეორედ გათხოვილა. ამ მეორე ქორწინებით გაჩნდა დედაჩემი, სამი ვაჟი და დეიდა ჟიულიენი

აი, ეს ორჯერ დაქორწინება უდიდეს დინასტიურ შეცდომად ითვლებოდა ჩვენს ოჯახს: იგი იყო ერთგვარი დელტა, რომელმაც უცხო ოჯახები შეუშვა ჩვენს ზღვაში. ბუსარდელ-ბიტსიუს საგვარეულო ქონებიდან დიდედას ისედაც მეექვსედი წილიღა შეხვედრია და ახლა ეს ქონება კიდევ უფრო დაქუცმაცებულა. ამ დამღუპველ ნიაღვრიდან მხოლოდ დედაჩემს ამოუყვინთავს, უსიყვარულოდ გათხოვილა მამაჩემზე და ამით კიდეც დაუკავშირდა საუკეთესო შტოს.

მისი ნახევარძმები და დები მოკვეთილებად ითვლებოდნენ, ზოგადი სახელით იხსენიებოდნენ, თან აგდებულად. ისინი „გუიუ" იყვნენ, მორჩა და გათავდა (გუიუ დიდედას პირველი ქმრის გვარი გახლდათ). და მაინც, რაკი ხელშესახები საბაბი არ გააჩნდათ, მათთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, თუმცა არც არავითარ პრეტენზიას არ უყენებდნენ და არც ბუსარდელთა წეს-ჩვეულების მიღებას აიძულებდნენ. ისინი არც ბირჟელები იყვნენ, არც ნოტარიუსები, არც სასამართლოს მოხელეები, არამედ ინჟინრები, მწარმოებლები, ვექილები.

ძართალია, საპატიო პროფესიის ხალხია, მაგრამ მეტი არაფერი!

ძია თეოდორმა მოულოდნელი ამბავი შეგვატყობინა. ხუთშაბათობით ჩემს რძლებს შვილებიც მოჰყავდათ საუზმეზე. ამჯერად, ერთგულების ნიშნად, დეიდა ჟიულიენიც საგანგებოდ დაპატიჟეს. მას ვენეციური მაქმანებით გაწყობილი იისფერი მაუდის კაბა ეცვა. და აი, უკანასკნელ ვსვამდით, როცა ძია თეოდორი დაწვრილებით მოჰყვა დედაჩემის ძმისშვილთან, ფრანსუა გუიუსთან შეხვედრის ამბავს:

— წარმოიდგინეთ, — დაიწყო ბიძაჩემმა, რომელიც იმ დღეს ლაპარაკის გუნებაზე გახლდათ, — ამ დილით ჩვენთან, კანტორაში ფრანსუა მოვიდა, დიდი ფულადი ოპერაციის შესრულება გვთხოვა. რასაკვირველია, ამ თანხის ვერც რაოდენობას გეტყვით, ვერც მის წყაროს; პროფესიონალური საიდუმლოებაა. როცა საქმე მოათავა, ჩემი ნახვა მოისურვა. შემოიყვანეს. და აი, ამ ოპერაციის შინაარსი რომ აეხსნა, გამომიცხადა... არა, ყურებს არ დაუჯერებთ!

— რა მოხდა? — იკითხა მამიდა ემამ, — ნუ ამაღელვე!

— სპეციალობას იცვლის. როგორც თვითონ ამბობს, უკეთეს ხელობაზე ცვლის. მანუფაქტურის საქმეს თავს ანებებს. ახლა არ იკითხავთ, რა საქმეს ჰკიდებს ხელს? აბა, გამოიცანით!

— აბა, სწორედ! ამის გამოცნობით შევიწუხებ თავს! — იყვირა დეიდა ჟიულიენმა

მამიდა ემამ არ დააყოვნა და გამგმირავი მზერა შეანათა დეიდას: მუდამ ასე იქცეოდა, როცა იგი უდროო დროს ჩაერეოდა საუბარში ან რაიმე უკადრისი სიტყვა დასცდებოდა.

— ღმერთო ჩემო, თეოდორ! — თქვა დედამ, რომელმაც დიდი ხანია ხელი აიღო თავის დებსა და ძმებზე, თუმცა ისინიც დედამისის ნაშიერები იყვნენ, — ღმერთო ჩემო, დარწმუნებული ვარ, რაიმე სამარცხვინო საქმეს მოჰკიდებდა ხელს! უჰ, რა გამახარე!..

— მაინც რა ისეთი საქმეა? — მამიდა ემა ცნობისმოყვარეობას ვერ იოკებდა.

— ქარხნის დირექტორობას აპირებს! — მიუგო ძიამ.

— გააჩნია, რა ქარხანაა...

— მართალი ხარ, ძვირფასო!

— მაინც რა ქარხანაა?

— ბეწვეულის საკრეჭი!

წამიერი დუმილის ან, უკეთ, გაოგნების შემდეგ ყაყანი ატყდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მამიდა ემას ხმა, რა საზიზღრობაა, ამბობდა.

— რისი მაქნისია ეს ქარხანა? — თავის ქარგონზე იკითხა დეიდა ჟიულიენმა.

— ჩემი აზრით, საზიზღრობაა და მეტი არაფერი! — ხმას აუმაღლა მამიდამ. ძია თეოდორმა იკადრა და განუმარტა:

— ვთქვათ, კურდღლის ტყავი მაღალი ხარისხის არ გამოდგა, და მას ბეწვეულის ნაწარმად ვერ გამოიყენებენ...

— იმიტაციაა! — იყვირა მამიდამ.

— ...მაშინ ბალანს კრეჭენ და მისგან ფეტრს ამზადებენ; ხოლო თვით ტყავს ქელატინის გასაკეთებლად იყენებენ.

— ფუი! — ზიზღით დაღმიჭა სახე მამიდა ემამ, — კიდევ უარესი! მაშასადამე, ფრანსუაც ასეთ ტყავეულს დაამზადებს?

— ეჭვი არ შეგეპაროს! თანაც, ამ ტყავის დამზადება რაციონალურად და მაღალ დონეზე მოხდება. მაგრამ როგორ შეიძლება ასეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი ადამიანმა?

მამიდამ ხელი ასწია, შავი კრეპის სახელოს ფონზე ყვითლად რომ უქათქათებდა და ბრძანა:

— როცა საქმე ფულის მოგებას ეხება, ახლანდელი ახალგაზრდები ყოველგვარ სირცხვილს კარგავენ! — და საკმაოდ უადგილოდ ერთი ციტატაც დაუძატა:

— Sic transit gloria mundi![1]

— მეტისმეტად რიგორისტები ხომ არა ხართ? — ვერ იქნა და ჭკუა ვერ ვისწავლე, თავი ვერ შევიკავე და ღიმილით ჩავერიე საუბარში.

— ასეც ვიცოდი! — იყვირა მამიდამ, — გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ შემოგვდავებოდი!.. ჰოდა, ფისო, როცა მისი ქარხნის დასათვალიერებლად წახვალ, ეცადე, შენი ყნოსვითი მგრძნობელობა მეტისმეტად რიგორისტული არ აღმოჩნდეს!

დედამ გაიცინა.

— ბოლოს და ბოლოს, — განვაგრძე მაინც, — ჩვენი ჩასაქოლი მაინც არაა ფრანსუა.

— თუ გიყვარდე, აგვიხსენი, რატომ არაა ჩვენი ჩასაქოლი? მაშ, შენი აზრით, ბირჟის აგენტის ხელობა ნაკლებ საპატიოა, ვიდრე კურდღლის ტყავის დამზადება?!

— არა... მაგრამ ჩვენი ოჯახის წევრებიც ხომ იყვნენ დასაქმებულნი გუანოთი...

— რა სისაძაგლეს ჩმახავ? — იყვირა ბიძაჩემმა.

— ეს გოგო გამაგიჟებს! — დაიკვნესა მამიდამ.

— ფერდინანდ, იქნებ შენ გააჩუმო ეს შენი ქალიშვილი! — მხარი აუბა დედაჩემმა.

გუანოს ხსენება ხუმრობითაც არ შეიძლებოდა ჩვენებთან. ის, რომ გრაფმა კლაპეიმ, დიდედას მამამ, ჩინჩას კუნძულის მფლობელობა, მოყოლებული 1850 წლიდან, დაახლოებით ათ წელიწადში შეძლო გუანოს წყალობით უამრავი ქონების დაგროვება, დიდებული საქმეა, მაგრამ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი?!

— სხვათა შორის, შენი ენამახვილობა, როგორც ყოველთვის, ახლაც უადგილოა! — თქვა მამიდა ემამ, — ჩვენს ოჯახში ოდითგანვე მხოლოდ მიწის მფლობელები იყვნენ. ვფიქრობ, შენ ეს იცი და ამას არც ნანობ! შენს დიდ პაპას პერუში, იკის რაიონში კუნძულები ჰქონდა. მგონი, ესეც მიწის ნაკვეთებს მიეკუთვნება!.. ჰოდა, მოხდა ისე, რომ იქ გუანოს აგროვებდნენ, ისე, როგორც სხვაგან ქვანახშირს იღებენ მაღაროებიდან ან ხორბალი მოჰყავთ. ეს იყო და ეს!.. რა სისულელეა!..

— და, რაც მთავარია, ამას არაფერი აქვს საერთო ორგანული ნივთიერებით მანიპულაციასთან, რაც ამ ახალგაზრდა კაცს სულაც არ ეთაკილება! — წამოიძახა ბიძაჩემმა.

---

[1] ასე იქმნება ამქვეყნიური დიდება! (ლათ.)

— აი, ნახავთ, — განაცხადა ჩემმა შავოსანმა მამიდამ, — ერწმუნეთ ჩემს ალღოს, აუცილებლად გაკოტრდება!

— ფაქტია! — დაუმოწმა ლილისფერმა დეიდამ, — ვშიშობ, ფრანსუამ ამაზე ინანოს!

— ჟიულიენ!

მამიდა ემამ ხელი დაარტყა მაგიდას: წესრიგისკენ მოუწოდა.

— მინდოდა მეთქვა, ფრანსუამ ეს ინანოს-მეთქი! — შეასწორა დამნაშავემ.

— ა რ ი ნ ა ნ ო ს! ჩემო ჟიულიენ, მაინც რა უცნაურად ლაპარაკობ!

სასადილოში მსახური შემოვიდა.

— მადმუაზელ აგნესს ტელეფონთან სთხოვენ.

— ვინაა? — ვიკითხე.

— მაპატიეთ, ტელეფონისტმა პირადად მადმუაზელ აგნესი იკითხა. ჰავრიდან რეკავენ.

ავდექი და სწრაფად გავედი ოთახიდან. მგონი, არავის შეუმჩნევია ჩემი გასვლა. გუიუმ საზრუნავი გაუჩინა ჩემიანებს.

— ალო! ტელეფონთან მადმუაზელ აგნეს ბუსარდელია?

— დიახ, მე ვარ.

— დაიცადეთ. ბატონო კელოგი დაგელაპარაკებათ ჰავრიდან.

სკამზე უღონოდ დავეშვი.

— ჰელლოუ, ეგნის!

ამრიგად, ხელახლა შევხვდით ერთმანეთს. ჯერ მისი თვალები დავინახე. მატარებელმა ნელა ჩამიარა და ვაგონის ფანჯრიდან ჩემი ამერიკელი მეგობრის აქტივით შავი, ანთებული თვალები შემომეფეთა. იმანაც შემამჩნია. აი მაშინ, მის ღიმილსაც მოვკარი თვალი. მუქი ბაგეები გაეპო და კბილებმაც გაიელვა. მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა ერთმანეთისგან დაშორიშორებული ორი საკბეჩი კბილი შევნიშნე.

ბაქანზე გადმოხტა. კვლავ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში.

— Ag' niss, I'm so glad to see you! You look mervellous![1]

თავი არ შეუწუხებია, ფრანგულად დამლაპარაკებოდა. მეც მის ენაზე ვუპასუხე. და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ნორმანი გასასვლელისკენ გავიყვანე, მაგრამ ასე მეგონა, მას მივყავდი. თავისუფალი ხელი იდაყვთან წამავლო, თავისკენ მიმი-

[1] ეგნის, მოხარული ვარ თქვენი ნახვის! შესანიშნავად გამოიყურებით! (ინგლ.)

ზიდა, სადგურის ორომტრიალისგან მიცავდა. მომაგონდა ჩემი დაბრუნება რამდენიმე თვის წინათ. ისევ ის ბაქანი, ისევ ისეთი გნიასი, ოღონდ მაშინ მტრულად მეჩვენებოდა ყოველივე. მაშინ ძმა მახლდა, მაგრამ მას ხელი არ შეუშველებია ჩემთვის.

ახლა, პირიქით, ნორმანის სითბო სახელოდანაც ატანდა.

— ტაქსი? — მოკლედ იკითხა მებარვულმა, როცა ინგლისურ ენაზე მოსაუბრეებს მოჰკრა ყური.

— ნორმან, რომელ სასტუმროში აპირებთ დაბინავებას?

— ერთი წუთით... ძალიან კარგი სასტუმრო მირჩიეს.

ნორმანმა უბის წიგნაკი გადაშალა. მეგონა, რომელიმე ეგზოტიკურ, პარიზელებისათვის უცნობ სასტუმროს დამისახელებდა, სანაპიროზე ან მონმარტზე.

— აი, — თქვა მან, და შეეცადა, რაც შეიძლება სწორად გამოეთქვა ფრანგული სიტყვები: — „ტერმინეს სენტლაზარ!"

თავი ვერ შევიკავე და გავიცინე:

— ეს ხომ აქვეა! ისე მივალთ, სადგურიდან გასვლაც არ დაგვჭირდება. აქეთ წამოდით!

— დიდებულია... ეგნის, შეგიძლიათ ერთი საათით გაითავისუფლოთ თავი ამ საღამოს?

— ერთი საათით კი არა, მთელი დღით ვარ თავისუფალი. ჩვენებს ჰგონიათ, ქალაქგარეთ წავედი მეგობართან... ის მეგობარი კი უკვე გავაფრთხილე.

— ოჰო! — გაეღიმა ნორმანს, — წმინდა ფრანგული საქციელია! — მერე ხმადაბლა ღაუბუტბუტა: — რა კარგია... მაშასადამე, ერთად ვისადილებთ!

— რა თქმა უნდა! [illegible]ოთ, ერთი საათის შემდეგ [illegible]ამოგიელით?

— არ ღირს. გადავწყვიტე, ტაქსით ახლავე შევიტანო პარიზი. თქვენც [illegible] ერთად წამოხვალთ. ცოტა ხანს დამიცადეთ!

ნორმანმა მოითხოვა, ოთახის ფანჯრები ქუჩაზე გადიოდესო, მინდა, პარიზს ვხედავდეო და ბარგიც აატანინა. თვალს არ ვაშორებდი სპორტულ პალტოში ჩაცმული ყმაწვილის მოქნილ, ზუსტ მოძრაობებს, ლაღად რომ იძლეოდა განკარგულებებს და უცხოდ სულაც არ გრძნობდა თავს. მერე მე მოვიახლოვდა.

— ნორმან, პირველადა ხართ პარიზში?

— დიახ. და ახლავე მინდა, დავათვალიერო...

უბის წიგნაკი ხელახლა გადაშალა და ერთი ამოსუნთქვით განაგრძო:

— ...ლუვრის კოლონადა, ვოგეზის მოედანი, ლუტეციის არენა, სახლი ვოლტას ქუჩაზე.

— უკვე ბნელა, ვერაფერს გაარჩევთ!

— არა უშავს რა, დღისითაც მივალ. ვეღარ ვითმენ: მინდა რეპროდუქციები ორიგინალს შევადარო!

ტაქსში ჩემ გვერდით დაჯდა. მძღოლს ვუთხარი, საითაც უნდა წავეყვანეთ. როგორც ყოველთვის, ნორმანის არჩევანი ახლაც მომეწონა: ელისეს მინდვრებზე, ბულვარზე ან პიგალის კვარტალში წაყვანა არ უთხოვია.

— თუ გინდათ, თქვენი გიდი მე ვიქნები, ნორმან. ისეთ ადგილებს გაჩვენებთ, არავინ რომ არ იცის. მაგალითად, ძველებურ სასახლეებს დაგათვალიერებინებთ, რომლებიც სიაში არა გაქვთ. ვერსაილშიც უსათუოდ წაგიყვანთ.

— ოო, ვერსალი ჩაწერილი მაქვს.

— ასეც ვფიქრობდი.

ნორმანი სახით მიეკრა მანქანის მინას და პარიზს ათვალიერებდა.

— რამდენ ხანს დარჩებით? — ვკითხე მე.

— მხოლოდ სამ დღეს. მაგრამ ტიროლიდან დაბრუნების შემდეგ უფრო დიდხანს გავჩერდები. იცით, ტიროლში ადგილობრივი ნაგებობის შესასწავლად მივდივარ. საქმე ისაა, რომ პატინვტონის ტბის ნაპირას ტიროლური სოფლის აშენება დამავალეს. იცით, ბიგ-ბერზე ჩემს მუშაობას დიდი წარმატება ხვდა...

ამ სახელის გაგონება ჯერ კიდევ გუშინ მშვიდად შემეძლო. მაგრამ აი, ნორმანი ამერიკიდან ჩამოვიდა და ამ ორმა სიტყვამ რაღაც ფარული გამოძახილი ჰპოვა ჩემში. ნორმანს მკლავში წავავლე ხელი, მინდოდა, ლაპარაკი შემეწყვეტინებინა და ვუთხარი:

— ნორმან, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ბიგ-ბერს ნურასოდეს მიხსენებთ!

თვალებზე ცრემლი მომადგა და თავი მივაბრუნე. ნორმანი ვერ შეამჩნევდა ჩემს აფორიაქებას, მით უმეტეს, პარიზის ქუჩების დათვალიერებით იყო გართული. ამიტომ ადვილად განვაგრძე:

— ნურც ბერკლის, ნურც სან-ფრანცისკოს, და ნურც წყნარი ოკეანის პლაჟს...

ძეორე დილით სხვის საწოლში გამომეღვიძა, ქუთუთოები დამძიმებული მქონდა, ბაგეზე ფერფლის გემო შემრჩენოდა, ტანში მამტვრევდა,

მე ხომ მუდამ ვამაყობდი, იმას ვაკეთებ, რაც მინდა-მეთქი. მე ხომ ბავშვობიდან ვიყავი შეგუებული ყოველი ჩემი საქციელის შედეგს! მე ხომ არასოდეს ვიცოდი, რა არის სინანული!.. მაშ, ახლა რა მომივიდა? ვერ იქნა და ვერ მოვიშორე გულის სიღრმეში გაჩენილი რაღაც მწარე საყვედური... მაინც რისი იმედი მქონდა?

რასაკვირველია, ნორმანის მოულოდნელმა ჩამოსვლამ ამაფორიაქა: ამის გათვალისწინება არც შემეძლო და, ალბათ, არც მინდოდა. და მაინც, ასე მეგონა, ამ ამბავმა უამრავ შეკითხვას ვასცა პასუხი, გადაწყვიტა ის პატარ-პატარა პრობლემები, რომლებშიც გახლართული ვიყავი. ასე მოსდის ადამიანს, ორ საპირისპირო ძალას შორის რომ მერყეობს და არ იცის, რომელ მხარეს გადაიხაროს. მე უცებ დავემორჩილე ბედის მიერ ბოძებულ ამ მაშველ ძალას: „ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ მხარეს უნდა... პირადად მე ხომ არაფერი მიღონია ამისთვის და მაინც... აი, ნიშანი იმისა...“ ლაჩართა ჩვეულებრივი ხერხი! აი, სადამდე მივედი!

ნუთუ მართლა მქონდა იმედი, რომ ამ შეხვედრას კეთილი ბოლო მოჰყვებოდა? რა განზრახვები ან რა ქიმერები მამოძრავებდა? ისევ ძინდოდა ნორმანის ხელში ჩაგდება? იქნებ მინდოდა არ გავძალიანებოდი და ისევ მისი ვყოფილიყავი? ნუთუ უნდა გამემართლებინა ჩემი ოჯახის ადრინდელი შიში ამერიკაში ჩემი გათხოვების თაობაზე? ან იქნებ სრულიად ბანალურად, ყოველგვარი ზრახვებისა და კონტროლის გარეშე ვეღარ შევძელი აღელვების დაოკება ჩემი ინდიელის ბელახლა ნახვისას? ნუთუ მის კოცნას, მის ალერსს ვუცდიდი? ნუთუ წინასწარ ვიგრძენი, რომ ეს ღამე ადრინდელ სიამოვნებას დამიბრუნებდა?

მართლაც, ამ ღამემ მხოლოდ ეს სიამოვნება დამიბრუნა.

ახლა საქმე ის იყო, გამოღვიძებისას რას იფიქრებდა ნორმანი? რადგან ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორ ახსნიდა ჩემი ძველი მეგობარი ამ არათანმიმდევრობას, ამ რეციდივს?

მოვახერხე და ისე შევედი სააბაზანოში, ნორმანი არ გამიღვიძებია. ჩაცმული რომ დავბრუნდი, პიჟამოში იდგა და ვარჯიშობდა. საკიდრიდან პალტო რომ ჩამოვხსენი, ვარჯიში შეწყვიტა და პალტოს ჩაცმაში დამეხმარა. მაშინვე არ გავსულვარ ნომრიდან. პალტოში ჩაცმულმა თავზე ქუდი დავიხურე, ხელთათმანები წამოვიცვი, სავარძელში ჩავჯექი და ძალდაუტანებელი ხმით წამოვიწყე:

— იცით, ნორმან, მთელ დღეს ვერ დავყოფ თქვენთან... თანაც, ალბათ სხვა ნაცნობებიცა გყავთ სანახავი პარიზში... და როცა ადა-

მიანი სამი დღითაა ჩამოსული... მართალია, ტიროლიდან დაბრუნების შერე ამდენი სიარული აღარ მოგიხდებათ, მაგრამ ვწუხვარ, იმ დღეებში მე თვითონ აქ აღარ ვიქნები... რა თქმა უნდა, თუ სურვილი ვექნებათ, შეგიძლიათ დამირეკოთ. შინ თუ არ დაგხვდებით, გადმომცემენ. რაც მთავარია, არ მინდა იფიქროთ, თითქოს მოვალე იყოთ...

— რატომ მეუბნებით ამას, ეგნის?

— იმიტომ, რომ... — ნორმანის პირდაპირობას უკვე გადაჩვეული ვიყავი და ამიტომაც დავიბენი. — იმიტომ, რომ ჩვენმა წუხანდელმა ღამემ... ჩემმა აქ ყოფნამ... შესაძლებელია გაფიქრებინოთ, ნორმან, თითქოს მე აზრი შევიცვალე, თითქოს მინდა დავიბრუნო...

შევეცადე გამეღიმა. ვფიქრობ, ეს ცდა ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე. ნორმანმა ხელი ასწია, ჩემი გაჩუმება უნდოდა, მაგრამ მოვასწარი და დავამთავრე:

— არა, არა... იმის შემდეგ, რაც მოხდა, ამაზე ლაპარაკი არც ისე ადვილია. მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, ბევრს ვფიქრობდი თქვენზეც, საკუთარ თავზეც. წინანდებურად დარწმუნებული ვარ... კეთილგონიერებას უნდა დავუჯეროთ... ჩვენ ბევრი რამ გვაშორებს, ნორმან!

— ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ...

ბევს უსუსურ ცდას გონიერი ლოგიკა დაუპირისპირა.

— ჰო, ვიცი... ნორმან... მაგრამ ძალიან შევწუხდები, ნაწყენი თუ დამრჩებით... ან შეცდომაში შეგიყვანთ...

ქარაგმებში გავიხლართე და გაურკვეველი მოძრაობით, ხელით ვანიშნე ოთახზე, სადაც ჯერ კიდევ ერთად ვიყავით.

— ...არც არაფერს შევუყვანივარ! — თქვა ნორმანმა.

შევხედე. გონიერი, დინჯი სახით იდგა, წამით გადამავიწყდა ეს პიჟამოც, ეს საწოლიც, ეს ნომერიც, ამ ქუჩის ხმაურიც. ჩემ წინ იდგა იგივე ახალგაზრდა ჯადოქარი. რას მეტყვის, როგორ ამოხსნის ჩემს გამოცანებს?

— მე ისედაც მივხვდი ყველაფერს. სხვათა შორის, საცოლე მყავს.

მოვახერხე და წამით დავდუმდი. ამერიკული წესი მოვიშველიე და მშვიდად ვუთხარი:

— ოჰო, მართლა? მომილოცავს, ნორმან.

— გმადლობთ.

— მე ვიცნობ?

— არა. მეც ორი თვის წინ გავიცანი.

ქუჩაში გავედი. არ მახსოვს, როგორ გამოვემშვიდობე, როგორ ჩავედი კიბეზე, როგორ გავედი სასტუმროდან.

ოთხი თუ ხუთი კვირის შემდეგ ჩემი ამერიკელი მეგობარი ხელახლა შეჩერდა პარიზში. ვან-დეიკის გამზირზე დარეკა. ჩემი დავალებით, მსახურმა მოახსენა, შინ არააო. ნორმანი არ ჩასციებია და სასტუმროლა დაუსახელა. იმავე სასტუმროში ჩამომხდარიყო. ვერ გადავწყვიტე, დამერეკა თუ არა, მით უმეტეს, მივსულიყავი თუ არა. წინასწარ ვიცოდი, ნორმანის გამგზავრების შემდეგაც სენ-ლაზარის ქუჩაზე გავლას დიდხანს მოვერიდებოდი.

მეორე დილით პნევმატიკური ბარათი გავუგზავნე და მასთან შეხვედრა რომ ამეცდინა, მოვიმიზეზე, ოჯახური ამბები მაიძულებს, პარიზიდან გავიდე-მეთქი.

მე თვითონ წავიღე ფოსტაში ეს ტყუილი, ვიცოდი, ასეთი საქციელი არც მე მეკადრებოდა, არც ნორმანს, და მით უმეტეს, არც ჩვენს ბედნიერ დღეებს! მაგრამ რას იზამ!..

ფოსტიდან დაბრუნებულმა საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. არა, ავად არ ვიყავი, მაგრამ არც მაინცდამაინც კარგად ვგრძნობდი თავს. ნორმანთან შეხვედრის შემდეგ, ფიზიკურად და სულიერადაც, თითქოს კალაპოტიდან ამოვვარდი.

საუზმემდე დავბრუნდი შინ. მთელი ოჯახი სასტუმრო ოთახში დამხვდა. ვინც იმ დილით არ მენახა, მივესალმე. მამიდა ემამ ისე მაკოცა, ლაპარაკი არ შეუწყვეტია და ისეთი მძაფრი სუნი მომხვდა, გამიკვირდა. მერე გულუბრყვილოდ გავიფიქრე, ეტყობა, ღვიძლის შეტევა დაეწყო-მეთქი.

— მამიდა ემა, ღვიძლი ისევ გტკივა?

— მე? — აღშფოთდა მამიდა, — საიდან მოიტანე? რატომ იფიქრე, რომ ღვიძლი უნდა მტკიოდეს? იქნებ გავყვითლდი სახეზე? მაშინ რატომ არავინ არაფერი მითხრა?

როგორც იქნა, ამ მარცხის გამოსწორებაც მოვახერხე და ვუთხარი, ეტყობა განათების ბრალია, ალბათ ამიტომ მომეჩვენე ოდნავ გაფითრებული-მეთქი. მაგრამ მამიდაჩემი ისე იყო გაწაფული — თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა ყოველივე, მაშინვე დასძინა:

— თუმცა, ფისო, შენც კარგად იცი, ჩვენ, ღვიძლით დაავადებული უბედური ხალხი, ტანჯვაში ვატარებთ მთელ სიცოცხლეს. ოღონდ ესაა, წუწუნი არ მიყვარს, ვითმენ... ჰოო, რას ვამბობდი?

წამოვდექი. სუფთა ჰაერზე გასვლა მომინდა. წინოთახში გავედი, იქ უფრო გრილოდა. მერე სამოახლეს კარი შევაღე და ვიკითხე:

— საუზმეს მალე მოიტანთ?

სანამ მსახური მელაპარაკებოდა, შემწვარი ხორცის სუნი მეცა. კინაღამ გული შემიწუხდა. სუნებისადმი ეს გულაზიზობა ამტკიცებდა, რაოდენ ანერვიულებული და მოშვებული ვიყავი.

არადა, ნამდვილად მშიოდა და სიამოვნებით მივუჯექი სუფრას. ნასაუზმევს ისევ ცუდად გავხდი. ჩვენები სუფრიდან წამოდგნენ და მეც სასწრაფოდ ავედი ოთახში. გული მერეოდა და საპირფარეშოში შესვლა ძლივს მოვასწარი.

ფართოდ გახსნილი ფანჯრის წინ ვიჯექი, სავარძელში. გარეთ ზამთარი იდგა. მთელი ტანით მოვეშვი, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა საფეთქლებზე და სახეზეც მკვდრისფერი მედო. აკვიატებული აზრი თანდათან მიღრმავდებოდა, წყლის ზედაპირზე გაწეწილი წრეებივით ფართოვდებოდა... დაღლილობა, ზიზღი, გულისრევა, მკერდის გაჯირკვება, ქალური ამბების დარღვევა... სველი შუბლი ცხვირსახოცით შევიმშრალე: მივხვდი, რაც მომივიდა.

ათასი ფიქრი, ათასი აზრი მიტრიალებდა თავში. ამაოდ ვცდილობდი ვონის მოკრებას, ერთადერთი, რაც მოვახერხე, ზუსტად და გარკვევით ვუთხარი თავს: „აი... ვონის მოკრებაც არ შეგიძლია!“ რა უნდა მექნა, რა გამეკეთებინა... ყველაფერი ამერია თავში... სადღა იყო ის ენერგიული აგნესი, თამამად რომ განაცხადებდა ხოლმე: „მე ასე მაქვს გადაწყვეტილი!.. მე ასე გადავწყვიტე!..“ ახლა იგი უსუსური ბავშვივით იჯდა და იტანჯებოდა, არავინ ეგულებოდა ახლობელი. ვინმეს იმედი მაინც ჰქონოდა, თუნდაც აუსრულებელი იმედი, რომ მოსჭიდებოდა ვინმეს, მინდობოდა... რჩევა ეკითხა, მის რჩევას მიჰყოლოდა...

და ერთბაშად, თითქოს რაღაც შუქმა გაიელვაო, სიმშვიდე დამეუფლა: ქსავიე გამახსენდა!

8

ფოსტაში წავედი, ჩვენი უბნიდან შორს, და ბაიუს კონცხი გამოვიძახე ტელეფონით. დიდხანს არ მომიხდა ლოდინი, მაგრამ საჭრელეთულ კილოზე ნათქვამი ძლივს გავარჩიე:“ მუსიე ზღვაშია, მერ-

ლანზე თევზაობს!“ მირჩიეს, მზის ჩასვლისას, ე. ი. დაახლოებით ხუთ საათზე დამერეკა.

ფოსტის ახლოს, უნივერმაღის შენობაში მოწყობილ ჩაის სალონში შევედი და დავჯექი. ყველა ჩემი ფიქრი ქსავიეს დასტრიალებდა თავს. მხოლოდ მისი მხარდაჭერის, მისი დახმარების იმედი უნდა მქონოდა. თავდაპირველად ეს აზრი ინსტინქტურად მომივიდა, ახლა კი უკვე მისი დასაბუთებაც შემეძლო: ქსავიე გამიგებს, იმის ახსნაც არ მომიხდება, რაც ჩემს სულში ტრიალებს, არ დამჭირდება ერთმანეთში გადახლართული გრძნობების დაზუსტება: შიში და იმედი, ღვარძლი და სიყვარული, დამცირება და ქადილი, და რაც ყველაზე იდუმალად, ყველაზე ორგანულად შეერწყა ჩემს არსებას — მოულოდნელი სიამაყე იყო იმისა, რომ ამჯერად ჩემთვისაც არ იქნება უცნობი ის მდგომარეობა, რაც ბუნებამ არგუნა ქალს!

ქსავიე იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეიძლება დავნდობოდა. მეგობარი ქალები? ვიცოდი, რასაც მირჩევდნენ და ისიც ვიცოდი, მათ რჩევას ყურს არ ვათხოვებდი. მამიდა ლუიზი? რაკი საქმე ოჯახის ღირსებასა და ინტერესებს ეხებოდა, მისგან დახმარების იმედი არ უნდა მქონოდა. სულ სხვაა ქსავიე!.. კუნძულზე დამკვიდრებული ქსავიე შორსაა ყოველგვარი პირობითობისა და შემთხვევითობისგან. ჩემ გარდა ერთადერთი ადამიანი ჩვენს ოჯახში, ვინც ბუსარდელების ენაზე არ ლაპარაკობდა, ქსავიე იყო! ქსავიემ ბავშვობიდან აარიდა თავი ბუსარდელების საწამლავს, რომელიც მე წვეთ-წვეთობით გამოვწურე საკუთარი სხეულიდან... ამასთანავე, ქსავიე მაინც ჩემი სისხლისაა, ჩემს გვარს ატარებს...

უცნაურად შეტრიალდა საქმის ვითარება. მე, ვინაც ჯერ კიდევ სულ ახლახან ჩვენი ოჯახის ხრიკებისგან ვიცავდი ქსავიეს, თუმცა მას ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, ახლა სწორედ მას ვთხოვდი მფარველობას, თანაც იმავე მტრის წინააღმდეგ!

დანიშნულ დროზე თხუთმეტი წუთით ადრე ვიყავი ტელეფონის ჯიხურთან. და სულ მალე...

ქსავიეს ხმა ისე მკაფიოდ ჩამესმა, კინაღამ იქვე გადმოვულაგე ყველაფერი. ვფიქრობ, ასეც მოვიქცეოდი, ცოტა მეტი გაბედულება რომ გამომეჩინა. მაგრამ უეჭველია, მისთვის ჩვეული ინტუიციით მიხვდა, რომ საჭირო იყო, თუნდაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ, სასწრაფოდ დამხმარებოდა.

— თუ ასეთი სერიოზული საქმეა და ჩემს მეტს ვერავის გაანდობ, — თქვა მან, — ამ საღამოსვე წამოვალ პარიზში.

— არა, ქსავიე, ასეთი ეგოისტიც არა ვარ. თანაც, შენი ასე მოულოდნელად ჩამოსვლა... ხომ წარმოგიდგენია, რა სენსაციას გამოიწვევს ვან-დეიკის გამზირზე! ეს კი სულ არაა სავალდებულო... არა, მე თვითონ ჩამოვალ სამხრეთში. რაიმეს მოვიმიზეზებ...

— მოდი, ჯობს, ასე მოვიქცეთ, აგნეს: ლიონში გპატიჟებ საუზმეზე. თითოეული ჩვენგანი ნახევარ გზას გამოივლის. შეგიძლია ამ საღამოს წამოხვიდე?... დიდებულია! ტულონამდე მანქანით წამოვალ, იქიდან ღამის მატარებელს გამოვყვები. პაემანს გინიშნავ „დეიდა ბრიკოს რესტორანში". ტაქსის რომელ მძღოლსაც უნდა ჰკითხო ლიონში, ყველა მიგიყვანს.

მისმა სწრაფმა რეაქციამ აღმაფრთოვანა. ეს საზარელი დღე ფერს იცვლიდა უკვე... თითქმის სიამოვნებით ვფიქრობდი ამ მოგზაურობაზე... ალღომ არ მიმტყუნა, როცა ქსავიეს მივენდე...

— ვფიქრობ, შენზე ადრე ჩავალ იქ და საუზმესაც შევუკვეთ, — განაგრძო მან, — რა შევუკვეთო შენთვის?.. ოჰო! — სულ ახლოს მოესმა მისი სიცილი, — შემწვარი დედალი?.. სულ ერთია, ამ კერძის გარეშე მაინც არ გასადილებენ ლიონში.

ლაპარაკის დრო ამოიწურა, მაგრამ მოვასწარი და ყველაფერზე შევთანხმდით. უცებ ქსავიემ სერიოზულად მითხრა:

— ხვალამდე, აგნეს... მადლობელი ვარ ნდობისათვის! გკოცნი, ყური უგდე...

და მემბრანამ მართლაც გამოსცა კოცნის ხმა, მაგრამ მავთულის მეორე ბოლოში მე აღარ ვიღიმებოდი.

ვწუხვარ, შაბლონურად მოგეჩვენებათ ჩემი ნათქვამი, ლიონი წვიმიანი დღით შემხვდა-მეთქი, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერსად გავექცევი: როცა ლიონში ჩავედი, მართლა წვიმდა.

მძღოლიც ისეთი შემხვდა, ქალაქის ღირსებას გაუფრთხილდა და ხანაპიროთი წასვლას თავი აარიდა; ასე რომ, ქალაქში იმ ქუჩებით შევედით, მდინარის პირას გასასვლელი რომ არ ჰქონოდა და სადაც წვიმისა და ბურუსის გამო თითქმის ბნელოდა ამ შუადღისას.

მართალია, ამ დილაადრიან რესტორანში კლიენტების მოზღვავება არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ოფიციანტები უკვე მზად იყვნენ მათ მისაღებად. მაშინვე ერთადერთ მეინახესთან მიმიყვანეს, რომელმაც, ეტყობა, ოფიციანტები წინასწარ გააფრთხილა ჩემი ჩამოსვლის თაობაზე. ქსავიე „დეიდა ბრიკოს" ფოტოსურათის ქვეშ დამხვდა. მზა-

რეულის ძველმოდურ ტანსაცმელში გამოსახული ქალის სურათი თითქმის ნატურალური სიმაღლის იყო.

ქსავიე მშვიდად კითხულობდა გაზეთს. რატომღაც მომეჩვენა, დიდი ხანია, რამდენიმე კვირაა, რაც აქ მიცდის, იმ დღიდან მიცდის, როცა ჯერ კიდევ არ ვიცნობდით-მეთქი ერთმანეთს.

ისე მივუახლოვდი, ჩემი ფეხის ხმა არ გაუგონია და კითხვა არ შეუწყვეტია. უძრავად ვიდექი მაგიდასთან, მერე თავი ასწია, დამინახა, გამიღიმა, წამოდგა და ორივე ლოყაზე მაკოცა. ყველაფერი ეს უსიტყვოდ გააკეთა. ბოლოს ხმა ამოიღო, მკითხა, მოგწონს თუ არა ჩემი არჩეული ადგილიო.

— შემიძლია ცალკე კაბინეტიც მოვითხოვო, — მითხრა მან, — მაგრამ ამ დროს თითქმის მარტო ვიქნებით დარბაზში.

მის პირდაპირ დავჯექი. განსაკუთრებით ის მიხაროდა, რომ ჩვენი პაემანი და ჩემი აღსარება რაიმე განსაკუთრებული საიდუმლოებით ან იდუმალებით არ იქნებოდა მოცული. ოღონდ სირცხვილისა და გონის კარნახით, ასევე, ალბათ, თავდაცვის ინსტინქტის გამო მოულოდნელი ემოციებისა მეშინოდა. ეს დარბაზი, ეს ოფიციანტები, თითქმის მოახლეებს რომ ჰგავდნენ, ცისფერ ზონარზე ჩამოკიდებული ეს პორტრეტი, ჩვენზე რომ ზრუნავდა თითქოს — ყოველივე ეს გრძნობების გამხელას სულ არ უწყობდა ხელს. საუბარი აქ წმინდა პრაქტიკულ პლანზე უნდა წარმართულიყო, რაც ფაქტიურად გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარებოდა.

ქსავიემ კოკტეილი შეუკვეთა. შევხედე. ჩვენი დაშორების შემდეგ ხელახლა დასდებოდა ნამზეური, პარიზში ჩამოსვლიდან სულ რამდენიმე კვირის თავზე რომ მოსცილდა. მაგრამ მთაში მეტისმეტად მზემოკიდებული სახის ფერი ახლა უფრო ოქროსფერ, უფრო რბილ, ზღვის ნამზეურით შეცვლოდა და წყლიანი თვალებიც თითქოს კიდევ უფრო გალურჯებოდა.

ქსავიეს კითხვაზე, როგორ იმგზავრეო, ვუპასუხე, მგზავრობამ სულ არ დამქანცა-მეთქი.

— საკურიერო მატარებლით ჩამოვედი! თანამედროვეობას ხომ უნდა ავუბა მხარი!

გავჩუმდით. ასე ერთბაშად როგორ გამემხილა ჩემი საიდუმლო? თურმე საჭიროც არ იყო, რადგან ქსავიემ არც კი მაცალა გამოეკითხა, როგორ ცხოვრობდა, თვითონ ალაპარაკდა კუნძულზე გატარებულ დღეებზე.

ყველა საქმე ჩასვლისთანავე მოუგვარებია. მებადურის ცოლი, ჩინებული ქალი, ყოველ დილით დადის თურმე მასთან, სახლსაც ულაგებს და სადილსაც უკეთებს. საღამოობით შინ ბრუნდება, ხან ადრე, ხან გვიან, სამუშაოს მიხედვით; ქსავიე მარტოა საღამოობით.

— სახლი მაინცდამაინც ლამაზი არაა, — აღიარა მან, — ჰოდა, მეც ზოგი რამ მოფიქრებული მაქვს. შეიძლება სახურავსაც შევუცვალო ფორმა, ფლიგელიც მივაშენო, გარედან მუქ წითლად შევღებო, ხოლო დარაბები — ღია წითლად. შენ რას იტყვი?

— აბა, რა ვიცი?..

— მოიცა, პატარა ფოტოსურათი მაქვს თან.

სურათი გამომიწოდა. ერთი ჩვეულებრივი მართკუთხა შენობა იყო; ერთადერთი თავისებურება ის შევნიშნე, რომ ძალიან ვიწრო და მაღალი ფანჯრები ჰქონდა.

— იცი, — ვუთხარი ქსავიეს, — ისეთი სახლის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, ზღვის გაშლილ სივრცეს რომ გადაჰყურებს...

— განგებ აუშენებიათ მოფარებულ ადგილას. თუკი მაღალფარდოვანი სიტყვები არ გაშინებს, გეტყვი: იგი უფრო რეზიდენციაა, ვიდრე მებადურის სახლი.

ფოტოსურათს ვათვალიერებდი და ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ოდესმე თუ ვნახავდი ამ სახლს, გადავაბიჯებდი თუ არა მის ზღურბლს!

ქსავიემ ღიმილით დაუმატა:

— ოღონდ ისეთი რეზიდენცია, სადაც არავის უცხოვრია. იქაურების მტკიცებით, იქ ჩემამდე კაციშვილს არ გაუთევია ღამე.

ბაიუს კონცხის მფლობელის, მამიდა ემას ჩრდილი დაეცა ფოტოსურათს. ოღონდ იგი მხოლოდ ჩემმა თვალებმა იხილეს. სიბეცისა თუ სიკეთის ვამო ქსავიეს ალბათ არც კი შეუმჩნევია, რომ ნათლიამისის ხელვაშლილობას უსაზარლესი პატივმოყვარეობა და უსაშინელესი უდარდელობა ახლდა. ქსავიეს არავითარი ფარული აზრი არ ალაპარაკებდა, იგი გულახდილად აღწერდა თავის სახლს, მიხსნიდა, უშენი ადგილი შეიძლება ტერასებად დავყო, ხოლო ფლიგელში აბაზანის მოწყობაც მინდაო.

— წელს, — სიცილით დაუმატა მან, — ჰიდროთერაპია მხოლოდ ღია ცისქვეშ მოწყობილი შხაპითაა გათვალისწინებული და მერწმუნე, ამით არავის ვაყენებ უხერხულობაში: შუა სეზონში, როცა ჩვენი კუნძულის მკვიდრნი მატერიკზე მიდიან ლაჟვარდოვან სანაპიროზე დასასვენებლად, იქ ამაზე გაცილებით მეტი საჩოთირო სანახაობა დახვდებათ!

— მთელი დღე მაინც რას აკეთებ? ზღვაზე რომ გადიხარ სათევზაოდ, ეს უკვე ვიცი.

— არც ისე ხშირად. დრო არ მყოფნის. იმდენი სამუშაოა სახლში!.. გარეთაც... ვენახის გაშენებას ვაპირებ. დაბლობში მეტი ტენიანობა რომ იყოს, „ხბოს ფეხს“ მოვაშენებდი... ყოველ შემთხვევაში, ეცდიდი.

— „ხბოს ფეხი“ რაღაა?

თვალები ფართოდ დააჭყიტა: რა ბენტერები არიანო კონტინენტის ხალხი! და ამიხსნა:

— რა არის და, ჩვეულებრივი აბუსალათინია!

ღიმილით მოვუხადე ბოდიში ჩემი უვიცობის გამო. საუზმე მოგვიტანეს.

— სულ ერთია, მუდამ მარტოდ ყოფნა... — ვთქვი მე. გუფთის ნაჭერი ჩავიდე პირში. საშინლად ვბრაზობდი მამიდაზე.

— ქსავიე, — ვკითხე ბოლოს, — ნუთუ ასე გიყვარს მარტოობა?

— თვითონაც არ ვიცი. — მშვიდად შეპასუხა.

— როგორ თუ არ იცი?

— აი ასე, არ ვიცი, აგნეს: მე უკვე შევეჩვიე.

საცაა საუზმესაც დავამთავრებდით, მე კი ჯერაც არაფერი მითქვამს. თუმცა ერთი წუთითაც არ დამვიწყნია, რა აღსარებისთვისაც მოვითხოვე ეს გადაუდებელი შეხვედრა, რატომ ჩამოვიყვანე კუნძულიდან ქსავიე და მეც რისთვის გამოვიარე ამოდენა გზა. მიუხედავად ამისა, ლაპარაკს მაინც ვაყოვნებდი.

გულახდილად რომ გითხრათ, თითქმის აღარაფერს ვწუხდი. ვიცოდი: ყველაფერი მოგვარდებოდა. როგორ? აი, ეს უკვე არ ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ეს ხომ არ იყო?!

იმის შეგრძნება, რომ შედარებით მშვიდად ვიყავი, მაინც მაოცებდა: არის დღეები, როცა ზოგჯერ თავს ვეკითხები: „კი მაგრამ, დღეს რა მოჰვიდა? რატომ ვერ მოვიცილე თავიდან ეს ბუნდოვანი უგუნებობა, ეს ნაღველი?“ ახლაც ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ჩემთან ერთად აქ სხვა, დამშვიდებული და ოპტიმისტი აგნესიც იყო, რომელიც რაღაცას ხვდება, მაგრამ მე არ მიზიარებს! ერთი სიტყვით, დრო იყო საუბარი დამეწყო. თითქმის ვნანობდი, წინადღიერელი უსიამოვნო შეგრძნება რომ არ გამიმეორდა სადილობისას; ნეტავი ოდნავ მაინც გავფითრებულიყავი და ჩემი თანამეინახეც იქნებ ამით მიმხვდარიყო ყველაფერს! ყოველ შემთხვევაში, თვითონ მაიძულებდა გამენდო ჩემი გასაჭირი.

ყავა მოვსვი და ვთქვი, დიდებულია-მეთქი. შემდეგ სიგარეტი ვთხოვე ქსავიეს. სანთებელა გამომიწოდა. მოსაკიდებლად მაგიდაზე გადავიხარე, იდაყვით სუფრას დავეყრდნე და ასეთ პოზაში დავრჩი. მერე ბოლი გამოვუშვი და ვთქვი:

— აი, ასე...

— ჰო, — გამომეხმაურა ქსავიე, მაგრამ აღელვება არ დასტყობია. ოღონდ უეცრად თვალების გამომეტყველება შეეცვალა. მეძნელება ზუსტად ვთქვა, თვალის გუგები გაუფართოვდა თუ ფერადი ვარსი ჩაუმუქდა? მაგრამ სწორედ ამ ცვლილებამ მიმახვედრა, რომ ქსავიე ცხოველი ინტერესით მომისმენდა.

— იცი რა, — წამოვიწყე ერთბაშად, — ვცდილობ, მომხდარი ფაქტი ტრაგიკულად არ აღვიქვა, მაგრამ ის, რაც შემემთხვა, შეუძლებელია არ მაღელვებდეს... შევამჩნიე, რომ... ერთი სიტყვით, მე...

— ოო! — წამოსცდა მას.

სანამ იმ სიტყვას ვიტყოდი, ქსავიე უკვე მიხვდა. დამინდო და ხელის სწრაფი მოძრაობით გამაჩუმა. დაფიქრდა. ორივე ვდუმდით. ჯერ ვერ მივხვდი, როგორი იქნებოდა მისი საბოლოო რეაქცია, მაგრამ ის კი ვიცოდი. შემეძლო დამეფიცა, როგორი არ იქნებოდა იგი! ერთგვარი ბოროტი კმაყოფილებით ვცდილობდი მის ადგილას დედაჩემი, მამიდა ემა ან, თუნდაც, სიმონი წარმომედგინა; უკვე მესმოდა მათი ვულისწამღები კივილი, ბრაზიანი წყევლა-კრულვა. ერთ წერტილს თვალმიშტერებული ქსავიე ალბათ ხედავდა იმ ბუსარდელს, არცთუ მთლად კანონიერად რომ შედიოდა ჩვენს ოჯახში, სამაგიეროდ მასში არ ხედავდა არც ოჯახის შერცხვენის მაცნეს და არც მათი ქონებისთვის ზარალის მიმყენებელს!

არც ერთი კითხვა არ დაუსვამს ჩემთვის. როცა ხმა ამოიღო, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ისე წაიბუტბუტა:

— და რაკი არ იცი, როგორ მოიქცე, ეტყობა, დაქორწინება არ შეგიძლია!

მინდოდა, პასუხი გამეცა, მაგრამ შემაჩერა.

— მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს. ეს მხოლოდ თქვენ გეხებათ და არსებითად არც არაფერს ცვლის.

აღტაცებული და თან გაოგნებული დავრჩი: როგორ გამიადვილა ბედგომარეობა, თითქმის არაფერი მათქმევინა, თვითონ კი სწრაფად გაერკვა სიტუაციაში. რა იყო ეს? სიმარჯვის ნიშანი, საბუთი იმისა, რომ ფაქიზად უნდა მომქცეოდა თუ მისი აზროვნების ბუნებრივი ფორმა?

თვალგაშტერებული იჯდა და უმალ თავის თავს ელაპარაკებოდა. ვიდრე იმ ადამიანს, ვინც მის პირდაპირ იჯდა და რომელსაც ისღა დარჩენოდა, მოესმინა მისთვის.

— ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჭირო იქნებოდა...— წამოიწყო მან და აზრი არ დაამთავრა, თუმცა ისედაც მივხვდი, რა. გულისხმობდა. მერე მეორე არგუმენტი წამოაყენა:

— რასაკვირველია, სიმართლე უნდა თქვა...

— ოღონდ ჩვენებს არ ვეტყვი! — ვიყვირე ერთბაშად.

— ცხადია! — თქვა მან.

ვაოცება ძლივს შევიკავე: როგორ? მაშასადამე, ისიც ჰკიცხავს ჩვენს ნათესაობას?.. ჩემსავით?.. ახალი სიაბლოვე აღმოვაჩინე ჩვენ შორის.

უცებ სულ შეეცვალა სახე. გაუნათდა, თითქოს ღრუბლებიდან დაეშვა მიწაზე და გამიღიმა. მივხვდი, გამოსავალი იპოვა და ამ ახალმა აზრმა კიდეც მოხიბლა, კიდეც გაამხიარულა... მკლავები გაშალა და აღფრთოვანებით მითხრა:

— მე გამომყევი ცოლად!

ნაშუადღევს წვიმა შეწყდა. გადავწყვიტე, ის ღამე ლიონის რომელიმე სასტუმროში გავეთია. ვიწრო სალონში ვისხედით და ჩვენს გეგმას ყოველმხრივ ვამოწმებდით. ალბათ იმის გამო, რომ მარტო მას არ ეხებოდა საქმე, ქსავიე საკუთარ თავზე არ ფიქრობდა, გაცილებით უფრო ენერგიულად მსჯელობდა, ინიციატივა ხელთ იგდო და თან ისე ავტორიტეტულად იქცეოდა, ისეთი პრაქტიკული უნარი გამოამჟღავნა, გაოცებული დავრჩი. ქსავიე ამბობდა, საქმის გადადება არ ღირსო და სასწრაფოდ შეადგინა გეგმა, რომელიც დეპეშით უნდა გვეცნობებინა ოჯახისათვის. დეპეშა შეატყობინებდა მათ არა მარტო პარიზში ჩვენს დაბრუნებას, არამედ „ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასაც“, რაც, ვიმედოვნებდით, „ნათესავების მოწონებას დაიმსახურებდა“.

ამგვარად, ჩვენი ჩასვლისას ნიადაგი მომზადებული გვექნებოდა. ისინი კარგად ჩაუკვირდებოდნენ დეპეშის შინაარსს. „ნამდვილად კარგი საქმეა!“ — წამოიძახებდა მამიდა ემა, როცა ჩვენი ოჯახის ორი, ყველაზე „ჩაწოლილი საქონლის“ გასაღებას შეიტყობდა.

ვიწრო სალონის ფანჯრიდან უღიმღამო შუქი შემოიჭრა, წვიმას გადაეღო და გარეთ გასეირნება მომინდა. თვითონაც ვერ შევამჩნიეთ, როგორ მივედით მდინარესთან, მერე — ხიდთან. შევჩერდი. ქსავიეც

შეჩერდა. მოაჯირს დავეყრდენი. რონა ყვითლად მოლივლივე, აზვირთებულ ტალღებს მოაგორებდა, მძაფრი ქარი სახეში მცემდა და ამ ჩემი დღის მიწურულს ჰაერის ძლიერ ნაკადში აბკვევდა.

ზუსტად ჩვენ ქვემოთ, სანაპიროს გასწვრივ, ბურთის დაცარიელებული სათამაშო მოედანი მოჩანდა. მოწმენდილი ცა გუბეებში ირეკლებოდა. ჩვენ ირგვლივ, ხიდზე, შეუჩერებლად მიმოდიოდა ხალხი და ტრამვაის წკარუნიც ისმოდა. შიგ ლიონში ვიყავით, ძლევამოსილ და იდუმალ ქალაქში, ადამიანთა პირადული ცხოვრებით დამძიმებულ ქალაქში.

ამ ქალაქმა მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე შემომახვია თავისებური ატმოსფერო, მომახვია თავისი რუხი პირბადე. ჩვენს რომანტიკულ თავგადასავალს რომ აცხრობდა და მახსენებდა, სიზმარში ნუ გგონია თავიო.

ქსავიე ჩემ გვერდით დაეყრდნო მოაჯირს. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, უნებურად მარცხნივ გადავხრილიყავი, მის მსარს ვეხებოდი. ჩემი ბიძაშვილის ფიზიკური მონაცემები პირველად აღვიქვი. წამითაც არ მიფიქრია, ამეღელვებინა და სურვილით ამენთო. პირიქით მოხდა: ჩემს მომავალ მეუღლესთან შეხებამ მე თვითონ ამაფორიაქა და რაღაც სუფთა, ღრმა გრძნობა გამიჩინა.

ჩემს აღფრთოვანებას ბოლო არ უჩანდა: მთელი ამ საუბრის განმავლობაში ერთხელაც არ ცდილა მოეცა ის კითხვა, რასაც სხვა ვინმე დასაწყისშივე დამისვამდა.

„ასეთი საქციელისთვის აუცილებლად უნდა გადავუხადო მადლობა!“ — ვუბრძანე ჩემს თავს და ისე, რომ არც მოაჯირს მოვშორებივარ, არც მისთვის შემიხედია, ხმამაღლა ვთქვი:

— იცი თუ არა, ქსავიე, რომ შენ საოცარი ადამიანი ხარ? არც კი გიკითხავს, ერთ მშვენიერ დღეს გაწითლება ხომ არ მოგიხდებოდა ამ ბავშვის გამო!

— თუკი შენ თვითონ არ გაწითლდები... — მომესმა მისი პასუხი.

ჩემი ნება იყო, როგორ ავხსნიდი ამ სიტყვებს. ქვევით, სიცარიელეში ვიყურებოდით. მხარი მხარს მიდებულნი, მდინარისა და ქალაქის ხმაურით ყურდახშობილნი, მშვიდი ხმით ვსაუბრობდით.

— არც ის გიკითხავს, ქსავიე, იყო თუ არა ჩემი ღირსი ის უცხო ყმაწვილი, რომლის სახელიც არ იცი...

— რაკი შენ აირჩიე...

— კი მაგრამ, რატომ გაქვს ასეთი დიდი წარმოდგენა ჩემს გონიერებასა და ხასიათზე? დარწმუნებული ხარ განა, ქსავიე, რომ სინამდვილეს გადაჭარბებით არ აფასებ?

— რაკი ცოლად გირთავ...

4

ჩვეხი გადაწყვეტილება ყველამ მოიწონა; და ამით კიდეც მოგვარდა საქმე. ვან-დეიკის გამზირს საზეიმო იერი დაედო. ამდენი ღიმილი არასოდეს მღირსებია ნათესავებისგან. მამიდა ემამ ის ორი მილიონი, მორტიეს ქალიშვილზე დაქორწინების შემთხვევაში რომ უნდა ეჩუქებინა, აღარ მისცა ქსავიეს. რაკი ეს ქორწინება ელვისებური სისწრაფით ჩაიშალა, მამიდას ეგონა, არაფერი ვიცოდი ამ უზომოდ გულუხვი საჩუქრისა ან თუნდაც მისი ზუსტი ოდენობის შესახებ. მაგრამ ოჯახის საერთო აღტაცებას მაინც აუბა მხარი და თანხა მილიონ ნახევრამდე შეამცირა. ამ თანხას ბაიუს კონცხიც ემატებოდა.

განსაკუთრებით ჩემი ბედი ახარებდა ყველას. ასეთ ქორწინებას ნამდვილად არ მოელოდნენ ჩემგან. მე ხომ უამრავი თავსატეხი გავუჩინე ნათესავებს!.. უკვე რამდენი წელია დარწმუნებულნი იყვნენ, ვინმე უცხოზე გავთხოვდებოდი. ათიდან ცხრა შანსი იმისა იყო, რომ აგნესი ვინმე თავქარიანს, ღმერთმა უწყის ვის, ალბათ — ვინმე ამორალურ ტიპს გაჰყვებოდა ცოლად! განა გამუდმებით არ ცახცახებდნენ იმის გაფიქრებაზე, რომ მისურის ნაპირებიდან ვინმე ჯაზისტს ან განგსტერს ჩამოიყვანს მკლაეგაყრილიო?! მისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი!

მართლაც, ყველაფერი მოსალოდნელია; თვით წარმოუდგენელი საქციელიც კი! და აი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ოჯახში რჩება — სხვებივით ბუსარდელზე თხოვდება. გვარს ინარჩუნებს. მაშასადამე, ცდებოდნენ მის შეფასებაში. ასე იყო თუ ისე, წარსული დავიწყებას უნდა მიეცეს!

თუკი წინათ მონსოს პარკის მიდამოებში არავის ვუყვარდი, ახლა პატივისცემით მხვდებოდნენ. მე უფრო გულწრფელად მეფერებოდნენ, ვიდრე ქსავიეს, რადგან ქსავიეს გამო არასოდეს შეწუხებულან. დიდედამ წმინდა წყლის ბრილიანტის ხუთკარატიანი საყურე მაჩუქა. ამ საჩუქარს, ოჯახის წეს-ჩვეულების საზღვარს აშკარად რომ სცილდებოდა, არავითარი დავა არ გამოუწვევია, არავინ გაბრაზებულა, თვით სიმონსაც კი არ დასცდენია რაიმე საყვედური; ამიტომაც შევ-

ძელი დამედგინა, თუ რა დიდი და საყოველთაო სიხარული მოვუტანე ოჯახს!

ჩვენები იმ ხალხს მაგონებდნენ, ამანათს რომ მიიღებენ მოულოდნელად, მაგრამ რაკი ეშინიათ, მისამართი ხომ არ შეეშალათო, ამანათის გამომგზავნის ვინაობას ალარ არკვევენ: „არ ღირს ამის გამორკვევა, ამანათი დავიტოვოთ!“

მართალია, დედაც მილოცავდა ასეთ გონიერ „არჩევანს“, მაგრამ გაფაციცებულ მზერას მაინც არ მაშორებდა. ათასი ბნელი ზრახვა უტრიალებდა თავში. მაინც რა უნდოდა? ჯერ ჩემდა უნებურად გავიფიქრე, ალბათ ერჩივნა ისეთი სკანდალი ვამოეწვია ჩემს ქორწინებას, ოჯახს გავერიყე და საიმისო საბაბიც ჰქონოდათ, საბოლოოდ ჩამოვეშორებინე. მერე ეს აზრი უკუვაგდე და შიშმა მომიცვა. ვფიქრობდი, დედამ არაერთხელ დამიმტკიცა, რომ შორსმჭვრეტელი ქალია, ამიტომ შეუძლებელია ასე უცებ წამოეგოს ჩემს ანკესზე და ამ ბედნიერმა, მაგრამ მაინც უცნაურმა ქორწინებამ ეჭვი არ აღუძრას-მეთქი. და მაინც, მას კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, ჯერჯერობით არავის გაუმხელდა თავის მოსაზრებებს, რადგან თვითონაც დაინტერესებული იყო ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებით, მით უმეტეს, იგი ყველას აძლევდა ხელს.

პარიზში ჩასვლისას, ქსავიემ დილითვე განაცხადა, რაც შეიძლება სწრაფად ვაპირებთ დაქორწინებასო და ითხოვა, როგორმე შეემცირებინათ ნიშნობის ვადა. ჩვენებს ჯერ გაუკვირდათ, შემდეგ ჩაიღიმეს და დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

— ერთი შეხედეთ, რა სულსწრაფნი ყოფილან ჩვენი საყვარელი ბავშვები! — წამოიძახა მამიდა ემამ.

თვალები უბრწყინავდა. მისი კანონიერი სიხარული, ვითარცა მამიდისა და ნათლიისა, იმ განსაკუთრებული აღტყინებით იყო გაათკეცებული, რასაც ეს შინაბერა ყოველ ქორწინებასთან დაკავშირებით განიცდიდა.

ძია თეოდორი, ნადირობის ამბებს ზოგჯერ საკმაოდ უხამსი ანეკდოტებით რომ ამთავრებდა და ამით, მისი თქმით, გალურ, ორმაგად ფრანგულ სულს ამეღავნებდა, არავის მოერიდა და ხმამაღლა განაცხადა:

— ოჰო! მაშასადამე, აჩქარების მიზეზიც ჰქონიათ!..

ბიძაჩემი ვერც კი წარმოიდგენდა, რა მწარედ მომხვდა გულში მისი სიტყვები და, აღელვება რომ არ შეემჩნია, თავი მივაბრუნე,

განსაკუთრებით ქსავიეს შემოხედვისა მეშინოდა, მაგრამ მაშინვე შემომესმა ხუმრობანარევი საყვედურით ნათქვამი მისი პასუხი:

— ბიძაჩემო, ასეთი შეკითხვა მხოლოდ მამაკაცთა წრეში შეიძლება დაისვას!

— ხა! ხა! ხა! — გადაიხარხარა ძიამ, — ხედავთ, ეს ცულლუტი უარსაც არ ამბობს! ემა, შენი ნათლული ნამდვილი მუსუსია! თუკი აქამდე არ იცოდი, ნება მომეცი, შეგატყობინო!

— თეოდორ, ნუ აღიზიანებ ბავშვებს! — შეაწყვეტინა მამიდამ, იმ დღეს სიკეთის განსახიერება რომ გახლდათ, — რაკი დაქორწინება სურთ, დაე, დაქორწინდნენ! ნახე და დატკბი შენი ნამოქმედარით: ქსავიე ყაყაჩოსავით გაწითლდა, ხოლო აგნესმა აღარ იცის, სად წაიღოს თვალები!

მაგრამ მე ძია თეოდორის გულწრფელმა თუ არაგულწრფელმა ვარაუდმა კი არ ამაფორიაქა, არც იმ მძაფრმა გამოხმაურებამ, რაც მან ჩემს გულში ჰპოვა, არც მამიდას ლმობიერებამ: „რაკი დაქორწინება სურთ...“, არამედ ქსავიეს მარჯვე, დიპლომატიურმა საქციელმა. ნამდვილად ვაოცებული დავრჩი, რადგან მისი ეს საქციელი კეთილსაიმედო უფრო იყო, ვიდრე სასარგებლო.

სიამოვნება ვერ მოვიკელი და როცა სიმონი სასაუზმოდ მოვიდა ჩვენთან, მე თვითონ შევატყობინე ახალი ამბავი. ბოლოს ამაყად ავწიე თავი და განვუცხადე:

— აი, იმ შეკითხვის პასუხი, ჰავრში რომ დამისვი! მართალია, ცოტა გალოდინე, მაგრამ თუ შეგიძლია, მაპატიე.

— რა შეკითხვა? არ ვიცი, რისი თქმა გინდა!

და თავის არიდება დააპირა, მაგრამ ნაბიჯი არ გადავადგმევინე. სასტუმრო ოთახის კუთხეში ვიდექით და ვერავინ გაიგონებდა ჩვენს საუბარს.

— კარგი ერთი, შესანიშნავად გახსოვს! მუდამ ერთი აზრი გიტრიალებდა თავში, გამუდმებით ეკითხებოდი შენს თავს, შეერთებული შტატებიდან გათხოვილი თუ დავბრუნდი...

— სულაც არ ვეკითხებოდი...

— ასე იყო თუ ისე, მ ე მეკითხებოდი, სიმონ... აი, იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მე იქ არ გავთხოვილვარ. მხოლოდ ახლა ვთხოვდები, რადგან ეს იქნებოდა... როგორ ამბობენ ასეთ შემთხვევაში?.. პოლიგამიის საპირისპირო საქციელს რას უწოდებენ? აბა, მიპასუხე, ბატონო კანონმდებელო!

— პოლიანდრია! — სერიოზულად მიპასუხა ჩემმა გონებაჩლუნგმა ძმამ.

— პოლიანდრია... იმედი მაქვს, პოლიანდრობას ვერ დამწამებთ, ჰა?

— რასაკვირველია, არა, სულელო! თანაც, რა ჩვეულება გაქვს, მუდამ...

თავი დავანებე. ჩემს შენიშვნაში ჩაქსოვილი აზრის მიხვედრა მხოლოდ მე შემეძლო... და მართლაც, ვცდილობდი საბოლოოდ გამეფანტა ჩვენი ოჯახის ყოველგვარი შიში, სულ ახლახან განვებ რომ ვიწვევდი ნათესავებში: ამას მაიძულებდა ჩემში ჩასახული ბავშვი. იგი ჯერ არ გაჩენილა და ცოტაოდენი სიმშვიდე სწორედ მან ჩამოავდო ჩემსა და ჩემიანებს შორის!

საქორწინო ცერემონიის დამთავრებისთანავე, როცა ჩვენი სახლის სასტუმრო დარბაზები ჯერ კიდევ სავსე იყო ნათესავებით, მამიდა ემა შეთქმულივით გაიპარა სახლიდან და ჩვენთან ერთად ლიონის სადგურზე წამოვიდა. ბაიუს კონცხზე მივყავდი ქსავიეს.

გადავწყვიტეთ, საქორწინო მოგზაურობა მოგვიანებით მოგვეწყო ჰანოიში, სადაც ქსავიეს დედა და მამინაცვალი ცხოვრობდნენ.

— რატომ ახლავე არ მიდიხართ? — ჩაგვეკითხა თავის ეჭვებში იმედგაცრუებული მამიდა ემა, — ეს რა საქორწინო მოგზაურობა გამოგივათ?

ქსავიემ ამჯერადაც ამაშორა პასუხის გაცემა:

— ეს ჩემი ბრალია! — თქვა მან, — მე ვთხოვე აგნესს, შემოდგომამდე მოვიცადოთ-მეთქი. ბაიუს კონცხზე ძალიან ბევრი სამუშაოა და თავს ვერ დავანებებ.

მამიდა ემამ უჩვეულო მოთმინება გამოიჩინა და განაცხადა, თქვენი საქმის თქვენ იცითო.

— თუკი თაფლობის თვის გატარება მარტოობაში და, თანაც, ერთ ადგილას გირჩევნიათ, თქვენი ნებაა... მაგრამ ერთი ეს მითხარით, ვის მოაგონდა ბაიუს კონცხის შენარჩუნება? ისევ შენს ბებერ ნათლიას! ღმერთმანი, როცა წელიწადში ერთხელ ბეგარას ვიხდიდი და ყოველ სამ თვეში ნაკვეთის გადასახადი შემქონდა, ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი, ჩემი კუნძული სიყვარულის ნავსაყუდლად თუ გამოდგებოდა...

იგი უგულისყუროდ იყურებოდა სადგურისკენ მიმავალი ლიმუზინის ფანჯრიდან. მუდამ ძაძებში მორთული ჩემი გაუთხოვარი. მამიდა ოცნებობდა!

როცა სადგურის ბაქანზე გადაგვკოცნა, ატირდა, ჩემი აზრით — გულწრფელადაც. იგი აღაფრთოვანა ჩვენმა თითოადგილიანმა კუპეებმა, მით უმეტეს, რომ მისთვის ასეთი ლუქსით მგზავრობა უცხო იყო.

— მე მხოლოდ დღისით შემიძლია მგზავრობა, — გვიმეორებდა იგი, — ღამით რომ ვიმგზავრო, ალბათ ტანსაცმლის გახდას ვერ ვავბედავ, უცებ კატასტროფა რომ მოხდეს, ხომ პერანგის ამარა მომიხდება დერეფანში გავარდნა... ღმერთო დიდებულო!

ფანჯარა ჩამოვუშვით, მოაჯირს დავეყრდენი და ჩვეულებრივზე უფრო ჭოთმინებით ვუსმენდი მის ლაპარაკს. ქსავიე კუპეში შევიდა, ქურქი გამომიტანა და მომაბურა:

— არ გაცივდე!

თავს მევლებოდა, ზრუნვასა და ყურადღებას არ მაკლებდა, ისე მივლიდა, ახალგამოჯანსაღებულ ავადმყოფს რომ უვლიან. არადა, ასეც იყო!

მატარებელი დაიძრა. მამიდა ემა ფეხის წვერებზე შედგა და თეთრი ტილოს ფართო ცხვირსახოცი დაგვიქნია, შავი კრეპის კაბის ფონზე ვანსაკუთრებული სითეთრით რომ გამოირჩეოდა. მისი გამოსახულება თანდათან გაშორდებოდა. მატარებელმა სიჩქარეს უმატა. პარიზი უკან ჩამოვიტოვეთ.

ვერაფრით ვერ დავიძინე. ვერც წიგნი წავიკითხე. ღამის ნათურა თავთან მენთო, ვიწექი და კარგა დიდხანს რა კითხვებს აღარ ვუსვამდი საკუთარ თავს, მომავალს, რომელიც მელოდა. რომელმაც ჩემი ბედი გვერდით კუპეში ჩაკეტილ ყმაწვილს დაუკავშირა.

დილით, თვალის გახელისთანავე ჩვეულებრივი სასწაული დავინახე: ნარინჯისფერი დილა, მინანქარივით ლურჯი ზღვის ყურე, ტალღებისგან წრიულად შეჭრილი ნაპირები პატარა ქალაქისა, წლის ახალი სეზონი!

ჰიერში ვსაუზმობდით, როცა ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ტრამონტანამ[1] ფერი უცვალა ხმელთაშუა ზღვას, ქაფიან შხეფებს რომ ისროდა ახლა. ქსავიემ შემომთავაზა, ერთსაათიანი მგზავრობა ხვალამდე გადავდოთო. უარი ვუთხარი.

---

[1] ჩრდილოეთის ქარი.

ეს პატარა გამოცდაც ადვილად გადავიტანე, რადგან ქარი მხოლოდ წყლის ზედაპირზე დათარეშობდა. თანაც მე ხომ გამოცდილი მეზღვაური ვახლდით! მალულად ორი აბიც გადავყლაპე და ამით ზღვის ავადმყოფობაც ავიშორე თავიდან.

წინადღით, ბარგს რომ ვალაგებდი, ეს აბები ჩემი ნესესერის ჯიბეში აღმოვაჩინე; ამერიკულ პატარა კოლოფში ეყარა მივიწყებული და ამ დღის შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებიდან ჩამოვედი, ეს აბები თავის დროს ელოდებოდა.

ბაიუს კონცხმა სულაც არ გამიცრუა იმედი. უფრო თეატრალური ლანდშაფტი ან უცნაური საცხოვრებელი უთუოდ უნდობლობას აღმძრავდა. მყუდრო ადგილას აშენებული, იდუმალებას აშკარად მოკლებული ეს სახლი კი უყოყმანოდ ვავითავისე. ძალიან ხშირად ის ადგილი მოახდენს ხოლმე შენზე შთაბეჭდილებას, არაფრით რომ არ გამოირჩევა, მით უმეტეს — თუ იცი, რომ შენს დიდ ბედს, დიდ სიყვარულს თუ დიდ ნაღველს სწორედ აქ უპოვია თავშესაფარი!

ჩვენი ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქსავიეს მეუღლე გავხდი. ეს თავისთავად მოხდა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, თითქმის ჩემდა უნებურად. იმ დღეს საშინელი ქარი ქროდა, მაგრამ მაინც წავედით სასეირნოდ ჩრდილოეთ მხრიდან წამომდგარი ციცაბო ნაპირისკენ.

გაბრუებულები დავბრუნდით, ყურები გვეწვოდა, თვალებს ვერ ვახელდით. ჩვენს მოსასულიერებლად მოახლემ საგანგებოდ მომზადებული, თანაც, უნდა აღინიშნოს—დიდებულად მომზადებული თევზის ღვეზლის დიდი ნაჭერი მოგვიტანა. ამ პროვანსულ კერძს თითო ჭიქა კორსიკული ღვინოც დავაყოლეთ. სულ მალე უკვე თვალები გვებლიტებოდა და მთქნარება-მთქნარებით ძლივს მივლასლასდით განიერ ტახტამდე, კაბინეტში რომ იდგა.

ვერ გეტყვით, რამდენი ხნის შემდეგ გამომაღვიძა ვიღაცის სიახლოვემ, სითბომ, მარჯვენა მხარეს რომ ვიგრძენი. ქსავიეს ეძინა, მაგრამ ეტყობოდა, ძილში ღელავდა, ჩემკენ მოიწევდა, მიხმობდა. მკლავები მოვხვიე; განა შემეძლო უარი მეთქვა მის სურვილზე, თვალგახელილმა რომ ვერ მთხოვა?!

ალბათ გაგიკვირდებათ მისი მორიდება და მასთან დაკავშირებული ამბების აღიარება; ასევე შეუსაბამოდ მოგეჩვენებათ ქსავიეს იმდღევანდელი მოქმედება ჩვენს კუნძულზე და ლიონში ნათქვამი სიტყვები. კარგად ვიცი, რამდენად უფრო რომანტიკული იქნებოდა „ფიქტიური

ქორწინება“, მაგრამ განა პირობა არ მივეცი საკუთარ თავს, რომ ვილაპარაკებდი მხოლოდ სიმართლეს და არაფერს შევალამაზებდი!“ ბოლოს და ბოლოს, ქსავიე არც ჩემი ოცნების ნაყოფი გახლდათ, არც აბსტრაქცია და არც წმინდანი. იგი მამაკაცი იყო. რაკი ბაიუს კონცხზე იმ ნაშუადღევს ამ როლში მომეევლინა, არამც თუ გამიცრუა იმედი, ესეც უნდა ვაღიარო — კიდევ უფრო ძვირფასი ან, თუ გნებავთ, უფრო ახლობელი გახდა ჩემთვის: მიეხვდი, ერთნაირი თიხიდან ვიყავით გამოძერწილნი!

თავს კარგად ვგრძნობდი. ჩვენი ცოლ-ქმრული ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდა. ასე მგონია, ქსავიე ბედნიერი იყო და მეც მიხაროდა. შეძლებისდაგვარად ვიზიარებდი მის ბედნიერებას, თუმცა სიამოვნებისა რა მოგახსენოთ! ამას პირველივე ღამეს მივხვდი; ბედის ეს წყრომა მაინცადამაინც არ გამკვირვებია, იგი მრავალი ქალის ხვედრია, ამიტომ არც აღშფოთება მიგრძვნია, არც რაიმე სიმწარე. გონება უნდა მომეკრიბა და ამ მდგომარეობას ისე შევრიგებოდი, როგორც დამსახურებულ მისაგებელს. თავდაპირველად ამას ინსტიქტურად შევეგუე. ღირს კი ეს სათქმელად? სავსებით ბუნებრივად მიმაჩნდა ის ამბავი, რომ ქსავიესთან ვერ ვპოვებდი იმ ვნებათაღელვას, რაც იმ სხვა ყმაწვილმა განმაცდევინა.

და მაინც, საკმარისი იყო კარგად დავკვირვებოდი ჩემი ქმრის გამხდარ, მოქნილ სილუეტს, მის მკვეთრ ნაკვთებიან სახეს, განსაკუთრებით კი მის უცნაურ თვალებს, მაშინვე გავიფიქრებდი, ეს ყმაწვილი სულაც არაა უსუსური ან უგერგილო და სხვა ქალებს თავს ადვილად შეაყვარებს-მეთქი. სხვა მამაკაცების მსგავსად, მასაც ჰქონდა ფიზიკური ხიბლი, ოღონდ ესაა: მისი ეს ფიზიკური ხიბლი მე ვერ მაღელვებდა.

რატომ? ან რატომ მიმაჩნდა ეს ამბავი ბუნებრივად? რატომ ვეღოდი, რომ ასეც მოხდებოდა ან შეუცნობლად რატომ ვიყავი მზად ამისთვის?

ერთ საღამოს ქსავიეს გვერდით ვიწექი. ეძინა. არ იქნა და ძილი არ მომეკარა; ამიტომაც ხელახლა ჩავუკვირდი ამ საკითხს. ერთბაშად თითქოს უცნაურმა შუქმა გონება ან, უკეთ, მეხსიერების რაღაც დაგმანული კუნჭულები გამინათა. ამ შორეულ შუქზე დედაჩემი და დეიდა ჟიულიენი გამოჩნდნენ სოლონის მამულში. ხეივანში სეირნობდნენ. ისიც კი გამახსენდა, ორივეს მოკლე, ბურთივით გამობერილი კაბა რომ ეცვა: იმ წელს სწორედ ასეთი ულაზათო კაბები იყო მოდაში. ეგონათ, მარტო იყვნენ და საუბრობდნენ. ამ დროს მე ხეივ-

ნის პირას დარგულ ბუჩქებში ვიჯექი. ჯერ კიდევ პატარამ მწვანე ტოტებისგან ოთახი გავიკეთე იქ, გარედან ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა. ამ ჩემი ეშმაკობის წყალობით, ჩემმა ძმებმა ვერასგზით ვერ გაიგეს, სად გადავიკარგებოდი ხოლმე ნასადილევს და ვერც ჩემი სამალავი აღმოაჩინეს.

მართლაც საათობით ვიჯექი ამ თავშესაფარში. საიდან არ მომქონდა ათასნაირი გადაგდებული ნივთები: ხალიჩის ნაგლეჯი, დაბალი, უფეხო სკამი, სატუჩეჩამომტვრეული ლამბაქები, ძველისძველი სათბურა. სამი ცალი უმი სტაფილოსგან, ერთი ჭიქა წყლისგან და პურის ყუისგან დიდებულ სადილს ვიმზადებდი. ზოგჯერ ჩემი ძმების ძახილი მთელ პარკში ისმოდა და რაკი ვერ მხედავდნენ, ეს ამბავი დიდ სიამოვნებას მგვრიდა. ეტყობა, ბრაზობდნენ, ჩემთვის გულდაგულ მომზადებული ოინის განხორციელება რომ არ შეეძლოთ, მე კი ვიჯექი მწვანე ბინდბუნდში ეახვეულ და ნეშომპალას სუნით გაჟღენთილ ჩემს მცენარეულ ბუნაგში და საათობით ველოლიავებოდი ნაღვლიანი გოგოს ფიქრებს.

მაგრამ იმ დღეს დედაჩემის ხმამ ფოთლებშიც შემოაღწია. ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც ყურში მედგა მისი ხმა: ჯერ რაღაც საიდუმლოებას ანდობდა დეიდა ჟიულიენს, მერე დაფიქრებული უსმენდა დის პასუხს. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, შედგებოდა შორიახლო და ამბობდა:

— ვხვდები, რისი თქმაც გინდა, ჩემო კარგო ჟიულიენ, მაგრამ რას იზამ? პირადად მე არავითარ სიამოვნებას არ ვღებულობ, არაფერს ვგრძნობ... არასოდეს. თუმცა ამას ბავშვების გაჩენაში ხელი არ შეუშლია ჩემთვის...

ყურები ვცქვიტე. დეიდა ჟიულიენმა მცოდნე ქალის კატეგორიული კილოთი შენიშნა, ეს ორი რამ ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არისო.

— დამიჯერებ? — განაგრძო დედამ, — ოდესღაც ლეიტენანტთან ბოსტონს რომ ვცეკვავდი, ვაცილებით მეტ სიამოვნებას ვგრძნობდი... მაგრამ შენც ხომ იცი: ქორწინებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო!

მოსეირნეები ჩემს საფარს გასცდნენ, ხეივანს შემოუარეს და ხელახლა დაბრუნდნენ.

— მე მგონია, — ხელახლა გავიგონე დედაჩემის ხმა, — აქ ორი აზრი არ არსებობს: ქმრები სულ სხვაგვარად უყვართ!

მთელი ეს სცენა, დედაჩემის აფორიზმი, ყოველი მისი ნათქვამი კვლავ აღმიდგა მეხსიერებაში, მაგრამ სანამ ეს ყოველივე ბაიუს

კონცხის საძინებელ ოთახში იპოვიდა თავდასაძვრენს, მანამდე იგი ჩემში არსებობდა. იგი იმ შეცდომის ნაწილი იყო, რომელიც ყოველი ბავშვის სულშია, ნელა მწიფდება და რომლის ნამსხვრევი მას დავაჟკაცებისა თუ დაქალების პერიოდში უხერხულობას უქმნის ხოლმე. ვინ იტყვის, მკვრივი გარსით დაცული ეს ნაყოფი საიდან იღებს ამ წვენს ასე უხვად, ან საიდან იძენს თვითგამეღვენების ამ დაგვიანებულ უნარს?.. ასე, მაგალითად, დიდხანს მეგონა, ომი მუდამაა-მეთქი სადღაც და ახალგაზრდები, რომლებიც სამხედრო ვალდებულებას იხდიდნენ, აუცილებლად ომში მიდიოდნენ. ამიტომ საკსებით ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ ჩემი ძმები, სიმონი და ვალენტინი ოცდაერთი წლის ასაკში მოეკლათ... გულში ფარულად ნალოლიავები ვრძნობები: უწყინარი თუ ბოროტი შელაპარაკება, მარცხი, შეცდომა... მეორე სამყაროდ იქცეოდა მათთვის, ვინც ეს ვრძნობები განიცადა, იქცეოდა სამყაროდ, სადაც კვამლიც კი იძენს ხორცსა და ფორმას, სადაც აჩრდილები დამოუკიდებელი ცხოვრებით არსებობენ, სადაც ქალს ხორციელი სიხარულის განცდა მხოლოდ კანონიერი ქორწინების გარეშე შეუძლია და ფიზიკურ სიამოვნებას მხოლოდ იმ მამაკაცთან იღებს, რომელიც მისი ქმარი არ არის.

ამ ყალბი აზრის სათავის მიკვლევამ ავი სულებისგან მაინც ვერ გამათავისუფლა. ჩემი სხეული მისი ერთგული დარჩა. ქსავიეს კოცნას არასოდეს ავუღელვებივარ. მსგავსად სხვა მრავალი ჩემნაირი ქალისა (ბოლოს და ბოლოს, ხომ მაინც დავშოშმინდი!), ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს სიამოვნებას განვიცდიდი და თანაც ისე მოხერხებულად, ჩემი ახალგაზრდა ქმარი (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა) ერთხელაც არ შეშფოთებულა.

განსაკუთრებით ვერიდებოდი, ქსავიესთვის ის მეგრძნობინებინა, რომ ჩემი მისდამი სიყვარული დედის სიყვარულს წააგავდა. დღისით თვალს ვადევნებდი ყოველ ჩემს ინტონაციასა და მოძრაობას. მხოლოდ ღამით, მხოლოდ მაშინ, როცა ქსავიეს ეძინა, ჩემს თავს უფლებას ვაძლევდი გამომემეღვენებინა ეს გრძნობა. ჩაძინებული ქსავიე საოცრად იცვლებოდა და ჩემი თბილი გრძნობებიც სწორედ ასეთ ქსავიეს ეკუთვნოდა. მძინარე ქსავიე პატარა ბიჭივით იწვა ჩვენს ლოგინზე. როცა მისი სუსტი სხეულის შეხებასა და ძილქუშით დამძიმებულ თავს მხარზე ვიგრძნობდი, ასე მეგონა, ნანა უნდა მეთქვა ამ დიდი ბავშვისთვის, ჩემი მოდგმის ამ უსუსური ყლორტისთვის.

VI

დაცემა

ახლა მთავარი იყო, გაგვეფრთხილებინა ჩვენები, რომ ბავშვს ველოდი. ამ ამბის შეტყობინებას არ ვჩქარობდით. დაქორწინებამდე ორი კვირით ადრე ვიგრძენი უგუნებობა. სასტუმრო „ტერმინუსში" გატარებულ ღამესა და ლიონში ჩემი მოგზაურობის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული; ლიონში შეხვედრის მეორე დღესვე მე და ქსავიემ ისე დავაჩქარეთ საქმე, სამი კვირის თავზე უკვე ვიქორწინეთ. ამრიგად, შეგვეძლო ნოემბრის ბოლოს გვეცნობებინა, რომ ოქტომბრის პირველ ნახევარში მოვიმშობიარე. ქსავიეს თავდაჭერილობა და ძია თეოდორის უხამსი ხუმრობა ალბათ წინასწარ გაფანტავდა ჩვენი ოჯახის ყოველგვარ გაოცებას და ეჭვს, თან არც მე შემიშლიდა ხელს — ბშვიდად დავლოდებოდი ამ ჩემი ორი ტვირთისგან გათავისუფლებას.

საკმაო ხანმა განელო და როცა ბაიუს კონცხზე აყვავებულმა ლევკოიონმა მომქავო სურნელი დააფრქვია, ქსავიემ ერთ დილით ტელეფონით გაგზავნა დეპეშა ვან-დეიკის გამზირზე. საფოსტო განყოფილება ნავსადგურთან მდებარეობდა და ჩვენი სახლიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული. ტელეფონისტი მუდამ გვიკარნახებდა ხოლმე ჩვენს სახელზე მოსული დეპეშების ტექსტს.

იმავე დღეს, სადილობამდე აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ბოლო თვეს როგორღაც მოვდუნდი და ქსავიე ჩემს შეწუხებას ერიდებოდა. ამიტომ თვითონ აიღო ყურმილი.

— დიახ, მადმუაზელ, — მომესმა მისი ხმა, — წამიკითხეთ თუ შეიძლება!

— ჩვენი დეპეშის პასუხია? — ისე ვკითხე, არ გავნძრეულვარ.

ქსავიემ თავი დამიქნია. ჯერ ყურადღებით უსმენდა, მერე, როგორც მომეჩვენა, გაოცებით თქვა:

— გეთაყვა, ერთხელ კიდევ წამიკითხეთ!

ბოლოს მადლობა გადაიხადა, ყურმილი ჩამოკიდა და ხმაამოუღებლივ მომიახლოვდა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— ნათლია მთხოვს, დაუყოვნებლივ ჩავიდე პარიზში.

— რაო?

— ჰო, ასეა. დეპეშაში წერია — და მან ზეპირად გაიმეორა, რაც ეწერა: „დეპეშა მივიღეთ, გთხოვ დაუყოვნებლივ ჩამოხვიდე, სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო, გკოცნი, ნათლია...“ ვერაფერი გამიგია!

— ალბათ, რაიმე ფულადი საკითხია, ქსავიე... ან ამდაგვარი რამ...

— თვითონაც არ ვიცი... რატომ არაფერს იწერება იმაზე, რაც ვაცნობეთ?

აღელვება დაეტყო. მეც შევშფოთდი. ერთბაშად მივხვდი, რომ ქსავიეს ისეთი ინტუიცია, ისეთი ალღო ჰქონდა, რაც მე არ გამაჩნდა.

— რას აპირებ, ქსავიე?

— დავურეკავ.

შეღავათიანი ტარიფის დრო მოგვიანებით იწყებოდა, ამიტომ ქსავიემ ადვილად მოახერხა სასწრაფო გამოძახების შეკვეთა, მაგრამ ისე ცუდად ისმოდა, იძულებული გავხდით, ერთი ყურმილით მოგვეს მინა. მათ საუბარს ქსავიეს რეპლიკებით ვხვდებოდი.

— ნათლია, შენი დეპეშა მივიღე. რა მოხდა?

— ...ერთი სიტყვით მაინც ვერ მიმანიშნებ?

— ... კი მაგრამ, ნუთუ ასე საჩქაროა?

— ...კარგი... კარგი. რაკი საჭიროა, ჩამოვალ, ოღონდ საღამოს მატარებელს ვერ მივუსწრებ.

— ...ხვალ დილით? დღისით ვიმგზავრო?.. კი მაგრამ, მაშინ ხომ ორი საათით მეტხანს მომიხდება მგზავრობა...

აშკარად ეტყობოდა, თავს იკავებდა, მერე ლაკონურად უპასუხა, ჩამოვალო და ყურმილი დადო.

— ახლა სულ ვეღარაფერი გამიგია... — ჩაილაპარაკა მან, — იფიცება, ძალიან სერიოზული და სასწრაფო საქმეაო, მაგრამ გაჯიუტდა და გადაჭრით მითხრა უარი, ქარაგმით მაინც ეცნობებინა, რა მოხდა. ირწმუნება, პირადად უნდა შეგატყობინო და არა ტელეფონითო. არა... ცუდი არაფერი არ უნდა იყოს... ჩვენთვის... არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს იმ საქმესთან, რასაც ველით. აბა, შენ თვითონ დაფიქრდი, რა უნდა იყოს?

მაგრამ თვითონაც მოუსვენრად იყო, ოთახში ბოლთას სცემდა, სიგარეტს მოუკიდა, მოსწია და მაშინვე მოისროლა. მისი ფეხის ნაბიჯები ყრუდ ისმოდა ფილებზე გაფენილ ჭილოფზე; თითქოს ერთბაშად დავაყაცდა. უცებ ჩემკენ შემობრუნდა:

— იმედია, არავინ არაფერი იცის? ხომ არავისთვის გაგინდვია?

— არავისთვის, ქსავიე, — ვიყვირე მე, — ასე რომ ყოფილიყო, გვტყოდი! ექიმისთვისაც კი არ... არც იმ ახალგაზრდა კაცმა... იცის არაფერი... აი, ხომ ხედავ? შენც იგივე ფიქრი გაწვალებს!

ჩემი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და მხრებზე მომხვია ხელი. ხმა არ ამოუღია. მოახლე შემოვიდა, სადილად გვიხმობდა. ადრე ვსადილობდით ხოლმე, დღისით. სავარძლიდან წამოვდექი და ვთქვი:

— წავიდეთ, ქსავიე.

— კარგი, წავიდეთ. ნუთუ მოგშივდა?

მეორე საღამოს დეპეშას ველოდი მისგან: შეუძლებელი იყო, მაშინვე არ ეცნობებინა პარიზში მისი გამოძახების მიზეზი. არაფერი მიმიღია. დილამდე მომიხდა ლოდინი. მხოლოდ თერთმეტ საათზე დარეკა ტელეფონმა. აპარატს მივვარდი.

ფოსტიდან რეკავდნენ.

— ქალბატონო ბუსარდელ, თქვენს სახელზე დეპეშაა, წაგიკითხოთ?

— დიახ, თუ შეიძლება!

— საქმე ისაა... არასასიამოვნო ამბავია. ამიტომ ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ!

— ცუდი ამბავია? ჩემს მეუღლეს ხომ არაფერი მოსვლია?

— დიახ, უბედური შემთხვევა...

— წაიკითხეთ!

— აი, რა წერია: „იძულებული ვართ გაცნობოთ უბედური შემთხვევა... ქსავიე ფანჯრიდან გადავარდა... არ დარეკოთ, ამაო იქნება... ტელეფონი გამორთულია...“ ხელს აწერს: ბუსარდელი.

რა თქმა უნდა, მაშინვე დავრეკე. ბაიუს კონცხის სატელეფონო ხაზი არასოდეს ყოფილა ისე გადატვირთული, როგორც იმ ოცდაოთხი საათის განმავლობაში იყო. „რატომ იწერებიან, ტელეფონი გამორთულიაო? — ვფიქრობდი და ყურმილს ხელს არ ვუშვებდი, — ზარი ჩვეულებრივია“.

იქ, პარიზში, ვან-დეიკის გამზირზე ყურმილი აიღეს.

— სატელეფონო მომსახურების ბიურო გისმენთ!

— რა თქვით? როგორ?

— ქალბატონ ვიქტორიენ ბუსარდელთან ხომ არ გხებავთ ლაპარაკი?

— ქალბატონ ვიქტორიენ...

გამახსენდა, პატივისცემის ნიშნად, ტელეფონი დღემდე დიდედას სახელზე იყო.

— დიახ, თუ შეიძლება მასთან შემაერთეთ, მადმუაზელ!

— სამწუხაროდ, შეუძლებელია. ოფიციალური აკრძალვა მაქვს. ავადმყოფის გამო ტელეფონი გადაყვანილია სატელეფონო მომსახურეობის ბიუროზე.

— დიახ... ფანჯრიდან გადმოვარდაო, ხომ?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სახლში ავადმყოფია, ქალბატონო.

— ის მაინც გითხრეს, როგორაა ავადმყოფი?

— მეტ-ნაკლებად უკეთ.

— მაინც, რა მოუვიდა? ან გადმოვარდნას რა მოჰყვა?

— არ ვიცი. ვინ ლაპარაკობს?

— მისი მეუღლე.

1

ვან-დეიკის გამზირზე, ჩვენი სახლის ეზოში არავინ დამხვედრია. ასეც ვფიქრობდი. ვესტიბიულში მსახური იყო მარტო. მარსელიდან დეპეშა გამოვგზავნე, გავაფრთხილე, ჩამოვდივარ-მეთქი. და მაინც, ყველანი თავ-თავიანთ ოთახებში გაკრეფილან, დამალულან. ეტყობა მოხუცმა ემილმა და ფრანსიზამაც მიიღეს სათანადო ბრძანება. ეპვი არ იყო: ამ საქმეში მე ვიყავი გარეული. ჩემი ფეხმძიმობის ამბავი რაღაცით დაკავშირებულია ამ წარმოუდგენლად უბედურ შემთხვევასთან.

იძულებული გავხდი, მსახურთან გასაუბრებით დაკმაყოფილებულიყავი:

— სადაა ჩემი ქმარი?

— პირველ სასტუმრო ოთახში.

— ქვემო სართულზე? რატომ თავის ან ჩემს ოთახში არაა?

— ექიმის რჩევით, ბატონი ქსავიე პირველ სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, იმიტომ, რომ მისი ზედმეტად განძრევა საშიში იყო, იქვე დატოვეს და მხოლოდ საწოლი შეიტანეს შიგ.

სურათების გალერეაში გამავალი კარის სახელურს წავავლე ხელი, მერე შემოვბრუნდი და ვიკითხე:

— როგორაა? მძიმე მდგომარეობაა?

— ბატონი ქსავიე მეტ-ნაკლებად უკეთაა.

ეტყობა, ასეთი ბრძანება ჰქონდათ. კარის სახელური ჩამოვწიე

და სურათების გალერეაში შევედი; კვლავ აღმოვჩნდი ამ სახლში, სადაც ერთხელ კიდევ მომიმზადეს არასასიკეთო შეხვედრა. მაგრამ უკვე ვიცოდი, ის, რაც დღეს მელოდა, ყოველგვარ ლანძღვაზე, დუმილზე, ცხარე სცენებზე უარესი იყო: უბედურება მელოდა!

სასტუმრო ოთახის კარზე ხელი მოვაფაფურე. რა დამხვდება იქ? როგორ დამხვდება ქსავიე? კარი ფრთხილად შევაღე...

ყვითელი თითქმის ნაცრისფერი სახე მოჩანდა თეთრ ზეწარზე. თავზე კომპრესი ედო, ეტყობა, ეძინა. მომვლელი ქალი წამოდგა, ჩემკენ წამოვიდა. სანამ მასთან ერთად გარეთ გავიდოდი, საშუალება მომეცა, ერთხელ კიდევ დამეხედა ავადმყოფისთვის.

ეს ოთხფანჯრიანი სასტუმრო ოთახი მუდამ ნათელი იყო ხოლმე მონსოს პარკიდან და გამზირიდან შემოსული სინათლის წყალობით; ახლა კი ფარდები ჩამოეშვათ და ძხოლოდ ერთ-ერთი ფანჯრის შტორებს შუა გამოკრთოდა სინათლის ვიწრო ზოლი. ამიტომ იყო, ვეღარ ვცნობდი ამ სალონს. ობიუსონის ხალიჩაზე დასაკეცი რკინის საწოლი დაედგათ, თითქმის ისეთი, მსახურებს რომ უდგამენ ხოლმე. და ალბათ ამიტომ იყო, იქაურობა კიდევ უფრო მეუცხოვა... ყრუ ქვითინი წამესკდა: გამახსენდა, როგორი იყო ეს ოთახი იმ დიდი მეჯლისის დროს. აი აქ, ვაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ, მთელი ოჯახის თვალწინ გავუსკვენი ჰალსტუხი ქსავიეს... ქსავიეს, რომელიც ახლა უძრავად იწვა. თავი მძიმედ ჩაფლობოდა ბალიშში, ამასწინდელი ნამზეური, ბაიუს კონცხის შესანიშნავი ფერი ჯერ კიდევ შერჩენოდა, ოღონდ ზედ რაღაც უცნაური, ფერფლისფერი დასდებოდა: იქნებ ეს იმქვეყნიური მზის ნაკვალევია უკვე...

მომვლელ ქალს მივუბრუნდი. რაღაცას ვეკითხებოდი, თუმცა კი არც ერთი სიტყვა არ დასცდენია ჩემს ბაგეს.

— სძინავს, — ხმადაბლა მითხრა მან, — იმ უბედური შემთხვევის შემდეგ გრძნობაზე არ მოსულა.

მომიახლოვდა და ოთახიდან გამიყვანა. გრძელ, მკვეთრად განათებულ გალერეაში გავედით. ფრთხილად, უხმოდ გავემართეთ ვესტიბიულისკენ, საიდანაც არავითარი ხმაური არ ისმოდა. სასახლის სიჩუმეში ჩურჩულით ვლაპარაკობდით. ვიცოდი, ბევრი შეაშინა, ბევრი შეაშფოთა ქსავიეს მდგომარეობამ და კიდევ რაღაც ისეთმა, რაც მე არ ვიცოდი; ყველანი ელოდნენ, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას, მხოლოდ მაშინ გააღებდნენ კარს და ძირსაც ჩამოვიდოდნენ. ამ აზრმა ჩემდა უნებურად გამიელვა, თორემ ნამდვილი აგნესი მხოლოდ ქსავიეზე ფიქრობდა.

— მადმუაზელ, მე არაფერი ვიცი. ამიხსენით, გემუდარებით, რა მოხდა? ნუ გამიფრთხილდებით... ხომ იცით, ვინცა ვარ?

— დიახ, ქალბატონო. თქვენი ჩამოსვლის შესახებ გამაფრთხილეს. თავდაპირველი ვარაუდი არ გამართლდა: ავადმყოფს ფუძის მოტეხილობა არ ჰქონია...

— რაო?

— მაგრამ საშიშია, სისხლის ჩაქცევამ მოგვიანებით სისხლძარღვების დაწყვეტა არ გამოიწვიოს...

— ოჰ... მაშინ..

— მაშინ, ქალბატონო, მდგომარეობა ძალიან გართულდება... ყოველგვარ საშინელებას უნდა ველოდოთ...

— ღმერთო ჩემო!..

მეტი ველარაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ვერც ვერაფერი მოვიფიქრე.

— მაინც რა მოხდა? — ვიკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

— ავადმყოფი მეოთხე სართულიდან გადმოვარღნილა.

— მეოთხედან?

— დიახ, პირდაპირ ბაღში. საბედნიეროდ ბუჩქებზე დაეცა.

— ბუჩქებზე, ფანჯარასთან?.. კი მაგრამ, მაშასადამე... ჩემი ქმარი ჩემს ოთახში იყო? რატომ? ან როგორ გადავარდა?

— დაწვრილებით არაფერი ვიცი, მე შემდეგ გამომიძახეს, ექიმის რეკომენდაციით.

— კი მაგრამ, არაფერი გამოიკითხეთ?

— არ მითხრეს, ქალბატონო, და არც მე ჩავციებივარ.

სიჩუმე ჩამოვარდა. სასწრაფოდ გავიხსენე. რომელი ნათესავი იქნებოდა საქმის კურსში. დედაჩემის ან მამიდა ემას ნახვა ამაო იქნებოდა: თავს ამარიდებდნენ, მსახურს ათქმევინებდნენ, შინ არ არიანო. ყველაფერი წინასწარ ექნებოდათ მოფიქრებული.

— მადმუაზელ, ჯერჯერობით ვერაფერში გამოვადგებით?

— არა, ქალბატონო, ავადმყოფს თითქმის არ სჭირდება მოვლა. უბრალოდ, მეთვალყურეობაა საჭირო და მეც ადვილად გავართმევ თავს.

— კარგი. მაშინ წავალ და ნახევარ საათში დავბრუნდები.

ვესტიბიულის კარი გავაღე, მაგრამ ისევ შემოვბრუნდი. სამი ნაბიჯის ვადადგმა მომიხდა, მომვლელს რომ დავწეოდი დერეფნის ბოლოში.

— მადმუაზელ!

ხელი მოკიდე.

— მადმუაზელ, დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ასე რომ გაისარჯეთ.

— მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ქალბატონო.

— მჯერა... სულ ერთია, დიდი მადლობელი ვარ... თქვენს გამოცდილებას ვენდობი... თქვენ გენდობით! — ხელი მაგრად მოვუჭირე და დავძინე: — რადგან, რომ იცოდეთ...

თვალზე ცრემლი მომადგა, მზერადაბინდული ვხედავდი ყველაფერს და ის უცნობი ქალი, ჰგონი, გაკვირვებითაც მიყურებდა. თუმცა... არა... არა მგონია... მომველელი ქალები რას არ ხედავენ ხოლმე ასეთ ოჯახებში! ეს ყოველივე მობეზრებულიც ექნებათ და ალბათ გამობრძმედილებიც არიან, ადვილად ერკვევიან ნებისმიერ დახლართულ სიტუაციაში. ვინ იცის, იქნებ ამ ქალმაც გაიგო ჩვენი ოჯახის ამბები? ვინ იცის, რას ფიქრობს ამ უცნაურ უბედურებაზე, ამ უცნაურ ვითარებაზე?.. იმ მიზეზებზე, რაც ჯერ კიდევ მეც ვერ გავარკვიე, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიგო!..

ვან-დეიკის გამზირზე გავარდი. ტაქსი გავაჩერე:

— რენეკენის ქუჩა. ვაგრამის გამზირის კუთხეში. ოღონდ სწრაფად!

— ოო, ასეც ვიცოდი, რომ მოხვიდოდი!

მამიდა ლუიზმა თვითონ გამიღო კარი და ოთახში შემიყვანა. შევამჩნიე, კანკალებდა, სახე მობერებოდა; სასტუმრო ოთახის კარი რომ მიხურა, ხელები გადაიჯვარედინა, თავი გადააქნია და უხმოდ შემომხედა. წინანდებური თბილი შეხვედრა აღარ მიგრძვნია. არც უკოცნია. ეჰ, რაც უნდა, ისა ჰქნას!..

— მამიდა ლუიზ, შენი იმედი მაქვს, უნდა გამაგებინო, რა მოხდა?

— კი მაგრამ, აგნეს, ქსავიე ხომ ნახე... ალბათ იცი, რა დღეშია...

— ჰო, მომველელმა მითხრა, რა საფრთხეც ელის...

— შეიძლება, სულიც არ დაჰყოლოდა საცოდავ ბიჭს... ბუჩქები რომ არა...

— ვიცი. მაგრამ ის კი არ ვიცი, რატომ და როგორ გადმოვარდა ჩემი ოთახის ფანჯრიდან...

— აგნეს, როცა ეს მოხდა, მე ვან-დეიკის გამზირზე არ ვყოფილვარ.

— კარგი, გეყოფა! შეუძლებელია არ იცოდე, რა მოხდა იქ.

მამიდა ლუიზმა ამჯერადაც ბანზე ამიგდო სიტყვა:

— რატომ დედაშენს ან ემას არ ჰკითხავ? ისინი ჩემზე უკეთ... სიტყვა გავაწყვეტინე:

— ორივე დამალულია. მთელი ოჯახი გადაიმალა. ჩემმა ჩამოსვლამ ყველა შეაშინა: კურდღლებივით შეძვრნენ თავ-თავიანთ სოროებში!

— ოო, რა უსამართლო ხარ! იმ უბედური შემთხვევის მერე დედაშენი ფეხმოუცვლელად ზის დიდედასთან, რომელიც ამ ამბავმა ლოგინად ჩააგდო. რაც შეეხება ემას, იმედია, არ გაგიკვირდება თუ გეტყვი, ისეთი შეტევა დაეწყო...

— მართლაც არ გამიკვირდება... ყური მიგდე, მამიდა ლუიზ! ვიცი, ოჯახურ საქმეებში ჩარევა არ გიყვარს. ამიტომ არც გთხოვ ჩაერიო, ოღონდ გეხვეწები, ამიხსნა, აუცილებლად უნდა ამიხსნა ყველაფერი. შენც კარგად იცი, ნამდვილი ბრიყვი უნდა ვიყო, ვერ მივხვდე, რომ ამ უბედურ ამბავში, ქსავიეს ირგვლივ, ჩვენ ირგვლივ, რაღაც საიდუმლოებაა... რაღაცას მიმალავენ, ეს ხომ ცხადზე უცხადესია... შენ რომ იცოდე, ამ ერთ დღეში რა არ ვიფიქრე, რა არ განვიცადე! ან აქეთ მგზავრობისას რა დღეში ვიყავი... ან ამ დილით რა გადავიტანე, როცა ქსავიე უგრძნობლად დამხვდა საწოლში... მეგონა, მკვდარია-მეთქი!

ჩემმა ჩივილმა გული მოულბო. ჩემს ვარაუდებს კიდევ შეეძლო გულგრილად მოჰკიდებოდა, მაგრამ როცა ხმა ჩამიწყდა, თავი ვეღარ შეიკავა, ხელები დამიჭირა და თქვა:

— ჩემი საცოდავი გოგო! მართლა რომ უბედური ხარ! რაც უნდა ჩაგედინა...

— ასეთი რა ჩავიდინე?.. გეხვეწები, მამიდა ლუიზ, მითხარი, მითხარი, რა მოხდა?

— კარგი... მაშ, აი რა მოხდა: ემამ ბაიუს კონცხიდან უშენოდ გამოიძახა ქსავიე, უნდოდა ეცნობებინა, რომ შენ ბორტად გამოიყენე მისი ნდობა...

— რაო?

— ჰო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემა აცხადებს, ბავშვი, რომელსაც შენ ელოდები, არ შეიძლება ქსავიესი იყოს!

— კი მაგრამ...

— მე მხოლოდ მის სიტყვებს ვიმეორებ...

— ვიცი, განაგრძე!..

— ემას თუ დავუჯერებთ, შენ იმიტომ გათხოვდი ქსავიეზე, რომ... რომ მის თავს ძალით მოგეხვია მამობა.

— ქსავიემ ხომ იუარა?

— ქსავიემ მართლაც იუარა. მხრები აიჩეჩა და შენი დაცვა დაიწყო. საბუთად თარიღები, ზუსტი დრო მოიყვანა... ყველაფერი ეს თეოდორმა მიამბო დაწვრილებით; როგორც ოჯახის უფროსი და მოწმე, ისიც ესწრებოდა საუბარს. აბა, დედაშენს ხომ არ ჩააგდებდნენ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?!

— მერე? დაარწმუნა თუ არა ქსავიემ?

— ვერა. როგორც ჩანს, ემას ერთი უტყუარი საბუთი ჰქონია შემონახული. სახელდობრ რა, არც თეოდორმა იცის. ყოველ შემთხვევაში, თეოდორმა არ მითხრა. მამიდა ემა დიდხანს ეხვეწებოდა თურმე, ჩემს სიტყვებს ერწმუნეო: „შენ ვერ იქნები მამა, ეს შეუძლებელია. სინდისს გეფიცები. ნუთუ ეს არ კმარა?“ მაგრამ, ეტყობა, ქსავიე მაინც ვერ დაარწმუნა.

— მეც ასე მგონია!

— ერთი სიტყვით, სასოწარკვეთილ ემას თეოდორი გარეთ გაუსტუმრებია და კარი ჩაუკეტია. ხუთი წუთის შემდეგ იქიდან მიტკალივით გაფითრებული ქსავიე გამოსულა, უსიტყვოდ ასულა შენს ოთახში, მეოთხე სართულზე. ხელი არავის შეუშლია. უფიქრიათ, ალბათ მარტო დარჩენა უნდაო. ეს ამბავი საღამოს მოხდა, ათ საათზე. ნახევარი საათის მერე კი ემას უთქვამს, წავალ, ვნახავ, როგორაა. ზევით ასულა და აი, მაშინ ყველას გაუგონია საზარელი კივილი, ვესტიბიულში გავარდნილან, ემა კიბის საქცევზე მდგარა თურმე და კიოდა, ქსავიე ფანჯრიდან გადავარდაო. ბაღში ჩასულან, უბედური ბიჭი იქვე უნახავთ და გრძნობადაკარგული ზევით ამოუყვანიათ... აი, ახლა ყველაფერი იცი!

ვუყურებდი მამიდა ლუიზს, ცრემლები და ოფლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცი რამდენჯერმე გადაისვა და სახე შეიმშრალა.

— კარგი, კარგი, მამიდა... მაშ, შენ გინდა თქვა, რომ ქსავიე ფანჯრიდან გადახტა?

შუბლზე მიდებული ხელი გაუშეშდა.

— რა თქმა უნდა! ჩემო საბრალო აგნეს! სამწუხაროდ, არავის ეპარება ეჭვი.

— ოჰ, მართლა? და მაინც შეუძლებელია ასე იყოს! მამიდა ემას ახალი არაფერი უთქვამს ქსავიესთვის! არ ვიცი, რა ისეთი უტყუარი საბუთები აჩვენა საიდუმლოდ, მაგრამ ესღა შემიძლია გითხრა: ქსა-

ვიემ ყველაფერი იცოდა. იცოდა იმ ბავშვის შესახებ, მუცელში რომ მყავს!

— რაო?!

— თვითონვე შემომთავაზა, ცოლად გავყოლოდი და ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ გასაჭირიდან ვეხსენი. ორი კვირის შემდეგ... ერთი სიტყვით, იმ მამაკაცთან ჩემი გაუფრთხილებელი საქციელის შემდეგ, რომელიც ქმარი ვერ გახდებოდა... ამის ასახსნელად არც თავი მაქვს და არც დრო. ჰოდი, როცა მივხვდი, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ამბავს... ვიღუპებოდი, ლიონში ჩავედი და ქსავიეს გავანდე ყველაფერი. რჩევა ვკითხე. მან მითხრა, ცოლად გამომყევიო. ახლა გაიგე?

მამიდა ლუიზის უფერულ სახეს ჯერ კიდევ დაძაბული გამომეტყველება ოდნავ შეურბილდა, გაუნათდა, თითქოს მის სულში ერთბაშად გაიღვიძა ქალთა მარადიულმა სოლიდარობამ და მივხვდი, ჩემმა სიტყვებმა მძიმე ლოდი ჩამოხსნა გულიდან.

— აი, ეს უკვე სულ სხვაა... შენი ასეთი საქციელი გაცილებით წესიერია, ხოლო მას ნამდვილად გამოუჩენია დიდსულოვნება...

— მაშასადამე, ქსავიეს არავითარი საბაბი არ ჰქონდა ასეთი სასოწარკვეთილი ნაბიჯის გადასადგმელად. ცხადია, თავის მოკვლას არც აპირებდა... მაშ, რა უნდა მომხდარიყო?

ვისხედით და ხმას არ ვიღებდით. სული მეხუთებოდა, ვცდილობდი, გონი მომეკრიბა. მაგრამ ამ ჩემს კითხვაზე პასუხი ვერ მეპოვნა.

— ისეთი რა უნდა ეთქვა მამიდა ემას? — ვიკითხე ბოლოს.

— ახლა მეც ვერაფერი გამიგია, — წაიბუტბუტა მამიდა ლუიზმა, — რა უცნაური ამბავია!

წამოვდექი და ქურქი შევიქარი.

— ახლავე წავალ და თვითონ მას ვკითხავ. ასე აჯობებს!

— ემას ჰკითხავ? ოო, ჩემო გოგო, ფრთხილად იყავი! იმდენ უსიამოვნო რამეს გეტყვის... ისედაც საშინელი სიტყვები იხმარა შენი მისამართით...

— ზნედაცემულიო, კახპაო, გარყვნილიო, ხომ?

— არა... ავანტიურისტს გეძახდა. ყვიროდა, ჩემი ნათლულის „ფაპპულება“ უნდოდაო.

— აჰა! აი, რა აწუხებს!.. საცოდავი მამიდა ემა!

წინოთახში გავედი.

— გვადლობ, მამიდა ლუიზ, მთელი შენი სიკეთისთვის... და თუმცა ახლა დასკვნების ვამოტანის დრო არ არის, ჯერჯერობით ნუ გამკიცხავ. გულში მეტისმეტ სიმკაცრეს ნუ ჩაიდებ ჩემ მიმართ!

— ოჰ... — ამოიოხრა მამიდამ, — გულში, რასაკვირველია...

— როდის გნახავ?

— ამ საღამოს. ვან-დეიკის გამზირზე მოვალ, გავიგებ, რას იტყვიან ექიმები.

— ექიმები?

— ჰო. მეზიურერმა მოითხოვა, სპეციალისტი გამოიძახეთო.

— მით უკეთესი! მადლობა ღმერთს! რადგან, თუკი ქსავიეს გადარჩენა მარტო მეზიურერზე იქნება დამოკიდებული...

თვალწინ წარმომიმდგა ჩვენი შინაური ექიმის გაბანჯგვლული სახე, უსუსური, ლაქლაქა, ძველი მეთოდებით მკურნალი, სამაგიეროდ, ყოველგვარი მაღალი სამედიცინო ტიტულების მფლობელი, სწორედ ისეთი ექიმი, ბუსარდელებს რომ სჭირდებათ!.. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!.. მასთან მისვლისა და მოლაპარაკების აზრი თავიდან მოვიშორე, თუმცა საიდუმლოებას უეჭველად გაანდობდნენ. მაგრამ, აბა, რა გულწრფელი აღსარების იმედი უნდა მქონოდა ჩვენი ტომის ერთგული მეგობრისა, რომელიც ოცი წლის მანძილზე გაწაფული გახლდათ ჩვენი ოჯახის მანკიერების დაფარვაში?!

— მამიდა ლუიზ, იმ სპეციალისტის გვარი ხომ არ იცი, არლახან რომ მიხსენე?

— მოიცა... ღმერთმანი, არ მახსოვს. ამბობენ, ძალიან ძლიერი პრაქტიკოსი მკურნალიაო.

ტაქსი ვან-დეიკის გამზირზე, ჩვენი სასახლის ჭიშკართან შევაჩერებინე. მანქანიდან არ გადმოვსულვარ. მინა ჩამოვუშვი და მძღოლს ვთხოვე:

— ერთ სამსახურს ვერ გამიწევდით? თუ შეიძლება, შედით ამ სასახლის ეზოში, გაჰყევით ხეივანს სახლსა და ღობეს შორის და შემინულ კარზე ფრთხილად დააკაკუნეთ. მომვლელი ქალი გამოვა, უთხარით, რომ მასთან მინდა ლაპარაკი. აი, ეს ჩემი სადარბაზო ბარათი აჩვენეთ! თუ მსახური გკითხავთ რაიმეს, მასაც სადარბაზო ბარათი აჩვენეთ.

ბუჩქების მიღმა თვალს ვადევნებდი მძღოლის ნაბიჯს. ტაქსიდან მხოლოდ მაშინ გადმოვედი, როცა მომვლელი დავინახე: ცოტა ხნის წინ მინდოდა დედასთან ან მამიდა ემასთან შეხვედრა, მაგრამ გადავიფიქრე, გეგმებს ჩამიშლიდნენ.

მომვლელს ვანიშნე, გისოსთან მოსულიყო და გამოველაპარაკე.

ღობე გვყოფდა, მისი ლითონის წნელები მიუდგომელ ციხესიმაგრეს ამსგავსებდა ჩვენს სასახლეს.

— მაპატიეთ, მადმუაზელ, რომ შეგაწუხეთ... იმ სპეციალისტის გვარის გაგება მინდოდა, ექიმმა მეზიურერმა რომ გამოაძახებინა ჩემი ქმრისთვის.

— ექიმი როჟე ოსვალდი, ქალბატონო.

— სად შეიძლება მისი ნახვა? შინ იქნება?

— არა, ქალბატონო. დღის პირველ საათამდე ექიმი ოსვალდი სამსახურშია.

— სად მუშაობს?

— ლარიბუაზიერის საავადმყოფოში.

2

მთხოვეს, დამეცადა. თუ დერეფნიდან ფეხს არ მოვიცვლი, აუცილებლად შევამჩნევ ექიმ როჟე ოსვალდს. შემოვლას რომ მოათავებს, კაბინეტში შესასვლელად, სულ ერთია, აქეთ უნდა გამოიაროს.

მამაკაცები, ქალები და ერთი პატარა ბიჭი გაუნძრევლად ისხდნენ სკამებზე. ისინიც ექიმის გამოსვლას დარაჯობდნენ. ისე წესიერად იყვნენ ჩაცმულნი, ისე თავისუფლად ეჭირათ თავი, გამიკვირდა. პარიზის საავადმყოფოებს არ ვიცნობდი, ამიტომ ახლა, მიუხედავად მღელვარებისა, არ შემეძლო არ დავფიქრებულიყავი იმაზე, რასაც ჩემ ირგვლივ ვხედავდი. ეს ხალხი თავ-თავიანთი ბინიდან წამოსულან თავ-თავიანთი გასაჭირითა და სატკივარით და თითქოს მათი აქ მოსვლა გაკვეთილადაც გამომადგებოდა. ამ შემინული დერეფნის გასწვრივ მათი ყოფნაც კი აფართოებდა ბრძოლის იმ ველს, სადაც მე ვფართხალებდი.

— დაბარებული ხართ? — მკითხა მედდამ და შემათვალიერა.

— არა. მაგრამ უნდა დაველოდო!

— თქვენი გვარი?

სადარბაზო ბარათი გადავეცი, დახედა და ხალათის ჯიბეში ჩაიდო.

— დაბრძანდით.

საათი საათს მისდევდა. ჯერჯერობით ვერ ვბედავდი გვერდით მყოფი ხალხის შეთვალიერებას. ერთ-ერთი პალატის კარი ორჯერ გაიღო ფართოდ; საუზმით დატვირთული ურიკა ჯერ შემოაგორეს, შემდეგ კი ზედ დაწყობილი დასვრილი თეფშებითა და ცარიელი ბოთლებით

ვამოაგორეს უკან. მოვასწარი და ორ მწკრივად დადგმული საწოლები დავინახე: ზოგი ქალი იწვა საწოლზე, ზოგიც იჯდა.

უცებ დერეფნის ბოლოს, მეორე პალატიდან ხალხის ჯგუფი გამოვიდა. ჩვენკენ წამოვიდნენ. დერეფნის ერთი მხარე შემინული იყო და იქიდან ისეთი მკვეთრი შუქი შემოდიოდა, ბაღში გეგონებოდათ თავი, ამიტომ შორიდანვე შევძელი მათი დათვალიერება. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. ყველას თეთრი ხალათი ეცვა; უმეტესად თავშიშველა მამაკაცები იყვნენ. მათ შორის სამი თუ ოთხი ქალიშვილი ერია. პაციენტები წამოდგნენ. მეც წამოვდექი. ახალგაზრდებს რომ შევხედე, ვიფიქრე, ალბათ ექიმი ოსვალდის მოწაფეები არიან-მეთქი. ეტყობა, ჩემი მეზობლები პირველად არ არიან აქ და ისიც იციან, რომ საცაა თვითონაც გამოვა!

მედდა ექიმებს მიუახლოვდა და ერთ-ერთს, ალბათ ექიმი ოსვალდის მთავარ ასისტენტს, ჩემი სადარბაზო ბარათი გადასცა. მან ჩემი გვარი წაიკითხა, ამხანაგებს გამოეყო და ჩემკენ გამოემართა. სადარბაზო ბარათს თითებშუა ატრიალებდა.

— ქალბატონი ბუსარდელი? — იკითხა მან.

— დიახ, ბატონო. მინდოდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა...

— ექიმი ოსვალდი გახლავართ.

ისე გამიკვირდა, წინასწარ მომზადებული ფრაზები გადამავიწყდა. ჩემ წინ ვიწრო ხალათში ჩაცმული, ნერვიული სახის ახალგაზრდა კაცი იდგა; გამჭოლავი თვალები, დაღლილი ქუთუთოები და საფეთქლებზე მოძალებული ჭაღარა ამქღავნებდა, რომ იგი დასრულებული მეცნიერი იყო.

— მერწმუნეთ, ექიმო, თვითონ ვგრძნობ, ალბათ კადნიერებაში ჩამოვართმევთ...

შეშაწყვეტინა:

— მე კარგად მესმის თქვენი და სულაც არ მიკვირს.

მაშინვე მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. მადლობა ღმერთს, წეროსანი მეზიზღერი არ არის ეს კაცი. მისი მკაფიო ხმა, მისი უქარაგმო ლაპარაკი, მთელი მისი იერი ამ ადამიანის სულიერ წონასწორობაზე მიგანიშნებდათ; ასეთი ფიზიკური ჰარმონია დამახასიათებელია მხოლოდ ზოგიერთი დიდი სპორტსმენისათვის... მივხვდი, მომისმენდა. ისეთივე ყურადღება ამოვიკითხე მის გამოხედვაში, პროფესიულ თავაზიანობას რომ სცილდება ხოლმე. ამასთანავე, თითქმის ტოლები ვიყავით... არა, ნამდვილად კარგად მოვიქეცი, აქ რომ მოვედი.

თავისი კაბინეტის შემინულ კართან მიმიყვანა, გააღო.

— ექიმო, ჩემზე წინ ბევრია მოსული.

— ვიცი, — მითხრა და თითქოს უნდოდა დავერწმუნებინე, დასძინა, — მაგრამ კარგი იქნება, რაც შეიძლება სწრაფად თუ დაბრუნდებით ქმართან.

ოდნავი ხელის შეხება ვიგრძენი ზურგზე. შევედი. მოწაფეები არ შემოგვყოლიან, მოკრძალებით განერიდნენ საუბარს, რომელიც მკურნალობას არ ეხებოდა. გული გაშმაგებით მიძგერდა, მაგრამ როგორც კი ექიმის პირდაპირ დავჯექი, ოდნავ დავმშვიდდი.

— ქალბატონო, — წამოიწყო ექიმმა, — უფრო გარკვეულ პასუხს ალბათ საღამოს მოგცემთ. დილით, კონსილიუმზე არავითარი გართულება არ შეგვინიშნავს.

— ვიცი, ექიმო. მომვლელმა, ჩემს ქმართან რომ მორიგეობს, უკვე მაცნობა ეს... მე სულ სხვაგვარ ცნობებს ველი... თითოეული წუთი ძვირფასია თქვენთვის, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ... პირადი მოსაზრების გამო არ მინდოდა, ექიმ მეზიუერისთვის მიმემართა. მაპატიეთ, თუ შეიძლება, ძალიან ვღელავ...

მცხელოდა. ქურქი მოვიღელე. ექიმი ოსვალდი წამოდგა და ფართოდ გამოაღო ფანჯარა... სუფთა ჰაერმა უცებ გამომაფხიზლა.

— რაიმე განმარტებას მოელით ჩემგან? — მკითხა ექიმმა და დაჯდა.

— დიახ... არ ღირს იმის დაზუსტება, რის თქმასაც აპირებთ...

ლაპარაკი ხელის მოძრაობით შემაწყვეტინა:

— მაინც რა განმარტება გსურთ, ქალბატონო?

— ექიმო... მე მინდა განმარტება მომცეთ იმ უბედური შემთხვევის მიზეზზე... უკეთ, რამ გამოიწვია ეს უბედურება?

— ვშიშობ, თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებ. რაც შეეხება ავადმყოფის მდგომარეობას, მე უკვე მოგახსენეთ ჩემი აზრი. ხოლო მიზეზს... თქვენ თვითონ უნდა მიხვდეთ...

ახლა, როცა სული მოვითქვი, თავშეკავება აღარ შემეძლო, მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად გავრკვეულიყავი სიტუაციაში და თანაც ექიმისთვისაც გამეადვილებინა სათქმელი. ამიტომ თითქმის წაჰოვიყვირე:

— კი მაგრამ, ამ უბედური შემთხვევის მორალურ დამნაშავედ ხომ მე მთვლიან! მე გამაცნეს ჩემი ოჯახის ვერსია: თურმე ჩემმა ქმარმა გაიგო, რომ ბავშვი მისი არაა და ამ ცნობით თავზარდაცემულმა ეს საშინელი საქციელი ჩაიდინა.

— რა საქციელი?

— მაშ, არც თქვენ გჯერათ?

არაფერი მიპასუხა.

— საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი მაქვს, — გავნაგრძე მე, — რომ არც მე დავიჯერო. ასევე არ მჯერა, თითქოს რაღაც საიდუმლოების ვაჭხელამ ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი. რადგან: ეს ამბავი საიდუმლოება არ ყოფილა მისთვის. ჩემმა ქმარმა იცოდა, რომ მე ფეხმძიმედ ვიყავი, იცოდა ისიც, რომ ბავშვი ხსვისია...

— ქალბატონო...

— კარგად მესმის ყველაფერი, ექიმო. არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, ისეთი რამ გათქმევინოთ, რაც არ გინდათ მითხრათ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მე მისი ცოლი ვარ და აქ რომ ვყოფილიყავი... მავრამ ეს უკვე სხვა საქმეა! თვლით თუ არა თქვენ, რომ მე მაქვს უფლება გავიგო ამ უბედურების მიზეზი, ან თუნდაც ის, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი? და ბოლოს, მაინც საიდან და როგორ გადმოვარდა? ნუთუ თქვენ, ექიმს, არ შეგიძლიათ მიპასუხოთ ამ შეკითხვაზე?

თავი მიაბრუნა. მოთმინებით ველოდი. ბოლოს, როგორც იქნა, ნელა, დაფიქრებით წამოიწყო:

— ჩემი არ იყოს, თქვენც კარგად იცით, საქმე ეხება მეტისმეტად მგრძნობიარე ბუნების ადამიანს. ოთახში, სადაც ის დასაშვიდებლად შევიდა, ფულის რევა დაეწყო. ფანჯარა გამოაღო, რაფას დაეყრდნო, აღებინა, გარეთ გადაიწია, ისევ აღებინა. გულის ზიდვისას თავში სისხლის მოწოლამ ცააბრუა, ნელ-ნელა გადაიწია და წონასწორობა დაკარგა. აი, ესაა სულ.

სუნთქვა შემეკრა, როცა ეს სურათი წარმოვიდგინე... არა, აქ რაღაც სულ სხვა ამბავია, ვიდრე ჩვეულებრივი აღელვება... ქსავიე მარტოდმარტოა ჩემს ფანჯარასთან, დევნილი და იმდენად გამწარებული, რომ გულის ზიდვა დაეწყო და ღებინებისას ქვევით გადავარდა... ცუდად მესმოდა, რას ჰყვებოდა ექიმი იმაზე, თუ როგორ გაარკვიეს ყველაფერი: მესამე სართულის კარნიზზე ღებინების კვალი აღმოუჩენიათ... ასეთივე კვალი უნახავთ იმ ბუჩქებზეც, სადაც ქსავიე დაეცა...

— მაინც რა უნდა ეთქვათ ისეთი?.. ასეთი რა უყვეს, რომ გულისძარღვი ჩაუწყდა?..

ექიმმა ოსვალდმა ხელი აიქნია და მეც უცებ გამახსენდა, სადაც ვიმყოფებოდი. ეს ბოლო შეკითხვა მისთვის არ დამისვამს. ისიც ვიცოდი, სხვას აღარაფერს მეტყოდა. ამ კაცმა იცოდა ისეთი რამ, რაც მე არ ვიცოდი და მის წინაშე მე უძლური ვიყავი. ვგრძნობდი ჩემ მა-

მართ მის სიმპათიას... ახლაც ვგრძნობ. ასევე მხოლოდ ახლა ვხვდები, რატომ დუმდა.

მაინც ვერაფერი გავარკვიე. ექიმისა და მამიდა ლუიზისგან მიღებულ ცნობებს შორის არავითარი კავშირი არ არის, ნამდვილი შეუსაბამობაა.

წამოვდექი და ახლაც იგივე მომივიდა, რაც ამ ერთი საათის წინ დამემართა რენეკენის ქუჩაზე: გავშეშდი. დროა აქედან წავიდე. წარმოვიდგინე, როგორ შევაღებდი, არა, როგორ შევამტვრევდი მამიდ ემას ოთახის კარს! რა თქმა უნდა, ჯერ მასთან უნდა მივსულიყავი!

ექიმს მადლობა გადავუხადე თავაზიანობისთვის, მოვუბოდიშე, ამდენი დრო რომ წავართვი და გამოვემშვიდობე.

კარს მივუახლოვდი, გამოვაღე. დერეფანში მამიდა ლუიზი იჯდ სკამზე.

— საიდან გაიგე, აქ რომ ვიყავი? მომვლელმა გითხრა? რა კეთილი ხარ მამიდა ლუიზ, რომ მომაკითხე, მაგრამ ახლა შეხვის არ მცალია, ძალიან მეჩქარება.

— სად მიდიხარ, აგნეს?

— ვან-დეიკის გამზირზე.

გრძელ დერეფანს მივუყვებოდით; მამიდა ლუიზი ცუნცულით მომდევდა უკან, ცდილობდა არ ჩამომრჩენოდა და გრძელ ნაბიჯებს ადგამდა.

— ყური მიგდე, აგნეს... ვან-დეიკის გამზირზე, ქსავიესთან?

— არა. ჯერ მამიდა ემას გავესაუბრები. ნუღარ ეცდები გადამაფიქრებინო! სიმართლე ვერ გავიგე, მიმალავენ. მამიდა ემას კი ვაიძულებ, ვათქმევინო!

— არ ღირს მისი ნახვა!

— ვიცი, ათასნაირ უსიამოვნო სიტყვას მომახლის... მაგრამ მაინც ვათქმევინებ, რა მოხდა მასსა და ქსავიეს შორის.

— არა, აგნეს!

— გეფიცები, მეტყვის!

— არა. თქვენი ლაპარაკი შეუძლებელია! სწორედ ემამ გამომგზავნა აქ!

შევჩერდი. უკან მოვიხედე. მამიდა საკმაოდ შორს ჩამომეტოვებინა. ისიც შეჩერდა, აქლოშინებულმა ხელი გულზე მიიდო. მივუახლოვდი. შემინულ ტიხარს მიეყრდნო. ახლაღა შევამჩნიე მისი აღელვებული სახე, შიშით გაფართოებული თვალები, დაუდევარი ჩაცმულობა: პალტო პირდაპირ საშინაო კაბაზე გადაეცვა.

— მამიდა ემამ გამოგგზავნა? ჩემთან გამოგგზავნა?

— აგნეს, წავიდეთ აქედან. ხალხია ირგვლივ. გვიყურებენ.

შემინული კარი გავაღე. კიბის ორ საფეხურზე ჩავედით და ბაღში აღმოვჩნდით. მამიდა ლუიზი მძიმედ დაეშვა სკამზე, გალავანთან.

— თქვი, რა დაგაბარა!

— ერთი წუთი მაცალე, გეხვეწები...

ხარბად ყლაპავდა ჰაერს, მერე, როგორღაც, უცნაურად მოდუნდა.

— ამ ამბავმა სულ ამიბნია თავგზა... ასეთი დრამების ატანა არ შემიძლია.

და ატირდა. გვერდით მივუჯექი. თავი შევიკავე. გავამხნევე. როგორც იქნა, ალაპარაკდა:

— აი, რა უნდა გითხრა, აგნეს... როგორც კი ჩემგან წახვედი, შიშმა ამიტანა, წარმოვიდგინე შენი და ემას საუბარი!.. მაშინვე ვან-დეიკის გამზირზე გავიქეცი. იქ რომ არ დამხვდი, საჭიროდ ჩავთვალე მამიდაშენი დამეფრთხილებინა. მიპასუხა, არავითარ შემთხვევაში არ შევხვდებიო. ვუთხარი, მე მგონია, აგნესი ყველაფერს იკისრებს-მეთქი, კარგად გიცნობ: თუკი რაიმეს განიზრახავ... მაშინ ემაც შეშფოთდა და სკანდალის თავიდან ასაშორებლად გამოსავალს დაუწყო ძებნა. ჰოდა, შენთან გამომგზავნა მოსალაპარაკებლად.

— ჩემო საბრალო მამიდა ლუიზ, ამაოდ გარჯილხარ! რაკი შენ არაფერი იცი და მხოლოდ მამიდა ემას შეუძლია მითხრას...

— მოიცა! სწორედ ეს უნდა გითხრა... ღმერთო ჩემო! რამ წამიყვანა ვან-დეიკის გამზირზე, არ ჯობდა შინ დავრჩენილიყავი?!

— რა გინდა ამით თქვა?

— ის მინდა ვთქვა... მაგრამ ჯერ სიტყვა მომეცი, რომ ბოლომდე მშვიდად მომისმენ!

— კეთილი, გპირდები.

— ემამ მიამბო, რაც მოხდ

— რაო?

— ჰო, იმიტომ მიამბო, რომ ყველაფერი შენ გადმოგცე და ამით თავიდან აიცდინოს შენთან ლაპარაკი.

— მერე?

— ის, რაც მან ქსავიეს შეატყობინა და რამაც ასე ააღელვა ქსავიე... ეს... ეს სწორედ ის საბუთი იყო, მე რომ წელან გიხსენე, მას უნდოდა დაერწმუნებინა ქსავიე, რომ იგი ვერასოდეს ვერ გახდებოდა მამა, გაუმხილა ძალიან მნიშვნელოვანი საიდუმლოება, რომლის შესა-

ხვბ ქსავიემ არაფერი იცოდა. ეჰ, როგორ გაგავებინო, აგნეს? ერთი სიტყვით, ქსავიე... ქსავიეს არ გააჩნია მამაკაცის ყველა ის ფიზიკური მონაცემი...

— ნეტა რას ჰყვები? სასაცილოა პირდაპირ! ქსავიე აბსოლუტურად ნორმალური მამაკაცია. იგი ჩემი ქმარია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

— ჰო, საყვარელო, მაგრამ მისგან შვილის ყოლა შეუძლებელია!

და თუმცა სიზმარში, კოშმარებით გარშემორტყმული მეგონა თავი, გონებაში ისეთი სიტყვები შემოიჭრა, რასაც საავადმყოფოს ცარიელ საშინელ დამაჯერებლობას აძლევდა... დავოსში ყოფნისას, ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში, ტუბერკულოზური გენიტალიის სიმპტომებმა იჩინა თავი... ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, მაგრამ სნეულება უკვალოდ არ გამქრალა, დარჩა სათესლე არხების შევიწროება... რის გამოც ცვედანი არა, მაგრამ უნაყოფო მამაკაცი დარჩა... ბიჭი გამოჯანმრთელდა, გაიზარდა, მამაკაცი გახდა, ისევე, როგორც ყოველი უმაწვილი ხდება მამაკაცი... სავსებით ჯანსაღი, თვითონაც ჯანსაღად თვლის თავს, იცის, რომ ნამდვილი მამაკაცია, თუმცა ის კი არ იცის, მამა რომ ვერ გახდება... ვერასდროს... ექიმებმა იფიქრეს, ჯერ ბალღია და ამ ამბავს პირდაპირ ვერ მივაბლითო. გადაწყვიტეს, ნათლიისთვის შეეტყობინებინათ, იცოდნენ, მისი დედობილი იყო... მაგრამ დედობილმა...

— ოჰ, — ამოიოხრა მამიდა ლუიზმა, — ერთი წამითაც არ მეპარებაა ეჭვი მის სიტყვებში: ემას ეგონა, რაც უფრო გვიან აცნობებდა ამ ამბავს ქსავიეს, მით უკეთესი იქნებოდა. იგი ხომ ისეთი მგრძნობიარეა! თანაც მისი ჯანმრთელობის გამო იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს! ემა აყოვნებდა ამაზე საუბარს, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტად დააგვიანა. ჰოდა, შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა გუშინწინ...

ყურში ვილაცის ხმა ჩამესმა:

— ...ჰო, რა თქმა უნდა, უკანონო ბავშვისთვის ნიღაბი უნდა ჩამოეგლიჯათ!

ეს სიტყვები მე თვითონ აღმომხდენია. იმ განმარტებას, მე რომ მოვითხოვდი, ნათელი მოეფინა. ცნობიერებამ მიღალატა, სიცარიელე დაპატრონდა. იმის შემდეგ, რაც ეს-ესაა მითხრეს, უნდა წამოვმხტარიყავი, დამეყვირა, ორივე ხელი თავში წამეშინა, გულწასული დავცემულიყავი! არა! ნუთუ ყველაფერი ეს ამდენად უდავო და ამდენად ლოგიკური იყო?!

სკამიდან ვერ წამოვდექი. სულელურად ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში ის ხრიკი, თავის დროზე მე თვითონ რომ გამოვიყენე მორტიეს ქალიშვილის წინააღმდეგ: მათი ქორწინების ჩასაშლელად მეც ხომ ქსავიეს ავადმყოფობის აჩრდილი მოვიშველიე!.. ის ტყუილი ჩემს საწინააღმდეგოდ შემობრუნდა, უფრო მეტიც: ტყუილი — სიმართლე გამოდგა...

როგორც იქნა, წამოვდექი... მამიდა ლუიზი ბაღის ბოლოში გავიყოლიე. ერთხანს თავჩაღუნული ვიდექი და ვდუმდი. ფიქრები კვლავ ძველი, გაკვალული გზით მიემართებოდა და თავისთავად წვდებოდა ჩემი ოჯახის ჭეშმარიტ განზრახვებს.

— ...და რამდენადაც ჩვენი ქორწინება ხელს აძლევდა ყველას,— წავიბღუტბუტე ბოლოს, — ჩვენი ვაფრთხილება დაავიწყდათ... ოჰ, მამიდა ემა! მამიდა ემა!..

დარწმუნებული ვარ, მისი სახელი არასოდეს წარმოთქვამს ასეთი ხმით, ასეთი ღრმა დამაჯერებლობით. მამიდა ლუიზმაც იგრძნო ეს.

— ღმერთო ჩემო!.. — ატირდა იგი, — ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ ჩემი ხათრით... მე შემიბრალე... ის ხომ ჩემი დაა!.. თანაც, რომ გენახა, რა ღლეშია! ისეთი შეტევა აქვს, ისე იტანჯება, ყვირილს ვერ იკავებს. ოჰ, სწორედ ამიტომ დავთანხმდი მის მაგივრად შენთან ლაპარაკს. იცი, ძალიან მთხოვა...

— არა, მამიდა ლუიზ, ამისთვის არ გამოუგზავნიხარ აქ, თვითონაც ხომ ოთახში ჩაიკეტა. ეშინია და ამიტომაც გამოგგზავნა!

— ეშინია?

— ჰო, იმის ეშინია, რასაც მე ჩავიდენ!

[3]

— არავითარი ცვლილება არ არის! — მითხრა მომვლელმა, — ისევ უგონოდაა.

მან აშკარად შემატყო, რომ წელმოწყვეტილი, განადგურებული დავბრუნდი შინ. ჩემი მხრიდან რაიმე გამოხდომის შიში ამიერიდან აღარ უნდა ჰქონოდათ: ჩემი გაკვირვება ან შეშფოთება უკვე აღარაფერს შეეძლო. გაფრთხილება არ დასჭირვებია, ისედაც ხმადაბლა ველაპარაკობდი. ამ ოთახში დარჩენასაც ველარ ამიკრძალავდნენ, შეშეძლო სადმე კუთხეში დავმსხდარიყავით, ქსავიეს საწოლის შორიახლო.

— თქვენი აზრით, მადმუაზელ, რას უნდა ნიშნავდეს ეს სტაციონარული მდგომარეობა? გულწრფელად მითხარით, რასაც ფიქრობთ!

— მე მგონია, ქალბატონო, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

— ვხედავ, აზრის გაზიარებას ვერ ბედავთ... იქნებ, უკვე აგამხედრეს ჩემ წინააღმდეგ. ალბათ ეგზალტირებულ ქალად წარმომადგინეს...

— ქალბატონო, მე მხოლოდ ექიმებს ვუგდებ ყურს.

— მართლა? პირადად ვინ მოგიწვიათ აქ? ექიმმა ოსვალდმა?

— დიახ. უფრო ხშირად მასთან ვმუშაობ.

— ჩინებულია. ახლახან ვნახე იგი ლარიბუაზიერის საავადმყოფოში. მითხრა, იმედი მაქვს, ამ საღამოს საბოლოო დიაგნოზს დავსვამო მაგრამ თქვენ ხომ მაინც თავზე ადგახართ ექიმარს...

— ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო. სიხდისს გეფიცებით. სისხლჩაქცევა ჯერ არ შეინიშნება, მაგრამ ყოველ წუთისაა მოსალოდნელი და თანაც ყოველგვარი წინასწარი სიმპტომების გარეშე... ახლა თვით ექიმი ოსვალდიც ვერ გეტყოდათ ამაზე მეტს. შესაძლოა, ამ საღამოს, როცა იმ უბედური შემთხვევიდან ოცდათექვსმეტი საათი გავიდა...

უსასრულოდ გრძელი დღე გვირაბივით გაიწელა, გვირაბის ბოლოში კი კონსილიუმის შუქი კრთოდა, მაგრამ ვერაფერი გამერჩია; რა მელის იქ? კატასტროფა თუ სიმშვიდე? ჭანამ კი...

— მადმუაზელ... — წამოვიწყე ჩურჩულით, — მაპატიეთ, რა გვარი ბრძანდებით?

— ბიური.

— მადმუაზელ ბიური, მე ამ ოთახში უნდა დავრჩე. მინდა, ქმრის გვერდით ვიყო. თუ თქვენ ეს უხერხულად მიგაჩნიათ, გთხოვთ დაურეკოთ ექიმ ოსვალდს და ჰკითხოთ. დარწმუნებული ვარ, ნებას მომცემს.

— რა საჭიროა, ქალბატონო? აქ დარჩენას ვერავინ დაგიშლით.

რაკი მადმუაზელ ბიურიმ ჩემი სურვილი გაიზიარა, ნუთუ უკვე მიხვდა? მაშასადამე, არ შევმცარვარ. მიუხედავად ამ სახლში და მის ირგვლივ გაბმული ქარაგმებისა თუ მითქმა-მოთქმათა ქსელისა, შორსმჭვრეტელობისა და გამოცდილების წყალობით იგი სწრაფად გარკვეულა საქმის ვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც გარკვეულა, რომ მზად იყო მცდარი ნაბიჯი აღარ გადაედგა და დაუბრკოლებლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. მართალია, მისთვის ალბათ მხოლოდ ამას ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ეს მეც მაძლევდა

ხელს, იმიტომ, რომ, აღარ დამჭირდებოდა ახსნა-განმარტებანი, ჩემი უფლებების გამოყენება და იმის შეხსენება, რომ ავადმყოფის ცოლი ვიყავი.

აწასთანავე, როგორც კი სასტუმრო ოთახის კარი გამოვიხურე, იმის გარდა, რაც აქ ხდებოდა, რა საშინელებაც შეიძლებოდა მომხდარიყო, სხვა არაფრის დარდი არ მქონდა. ბუსარდელების სახლის ყოველი სართული სავსე იყო ისეთი ხალხით, ვისაც ჩემი აქ ყოფნა არ სიამოვნებდა, ვინც ჩემდამი მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ ერთბაშად დამეკარგა ის ინტერესი, ასე დიდხანს და ასე ჯიუტად რომ ვიჩენდი მათ მიმართ. ისინი უკვე რეალურ პიროვნებებად აღარც კი მიმაჩნდნენ. მთელი ჩემი სამყარო ახლა ამ ვიწრო საწოლით შემოიფარგლა, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ადამიანი, ვისაც ჩემი ბედი მივანდე.

ასე რამ დამადინჯა? ნუთუ იმ ამბავმა დამაშორა სუყველას, რაც ჩვენების შესახებ გავიგე? ნუთუ ჩვენ შორის ისეთი ზღვარი ყაიდო, რომ სულ მთლად უცხონი გახდნენ ჩემთვის?.. არა... კარგად ვიცი, რომ სწორედ ქსავიემ, ამ რკინის საწოლზე უგონოდ გართხმულმა, დასასრულებულმა ქსავიემ დააცხრო ჩემი აღშფოთება, დააცხრო შეუმჩნევლად, უხილავად, დააცხრო თავისი უძლური ხელებით, უხმოდ, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის გასაგები სიტყვებით, დააცხრო თვალდახუჭულმა... საოცარი კავშირით ვართ შეკრული! უცნაური ცოლ-ქმარი ვართ მე და ქსავიე!

მე არ დავტოვებ ამ სასტუმრო ოთახს, ავადმყოფის ამ პალატას, თუმცა კი ვიცი, ვერაფრით ვუშველი ქსავიეს, ვერაფრით შევუმსუბუქებ მდგომარეობას, რადგან სწორედ მე ავკიდე მსრებზე ჩემი უბედურების, ჩემი ბედნავსი ცხოვრების ნახევარი ტვირთი. და მაინც, სწორედ ისაა ჩემი მფარველი. რაკი ამ სასტუმრო ოთახის ოთხ კედელში ჩამკეტა, სწორედ ის მიცავს საკუთარი თავისგან, ჩემი ოჯახისაგან, იმ დაუოკებელი ცდუნებისაგან, ხელს რომ მიბიძგებს ავირბინო ზევით, შევამტვრიო კარი და შეურაცხყოფა მივაყენო...

მადმუაზელ ბიური დუმდა. ვარდისფერი აბრეშუმით გადაკრულ დაბალ სავარძლებში ვისხედით. სავარძლების ორივე მხარეს ლუდოვიკო XVI-ის სტილის მაგიდები იდგა და ოთახის ამ ბოლოში ერთგვარ ინტიმურ კუთხეს ქმნიდა. განა შემეძლო ოდესმე წარმომედგინა, რომ ერთ დღეს ასეთი შეძრწუნებული ვიჯდებოდი ამ სავარძელში და ეს სასტუმრო ოთახი შეგვიფარავდა მე და ჩემს ერთადერთ საყვარელ ადამიანს, რომლის სიცოცხლე საფრთხეში იქნებოდა?!

თითს შეუჩერებლივ ვუსვამდი ამ უცხო საკარძლის სახელურზე ჩაყოლებულ ღარებს, ვათვალიერებდი კედლებს, მწვანე ფარჩას, ობიუსონის ხალიჩებს, ჩვეულებრივ, სიცოცხლეჩამკვდარ ოთახს, რომელიც მხოლოდ დიდი წვეულებისთვის იყო განკუთვნილი. ახლა კი, მას შემდეგ, რაც აქ რკინის ვიწრო საწოლი შემოიტანეს, ოთახი თითქოს გამოცოცხლდა და სავანედ იქცა.

— თუ დავიღლები, — ხმადაბლა ვთქვი მე, — აქვე მივწვები და ის იქნება!

და იქვე მდგარ კანაპეზე მივანიშნე. მახსოვს, მეჯლისის დროს სწორედ ამ სკამლოგინზე იჯდა სტუმრებით გარშემორტყმული ჩემი ფეხმძიმე რძალი, ჟანა-სიმონი.

— კარგი, ქალბატონო, — შემეხმიანა მომველელი, — თქვენ ალბათ ძალიან დაღლილი ხართ, კარგი იქნება, თუ ისაუზმებთ, თორემ დასუსტდებით.

— ოჰ, სულ არ მშია.

— თავს ძალა უნდა დაატანოთ! ახლა თქვენ სიმხნევე გმართებთ...

და რაკი იგრძნო, გამიძალიანდებაო, სწრაფად დაუმატა:

— უთხარით, გალერეაში მოგიტანონ საუზმე; თუ საჭირო იქნებით, დაგიძახებთ. სანამ ისაუზმებთ, სასტუმროს დიდი დარბაზის კარიდან მადმუაზელ ბუსარდელს შემოვუშვებ თხუთმეტი წუთით...

მამიდა ემა!.. ისე დავიბენი, ერთხანს ვერაფერი ვუპასუხე. იმის შემდეგ, რაც ლარიბუაზიერის საავადმყოფოდან დავბრუნდი, სადაც ის საიდუმლოება მაცნობეს, პირველად წარმოვიდგინე ასე აშკარად, რომ ადვილი შესაძლებელი იყო ამ სახლში, ამ ოთახში, ყოველ წუთს შევხვედროდი პირისპირ მამიდა ემას... ოჰ, სულაც არ ვაპირებდი, აღშფოთებისგან დაბრმავებულს, მისთვის გადამებრალებინა ყველაფერი ან საკუთარი თავი დამეზოგა! განა თვითონვე არ აღიარა თავისი დანაშაული, როცა მამიდა ლუიზი მომიგზავნა, როცა ჩემთან შეხვედრას თავი აარიდა, როცა თავისი ნათლულის სასთუმალთანაც კი ვერ ბედავდა ჩემთან შეხვედრას? განა ამით არ აღიარებდა, რამდენად მძიმე იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ჩემს უსუსურ და ბანალურ შეცდომასთან შედარებით?!

ბუნებრივია, იმაზე სულაც არ ვფიქრობდი ან, უკეთ, აღარ ვფიქრობდი, თუ რამხელა დანაშაული მიუძღოდა პირადად ჩემ წინაშე, როცა ქორწინებამდე არაფერი მითხრა. თუმცა, ამიერიდან ყველაფერი სულ ერთი იყო ჩემთვის. შესაძლოა, თავდაპირველად ისე არეული მქონდა გონება, პირადად ჩემი წყენა ვერ ვაპატიე, მაგრამ ახლა მთე-

ლი ჩემი დარდი და წუხილი ამ საწოლზე გართხმულ ქსავიეს დასტრიალებდა თავს... მხოლოდ მასზე ვფიქრობდი. ბოროტმოქმედების მსხვერპლი მხოლოდ იგი იყო. ქსავიე ჩვეულებრივად იცხოვრებდა. ამისთვის კი საჭირო იყო, მამიდა ემას დროზე გაემხილა ის საიდუმლო. საკმარისი იყო, ადრე გადაეწყვიტა, შეერჩია დრო, მოჰყოლოდა წილადობილას, შთაეგონებინა, რჩევა მიეცა; იქნებ მე და ქსავიე მაინც დავქორწინებულიყავით, მე კი სხვა გამოსავალი მეპოვნა. არ ვიცი, რას მოვახერხებდი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უბედურება არ დატრიალდებოდა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცნობდი ქსავიეს. გუშინწინ საღამოს იგი თავისი საიდუმლოდ შენახული ნაკლის აღმოჩენამ იმდენად არ შეაძრწუნა, რამდენადაც იმ ფაქტმა, რომ იგი ორჯერ გააბრიყვეს შეგნებულად, როცა გამორჩენის მიზნით საკუთარი ნაკლი დაუმალეს, დაუმალეს ისევე, პირუტყვის თანდაყოლილ ნაკლს რომ მალავენ, აქაოდა, უფრო მომგებიანად გავყიდითო. მამიდა ემა ანგარებამ დააბრმავა, შესაძლოა, უფრო თავქარიანობითა და დაუდევრობით მოქცეულა ეს, ცინიზმით, მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ხომ აჰყვა ანგარებას! ჯერ გადაწყვიტა, სიმართლის გამხელა სახიფათო იქნებაო მორტიეს ქალიშვილთან მაჭანკლობისას, ხოლო მერე ორმაგად სახიფათოდ ჩათვალა იგი, რადგან უკვე ფიქრობდნენ, ქსავიეს დაქორწინება არც ისეთი აღელილი საქმეაო. თანაც ამჯერად საცოლედ აგნესი შეარჩია, რომელიც სხვის ნებაზე გათხოვებას არ აპირებდა და ამის იმედიც გადაწურული ჰქონდათ. ბებერმა ნათლიამ წყალი ჩაიგუბა პირში და თუკი დუმილს პოლიტიკას ეძახიან, თუკი მაინც დასცდა საიდუმლო, ეს ამბავი სიბრაზემ ჩაადენინა, რადგან ვერ დაუშვებდა ოჯახში იმ ბავშვის ყაჩენას, რომელიც მის საგვარეულოს არ ეკუთვნოდა, ვერ დაუშვებდა ბუსარდელთა ქონების მემკვიდრე ყოფილიყო ბავშვი, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ ამიტომ მოიქცა ასე, სხვა მიზეზი მას არ გააჩნდა, არც დაგვიანებული სინდისის ქენჯნა ამოძრავებდა, არც სკანდალის ეშინოდა, მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური ზარალის შიშით ჩაიდინა ეს!

ოო, ეს რეგვენი შინაბერა! ნახევრად გიჟი ბაიყუში, ყბედი, ვითომ სიკეთის მთესველი, სინამდვილეში კი ავგული, საკუთარი ღვარძლით მოწამლული დედობილი!

...ლოყები მიხურდა... სწორედ ამ ქალის აქ შემოყვანა შემომთავაზა მომვლელმა. აქამდე არაფერი მიპასუხნია.

— ხომ შეიძლება, ქალბატონო? — წამჩურჩულა მადმუაზელ ბიუ-ლიმ.

ამ სიტყვებში ისეთი მტკიცე, დამაჯერებელი ინტონაცია ჩააქსოვა, რომ მის სიტყვებს შეკითხვაც აღარ ეთქმოდა. იგი თითქოს გეუბნებოდათ: „ეს იქნება გონივრული გადაწყვეტილება. სანამ თქვენ გალერეაში ისაუზმებთ, მადმუაზელი ბუსარდელი დიდი სასტუმროს დარბაზიდან შემოვა! მაშ, ასე, შევთანხმდით!“

ქსავიეს დავხედე: თავისი უძრაობით თითქოს შორიდან მიკარნარებდა პასუხს:

— კეთილი, მადმუაზელ ბიური, ოღონდ სანამ საუზმობას შოვრჩები!

გალერეაში ვისაუზმე. ჭეშმარიტი მაგიდაზე დაელაგებინათ, ოღონდ საუზმე ემილის ნაცვლად იმ ახალგაზრდა მსახურს შემოეტანა, დილით რომ მორიგეობდა წინოთახში. ამერიკიდან დაბრუნებისას სწორედ ამ მსახურმა მიმიღო გულგრილად. მისი ბრიყვული სახე ახლაც მშობლიური სახლის ფირნიშად ვიგულე.

მამიდაჩემს, გვერდით ოთახში რომ იჯდა, გულუხვად დავუთმე დრო, განგებ ვაყოვნებდი, ორი ფინჯანი ყავა დავლიე, ვითმენდი მის იქ ყოფნას, რადგან ვიცოდი, ამით ჩემი ავადმყოფი არ დაიტანჯებოდა: იგი ვერაფერს ხედავდა, მას არაფერი ესმოდა.

ამასობაში გონიც მოვიკრიბე. გადავწყვიტე, საკუთარი თავი არ დამეზოგა, პირადი წყენა გადამევიწყებინა. ყოველ შემთხვევაში — არაფრად ჩამეგდო იგი, ვამჯობინე, ამიერიდან მხოლოდ ქსავიეზე შეზრუნა.

ვიჯექი და ვიცდიდი, როდის დაძრძახებდა მადმუაზელ ბიური. უცებ კარი გაიღო და გავიგონე:

— ვრძნობაზე მოდის!

წამოვხტი. რაღაც უცნობმა ძალამ ამიტაცა და წინ გამაქანა... თვითონაც არ ვიცოდი, საითკენ: გულმოწყალე ბედისკენ, გულისხმიერი მომველელი ქალისკენ თუ, რაც მთავარია, ქსავიესკენ, რომელმაც დაშინდო და ვრძნობაზე მოვიდა!..

სასტუმრო ოთახში შევვარდი. ჩემი ადგილი თავისუფალი დამხვდა. როგორც კი ავადმყოფი შენძრეულა, მამიდა ფაშინვე წასულა. დავიხარე. თეთრ ბალიშზე დასვენებულ, ჩატეტკილ სახეს ღავხედე და ჩავჩურჩულე:

— მე აქა ვარ... ბაიუს კონცხიდან ჩამოვედი... აქა ვარ... ეს მე ვარ, აგნესი!

თვალები არ გაუხელია, მაგრამ ჩემი ხმის გაგონებაზე ქუთუთოები აუთრთოლდა, გაეპო, გუგები გამოუჩნდა; ერთი წუთის განმავლობაში უსიცოცხლო, გულწასული ადამიანის გამოხედვით იყურებოდა; მინდოდა გამემხნევებინა, მინდოდა ძალა მრეკრიბა და გავუმეორე:

— აქა ვარ... ხომ ხედავ, აქა ვარ... ქსავიე, ჩემო კარგო!

ქუთუთოები ასწია და შინაგანი შუქის პაწაწინა ნაპერწკალი გამოაკრთო: შემომხედა, დამინახა. მართალია, მისი უსიცოცხლო სახე კვლავაც არაფერს გამოხატავდა, მაგრამ მაინც მივხვდი, სადღაც, სულის კუნჭულში, ქსავიემ გაიღიმა... მადლობა ღმერთს! მაპატია! მაპატია, რომ მეც ვიყავი ჩარეული მის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში!.. ამაში უკვე აღარ მეპარებოდა ეჭვი!..

მთელი ტანით ავკანკალდი. მადმუაზელ ბიურიმ ძალით დამსვა სკამზე, ქსავიეს ოდნავ დავშორდი.

— ეცადეთ, არ ალაპარაკოთ! — წამჩურჩულა მომვლელმა ქალიშვილმა.

— ჰო... პირობას გაძლევთ! — და ისევ ქსავიეს მივუბრუნდი: — ოღონდ შენ არ ილაპარაკო... არ გაინძრე... ჭკვიანად იყავი... მე შენ არ დაგტოვებ...

ფრთხილად შევყავი ხელი საბნის ქვეშ, მის გაშეშებულ თითებს შევეხე.

— ხომ ხედავ... წასვლა რომ დავაპირო, მაშინვე იგრძნობ...

ქუთუთოები დაუშვა. შვებით ამოვისუნთქე. ჯიჟურმა იმედმა მომიცვა. ოჰ, უკვე ვიცოდი, რისი იმედიც უნდა მქონოდა, ვიცოდი, ერთადერთი რამ იყო მთავარი!.. ვცდილობდი, აღელვება დამეოკებინა, შევბრძოლებოდი იმ ნერვულ შემოტევას, მე რომ მემუქრებოდა... როგორც იქნა, ცრემლი მაინც წამსკდა, ღაპაღუპით ჩამომდიოდა ლოყებზე. საღლაც წაკითხულმა ორმა სიტყვამ თავში გამიელვა: „სიბრალულის შადრევანი...“ ვიტირე და გულზე მომეშვა... სიბრალულის შადრევანი... მაგრამ დაძაბულობა მაინც ვერ მომიხსნა ცრემლმა, ნერვები ისევ აწეწილი მქონდა. მალე ქვითინი ამივარდა. მადმუაზელ ბიურის შეეშინდა, ეს ნერვული ქვითინი ავადმყოფს არ ეგრძნო და არ აეღორიაქებინა. მაჯაზე მტაცა ხელი და მაგრად მომიჭირა. ერთბაშად დავმშვიდდი; არ ვიცი, ამ შეხებამ დამამშვიდა თუ იმის შიშმა, ქსავიე არ აღელდეს-მითქი.

ქსავიეს სძინავს. მარტო ვარ. მადმუაზელ ბიური სასაუზმოდ წავიდა. მსახური ფეხმოუცველელად მორიგეობს გალერეაში და პირველივე ჩემს ძახილზე მოუხმობს.

მკლავი დამიბუქდა, ქსავიეს ხელიგულს შენაცვლებით ვადებ ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ხელს. საკმაო დრო გავიდა და უცებ მომეჩვენა, თითქოს ჩემს ხელზე დადებულ თითებს ცნობიერების სუსტი დენივით გადაუარა თრთოლვამ. მალე ქუთუთოებიც ასწია ქსავიემ და შემომხედა.

წამოვდექი, საწოლზე დავიხარე და ხმადაბლა ვუთხარი:

— აქა ვარ... ნუ ღელავ!

დავინახე, ბაგეებიც აუთრთოლდა.

— ქსავიე, საყვარელო, ლაპარაკი არ შეიძლება...

მისი მოკუმული ბაგეები ისევე გამოცოცხლდნენ, ისევე ათრთოლდნენ, როგორც ქუთუთოები ამ ცოტა ხნის წინათ. ბოლოს ბაგეები კიდეც გაეპო.

— წყალი ხომ არ გინდა?.. გტკივა რამე?.. მომვლელს დავუძახო?

თვალებში შიში ჩაუდგა, დროზე მივუხვდი, რომ არავის დაძახება არ იყო საჭირო.

მივხვდი, რაღაცის თქმა სურდა. ცნობიერების ტალღამ ორჯერ გადაურბინა სახეზე და ვიგრძენი, რა ტანჯვა-წვალებით მოიკვლევდა გზას სიცოცხლის ნაკადი. ვხედავდი, როგორ უბრუნდებოდა სული იმ შორეთიდან, სადაც აქამდე მიყუჩებულიყო, იმ საიდუმლო საფარიდან, რომლის გაზომვის უნარი არავის ძალუძს და რომელიც ალბათ სხვა სამყაროს, სხვა ვითარებას ეკუთვნის. ამ ხანმოკლე წამში, როცა ეს გარეგნული ლეთარგია შეწყდა. სწორედ იქ მზადდებოდა რაღაც, აღსარება ან ვედრება, რასაც ჩემამდე უნდა მოეღწია, რაღაც მნიშვნელოვანი განაფიქრი, რომლის გამოსათქმელად ჯერჯერობით უძლური იყო სიტყვა... რაღაც ბუტბუტი მაინც ჩანესმა:

ვერაფერს მივხვდი.

— რა გინდა მითხრა?

გაურკვეველი ბუტბუტი განმეორდა, ოღონდ ამჯერად ორი პაუზით. უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე: ვერაფერს ვხვდები. შიშმა ამიტანა: ჩემი მხრივ რა იყო უფრო დიდი გაუფრთხილებლობა — ის, რომ გონების დაძაბვას ვაიძულებდი თუ ლაპარაკი რომ ავუკრძალე?

უფრო დაბლა დავიხარე. მთელი გონებით, მთელი ინსტინქტით ვცდილობდი ჩაეწვდომოდი აზრს, ბგერების ამ უცხო ლუღლუღს, რომელიც წუწუნს უფრო ჰგავდა. მომეჩვენა, თითქოს გარკვევით გავი-

ვონე ორი ბგერა: „შო... გან...“ რას ნიშნავს? რა არის „შო“? რა არის „...გან?“ სხვა რამ მაშინებდა: ვაითუ, აზრები ერევა, ვაითუ, გონება დაუბნელდა-მეთქი! არა, მისმა ნათელმა გამოხედვამ დამაწმვიდა... ეს ცამოხედვა დაჟინებით მოითხოვდა, მიბრძანებდა, მთხოვდა რაღაცას... ბოლოს, ქსავიემ, ეტყობა, მთელი ძალა მოიკრიბა და ორი სიტყვა ძლივს ამოღერღა:

— შორს... ამათგან!

4

კონსილიუმი ექვსი საათისთვისაა დანიშნული. ჯერ კიდევ დიდხანს მომიხდება ლოდინი. მაგრამ ამ ორმა სიტყვამ ახლა სულ სხვა საფიქრალი ცამიჩინა. ოო, გვირაბში აღარ ვგრძნობ თავს! ახალი შუქი მინათებს გზას. ათასნაირ გეგმას ვაწყობ. პირველ რიგში იმაზე ვფიქრობ, თუ რა აჯობებს იმისათვის, რომ ქსავიეს ბრძანება შეეასრულო და ამ ოჯახთან კავშირი გავწყვიტო!?

ოთხ საათზე სასტუმრო ოთახიდან გამოვედი, მერე სახლიდანაც წავედი; როცა დავბრუნდი, ჩანთა სავსე მქონდა ათასნაირი პროსპექტით. როგორც კი ჩემი ძვირფასი ავადმყოფი ბურანს დააღწევს თავს (აკი დაუბრუნდა ცნობიერება!) და როგორც კი მარტონი დავრჩებით, თვალწინ გადავუშლი ამ ილუსტრირებულ ცნობარებს, სადაც სანიტარული კარეტების უახლესი ნიმუშებია წარმოდგენილი. ერთი ფირმა შევარჩიე, რომელიც ავადმყოფების შორ მანძილზე გადასაყვან მანქანებს აშზადებს: საგანგებოდ გამზადებული საკიდრიანი, ულერძო მანქანების ახალი მოდელები ჰქონიათ. ერთ-ერთი ასეთი სანიტარული მანქანა უკვე მზად ჰქონდათ და კიდეც მაჩვენეს; გულდასმით დავათვალიერე: ვრცელი, მშვენივრად აღჭურვილი მანქანაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კლინიკის პალატასაც წააგავს და ტურისტულ ფურგონსაც. მართალი გითხრათ, ძალიან მესიამოვნა, როცა ცხრაასი კილომეტრის გასავლელად საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვეს. მინდოდა, რაც შეიძლება ძვირი დამჯდომოდა. სულ ერთია, ამ უბედურების შემდეგ ქსავიეს „შორს ამათგან“ წაყვანა ისეთ სიხარულს მანიჭებდა, ამ სიხარულის ფასს ვერასოდეს გადავიხდიდი.

სიფრთხილე გამოვიჩინე, ჩემი განზრახვა მადმუაზელ ბიურისაც არ გავანდე: ქსავიეს თხოვნის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი იცოდა, მაგრამ, ეტყობა, ისეთი ბედნიერი სახე მქონდა... მომვლელის გაკვირვებული გამოხედვა რამდენჯერმე შევამჩნიე. მშვიდად ვუყურებდი,

როგორ დაიხარა ავადმყოფისკენ, მაჯას უსინჯავდა, უკლიდა, მაგრამ მისი სერიოზული გამომეტყველება მაინც არ მაშინებდა. რასაკვირველია, არ შეეძლო მიეხვდარიყო, რომ მდგომარეობა შეიცვალა და რომ ქსავიეს მოქმედების უნარი დაუბრუნდა.

დიდხანს მაინც ვერ შევიკავე თავი.

— როგორ დამავიწყდა მეთქვა, მაღმუაზელ ბიური! — წავჩურჩულე, — წარმოიდგინეთ, სანამ თქვენ საუზმობდით, ჩემმა ქმარმა ორიოდე სიტყვა მითხრა... ნუ გეშინიათ, მაშინვე გაჩუმდა.

— ოი, ოი!

— ხომ კარგი ნიშანია, რომ დაილაპარაკა?

პასუხის ნაცვლად მაგრად მოკუმა ბაგეები, თითქოს საკუთარი მოსაზრების თქმას ერიდებაო. კარგად ვიცოდი, მომვლელებს საერთოდ არ უყვართ საკუთარი აზრის გამოთქმა, რადგან შესაძლებელია იგი ექიმის მოსაზრებას არ დაემთხვას.

ბოლოს მაინც ამიხსნა, ასეთ შემთხვევაში ცნობიერების დაბრუნებას, ალბათ, შესაძლებელია, ყართულება მოჰყვესო. ხმადაბლა შეეკამათე.

— ცნობიერების დაბრუნებაც არის და ცნობიერების დაბრუნებაც! გთხოვთ, დამიჯეროთ, ჩემმა ქმარმა ძალიან ნათლად გამოთქვა აზრი!

ორივე ექიმი ერთად შემოვიდა ოთახში. მათ უკან, გალერეაში გამავალი კარის ღიობში, მაჰიდა ემა დავლანდე.

აქეთ მოიწევს, საცაა შემოვა. ექიმების თანდასწრებით ჩემთან პირისპირ შეხვედრისა არ ერიდება. ალბათ ფიქრობს, რომ მათი თანდასწრებით ვერაფერს გავუბედავ. ერთ რამეში ცდებოდა მხოლოდ: ჩემი თავშეკავების მიზეზი ვერ გამოიცნო. ასე რომ, ისე მოადგა კარს, ისე გადასცრა ოთახი და ჩემკენ ისე წამოვიდა (ქსავიესთან ვიდექი), ხმა არ ამომიღია.

დიდი ხანია ჩვენი ოჯახის წევრებს თავ-თავიანთი ადგილი უჭირავთ იერარქიულ კიბეზე, სალონებშიც და ეკლესიაშიც. მე და მაჰიდაჩემი საწოლის ფეხებთან დავდექით, ერთი მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ: ის — ექიმ მეზიურერის გვერდით, მე — ექიმ ოსვალდის გვერდით.

რაკი მომვლელი ქალიშვილი ავადმყოფის საწოლთან ფუსფუსებდა, იძულებული გავხდით, ქსავიეს დავშორებოდით და შუა ოთახში დავმდგარიყავით. ორივემ ერთდროულად დავიხიეთ უკან, ორივე თანაბარი მანძილით დავშორდით ქსავიეს.

თავი მოვაბრუნე. მამიდა ემას შევხედე. ჩემსავით გაშეშებული, წელგამართული იდგა. ხელებიც ჩემსავით გადაეჯვარედინებინა, ოღონდ ესაა, ექიმებს, რომლებიც ქსავიეს გაქვავებულ სახეს დასცქეროდნენ, თვალს არ აშორებდა. რითი აიხსნებოდა მისი ეს ჩაშტერებული მზერა? ქსავიეს მდგომარეობა აწუხებდა თუ თავს ძალას ატანდა, როგორმე ვერ შეეჩნია აგნესი? უკან მოვიხედე და ოთახის სიღრმეში მნახველების კიდევ ერთი ჯგუფი შევამჩნიე. ოჯახის სხვა წევრებიც გათამამებულან, ასეთ ვითარებაში სკანდალს არ აგვიტეხსო და კონსილიუმზე დასასწრებად გამოცხადებულან; ოდნავ მოშორებით იდგნენ: ძია თეოდორი, მამიდა ლუიზი, დეიდა ჟიულიენი და ჩემი ორივე ძმა. დედაჩემიც იქ ბრძანდებოდა. პირველმა ხუთეულმა ჩემს გამოხედვას გულგრილი, შიშნარევი, დაბნეული მზერა შეაგება. ასეთი რამ სუყველას ეხერხებოდა: ამ მძიმე ვითარებაში ხომ სავსებით ბუნებრივია, სალამი დაგავიწყდეს ადამიანს, თუმცა კი ქორწინების შემდეგ არც ერთს არ ვენახე. მხოლოდ დედაჩემმა ამარიდა თვალი.

მხიარული ნიღაბი, მუდამ სახეზე რომ ეფინა, ჩამოშორებოდა და მარი კლეოფსის ნიღაბი გოლგოთის ნიღბით შეეცვალა. მიუხედავად ამისა, თვალს მაინც აცეცებდა, ხან დისკენ, ხან მულისკენ გაურბოდა მზერა, თითქოს მოწმედ იხმობდა ორივეს, ხან უფროს ვაჟს გადახედავდა შეთქმულის იმ გამომეტყველებით, საქმეში ჩაუხედავი კაცი რომ ვერაფერს გაუგებს; მერე მისი მზერა საწოლსაც მისწვდა, ერთ წერტილს მიეყინა, ბოლოს კი, თითქოს გამოფხიზლდაო, მთელი ოთახი შემოიარა, ოღონდ ისე, ჩემკენ ერთხელაც არ მოუხედავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში და მერეც, ერთხელაც ვერ დაიჭირე მისი გამოხედვა, მუდამ ახერხებდა თვალის არიდებას. ამიტომაა, ვერასოდეს რომ ვერ გამომეცნო და ვერც გამოვიცნობდი დედაჩემის ნამდვილ გრძნობებს. მაგრამ ‘კარგ დღეში ნამდვილად ვერ იყო და ამას იმითაც ვამჩნევდი, რომ ილლიასთან ოფლის ლაქები ნელ-ნელა ეზრდებოდა.

ექიმებმა გასინჯვა ბოლოვეს და გვერდით ოთახში შევიდნენ. სანამ კარს მიხურავდნენ, ყბედმა ექიმმა მეზიურერმა ოჯახის წევრებს მიმართა:

— ეთხოვთ, ცოტა ხნით დაგვიცადოთ. დიდი-დიდი, ხუთი წუთი...

მე და მამიდა ემა საწოლს მივუახლოვდით; მისდა უნებურად ჩემს სავარძელში ჩაჯდა, მომვლელმა ქალიშვილმა სკამი გამომიწოდა და მეორე მხარეს დავჯექი. ასე რომ, საკმაოდ კარგად წარმოვადგინეთ გულის ამაჩუყებელი სცენა: ორი მეტოქე ავადმყოფის საწოლთან აპირებს შერიგებას, მაგრამ ქსავიეს გაშეშებული სხეული გვთიშავდა

და ამიტომ ხელის გაწვდენა ვერ მოგვეხერხებინა ერთმანეთისთვის.

ექიმები დაბრუნდნენ. საწოლისკენ აღარ წამოსულან; გვანიშნეს, მივახლოვებოდით და გალერეაში გაგვიყვანეს. ჯერ ექიმები გავიდნენ, მერე მამიდა ემა. დედაჩემი იძულებული გახდა გზა დაეთმო ჩემთვის, მაგრამ უკან დახევაც არ იკადრა: სავარძელს ჩაავლო ხელი, გადადგა და გზაც ასე მომცა.

ექიმები ელოდნენ, სანამ მთელი შემადგენლობით შევგროვდებოდით. სულ ბოლოს ვალენტინი გამოვიდა და კარიც გამოიხურა. მეზიურერმა პირადად შეამოწმა მიხურული კარი.

— მეგობრებო, — წამოიწყო მან, — ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე და ექიმი ოსვალდი დანაშაულს ჩავიდენთ, თუ დაგიმალავთ, რომ ავადმყოფის მდგომარეობა საგანგაშოა, უფრო მეტიც: ჩვენ მიგვაჩნია...

ყვირილი აღმომხდა, რამაც ამ ყბედს სიტყვა გააწყვეტინა. ყველამ შემომხედა, მათი დარდი არ მქონდა. ექიმ ოსვალდს მხრებში ვტაცე ხელი და ინსტინქტურად მისკენ მივიწიე:

— ეს შეუძლებელია!.. ექიმო, თქვით, რომ შეუძლებელია!.. იგი მე დამელაპარაკა, იგი უკეთაა...

ახალგაზრდა ექიმმა, რომელსაც ასე ვენდობოდი, პასუხის ნაცვლად დუმილი, მრავლისმეტყველი გამოხედვა შემომაგება.

მეზიურერმა ოჯახის წევრები გალერეის ბოლოში წაიყვანა. ექიმი ოსვალდი გულთბილად ჩამეკითხა:

— გნებავთ, ცოტა ხნით კიდევ დავრჩე თქვენთან?

სასოწარკვეთილმა, ამ ადამიანურ, ლმობიერ შეთავაზებაზე პასუხიც ვერ მოვახერხე.

— თუ გნებავთ, — ხელახლა ჩამესმა მისი ხმა — ნასადილევსაც შემოვივლი, თუკი მანამდე არ გამომიძახებთ!

— რა? დიახ... დიახ... რა თქმა უნდა... ოო, ექიმო, ეს ხომ საშინელებაა!

ორივე ხელი მომკიდა. ჩემი დამშვიდება უნდოდა, თავის სიმპათიას აშკარად ამჟღავნებდა... ხელები გავითავისუფლე და ახლა მე თვითონ წავავლე მაჯაზე ხელი, სახე მივუახლოვე და წავჩურჩულე:

— წარმოგიდგენიათ? აქ უნდა მოკვდეს?!

ექიმი ათის ნახევარზე დაბრუნდა. აღარავითარი იმედი არ მოუცია. ერთხელ კიდევ გასინჯა ქსავიე და პროფესიული ტერმინებით მელაპარაკა: მოსალოდნელი ხიფათი აღსრულდა: დაგვიანებული სისხლ-

ჩაქცევა და ტვინის სისხლძარღვების შევიწროება! ყოველგვარი საშედიცინო ჩარევა ამაოა!

— ჭეშმად გაკვრება, ქალბატონო. არ ვიცი, რამდენად გარკვეულად მოახსენა ამის თაობაზე ექიმმა მეზიურერმა თქვენს ოჯახს, გააგებინა თუ არა — რამდენად გარდუვალია სიკვდილი, მაგრამ მოვალე ვარ, მთელი სიმართლე თ ქ ვ ე ნ გითხრათ. ის, რაც ამ დილით ძილი გეგონათ, სინამდვილეში კომატოზური მდგომარეობის დასაწყისი იყო. მალე ეს მდგომარეობა თანდათან გამწვავდება. ამ პროცესის დაყოვნების იმედიც რომ ვიქონიოთ, თავის მოტყუება იქნება, სულ ერთია, ვერაფერს გავხდებით. შემიძლია, ერთადერთი რჩევა მოგცეთ: ავადმყოფს არ მოშორდეთ, თუკი მისი უკანასკნელი ამოსუნთქვის მოწმე გინდათ გახდეთ!

— პროცესის დაყოვნება ახსენეთ. ექიმო...

თვითონვე გამიკვირდა, აზრის გამოთქმა რომ შევძელი. სწორედ იმ წამს მივხვდი, ყველაზე დრამატული წუთები თურმე ძალზე უბრალოდ დგება ხოლმე ცხოვრებაში.

— თქვენ თქვით, ეს მდგომარეობა თანდათან გამწვავდებაო. მაინც რამდენ ხანს გასტანს?

— ზუსტად ვერ გეტყვით. შეიძლება სულაც გაჭიანურდეს. არა მგონია, დილამდე რაიმე მოხდეს, მაგრამ არც იმაში ვარ დარწმუნებული, ავადმყოფმა კიდევ ერთ ღამეს გაატანოს...

ერთბანს ხმა ვერ ამოვიღე. ექიმ ოსვალდს ჩემი დუმილით არ უსარგებლია, გალერეაში არ გასულა, პირიქით — სავარძლიდან, სადაც ჩემ გვერდით დავსვი, არც წამოწეულა, სახელურს დაეყრდნო, ჩემკენ გადმოიხარა და თავისი ჭკვიანი თვალებით შემომხედა.

— მაშასადამე, არავითარი იმედი არ უნდა მქონდეს, ექიმო?.. არა, გაუმჯობესებაზე აღარ ვლაპარაკობ, ყურადღებით მოგისმინეთ... მაგრამ ხომ შეიძლება უკანასკნელად, თუნდაც ერთი წამით, დაუბრუნდეს ცნობიერება? ნუთუ ჩემს ქმარს სულ არ ესმის ჩემი ხმა და ვერც გაიგონებს?

— ვერა, — მიპასუხა სწრაფად, — თვალსაც ვეღარ გაახელს.

— და თქვენ მარწმუნებთ, რაც უნდა მოხდეს... არ შეიძლება... პროცესის ოდნავი დაყოვნების მეტი არაფერი მოხდება?

ამჯერად არაფერი მითხრა, უარყოფის ნიშნად თავიღა გადააქნია.

— მაშინ, — გავნაგრძე მე, — მომვლელი ქალიშვილის აქ ყოფნა...

ფრაზა ვერ დავამთავრე, გაოცებით შემომხედა: იძულებული ვიყავი, ჩემი აზრი ამეხსნა.

— აი, რა მოვიფიქრე, ექიმო...

და ღრმად ამოვიოხრე:

— მაშ, ასე! თუკი მეცოდინება, რომ მადმუაზელ ბიურის აქ ყოფნა აუცილებელი არაა... და თუ მეც შევძლებდი მის შეცვლას...

— გირჩევნიათ, მარტოდმარტო დარჩეთ ავადმყოფთან?

— დიახ, ექიმო. სწორედ მიმიხვდით.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მით უმეტეს, სურათი სავსებით ნათელია. საუბედუროდ, მისი მდგომარეობა განწირულია... მომვლელ ქალიშვილს მე მოველაპარაკები და ისიც აგიხსნით, რაც უნდა გააკეთოთ, რა ფორმალურ დანიშნულებებს უნდა მიაქციოთ ყურადღება. თვითონ გალერეაში გაათევს ღამეს.

— თეთრეულის ოთახში ვაპირებდი მისთვის საწოლის დაღგმას. -ქ უფრო რთულია საწოლის შემოტანა, ან სავარძელში რატომ უნდა დაიძინოს? მით უმეტეს, მესამე ღამეა ფსიზლობს... ქვემო სართულზე, ვესტიბიულის გვერდით პატარა საკუჭნაოა, სადაც ზარიც კია. თუ დამჭირდა, მაშინვე დავურეკავ. შევთანხმდებით, რა ნიშანიც უნდა მივცე და...

გავჩუმდი. მაშინვე არ მიპასუხა. შემომხედა. თვალები ღაბზარე, რაც ძალიან უჩვეულო რამ იყო ჩემთვის.

— ექიმო... ძალიან მიმძიმს, ასე დაბეჯითებით რომ ვოვითხოვ, მაგრამ ვიფიქრე, უფლება მაქვს-ვეთქი... ერთი სიტყვით, გემუდარებით...

ეტყობა, ბოლო სიტყვები დამაჯერებლად გამომივიდა ან, იქნებ, ისედაც დარწმუნდა; არ ვიცი, რა გაიფიქრა, მაგრამ სწრაფად მომკიდა ხელი და მეც მაშინვე დავმშვიდდი.

— ოღონდ, — ოდნავ უხერხულად გაიღიმა და დაუმატა, — უფლება არა მაქვს, თქვენს ნათესავებს ხელი შევუშალო...

— ოჰ, ნუ წუხხართ, ამას მე თვითონ მოვაგვარებ!

ეს სიტყვები მტკიცედ წარმოვთქვი და ალბათ, ექიმი ჩემმა გამომეტყველებამაც შეაცდინა, რადგან მაშინვე დაუმატა:

— თუმცა, ეტყობა, ისეთ საკითხს შევეხე...

— დიახ... იცით, საქმე ეხება თვით უბედურ შემთხვევას... როგორც იქნა, სიმართლე გავიგე. ამ დილით. სწორედ იმ ნათესავის მეშვეობით, რომელსაც თქვენს საავადმყოფოში მოჰყარით ალბათ თვა-

ლი... დიახ, ექიმო, ძალაუნებურად მეტად უცნაური ოჯახის შეხლა-შემოხლის მოწმე გახდით.

ფეხზე წამოდგა. მეც წამოვდექი. ერთმანეთის პირისპირ ვიდექით.

— შემეძლო მეთქვა, ქალბატონო, ჩვენ, ექიმები ყველაფერს შეჩვეული ვართ-მეთქი. ხშირად სწორედ ასეთია ხოლმე ჩვენი პასუხი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უადგილო იქნებოდა, რადგან...

აღარ დაამთავრა. ეს ახალგაზრდა მეცნიერი, ეტყობა, ყველაფერში, რაც კი მისი პროფესიის ჩარჩოს სცილდებოდა, მოკრძალებული ადამიანი იყო. ხელი გავუწოდე:

— მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ექიმო ოსვალდ.

— კიდევ ერთი რჩევა მინდა მოგცეთ. თავს გაუფრთხილდით!

— დიახ. მომვლელმაც იგივე მირჩია. ალბათ ჩემს მდგომარეობას გულისხმობთ, არა?.. ჯერ კიდევ მექნება დრო, ექიმო, ბევრი დრო მექნება იმისთვის, რომ ამ პატარა არსებას გავუფრთხილდე.

— მარტო მასზე ზრუნვა არ გმართებთ. არსებობს კიდევ...

— ვინლა?

— საკუთარი თავი!

სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთმა სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა მომაკვდავის ოთახის გვერდით, რომ ამან ნება მომცა კიდევ უფრო ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მეთქვა:

— გმადლობთ.

— ჩვენი ნახვა გინდოდა? — მკითხა სიმონმა.

— დიახ. მოდით, აქ დავსხდეთ სამივენი. ოღონდ ასე დაძაბულად ნუ იყურებით. არ ღირს. სულაც არ ვაპირებ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ, თქვენგან არც „ჰო“ მინდა, არც „არა“. თანამდგომნი არ მჭირდება და ამჯერად თქვენს აზრსაც არაფრად ვაგდებ. თუკი ლორენცოსთან მოვისურვე მოლაპარაკება, პირიქით, მხოლოდ იმისთვის, რომ საბოლოოდ ამოვძირკვო ყოველგვარი დავა, რათა ჩემ წინააღმდეგ აღარავითარი გამოხდომა არ შევნიშნო. და აღარც მე შემოგედავოთ რამეში, ეს კი მამიდა ემას ან დედას არ ასცდებოდა. ამას გარდა, მგონი, ჩემი ეპვები თქვენზე არ ვრცელდება: შესაძლებელია, თქვენც არაფერი იცოდით იმაზე, რაც მე დამიმალეს, ხომ ასეა?..

ვალენტინმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შეეაწყვეტინე:

— არც მინდა ვიცოდე. ასეა თუ ისე, მე მხოლოდ თქვენთან მოვისურვე ლაპარაკი. ჩვენ მაინც ერთი თაობისა ვართ და, რაც მთავარია, ჩემი ძმები ბრძანდებით...

— მერე რა? გისმენთ! — თქვა სიმონმა.

— ჰო, აგნეს, გისმენთ! — ყოყმანით გაიმეორა ვალენტინმა.

— ორი სიტყვით გეტყვით და თანაც სწრაფად: ქსავიე კვდება. მე მოვითხოვ, არავინ შემეცილოს მის მოვლაში. აი, ესაა სულ.

ძმებმა იმედგაცრუებით გადახედეს ერთმანეთს. რას ელოდნენ? რისთვის იყვნენ შემზადებულნი? როგორც ვვარაუდობდი, საუბარი სიმონმა განაგრძო. ამ ორ ძმას შორის, იგი უფრო მეტ სიმკაცრეს გამოიჩენდა.

— იმედი მაქვს, — თქვა მან, — არ აპირებ...

შევაწყვეტინე. ჯერჯერობით მშვიდად ვესაუბრებოდი.

— დიახ, წარმოიდგინე, ვაპირებ! სწორედაც რომ ვაპირებ. მე მინდა, მარტო დავრჩე ქსავიესთან და მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა მე გავიგონო მხოლოდ. არ მსურს, ვინმე, მესამე ესწრებოდეს ამ წუთებს. რა თქმა უნდა, მომვლელს არ ვგულისხმობ.

— მამიდა ემას ვერ აუკრძალავ!

— ძალიან კარგადაც ავუკრძალავ! თანაც, ამით კიდევ არ მექნება გასწორებული ანგარიში ჰასთან.

სიმონმა სიფრთხილე გამოიჩინა, მიხვდა, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და აღარც ჩამციებია.

— კეთილი! — თქვა მან, — გადავცემ. გადავცემთ.

— ჰო, გადავცემთ! — დაემოწმა ვალენტინი.

— ჰოდა, აი რას გეტყვით: თუკი ჩემს სურვილს, ჩემს მოთხოვნას, რასაც თქვენ გაბარებთ, ანგარიშს არ გაუწევენ, მაშინ პირადად მოვახსენებ ჩემს მოსაზრებებს, რადგან ახლა ყველაფერი შემიძლია ჩავიდინო... მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა ამჯობინებს თავი აარიდოს სკანდალს. მეც ასე მირჩევნია. თქვენ თვითონ იფიქრეთ, ვის მისცემს ეს ხელს?.. ბოლოს ხომ ნამდვილად მე დავრჩები მოგებული!

— პირდაპირ მაოცებს, რა გონივრულად მსჯელობ! — სიმონი გაათამამა ჩემმა ლაღმა ლაპარაკმა, — პირველად ვხედავ, რომ სკანდალს ერიდები. აღიარე ბარემ, რომ ქსავიე...

ხელი ავწიე.

— ჩემო საცოდავო სიმონ! რომ იცოდე, თქვენ, ყველამ რომ იცოდეთ, რა შორსაა ყველაფერი ეს ჩემგან! რა შორს დარჩა ყოველივე ეს ამ ორ დღეში!.. ჰო, მართლა, ესეც შეგიძლია „გადასცე მათ“, იქნებ დაშოშმინდნენ!

ისევე, როგორც ყოველთვის, ნათესავები ახლაც ნაცვალსახელებით მოვიხსენიე: „ისინი“, „მათ“.

— მართლა, მართლა გეუბნები! ასე გადაეცი! — ამრეზით ვუთხარი. — ამიერიდან შეუძლიათ აღარ შეიწუხონ თავი!

— კი, ბატონო, დიდებულია! — წაილაპარაკა სიმონმა და ორივე ხელით სავარძლის სახელურს დაეყრდნო, თითქოს წამოდგომას აპირებდა, — რაკი სხვა აღარაფერი გაქვს სათქმელი, მაშინ...

— და მაინც, სიმონ!.. გეჩქარება?.. მოდი, ცოტა ხანს კიდევ ვისხდეთ, ვისაუბროთ. ვინ იცის, რამდენი დრო გავა, სანამ ხელახლა მოგვეცემა საამისო საშუალება!

— რაო?.. რატომ გიყვარს ყველაფრის გაზვიადება?

— ალბათ დამეთანხმები, ჩემზე ნაკლებად არც სხვას უყვარს გაზვიადება!.. ვალენტინ, იქნებ წასულიყავი და გეთქვა, რომ თუ ვინმეს ქსავიეს ნახვა სურს, ახლავე მოვიდნენ, სანამ იქ არა ვარ. ოღონდ დიდი სასტუმრო ოთახიდან შევიდნენ.

— ოჰ, — ამოიოხრა სიმონმა და სიგარეტს მოუკიდა, — თურმე შენ არც ისეთი ავი ყოფილხარ. მე ამას მუდამ ვამბობდი. რა საწყენია, ამდენი გაუგებრობა რომ...

— მოდი, სიმონ, თავი დაანებე ამ სისულელეებს, კარგი? გამოტყდი, ბოლო გაუგებრობა ისეთი მასშტაბისაა, რომ... ახლა მაინც მიხვდით... მე ის მინდა ვთქვა, რომ ალბათ ახლა მაინც მიხვდნენ, თუ რა უაზრობა, რა სიბრიყვე იყო იმის გამხელა, რაც ქსავიეს გაუმხილეს!? ქსავიემ შესანიშნავად იცოდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, მორჩა და გათავდა!

— ეს ამბავი ამ დილით შეატყობინა მათ მამიდა ლუიზმა.

— და ძალიან შეცბუნდნენ, არა?

— ყური მიგდე, როგორ შეეძლოთ წარმოედგინათ...

— ნუთუ ასე ცუდად მიცნობენ? ნუთუ ეგონათ, რომ შემეძლო... მოიცა, როგორ ბრძანა მამიდა ემამ? ჰო, ქსავიეს „გაპამპულება“! საერთოდ, იმ კაცის „გაპამპულება“, რომელსაც ცოლად მივყვებოდი... ასეთი რამ მე არ მახასიათებს, მით უმეტეს, ქსავიეს „გაპამპულება“... ქსავიე! გამოდის, არც მას იცნობდით კარგად! და თუ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, თუკი მე ვარ ასეთი უსინდისო, რატომღა გასწირეს იგი და არა მე?.. იცი, სიმონ, რას გეტყვი? ისინი მუდამ სუსტებს აყენებენ დარტყმას. მე და შენ ეს ძალიან კარგად ვიცით.

— მაპატიე, გეთაყვა, ვერ დაგეთანხმები! სწორედ ქსავიეს უნდა მოლაპარაკებოდნენ... სწორედ ამას ჰქონდა აზრი. მხოლოდ მას შეეძ-

ლო დაერღვია ის ხრიკები... გთხოვ, კუდს ნუ გამოაბამ ჩემს სიტყვებს. მე მათ აზრს გადმოგცემ.

— გისმენ, ილაპარაკე!

— ჰოდა, მხოლოდ მას შეეძლო აღმდგარიყო შენ წინააღმდეგ. ამისათვის კი საჭირო იყო ხელში იარაღიც მიეცათ. როცა წარმოიდგენ, როგორ გვიხაროდა ყველას თქვენი ქორწინება...

— არ ღირს ამდენი ენამზიანობის გამოჩენა! ნუ ირჯები იმის ასახსნელად, რაც მე თვითონ შესანიშნავად ვიცი. გინდა გითხრა, რატომ უხაროდა მთელ ოჯახს ჩვენი შეუღლება? მარტო იმიტომ კი არა, რომ დასაქორწინებელი ვიყავით ორივენი... და აი, გადავწყვიტეთ და შეეუღლდით... ერთი გასროლით ორი კურდღელი მოვკალით... არა, მთავარი ის იყო, რომ ამ ახალგაზრდა წყვილს შვილი არ ყავდა! აი, ნამდვილი ილაჯი! აი, რატომ გამოაჭიანეს საყოველთაო სიხარული, ხელგაშლილობა, დიდსულოვნება! ჩვენი წყალობით კაპიტალი ტყუილუბრალოდ არ დაიკარგებოდა, აღრე თუ გვიან იგი გადავიდოდა... ვთქვათ, ჩემო სიმონ, თუნდაც ჩემი ძმისშვილების ხელში!

— ისევ ლაპარაკობ, თითქოს ანგარება გვამოქმედებდა!

— განა ასე არაა?

— ჩვენ... ჩვენ და ანგარება?

— ოი, სიმონ, რა მოგდის? ამას მე მეკითხები? ჩვენ ხომ არავინ გვისმენს!

გაბრაზებულმა თამბაქოს ბოლქვები გამოუშვა პირიდან.

— მხოლოდ ფულის საკითხი არ იდგა აქ! ჩემი არ იყოს, ეს შენც კარგად მოგეხსენება, — განაგრძო მან, — საქმე ეხებოდა... რა თქმა უნდა, მეტყვი, მაღალფარდოვან სიტყვებს ხმარობ... საქმე ეხებოდა ოჯახის სახელს! არ მინდოდა უსიამოვნება მომეყენებია შენთვის, აგნეს, მაგრამ ამ ბავშვზე ხომ არაფერი ვიცოდით! საიდანაა? ეს ამბავი ხომ იდუმალებითაა მოცული! შენ კი გინდა, ჩვენი გვარი მისცე. აბა, ერთი, ჩვენ ადგილას წარმოიდგინე თავი! არა, ეს არ უნდა ჩაგეღინა! ვერ იტყვი, თითქოს ის, რაც ჩვენმა ოჯახმა ამის გამო გააკეთა, უაზრობა იყო!

— რაო?

— დიახ. ჩვენ ახლა დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: ბავშვი, რომელიც ოფიციალურად ბუსარდელია, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცის — ვინაა, ჩვენი ოჯახის წევრად არ ჩაითვლება...

— მოიცა...

ხელისგული შუბლზე გადავისვი. მეგონა, მომესმა, რაღაცას ვერ მივხვდი-მეთქი. ამით რა უნდოდა ეთქვა? ან ეს საუბარი, ან ისინი, ვინც ამ საუბარს ხელმძღვანელობს სურათების გალერეიდან, ათი მეტრის დაშორებით მომაკვდავი ქსავიესგან, რომელსაც უკვე წარსულში ვახსენებთ... ძლივს მოვახერხე აზრების ლოგიკური დაკავშირება.

— იცი რა, სიმონ? ბავშვის გაჩენაში ვერაფერი შემიშლის ხელს. ეს ასეც მოხდება ოქტომბერში.

— კი, ბატონო, შენი პირადი ქონება საშუალებას მოგცემს, აღზარდო შენი შვილი. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოხდა, იმედი გვაქვს, სამოქალაქო ქონების აქტებში იგი ქსავიეს შვილად არ იქნება მოხსენიებული. ხოლო პირადად შენ...

— რაო?.. აი, თურმე რისი იმედი გაქვთ!

მისი დუმილი და მის თვალებში ჩაბუდებული შიში საუკეთესო პასუხი იყო. წუთით ორივე ვდუმდით. ჯიუტად ვათვალიერებდი საკარძელში ღრმად ჩამჯდარ, კუნთმაგარ, ჯიშიან ულაყს, კანონიერი ნაშიერებით მდიდარ სიმონს...

— მაშასადამე, თუკი სიზმარში არა ვარ, სიმონ, ბავშვი, რომელიც ქსავიემ ცნო და იმდენად მცემდა პატივს, მის წარმოშობაზე ერთი კითხვაც არ დაუსვამს ჩემთვის, ბავშვი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა და უკვე კიდეც უყვარდა... თუმცა, ამას თქვენ მაინც ვერ გაიგებთ... ბავშვი, რომელიც ჩვენ, ორივეს გვეკუთვნოდა და სანამ ქსავიე ცოცხალი იყო, შვილად ცნობდა, გადაწყვიტეთ — ეს ბავშვი არ ცნოთ, რაკი ქსავიე გარდაიცვალა? და ამას აკეთებთ მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი საქმეები გაჩარხოთ?!

უეცრად აუტანელი სიმწარე ვიგრძენი პირშიაც და სულშიც, თითქოს სწორედ ისეთი გულისზიდვა დამეწყო, ქსავიეს რომ მოაწყა ყელში იმ დღეს; უნებურად ხელიც კი ავიფარე ტუჩებზე, მაგრამ ჩემს ბაგეებს მხოლოდ გულის ამრევი სიცილი ამოხდა:

— ხა! ხა! ხა! არა, ეს ბუსარდელები მუდამ გამოცანად დარჩებიან ჩემთვის!

სასწრაფოდ უნდა მომეთავებინა ლაპარაკი. ხმის ამოღების უნარიც აღარ მქონდა.

— არასოდეს! გესმის, სიმონ? სავსებით დამშვიდებული გიცხადებ: არასოდეს. ამის იმედი არ გქონდეთ! მოაწყვეთ სკანდალი, თუკი გსურთ, აღძარით საქმე მამის უფლების ჩამორთმევაზე, მგონი, ასე ჰქვია ამას. დაამტკიცეთ, მიიტანეთ საბუთები, მოახსენეთ მუნიციპალი-

ტეტს, რომ თქვენი ნორმალური ქალიშვილი ისე გაათხოვეთ ბერწ უმაწვილზე, არც ერთი არ გააფრთხილეთ ამის თაობაზე.

— თუ შეიძლება ფაქტებს ნუ ამახინჯებ! დავუშვათ, ქსავიე არ მოგიტყუებია, ჩვენ ხომ მოგვატყუე? შენი მოსაზრებები, სულ ერთია, ვერ გააბათილებს შენს საქციელს...

— მაკმარე ეგ შენი ლიტონი სიტყვები, სიმონ. ჩემს ცხოვრებაში ერთხელაც არ მიგდია ყური თქვენი შეგონებებისათვის. მე მუდამ მწამდა და კვლავაც ვიწამებ ერთი ადამიანის შეგონებას, რომელიც ჩემი საქციელის შეფასებისათვის იქნება აუცილებელი: ეს ადამიანი ქსავიე იყო. მხოლოდ მას შეეძლო ემსჯელა და განესაჯა სხვისი საქციელი. ამიტომაც მივედი მასთან, რჩევა ვთხოვე. თქვენდა საუბედუროდ, მან წინადადება მომცა, ცოლად გავყოლოდი და, ამრიგად, ბავშვის მამადაც ის ჩაეთვალათ. ხედავ, როგორაა ყველაფერი ერთმანეთში გადახლართული?.. ასე რომ, საქმეც ისე წარიმართება, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული.

სავარძლიდან წამოვდექი. ვესტიბიულის კარისკენ გავემართე. ასე მაშინ იქცევიან, როცა სტუმრების დელიკატურად გასტუმრება სურთ. ვალენტინი რამდენიმე წუთის წინ დაბრუნდა, მაგრამ საუბარში არ ჩაგვრევია.

— სანამ ერთმანეთს დავშორდებოდეთ, მინდა ერთი კითხვა დაგისვა, სიმონ. — შემოვბრუნდი და ვკითხე: — დედამ თუ იცოდა ეს ამბავი?

— რა თუ იცოდა?

— ქსავიე რომ ასეთი იყო.

— მე რა ვიცი! თანაც, ახლა რა აზრი აქვს...

— მართლაც, რა აზრი აქვს? კაცი იფიქრებს, თითქოს ჯერ კიდევ ვერ მოვწყვეტილვარ აქაურობას! ასეთი რამ ერთ დღეში არ ხდება... მაგრამ თუკი ამას მაინც გეკითხები, სიმონ, მხოლოდ იმიტომ, რომ მახსენდება, ჩვენი ნიშნობის დღეს მხოლოდ დედა იყო მეტისმეტად თავშეკავებული, უცნაურად მორიდებული.

— მერე რა?

— იქნებ იცოდა და სინდისი ქენჯნიდა. ასეა? ხომ ხედავ, ანგარებას პრინციპულად არ მივაწერ.

განაწყენებულმა იმით, რომ მათ მოთხოვნებს არ დავემორჩილე, ჩემი უფროსი ძმა შეეცადა, სიტყვა ბანზე აეგდო და წაიდუდუნა:

— იჰ, დიდი ამბავი, თუ ერთხელ მოიქცევი ასე! შენ რომ აშკარა ბრძოლა არ გამოგეცხადებინა დედაჩვენისთვის...

ჩაჩუმდა, ზედმეტი წამოსცდა და შეეშინდა.

ჩვენმა უწყინარმა ვალენტინმა, დედამ ბავშვობიდანვე მონად რომ ეყიდა, გადაწყვიტა ძმისთვის უფრო დამაჯერებელი არგუმენტით დაეჭირა მხარი:

— მართალია, შენ მუდამ დედის საწინააღმდეგოდ მოქმედებდი, თითქოს გავიწყდებოდა, დედა რომ იყო შენი!

—ოო, როგორ გეკადრება, ვალენტინ! ეს არასოდეს დამვიწყებია და არც არასოდეს ისე არ გამხსენებია, როგორც ამ წუთებში... მაგრამ თქვენ ხომ ჩემს შეკითხვას არ უპასუხეთ!

— დედას თავი დაანებე! — განაგრძო უმცროსმა ძმამ, — ყური მიგდე! დედა მუდამ ხვდებოდა, რომ შენ ყოველნაირად ცდილობდი ასთან წაჩხუბებას.

— მართლა?

— ჰო, ასე მითხრა: „ანნესს შეუძლია კმაყოფილი ბრძანდებოდეს. როგორც იქნა, საბაბი მიეცა საბოლოოდ შემიძულოს!“

ოო, სულელი ბიჭი! სიამოვნებით მოვეხვეოდი. სიტყვასიტყვით გამიმეორა დედაჩემის ნათქვამი. ჩემი შეკითხვის ზუსტი პასუხიც ეს იყო. სიმონმა ვერ მოახერხა სიტყვა გაეწყვეტინებინა ვალენტინისთვის, იცოდა, რაც მოჰყვებოდა ამას და ეს ყოველივე თავიდან რომ აეცდინა, ვესტიბიულში გამავალი კარი ხელახლა მიხურა. ერთბაშად სიბრაზემ ამიტანა ან, უკეთ, მომეჩვენა, როგორც იქნა, ყველას ამოვიგდებ გულიდან-მეთქი... დედამ იცოდა! წარმოგიდგენიათ! და მან ხელი არ შეუშალა ჩვენს შეუღლებას! ახლა კი კითხულობს, ვარ თუ არა...

— კმაყოფილი ვარ თუ არა? — აცახცახებულმა ვკითხე ვალენტინს, — გადაეცი, კმაყოფილია-თქო! და ჩემს თავს ყველაფერს ვაპატიებ!

VII

გამგზავრება

მადმუაზელ ბიურის ცნობისმოყვარეობა რომ არ გამომეწვია, დავუშალე, სახლიდან გასვლას რომ ვაპირებდი. დიდი ხნით არ მივდიოდი, ერთ ადგილას, ისიც — სულ ახლოს მქონდა საქმე. სწრაფად დავბრუნდი. მომვლელ ქალიშვილს ალბათ მეზობელ ოთახში ან საბანაოში ვეგონე.

მისი თანდასწრებით ჩავკეტე დიდი სასტუმრო ოთახის ორივე კარი. ასევე მისი თანდასწრებით, საწოლის ფეხებთან ჩამოვჯექი. მაშინ ის წამოდგა და კარისკენ გაემართა. მაშასადამე, ექიმი ოსვალდი მოლაპარაკებია.

სანამ გავუშვებდი, თითოეული ინსტრუქციის განმეორება ვთხოვე. იმდენად მარტივი დავალებები მომცა, მოვლაც არ ეთქმოდა. მადმუაზელ ბიურიმ დასძინა, თქვენს ზარს დაველოდებიო.

— ყოველი შემთხვევისთვის, შუაღამისას შემოდით!

გავიდა ერთი საათი. ქსავიეს ვერავითარ ცვლილებას ვერ ვატყობდი. შესაძლოა ეს იმით აიხსნებოდა, რომ თვალმიშტერებული დავცქეროდი მაშინაც კი, როცა უცნაური აზრები მიტრიალებდა თავში, ან სულაც იმიტომ, რომ აღარაფერი შეიცვლებოდა!

ვიცდი. შუაღამემ გაცილებით სწრაფად მოატანა, ვიდრე მეგონა. მომვლელი შემოვიდა. გადავხედე და დავრწმუნდი, ჯერაც არ გაეხადა ტანთ, დაწოლითაც არ დაწოლილა. ავადმყოფი შეათვალიერა, მაჯა გაუსინჯა და განაცხადა, ექიმი ოსვალდი მართალი გამოდგა: ეტყობა, დასასრული არც ისე სწრაფად დადგებაო.

ვთხოვე, მით უმეტეს, ჯობს, წახვიდეთ და დაიძინოთ-მეთქი. მინდოდა, ერთხელ კიდევ შემეხსენებია ჩემი გადაწყვეტილება, რომ მთელი ღამე მარტოდმარტო მინდოდა ავადმყოფთან დარჩენა და ამ ძოთხოვნისთვის, ამ ჩემი შეურვებული ჭირვეულობისთვის ბოდიშიც მოვუხადე. მიპასუხა, კარგად გამეგებაო თქვენი. მისმა ფატალიზმმა ჩვენი დილანდელი საუბარი გამახსენა: არც მაშინ ჰქონია რაიმე ილუზია. მერე მკითხა, დაღლილობისგან ხომ არ ჩაგეძინებათო. ვუთხარი, ჩემი ამტანობისა მჯერა და, თანაც, რამდენიმე ჭიქა ყავა დავლიე-მეთქი. ეს მართლაც ასე იყო.

კარამდე მივაცილე. აღარ დავლოდებივარ, როდის მოშორდებოდა კარს, მაგრად მივხურე და გასაღებითაც ჩავკეტე.

დრო გადიოდა. ქსავიეს მაჯა ჯერაც სცემდა.

1

ველარ ვითმენ. თუმცა გეგმა გულდასმითა მაქვს მოფიქრებული, თავს ვაიძულებ, სხვა რამეზე ვიფიქრო, წამითაც არ დავაჩქარო დანიშნული დრო, რისკი მინიმუმამდე დავიყვანო. ყოველივე დინჯად ავწონ-დავწონე. საკუთარი გრძნობების შესამსუბუქებლად საფრთხეში ვერ ჩავაყენებდი ჩემ მიერვე შემუშავებულ გეგმას.

ზუსტად ორის ნახევარზე ქაღალდში გახვეული ბოთლი ამოვიღე ჩანთიდან. როცა საღამოს შინიდან გავედი, ტაქსი ერთ-ერთი კაფეს წინ გავაჩერებინე, შევედი და ვთხოვე, ცოტაოდენი მცენარეულის ზეთი მოეცათ.

ჩუმად ყამოვაღე ეზოში გამავალი შემინული კარი. გავედი. საათითაოდ შევათვალიერე ფასადის ფანჯრები. შუქი არსად ჩანდა. ჩემ პირდაპირ კონსიერჟის ჯიხურიც ჩაბნელებული იყო. უკან დავბრუნდი. სახლის წინ გაშენებულ ბაღისკენ გავემართე. ხრეშს რომ არ ეხრაშუნა ფეხქვეშ, პირდაპირ გაზონზე მივაბიჯებდი. ამ მხრიდანაც შევათვალიერე სახლი. ყველაფერი ჩაებნელებინათ.

მაშასადამე, ზუსტად გამითვალისწინებია ის რეაქცია, რაც ქსავიეს ნახვის აკრძალვას მოჰყვებოდა. ყველას ეძინა. ძმები თავ-თავიანთ სახლებში გაიკრიფნენ, დიდედას ისედაც მუდამ ეძინა, და იმ ოთხეულსაც ჩასძინებოდა.

ბუჩქებით გარშემორტყმულ ვიწრო ხეივანში გავედი. ამ გზით მონსოს პარკში გასვლა შეიძლებოდა. ღამის სიბნელე ხელს მიშლიდა, სამაგიეროდ, მოგვიანებით ძალიან დამეხმარებოდა. ჭიშკარს შევეხე. ხელის ცეცებით ჩავასხი ზეთი ჯერ ანჯამაში, შემდეგ საკლიტურში. ლითონის ყუთიდან გასაღები ამოვიღე და ისიც გავზეთე.

შინ დავბრუნდი. ამასობაში არაფერი შეცვლილა: ქსავიეს მაჯა ისევ უცემდა. ორს თხუთმეტი წუთი უკლდა, როცა ხელახლა გავედი ბაღში. გასაღები უხმაუროდ გადავატრიალე. ჭიშკარი გაიღო და მონსოს პარკის ტევრში შევიპარე. ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით მაღალი ჭიშკარი ვან-დეიკის გამზირთან ჩიხს ქმნიდა. ვიცოდი, ეს ჭიშკარი არ ჭრიალებდა. დილა-საღამოს მისი გაღება-დაკეტვის ხშირი მომსწრე ვყოფილვარ. გასაღები არ მქონდა, მაგრამ მახსოვდა, თუ

ვერტიკალურ ურდულს მარჯვნივ გადავწევდი და ორივე საგდულს ერთდროულად ჩემკენ მოვწევდი, კარი ადვილად გაიღებოდა. დარაჯები რამდენჯერ მოქცეულან ასე ჩემ თვალწინ. გარედან ამის გაკეთება არ შეიძლებოდა: გისოსი უშლიდა ხელს. ურდული შიგნიდან იყო, იქ, სადაც ახლა ვიდექი.

ესეც მოვახერხე, მაგრამ საგდულები ხელახლა მივხურე, რომ ჭიშკრის გაღება არავის შეემჩნია. ეს ყოველივე თითქოს თავისთავად ხდებოდა და როცა მოგვიანებით ამას ვიხსენებდი, იმ დღის ამბავი დაუჯერებელიც მეჩვენებოდა. სირბილით დავბრუნდი სახლში. ქსავიეს მაჯა ისევ უცემდა.

აღარ დავმჯდარვარ. ფანჯარასთან ვდარაჯობდი. ერთხელ კიდევ, ალბათ უკანასკნელად, ჩვენი სახლის ოთხ კედელში გამომწყვდეული, ფანჯრის მინას შუბლით მივეყრდნე და ვდარაჯობდი.

მეგონა, ლოდინის ეს წუთები არასოდეს დამთავრდებოდა. როგორც იქნა, შემინული ფურგონი გამოჩნდა გამზირზე. როგორც ვთხოვე, უხმაუროდ, ნელა, უკანა სვლით მოდიოდა. ჩვენს სახლთან შეჩერდა. ძრავა გამორთეს. შუქი ჩააქრეს. მანტო ჩავიცვი, ქუდი დავიხურე და ჩანთა ავიღე.

ორ მამაკაცს ხმადაბლა ვუხსნიდი, საით უნდა წაეღოთ საკაცე, რას უნდა მორიდებოდნენ. ორივე გაკვირვებული მისმენდა.

— ვანა თქვენთვის არაფერი უთქვამთ? — ჩურჩულით ვეკითხები, — ვანა თქვენმა უფროსმა არ გაგაფრთხილათ, რომ ჩემი მითითების მიხედვით უნდა იმოქმედოთ? მან ხომ თანხმობა მომცა და იცის, რომ ქმარი მიმყავს აქედან, რადგან აქ ცუდად უვლიან. მე ისიც შევატყობინე, ვინცა ვარ: ავადმყოფის მეუღლე და ერთადერთი ნათესავი. ამასთან, მე ხელი მოვაწერე საბუთს, რომლის თანახმად თქვენი ფირმა არაფერზე არ აგებს პასუხს.

ძალიან ვცდილობ თავი შევიკავო, მაგრამ მაინც გავღიზიანდი. საოცრად ფრთხილი მძღოლი-სანიტრები გამოდგნენ! თუმცა, მუდამ ასეთი ბიჭები მონაწილეობენ ხოლმე ყოველგვარ უკანონო წაყვანა-წამოყვანაში, მოტაცებებში, დაპატიმრებებში! ნუთუ ამათ გამო შეფერხდება ჩემი გეგმა?

— ეს რა, სახალხო ბაღია? — მკითხა ერთ-ერთმა მძღოლმა და მონსოს პარკზე მიმანიშნა.

შვებით ამოვისუნთქე. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მე კი, ღმერთმა უწყის, რა წარმოვიდგინე! კინაღამ ზედმეტი არ წამომცდა! რაც შეიძლება მალე უნდა დავამშვიდო. რაკი ჭიშკარს მე თვითონ გა-

ვალებ, პასუხისმგებლობაც მე მეკისრება... საჭიროა კი ამის თქმა მათ-ვის?! ალბათ არც ისეთი ფორმალისტები ბრძანდებიან, მე რომ მგონია. მძღოლებმა ერთმანეთს გადახედეს: უკანა ფარების შუქი ქვე-მოდან გვანათებდა. კიდევ კარგი, ამ საღამოს, — იქნებ დამჭირდეს-მეთქი, ბანკში შევიარე. ჩანთა გავხსენი.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა... ძალიან გთხოვთ, ეცადეთ გზაზე ყვე-ლაფერი რიგზე იყოს. მინდა, შეუჩერებლივ ვიაროთ. მითხრეს, სა-ჩესთან ერთმანეთს შეცვლიანო. სულ ერთია, მაინც დამქანცველი იქ-ნება... აი, გასამრჯელოს ნახევარი...

თითოეულს კარგა დიდი თანხა გადავეცი. ფული გამომართვეს.

საკაცე მანქანაში შეიტანეს და ახლა იგი ნამდვილ საწოლად გადა-იქცა. ქსავიე ჩაძირულივით იწვა შიგ. ყველრდით მივუჯექი. გარედან კა-რი ჩაგვიკეტეს. ვფრთხილობდი და მანქანის შიდა სინათლე არ ავან-თებინე; არც სასასთუმლე ნათურა ამინთია. საბანზე დადებულ ქსავიეს ფაჯას ხელი მოვკიდე. მაჯა უცემდა.

მძღოლები კაბინაში ისხდნენ და იცდიდნენ. ვანიშნე. ეტყობა, ჩე-მი ხელის მოძრაობა დაინახეს: მაშინვე გავიგონე ძრავის ყრუ ფრუ-ტუნი. მანქანა ნარნარით, შეუფერხებლად დაიძრა.

ბორბლების რამდენიმე ბრუნი. საცაა, ვან-დეიკის გამზირიდან გა-ვალთ. ქსავიეს სახეს თვალი მოვაშორე და ვცდილობდი, ბუსარდელე-ბის სასახლე ფანჯრიდან დამენახა. შემოვბრუნდი. არ ჩანდა. წყვდი-ადს შთაენთქა. არც ერთ ფანჯარაში არ ანთებულა შუქი.

უცებ ოთხი აკაშკაშებული წერტილი აციმციმდა ჩემ თვალწინ. მანქანა მონუმენტური ჭიშკრის ქვეშ გადიოდა. ვან-დეიკის გამზირის ბოლოს რომ იყო აღმართული და ამ სამყაროს რომ ჰყოფდა სხვა სამ-ყაროსგან. მინის ოთხი ბურთი აკაშკაშდა მაღალი ლითონის პოძზე. მანქანა ფრთხილად უხვევდა კურსელის ქუჩაზე. გარეთ გავიხედე. თვალი მომჭრა ამ ოთხმა აციმციმებულმა თვალმა. ამერიკიდან დაბ-რუნებულს სწორედ ისინი მომესალმნენ, ახლა კი ისევ ვტოვებდი მათ. იყო დრო, ეს კაშკაშა შუქი ჩემს სიყმაწვილეს ასხივოსნებდა, ახ-ლა კი გასაქცევად და ადამიანის მოსატაცებლად მინათებდა გზას!

კუთხეში შევუხვიეთ. მოკაშკაშე ბურთები ბნელმა მოიცვა. მანქანა ნელ-ნელა უმატებდა სისწრაფეს: მკვეთრი წერტილები დაპატარავ-დნენ, სათითაოდ ეფარებოდნენ შენობის კუთხეს. ჯერ სამიდა ჩანდა, მერე ორი, მერე კი ერთი, ბოლოს — არც ერთი.

ვტოვებდი პარიზს და თან მიმყავდა ქსავიე, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა. გავფრთხილდი და ფარდები ჩამოვუშვი. მანქანაში მხოლოდ ქუჩის ფარნების ანარეკლი ატანდა დროდადრო. ცალი თითით ფარდის კუთხე გადავწიე და დავრწმუნდი, მძღოლს სწორი გადაწყვეტილება მიეღო, მთავარ მაგისტრალზე მიჰყავდა მანქანა, მით უმეტეს, ივი ახლა უკაცრიელი იყო და, თანაც, ამ გზით ყოველგვარ მოსახვევსა და გაჩერებას აარიდებდა თავს. მანქანის სვლას თითქმის არ ვგრძნობდი. დავუკვირდი და მივხვდი, ამ მანქანის სიჩქარეს ავტომატური გადასართავი ჰქონია.

ფირმის პატრონი მართალი გამოდგა, როცა თავისი მანქანის უპირატესობაზე მელაპარაკა. პარიზის ქუჩებში ერთნაირი სისწრაფით ძივდიოდით, ხოლო როცა იტალიურ კარიბჭეს გავცდით, მძღოლმა სისწრაფეს უმატა და სვლა აღარ შეუნელებია. და აი, სწორედ მაშინ დავაფასე დასაკიდი საწოლის უპირატესობა: არც სანაპიროს ქვაფენილზე და არც პარიზის გარეუბანში არავითარი ბიძგი არ მიგრძვნია - უსუსტად ისე ვგრძნობდი თავს, როგორც გემის კაიუტაში, როცა ხოშალდი მშვიდი ზღვის ზედაპირზე მიცურავს და სისწრაფეს ვერა გრძნობ; გემბანზე რომ გახვალ ან ილუმინატორიდან თუ გაპყოფ ხელს, მხოლოდ მაშინ, ქარის ძალის მიხედვით მივხდები, რა სისწრაფით მიდის გემი.

ფარდა ოდნავ გადავწიე: ჯერ კიდევ ფარნებით განათებულ ზონაში მივდიოდით, გარეუბნის სახლები სწრაფად იხევდნენ უკან და მივხვდი, მანქანა საათში ორმოთცდაათი ან სამოცი კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა.

ავღელდი. ქსავიეს გამო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს რამდენიმე საათი სულ სხვა განზომილებაში დავფარფატებდი, ჩემამდე არც დაღლილობა აღწევდა, არც მწუხარება. სამაგიეროდ, გონება დაწმენდილი მქონდა და მიკარნახებდა, რომ ქსავიე ჯერ კიდევ სუნთქავდა: მაჯის ცემას ვგრძნობდი... ექიმების კატეგორიული ეანაჩენი გადავივიწყე და კინალამ მივაკაკუნე მანქანის წინა ფანჯარას, კინალამ შიდა ტელეფონით გავაფრთხილე მძღოლი: ნელა იარეთ-მეთქი, მაგრამ როცა საკაცეს დავადე ხელი, დავრწმუნდი, სულ არ ინჯღრეოდა. უცნაურმა აზრმა გამიელვა: „ქსავიე რომ კომატოზურ მდგომარეობაში არ იყოს, ჯერ კიდევ რომ შეიძლებოდეს შველა, წყალს და-

ვალევინებდი. წამალსაც ისე მივცემდი კოვზით, წვეთიც არ დაიღვრებოდა“.

ბედისწერისგან უკუგდებულ ამ ოცნებას დიდხანს ველოლიავებოდი.

შუა გაზაფხული იდგა. როცა პონ-სიურ-იონს მივუახლოვდით, კიდეც ინათა. მკრთალი ოქროსფერი გარიჟრაჟის შუქზე პატარა ქალაქი ვიცანი, რომელსაც მიხურული დარაბების მიღმა ჯერ კიდევ ეძინა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი საგზაო ბოძზე ქალაქის სახელიც წავიკითხე, თავისი ჟღერადობით მუდამ აღტაცებას რომ მგვრიდა: — ვილმანოშ! სამხრეთში მანქანით მოგზაურობისას არასოდეს მავიწყდებოდა ამ ადგილების დათვალიერება და გონებაში სალამსაც ვუგზავნიდი ხოლმე მათ. ახლაც ჩავუარე ამ საგზაო ბოძებს, ნაცნობი ნიშანსვეტებივით რომ მიჩვენებდნენ გზას, ფარდა აღარ ჩამომიშვია.

ასე დილაადრიან არასოდეს ვყოფილვარ აქეთ. ვილნევ-სიურ-იონს ჯერ კიდევ ეძინა თავისი კარიბჭის მიღმა, ეძინა ოქსერსაც, პირველად ავალონმა გამოიღვიძა, ხოლო სენ-ფილიბერ დე ტურნიუში მზე უკვე კარგა ხნის ამოწვერილი დაგვხვდა. დიდი გზა გამოგვივლია. ვან-დეიკის გიმზირზე უკვე დიდი ხანია აღმოაჩინეს მომაკვდავის გაქრობა, შერეკილმა ქალმა ღამით რომ მოიტაცა მალულად.

დილა თანდათან ილეოდა, გზის ყოველ მოსახვევთან ერთად სულ უფრო იცრიცებოდა. როცა მანქანა ლიონის მისადგომებს მიუახლოვდა, გულის არეში ისეთი ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, სუნთქვა შეწეკრა, სული ვერ მოვითქვი, შემეშინდა კიდეც, ვერა და ვერ დავმშვიდდი. „ტირილი მაინც შემეძლოს, — გავიფიქრე, — ცრემლები წონასწორობას აღმიდგენდა“. მაგრამ ცრემლი დამშრობოდა. როცა თვალწინ ელვის სისწრაფით ჩამიქროლა ქსავიეს სახემ, ისეთმა, ბრიკოს რესტორანში რომ ვნახე — მშვიდმა, ნამზეურმა, თითქმის ლამაზმა სახემ და იმ კამკამა გამოსედვამ, მერე კი ამ თვალმილულულ, თითქოს შიგნიდან ჯერ კიდევ გასხივოსნებულ, მაგრამ უკვე ფერფლისფერ, და თითქოს ცვილისგან ჩამოქმილ სახეს გადავხედე... უეცრად მივხვდი, რომ ქსავიემ სამუდამოდ დატოვა ეს წუთისოფელი, მივხვდი, რა ამაო იყო მისგან დაცლილი ამ გვამის წაღება. შიშით გავიწოდე ხელი. მაჯა უცემდა.

ფარდები მაგრად ჩამოვწიე. ლიონის ქუჩებისა და სანაპიროს დანახვა არ შემეძლო.

მძღოლმა, რომელსაც ამჯერად არ მიჰყავდა მანქანა, ტელეფონით მკითხა, ხომ არ გინდათ შევჩერდეთ და ვისაუზმოთო. უარი რომ ვუთხარი, ნებართვა მთხოვა, მაშინ ძეხვეულის მაღაზიასთან ცოტა ხნით შევჩერდებითო.

— სენდვიჩებს ვიყიდი ჩემთვის და ჩემი ამხანაგისთვის. გზაში შევჭამთ.

შუადღე იყო. ქუჩაზე შევჩერდით და ჩვენს მდიდრულ სანიტარულ მანქანას მაშინვე უსაქმურები და ბავშვები შემოეხვივნენ. რა თქმა უნდა, მერჩივნა, საერთოდ არ გამოვსულიყავი მანქანიდან, წუთითაც არ მიმეტოვებინა ქსავიე, მაგრამ ჩამოსვლა მაინც მომიხდა. ერთ-ერთი ძღოლი მაღაზიაში შევიდა, მეორე — დარაჯად დავაყენე მანქანასთან, ვთხოვე, არ იხმაურონ-მეთქი.

როცა დუქნის უკანა კარიდან გამოვედი, მძღოლს უკვე ეყიდა საჭმელი. გზა განვაგრძეთ. მძღოლებმა სენდვიჩი შემომთავაზეს, უარი ვუთხარი, მერე წინა ფანჯრის მინა ჩამოვუშვი, თერმოსი გამოვართვი და ორი სავსე ტოლჩა ცხელი ყავა შევსვი. ჩემი ფიზიკური გამძლეობა არასოდეს არ გამომიცდია ასე და მივხვდი, თავისუფლად შემიძლია არ ვიფიქრო იმაზე, მეყოფა თუ არა ძალა, აიტანს თუ არა ჩემი ნერვები ამდენ დაძაბულობას. ხანგრძლივი მოგზაურობისას რამდენჯერ გავუხარებივარ ზეცის ამ დაუმსახურებელ საჩუქარს.

ქსავიეს ისე ხშირად ვუსინჯავდი მაჯას, ჩემი ხელის მოძრაობა მანიაკის თუ შემლოცველის მოძრაობას მაგონებდა. თავს ვუბრძანე, ყოველ ნახევარ საათში გამესინჯა მაჯისცემა. როცა პირველი ნახევარი საათი გავიდა, რაღაც ავადმყოფურმა შიშმა ამიტანა და გადავწყვიტე, თხუთმეტი წუთი კიდევ დამეცადა. სწორედ ეს უცნაურობები ამქღავნებდა ჩემი ნერვების მოდუნებას. თხუთმეტი წუთიც გავიდა, ხელახლა დავიცადე თხუთმეტი წუთი. უბრალოდ, მაჯის გასინჯვას ვეღარ ვბედავდი.

მანქანა რონის ხეობაში მიქროდა. ლიონის შესასვლელთან ჩამოშვებული ფარდა ჯერაც არ ამეწია, აღარ მინდოდა ამ სოფლების, ქალაქების დანახვა. აღარ მინდოდა ნაცნობი გზისა და ადგილების გახსენება, აღარ მინდოდა გამომეთვალა ჰიერაში ჩვენი ჩასვლის დრო და აღარც ქსავიეს თანდათან დასუსტების თვალთვალი მინდოდა. ვცდილობდი, როგორმე გამეხანგრძლივებინა ეს ჭოტბანი. სინამდვილეში მხოლოდ ერთი რამ მსურდა: რაც შეიძლება გვიან გამეგო, რა მდგომარეობაში ჩავიყვანდი ქსავიეს ბაიუს კონცხზე. უკვე აღარც მაჯას ვუსინჯავდი, არც გზას ვუყურებდი და აღარც საათს. დროსა და სივრ-

ცეში ვიყავი ჩაჩხირული. ასე მეგონა, რაღაც ინერტული ნივთი ვიყავი, სხვა ინერტულობაზე მიჯაჭვული და მოძრავ ყუთში ჩაკეტილი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან, შუა გზაზე გადაესროლათ.

„კარგი, გეყოფა! — ვამხნევებდი თავს, — რა დროს დაბნეულობა და თავგზის აბნევაა?! ესღა მაკლია!“.

მივხვდი, სიცხე მქონდა, მაგრამ საკუთარი მაჯის გასინჯვას არ ვაპირებდი... რამდენიმე წუთი თავბრუ მეხვეოდა... და უცებ შევკივლე, ხმადაბლა შევკივლე.

ორივე ხელი მუცელთან მივიტანე. ვიგრძენი, როგორ დამეჭიმა ნერვები, როგორ მოაწვა გულს სისხლი, როგორ ააფორიაქა სულის კუნჭული რაღაც ისეთმა, სახელი რომ ვერ მოვუძებნე... ჩემი შვილი პირველად შეინძრა.

ვონს რომ მოვედი, ქსავიესკენ გავიწოდე აკანკალებული ხელი. მაჯა აღარ უცემდა.

ტულონში მძღოლებმა მითხრეს, ვფიქრობთ, ჰიერში ღამის თერთმეტ საათამდე ჩავალთო და შემომთავაზეს, იქ მხოლოდ ბენზინის ჩასასხმელად გავჩერდებით, სადილობას მერეც მოვასწრებთ, როცა ავადმყოფს კატერზე გადავიყვანთ, თუკი, რა თქმა უნდა, კატერზე გადასაყვანად და შინ მისაყვანად დაგჭირდებითო.

— დიდი მადლობელი ვიქნები, თუ დამეხმარებით. — ვუთხარი პასუხად.

მართლაც მერჩივნა, ბოლომდე მესარგებლა მათი თავაზიანობით, მით უმეტეს, უკვე დავრწმუნდი, ენაზე კბილის დაჭერის უნარი ნამდვილად ჰქონდათ. მათი პროფესიული მოხერხებულობა ბევრ რამეს გამიადვილებდა, პირველ რიგში — ჰიერიდან გამგზავრებას, რადგან, თუმცა გვიანი ღამე იყო, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და მაშინვე უნდა განგვეგრძო გზა.

— თანაც, — დავძინე, — ჯობს, ავადმყოფი საკაციდან პირდაპირ საწოლში ჩავაწვინოთ.

დამეთანხმნენ. გულში კი ვფიქრობდი, ქსავიეს სხეული უკვე გაქვავებულია-მეთქი. მძღოლებს მაინც ვთხოვე, ტულონში არ ესადილათ და დაპირდი, შინ გასადილებთ-მეთქი. ვაი რომ, ახლა არსად მეჩქარებოდა, მაგრამ მაინც მეშინოდა, შემთხვევით ვინმეს არ აღმოეჩინა, მიცვალებული რომ გადამყავდა. ამას მოჰყვებოდა დაკითხვები, ახსნა-

განმარტება, ათასი ფორმალობა!.. არა, არავითარი შეჩერება აღარ შეიძლებოდა.

როცა დავადგინე... არა, უკანასკნელი ამოსუნთქვა კი არა — (იგი ნამდვილად გამომეპარა), არამედ ქსავიეს საბოლოო გაქრობა, სახეზე ზეწარი არ გადამიფარებია. ისიც ვიცოდი, ღამით კატერზე გადაყვანა-გადმოყვანისას პირზე ზეწარგადაუფარებლად უნდა გაგვეტარებინა შეგროვილი ხალხის წინ, როგორც ესპანეთში იციან დაკრძალვისას. მაგრამ წინა ღამისგან განსხვავებით, ამ ღამით მას სულ სხვა აჩრდილები შემოეხვევა, რადგან დროცა და განედიც უკვე სულ სხვაა. დრო ბურგუნდიაში შეიცვალა. ნეშტადქცეული ქსავიეს ქუთუთოების მიღმა ლათინური ცის თაღი და სხვა თანავარსკვლავედი აირეკლება. მისი ჩამკვდარი დაფის აპკები მაინც ათრთოლდებიან კატერის კედლებზე ტალღების მიხეთქებისას, და ზღვის ნიავიც აუწეწავს თმას, რომელსაც კიდევ ორი დღის სიცოცხლე უწერია.

კუნძულზე ნელა გავიარეთ ფეხით გზა ნავსადგურიდან ჩვენს სახლამდე. ჩემი მძღოლების დუმილმა მაგრძნობინა, რომ ისინი ყველაფერს მიხვდნენ; ჯერ კიდევ კატერზე ან, იქნებ, უფრო ადრეც მიხვდნენ. [illegible] ჩასვლისას რამდენიმე მებადურს გამოეღვიძა, სასწრაფოდ შე[illegible] [illegible]ერთდნენ და სოფლამდე მიაცილეს საკაცე, რადგან ქსავიე ყველას ფუყვარდა. შემდეგ მკითხეს, ჩვენი დახმარება ხომ არ [illegible]ბათ [illegible] [illegible] შინ წავიდნენ.

[illegible] ეს სამგლოვიარო კორტეჟი შედგებოდა სანიტრის ტანსაცმელში ჩაცმული ორი მამაკაცისგან, რომლებსაც სახეზე ზეწარგადაუფარებლად მიჰქონდათ მიცვალებული და სამგზავრო კოსტიუმში გამოწყობილი ქალისგან, რომელიც ტირილითაც არ ტიროდა. სამაგიეროდ, კორტეჟი სურნელოვან ბუჩქნარს შორის მიჰყვებოდა მოუკირწყლავ ბილიკს და ჭრიჭინები ხმამაღალი კრუალით მიაცილებდნენ მას ულამაზესი ღამის საფარქვეშ. პტიტ-კომბის შორიახლო ბაყაყების ყიყინიც მოისმა. ისე ჩუმად მივდიოდით, რომ მხოლოდ უკანასკნელ წუთს ჩაჩუმდნენ და როგორც კი ჩავიარეთ, მაშინვე განაახლეს კონცერტი.

როცა ჩვენს ოთახში, განიერ ტახტზე დაასვენეს ქსავიე, როცა იქაური ექსპანსიური მოახლე სამზარეულოში გავისტუმრე, სადაც ბძოლოლები ელოდნენ, როცა ოთახში მარტო დავრჩი გამოკეტილი

ჩემს მიცვალებულთან, მხოლოდ მაშინ შევწყვიტე ყოველგვარი ფუსფუსი და ლოდინი დავიწყე.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საკუთარი თავის სიღრმიდან ნელ-ნელა მოვბობღავდი სადღაც, ზედაპირისკენ. ეს ყველაფერი ჩემდა უნებურად, თავისთავად ხდებოდა. მწარე სინანული, გულისაჩუყება, უდიდესი სიბრალული საკუთარი თავისა, ხანგრძლივი მწუხარების კეთილისმყოფელი დასაწყისი და ჩემი ქალური სისუსტე — სათითაოდ დამიბრუნდა. დამიბრუნდა ტირილის უნარი, ასე სასტიკად რომ მქონდა აკრძალული ოცსაათიანი მგზავრობის დროს, დამიბრუნდა ადამიანური გრძნობების აღქმის უნარიც. ქვითინით დავემხე ცხედარზე.

ახლა ქსავიეს, მხოლოდ ქსავიეს დავტიროდი. სხვა ყველაფერი მივიწყებული მქონდა. დავტიროდი არა როგორც სამუდამოდ წასულ საყვარელს ან ქმარს, დავტიროდი მას, ვინც ხელი გამომიწოდა, ვინც სხვებისგან და საკუთარი თავისგანაც გადამარჩინა და ვისი წყალობითაც ოდნავ უკეთესი გავხდი. ოო, რა მცირე სამადლობელი გადავუხადე ამ სიკეთისთვის! მისი წყალობით ხომ მომავალსაც ნდობით ვუყურებდი და ამიტომაც ვჩქარობდი სამადლობლის გადახდას. რა მოეუტანე სანაცვლოდ? საშინელი სიკვდილი...

სასოწარკვეთილი ვფიქრობდი მის პირად ცხოვრებაზე, რომელიც თითქმის უცნობი იყო ჩემთვის, რომელიც ვერ გავიზიარე და აწ რაღას გავიზიარებდი?!

მწუხარება, სინდისის ქენჯნა, ღონემიხდილობამ შეცვალა და თავზარი დამცა, ასე მეგონა, უფსკრულში ვვარდებოდი.

როცა გამომეღვიძა, გათენებული იყო. მთელი ღამე ქსავიეს გვერდით მეძინა. წამით გადამავიწყდა, ქსავიე რომ მკვდარი იყო, რადგან მარცხენა მხარი ჩვეულებისამებრ დამბუჟოდა. ასევე ჩვეულებისამებრ, მისი თავი მკერდთან მიმიდვია ძილში და ასე გვძინებია მთელი ღამე.

8

იგი პატარა სასაფლაოზე განისვენებს, ნავსადგურის ახლოს. იქ უკვე აღარავის ასაფლავებენ, მაგრამ მე მაინც მოვახერხე ადგილის ყიდვა. საფლავს თვითონვე ვუვლი. ქსავიეს გარდაცვალებიდან თვეც არ იყო გასული, როცა ერთ დილით საფლავის ქვაზე მძივების ვეებერთელა გვირგვინი დამხვდა. დიდხანს არ მიფიქრია, ვის შეეძლო

მისი იქ დადება. ჩემი მოახლე მუდამ მიწევდა ადგილობრივი გაზეთის მაგივრობას; მის მიერ დაწვრილებით გადმოცემულმა ცნობებმა, რომელთაც თითქმის არ ვუგდებდი ყურს, ჩემი ვარაუდი გაამართლა. არ ავღელვებულვარ. გვირგვინზე არც ბაფთა იყო, არც წარწერა: ეტყობა, მამიდა ემა დარწმუნებული იყო, რომ ამ მოკრძალებულ, უსახელო შეწირულობას როგორმე ავიტანდი. მისი დიპლომატია გულუბრყვილობად უფრო ჩავუთვალე, ვიდრე უტაქტობად. ქსავიეს გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო დღეებში უცნაური, ნაღვლიანი გულჩვილობა დამჩემდა, რაც ჩემს ღვარძლიანობას აცხრობდა; თანაც საკმაოდ დავმძიმდი, ეს ამბავი კი გუნებას უცვლის ხოლმე ქალს. მძივების გვირგვინი დავინდე. უნდა გამოგიტყდეთ, ფერად-ფერადი მინის ყვავილთა ეს თაიგული, სადაც მხოლოდ იაკუეუნა მაგონებდა ცოცხალ ყვავილებს, თავისებურად ლამაზიც იყო.

ახლაც, ყოველ წელს, ახალ გვირგვინს დებენ, მაგრამ მამიდა ემა მხოლოდ ორჯერ ჩამოსულა კუნძულზე. ეტყობა, ბოლო წლებში ჰიერის სააგენტოს თანამშრომელს მიანდეს დანიშნულ დღეს სასაფლაოზე მისვლა და გვირგვინის დადება.

ჩვენს ოჯახთან სხვა არავითარი ურთიერთობა აღარ მქონია. მთელი ჩვენი კავშირი მოდიდან გადასულ, ამ სამგლოვიარო მძივების მაქმანამდე დავიდა.

გადაწყვეტილი მქონდა, ვან-დეიკის გამზირზე აღარასოდეს დავბრუნებულიყავი. დღემდე, როცა ჩემს თავგადასავალს გიყვებით, იქ ერთხელაც არ დამიდგამს ფეხი. ოქტომბრის ერთ დილას დიდედა ძილში გაპარულა. ვიღაცას, მგონი, მამიდა ემას თუ დედაჩემს, ხმა გაუვრცელებია, დარდმა მოკლაო: თურმე მისი გარდაცვალების მიზეზი მე ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, ნაკლებად დამაჯერებელი ამბავია, თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლებში დიდედას სრულ გულგრილობას გარემოსადმი და ასაკს, ოთხმოცდათერთმეტ წელს, როცა ადამიანი ბუნებრივი სიკვდილითაც შეიძლება მიიცვალოს.

დეპეშით მაცნობეს მისი დასაფლავების დღე, ოღონდ დეპეშას ხელს აწერდა ბუსარდელების ნოტარიუსი, ჩვენი ნათესავი ეარნო. მანამდე არავის, თვით მამიდა ლუიზსაც არ მრავგონებივარ. ამიტომ არ ვიცოდი, ეს დეპეშა დიდედას დასაფლავებაზე მიწვევად ჩამეთვალა თუ არა? ვყოყმანობდი. თანაც მშობიარობის დღეები ახლოვდებოდა. სწორედ ეს მოვიმიზეზე და თანაგრძნობის დეპეშები მიცვალებულის შვილებს გავუგზავნე: მამას, ძია თეოდორს და მამიდებს, ემასა და ლუიზს; განზრახ შევადგინე ოთხი, თითქმის ერთნაირი დეპეშა.

მეშინოდა, ჩემდა უნებურად მამიდა ემას დეპეშა მეტისმეტი მშრალი არ გამომსვლოდა. ჩემს ძმებს კი ერთი დეპეშით მივუსამძიმრე და ყოველგვარი შელამაზებისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე ავუხსენი, რატომ არ შემეძლო დამქანცველი მოგზაურობით საფრთხეში თავის ჩაგდება. ჩემი შვილი უკვე მიწევდა მფარველობას.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ მამიდა ლუიზის წერილი მივიღე. ყოველ სტრიქონში იგრძნობოდა ცუდად დაფარული უხერხულობა. მამიდა მაცნობებდა, ბაიუს კონცხზე ჩამოსვლას ვაპირებო; „თუკი, რა თქმა უნდა, — წერდა იგი, — ჩვენდა სავალალოდ იმ დღეს სადმე არ იქნები წასული“. მისი მფრთხალი ხასიათი რომ ვიცოდი, უარის შეთვლა არ ეკამიჭნელდებოდა, მაგრამ მატყობინებდა, ჩემმა ქმარმა აკადემიის პრემია მიიღო და გადავწყვიტეთ, ახალი წლის უქმეები მონაკოში გავატაროთ. პასუხად შევუთვლე, გელოდებით-მეთქი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მამიდა ერიდებოდა მტკივნეულ საკითხებზე ლაპარაკს. სავსებით ბუნებრივია, ხ'მირად მიხდებოდა ქსავიეს ხსენება და მამიდა ლუიზიც მაშინვე შეცბუნდებოდა, ცდილობდა სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი. მხოლოდ სასაფლაოზე დამშვიდდა, როცა მისი დის გამოგზავნილი მძივების გვირგვინი დაინახა; უფრო ლაღად ალაპარაკდა და მივხვდი, მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა სიყვარულმა ჩამოიყვანა აქ. იმედი ჰქონდა, რენეკენის ქუჩა კეთილ მოგონებებს გამოიწვევდა ჩემში; თუკი პარიზში დავბრუნდებოდი, აუცილებლად უნდა შემევლო მასთან, სასაუზმოდ. ვიგრძენი, იგულისხმებოდა მხოლოდ რენეკენის ქუჩა, რაც თავისთავად ფრიად გაბედული ნაბიჯი იყო მამიდა ლუიზის მხრიდან!

ერთადერთი გადაკრული სიტყვა ჩემს უბედურებასთან დაკავშირებით ის იყო, რომ მამიდამ მკითხა, ხომ არაფერი გჭირდება, მარტოობა მძიმე ლოდად ხომ არ ვაწევსო. პასუხად მოვახსენე, მარტო რატომ ვარ, აკი შვილი მყავს-მეთქი.

— ხო, მართლა! — წამოიძახა მან, — შენ ხომ ბავშვი გყავს! ბოლო თვეებში რამდენჯერ ვუთხარი ბიძაშენს, ნეტავი მას, შვილი მაინც ჰყავს-მეთქი.

ცხადია, როცა მამიდა ამას ამბობდა, იგი თავის თავზე — უშვილო ცოლზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ჩემზე — უქმრო დედაზე!

გზაზე მოახლის გოგონა შემოგვეგება: შინ ვიღაც მამაკაცი გელოდებათო.

— ვიცი, ამ მანდილოსნის მეუღლეა, — მივუგე მე და მამიდა ლუიზიზე მივუთითე.

ბიძაჩემი ძალიან დაბერებული მომეჩვენა, ხოლო როცა ცოლ-ქმარს გასეირნება შევთავაზე და დავძინე, სასაფლაოზე სამხრეთით წაგიყვანთ, გზა უფრო ლამაზი სანახავია-მეთქი, ეტყობა, მანძილმა შეაშინა და შინ დარჩენა ამჯობინა.

— იიჰ! — გაწელა სიტყვა გოგონამ, — იმ ბატონზე არ გეუბნებით! სულ სხვაა, პარიზიდანაა და ქალიც ახლავს! სანამ თქვენ სეირნობდით, ნავსადგურიდან სატურნენის მანქანით მოვიდნენ.

ყველაზე სენსაციური ამბავი ბოლოსთვის შემოინახა:

— როგორც თვითონ ამბობს, თქვენი ძმა უნდა იკოს!

— ძმა? რომელი? — მივუბრუნდი მამიდას.

— არ ვიცი, მაგრამ სიმონი ნამდვილად არ იქნება. ოხუთმეტ იანვრამდე ზამთრის სპორტშია ჩაბმული... ჰო, მართლა! წელს, გლოვის გამო, ემამ დიდი წვეულება აღარ გამართა ოცდათერთმეტ დეკემბერს.

— მაშასადამე, ვალენტინი? ელენთან ერთად? კი მაგრამ, რა უნდათ ჩემგან? ამ შუა ზამთარში რამ ჩამოიყვანათ? თანაც, არც იცოდნენ, შინ დავხვდებოდი თუ არა.

— რაკი საახალწლო უქმეებია, აგნეს... გუშინ დაიწყო. ჩვენც...

— ჰო, მაგრამ ვალენტინი?.. შენ თუ იცოდი:

— არა.

მივხვდი, არ ტყუოდა. მაგრამ რაღაც ასრი მოსვენებას არ აძლევდა.

ნაბიჯს ავუჩქარეთ. ხმას არ ვიღებდით. ამ ორი სტუმრიანობის დამთხვევამ დამაფიქრა. ნუთუ მამიდა ლუიზისა და მისი ქმრის მსგავსად ვალენტინიცა და მისი ცოლიც ჩემთან ურთიერთობის აღსადგენად ჩამოვიდნენ? ამას ვერასგზით ვერ გავითვალისწინებდი. პირიქით, დარწმუნებულიც ვიყავი, ოჯახი მკვდრად მთვლიდა და თუ რაიმე კავშირს დაიჭერდნენ ჩემთან, მხოლოდ ჩვენი ნათესავის, ჟარნოს ან, უმალ, მისი პირველი კლერკის მეშვეობით. და აი, უცებ ბუსარდელების ბანდას ორი წყვილი გამოეყო, მართალია, არც ისეთი გულქვანი, როგორიც დანარჩენები იყვნენ, და ერთმანეთის მიყოლებით ჩემს სანახავად ჩამოვიდნენ! იქნებ, მზვერავებად გამოუშვეს? იქნებ, სხვებიც მოჰყვებიან მათ? ან, იქნებ, განხეთქილება დაიწყო ოჯახში?.. იქნებ, სიმბოლური პერსონაჟის, დიდედას მიცვალებას მოჰყვა მონობის

ულლის მოხსნა? იქნებ, რაკი საძირკველი მოიშალა, ყველაზე რბილი ქვები ინგრევა და შენობაც ირღვევა?!..

და ყოველივე ამის მიზეზი მე ვარ?!.. არ შემიძლია ვთქვა, თითქოს ამ ამბავმა ისეთივე ბოროტი სიხარული გამოიწვია ჩემში, როგორსაც წინათ ვიგრძნობდი, მაგრამ მაინც მესიამოვნა. ასე იყო თუ ისე, ეტ-ყობა, ვალენტინის ხასიათი სათანადოდ არ შემიფასებია... საბუთი...

მართლაც, დამინახა თუ არა, ძალიან გაუხარდა. ელენმაც მაგრად ჩამკოცნა, გულზე მიმიკრა. სტუმრობის მოტივი არც დაუმალავთ: ძა-ლიან უნდოდათ ჩემი ნახვა და, თანაც, მოულოდნელად, გაუფრთხი-ლებლად სურდათ თავს დამსხმოდნენ. მით უმეტეს, მანქანით მოგზა-ურობენ ლაჟვარდოვან სანაპიროზე, იქნებ კანშიც შეიარონ გზად, თუმცა მათი მოგზაურობის მიზანი მაინც მე ვყოფილვარ.

— გადავწყვიტეთ, ნაპოლეონის მარშრუტით ვიაროთ! — გამომი-ცხადა რძალმა.

— ალბათ, მოთხილამურე სიმონის ოჯახსაც შეუერთდებით!

ეტყობა, ვალენტინს იმედი ჰქონდა, ელენი უპასუხებსო, ხოლო ელენს ეგონა, ვალენტინი გასცემსო პასუხს: ერთი სიტყვით, ორივე გაჩუმდა. ბოლოს მაინც ჩემმა ძმამ გაბედა ხმის ამოღება:

— არა. ძალიან ცოტა დრო გვაქვს.

ჩაი შემოვატანინე. ღამდებოდა. ხუთივენი, ძაძებში ჩაცმულნი, მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით: მამიდაჩემის ჩამოსვლის წინ მეც შავი კაბა ჩავიცვი. უცებ გავიფიქრე: ვის ვგლოვობთ? დიდედას, ქსავივს თუ კიდევ სხვა ვინმეს?

ვალენტინი ჩემ გვერდით იჯდა; უცებ დაიხარა და ხმადაბლა მითხ-რა:

— შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს!

სწრაფად შემოვბრუნდი მისკენ. ისე დაუწია ხმას, მეცნო მისი ჩურ-ჩულით ლაპარაკის მანერა და დავიძაბე. თუმცა, იქნებ ვცდებოდი? თუ ამ ჩამოსვლით ჩემი ძმა ჩემთან დაახლოებასა და გაშინაურებას ცდილობდა, მაშინ მართლა აქვს ალბათ „მოსალაპარაკებელი“.

— როცა მოისურვებ! — მივუგე.

მამიდა ლუიზმა ყური მოჰკრა ჩვენს გადალაპარაკებას და ელენს უთხრა:

— ელენ, ჩქარა დალიეთ ჩაი და წამოდით, პატარა ქერუბიმს გაჩ-ვენებთ!

— ო, არა! — მტკიცე უარი უთხრა ჩემმა რძალმა, მაგრამ მერე თა-

ვი შეიკავა და, ნათქვამის შესარბილებლად, დაუმატა: — მეშინია, არ გავაღვიძოთ!

თავისი წინდაუხედავი წინადადებით დაბნეულმა მამიდა ლუიზმა თავი დახარა. „არა უშავს, — გავიფიქრე მე, — ელენი ჯერაც ვერ გათავისუფლებულა იმათი უღლისგან!.. არა უშავს, ამის დროც დადგება!"

— მამიდა, სანამ დაბნელებულა, ჯობს ბაღი დავათვალიეროთ!

— სიამოვნებით.

ქალები წამოდგნენ.

— ძია, მოდიხართ? — იკითხა ელენმა.

მე და ვალენტინი მარტო დავრჩით.

— აი, რა მინდოდა... არ ვიცი, გაეცანი თუ არა დაწვრილებით დიდედას ანდერძს?

კინაღამ სიცილი წამსკდა და სახე რომ დამემალა, ხელი ავწიე, ვითომ თმას ვისწორებდი. სხვათა შორის, ჩემი სიცილის მიზეზი მე უფრო ვიყავი, ვიდრე ვალენტინი. უფრო ჩემმა ილუზიამ გამოიწვია იგი, ვიდრე ვალენტინის თვალთმაქცობამ.

— არა, ვალენტინ. შენც კარგად იცი, დასაფლავებაზე პარიზში ჩამოსვლა არ შემეძლო: ჩემი მდგომარეობა არ მაძლევდა ამის საშუალებას. მით უმეტეს, ანდერძის გახსნაზე დასასწრებად სულაც არ ვაპირებდი ჩამოსვლას. კი მაგრამ, შენ თვითონ განა არ გაეცანი?..

— მართალია, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ მოგვიანებით...

— ორი სიტყვით გიპასუხებ, რაკი გაინტერესებს. მე მაცნობეს, რა წილიც მეკუთვნოდა. ეს ალბათ შენც იცი: საქმე ეხება სამისდღეშიო რენტას. ბუნებრივია, მივხვდი, რითი აიხსნებოდა ეს დამატებითი შესწორება, რომელიც მით უფრო უცნაურია, რომ მე მხოლოდ ოცდახუთი წლისა ვარ: ჩვენების სურვილია, პირადად მე მივიღო ეს მცირე წილი, არ სურთ, რომ იგი ჩემს შვილსაც შეხვდეს. ასევე მივხვდი, დიდედამ ანდერძი რომ შეცვალა ან, უკეთ, სხვამ შეაცვლევინა იმის შემდეგ, რაც ჩემი ფეხმძიმობის ამბავი გაიგო...

— სწორედ ასეა! თვითონვე იცი, რომ მართალი ხარ!.. განაგრძე!

— ესაა სულ. მე ჟარნოს კანტორას მივწერე, ამ მემკვიდრეობის მიღებაზე უარს ვამბობ-მეთქი.

— როგორ?

— დიახ, დიახ. მე იგი არ დამიმსახურებია. ისედაც თითქმის ძალიან მდიდარი ვარ. იმდენად მდიდარი ვარ, რომ მრავალი მიზეზის გამო ეს ახალი მემკვიდრეობა ალბათ ლოდად დამაწვებოდა. მე რომ

გადაწყვეტილი არა მქონდეს, როგორ უნდა წარვმართო ჩემი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ჩემი შვილი მაგ წილით კიდევ უფრო გამდიდრდებოდა. ამიტომ, ხომ ხვდები, ეს სამისდღეშიო რენტა... რასაკვირველია, სხვა მემკვიდრეობაზე უარს არ ვამბობ. წმინდანი არ გახლავარ. მით უფრო, რომ ის, რაც პაპისა და ნათლიაჩემისგან მეკუთვნის და რაც ქსავიემ დამიტოვა... მაქვს კიდევ ორი ბრილიანტი, დიდედამ რომ მაჩუქა ქორწილზე... როცა ყველაფერი ავწონ-დავწონე, ეს ბრილიანტები დავიტოვე. ქსავიეს ძალიან უყვარდა, ოქრომჭედელს მისცა და ბეჭედი გააკეთებინა.

ძმას ზედაც არ შეუხედავს ბეჭდისთვის და მეც ხელი მუხლებზე დავუშვი. ვალენტინი წვრილად მოჰყვა ამბავს. დავასკვენი, რომ დიდედას ანდერძი, რომლის მიხედვით მისი შვილები თანაბარ წილს მიიღებდნენ მემკვიდრეობით, სიმონის სასარგებლოდ უფრო იყო შედგენილი, ვიდრე დანარჩენი ნათესავებისათვის. ანდერძის აშკარა თუ ფარული პუნქტების მიხედვით, ჩემი უფროსი ძმა მოგებული დარჩა.

— აი, როგორ ყოფილა საქმე! — ვთქვი მე, — ახლა რა გეშველებათ? ელაპარაკე მაინც?

— უნდა გამოგიტყდე, აგნეს... მე და სიმონი თითქმის უმძრახად ვართ.

— ოჰო, ასეა საქმე?

— სწორედ ასეა. ვერც კი წარმოიდგენ! მაგალითად, გახსოვს დიდედას სუეცის აქციები?

— არა, არასოდეს ვყოფილვარ საქმის კურსში, მაგრამ, მჯერა შენი. დედა რა როლს თამაშობს?

— ოჰ, საცოდავი! ძალიან გაუჭირდება რომელიმე შვილის მხარე დაიჭიროს! თანაც, ამ ამბებში არავითარი უფლებებით არ სარგებლობს... მაგრამ მე არავის მივცემ ნებას ასე მომექცენ! მე ცოლი მყავს, შვილები... ყველამ იცის, რომ ბოლო თვეებში სიმონი ხშირად იკეტებოდა დიდედასთან, მარტო რჩებოდა მასთან, რაკი მისი გართობა ეხერხებოდა, თურმე ნებაც ჰქონდა, როცა უნდოდა, მაშინ შესულიყო... სინამდვილეში კი არ ართობდა... უბრალოდ, აიძულა და ანდერძი შეასწორებინა. ფრანსიზას ისე გამოვკითხე, ვერაფერს მიხვდა და ძალიან საინტერესო ცნობებიც მომაწოდა... ყურს მიგდებ?

— ჰო, ჰო, განაგრძე... მაპატიე, მაგრამ ასეთი საქმეები უცხოა ჩემთვის. მაშასადამე, შენ ამბობ...

— ვამბობ, რომ, ჯერ ერთი... ყველა ნათესავს შეუძლია დამემოწმოს... ბოლო წელი დიდედა ვერ იყო თავის ჭკუაზე. ამრიგად, მერ-

წმუნე, შესაძლოა საქმეც კი აღიძრას მემკვიდრეობის მითვისების თაობაზე. მეორეც, მარტო მე არა ვარ დაზარალებული. ჩემ მხარეზეა ძია თეოდორის ოჯახი, ესე იგი, გასტონი, პოლი, რაული და ჟენევიევი. ისინიც ცოფებს ყრიან. ამას გარდა, აგნეს, შენც... ის სამისდღეშიო რენტა ხომ სისულელეა...

— შენ რა, ვალენტინ, ჩემი იმედი გქონდა?

ეს შეკითხვა ყოველგვარი აღშფოთებისა და გაოცების გარეშე დავუსვი, ცნობისმოყვარეობამ მაიძულა, თუმცა კი მისმა სიტყვებმა კარგ გუნებაზეც დამაყენა.

— რასაკვირველია! — მომიგო მან. — დამშვიდდი! სასამართლოში ჩივილს არ ვაპირებ. ამის კაცი არა ვარ. უბრალოდ, სიმონს უნდა მოველაპარაკოთ. და ამ მოლაპარაკებას შედეგი რომ მოჰყვეს... შენც ხომ იცნობ სიმონს! მტკიცედ და, რაც მთავარია, ერთად უნდა ვუთხრათ სათქმელი!

— ჰოდა, შენც ჩემი იმედი გქონდა, არა?.. კი მაგრამ, ვალენტინ, რატომ იმაზე არ იფიქრე, აგიბამდი თუ არა მხარს ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩემსა და მათ შორის მოხდა?.. რას ეცვანება ეს?.. თუ შენი აქ ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ შენს გეგმებში ჩემი თანადგომისთვის მიგეღწია, ვწუხვარ, მაგრამ ტყუილად გარჯილხარ, ამაოდ გამოგივლია ამოდენა გზა! ამ საქმიდან არაფერი გამოვა!.. იმედი გაგიცრუე, ხომ?

მივხვდი, ვალენტინმა მაინც არ დაჰყარა ფარ-ხმალი, რადგან უფრო ვრცლად მოჰყვა ანდერძში დაშვებულ სხვა შეცდომებზე ლაპარაკს; ისიც გავიგე, ბუსარდელები თურმე ერთმანეთს წაჩხუბებიან. დიდედას ოცი მემკვიდრიდან სათითაოდ ყველას გამოუხატავს თავისი უკმაყოფილება და თავ-თავიანთი მოთხოვნები წამოუყენებიათ. მთელი ერთი კვირის მანძილზე თვით მამიდა ემაც არ ელაპარაკებოდა თურმე თავის დას, ლუიზს. ამ კეთილმა ქალმა კი ეს ამბავიც დამიმალა. აი, რა ყოფილა განხეთქილების მიზეზი: როცა მამიდა ემას უკითხავს მისთვის, დედის კუთვნილი ნივთებიდან რა გინდა წაიღო სამახსოვროდო, მამიდა ლუიზს უთხოვია, ძალიან მინდა დედაჩემის ნაქონი ლაფონტენის დიდფორმატიანი გამოცემა მქონდესო.

— კი მაგრამ, მისი ფასი ხომ აუწერელია! — უყვირია მამიდა ემას.

ლუიზი შეკამათებია: ამ განზრახვით არ ამირჩევია ლაფონტენი, უბრალოდ, სახსოვრად მინდოდა: როცა პატარა ვიყავი, დედა ამ წიგნით მასწავლიდა კითხვასო. ემა კი სხვაგვარად მსჯელობდა. მას ათას-

ნაირი წვრილმანი ნივთი შეუგროვებია ნათესავებისათვის დასარიგებლად: საყნოსი მარილის ბოთლი, ბონბონიერი, შუშის ბოთლები, ერთი სიტყვით, დიდედას ყოველდღიურად სახმარი ნივთები, ოღონდ არც ერთი ამ ნივთთაგანი ჩირადაც არ ღირდა... ხოლო უ დ რ ი ს[1] მიერ ილუსტრირებული, ძველებურ ტარსიკონის ყდაში ჩასმული ლაფონტენის ტომი აუქციონზე რომ გაიტანონ, წარმოგიდგენიათ, რა ფასი ექნება?!

დის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონია, როცა ჩვენი მოკრძალებული მამიდა ლუიზი მტკიცედ დამდგარა თავის ნათქვამზე. ეჭვი არ მეპარება, რომ მისი ეს ჯიუტი სურვილი დედისადმი სიყვარულით არ ყოფილა ნაკარნახევი, მამიდა ლუიზი ამ სამახსოვროს ხელში ჩაგდებას უფრო იმიტომ ცდილობდა, რომ თავისი ბავშვობა, — ხუთი წლის ლუიზეტი მოეგონებინა. ვერ დავიჯერებ, თითქოს მამიდა ლუიზიც ხარბი ყოფილიყოს და მემკვიდრეობის გამო ცეცხლზე ნავთის დასხმა შეეძლოს.

თავისი არგუმენტის გასამართლებლად მამიდა ლუიზს შეუთავაზებია, ექსპერტის მიერ შეფასებული ლაფონტენის ტომის ღირებულება მემკვიდრეობის წილიდან დამიქვითეთო, მაგრამ დიდედას ანდერძის თანახმად ბიბლიოთეკა უფროს ვაჟს რჩებოდა. ემა არავითარ უკანონობას არ დაუშვებდა და ზარალს ვერ მიაყენებდა თეოდორს, თუმცა კი ეს უწიგნური კაცი სულაც არ გახლდათ ბიბლიოფილი და სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მთელი ეს წიგნები. მამიდა ლუიზი იძულებული გამხდარა, დამარცხებულად ჩაეთვალა თავი.

ოჯახური უსიამოვნების ამგვარი შემთხვევა რომ არ განმეორებულიყო, ანდერძით დატოვებული ნივთების დანაწილების შემდეგ დარჩენილი საგნები მამიდა ემას ოთხად გაეყო: ასე აჯობებდა, შედავებასაც ვერავინ გაბედავდა! ჯერ სუფრის ჭურჭელი გაუნაწილებია: არჩევანის უფლება უფროსებისთვის მიუცია. ძია თეოდორს სევრის სერვიზი წაუღია, მამიდა ემას — ჩინური სერვიზი, დედაჩემს — ლიმოჟის ფაიფურის სერვიზი, ხოლო და-ძმებში ყველაზე უმცროსი მამიდა ლუიზი საძაგელი სერვიზით, დანიური მდარე ხარისხის ფაიფურის სერვიზით დაკმაყოფილებულა. რომლის არსებობა გამანაწილებლის,— მამიდა ემას გარდა არავის სცოდნია; ეს სერვიზი თურმე რომელიღაც კედლის კარადიდან გამოუღია.

ასევე გაუნაწილებიათ სხვა ნივთებიც: ავეჯი, სურათები, ვერცხლეული, მაქმანებიც კი, მამაკაცებს სულაც რომ არ სჭირდებოდათ.

---

[1] უ დ ო ი, ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ (1686—1755) — ფრანგი მხატვარი, გრავიორი.

ყველაფერი გაუნაწილებიათ, დაუქუცმაცებიათ. ასეთივე ბედი სწვევია საქსონიის ფაიფურის პატარ-პატარა ნივთების ძვირფას კოლექციასაც, დანაწილების შემდეგ უბრალო სამშვენისებად რომ ქცეულა... მერე უპოვნიათ ძველი, ჯერ კიდევ 1900 წელს გადაღებული ფოტოსურათები, ფერწასული, ბისტოლის მუყაოზე დაკრული სხვადასხვა მუზეუმის რეპროდუქციები, ოდესღაც მოგზაურობიდან რომ ჩამოუტანია პაპას. ღირებულებას მოკლებული და უვარგისი მთელი ეს მუყაოს გროვაც ოთხად გაუყვიათ და თითოეულს თავ-თავისი წილი კიდეც წაუღია.

უარესიც მომხდარა: ვალენტინმა საიდუმლოდ მაცნობა, დიდედას სეკრეტერი რომ გაუხსნიათ, სახტად დარჩენილან. ძია თეოდორი და მამაჩემი იძულებული გამხდარან, ქალების წერილების მთელი დასტა წაეღოთ თან, ოთახში ჩაკეტილიყვნენ და ისე გადაერჩიათ. უმეტესობა დაუწვავთ. ისეთი რა აღმოაჩინეს ამ წერილებში? ან ის, რაც აღმოაჩინეს, დიდედას ეხებოდა თუ პაპას? თუმცა ვალენტინი დიდ გამომძიებლურ ნიჭს ამჟღავნებდა, მას მაინც ვერ მოუხერხებია ამის დაზუსტება. ასე იყო თუ ისე, ხელახლა ალაპარაკებულან მამაჩემის ძიძაზე, ოდესღაც სახლიდან რომ გააძევა დიდედამ და მერე ისევ დააბრუნა. შეუმოწმებიათ, ცოცხალი იყო თუ არა ამ ქალის უმცროსი შვილი; საქმე ისაა, რომ მეურვე ზოგჯერ სამეურვეო პირის გარდაცვალების შემდეგაც იღებს დანიშნულ სარჩოს. იმდენი უქნიათ, მოუძებნიათ ის მოხუცი კაცი. სადღაც, მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს თურმე პატიოსნად, შთამომავლებით გარშემორტყმული.

მერე კიდევ ერთი, იდუმალებით მოცული ამბავიც მომხდარა: ბრილიანტების აღწერის შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებიან დეიდა ჟიულიენს.

— ჰო, ვერაა სასიამოვნო ამბები! — ამოიოხრა ვალენტინმა, ამ ვაიფილოსოფოსმა, — დიდედა გარდაიცვალა და აი, ნათესავები ყველგან ჰყოფენ ცხვირს, დაობენ, ერთმანეთს ებუტებიან! ჰოდა, მეც აღარ ველაპარაკები სიმონს...

— ნეტავი შენ! დამშვიდდი! — ვუთხარი, — ყველაფერი უფრო ადრე მოგვარდება, ვიდრე შენ გგონია. სიმონს წაეჩხუბე? ნაძლევს დავდებ, ერთი თვის თავზე შერიგდებით. საერთო ენას გამოძებნით. დედა იქ არაა? რაც შეეხება დანარჩენებს... დამიჯერე, ეს ყველაფერი წამიერი ჭექა-ქუხილია და მეტი არაფერი! ცოტა ხნით აწრიალებულ ხართ, დიდედას სიკვდილმა აგაფორიაქათ, თავგზა აგიბნიათ. ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა დიდი ადგილი ეჭირა ამ ღრმად მოხუცებულ

ქალს თქვენს ცხოვრებაში! ამ ადგილს ახლა სწორედ იმ სიცარიელით ზომავთ, რაც მის შემდეგ დარჩა. მაგრამ თქვენი რიგები ხელახლა შეიკვრება, ხელახლა აღდგება ოჯახური წვეულებები. უამისოდ გულს დაგაკლდებოდათ. პირადად მე ამას არ ვწუხვარ, ვალენტინ. ჩვენი ოჯახი ყოვლისშემძლეა. საერთოდ, ოჯახი დიდი ძალაა!

4

ოთხივენი ერთად გაემგზავრნენ ნავით, მე კი ალბათ ვცდებოდი, როცა მეგონა, არც ერთი მათგანი არ წავიდოდა არც კანში და არც მონტე-კარლოში, არამედ დაბრუნდებოდნენ პარიზში და ჩემს ბანაკში შეთქმულებივით ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა მოიყრიდნენ თავს მონსოს პარკში.

დიდხანს გავცქეროდი მოტორიან ნავს და მალე ისე ჩამობნელდა, მის შუქსღა ვამჩნევდი. მინდოდა, სადილად დამეტოვებინა ჩემი ნათესავები, ბოდიში მოვუხადე, ღამის გათევას ვერ შემოგთავაზებთ-მეთქი, რადგან სახლში მხოლოდ ოთხი ოთახი იყო, ამათგან ორი ბავშვსა და მის ძიძას ეკავათ. ვალენტინმა და მისმა ცოლმა ისეთი მარცხი იწვნიეს, მაინც არ დარჩებოდნენ, ხოლო მამიდა ლუიზმა, ჩემთან სტუმრობა ოჯახის მალულად რომ ჩაიფიქრა, ცხადია, იგრძნო, ბაიუს კონცხზე დენთის სუნი ტრიალებსო.

„ქარის წისქვილის“ კონცხზე ავედი. ყურადღებას არ ვაქცევდი არც ტრამონტანს, არც გვიან ღამეს. სტუმრების გამგზავრება უკეთ რომ დამენახა, შატოს გალავნის ძირას ჩამოვჯექი. მსუბუქი ჰავლი ოდნავ არწევდა მოტორიან ნავს. თეთრი და მწვანე შუქი წამდაუწუმ მეკარგებოდა თვალთაგან, ხოლო წითელი — გამუდმებით ციმციმებდა. სიბნელეში აკიაფებული ეს მკრთალი შუქიღა მანიშნებდა, რომ ჩემი სტუმრები მიემგზავრებოდნენ. ისინი ხმელეთზე ბრუნდებოდნენ, იმ უცხო სამყაროში, საიდანაც ჩემთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდნენ და, თანაც, სულ ტყუილუბრალოდ. ვიცოდი, ამ ცდით დაკმაყოფლდებოდნენ და მათ მაგალითს აღარავინ მიბაძავდა. ასევე შესაძლოა, ერთმანეთთან შეთანხმებით, მამიდა ლუიზსა და ვალენტინს საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი ერთობლივი სტუმრობის ამბავი.

ათასნაირი საფიქრალი ამეშალა, ასე ხდება ხოლმე, როცა მოგონებების კარი ხელახლა გაიხსნება და გარდასული დროების მივიწყებული არომატი შემოგეფრქვევა. ათასნაირი სურათი ამომიტივტივდა თავში, ბნელ, ქარიან ღამეს შეერია და გაქვავდა. ახლაც ისევე მომიხ-

და მეხსიერების გადაქექვა, როგორც ნიუ-იორკიდან წამოსვლისას დ. მემართა. ეს ორი მომენტი ერთმანეთს ეხმიანებოდა. ოღონდ ახლა სხვები მიცურავდნენ ზღვით, მე კი აქ ვრჩებოდი, ჩემ მიერ ნაპოვნ ნავსადგურს თავშეფარებული. ამ უკიდურესად საპირისპირო ამბებმა ისე სწრაფად ჩაიარა, სახტადაც დავრჩი: ერთ წელსაც არ გაევლო, არადა, წრე უკვე შეიკრა.

ჩემს ოთხ ნათესავს მოტორიანი ნავით მიჰყავდა პატარა აგნესი, რომელიც ამ ამბების წყალობით ჩამოვიშორე. რადგან, თუკი ჩემს თავგადასავალს თავიდან ბოლომდე გადავავლებ თვალს, ნათელი გახდება, რომ ჩემი სახით სწორედ იმ წლების აგნესმა შეინარჩუნა სიცოცხლე, როცა ყველაზე ნაღდი მემკვიდრეობითი ნიშნები გამოგვიმუშავდება ხოლმე. მე ალბათ მხოლოდ რომელიღაც ბავშვის უფროსი შვილი გახლდით!

მათ თან მიჰყავდათ დედაჩემიც, მრავალი წლის მანძილზე რომ ჩამჩიჩინებდა: „ღმერთო, რა უშნო ხარ, ჩემო საბრალო გოგო!“ და იმავე კატეგორიული ტონით მიმეორებდა, უემური ხასიათი გაქვსო. ნაწილობრივ კიდეც მჯეროდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, დედასთან სტუმრად მოსული მანდილოსანი ჩემ გასაგონად იტყოდა: „რა ლამაზი შვილი გყოლიათ, ქალბატონო! ნახავთ, რა მშვენიერი ქალიშვილი დადგებაო“ და სანამ ბერკლის scool-girls და ნორმანი გამომიცხადებდნენ, ფრანგი ქალიშვილი და ასეთი შემგუებელიო?! ვის შეუძლია თქვას, რა დამღუპველი გავლენა მოახდინეს გოგონაზე სიტყვებმა: „უშნო“, „უემური“, ასე ხშირად რომ უმეორებდნენ და ისიც ავადმყოფურად აღიქვამდა, ხოლო მოგვიანებით რამდენჯერ გახსენებია ეს სიტყვები, ბოლმით, გესლიანად ნათქვამი ამ სიტყვების მნიშვნელობა?!

მათ თან მიჰყავდათ დედაჩემი, რომლის ქარაგმები მხოლოდ ახლა გახდა ჩემთვის ნათელი; დედაჩემი, რომელიც- საკუთარი დედის მსხვერპლი იყო, რადგან პირველი ქორწინებიდან მოყოლილ და-ძმებთან ცხოვრობდა; თან მიჰყავდათ უსიყვარულოდ გათხოვილი დედაჩემი, ქმრის სიახლოვეს რომ რის ვაი-ვაგლახით ეგუებოდა, ქალურ სითბოსა და სიყვარულს რომ აკლებდა ქმარს, რათა ამით უფრო მეტად დაემცირებინა და დაესაჯა საცოდავი; თან მიჰყავდათ დედაჩემი, რომელმაც მხოლოდ იმიტომ კი არ შემიძულა, უშნო და უემური რომ ვიყავი, არამედ იმიტომაც, რაკი უნდოდა მისი ქალიშვილი ისეთივე პირობებში აღეზარდა, თვითონ რომ იზრდებოდა ოდესღაც და მასაც

აგივე უსიამოვნებები გადაეტანა, რაც თვითონ გადაიტანა: „შენც ის უნდა იწვნიო, რაც მე გადამხდა!“ განა ეს სამართლიანი არ იქნებოდა?!

ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. დედაჩემი დედათა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, საკუთარ ქალიშვილებზე რომ იყრიან ჯავრს; თავის მხრივ ეს ქალიშვილებიც თავიანთ შვილებს მიაგებენ სამაგიეროს. შესაძლოა, ამით აიხსნებოდეს ის მედეგი ხასიათი ზოგიერთ ოჯახში, სადაც ძალადაკარგული სისტემებისა და ჩამორჩენილი აზრების წყალობით დედის ავტორიტეტი ფრიად მნიშვნელოვანია. რა სასწაულით გადავურჩი ამ კანონზომიერებას? უდავოდ, პირველ ყოვლისა, ჩვეულებრივი სიყვარულის ჯადოს წყალობით. მაგრამ თუკი აგერ ორი თვეა. არავითარი საფრთხე არ მემუქრება იმისა, რომ მეც განვაგრძობდი ამ სახიფათო ტრადიციას, ეს ამბავი იმით ხომ არ აიხსნებოდა, რომ ბიჭი გამიჩნდა და არა გოგონა?!

მოტორიანი ნავის სინათლეები თვალს მიეფარნენ. ისინი შორეთში გაქრნენ ან მოპირდაპირე ნავსადგურის აციმციმებულ შუქს შეერივნენ. ძაფი გაწყდა. ხელახლა გავხდი კუნძულის მცხოვრები და ასეთი დავრჩები სამუდამოდ. ამიერიდან ეს კუნძული იქნება ჩემი ცხოვრების ნავსაყუდელი. ამას, თუ შეიძლება ითქვას, მთელი სიგრძე-სიგანით ვგრძნობდი. ვგრძნობდი, როგორც ერთგვარ ელემენტალურ ფასას, რომელიც მოიცავს ნიადაგს, მცენარეულობასა და იმ სამკილომეტრიან მანძილს, ამ კონცხსა და ჩემს სახლს შორის რომაა; იგი მოიცავს ამ სახლსაც, ბავშვის ოთახსაც და იმ პაწაწინა არსებასაც, ახლა იქ რომ ჭევს და მელოდება. წამოვდექი. სასწრაფოდ მომინდა შინ დაბრუნება. სპექტაკლი დამთავრდა.

თუმცა არა, არ დამთავრებულა, ან, უკეთ, ახალი დაიწყო. და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. იგი დღემდე გრძელდება. ამ სპექტაკლში თავი იჩინა ჩემმა შეცდომამ, როცა მეგონა, სავსებით გავთავისუფლდი-მეთქი. სინამდვილეში, ტროელთა მარცხი გავიმეორე: მტერი ციხესიმაგრეში შემოვუშვი და იქ გამოვამწყვდიე. მეგონა, ბუსარდელებს გავექეცი-მეთქი. მაგრამ კუნძულზე ხომ მაინც დარჩა ორი ბუსარდელი! მე და ჩემი ვაჟი. არ მინდა, გონიერება ეწოდოს იმ თავხარს, მე რომ განვიცადე, როცა ასაკმა პირველად შემახსენა თავი. მართლაც, წლები მარტოობაში გადიოდა. მე უკვე ოცდაათი წლისა ვხდებოდი, ვბერდებოდი და, თანაც, ბუსარდელების მსგავსად ვბერდებოდი: სიმსუქნისადმი საგვარეულოს მიდრეკილება მეც აღმომაჩნდა. ამას ახლაც ყოველ წამს ვებრძვი. პირველ ხანებში შინ ჯდომა

ძიხდებოდა და ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ მოულოდნელი, თავზარდამცემი მსგავსება მემუქრებოდა: დედას ვემსგავსებოდი. პატარაობისას, ნაცნობები და ნათესავები კლასიკურ კითხვას უსვამდნენ ხოლმე ერთმანეთს: „ვისა ჰგავს? მამას თუ დედას?“ და ყოველი მათგანი თავის აზრს გამოთქვამდა, რაც დიდად არ მსიამოვნებდა, რადგან არავითარი სურვილი არ მქონდა ან ერთს დავმსგავსებოდი, ან მეორეს. ახლა კი კარგად ვიცოდი „ვისკენ ვიხრებოდი!“ ამიტომ დიდი ბრძოლა მიხდებოდა საკუთარ თავთან: ვვარჯიშობდი, მკაცრ დიეტას ვიცავდი, თავს არ ვზოგავდი, ყოველნაირ ხერხს მივმართავდი, მაგრამ ეს ყოველივე ჩვეულებრივი სიკეკლუცის ბრალი როდი იყო. ბოლოს, ჩემი გავიტანე და ჩემი ოჯახის შემოტევა ერთხელ კიდევ ავიცდინე თავიდან. წელის, მკლავების, კისრის წინანდელი ფორმები ხელახლა აღვიდგინე ბედმა გამიღიმა, საბედნიეროდ ხელებსა და სახის ნაკუთებს არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა. სამაგიეროდ ფეხები... ხშირად დავტიროდი ჩემს ფეხებს — სადღაა ჩემი გრძელი, ჩამოსხმული წვივები, ასე ძალიან რომ მომწონდა მე თვითონ!.. ახლა ვცდილობ, არავის დავანახო ისინი და აღარც მე ვუყურო. საბანაო კოსტიუმზე ზემოდან აუცილებლად ვიცვამ ხოლმე ქვედა კაბას, ხოლო ის ჩემი შორტები სულაც მუხლებამდე მწვდება... ნუ გეღიმებათ, მამაკაცი ამას ვერ გაიგებს...

აი, ნამდვილი დრამა კი ჩემ გვერდით გათამაშდა. საკუთარ თავზე მეტად ჩემი შვილი მაშინებდა. იგი ისეთივე იზრდებოდა, როგორიც ჩვენი ოჯახის ყველა სხვა ბავშვი იყო. მამისეული წარმომავლობისა არაფერი ეცხო. ამაოდ ველოდი თუნდაც რაიმე უმნიშვნელო ნიშანკვალს. ვერაფერს ვამჩნევდი. ეტყობა, დედისეული სისხლის პროპორციები მაინც ვერ შევამცირე. ამ საფრთხეს სხვა იარაღით შეებრძოლე და, თანაც, უფრო გაბედულად. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. აუცილებლობამ ან, უკეთ, შიშმა პედაგოგიური ხერხები გამომაყენებინა. ამ საქმეში ძიძაც მეხმარება; აქამდე ცხოვრობს ჩვენთან და ბავშვს ინგლისურს ასწავლის. მე ფრანგულს ვასწავლი. ადგილმდებარეობაც და ჰავაც მიადვილებს ამოცანას; მინდა, ჩემი შვილი მყარად იდგეს მიწაზე და არ იყოს მხოლოდ რაღაც პრინციპების მიმდევარი. მინდა ვასწავლო, რომ იგი შეიძლება იყოს ძლიერიც და სუსტიც და, ბოლოს, სულაც არ ვაპირებ უკუვაგდო ისეთი აღზრდა, როგორიც მე მიმაღებინეს. ეს ხომ სისულელე იქნებოდა... ამაში მე მეხსიერება მეხმარება.

ძალიან ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ ვიტყვი, თითქოს რაღაც განსაცვიფრებული ბავშვი მეზრდებოდეს. მართალია, ზოგჯერ ილუზიებს ვიქმნი, ზოგჯერ კი ყველაფერს მუქ ფერებში ვხედავ, მაგრამ გულახდილად მაინც შემიძლია ვაღიარო, რომ იგი უფრო მეტად მაინც ბუსარდელია! არ ღირს დაწვრილებით გადმოგცეთ ამ ჩემი აზრის დამადასტურებელი პატარა-პატარა აღმოჩენები!

აი, ასე მთავრდება ან, უკეთ, არ მთავრდება ამბავი, სადაც მთავარი ადგილი ოჯახს უჭირავს; სადაც ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი მისი გავლისობით, მისი წყალობით, მის წიაღში გადამხდა თავს; სადაც ჩვენი სახლისთვის არც ერთი უცხო სახელი არ ისმის, გარდა ნორმანისა, მაგრამ სწორედ ის თამაშობს უცხოს როლს ამ ოჯახში, და ყოველივე ეს მთავრდება პატარა ბიჭუნათი, რომლის შემწეობითაც ისევ იქმნება ოჯახური გარემო.

წლისა და ორი თვის იყო, კბილები რომ ამოუვიდა. ბრონქიტით სწორედ მაშინ გამიხდა ავად, მერე ზედ ფილტვების ანთება დაერთო. ფილტვები!.. უკვე?! ვიფიქრე, დამეღუპა-მეთქი. მე თვითონაც ავად ვიყავი. სიცხე მქონდა, მაგრამ უძილობით ჯანგატეხილს ყველაზე მძიმე წუთებშიც არ მასვენებდა ერთი ფიქრი: „პატარა ბუსარდელი ძალიან ავადაა... პატარა ბუსარდელი მალე მოკვდება!“

გამოკეთდა. ავადმყოფობას არავითარი კვალი არ დაუტოვებია. რენტგენოგრამას რეგულარულად ვაკეთებინებდი და შედეგიც დამამშვიდებელი იყო. მიუხედავად ამისა, დროდადრო მაინც მიპყრობს შიში. ასე მეჩვენება, თითქოს საგვარეულო სენის აჩრდილი პაწაწინა საწოლთანაა ჩასაფრებული... და როცა ბავშვს სძინავს ან მუხლებზე მიზის და ისვენებს, როცა თავს თავისებურად ჩამომადებს ხოლმე მხარზე, გულზე მაგრად ვიხუტებ ხოლმე და ნაღვლიანად ვფიქრობ, ვინ იცის, იქნებ ქსავიეს ღვიძლი შვილია-მეთქი!

ამ სიტყვებზე აგნეს ბუსარდელი წამოდგა, მოიმიზეზა — შინ სასწრაფოდ საქმე მაქვსო და ზეზეულად ელოდა ჩემს წასვლას. მეც დავტოვე.

წარმომიდგენია, რა ძნელი იქნებოდა მისთვის ეს მრავალდღიანი აღსარება! ახლა კი მარტოდ დარჩენა უნდოდა. იმედი მქონდა, ორიოდე დღის შემდეგ ხელახლა შევხვდებოდით ერთმანეთს. იდუმალებით მოცულმა ამ ქალმა თავდაპირველად ძალიან დამაინტერესა, ხოლო მას შემდეგ, რაც იდუმალების სამოსელი შემოეცალა, დამატყვევა კიდეც. ასეთი რამ ყოველდღე როდი ხდება. ვიმედოვნებდი, დავმეგობრდებოდით.

მომდევნო დღეებმა ეს იმედი გამიცრუა. აგნეს ბუსარდელი გამირბოდა. შვილი ისევ შინა ჰყავდა, მაგრამ ერთხელაც არ მაჩვენა. ერთ მებადურს, როგორც თვითონ მითხრა, ზღვიდან რომაული ამფორა ამოუთრევია ბადით, მეც ეჭვი არ შემპარვია, რომ იგი ნამდვლად რომაული ამფორა იყო, ჰოდა, ვიყიდე, ყვავილებით ავავსე, მერე კი აგნეს ბუსარდელს გავუგზავნე. მადლობის ბარათი მოახლეს გამოატანა.

მის განმარტოებას ნამდვილად ვცემდი პატივს. მე თვითონაც იმიტომ ჩამოვედი აქ, მინდოდა, ყველაფერს მოვშორებოდი. ხელახლა წამოვიწყე ჩვეულებრივი ცხოვრება: ვსეირნობდი, მზის აბაზანებს ვიღებდი იმ ყურეში, მოწითალო ქვიშაქვის ორ კლდეს შორის რომ ბივაგენი. იქ მოხვედრა მხოლოდ ზღვით შეიძლებოდა. ეს თავშესაფარი კერძო პლაჟს ემიჯნებოდა, რომლის გასწვრივ ბილიკი იყო გაკვალული და სწორედ ამ ბილიკით ჩავდიოდი წყალში, ქსავიეს მიერ წითლად შეღებილი სახლი საკმაოდ შორს, ყურის მეორე ბოლოში იდგა. ასე რომ, შემეძლო ისე მევლო ამ მარშრუტით, აბეზარობას ვერავინ დამწამებდა.

დილით, როცა ჩემს ყურეს მივადგებოდი, აგნეს ბუსარდელს ნაპირზე ვამჩნევდი უკვე. ტილოს შეზლონგზე გაწოლილს მუდამ წიგნი ან საქსოვი ეჭირა ხელში: ოჯახის დედა შვილს მეთვალყურეობდა! ტიტლიკანა ბიჭი ნაპირს მოახლოებულ ტალღებს ეთამაშებოდა ან ქვიშაზე ჩაცუცქული თავს იქცევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვიფიქრე, ჩემი მოკრძალება საკმაოდ დავუმტკიცე-მეთქი და ერთხელ, ბილიკს რომ მივყვებოდი, ხელი დავუქნიე. თვითონაც ხელი დამიქნია, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ამით შემოიფარგლა.

ერთხელ მის შვილს გამოველაპარაკე. ჩემი ყურის ნაპირას ფერად კენჭებს ეძებდა და როცა შეამჩნია, მისკენ მივცურავდი, უნებურად მომესალმა, მერე დაუმატა, თქვენზე უკეთესი ნამზეური მაქვსო. დაეთანხმე, სავსებით შესაძლებელია ასეც იყოს-მეთქი და ქათინაურიც ვუთხარი. ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, კლდეზე ავცოცდი და საუბარი გავუბი. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩემთან საუბარში დედამისი მეტისმეტად მკაცრად მსჯელობდა მასზე, სამაგიეროდ, მოუხერხებია და ლაღ ბავშვად გაუზრდია. ასეთი პატარა, უკვე ისეთ დამოუკიდებლობას ამჟღავნებდა კითხვა-პასუხში, ისეთი უშუალო შესაბამისობა იგრძნობოდა მის ფიქრებსა და სიტყვებს შორის, უნებურად გავიფიქრე, ასეთი რამ მხოლოდ ინგლისელ ბავშვებს ახასიათებთ-მეთქი. სამაგიეროდ, სიტიტვლისადმი მისი მოურიდებლობა და სხარტი გონება ნამდვილად არ შეესაბამებოდა ინგლისურ ხასიათს. როცა გაიცინებდა, სარძევე კბილები გამოუჩნდებოდა და სახეც უნათდებოდა.

ამის მეტად აღარც მინახავს. არ ვიცი, დედამ ურჩია, არ მოსულიყო ჩემთან, თუ თვითონვე არ მიგულა საინტერესო მოსაუბრედ.

ერთ დილით, როცა მზის გულზე ვიყავი გაწოლილი ზღვასა და ჩემს კლდეს შორის, ხმამაღალმა შეკივლებამ გამომაფხიზლა. წამოვჯექი. ყვირილი განმეორდა, აგნეს ბუსარდელის ხმას მივამსგავსე: რა მოხდა? რაიმე უბედურება ხომ არაა? ბავშვი ხომ არ იხრჩობა? ციცაბო კლდე-კედელი მეფარებოდა და გადაღმა მხარეს ვერაფერს ვხედავდი. წყალში შევედი. მკლავების რამდენიმე მოსმა და პლაჟზე გავჩნდი. ბიჭი ნაპირთან იდგა და წყალში საქმიანობდა. დედას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ქალი კი თურმე მე მეძახდა და როცა დამინახა, ჩემკენ გამოიქცა.

ნაპირზე ავედი, საკმაოდ გრძელი მანძილი გამოევლო. სწრაფი ნაბიჯებით გავეშურე მისკენ. თვითონ მძიმედ, მაგრამ სწრაფად მორბოდა ჩემკენ, ცალი ხელი მკერდზე მიედო, მეორე ხელით რაღაცას იწვდიდა ჩემკენ, შორიდან ვერ გავარჩიე. როგორც ყოველთვის, საბანაო კოსტიუმზე მოკლე ქვედა კაბა გადაეცვა. ქარი თმას უწეწავდა. მისი მძიმე ნაბიჯის ქვეშ ქვიშა ხრაშუნობდა. გზაზე გუბე იდგა, ვერ შეამჩნია, ფეხი ჩაჰკრა და წყლის შხეფებიც მზეზე აციმციმდა. თითქმის ტიტ-

ველი ვიყავი, მაგრამ სუნთქვაშეკრული მკლავებში ჩამივარდა, მხრებში ჩამავლო ხელები. მისი მკერდი მკერდზე მომეკრო. სულს ვერ ითქვაჰდა და ხმასაც ვერ იღებდა. ბოლოს რაღაც წაიბუტბუტა და ხელი გამომიშვირა. ხელისგულზე ჩაკბეჩილი ვაშლი ედო. ესღა გავარჩიე:

— მინდოდა... უნდა... ყამეზიარებინა ვინმესთვის... უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის...

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. ქვითინებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. მზის სხივებში გახვეული, თან იცინოდა და თან ტიროდა.

— ვაშლს ჭამდა... მერე დამიძახა, რაღაც ცხოველი მაჩვენა, უცნაური კიბორჩხალა იყო და მისი დაჭერა უნდოდა. ვაშლი მე მომაბარა... მარტო სარძევე კბილებს ვერ ვენდობოდი, ვერ დავიჯერებდი... საბუთი მჭირდებოდა... შეხედეთ!

ვაშლი ზედ ჩემს თვალებს მიუახლოვა. თეთრ რბილობზე ორი საკბეჩი კბილის კვალი ეტყობოდა. ბედის ხაზით ოდნავ დაშორიშორებული ორი კბილის კვალი...

გავარვარებული ცისკენ ასწია თავი. გახარებულმა ვაშლი პირთან მიიტანა, კბილების ნაკვალევს აკოცა და ნაყოფის წვენი მოსრუტა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

დაბრუნება	7
ბუსარდელების ოჯახი	51
ნორმანი	89
ქსავიე	126
ქორწინება	173
დაცემა	208
გამგზავრება	247

რედაქტორი შ. რუხაძე
კოლეგიის რედაქტორი თ. პატარაია
მხატვარი ჯ. ზენაიშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ი. სალარაძე, ზ. შამასახლისი
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 6430

გადაეცა წარმოებას 04.03.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.08.88. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,04. პირ. საღ-გატ. 16,27. სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,2. ტირაჟი 40 000. შეკვ. № 4535

ფასი 1 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.